ა. სურგულაძე

ქართველი დემოკრატიული ინტელიგენცია სამ რევოლუციაში (1900—1921 წწ.)

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი — 1986

9(C41)
63.3(2ლ)Г
9(47.922)+321.913(47.922)(09)
ს961

მონოგრაფიაში განხილულია ქართველი დემოკრატიული ინტელიგენციის რევოლუციური საქმიანობა სამი რევოლუციის (1905—1907 წლების პირველი სახალხო რევოლუციის, 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციისა და 1917 წლის ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის) პერიოდში. მისი მეთოდოლოგიური საფუძველია ლენინური მოძღვრება დემოკრატიული ინტელიგენციის, როგორც გლეხობასთან ერთად პროლეტარიატის მოკავშირის შესახებ; ნაჩვენებია ქართველი დემოკრატიული ინტელიგენციის იდეური პროფილი და პრაქტიკული საქმიანობა რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის მომზადებისა და მიმდინარეობის პერიოდში, რეაქციის წლებში, იმპერიალისტური ომისა და 1917 წ. თებერვლის რევოლუციის ხანაში, მენშევიკური დიქტატურის წინააღმდეგ ბრძოლაში.

რ ე ც ე ნ ზ ე ნ ტ ე ბ ი:
პროფესორები: თ. ბოცვაძე, ბ. ბამსახურდია

0505040000 — C46
С ——————— 34 — 86
М 601 (08) — 86

დემოკრატიული ინტელიგენცია პროლეტარიატის მოკავშირე— ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში

დემოკრატიული ინტელიგენცია წვრილბურჟუაზიული კლასის პირმშო და ორგანული ნაწილია. ამ კლასის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და ნიშან-თვისებანი, მისი ფსიქოლოგია და იდეური მისწრაფებანი ასაზრდოებს და განსაზღვრავს დემოკრატიული ინტელიგენციის საზოგადოებრივ პოზიციას, მიმართულებას არსებული რეჟიმის გარდაქმნისათვის ბრძოლაში.

კაპიტალიზმი „წმინდა" სახით, ე. ი. მხოლოდ ორი კლასის — ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის შემადგენლობით არც ერთ ეპოქაში, არც ერთ ქვეყანაში არ არსებულა და არ არსებობს. ვ. ი. ლენინი მიუთითებს, რომ „კაპიტალისტურ და ნახევრადკაპიტალისტურ საზოგადოებაში ჩვენ ვიცით მხოლოდ სამი კლასი: ბურჟუაზია, წვრილი ბურჟუაზია (გლეხობა, როგორც მისი მთავარი წარმომადგენელი) და პროლეტარიატი..."[1]. ქვემოთ ლენინი აღნიშნავს: „ბურჟუაზია მემამულეებთან ერთად, პროლეტარიატი, წვრილი ბურჟუაზია, წვრილი მეპატრონენი, პირველ ყოვლისა გლეხობა, — აი ის სამი ძირითადი „ძალა", რომელზედაც იყოფა რუსეთი, ისე როგორც ყ ო ვ ე ლ ი კაპიტალისტური ქვეყანა. აი ის სამი ძირითადი „ძალა", რომელიც დიდი ხანია ნაჩვენებია ყოველ კაპიტალისტურ ქვეყანაში (და რუსეთშიც) არა მარტო მეცნიერული ეკონომიკური ანალიზით, არამედ ყ ვ ე ლ ა ქვეყნის მთელი უახლესი ისტორიის პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი გ ა მ ო ც დ ი ლ ე ბ ი თ ა ც, ევროპის ყ ვ ე ლ ა რევოლუციის გამოცდილებით მეთვრამეტე საუკუნიდან დაწყებული, რუსეთის ო რ ი, 1905 და 1917 წლების, რევოლუციის გამოცდილებით"[2].

ამრიგად, წვრილი ბურჟუაზია კაპიტალისტური საზოგადოების ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილია, მაგრამ ნაწილი მეტად თავი-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 26 (მეოთხე გამოცემა), გვ. 97.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 26, გვ. 132—133.

სებური. მას ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის შუალედური მდგომარეობა უკავია. იგი აერთიანებს გლეხობას, საშუალო ქალაქურ ფენებს ანუ წვრილ მწარმოებლებს — ხელოსნებსა და ვაჭრებს, მომსახურე პერსონალსა და წვრილ მოხელეობას, თავისუფალი პროფესიის ადამიანებს — ინტელიგენციას. რამდენადაც მრავალწყობიანია საზოგადოება, იმდენად უფრო ფართოა წვრილი ბურჟუაზიის არეალი. ამასთან იგი მუდმივი დუღილის პროცესშია, ხასიათდება ერთი სოციალური ფენიდან მეორეში გადანაცვლებით. მისი მთავარი დამახასიათებელი თვისებაა ორმაგობა, მშრომელისა და მესაკუთრის თვისებათა განუყოფელი გადახლართვა. კ. მარქსი წვრილ ბურჟუაზიას „კარტოფილით სავსე ტომარას"[1] უწოდებდა, რითაც ხაზს უსვამდა ამ კლასის მთავარ სპეციფიკას — მის არაკომპაქტურობასა და ინდივიდუალიზმს, ფილისტეოულ არსს. შუალედური მდგომარეობის გამო მუდმივი მერყეობა შემაპირობებელია წვრილი ბურჟუაზიის ორსახოვნობისა. ერთის მხრივ, როგორც მშრომელი, იგი პროლეტარულ და დემოკრატიულ მისწრაფებათა მატარებელია, მაგრამ, მეორეს მხრივ, როგორც მესაკუთრე, — რეაქციულ კლასებთან კავშირისკენ ესწრაფვის. ძნელია წვრილი ბურჟუაზიისათვის დამახასიათებელი ამ ორი ასპექტის ერთმანეთისაგან განცალკევება, თუმცა ისტორიის გამოცდილება ცხადყოფს, რომ რაც უფრო იზრდება კაპიტალისტური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი წინააღმდეგობანი, წვრილი ბურჟუაზია მით უფრო მეტად განიცდის პროლეტარული მსოფლმხედველობის გამომაფხიზლებელ გავლენას, რაც წინა პლანზე აყენებს მისი ორმაგი იდეოლოგიის ე. წ. „შრომით" ნაწილს[2]. კაპიტალისტურ საზოგადოებას წითელ ზოლად გასდევს წვრილი ბურჟუაზიისათვის ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის ურთიერთ ბრძოლა ეკონომიკურ, პოლიტიკურ, იდეოლოგიურ და კულტურულ სფეროებში. ამ ბრძოლაში გამარჯვების ერთ-ერთი მთავარი შემაპირობებელი კომპონენტი სახელმწიფო ხელისუფლებაა. XIX საუკუნის ევროპის პოლიტიკური ისტორია მოწმობს, რომ იქ წვრილი ბურჟუაზია ძირითადად ბურჟუაზიას მიჰყვებოდა. რუსეთში XX საუკუნის დამდეგიდან, ე. ი. იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციის ეპოქაში წვრილი ბურჟუაზია იხრებოდა პროლეტარიატთან კავშირისაკენ. წვრილი ბურჟუაზიის ასეთი პოზიციის შემაპირობებელი იყო რუსეთის

---

1 კ. მარქსი. 18 ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა. К. Маркс, Ф. Энгельс, соч., т. 8. с. 208.

2 А. И. Левковский. Мелкая буржуазия облик и судьбы класса. М., 1978, с. 26.

თვითმპყრობელური რეჟიმი, სამხედრო-ფეოდალური იმპერიალიზმი, რომელიც განსაკუთრებით სულისშემხუთველი იყო წვრილი ბურჟუაზიისათვის და განაპირობებდა მის გაჩანაგებას, პერმანენტულ სიღარიბეს და უუფლებობას. ქართულ სინამდვილეში კი წვრილ ბურჟუაზიას მისი ორმაგი ჩაგვრის პირობებში, ჩვენი აზრით, უფრო მეტად ატყვია ლტოლვა პროლეტარული იდეოლოგიისაკენ და აქ ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს ეროვნული საკითხი წარმოადგენს.

წვრილი ბურჟუაზიის გადმობირებისათვის ბრძოლა ხანგრძლივი, რთული პროცესია. ამ პროცესში წამყვან როლს ასრულებს ნელი, ვითარებასთან უნარიანად შეხამებული პროპაგანდა, რათა მიღწეულ იქნას წვრილი ბურჟუაზიის გამოფხიზლება, მის ცრურწმენებზე მისივე გონიერების გამარჯვება.

რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ და სოციალისტურ რევოლუციებში წვრილი ბურჟუაზია ძირითადი კლასობრივი მოკავშირე იყო პროლეტარიატისა. აანალიზებდა რა სოციალ-დემოკრატების წინაშე მდგომ ამოცანებს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გარიჟრაჟზე, ვ. ი. ლენინი ხაზს უსვამდა, რომ „დემოკრატიულ, პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ბრძოლაში რუსეთის მუშათა კლასი განმარტოებული არ არის; აქ მის გვერდით დგებიან ყველა პოლიტიკურად ოპოზიციური ელემენტები, მოსახლეობის ფენები და კლასები, რამდენადაც ისინი მტრულად არიან განწყობილნი აბსოლუტიზმისადმი და ებრძვიან მას ამა თუ იმ სახით. პროლეტარიატის გ ვ ე რ დ ი თ აქ დგანან ბურჟუაზიის ან განათლებული კლასების, ან წვრილი ბურჟუაზიის, ან აბსოლუტიზმის მიერ დეევნილ ეროვნებათა, ან რელიგიებისა და სექტების და სხვათა და სხვათა ოპოზიციურად განწყობილი ელემენტები"[1].

რამდენადაც კაპიტალისტური საზოგადოების ძირითადი კლასები ერთმანეთის მიმართ ანტაგონისტურად განწყობილი ბურჟუაზია და პროლეტარიატია, ისტორიკოსთა ყურადღება უპირატესად ამ კლასების იდეოლოგიის შესწავლისადმია გამახვილებული. ამ შემთხვევაში ხშირად შეუმჩნეველი ხდება წვრილი ბურჟუაზია, როგორც კლასი და როგორც აქტიური მონაწილე ბურჟუაზიულ-დემოკრატიული და სოციალისტური გარდაქმნების ხანგრძლივი პროცესისა. ვ. ი. ლენინი კაპიტალისტურ რუსეთში, როგორც აღვნიშნეთ, გამოყოფდა რა სამ ძირითად ძალას — ბურჟუაზიას, წვრილბურჟუაზიას და პროლეტარიატს, მენშევიკებსა და ესერებს უსაყვედურებდა ამ მეორე ძალის — წვრილი

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ. თხზ., ტ. 2, გვ. 409.

ბურჟუაზიის შეუფასებლობას: „პირველსა და მესამეზე ყველა ლაპარაკობს, მათ ყველა აღიარებს. მეორე — ესე იგი უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ა რიცხვობრივად! — არა სერთ ფხიზლად შეაფასონ არც ეკონომიკური, არც პოლიტიკური და არც სამხედრო თვალსაზრისით"[1]. ეს ნაკლი მთლიანად ჯერაც არ დაუძლევია საბჭოურ ისტორიოგრაფიას. საქართველოში კი დღემდე ერთი ნარკვევიც არ არსებობს წვრილბურჟუაზიული კლასის არსისა და ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ და სოციალისტურ რევოლუციებში მისი როლის შესახებ. ყურადღების გარეშეა ქალაქური საშუალო ფენების ფორმირების, დემოკრატიულ მოძრაობაში მათი პოზიციისა და როლის საკითხები. ამ საკითხების განზე დატოვება კი აფერმკრთალებს მშრომელი და ექსპლუატირებული მასების რევოლუციური პრძოლის პროცესს, მეორე მხრივ — აუხსნელს ტოვებს საფუძვლებს იმ სპეციფიკისა, რაც ჩვენში დემოკრატიულ და სოციალისტურ მოძრაობას, მის იდეურ პოზიციას ახასიათებდა განვითარების სხვადასხვა ეტაპზე.

წვრილი ბურჟუაზიის როლი ანტირეჟიმულ მოძრაობაში სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირია. რევოლუციამდელ რუსეთში წვრილი ბურჟუაზია, შეადგენდა რა მოსახლეობის ძირითად ნაწილს, ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში, ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ და სოციალისტურ რევოლუციებში ყოველთვის მერყეობდა ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის, მაგრამ წარმოადგენდა იმ ვეებერთელა სარეზერვო არმიას, რომლის გამოუყენებლად შეუძლებელი იყო ამ რევოლუციებში წარმატება. ვ. ი. ლენინი რუსეთს უწოდებდა ყველაზე უფრო მეშჩანურ ქვეყანას და ამით ხსნიდა მარქსიზმის საზოგადოებრივ მიმდინარეობად გადაქცევისას მასში ინტელიგენტური წვრილბურჟუაზიული ოპორტუნიზმის (ჯერ ეკონომიზმის და ლეგალური მარქსიზმის, ხოლო შემდეგ მენშევიზმის) გავრცელებას, მაგრამ ვ. ი. ლენინი ამასთან იმედოვნებდა, რომ ბოლშევიკურ პარტიას შეეძლო მოქნილი, ვითარებასთან შესაბამისი ტაქტიკის გამოყენებით გაეყოლებინა წვრილბურჟუაზიის დიდი არმია არა მარტო თვითმპყრობელობის ბურჯების დამსხვრევისათვის ბრძოლაში, არამედ სოციალისტურ რევოლუციასა და ახალი ქვეყნის მშენებლობაში.

წვრილი ბურჟუაზიის ძირითადი ბასტიონი სოფელი და მცირე ქალაქებია, მაგრამ ხშირ შემთხვევაში მას დიდ ქალაქებშიც დომინანტური მდგომარეობა უკავია.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა მოსკოვში „ვაჭრული ელემენტის" სიძლი-

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 25, გვ. 239.

ერეს: „მოსკოვი რომ პიტერზე უფრო წვრილბურჟუაზიულია, ეს საყოველთაოდ ცნობილია. მოსკოვის პროლეტარიატს რომ გაცილებით მეტი კავშირი აქვს სოფელთან, მეტი სიმპათიები აქვს სოფლისადმი, ის რომ უფრო დაახლოებულია სოფლის გლეხურ განწყობილებასთან,— ეს ფაქტია, მრავალგზის დადასტურებული და უდავო"[1], — მიუთითებდა ვ. ი. ლენინი.

ქალაქის სოციალური შემადგენლობის განსაზღვრისადმი ლენინური მიდგომა რევოლუციამდელ თბილისს ტიპიურ წვრილბურჟუაზიულ ქალაქად წარმოგვიდგენს. 1910 წ. ი. ბ. სტალინი ცნობილ სტატიაში „წერილები კავკასიიდან" თბილისს — კავკასიის ადმინისტრაციულ-საეკლესიო და კულტურულ ცენტრს — უპირისპირებდა რა ბაქოს, როგორც ნავთობის მრეწველობის ცენტრს, მიუთითებდა მის გამოკვეთილ წვრილბურჟუაზიულობაზე. „თბილისში სულ 20 ათასამდე სამრეწველო მუშაა, ე. ი. ნაკლები, ვიდრე ჟარისკაცები და პოლიციელები, ეროვნულ-ერთი დიდი საწარმოა რკინიგზის სახელოსნოები (3500-მდე მუშა). დანარჩენ საწარმოებში თითოში 200-100, მეტწილად კი 40-20 კაცია, სამაგიეროდ თბილისი პირდაპირ სავსეა საეკლესიო დაწესებულებებით და მათთან დაკავშირებული „საეკლესიო პროლეტარიატით". რუსეთის მუდამ ცოცხალი და მოუსვენარი დიდი ბაზრებისაგან სუსტი დამოკიდებულება თბილისს უმოძრაობის დალს ასვამს. ის გარემოება კი, რომ აქ ადგილი არა აქვს მწვავე კლასობრივ შეჯახებებს, რაც მხოლოდ მსხვილი სამრეწველო ცენტრების დამახასიათებელია, თბილისს იმ ჭაობს აგონებს, რომელიც ბიძგს გარედან ელოდება"[2].

თბილისის მოსახლეობის ზრდა XIX ს. 60—70-იანი წლების ბურჟუაზიული რეფორმების შემდეგ უპირატესად სოფლის ხარჯზე მიმდინარეობდა. მოსახლეობის სოციალური შემადგენლობა ჭრელი და არამყარი იყო, 1908—1914 წლებში თბილისში მცხოვრებთა რიცხვი 234 ათასიდან 344 ათასამდე გაიზარდა. მაგრამ ეს ზრდა, ისე როგორც ადრეულ პერიოდში, სოფლებიდან სამუშაოს საძებნელად დაძრული ელემენტების ხარჯზე მიმდინარეობდა. სოფლის „მიგრანტთა" უმნიშვნელო ნაწილი თუ ახერხებდა შემოსავლიანი სამუშაოს შოვნას და ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობების შექმნას. უდიდესი უმრავლესობა დღიურ სამუშაოთი ირჩენდა თავს, ან მომსახურების სფეროში იყო დასაქმებული. თბილისში XX ს. დამდეგიდან, მართალია, თანდათან

---

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 26, გვ. 77.

[2] ი. სტალინი. თხზ., ტ. 2, გვ. 200.

ძლავრად იკიდებდა ფეხს კაპიტალისტური მრეწველობა, მაგრამ წვრილი ხელოსნური წარმოება მაინც დომინანტობდა. 1912 წლისათვის თბილისში აღრიცხული იყო 8 890 ხელოსანი (ოსტატი, ქარგალი, შეგირდი), ერთპიროვნულ კერძომრეწველურ საწარმოებში, ვაჭრობის, კრედიტის, ტრანსპორტის დაწესებულებებში 1900 წლისათვის 15.700 კაცი იყო დასაქმებული. საფაბრიკო წარმოების განვითარებასთან დაკავშირებით ხელოსნური წარმოება და წვრილი ვაჭრობა გაჩანაგებას განიცდიდა და ბევრი გუშინდელი მესაკუთრე ლუმპენის ფენაში ინაცვლებდა. წვრილი ვაჭრები, ხელოსნები, დღიური მუშები, მომსახურე პერსონალი, წვრილი მოხელეობა. შემოქმედებითი ინტელიგენცია — ყველა ერთად შეადგენდა იმ წვრილბურჟუაზიულ კლასს, რომელიც რევოლუციამდელი თბილისის სახეს, მის სოციალურ ფიზიონომიას განსაზღვრავდა და ტონს აძლევდა. ეს „კლასი", რა თქმა უნდა, არ იყო კომპაქტური სოციალური ერთეული, იგი სხვადასხვა ფენისაგან შედგებოდა და მუდმივ დენადობას — ერთი ფენიდან მეორეში გადანაცვლების განუწყვეტელ პროცესს განიცდიდა. ამიტომ ამ „კლასის" ფსიქოლოგიაც, იდეური მისწრაფებანიც მუდამ ორეროვნი, იქვნეული, ცვალებადი, ადვილად ამყოლი და ამასთან გაუბედავი იყო. არც ის უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ თბილისის მუშათა კლასი, რომელიც ძირითადად ქართული სოფლებიდან ჩამოსული გუშინდელი გლეხებისაგან შედგებოდა, თავისი მისწრაფებით, მუდმივი საცხოვრებლით -სევ სოფელთან იყო დაკავშირებული. მისი განწყობილება წვრილი მესაკუთრის ჩარჩოებს არ სცილდებოდა. მის საბოლოო მიზანს ქალაქში ფულის შოვნა და სოფლად გაჩანაგებული მეურნეობის აღდგენა შეადგენდა. თბილისთან შედარებით კიდევ უფრო წვრილბურჟუაზიული იყო საქართველოს მეორე საგუბერნიო ქალაქი — ქუთაისი და საბაზრო ქალაქები.

თუ იმასაც დავუმატებთ, რომ წვრილი ბურჟუაზიის მთავარი ბასტიონი მაინც სოფელია, წარმოგვიდგება ყველაზე მრავალრიცხოვანი, მართალია, არაკომპაქტური და მერყევი, მაგრამ ძალზე ძლიერი და საზოგადოებრივი ცხოვრებისა და მოძრაობის ტონის მიმცემი ეებერთელა მასა, მასა მშრომელი და ჩაგრული მოსახლეობისა, რომელიც მთლიანად, მისი მრავალფენიანობის მიუხედავად, ერთ კლასობრივ ერთეულს ქმნიდა. ამ ეებერთელა მასისათვის ანგარიშგაუწეველობა შეუძლებელია. ამიტომ შეცდომაა, ვინც ჩვენში საზოგადოებრივი მოძრაობის ისტორიის შესწავლას, ფაქტებისა და მოვლენების ანალიზს რუსეთის სამრეწველო ცენტრის საზოგადოებრივი მოძრაობის თარ-

გზე აკეთებს და რევოლუციური მოძრაობის ერთ ბანაკში ხედავს მხოლოდ პროლეტარიატს, საწინააღმდეგო ბანაკში გაბატონებულ კლასს (ბურჟუაზიას) და დეგრადაციის გზაზე მდგარ თავადაზნაურობას. ვ. ი. ლენინი, რომელიც ღრმად იყო ჩახედული ქართველი ხალხის სოციალური ცხოვრების თავისებურებაში, განსაკუთრებით მისი წვრილბურჟუაზიული მასის სიმრავლეში, საგანგებოდ აფრთხილებდა ქართველ კომუნისტებს თავი აერიდებინათ რუსული შაბლონისათვის და მოქნილად და მოხერხებულად გამოეყენებინათ „თავისებური ტაქტიკა" რევოლუციურ ბრძოლასა და ახალი ცხოვრების მშენებლობაში[1].

რევოლუციამდელი საქართველოს დემოკრატიული ინტელიგენცია წვრილბურჟუაზიის სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი იყო. სოციალური წარმომავლობითა და კლასობრივი შეგნებით იგი გლეხობასთან, სამღვდელოებასთან, წვრილ ვაჭრებსა და ხელოსნებთან იყო დაკავშირებული, მათი ფსიქოლოგია, იდეები და განწყობილებები სულსა და გულში ჰქონდა გამჯდარი. მართალია, დემოკრატიული ინტელიგენციის შემადგენლობაში თავადური ან აზნაურული წარმომავლობის ადამიანებიც ერივნენ, მაგრამ ამ კლასებთან ისინი უფრო მათი წარმოშობით იყვნენ დაკავშირებული, ვიდრე სოციალური მდგომარეობით, იდეებითა და განწყობილებებით.

წვრილი ბურჟუაზია ერის ტრადიციებისა და სულისკვეთების ყველაზე ერთგული მატარებელია. იგი ყოველივე ხალხურის, ეროვნულის წყაროა და დამცველია, მაგრამ განსაკუთრებული გარჩევის გარეშე. მასშია ყოველივე დიადი და მშვენიერი (სიმღერები, ფოლკლორი, ტანსაცმელი, არქიტექტურა, ყოველივე საუკეთესო ეროვნული ხასიათისა და ა. შ.), მაგრამ მასშივეა მდაბალიც და საზიზღარიც (ბნელეთის მოციქულობა, ცრურწმენანი, ფანატიზმი, შეზღუდულობა და ა. შ.)[2]. ამიტომ წვრილი ბურჟუაზიის იდეოლოგია არსებითად ყოველთვის, ყველა ქვეყანაში ეკლექტური და გაორებულია. თუმცა კონკრეტულ ქვეყანაში ან კონკრეტულ სიტუაციაში წინ წამოიწევა ხოლმე ამ ორი საპირისპირო ბუნებიდან ხან ერთი, ხან მეორე მხარე. ყველა კონკრეტულ შემთხვევაში წვრილბურჟუაზიული კლასის იდეოლოგია, რომელსაც დემოკრატიული ინტელიგენცია განასახიერებს, მისი კონკრეტული სოციალური მდგომარეობით არის შეპირობებული.

---

1 ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 32, გვ. 189, 190.

2 А. И. Левковский. Мелкая буржуазия облик и судьбы класса, с. 24.

ვ. ი. ლენინი ხაზს უსვამს მეტროპოლიის ბურჟუაზიის იდეოლოგიასთან შედარებით კოლონიური ქვეყნის ბურჟუაზიის მეტ დემოკრატიზმს. ეს „მეტი დემოკრატიზმი“ კოლონიური ქვეყნის წვრილბურჟუაზიულ მასასაც შეეხება. კოლონიური ქვეყნის წვრილი ბურჟუაზიის სოციალურ ჩაგვრას კოლონიური ჩაგვრაც თან ერთვის. ეს ორმაგი ჩაგვრა კი მას არსებული რეჟიმისადმი სიძულვილით განაწყობს და განსაკუთრებით ააქტიურებს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. საქართველოს წვრილბურჟუაზიული მასა, როგორც ცნობილია, განიცდიდა არა მარტო ქართველი მემამულეებისა და კაპიტალისტების ჩაგვრას, არამედ მეტროპოლიის მწვავე კოლონიური რეჟიმის სულისშემხუთველ სიმძიმეს, რომელიც მას გასაქანს არ აძლევდა. ქართველი წვრილი ბურჟუაზია სომხური კაპიტალის ბადეშიც იყო გახლართული. თბილისში მომძლავრებული სომხური სამრეწველო ბურჟუაზია ზღუდავდა მისი საქმიანობის არეალს, სომხური სავაჭრო კაპიტალი საქართველოს სოფლებში გლეხურ მეურნეობებსაც აჩანაგებდა. ამიტომ წვრილბურჟუაზიასა და მისი ინტერესების ამსახველ დემოკრატიულ ინტელიგენციას სოციალურთან ერთად მუდამ აწუხებდა ეროვნული საკითხიც. ეროვნული ჩაგვრის სიმძიმეს ყველაზე მეტად მაინც ინტელიგენცია განიცდიდა, რადგან რუსულ ბიუროკრატულ სამოხელეო აპარატში მისთვის კარები მცირედის გამოკლებით მუდამ დახშული იყო, ხოლო შემოქმედებითი ინტელიგენცია ცარიზმის მწვავე რუსიფიკატორულ პოლიტიკაში თავისი ქვეყნის ეროვნული ენის, ტრადიციების, კულტურის ხელყოფას ხედავდა. ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს და ბუნებრივადაც უნდა მივიჩნიოთ, რომ წვრილბურჟუაზიული პარტიების საბრძოლო პროგრამაში, ეროვნული საკითხი მუდამ წინა პლანზე იყო წამოწეული.

საქართველოს წვრილბურჟუაზიული მასის ჩაგვრის ეს ორმაგი უღელი განმაპირობებელი იყო მისი პოლიტიკური აქტივობისა. იგი მთელი არსებით თანაუგრძნობდა იმ ძალას, პოლიტიკურ მიმდინარეობას თუ პარტიას, რომელიც მას რუსეთის თვითმპყრობელური რეჟიმის დამხობისაკენ მოუწოდებდა და აღუთქვამდა სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან ერთდროულად განთავისუფლებას. ამით იყო განპირობებული ის მაღალი საბრძოლო აქტივობა, რითაც რუსეთის პირველ რევოლუციაში საქართველო, განსაკუთრებით მისი სოფელი გამოირჩეოდა ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, საქართველოში წვრილბურჟუაზიული მასა უფრო გაბედულად მოკავშირეობდა საქართვე-

ლოს პროლეტარიატს, ვიდრე ვთქვათ რუსეთის იმპერიის სამრეწველო ცენტრებში, სადაც წვრილბურჟუაზიას ეროვნული საკითხი საერთოდ არ აწუხებდა. რა თქმა უნდა, საქართველოს წვრილბურჟუაზიულ მასას, ისე როგორც რუსეთისას, სამივე რევოლუციაში ახასიათებდა, როგორც ითქვა, მერყეობა და შიში მკვეთრი რევოლუციური შემობრუნებისადმი, მაგრამ საერთო ჯამში იგი მაინც რევოლუციის ბანაკში იყო და ბურჟუაზიულ-მემამულურ კონტრრევოლუციას უპირისპირდებოდა. ამ საზომით უნდა მივუდგეთ რევოლუციამდელ საქართველოში წვრილბურჟუაზიული პარტიების საქმიანობის შესწავლას და მაშინ თვალწინ წარმოგვიდგება ის ვეებერთელა პოზიტიური როლი, რაც მათ რევოლუციაში შეასრულეს. ამის აღიარება, ცხადია, არ გამორიცხავს წვრილბურჟუაზიული პარტიების ეკლექტური, უტოპიური, ილუზიური პროგრამების კრიტიკას, საქართველოს ბოლშევიკები ხშირ შემთხვევაში ვერ ითვალისწინებდნენ წვრილი ბურჟუაზიის, როგორც რევოლუციის დიდი სარეზერვო არმიის, მნიშვნელობას და სამრეწველო ცენტრებიდან აღებული თარგით უფრო მეტ ენერგიას ანდომებდნენ მათ იზოლაციას, ვიდრე გადმობირებას. მთავარი მაინც ის იყო, რომ ბოლშევიკები რევოლუციის მკვეთრ მოსახვევებში ზოგჯერ მთელი სიღრმით ვერ წვდებოდნენ წვრილი ბურჟუაზიის ეროვნულ ტკივილებს. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული და სოციალისტური რევოლუციების გამარჯვებისათვის ბრძოლებში ბოლშევიკები საქართველოში უდაოდ წარმატებით იმარჯვებდნენ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშას და ეს მძლავრი იდეური იარაღი ყოველთვის იყო ერთერთი მთავარი წყარო გამარჯვებისა. მაგრამ ინტერნაციონალურის ეროვნულთან შეხამება, რაც ლენინური ეროვნული პოლიტიკის საფუძველთა საფუძველია, ზოგ შემთხვევაში დიალექტიკური მთლიანობით ყოველთვის გააზრებული არ ყოფილა და ვერ ხორციელდებოდა, საჭირო ზომიერება ეროვნულის ანგარიშგაწევისათვის ყოველთვის დაცული არ ყოფილა. ამას კი წვრილბურჟუაზიული მასა აღიქვამდა, როგორც ეროვნულ ნიჰილიზმს და ეს ნიჰილიზმი ერთგვარად ანელებდა პროლეტარიატის რიგებში წვრილბურჟუაზიული მასების ლტოლვის სიცხოველეს.

ეს მეთოდოლოგიური წანაძღვრები უდევს საფუძვლად წინამდებარე მონოგრაფიაში რუსეთის სამი რევოლუციის მანძილზე საქართველოს დემოკრატიული ინტელიგენციის პოზიციის ანალიზს, მათი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის შეფასებას.

* * *

ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ განმათავისუფლებელი ბრძოლის მატიანეში დემოკრატიულ ინტელიგენციას საერთოდ ბრწყინვალე ფურცლები აქვს ჩაწერილი. სტუდენტები, მასწავლებლები, ექიმები, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები, წვრილი მოხელეობა, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი აქტიურად მონაწილეობდნენ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ არა მარტო გაფიცვებში, არამედ პოლიტიკურ დემონსტრაციებსა და საბარიკადო ბრძოლებში. სტუდენტობის მგზნებარე პოლიტიკური გამოსვლები შიშის ზარს სცემდა ცარიზმს, მოწინავე პროფესორები უნივერსიტეტების კათედრებიდან გაბედულად ამხელდნენ თვითმპყრობელური რეჟიმის დრომოჭმულობას; მწერლები, თეატრის მოღვაწენი თავიანთი შემოქმედებით აფხიზლებდნენ მასებს და აღვივებდნენ მათ რევოლუციურ სულისკვეთებას, ნერგავდნენ პროგრესისა და თავისუფლების საქმისათვის შემართებისა და გმირული თავგანწირვის განწყობილებას. რუსეთის სამი რევოლუციის ისტორიაში მოწიწებით მოიხსენიება მ. გორკისა და ვლ. მაიაკოვსკის, ა. სერაფიმოვიჩისა და ვ. კოროლენკოს, ა. ბლოკისა და მ. კოციუბინსკის, ნ. რიმსკი-კორსაკოვისა და ს. რახმანინოვის, მ. ერმოლოვასა და ალ. სუმბათაშვილ-იუჟინის, პ. ტიმირიაზევისა და კ. ბეხტერევის, ნ. ჟუკოვსკისა და ი. პავლოვის, ი. მიჩურინისა და მ. პოკროვსკის სახელები.

დემოკრატიულ ინტელიგენციაზე, როგორც ბურჟუაზიულ-დემოკრატიული და სოციალისტური რევოლუციების პერიოდში პროლეტარიატის მოკავშირეზე, საკმაოდაა დაწერილი, ლ. კ. ერმანის, ა. ვ. უშაკოვის, ს. ა. ფედიუკინის, ლ. ბ. მოსკვინის და სხვ. შრომებში.[1] გარკვეულია ინტელიგენციის შესახებ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების არსებითი საკითხები, გადმოცემულია 1905—1907 წლებისა და 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციებში, დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციაში დემოკრატიული ინტელიგენციის როლი, მისი აქტიური მონაწილეობა ცარიზმისა და კაპიტალიზმის დამხობაში.

---

[1] Л. К. Ерман. В. И. Ленин о роли интеллигенции в демократических революциях, в строительстве социализма и коммунизма, М., 1970; მისივე, Интеллигенция в первой русской революции. М., 1966; А. В. Ушаков. Революционное движение демократической интеллигенции в России (1895—1904). М., 1976; С. А. Федюкин. Великий Октябрь и интеллигенция. М., 1972; მისივე, Советская власть и буржуазная интеллигенция. М., 1965; Л. В. Москвин. Рабочий класс и его союзники. М., 1977.

დემოკრატიული ინტელიგენცია დიდ როლს ასრულებდა ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, რომელიც XIX ს. 90-იანი წლებიდან 1921 წლამდე რუსეთის მუშათა კლასის ჰეგემონობით მიმდინარეობდა. ეყრდნობოდა რა ტრადიციებს, რომელიც XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან თერგდალეულებმა შექმნეს, ახალ ვითარებაში, დემოკრატიული ინტელიგენციის ბრძოლა მუშათა რევოლუციური მოძრაობის აქტიურობის ზრდასთან დაკავშირებით უფრო მასობრივი ხასიათითა და მზარდი ძლიერებით გამოირჩეოდა. ქართველი სტუდენტი ახალგაზრდობა აქტიური მონაწილე იყო 1905—1907 წლების მღელვარე დღეებისა. იგი ასევე გაბედულად იბრძოდა ცარიზმის წინააღმდეგ რეაქციისა და რევოლუციური აღმავლობის წლებში, ებრძოდა იმ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ რეჟიმს, რომელიც ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ საქართველოში მენშევიკებმა დაამყარეს. ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის აქტიური მონაწილენი იყვნენ საშუალო სკოლის მოსწავლეები, მასწავლებლობა. ხალხის რევოლუციური შემართების საქმეში დიდი როლი შეასრულა საქართველოს შემოქმედებითმა ინტელიგენციამ. მწერლები, თეატრის მოღვაწენი მუშებისა და გლეხების მხარდამხარ მონაწილეობდნენ შეიარაღებულ ბრძოლებში. მათი მგზნებარე სიტყვა პრესაში და სცენაზე აღანთებდა მებრძოლთა გულებს საგმირო საქმეებისათვის. რევოლუციის მხარეზე იყვნენ დიდი ილია და აკაკი, ვაჟა-ფშაველა და ი. გოგებაშვილი. ივანე ჯავახიშვილი მეცნიერულ დასაბუთებას აძლევდა საქართველოს მშრომელი მასების რევოლუციური შემართების კანონზომიერებას. თერგდალეულთა ტრადიციებზე აღზრდილი ახალი თაობის წარმომადგენლები — იროდიონ ევდოშვილი, შიო არაგვისპირელი, დავით კლდიაშვილი, თედო სახოკია, მიხეილ ჯავახიშვილი, ჭოლა ლომთათიძე, ვარლამ რუხაძე, ივანე გომართელი, იოსებ გედევანიშვილი, სანდრო შანშიაშვილი და მრავალი სხვ. მშრომელი მასების მხარდამხარ იდგნენ. ქართული თეატრის კორიფეები — ლადო მესხიშვილი, ვასო აბაშიძე, ვალერიან გუნია, კოტე მესხი, ელისაბედ ჩერქეზიშვილი, მარიამ საფაროვა-აბაშიძისა და სხვ. სცენიდან აღვივებდნენ საბრძოლო განწყობილებას. მუშათა კლასისა და გლეხობის მაღალ საბრძოლო აქტივობასთან ერთად დემოკრატიული ინტელიგენციის მასობრივმა მხარდაჭერამაც განაპირობა ის ავანგარდული პოზიცია, რომელიც პირველი სახალხო რევოლუციის მთელ მანძილზე ეკავა საქართველოს მთელ იმპერიაში.

დანანებით უნდა ითქვას, რომ იმპერიალიზმისა და პროლეტარული

რევოლუციის ეპოქაში დემოკრატიული ინტელიგენციის რევოლუციური მოღვაწეობა ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში სათანადოდ ვერ არის გაშუქებული. ქართველი ავტორებიდან შეგვიძლია მივუთითოთ ამ საკითხისადმი მიძღვნილ მხოლოდ ორიოდ შრომაზე: ვ. ონიანი თავის ნაშრომში[1] აქა-იქ გაკვრით წარმოგვიდგენს ქართულ მასალებს და ამასთან, დემოკრატიული ინტელიგენციის რევოლუციური ბრძოლის პატარა მონაკვეთს შეეხება. პროფ. ერასტი ახობაძის ნაშრომი „ქართველი დემოკრატიული ინტელიგენცია და რევოლუციური მოძრაობა საქართველოში"[2] 1901—1907 წლებს ეძღვნება, მაგრამ აქ ყურადღება გამახვილებულია წვრილბურჟუაზიული პარტიების წინააღმდეგ საქართველოს ბოლშევიკების შეურიგებელ ბრძოლაზე და ქართველი დემოკრატიული ინტელიგენციის პოზიტიური რევოლუციური საქმიანობა სათანადო სისრულით ვერაა წარმოდგენილი. ეროვნულ საკითხს საქართველოში ეძღვნება პროფ. ა. ბენდიანიშვილის საყურადღებო გამოკვლევა, სადაც კარგადაა ნაჩვენები წვრილბურჟუაზიული პარტიების პოზიცია სამ რევოლუციაში[3].

აღსანიშნავია ერთი გარემოებაც: ისტორიულ-პარტიული ლიტერატურის სპეციალისტთა კელევითი საქმიანობა საქართველოში თავიდანვე წარიმართა წვრილბურჟუაზიული და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების წინააღმდეგ ქართველი ბოლშევიკების სამართლიანი და შეუპოვარი ბრძოლის შესწავლის მიმართულებით. ასეთი დანიშნულების ნარკვევებში ყურადღება, ბუნებრივია, გამახვილდა იმ მოლიბერალო-ნაციონალისტური შეხედულებების წინააღმდეგ ბრძოლაზე, რაც, უდავო ფაქტია, ქართველი ინტელიგენციის ერთ ნაწილში იყო ფეხმოკიდებული. მაგრამ, დაიჩრდილა ის ჯანსაღი ტენდენცია, რომელიც დემოკრატიულ ინტელიგენციას საქართველოს მუშათა კლასის, როგორც რევოლუციის ჰეგემონის მხარეზე სამოღვაწეოდ ეწეოდა. ხოლო დემოკრატიული ინტელიგენციის, როგორც რევოლუციაში პროლეტარიატის მოკავშირის როლის შეუფასებლობა, საერთოდ, აფერმკრთალებს და აღარიბებს XX საუკუნის პირველი ოცწლეულის საქართველოს ისტორიას.

---

[1] ვ. ონიანი. რუსეთის დემოკრატიული ინტელიგენცია XIX საუკუნის დამლევს და XX ს. დამდეგს, თბილისი, 1960.

[2] ერასტი ახობაძე. ქართველი დემოკრატიული ინტელიგენცია და რევოლუციური მოძრაობა საქართველოში, თბილისი, 1977.

[3] ა. ბენდიანიშვილი, ეროვნული საკითხი საქართველოში (1881—1921), თბ., 1980.

* * *

პროლეტარულ რევოლუციაში დემოკრატიული ინტელიგენციის, როგორც მუშათა კლასის მოკავშირის, როლის თეორიული დამუშავება ვ. ი. ლენინს ეკუთვნის. კ. მარქსის მოძღვრება პროლეტარიატის მოკავშირეების შესახებ ვ. ი. ლენინმა შემოქმედებითად განავითარა და ახალ საფეხურზე აიყვანა იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციის ეპოქის საერთაშორისო მუშათა მოძრაობის პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე.

ვ. ი. ლენინმა მოგვცა ინტელიგენციის სრულყოფილი განმარტება და დახასიათება. ინტელიგენციად იგი თვლიდა განათლებულ ადამიანებს, „საერთოდ თავისუფალი პროფესიის წარმომადგენლებს, გონებრივი შრომის წარმომადგენლებს (brain worker, როგორც ინგლისელები ამბობენ) ფიზიკური შრომის წარმომადგენელთაგან განსხვავებით"[1]. ინტელიგენცია ვ. ი. ლენინს მიაჩნდა კაპიტალისტური საზოგადოების არა დამოუკიდებელ სოციალურ ერთეულად, არა კლასად, არამედ საზოგადოებრივი კლასების შემადგენელ ნაწილად, ფენად, რომელიც ასახავს და ემსახურება თავისი კლასის ინტერესებს. ვ. ი. ლენინი თვლიდა, რომ ინტელიგენცია არ ასრულებს და ვერც შეასრულებს თავისთავად დამოუკიდებელ როლს რევოლუციაში, იგი „არ წარმოადგენს დამოუკიდებელ პოლიტიკურ ძალას" და უნარმოკლებულია დემოკრატიული რევოლუციის წინაშე მდგომი ამოცანები თვითონ გადაწყვიტოს.

ვ. ი. ლენინს მიაჩნდა, რომ რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის მთავარი ბირი მუშათა კლასს ეკისრებოდა. იგი იყო ძირითადი გადამწყვეტი ძალა რევოლუციურ ბრძოლაში. მაგრამ პროლეტარიატს ქვეყნის რევოლუციური გარდაქმნის ისტორიული მოწოდება უნდა განეხორციელებინა დემოკრატიულ ძალებთან კავშირში, რომლებიც აგრეთვე დაინტერესებული იყვნენ არსებული სოციალური უსამართლობისა და პოლიტიკური დესპოტიზმის მოსპობით. კაპიტალისტური სისტემის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისის ზრდის და ანტიმონოპოლისტური მოძრაობის აქტივიზაციის პირობებში იქმნებოდა წანამძღვრები ყველა დემოკრატიული ძალების პოლიტიკურ კავშირად გაერთიანებისათვის, კავშირად, რომელსაც შეეძლებოდა შეეზღუდა მონოპოლიების ძალაუფლება და განეხორციელებინა ისეთი ძი-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 7, გვ. 398.

რეული პოლიტიკური და ეკონომიკური გარდაქმნები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ შედარებით უკეთეს პირობებს სოციალიზმისათვის საბრძოლველად[1].

რუსეთის რევოლუციური მოძრაობის საწყის პერიოდშივე ვ. ი. ლენინი იძლეოდა დემოკრატიულ მოძრაობასთან მუშათა კლასის დამოკიდებულების განსაზღვრას. 1897 წ. გამოქვეყნებულ სტატიაში („რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ამოცანები") ვ. ი. ლენინი ხაზს უსვამდა, რომ მარქსისტები მხარს დაუჭერენ ყოველგვარ რევოლუციურ ბრძოლას არსებული საზოგადოებრივი წყობილების წინააღმდეგ. ეს პრაქტიკულად ნიშნავდა სხვა მიმართულების რევოლუციონერებთან რუსეთის სოციალ-დემოკრატიის კავშირის შესაძლებლობას და სასურველობას[2]. ლენინი მიუთითებდა, რომ მუშათა მოძრაობის თავისთავადობა აძლიერებდა დემოკრატიულ მოძრაობას, პოლიტიკური თავისუფლებისათვის ბრძოლას, რადგან მხოლოდ მუშათა კლასს შესწევს უნარი შოახდინოს საზოგადოებრივი წყობილების დემოკრატიზაციაო.

ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში პროლეტარიატის ძირითად ამოცანებს რომ აყალიბებდა, ვ. ი. ლენინი შენიშნავდა, რომ „პროლეტარიატმა ბოლომდე უნდა გაატაროს დემოკრატიული გადატრიალება, შეიერთოს გლეხობის მასა, რათა ძალით დათრგუნოს თვითმპყრობელობის წინააღმდეგობა და გააქარწყლოს ბურჟუაზიის მერყეობა. პროლეტარიატმა უნდა მოახდინოს სოციალისტური გადატრიალება, შეიერთოს მოსახლეობის ნახევრადპროლეტარული ელემენტების მასა, რათა ძალით გატეხოს ბურჟუაზიის წინააღმდეგობა და გააქარწყლოს გლეხობისა და წვრილი ბურჟუაზიის მერყეობა.

პირველი რევოლუციის წინ ლენინი გამსჭვალული იყო იმის ღრმა რწმენით, რომ დემოკრატიულ რევოლუციაში ინტელიგენცია გამოვიდოდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, რადგან თვითმპყრობელობის ინტერესები უპირისპირდებოდა საზოგადოების განვითარების ინტერესებს, საერთოდ ინტელიგენციის ინტერესებს. მაგრამ ინტელიგენციის ყველა ფენა როდი იყო სანდო ძალა რევოლუციაში. ინტელიგენციის მაღალი ფენა, მართალია, ცარიზმს ოპოზიციაში ედგა, მაგრამ მასების მზარდი პოლიტიკური მოძრაობის ვითარებაში ისევ ცარიზმში ხედავდა საიმედო დამცველ ძალას და, ცხადია, რევოლუციის მკვეთრ მო-

---

[1] Л. Б. Москвин. Рабочий класс и его союзники, с. 7.

[2] Н. Гусев. О политической линии большевиков по отношению к буржуазным партиям, с. 88.

ხვეულებში გასწირავდა დემოკრატიას ისევ ცარიზმისა და კაპიტალიზმის სასარგებლოდ. ბურჟუაზიული ინტელიგენცია ათასი ძაფით იყო დაკავშირებული მსხვილ ბურჟუაზიასთან და კმაყოფილდებოდა ლიბერალური რეფორმებით. ეს ინტელიგენცია ვერ იქნებოდა პროლეტარიატის მოკავშირე.

ინტელიგენციის ყველაზე მრავალრიცხოვან ფენას შეადგენდა სასალხო მასწავლებლები, საშუალო ტექნიკური და სამედიცინო პერსონალი, საეკლესიო-სამრევლო და სახელმწიფო დაბალი მოხელენი, ხელოვნების მუშაკნი და სხვ. ე. ი. ლენინი მათ ზოგჯერ „ნახევრადინტელიგენციას“ უწოდებდა, ინტელიგენციის ამ ფენას ულმობლად ჩაგრავდა ცარიზმიც, კაპიტალიზმიც. ნახევრად მშიერ ულუფაზე მყოფი ეს ინტელიგენცია განიცდიდა აგრეთვე უმოწყალო პოლიტიკურ ჩაგვრას, დამცირებას. იგი შებოჭილი იყო დესპოტურ-პოლიციური სახელმწიფოს არტაბებით და არ გააჩნდა გასაქანი და პერსპექტივა. რუსეთში კაპიტალიზმის განვითარების შედეგად იზრდებოდა ინტელიგენციის რაოდენობა, განსაკუთრებით წვრილბურჟუაზიულ-რადიკალური კლასებიდან გამოსული ადამიანების ხარჯზე (ე. წ. „მესამე ელემენტი“). წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის ცხოვრების პირობები აუტანელი იყო, მისი განწყობილება ანტიცარისტული. ვ. ი. ლენინი პარტიის ყურადღებას ამახვილებდა იმაზე, რომ „რუსეთში საზოგადოებრივი მღელვარება იზრდება მთელ ხალხში, ყველა მის კლასში და ჩვენი, რევოლუციური სოციალ-დემოკრატების, მოვალეობაა — მთელი ძალღონით ვეცადოთ გამოვიყენოთ იგი, განვუმარტოთ მოწინავე მუშათა ინტელიგენციას, თუ როგორი მოკავშირე ჰყავს მას გლეხობის, სტუდენტობის და საერთოდ ინტელიგენციის სახით, ვასწავლოთ მას საზოგადოებრივი პროტესტის აქა-იქ ავარდნილი ალის გამოყენება“[1].

პირველი რევოლუციის წლებში ვ. ი. ლენინის მითითებით ბოლშევიკები ახორციელებდნენ „მემარცხენე ბლოკის“ ტაქტიკას, რომლის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ „აეძულებინათ“ შედარებით მრავალრიცხოვანი დემოკრატიული მასა გაეკეთებინათ არჩევანი კადეტებს და მარქსისტებს შორის: განეხორციელებინათ მუშათა და გლეხთა დემოკრატიის „ერთობლივი მოქმედების“ ხაზი ძველი რეჟიმის წინააღმდეგ, მერყეევი ლიბერალური ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ბოლშევიკები კარგად ხედავდნენ წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის მერყეობას, რაც წვრილმესაკუთრეთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან მომ-

---

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 5, გვ. 358—359.

დინარეობდა, გრძნობდნენ დემოკრატიული ინტელიგენციის დარაზმვის, ორგანიზების, პოლიტიკური გათვითცნობიერების სიმძიმეს, მაგრამ მიუხედავად ამისა, მასთან ბლოკი გარდუვალად მიაჩნდათ. წვრილბურჟუაზიული დემოკრატია იმ პერიოდში მთელი არსებით იყო დაინტერესებული ეკონომიკაში და პოლიტიკაში ცარიზმის და თავადაზნაურული ფენის ყველა პრივილეგიის განადგურებით. „მემარცხენე ბლოკიზმის უარყოფა, — შენიშნავს ვ. ი. ლენინი, — ღალატია დემოკრატიის საქმისა, არ ყოფილა ქვეყნად არც ერთი ბურჟუაზიულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც „მემარცხენე-ბლოკისტური" ტაქტიკის მაგალითს და ნიმუშს არ იძლეოდეს, ამასთან ამ მოძრაობათა ყველა ძლევამოსილი მომენტი ყოველთვის დაკავშირებულია ამ ტაქტიკის წარმატებასთან"[1].

„მემარცხენე ბლოკის" ტაქტიკა გრძელდებოდა რეაქციის წლებში. ბოლშევიკები დემოკრატიულ ძალებთან კავშირში იყენებდნენ ლეგალური აგიტაციის ყველა საშუალებას მასების დარაზმვისათვის ახალი რევოლუციური აღმავლობის შესამზადებლად. მემარცხენე ძალებთან ბლოკი, რა თქმა უნდა, სრულებითაც არ გამორიცხავდა შეურიგებელ იდეურ ბრძოლას პოლიტიკაში წვრილბურჟუაზიული იდეოლოგიის გამოვლინების წინააღმდეგ, რაც განსაკუთრებით ძლიერი იყო რეაქციისა და პირველი იმპერიალისტური ომის წლებში.

1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ წვრილბურჟუაზიულ დემოკრატიასთან, რადიკალურ ინტელიგენციასთან მუშათა კლასის ურთიერთობის საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა. წვრილბურჟუაზიული სტიქიის აზვირთებამ წარმოშვა რიგი პრობლემებისა, რომლებიც კონკრეტულ ისტორიული ვითარების თავისებურების გამო ბოლშევიკებისაგან მეტისმეტად მოქნილ, ღრმად გააზრებულ მიდგომას მოითხოვდა. წვრილბურჟუაზიულ პარტიებს უმრავლესობა გააჩნდათ საბჭოებში, რომლებიც თავისი ბუნებით რევოლუციურ ხელისუფლებას განასახიერებდნენ. ეს პარტიები მონაწილეობდნენ კოალიციურ მთავრობაში. ამ წვრილბურჟუაზიულ ნაკადში ძირითადი მასა რევოლუციური იყო და მას სჭირდებოდა ოდნავი ბიძგი, რათა გაჰყოლოდა ბოლშევიკურ პარტიას რევოლუციის გაღრმავებისათვის ბრძოლაში. ითვალისწინებდა რა მომენტის სირთულეს და წინააღმდეგობრივ ხასიათს, ბოლშევიკური პარტიის ტაქტიკა უყურადღებოდ არ ტოვებდა წვრილბურჟუაზიულ პარტიათა

---

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 17, გვ. 499.

და მიმდინარეობათა მიერ აღებულ კურსს შორის მცირეოდენ სხვაობასაც კი. ბოლშევიკების იდეური არსენალი ამ დროს შეიცავდა ბრძოლისა და შეთანხმების მრავალგვარ ფორმას.

რუსეთის სამი რევოლუციის გამოცდილებამ უჩვენა, რომ დემოკრატიული ინტელიგენცია მუდამ მერყეობდა ბურჟუაზიულ დიქტატურასა და სოციალისტურ დიქტატურას შორის, რეფორმიზმსა და რევოლუციონიზმს შორის. კომუნისტების სწორი ტაქტიკა, — გვასწავლიდა ვ. ი. ლენინი, — იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ გ ა მ ო ი ყ ე ნ ო ნ ეს მერყეობა, და სრულებითაც არა იმაში, რომ უგულებელყონ იგი: გამოყენება მოითხოვს დათმობებს იმ ელემენტებისადმი, მაშინ და იმდენად, რომლებიც, როცა და რამდენადაც პირს იბრუნებენ პროლეტარიატისაკენ — იმათ წინააღმდეგ ბრძოლასთან ერთად, რომელნიც პირს იბრუნებენ ბურჟუაზიისაკენ"[1]. წვრილბურჟუაზიული პარტიებისადმი ლენინური დამოკიდებულების ერთ-ერთ ამგვარ ნიმუშად შეიძლებოდა მოგვეტანა ვ. ი. ლენინის აზრი ნ. ჟორდანიას შესახებ 1920 წელს. ლენინი შესაძლებლად თვლიდა ქართველი ბოლშევიკების თანამშრომლობას ნ. ჟორდანიასთან, თუ ეს უკანასკნელი აღიარებდა საბჭოთა ხელისუფლებას. როგორც ცნობილია, ნ. ჟორდანიას დიდი ხანია პირი ბურჟუაზიისაკენ ჰქონდა მიქცეული და ამ წინადადებას უარყოფითად შეხვდა. ეს, რა თქმა უნდა, ახალ ბიძგს აძლევდა ბოლშევიკების შეურიგებელ ბრძოლას ჟორდანიას წინააღმდეგ.

ამრიგად, რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული და სოციალისტური რევოლუციების მომზადებისა და მიმდინარეობის მთელ პერიოდში ბოლშევიკების ტაქტიკა ინტელიგენციის მიმართ შემდეგნაირად წარმოგვიდგება: ბოლშევიკები შეუპოვარ და განუწყვეტელ ბრძოლას ეწეოდნენ თავადაზნაურულ-მემამულური ინტელიგენციის, როგორც თვითმპყრობელური რეაქციის ბანაკის შემადგენელი ნაწილის წინააღმდეგ; ბოლშევიკები ატარებდნენ იზოლაციის პოლიტიკას ინტელიგენციის იმ ბურჟუაზიული ზედაფენის მიმართ, რომელიც ყალბი დემოკრატიზმის საფარქვეშ ემსახურებოდა კაპიტალისტური წყობილების განმტკიცებას რუსეთში; პრინციპულად სხვაგვარი იყო ბოლშევიკების დამოკიდებულება წვრილბურჟუაზიული და ნახევრადპროლეტარული ინტელიგენციისადმი — რადიკალურ-დემოკრატიული ინტელიგენციისადმი, რომელიც დაინტერესებული იყო თვითმპყრობელობის დამხობით, ქვეყნის დემოკრატიული გადახალისებით და თავის განწყობი-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 31, გვ. 76.

ლებას აქტიურ საბრძოლო მოქმედებაში ამყოლავნებდა. ბოლშევიკები აქეზებდნენ ინტელიგენციის ამ ფენის ჯერ კიდევ გაუბედავ მოქმედებას, აღვივებდნენ მასში რევოლუციურ ენთუზიაზმს, აკრიტიკებდნენ მის მერყეობას, არათანამიმდევრულობას, ამასთან, მხარს უჭერდნენ ცარიზმის წინააღმდეგ მისი სტიქიური აღშფოთების ყოველგვარ გამოხატულებას და ცდილობდნენ თანამიმდევრული რევოლუციური არხებით წარემართათ იგი. ვ. ი. ლენინის ამ მოწოდებაში ბოლშევიკების მიმართ ჩაქსოვილია ბოლშევიკური პარტიის ტაქტიკის მთელი შინაარსი. მხოლოდ ასეთი ტაქტიკის გატარებით იყო შესაძლებელი პროლეტარიატის გარშემო არა მარტო გლეხობისა და ქალაქის საშუალო ფენების, არამედ მისი იდეური მესვეურის — დემოკრატიული ინტელიგენციის დარაზმვა.[1]

• • •

საქართველოში, როგორც განაპირა — კოლონიურ ქვეყანაში ცარიზმი, როგორც ცნობილია, ყოველნაირად ზღუდავდა განათლების კერებს, რათა ხალხი სიბნელესა და უვიცობაში ჰყოლოდა. აქ შეზღუდული იყო არა მარტო ინტელიგენციის ფორმირების ბაზა, არამედ მისი სამოღვაწეო ასპარეზიც. საშუალო სკოლების რაოდენობა საქართველოში მცირე იყო, უმაღლესი საასწავლებელი არ არსებობდა, რუსეთში კურსდამთავრებულ ქართველ ახალგაზრდებს მთავრობა სამსახურში ძნელად, საგანგებო შერჩევით იღებდა. ინტელიგენცია უპირატესად პედაგოგიურ მოღვაწეობას, სალიტერატურო საქმიანობას ეწეოდა, თავისუფალ პროფესიას ირჩევდა. მოსახლეობის 1897 წლის აღწერის მონაცემებით 1 914 000 ქართველიდან წერა-კითხვის მცოდნე იყო 313 000. უმაღლესი და დაუმთავრებელი უმაღლესი განათლება ჰქონდა 2.407, საშუალო და არასრული საშუალო განათლება — 31. 418. ყოველ ათიათას მცხოვრებზე 13 უმაღლესდამთავრებული და 166 საშუალო სკოლადამთავრებული მოდიოდა[2]. ინტელექტუალური შრომით დასაქმების მხრივ საქართველოში ქართველი ერთ მესამედს არ აღემატებოდა, მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის რაოდენობით 70 პროცენტს აჭარბებდა.

---

1 Л. К. Ерман. Интеллигенция в первой русской революции, с. 43.

2 კ. ანთაძე. საქართველოს მოსახლეობა XIX საუკუნეში, თბილისი, 1973, გვ. 294—297.

ქართველი ინტელიგენცია, ცხადია, არ წარმოადგენდა სოციალურად ერთგვაროვან მასას. განათლებულ ადამიანთა შორის ჰარბობდნენ თავადაზნაურული კლასის წარმომადგენლები. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ქართველი თავად-აზნაურობის დეგრადირებულ მდგომარეობას XIX ს. მეორე ნახევარსა და განსაკუთრებით XX ს. პირველ ოცწლეულში, როგორც ვთქვით, ინტელიგენციის ამ ფენას თავის კლასთან არა იმდენად სოფლმხედველობა, რამდენადაც სოციალური წარმომავლობა აკავშირებდა. მათი მცირე ნაწილი სახელმწიფო სამსახურში იყო მოწყობილი, ცხოლოდ ერთეულებს ეკავათ მაღალი სამოხელეო საფეხური. დიდი ნაწილი ან პედაგოგიურ, ან შემოქმედებით საქმიანობას ეწეოდა და თავისი განწყობილებით ახლო იყო ინტელიგენციის იმ წრეებთან, რომელსაც ვ. ი. ლენინი ე. წ. „მესამე ელემენტს" უწოდებდა.

კაპიტალიზმის სუსტი განვითარების პირობებში საქართველოში სუსტი იყო ბურჟუაზიული ინტელიგენციაც. საქართველოს თავისი რიაბუშინსკები და ტერეშჩენკოები არ ჰყოლია. თითო-ოროლა მრეწველი — კაპიტალისტი (სარაჯიშვილი, ხოშტარია და სხვ.) საქართველოში მეცენატურ საქმიანობასაც ეწეოდნენ, დემოკრატიულ წრეებთან სიახლოვეს ესწრაფვოდნენ. ასეთი განწყობილება, ვფიქრობთ, იმითაც იყო შეპირობებული, რომ მეტროპოლიისა და სომხური სამრეწველო და სავაჭრო კაპიტალით შეიწროებული ქართველი კაპიტალისტიც თავს დაჩაგრულად გრძნობდა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში პრივილეგიური მდგომარეობის დამკვიდრებას რადიკალურ-დემოკრატიულ წრეებთან სიახლოვით აპირებდა.

რევოლუციამდელი საქართველოს ინტელიგენცია ძირითადად წვრილბურჟუაზიულ-გლეხური იყო. სოციალური წარმომავლობითაც (წვრილმწარმოებელთა, ვაჭართა, სასულიერო პირთა და გლეხთა შვილები) და განწყობილებითაც წვრილბურჟუაზიულ-რადიკალური იყო. იგი სისხლხორცეულად იყო დაკავშირებული ეროვნულ ყოფასთან და მისი ყველაზე ჯანსაღი ტრადიციების აღორძინებისათვის იბრძოდა. სოციალური და ეროვნული ჩაგვრის ორმაგ უღელქვეშ ქედმოხრილი ეს ინტელიგენცია თავისი ქვეყნის გადარჩენის ერთადერთ გზას ცარიზმის კოლონიური რეჟიმის დამხობაში, ექსპლოატატორული სისტემის ლიკვიდაციაში ხედავდა. ეს ინტელიგენცია იყო ის მძლავრი ინტელექტუალური ძალა, რომელიც ობიექტურად რევოლუციურ ბანაკში იდგა. საქართველოს პროლეტარიატს, მისი სახით ძლიერი მოკავშირე ჰყავდა. ამ ძალას, მართალია, აკლდა პოლიტიკური მიმართულების სიცხადე.

გამბედაობა და ხშირად მერყეობასაც განიცდიდა, მაგრამ მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის თანამიმდევრული პროპაგანდით, მოქნილი ტაქტიკით, პოლიტიკური ლოზუნგების პრაქტიკულ მოთხოვნილებებთან უნარიანი შეხამებით მისი მიმხრობა შესაძლებელი იყო. ამ ძალის მხარდაჭერის გარეშე პროლეტარიატი თავის ისტორიულ ამოცანას ვერ განახორციელებდა.

XIX საუკუნის დამლევისა და XX საუკუნის დამდეგისათვის საქართველოში თანდათან ყალიბდებოდა პროლეტარული ინტელიგენცია. ეს ფენა თავისი სოციალური წარმომავლობით არ ეკუთვნოდა მხოლოდ მუშათა კლასს, რომელიც ამ პერიოდისათვის, უკვე დამოუკიდებელ და მზარდ საზოგადოებრივ ერთეულად ითვლებოდა და თავისი გამოკვეთილი კლასობრივი შეგნებაც ჰქონდა, პროლეტარული ინტელიგენციის რიგებში ბევრი მოსული იყო სხვა სოციალური ფენებიდან — სასულიერო წოდებიდან, განსაკუთრებით გლეხობიდან (მ. ცხაკაია, ფ. მახარაძე, ლ. კეცხოველი, ალ. ჯაფარიძე და სხვ.), ზოგი თავადაზნაურობიდანაც კი. ალ. წულუკიძე, მაგალითად, თავადიშვილი იყო წარმოშობით, მაგრამ პროლეტარულ ინტელიგენციაში განსაკუთრებით გამოირჩეოდა თავისი თანამიმდევრული შემოქმედებითი მარქსისტული განწყობილებით. თვით მუშათა წრეებიდან კი თვითგანათლების შედეგად იწრთობოდნენ პროლეტარული ინტელიგენციის პირველი კადრები (ვანო და გიორგი სტურუები, გ. თელია, ა. ოქუაშვილი, მ. ბოპორიძე და სხვ.), რომლებიც პროლეტარიატს განმათავისუფლებელი ბრძოლების ავანგარდში იდგნენ განუხრელად სამი რევოლუციის მანძილზე.

პროლეტარული ინტელიგენციის წინაშე მისი სტრატეგიული ამოცანის განხორციელებისათვის ბრძოლაში ერთ-ერთ ძირითად საკითხად იდგა დემოკრატიულ ინტელიგენციასთან მუდმივი კონტაქტი, მისი რევოლუციური შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენება.

დემოკრატიული ინტელიგენციისადმი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების დამოკიდებულება, რა თქმა უნდა, ლენინურ პრინციპებს ეფუძნებოდა და დადებითი იყო. რევოლუციური სოციალ-დემოკრატია საქართველოში ყოველთვის ეძიებდა გზებს და საშუალებებს დემოკრატიული ინტელიგენციის ბურჟუაზიული გავლენისაგან ჩამოცილებისათვის, მისი მიმხრობისა და საბრძოლო დროშის გარშემო დარაზმვისათვის, მაგრამ იმ შეუნელებელ იდეურ ბრძოლაში, რასაც საქართველოს ბოლშევიკები ინტელიგენციის ბურჟუაზიული ილუზიების მხილებისა და დაგმობისათვის ეწეოდნენ, ზოგჯერ თავს იჩენდა უკი-

დურესობანი, არათანამიმდევრულობა. ასეთი არათანამიმდევრულობის მაგალითად გამოდგებოდა რუსეთის პირველ რევოლუციაში თერგდალეულების მიმართ არჩეული პოზიცია.

თერგდალეულობა, რომელიც XIX ს. 60—80-იან წლებში საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას მოთავეობდა და თავისი რევოლუციური დემოკრატიზმით ასახავდა საქართველოს მშრომელი მასების მისწრაფებებს, 80-იანი წლების შემდეგაც არ დაშლილა. ამ მიმდინარეობის მესვეურებმა — ი. ჭავჭავაძემ, ნ. ნიკოლაძემ, ა. წერეთელმა, ი. გოგებაშვილმა, ვაჟა-ფშაველამ და სხვ. სრული შემოქმედებითი მწიფობის ასაკში შედგეს ფეხი XX საუკუნეში და აქტიური მონაწილენი იყვნენ რუსეთის პირველი სახალხო რევოლუციისა. ისე რომ არც ერთ მათგანს ადრინდელი რევოლუციურ-დემოკრატიული იდეალებისათვის არ უღალატნია, უკან არ დაუხევია. თერგდალეულობას ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესამე ეტაპზეც უდიდესი გავლენა ჰქონდა. 80-იან წლებში მან ხალხოსნური მოძრაობის მრავალი მესვეურიც შეიფარა. ეს მიმდინარეობა მუდამ ივსებოდა ახალი ძალებით, რომლებიც დაუღალავად მოღვაწეობდნენ ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა უბანზე და კეთილისმყოფელ კვალს ამჩნევდნენ ქვეყნის წინსვლა-განვითარებას. (თერგდალეულობა განზე დარჩა იმ პოლიტიკური პარტიებისაგან, რომლებიც საქართველოს სასოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე მომრავლდნენ XX საუკუნის დამდეგიდან. ეს ალბათ იმით აიხსნება, რომ თავისი საერთო ეროვნულ-დემოკრატიული ბუნების გამო ეს მიმდინარეობა პარტიულ დაჯგუფებას ვერ ეგუებოდა. პარტია მას საზოგადოების გარკვეული ჯგუფის ინტერესების გამომხატველად ეჩვენებოდა, მაშინ როცა თვით მთელი ერის სახელით მოღვაწეობდა და თავის თავს ყველა საზოგადოებრივი ფენის თუ კლასის ინტერესების დამცველად მიიჩნევდა. თერგდალეულებს თავისი თავი მიაჩნდათ კლასებს მაღლა მდგომ და მთლიან ეროვნულ მიმდინარეობად. ეს განმანათლებლობისათვის საერთო დამახასიათებელი მოვლენა იყო. XIX საუკუნის 60—80-იან წლებში, როცა ბურჟუაზია „მესამე წოდებისაგან" გამოთიშული არ ყოფილა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოთავეობას იჩემებდა, მის ე. წ. „საერთო დემოკრატიზმს" გააჩნდა თავისი ფუნქცია. მაგრამ საუკუნის მიწურულისათვის, კლასობრივი ბრძოლის ახალ პირობებში, როცა „მესამე წოდების" მთლიანობა საბოლოოდ დაირღვა და დემოკრატიზმი და სოციალიზმი ცალ-ცალკე მიმდინარეობად გაითიშა, თერგდალეულთა კლასობრივ პოზიციას საფუძველი მოეშალა და

ფუნქციაც გაუფერმკრთალდა. რეოლუციური დემოკრატიზმი და გლეხური რადიკალიზმი, რაც ამ მიმდინარეობას ახასიათებდა, სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას შეეთვისა. გლეხობას ახალ ვითარებაში საერმედო მესვეურად პროლეტარიატი მოევლინა. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალ ეტაპზე მთავარ მამოძრავებელ ძალებად მუშათა კლასი და გლეხობა გამოვიდნენ, ბურჟუაზია კი, რომელიც „მესამე წოდებიდან" გამოითიშა, დამოუკიდებელ საზოგადოებრივ კლასად ჩამოყალიბდა და მას მუშათა კლასთან და მის მოკავშირე გლეხობასთან საპირისპირო ინტერესები, ანტაგონისტურად დაპირისპირებული მისწრაფებანი გაუჩნდა. ახალ ვითარებაში „თერგდალეულობა" აღარ შეიძლებოდა ყოფილიყო „მესამე წოდების" იდეოლოგია, ვინაიდან „მესამე წოდება", როგორც სოციალური ორგანიზმი, აღარ არსებობდა, იგი დარღვეული და დანაწევრებული იყო. თერგდალეულობა, როგორც იდეოლოგია, ვეღარ გამოადგებოდა ვერც მუშათა კლასსა და გლეხობას, რომლებიც ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციით აღარ კმაყოფილდებოდნენ და ექსპლოატატორული რეჟიმის სრული დამხობისაკენ სწრაფვაში ახალი იდეოლოგიის დროშის ქვეშ ირაზმებოდნენ. ეს იდეოლოგია იყო მარქსიზმ-ლენინიზმი. თერგდალეულობა ვერც „მესამე წოდებიდან" გამოთიშულ ბურჟუაზიას გაჰყვებოდა, რადგან მან ერის ინტერესები საკუთარი კლასის ინტერესებს დაუმორჩილა და საზოგადოების მშრომელ ნაწილს ახალ ექსპლოატატორად მოევლინა. თერგდალეულებმა, როგორც მთელი ხალხის ინტერესების გულწრფელმა მოსარჩლეებმა, ამ ახალ მჩაგვრელ ძალას ზურგი შეაქციეს. კლასობრივი თვალსაზრისით თერგდალეულთა იდეალები ახალ ვითარებაში საქართველოს წვრილბურჟუაზიული კლასის იდეოლოგიას შეუერთდა. სრულიადაც არაა შემთხვევითი რომ თერგდალეულთა სოციალური და ეროვნული მისწრაფებანი XX საუკუნიდან ყველაზე მეტად წვრილბურჟუაზიული პარტიების პროგრამებს ენათესავებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ პარტიულ დაჯგუფებებს ვერ ეგუებოდა, თერგდალეულობამ თავის მხრივ ნიადაგი მოუმზადა და ხელი შეუწყო ახალი პარტიების აღმოცენებას. მარქსიზმმა, რომელიც საქართველოში XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან გამოვიდა ასპარეზზე, შეიწოვა თერგდალეულთა რევოლუციური დემოკრატიზმი და მისი ყველაზე ჯანსაღი ტრადიციები მიიღო მემკვიდრეობად. თერგდალეულებმა შეამზადეს იდეური ნიადაგი საქართველოში მარქსიზმის გავრცელებისათვის. მაგრამ იმავე თერგდალეულობამ ობიექტურად ხელი შეუწყო წვრილბურჟუაზიულ და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პარტიებსაც. ამ პარ-

ტიებმა თერგდალეულთა იდეოლოგიის სუსტ მხარეებს ჩასჭიდეს ხელი და ისინი პრინციპში აიყვანეს, ცალმხრივ წარმართეს მათი განვითარება, „მესამე წოდების“ ინტერესი, რასაც XIX საუკუნის მეორე ნახევარში ეს იდეოლოგია გამოხატავდა, მათ ბურჟუაზიის კლასობრივ ინტერესამდე დააქვეითეს. „საერთო ნიადაგის“ ის გულწრფელი დემოკრატიული მიზანდასახულება, რასაც მასში თერგდალეულები დებდნენ, ამ პარტიებმა თავისი კლასობრივი ინტერესების აბრად გამოიყენეს.

როგორც ვხედავთ, 90-იანი წლებისათვის თერგდალეულთა იდეოლოგიას მართლაც დაუდგა ერთგვარად კრიზისული პერიოდი, მაგრამ ამ სიძნელეებს თვით მიმდინარეობის დაშლა არ გამოუწვევია. სწორედ ამ პერიოდიდან, როცა ცარიზმის კოლონიურმა პოლიტიკამ, რეაქციის საერთოდ მომძლავრების ვითარებაში კიდევ უფრო მწვავე ხასიათი მიიღო და ეროვნული ჩაგვრა გაძლიერდა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოთავე მოღვაწეებს, კოლოსალური სამუშაო ჰქონდათ: უცხო მჩაგვრელი ძალის წინააღმდეგ ეროვნული ძალების კონსოლიდაცია კვლავ რჩებოდა გადაუდებელ ამოცანად. და ეს ამოცანა თერგდალეულებს აახლოებდა იმ განმათავისუფლებელ ბრძოლასთან, რომელიც ახალი საუკუნის მიჯნაზე მძლავრად გაიშალა მთელ ქვეყანაში. ახალ ეტაპზე თერგდალეულობა დემოკრატიულ ნაკადად შეერდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ამ მოძრაობის დროშა ან პროლეტარიატს გადაულოცა, თვით კი მოკავშირის პოზიცია დაიკავა. ქვემოთ ჩვენ ვნახავთ, რომ თერგდალეულთა მიმდინარეობის პოლიტიკური პოზიცია წვრილბურჟუაზიული დემოკრატიზმის ფარგლებს არ გასცილებია, მაგრამ ამ პოზიციას კოლონიური ქვეყნის ხალხთა გაშოლვიძებისა და დარაზმვისათვის გარკვეული დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა. ბოლშევიკური პარტიის ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ დემოკრატიული ინტელიგენციის ანტიკოლონიური განწყობილება უფრო გაემახვილებინა და განმათავისუფლებელი მოძრაობის საერთო ინტერესებისათვის დაემორჩილებინა, დაეძლია ინტელიგენციისათვის საერთოდ დამახასიათებელი მერყეობა, გაუბედაობა, ეკვიანობა, არათანამიმდევრულობა და ამრიგად, სოციალისტური რევოლუციის პოლიტიკური არმია გაეძლიერებინა ინტელიგენციის ძალებით, რომელთა ზეგავლენა მასებზე ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო.

პოლიტიკური რეაქციის პარპაშის მძიმე ვითარებაში თერგდალეულები მართლაც მრავალ ეროვნულ პრაქტიკულ საქმეებს მოთავეობდნენ. ისინი ხელმძღვანელობდნენ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების უაღრესად ნაყოფიერ საქმიანობას ქართველი ხალხის გა-

ნათლების საქმეში, იღვწოდნენ ქართული გიმნაზიებისა და სხვა სასწავლებლების დაარსებისათვის, ამზადებდნენ ნიადაგს ეროვნული უნივერსიტეტის შესაქმნელად, უყლიდნენ ქართულ თეატრს, ქართულ მუსიკას, დიდ გულისყურს იჩენდნენ ხალხური შემოქმედებისადმი და გულმოდგინედ კრებდნენ მის მარგალიტებს, ზრუნავდნენ სახვითი ხელოვნების ეროვნული ძალების აღზრდისათვის, ქართული კულტურის ძეგლების შეკრება-გამოქვეყნებისათვის და სხვა. საზოგადო მოღვაწეთა ამ მიმდინარეობის თაოსნობით მოხდა დიმიტრი ყიფიანის ისეთი დატირება, რომ მან ეროვნულ-დემოკრატიული ძალების დემონსტრაციის სახე მიიღო. ილია და მისი თანამებრძოლები სათავეში ჩაუდგნენ ნ. ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენებას თბილისში, რაც აგრეთვე დიდ პატრიოტულ მოძრაობად იქცა. ძნელია მთელი 80—90-იანი წლების მანძილზე მიუთითო თუნდაც პატარა მნიშვნელობის საზოგადო საქმეზე, რომ მისი თაოსანი, სულისჩამდგმელი, წამაქეზებელი ილია, აკაკი და მათი უმცროსი თანამებრძოლები არ ყოფილიყვნენ.

დემოკრატიული ინტელიგენციის ამ მიმდინარეობამ, როგორც ქვემოთ ვნახავთ, უაღრესად კეთილშობილური როლი შეასრულა რუსეთის პირველ რევოლუციაში. მაგრამ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების დამოკიდებულებას ამ მიმდინარეობისადმი აკლდა ლენინური შორსმჭვრეტელობა და მოქნილობა.

დემოკრატიული ინტელიგენციისადმი მტრული დამოკიდებულება ჰქონდათ ქართველ მენშევიკებს. მენშევიზმის ეს პოზიცია აქტიურად ვლინდებოდა პროპაგანდისტულ საქმიანობაში. ნ. ჟორდანია XIX საუკუნის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას მემამულე-აზნაურობის ინტერესების დამცველად აცხადებდა. ილია ჭავჭავაძეს — ამ მოძრაობის მესვეურს, — პროლეტარიატის განმათავისუფლებელი მოძრაობის მტრად თვლიდა. ცნობილია ის მტრული, გამაღიზიანებელი პოლემიკა, რომელიც ნ. ჟორდანიას პირველი რევოლუციის მომზადებისა და მიმდინარეობის პერიოდში ჰქონდა ილია ჭავჭავაძესთან. ამ მხრივ კიდევ უფრო შორს მიდიოდნენ ჟორდანიას თანამებრძოლები პ. გელეიშვილი, თოფურიძე და სხვები. მენშევიკების ასეთი პოზიცია კიდევ უფრო აღიზიანებდა და აფრთხობდა დემოკრატიულ ინტელიგენციას, მიერეკებოდა მას კლასობრივი მტრის მხარეზე.

დემოკრატიული ინტელიგენციის განმათავისუფლებელი ბრძოლების მოკავშირედ გადაქცევისათვის ენერგიულად მუშაობდა საქართველოს რევოლუციური სოციალ-დემოკრატია. ქართველი ბოლშევიკები ინტელიგენციის ძალებს აბამდნენ რევოლუციურ მოძრაობაში, აქეზებ-

დნენ სტუდენტთა, მოსწავლეთა რევოლუციურ შემართებას, მასწავლებელთა პროტესტანტულ განწყობილებას, ინტელიგენციის ძალებს იყენებდნენ პროპაგანდისტულ საქმიანობაში, თეორიულ წერილებში ყურადღებას ამახვილებდნენ მუშათა კლასისა და დაჩაგრული მასების, მათ შორის წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის ინტერესთა ერთიანობაზე, ბოლშევიკურ პრესაში, პროკლამაციებში წაქეზებული იყო დემოკრატიული ძალების რევოლუციური საქმიანობა.

მაგრამ ზოგიერთ ხელმძღვანელ ქართველ ბოლშევიკს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დემოკრატიულ ინტელიგენციასთან დამოკიდებულება არასწორად ჰქონდა გააზრებული. მაგალითად, ისეთი განათლებული მარქსისტ-ლენინელი, როგორიც ფ. მახარაძე იყო, ყოველთვის მართებულად ვერ აფასებდა დემოკრატიულ ინტელიგენციასთან კავშირურთიერთობის მნიშვნელობას. სამართლიან მწვავე პოლემიკაში, რომელიც ფ. მახარაძეს ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების ლიდერებთან ჰქონდა, დემოკრატიული ინტელიგენციის როლი და მნიშვნელობა მცდარად იყო შეფასებული. ნაციონალიზმის წინააღმდეგ მიმართული კრიტიკა ბევრჯერ, დემოკრატიული ინტელიგენციის ჯანსაღ ეროვნულ გრძნობებსაც აღიზიანებდა. ეროვნული ნიჰილიზმის ელფერი აჩნდა ფ. მახარაძის იმ სტატიებს, რომელიც XX საუკუნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის რაობის ანალიზს ეხებოდა. განსაკუთრებით ხელშესახები იყო ეს ცალმხრიეობა ილია ჭავჭავაძის შემკვიდრეობის შეფასებაში.

ბოლშევიკებს, რომელთაც ეროვნულ საკითხში ნათელი და გამოკვეთილი ლენინური პროგრამა ჰქონდათ, შეეძლოთ უფრო მოქნილი, ვითარებასთან შესაბამისი პოზიცია დაეკავებინათ იმ ქართველ დემოკრატიულ ინტელიგენციასთან დამოკიდებულებაში, რომელსაც ეროვნული საკითხი ყველაზე მეტად აწუხებდა. საჭირო იყო გულდინჯი და დამაჯერებელი განმარტება, რომ ეროვნული საკითხის გადაწყვეტა ბურჟუაზიული წყობილების ვითარებაში ვერ მოხდებოდა და მხოლოდ ბურჟუაზიული რეჟიმის დამხობის საფუძველზე განხორციელდებოდა ეროვნული ჩაგვრის ლიკვიდაცია. დემოკრატიული ინტელიგენცია მხოლოდ პროლეტარიატის ჰეგემონობით შეძლებდა სოციალური და ეროვნული ტკივილების დაყუჩებას. ბევრი ქართველი დემოკრატი ინტელიგენტი, რომელიც ცარიზმის დაუძინებელი მტერი იყო და მშრომელთა რევოლუციურ ბრძოლას მთელი არსებით თანაუგრძნობდა, ბოლშევიკური პარტიისაგან მაინც განზე იდგა იმის გამო, რომ ბოლშევიკები ეროვნულ საკითხს განმათავისუფლებელი მოძრაობის არსებით საკი-

თხად არ თვლიან. მოვიგონოთ აკაკის საყვედური „მესამე დასელების“ მისამართით[1]. გ. ლასხიშვილი — ადრე სტუდენტური მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე — იგონებს, რომ „მესამე დასელთა“ საერთო პოზიცია ბევრ ახალგაზრდა ინტელიგენტს იზიდავდა, მაგრამ დაბრკოლებას მათთან ურთიერთობაში „ეროვნული ნიჰილიზმი“ წარმოადგენდაო[2]. ი. გოგებაშვილი ქართველ მარქსისტებს თანაუგრძნობდა იმდენად, რამდენადაც ისინი ცდილობდნენ „დაეხსნათ მუშა ხალხი იმ მონობის უღლისაგან, რომელიც მას ადგა კისერზე კაპიტალისტების წყალობით“; მაგრამ ვერ ურიგდებოდა ზოგიერთი დასელის ეროვნულ ინდიფერენტიზმს. „მარტო სოციალური ცვლილება არ არის საკმარისი ჩვენი ქვეყნის აყვავებისათვის, ფრიად საჭიროდ მიგვაჩნია აგრეთვე ეროვნული თავისუფლებაო[3], — აღნიშნავდა იგი.

რეაქციის წლებში, როცა თვითმპყრობელობის რეპრესიულმა ღონისძიებებმა ხალხისადმი ველური ანგარიშსწორების ხასიათი მიიღო, როცა რუსეთის დემოკრატიული ინტელიგენციის ნაწილი მისი არათანამიმდევრული, მერყეული ბუნების გამო საერთოდ დაფრთხა და რევოლუციას განუდგა, საქართველოს დემოკრატიული ინტელიგენციის პოლიტიკურ განწყობილებასაც დაეტყო მოდუნება. დაცემულობამ იჩინა თავი ლიტერატურისა და ხელოვნების დარგებში. დემოკრატიული ინტელიგენციის ერთ ნაწილში აყვავდა ბურჟუაზიული ნაციონალიზმი, რაც წვრილბურჟუაზიული პარტიების, მათ შორის მენშევიკების პროპაგანდა-აგიტაციის შედეგი იყო.

მაგრამ დემოკრატიული ინტელიგენციის ჯანსაღი ნაწილი თავისი ადრინდელი რევოლუციური განწყობილების ერთგული დარჩა მაინც და კვლავაც შეუპოვრობით აგრძელებდა ბრძოლას ცარიზმის შაებნელი რეაქციის წინააღმდეგ. აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, ვაჟა-ფშაველა, იაკობ გოგებაშვილი დემოკრატიული უფლებებისათვის ბრძოლას განაგრძობდნენ მთელი შეუპოვრობით და რევოლუციურ იდეალებს აქსოვდნენ თავიანთ ქმნილებებში. ექვთიმე თაყაიშვილი პრესის ფურცლებზე გაბედულად ამხელდა ბურჟუაზიული ნაციონალისტების (გვაზავასა და სხვ.) გამოხდომებს მეცნიერული — დემოკრატიული აზრის წინააღმდეგ. იოანე ჯავახიშვილი თავის საჯარო ლექციებში მსმენელებს

---

[1] ა. წ ე რ ე თ ე ლ ი. ორი პუბლიცისტური სტატია, 1903, გვ. 13—14.

[2] გ. ლ ა ს ხ ი შ ვ ი ლ ი. მოგონებანი, 1934, გვ. 80—82.

[3] ი. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი. რჩეული ნაწერები, 1940, ტ. II, გვ. 441.

განაწყობდა ცარიზმის კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

დემოკრატიული ინტელიგენცია თავის საქმიანობას ფართოდ შლიდა ისეთ ნებაყოფლობით შემოქმედებით ორგანიზაციებში, როგორიც იყო წერა-კითხვის გამავრცელებელი, საისტორიო და საეთნოგრაფიო, ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოებები, სახალხო უნივერსიტეტები, სახალხო თეატრები და სხვ.

დემოკრატიული ინტელიგენციის რეფორმაციული განწყობილება ისევ ამაღლდა ახალი რევოლუციური აღმავლობის პერიოდში. პრაღის კონფერენციის გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს ბოლშევიკებმა, როგორც ცნობილია, სერიოზული მუშაობა გააჩაღეს ლეგალურ ორგანიზაციებში — თბილისში, ქუთაისსა და გორში გახსნილ სახალხო უნივერსიტეტებში, პროფკავშირებში, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში და სხვ. ბოლშევიკებს მჭიდრო კონტაქტი ჰქონდათ დემოკრატიულ-რადიკალურ ინტელიგენციასთან, ერთობლივი ძალით მიმდინარეობდა მასების განვითარებისა და დარაზმვისათვის გათვალისწინებული ღონისძიებანი. მეფის ოხრანკის დასმენებში „თბილისის სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოება" მონათლულია საშიშ დაწესებულებად, რომელიც სარგებლობს ლეგალური მდგომარეობით და ვითომ ხალხის მასების გასანათლებლად მთელი ძალ-ღონით ისწრაფვის შეაკავშიროს მუშები და გაავრცელოს მათ შორის სოციალ-დემოკრატიული იდეები. სახალხო უნივერსიტეტებს სათავეში ედგნენ დემოკრატიული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები. თბილისის სახალხო უნივერსიტეტის გამგეობაში შედიოდა პ. ა. ჯაფარიძე, რომელიც ამ დროს თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაციის მეთაური იყო. ინტელიგენციასთან მჭიდრო შემოქმედებითი კავშირის გაბმა ხერხდებოდა აგრეთვე მუშათა „კასების", მუშათა თეატრების, თბილისის სახალხო სახლის, „ავჭალის აუდიტორიის" და სხვ. მასობრივ-კულტურულ დაწესებულებათა მეოხებით.

რადიკალურ-დემოკრატიულ ინტელიგენციას ჯანსაღი ეროვნული გრძნობებისათვის არ უღალატია პირველი იმპერიალისტური ომის წლებში. რომელიც, საერთოდ, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ განწყობილებათა ზრდით ხასიათდებოდა. საქართველოს თავადაზნაურულ-ნაციონალისტური ინტელიგენციის მხოლოდ მცირე ჯგუფმა დაინახა იმპერიალისტური ომის დაწყებაში საქართველოს რუსეთიდან გამოთიშვის ხელსაყრელი მომენტი და რუსეთის მტრულ ქვეყნებში ეძიებდა დასაყრდენ ძალას. ფედერალისტები, მენშევიკები და სხვა წვრილბურ-

ეუაზიული პარტიები, მიუხედავად ანტირეჟიმული განწყობილებისა თავიანთი პროპაგანდით ობიექტურად ხელს უწყობდნენ მთავრობას ომის სასაკლაოზე გაერეკა მილიონობით ადამიანები, საერთოდ კი საქართველოს დემოკრატიულმა ინტელიგენციამ სწორად გაიგო იმპერიალისტურ ომში ლენინისა და ბოლშევიკების მიერ შემუშავებული ერთადერთი მართებული პოზიცია და მას მხარი დაუჭირა. ქართველი სტუდენტებისა და დემოკრატიული ძალების შეკრებაზე პეტერბურგში, რომელიც ომის დაწყების დღეებში მოხდა, შემუშავებულ იქნა დადგენილება — მოწოდება, რომელიც აღიარებდა და ამხელდა ცარიზმისა და ომის მონაწილე სხვა იმპერიალისტური სახელმწიფოების ყაჩაღურ დამპყრობლურ ზრახვებს და მხარს უჭერდა ომისა და რევოლუციის საკითხებზე ბოლშევიკური პარტიის მიერ შემუშავებულ ლენინურ ტაქტიკას.

დემოკრატიული ინტელიგენცია ენთუზიაზმით შეხვდა 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას, რომელმაც რუსეთის ცარიზმი დაამხო და ქვეყანაში ერთბაშად უჩვეულო და დიდი ხნის ნანატრი დემოკრატიული თავისუფლება მოიტანა. ვ. ი. ლენინი შენიშნავდა, რომ თებერვლის რევოლუციამ მთელი იმპერიის მასშტაბით წვრილბურჟუაზიული მასის უეცარი და მძლავრი აზღვავება გამოიწვია. „უზარმაზარმა წვრილბურჟუაზიულმა ტალღამ წალეკა ყველაფერი, ჩაახშო შეგნებული პროლეტარიატი არა მარტო თავისი სიმრავლით, არამედ იდეურადაც, ე. ი. მოიცვა მუშათა ფრიად ფართო ნრეები და გადასდო მათ წვრილბურჟუაზიული შეხედულებანი პოლიტიკაზე"[1]. ვ. ი. ლენინის ეს დებულება განსაკუთრებით ნიშანდობლივი და მართებულია საქართველოსა და ამიერკავკასიის მიმართ, სადაც ეს მასა, სხვა კლასობრივ ძალებთან შედარებით გაცილებით ძლიერი იყო, ვიდრე რუსეთის სამრეწველო ცენტრებში. საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები ომის წლებში მთავრობის მძიმე რეპრესიების შედეგად თითქმის განადგურებული იყო, ხოლო ხელმძღვანელი ბოლშევიკები გადასახლებაში, ან ომის ფრონტებზე იყვნენ დაქსაქსულნი. წვრილბურჟუაზიული, დემოკრატიული ინტელიგენცია თითქმის მთლიანად მენშევიკურ-ესერული და ფედერალისტური პარტიების გავლენაში აღმოჩნდა. ეს პარტიები ათასგვარ მოთაფლულ დაპირებებს იძლეოდნენ, ხალხთა მასებს აღუთქვამდნენ ყველა მათი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. დემოკრატიული ინტელიგენცია, რომელიც ამ

---

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 24, გვ. 53.

აზვირთებული წვრილბურჟუაზიული სტიქიის სულისკვეთებას გამოხატავდა, თითქოს დაკმაყოფილდა თებერვლის რევოლუციის მონაპოვრით და თავის მოწოდებას ახლა კოლონიური რეჟიმის შედეგების მსხვრევისა და ეროვნულ საგანმანათლებლო კერების შექმნასა და აღორძინებაში ხედავდა. ინტელიგენციას გაუჭირდა ამოეცნო წვრილბურჟუაზიული პარტიების გამაყრუებელი და მიმაძინებელი ხმაურის ნამდვილი მიზანი, იგი მიენდო ამ პარტიებს, ხმას აძლევდა და გზას უკაფავდა მათ მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოებში, საქალაქო თვითმმართველობებში, სამხარეო ორგანოებში.

ცარიზმის დამხობის შემდეგ აზვირთებულ წვრილბურჟუაზიული სტიქიისათვის საჭირო იყო სწორი მ-მართულების მიცემა, დარწმუნება, რომ თებერვლის რევოლუცია არ დასრულებულა და შუა გზაზე შეჩერდა, რომ რუსეთის ეს დემოკრატიული თავისუფლებანი დროებითი და მოჩვენებითია, ბურჟუაზია გზას იკაფავს ძალაუფლებისაკენ და არარაობამდე დაჰყავს ხალხის მონაპოვარი. აუცილებელი იყო რევოლუციის გაღრმავება, სოციალისტურ რევოლუციად გადაზრდა. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურში გადაზრდის გენიალური პროგრამა ჩამოაყალიბა ვ. ი. ლენინმა. ეს პროგრამა საფუძვლად დაედო ბოლშევიკური პარტიის საქმიანობას მთელ რუსეთში. ლენინურ პროგრამას განუხრელად ახორციელებდნენ საქართველოს ბოლშევიკები, რომლებიც რევოლუციის შემდეგ თანდათან იწყებდნენ განმტკიცებას ორგანიზაციულად და აღწევდნენ გავლენის ზრდას მასებში, არჩევით ორგანოებში.

შეუძლებელი იყო სოციალისტური რევოლუციის პოლიტიკური არმიის შექმნა ერთბაშად, ერთი ხელის დაკვრით. წვრილბურჟუაზიული და შემთანხმებლური პარტიების მიერ აღებული კურსის დამღუპველობის გამომჟღავნებას დრო სჭირდებოდა. ვ. ი. ლენინი მოითხოვდა არა დაუყოვნებლივ შეიარაღებულ გამოსვლას დროებითი ბურჟუაზიული მთავრობის წინააღმდეგ, არამედ მისი იმპერიალისტური ბუნების მხილებას, სისტემატური, მიზანსწრაფული, დაჟინებითი აგიტაციის გზით ხალხის გამოფხიზლებას, წვრილბურჟუაზიული მასის გადაბირებას, საბჭოებში უმრავლესობის მოპოვებას. ასეთი აგიტაციისათვის ხელშესახებ მასალას იძლეოდა თვით ბურჟუაზიული მთავრობის ანტიხალხური საშინაო და საგარეო პოლიტიკა, რომელსაც აშკარა რეაქციული ხასიათის გამო დემოკრატიული წრეების პირველი ილუზიების მსხვრევა უნდა გამოეწვია და იწვევდა კიდეც.

სოციალისტური რევოლუციის განხორციელებისათვის ბრძოლაში

მუშათა კლასის მოკავშირედ დემოკრატიული ინტელიგენციის დასარაზმავად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ეროვნული საკითხის მართებულად დაყენებას. თებერვლის შემდეგ მრავალეროვან ამიერკავკასიაში მანამდე არნახული ინტენსივობით დაიწყო ეთნიკური ერთეულების გამოფხიზლება — კონსოლიდაცია. წვრილბურჟუაზიული და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიები (მენშევიკები, ესერები, ფედერალისტები, დაშნაკები, მუსავათელები) აქეზებდნენ ამ მისწრაფებებს. თითოეულ ეთნიკურ თუ ეროვნულ ერთეულს უჩნდებოდა თავისი პრეტენზიები, რომელიც მეორისას უპირისპირდებოდა. ამ ვითარებაში ადვილი მოსალოდნელი იყო ინტერნაციონალური სოლიდარობის გაღრმავებისათვის ბრძოლა შეცვლილიყო ეროვნული განცალკევების მისწრაფებებით, რაც დიდად საზიანო იყო რევოლუციისათვის. წვრილბურჟუაზიული პარტიები წყალს ასხამდნენ ნაციონალიზმის წისქვილზე. ამიერკავკასიის პროლეტარიატისა და დემოკრატიული მასის ინტერნაციონალური სოლიდარობა, რასაც კარგი ტრადიციები ჰქონდა, ახლა განსაკუთრებით მოითხოვდა გაღრმავებას. ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების პირველმა ყრილობამ 1917 წ. ოქტომბერში ეროვნულ საკითხზე მიღებულ რეზოლუციაში საგანგებოდ მიუთითა: „ვიღებთ რა მხედველობაში ჩვენს მხარეში, ერთი მხრივ, ერებისა და ტომების სიჭრელეს და მრავალრიცხოვნობას, მეორე მხრივ, მათს ერთმანეთში გათქვეფილობას, კავკასიაში მუშათა მოძრაობის ერთიანობის ინტერესებიდან გამომდინარე, მოვუწოდებთ კავკასიის მთელ დემოკრატიას ეროვნებათა განურჩეველად, ერთიანობისა და დაახლოებისაკენ"[1].

ბოლშევიკებმა გიგანტური მუშაობა გასწიეს ამიერკავკასიის მუშათა კლასის, გლეხობის, დემოკრატიული ინტელიგენციის ინტერნაციონალური სოლიდარობის შენარჩუნებისა და გაღრმავებისათვის. ამიერკავკასიის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების გამოიშველური საქმიანობის წინააღმდეგ ბოლშევიკების ბრძოლა ჭეშმარიტად მიზანსწრაფული და გმირული იყო. მაგრამ შიგადაშიგ დაშვებული იყო ზოგიერთი შეცდომაც, რაც ამ ბრძოლის შედეგებს აფერმკრთალებდა. ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა, მაგალითად, დროულად ვერ შეძლეს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის მაცდუნებელი ლოზუნგისათვის დაპირისპირებინათ დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლი-

---

[1] Резолюции первого краевого съезда большевистских организаций Кавказа. Тб., 1917.

კის ლოზუნგი. დამოუკიდებლობის სოციალისტური შინაარსის ახსნას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ეროვნულ თავისუფლებას დიდი ხანია მოწყურებული დემოკრატიული ინტელიგენცია ნაციონალისტური პარტიების მოთაფლულ დაპირებებს აჰყვა და მის გავლენაში აღმოჩნდა. ამან უთუოდ შეაფერხა სოციალისტური რევოლუციის პოლიტიკური არმიის მომზადება საქართველოში. ამიერკავკასიელი ბოლშევიკები გვიან მიხვდნენ ამ შეცდომას. 1920 წლისათვის ამ მიმართულებით საქმიანი პროპაგანდა გააჩაღეს და ორგანიზაციული ნაბიჯებიც გადადგეს.

დემოკრატიული ინტელიგენციის, როგორც სოციალისტურ რევოლუციაში პროლეტარიატის მოკავშირედ დარაზმვის საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას, რომელმაც დაამხო ბურჟუაზიის ბატონობა რუსეთში და პირველად კაცობრიობის ისტორიაში მთელი ხელისუფლება მუშათა კლასს გადასცა. ოქტომბრის რევოლუციამ დაამხო არა მარტო ექსპლოატატორული რეჟიმი, არამედ მოსპო ეროვნული ჩაგვრა რუსეთის იმპერიაში და კოლონიურ ხალხებს გაუხსნა თავისუფლებისა და თვითმყოფადობის ვზა. საბჭოთა ხელისუფლების პირველივე ღონისძიებანი ეროვნულ საკითხში უპასუხებდნენ და აკმაყოფილებდნენ მანამდე დაჩაგრული, კოლონიური ხალხების ინტერესებს. ქმნიდნენ პერსპექტივებს მათი ჩამორჩენილობის ლიკვიდაციისა და აღორძინებისათვის.

მაგრამ იმპერიის განაპირა-ნაციონალურ რაიონებში ბურჟუაზიულ ნაციონალისტურმა და წვრილბურჟუაზიულ-შემთანხმებლურმა პარტიებმა, რომლებიც შეძლებული კლასების იდეურ ტყვეობაში მოექცნენ, შეერთებული ძალებით ბარიერი აღმართეს ოქტომბრის რევოლუციის წინააღმდეგ და შეეცადნენ კაპიტალისტური ქვეყნების დახმარებით, ინტერვენციის ძალებით ეგდოთ ხელთ ძალაუფლება. „ამიერკავკასიის კომისარიატი", „სეიმი", რომლებიც ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური შემთანხმებლური პარტიებისა და შეძლებული კლასების კოალიციის საფუძველზე შეიქმნა, ახლა უკვე გაბოროტებით ებრძოდნენ მუშათა კლასს და მის მოკავშირეებს, რომლებიც დიდი ოქტომბრის მონაპოვართა დასაცავად აღსდგნენ და ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის შეუპოვარ ბრძოლას ეწეოდნენ. ამ ბრძოლებში დემოკრატიული ინტელიგენციის მოწინავე ნაწილი ამიერკავკასიის პროლეტარიატის გვერდით იდგა, მაგრამ დიდი ნაწილი ჯერ კიდევ ვერ გათავისუფლებულიყო წვრილბურჟუაზიულ-შემთანხმებლური პარტიების გავლენისაგან, მერყეობდა, ეჭვით უყურებდა პროლეტარიატის ბრძო-

ლებს და ეგონა, რომ ამ ბრძოლების გაღრმავებით იკარგებოდა თებერვლის რევოლუციით მინიჭებული დემოკრატიული თავისუფლებანი. ამ შიშს, ეპვიანობას. უნდობლობას აძლიერებდა ის მყვირალა, სიცრუით გამსჭვალული პროპაგანდა და ცილისწამებანი, რასაც ბურჟუაზიულ ნაციონალისტური და წვრილბურჟუაზიული პარტიები ეწეოდნენ სოციალისტური რევოლუციის წინააღმდეგ.

მენშევიკებმა 1918 წლის 26 მაისს საქართველოს სხვა ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ პარტიებთან კავშირში, ამიერკავკასიის სეიმის ნანგრევებზე შექმნეს ახალი მთავრობა, რომელსაც საქართველოს დამოუკიდებელი, დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა უწოდეს. საქართველოს დამოუკიდებლობისა და დემოკრატიულობის აღიარება საქართველოს დემოკრატიული ინტელიგენციის საუკუნეობრივ ოცნებას და ინტერესებს უპასუხებდა. ცარიზმის კოლონიური უღლის დამსხვრევისა და ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის საქართველოს პროგრესული ძალები დაუღალავად იბრძოდნენ მთელი XIX საუკუნისა და XX ს. ორი ათწლეულის განმავლობაში. თითქოს ფრთები შეისხეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურთა იდეალებმა. მაგრამ დამოუკიდებლობის სიტკბოება, ჭეშმარიტი დემოკრატიზმი ქართველი ხალხისათვის იმ ვითარებაში მოჩვენებითი იყო, მენშევიკური პარტიის ყველა დაპირება ფიქციას წარმოადგენდა, ეს იყო მეტად მოხერხებული საფარი ძალაუფლებისაკენ გზის გასაკაფავად. ვ. ი. ლენინი იმ პერიოდში გენიალურად ეკრეტდა მენშევიკების ე. წ. დამოუკიდებლობის ნამდვილ ბუნებას. „საქართველოს ეს დამოუკიდებლობა ყოვლად აშკარა მოტყუებად იქცა, — შენიშნავდა ლენინი, — სინამდვილეში ეს არის საქართველოს ოკუპაცია და სრული დაპყრობა გერმანელი იმპერიალისტების მიერ, გერმანული ხიშტების კავშირი მენშევიკურ მთავრობასთან ბოლშევიკი მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ"[1].

საქართველოს დემოკრატიულმა ინტელიგენციამ მალე იწვნია მენშევიკური „დამოუკიდებლობისა" და დემოკრატიზმის მოჩვენებითობა. გერმანელი ოკუპანტების შემდეგ საქართველოს ინგლისელი დამპყრობლები დაეპატრონენ. დასავლეთისა და ოკეანესგაღმელი იმპერიალისტები პარიზის საზავო კონფერენციაზე ეაჭრობდნენ საქართველოს თაობაზე და მანდატის საფარქვეშ მისი სრული დაპყრობა ეწადათ. ქვეყნად მოიშალა სახალხო მეურნეობის ყველა დარგი, ჩაკვდა მრეწველობა. ვაჭრობა, გამოიფიტა სოფლის მეურნეობა, აყვავდა სპეკულაცია,

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 28, გვ. 7—8.

შიმშილობამ დაისადგურა, სამეურნეო ნგრევამ კატასტროფული ხასიათი მიიღო. მენშევიკურ მთავრობას მალე გაუჩნდა შინაური ფრონტი; საქართველოს მუშათა კლასთან ერთად სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის აღსდგა გლეხობა, ქალაქის საშუალო ფენა. ის დაუცხრომელი ბრძოლები, რომელსაც მუშათა კლასი, გლეხობა და ქალაქის ნახევრადპროლეტარული ფენები 1918, 1919, 1920 წლის მანძილზე ეწეოდნენ, წარმოადგენდა ხალხის სოციალური და ეროვნული პროტესტის ჟკვეთრ გამოხატულებას. ამ ბრძოლებში აქტიურად მონაწილეობდა დემოკრატიული ინტელიგენცია. მასწავლებლები, მოსამსახურენი, რომლებიც მენშევიკური დიქტატურის მთელ მანძილზე შიმშილობდნენ, ამ რეჟიმის მტრულ ძალად იქცნენ. რაც შეეხება შემოქმედებით ინტელიგენციას, იგი პირველ ხანებში, მართალია, ხალისით ჩაება ეროვნულ-კულტურულ ღონისძიებებში და მისი თაოსნობით გაკეთდა მრავალი მნიშვნელოვანი საქმე — დაარსდა ქართული უნივერსიტეტი, შეიქმნა ქართული კონსერვატორია, ოპერა, განხორციელდა სკოლების ორგანიზაცია ეროვნულ ნიადაგზე და სხვ., მაგრამ მასაც მალე გული აუცრუვდა და იგრძნო, რომ მთავრობას ქვეყანა დაღუპვისაკენ მიჰყავდა. იმედგაცრუების, ეჭვის, გულისტკივილის მოტივები მოძძლავრდა ქართულ ლიტერატურაში. დამფუძნებელი კრების ტრიბუნიდან ინტელიგენციის წარმომადგენლები შეურიგებელ პოზიციას იკავებდნენ და მწვავედ ამათრახებდნენ მთავრობის კურსს. ერთი სიტყვით, დემოკრატიული ინტელიგენცია არსებითად განუდგა ანტიხალხურ მენშევიკურ მთავრობას, იგი ჩაწვდა საბჭოთა რუსეთიდან საქართველოს გამოთიშვის უგუნურობას.

მაგრამ დემოკრატიულ ინტელიგენციას გულში მაინც ჩარჩა იჭვი იმისა, თუ რა შედეგი მოჰყვებოდა ხელისუფლების სათავეში მუშათა კლასის მოქცევას, სასარგებლო იქნებოდა თუ არა იგი ეროვნული კულტურისათვის. ასეთი იჭვი ინტელიგენციის მერყეევი ბუნებისათვის დამახასიათებელი იყო ყველგან, ყველა ქვეყანაში. ეს საინტერესოდ აქვს ახსნილი ა. ვ. ლუნაჩარსკის, რომელიც სტატიაში „საით მიდის საფრანგეთის ინტელიგენცია“ ხაზს უსვამს რა მსხვილი ბურჟუაზიისაგან ინტელიგენციის განდგომის პროცესს, შენიშნავს: „მაგრამ მათი (ინტელიგენციის, ა. ს.) გზა არც ისე მსუბუქი და მარტივია. ჰაინეს მთელი სულითა და გულით სძულდა ბურჟუაზია, იგი ლაპარაკობდა, რომ ის მთელი არსებით პროლეტარიატთანაა. — მაგრამ ვინ იცის, პროლეტარიატის მოსვლას არ მოჰყვეს ძალიან მძიმე ბარბაროსობის დაწყება.. ...შიში იმისა, ვაი თუ დაღუპოს კულტურა! — ჩვენ ყოველივე

ამას ძალიან კარგად ვიცნობთ. ეს შიში ჰუმანისტურ ილუზიებთან ერთად დამახასიათებელი თვისებაა ინტელიგენტებისა, რომლებიც თანაუგრძნობენ რეოლუციას, მაგრამ ცუდად გაეგებათ იგი"[1].

ამ იქვს და შიშს ქართველ დემოკრატიულ ინტელიგენციას უძლიერებდა იშდროინდელი კონკრეტული ისტორიული ვითარება: სამოქალაქო ომის ქარცეცხლში საბჭოთა ხელისუფლებას არ ჰქონდა შესაძლებლობა მთელი ყურადღებით მიეხედა კულტურისათვის. ომის პროცესში კულტურის ზოგი კერები ნგრევასაც განიცდიდნენ. თეთრგვარდიული კონტრრევოლუცია და მისი დამქაში იმპერიალისტური წრეები ათასგვარ ჭორს ავრცელებდნენ ახალგაზრდა მუშურ ხელისუფლებაზე, რომელიც, თითქოს, კულტურის მონაპოვარს აჩანაგებდა. მენშევიკურ-ესერული და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პრესა საქართველოში აღვირახსნილ პროპაგანდას ეწეოდა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ და წარმოადგენდა მას „ბარბაროსების საკრებულოდ", რომელიც თითქოს ჯარისკაცის ჩექმით თელავდა ცივილიზაციის მონაპოვარს რუსეთში. ამ ბოროტ ჭორებს არ შეიძლება ერთგვარი გავლენა არ ჰქონოდა დემოკრატიულ ინტელიგენციაზე, რომელიც თავს მოვალედ თვლიდა უცხო და დამანგრეველი ძალისაგან ეროვნული კულტურის დამცველად გამოსულიყო.

ამ იქვისა და შიშის შედეგი იყო, რომ 1921 წლის თებერვალში, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ ზოგი მერყევი ელემენტი მენშევიზმის მხარეზე დადგა, ზოგი გაჰყვა კიდეც მთავრობას ემიგრაციაში. შიში და უნდობლობა გრძელდებოდა გარკვეული წლების მანძილზე, ვიდრე ინტელიგენცია საკუთარი გამოცდილებით არ დარწმუნდა, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოსათვის სიკეთე და ბედნიერება მოიტანა და რომ იგი ეროვნული კულტურის დაცვისა და გაფურჩქვნისათვის მებრძოლი ყველაზე პროგრესული ძალა იყო.

ვ. ი. ლენინი, რომელიც გენიალურად წვდებოდა წვრილი ბურჟუაზიის მერყევ ბუნებას, ითვალისწინებდა ინტელიგენციის შიშსა და იქვნეულობას, მოითხოვდა მათ მიმართ მეტ დამთმობლობას. ამასთან საჭიროდ თვლიდა სისტემატურ, მოქნილ პროპაგანდას ინტელიგენტურ წრეებში, რომ ამ გზით მათი შიში და იქვნეულობა გაფანტულიყო, ინტელიგენცია ჩაბმულიყო ახალი ქვეყნის პრაქტიკულ მშენებლობაში. წერილში ს. ორჯონიკიძის მიმართ 1921 წ. 2 მარტის თარიღით ვ. ი. ლენინი ხაზგასმით მიუთითებდა: „აუცილებელია ქართველი ინტელიგენ-

---

[1] А. В. Луначарский. Собр. соч., т. 6, с. 270—271.

ციისა და წვრილი ვაჭრების მიმართ დათმობათა განსაკუთრებული პოლიტიკა"[1]. ხოლო მეორე წერილში („აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის ამხანაგ კომუნისტებს") ლენინი კვლავ განმეორებით აღნიშნავდა: „შეტი სირბილე, სიფრთხილე და დამთმობლობა წვრილი ბურჟუაზიის, ინტელიგენციის და განსაკუთრებით გლეხობის მიმართ"...[2]. ვ. ი. ლენინს ჰქონდა ღრმა რწმენა იმისა, რომ საბჭოთა ხელისუფლების პრაქტიკული საქმეები თანდათანობით გაფანტავდა ინტელიგენციის შიშსა და უნდობლობას და გახდიდა მას სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის აქტიურ მონაწილედ.

როგორც ცნობილია, ვ. ი. ლენინის ეს წინასწარი განჭვრეტა ცხოვრებამ გაამართლა. ქართველი დემოკრატიული ინტელიგენცია, ისე როგორც რუსეთის ინტელიგენცია, თანდათან, მაგრამ გულდაჯერებულად და აღფრთოვანებით ჩადგა სოციალისტური სამშობლოს სამსახურში და მისი ეკონომიკისა და კულტურის წინსვლასა და აყვავებაში უდიდესი როლი შეასრულა.

ქართველი დემოკრატიული ინტელიგენცია პირველი რევოლუციის წინა პერიოდში (1900—1904 წწ.)

XX ს. დასაწყისის რუსეთი ხასიათდება რთული და მღელვარე სოციალურ-პოლიტიკური მოვლენებით. ესაა პერიოდი, როცა კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარება იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციის სტადიაში შედის.

რუსეთის ბურჟუაზია, რომელიც XIX საუკუნის 90-იანი წლების სამრეწველო აღმავლობამ მოაღონიერა, ახალ საუკუნეზე დიდ იმედებს იმყარებდა. საახალწლო მეჯლისებზე ქება-დიდებას ასხამდნენ ბურჟუაზიას, რომელსაც, თითქოს, ეკისრებოდა რუსეთის ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების მესვეურობა. ბურჟუაზიული წრეები ზეიმობდნენ: კაპიტალიზმის გზაზე რუსეთი უკან იტოვებდა მრავალ ევროპულ ქვეყანას. მაგრამ კაპიტალიზმის მეხოტბენი, რომელთა ოპტიმისტური წერილებით სავსე იყო მაშინდელი პრესა, სდუმდნენ იმის შესახებ, რომ რუსეთი მსოფლიოს მსხვილ კაპიტალისტურ სახელმწი-

---

1 ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 32, გვ. 189.
2 ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 32, გვ. 393.

ფოებთან ერთად უკვე შესული იყო ლპობის სტადიაში და მას იმპერიალისტური წინააღმდეგობანი ღრღნიდა. ნიშანდობლივია, რომ ამ პერიოდში მთელი კაპიტალისტური სამყარო მოქცეული იყო მძაფრი ეკონომიკური კრიზისის მარწუხებში. XX საუკუნის პირველი ახალი წელი რუსეთშიც კრიზისის გამწვავებით და მუშათა მძლავრი პოლიტიკური გაფიცვებით აღინიშნა.

თვითმპყრობელური რეჟიმისა და მემამულურ-კაპიტალისტური ექსპლოატაციით განაწამები მშრომელი მასები 1900 წლიდან დაწყებულმა მწვავე ეკონომიკურმა კრიზისმა კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა და გაამძაფრა მათი უკმაყოფილება მთავრობის წინააღმდეგ. 900-იანი წლებიდან მუშათა საგაფიცვო ბრძოლამ და გლეხთა აგრარულმა მოძრაობამ უფრო მასობრივი და გამოკვეთილი ხასიათი მიიღო.

ამრიგად, XX საუკუნის დამდეგი რუსეთის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მოასწავებდა ახალ ეტაპს. ეს იყო ცარისტული რეჟიმის კრიზისის უკიდურესი გამწვავების, მუშათა და გლეხთა რევოლუციური მოძრაობის მკვეთრი აღმავლობის ეტაპი, მასების განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელი შტაბის — ლენინური პარტიის ჩამოყალიბების ეტაპი. რუსეთის სიღრმიდან მძლავრად გაისმა რევოლუციური ვულკანის ხმაური, დაჰბერა რევოლუციის ქარიშხალმა, რუსეთში გადმოინაცვლა საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის ცენტრმა, იგი მთელ მსოფლიოში მშრომელი მასების სოციალური და კოლონიური ჩაგვრისაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლის ავანგარდში დადგა.

* * *

ახალი საუკუნე მშრომელთა რევოლუციური ბრძოლის აღმავლობით დაიწყო საქართველოშიც. პირველი მაგალითი ამ მხრივ მისცეს თბილისის „კონკის“ მუშებმა, რომელთაც 1900 წლის იანვარში გაფიცვა გამოაცხადეს. სოციალ-დემოკრატი მუშების ხელმძღვანელობით საგაფიცვო მოძრაობა თბილისში თანდათან მძლავრ და სისტემატურ ხასიათს ღებულობდა. მუშებმა ორგანიზებულად იდღესასწაულეს პირველი მაისი. აგვისტოში გაფიცვა გამოაცხადეს რკინიგზელმა მუშებმა. მთელ ამიერკავკასიაში ეს იყო ერთ-ერთი ძლიერი გამოსვლა, რომელშიც 4000-მდე კაცი მონაწილეობდა, ორგანიზებულობითა და დედაქალაქის საწარმოთა მუშების მხარდაჭერით ხასიათდებოდა. აგვისტოს გაფიცვამ სათავე დაუდო მუშათა მოძრაობის ახალ ეტაპს საქართვე-

ლოსა და ამიერკავკასიაში. იგი მუშათა მოძრაობაში სოციალიზმის იდეის მომძლავრების ნათელ გამოხატულებას წარმოადგენდა. რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის დამრაზმველმა და წარმმართველმა საქმიანობამ უფრო ძლიერად იჩინა თავი 1901 წლის მაისობაში, როშელიც მძლავრ პოლიტიკურ დემონსტრაციაში და საბარიკადო ბრძოლებში გადაიზარდა. ეს მაისობა გაზ. „ისკრამ" შეაფასა როგორც „მთელი კავკასიისათვის ისტორიულად ღირსშესანიშნავი მოვლენა"[1]. თბილისის პროლეტარიატის საბრძოლო სულისკვეთება გადაედო მთელი საქართველოს რევოლუციურ ძალებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია 1902 წლის მღელვარე ამბები ბათუმში. ბათუმის პროლეტარიატის თებერვლის გაფიცვამ, ხოლო შემდეგ 9 მარტის პოლიტიკურმა დემონსტრაციამ, რომელსაც მეფის ჯართან შეტაკება მოუხდა და მსხვერპლიც მოჰყვა, მთელ რუსეთში პოვა გამოძახილი. ბათუმელ მუშათა სოლიდარობის გამოსელებს ადგილი ჰქონდა არა მარტო თბილისში, არამედ ჭიათურასა და ფოთში, ამიერკავკასიის რკინიგზაზე, ბაქოში.

ამიერკავკასიის მუშათა საბრძოლო სოლიდარობის განმტკიცებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1903 წლის ივლისის პოლიტიკურ გაფიცვას ბაქოში. რსდმპ კავკასიის კავშირის თბილისის კომიტეტის მოწოდებით ბაქოელ გაფიცულთ მხარი დაუჭირა 15 ათასამდე თბილისელმა მუშამ. ბაქოსა და თბილისის რევოლუციური ენთუზიაზმი მოედო რუსეთის მთელ სამხრეთს. „ბაქოს შემდეგ თბილისი, თბილისის შემდეგ კიევი, კიევის შემდეგ — ელიზავეტგრადი, დასასრულ — ოდესა. „სამხრეთის მუშათა გრანდიოზული გაფიცვა წარმოადგენს მოვლენას, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ექნება მთელი შემდგომი განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის"[2], წერდა გაზ. „ისკრა".

ახალი საუკუნის გარიჟრაჟზე მუშათა მოძრაობის ასეთ უჩვეულო აღმავლობას თან მოჰყვა აგრარული მოძრაობა საქართველოს სოფლებში. საქართველოს დაბეჩავებულმა და მემამულური ექსპლოატაციით სულშეხუთულმა გლეხობამ 1901—1902 წლებში ერთბაშად აუბა მხარი მუშათა კლასს. გლეხური მოსახლეობის რევოლუციურ გამოღვიძებასა და დარაზმულობაში დიდი როლი შეასრულეს საქართველოს რევოლუციურმა სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა, რომელთაც ამ დროს ფართო ესელი ჰქონდათ გაბმული სოფლად და დიდ პროპაგანდისტულ საქმიანობას ეწეოდნენ. პროპაგანდისტების როლში

---

[1] გაზ. „ისკრა", № 6, 1901.

[2] გაზ. „ისკრა", № 45., 1903.

გამოდიოდნენ აგრეთვე ის ნაწილები, რომლებიც მთავრობამ საგაფიცო ბრძოლაში მონაწილეობისათვის თბილისიდან, ბათუმიდან, ჭიათურიდან სოფლებში გაასახლა.

ის დიდი აღმავლობა, რომელიც ახალი საუკუნის დამდეგიდან დაიწყო საქართველოს ქალაქებისა და სოფლების მშრომელთა რევოლუციურ ბრძოლაში, პირველ რიგში, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ენერგიული პროპაგანდისტულ-ორგანიზატორული მუშაობის შედეგი იყო. საუკუნის დამდეგისათვის თბილისის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი, რომელიც „მესამე დასის" ბაზაზე გაიზარდა, უკვე მძლავრ, ლენინურ-ისკრული მიმართულების ორგანიზაციას წარმოადგენდა. მას მოთავეობდნენ ნაცადი რევოლუციონერები ა. გ. წულუკიძე, მ. გ. ცხაკაია, ვ. ზ. კეცხოველი, ი. ბ. სტალინი, ს. გ. შაუმიანი, პ. ა. ჯაფარიძე, ფ. მახარაძე, ს. ს. სპანდარიანი და სხვები. ღრმა რევოლუციური კვალი დატოვა იმ მჩქეფარე რევოლუციურმა საქმიანობამ, რომელსაც თბილისში, ბაქოში, ბათუმში და ამიერკავკასიის სხვა ქალაქებში ეწეოდნენ აქ სხვადასხვა დროს გადმოსახლებული რუსი სოციალ-დემოკრატები და ადგილობრივი რუსი მოწინავე მუშები თ. აფანასიევი, ი. ლუზინი, გ. ფრანჩესკი, თ. მაიოროვი, ს. ალილუევი, ს. რეიგნერი, ა. ზაკომოლდინი, მ. ი. კალინინი, ო. ერმანსკი, ნ. ვიგორბინი, ი. კოჩეტკოვი და სხვები.

გაზ. „ისკრის" გამოცემა 1900 წლის დეკემბერში მთელი რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში წარმოადგენდა უდიდესი მნიშვნელობის მოვლენას, რომელმაც მტკიცე საფუძველი ჩაუყარა და სწორი, ნათელი მიმართულება მისცა ახალი ტიპის პარტიის მშენებლობას. ამიერკავკასიის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები მტკიცედ დადგნენ ლენინურ-ისკრულ პოზიციაზე. რსდმპ თბილისის კომიტეტის პროკლამაციები და სხვა არალეგალური გამოცემანი დიდ როლს ასრულებდნენ „ისკრის" იდეების მუშებამდე დაყვანის საქმეში, მაგრამ ახალი ტიპის პარტიის მშენებლობას, რასაც „ისკრა" პირველი რიგის ამოცანად აყენებდა, ესაჭიროებოდა მუდმივი პოლიტიკური ორგანო. მართლაც, თბილისელმა და ბაქოელმა ისკრელებმა შეძლეს არალეგალური პოლიტიკური გაზეთის გამოცემა. 1901 წლის სექტემბრის პირველ რიცხვებში ბაქოს არალეგალურ სტამბაში დაიწყო გაზ. „ბრძოლის" ბეჭდვა. გაზ. „ბრძოლა" საქართველოსა და ამიერკავკასიაში გახდა „ისკრის" მებრძოლი თანაშემწე, რომელმაც რევოლუციური ძალების დარაზმვისათვის თვალსაჩინო როლი შეასრულა.

გაზ. „ბრძოლამ" წინ წამოსწია საკითხები, რომლებიც იმ პერიოდ-

ში რუსეთის მასშტაბით სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ძირითად საბრძოლო მიმართულებას განსაზღვრავდნენ.

გაზ. „ბრძოლა" სწორ მიმართულებას აძლევდა ქართველ მუშებსა და ცარიზმის წინააღმდეგ რევოლუციურ ბრძოლაში ჩაბმულ ინტელიგენციას, რომელსაც ჯერ კიდევ არ გაეგებოდა ჭეშმარიტი მარქსიზმი და ხშირად ოპორტუნისტების იდეურ ტყვეობაში ექცეოდა. იგი განმარტავდა, რომ დაჩაგრული და ექსპლოატირებული მასების განთავისუფლება მხოლოდ და მხოლოდ ცარიზმის წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლებით შეიძლება და რეფორმების გზა, რასაც ეკონომისტები და სხვა ოპორტუნისტები ურჩევენ პროლეტარიატს, დამღუპველია[1].

გაზ. „ბრძოლა" ასაბუთებდა მუშათა მოძრაობაში სოციალისტური იდეოლოგიის გარედან შეტანის აუცილებლობას, რაც ამ მოძრაობის საბრძოლო შტაბის — პროლეტარიატის პარტიის მეშვეობით უნდა მომხდარიყო. ჩვენი ამოცანაა ვიმუშაოთ ძლიერი პარტიის შესაქმნელად — აღნიშნავდა გაზეთი, — რომელიც იქნება აღჭურვილი მტკიცე პრინციპებით და გაუტეხელი კონსპირაციით. „პროლეტარიატი — აი მომავალი ძალა, რომელმაც უნდა დალეწოს თვითმპყრობელობა. სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ უნდა გამოუცხადოს სასიკვდილო ბრძოლა თვითმპყრობელობას"[2].

„ბრძოლამ" დროულად და მართებულად გაუსვა ხაზი იმ სიახლეს, რაც თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ქვეყნის პროგრესული ძალების მოძრაობაში ახალმა საუკუნემ შეიტანა.

თუ XIX საუკუნეში რუსეთის დემოკრატია საერთო ძალით უტევდა ცარიზმს და რევოლუციურ დემოკრატიზმს წამყვანი პოზიცია ეკავა, ახალ ვითარებაში ძალთა გადაჯგუფება მოხდა. ექსპლოატატორული, დესპოტური წყობილების დანგრევისათვის ბრძოლაში ავანგარდული როლი, ჰეგემონობა მხოლოდ პროლეტარიატს უნდა შეესრულებინა, რადგან იგი იყო ყველაზე მოწინავე. მზარდი, მომავლის მქონე საზოგადოებრივი ძალა, ამასთან, ყველაზე მეტად დაინტერესებული ძველი რეჟიმის დამხობასა და სოციალისტური საზოგადოების დამყარებაში.

„რუსეთშიც, და საზოგადოდ ყველგან, მხოლოდ რევოლუციური პროლეტარიატი არის ისტორიისგან ამორჩეული, როგორც განმათავისუფლებელი კაცობრიობისა და ქვეყნად ბედნიერების დამამყარებე-

---

[1] გაზ. „ბრძოლა", № 1, 1901.

[2] გაზ. „ბრძოლა", № 2, 1901.

ლი"[1], — მიუთითებდა გაზეთი და ასკვნიდა: „ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს — შეძლებს მუშათა კლასი ჩაუდგეს სათავეში, გაუწიოს წინამძღოლობა საერთო დემოკრატიულ მოძრაობას, თუ იგი მოძრაობას გაყვება კუდში, როგორც დამხმარე ძალა ინტელიგენციისა", ე. ი. ბურჟუაზიისა. პირველ შემთხვევაში თვითმპყრობელობის დამხობის ნაყოფი იქნება ფართო დემოკრატიული კონსტიტუცია, რომელიც მიანიჭებს თანასწორ უფლებებს მუშასაც, საწყალ გლეხსაც და კაპიტალისტსაც, მეორე შემთხვევაში კი ნაყოფად დაგვრჩება ის „გაყალეფილი" კონსტიტუცია, რომელიც აბსოლუტიზმზე ნაკლებად არ შეძლებს მუშების მოთხოვნილების გადაქელვას და მიანიჭებს ხალხს „ხოლოდ თავისუფლების აჩრდილს"[2]. საერთო დემოკრატიულ მოძრაობასთან მუშათა კლასის დამოკიდებულებაზე, ან უფრო ზუსტად, ამ მოძრაობაში მუშათა კლასის წამყვან, ჰეგემონურ როლზე საგანგებო მითითება, ამავე დროს, მიმართულებას აძლევდა იმ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, რომელიც საქართველოში XIX საუკუნის მთელ მანძილზე ებრძოდა ცარიზმს და მიზნად ისახავდა მშრომელი მასების სოციალური და კოლონიური ჩაგვრისაგან გათავისუფლებას. „ბრძოლა" გარკვევით მიუთითებდა, რომ ამ მოძრაობის საერთო დემოკრატიული შინაარსი ახლანდელ ვითარებაში აღარაა დამაკმაყოფილებელი, მან თავისი თავი ამოსწურა და საერთო დემოკრატიული ლოზუნგებით მოქმედება მხოლოდ „თავისუფლების აჩრდილს" თუ მოიტანს, რომ ახალ ეტაპზე ამ მოძრაობის მესვეური უნდა იყოს არა ქართველი დემოკრატიული ინტელიგენცია, არამედ მუშათა კლასი და მისი პარტია, მუშათა კლასი კი არ უნდა მიჩანჩალებდეს კუდში საერთო დემოკრატიულ ბრძოლას, არამედ მან ამ მოძრაობის დროშა აიტაცოს და გლეხობასთან კავშირში შეუტიოს თვითმპყრობელობას. საერთო დემოკრატიული მოძრაობა კი შეიძლება დარჩეს როგორც შენაკადი ამ ბრძოლისა, მისი დამხმარე საშუალება. გაზეთი არ ურჩევდა მუშათა კლასს გამოსთიშოდა იმ რევოლუციურ მოძრაობას, რომელსაც „საზოგადოების სხვა ელემენტები" ეწეოდნენ, გამოსთიშოდა წვრილბურჟუაზიული ფენების საერთო დემოკრატიულ ბრძოლას, რომელიც თვითმპყრობელობის დამხობის და ქვეყნის დემოკრატიული გარდაქმნის მოთხოვნით გამოდიოდა. „ბრძოლა" საჭიროდ თვლიდა საგანგებო ყურადღების მიქცევას ყოველგვარი ანტიცარისტული მოძრაობისადმი არა იმ მიზნით,

---

[1] გაზ. „ბრძოლა", № 1, 1901.

[2] გაზ. „ბრძოლა", № 2—3, 1901.

რომ მათთან კომპრომისი გამონახულიყო, არამედ იმის რწმენით, რომ ამ მოძრაობას პროლეტარიატი თავისი მიზნისათვის გამოიყენებდა, მასზე ზეგავლენას მოახდენდა, პროლეტარიატის განმათავისუფლებლურ იდეოლოგიას დაუმორჩილებდა[1]. ეს იყო გაბედული განცხადება იმისა, რომ ამიერიდან ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოთავედ საქართველოში გამოდიოდა პროლეტარიატი და მისი პარტია; რომ ყველა დანარჩენ პროგრესულ ძალებს, თავიანთი პროგრამა ამ ახალი ავანგარდული ძალის იდეოლოგიის მიხედვით უნდა გაეწყოთ. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლებოდა საერთო ფრონტით მოქმედება.

900-იან წლებში, იმ დროს, როცა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიები საქართველოში ზედიზედ იწყებდნენ აღმოცენებას და ქართველი ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლაში მოთავეობას იჩემებდნენ, „ბრძოლის" ზემოთ მითითებულ გამოკვეთილ რევოლუციურ კლასობრივ პოზიციას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. იგი საფუძველს აცლიდა „საერთო ნიადაგის" ბურჟუაზიელ თეორიას, რომელსაც „ცნობის ფურცელი" უწევდა პროპაგანდას.

გაზეთმა „ბრძოლამ" სარედაქციო წერილშივე ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ქართული სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა არ წარმოადგენს კერძო, მარტო ქართველ მუშათა მოძრაობას საკუთარი პროგრამით, ის ხელიხელგადახვეულია მთელი რუსეთის მოძრაობასთან და, მაშასადამე, ეკვემდებარება რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას"[2]. აქ ნათლად იყო გამოთქმული ახალი ტიპის პარტიის ინტერნაციონალურ საფუძველზე აგების თვალსაზრისი; გარკვევით იყო მითითებული, რომ საქართველოს მუშათა კლასს არა აქვს და არც უნდა ჰქონდეს თავისი საკუთარი, რუსეთის მუშათა კლასისაგან გამოთიშული პროგრამა, ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მუშათა კლასი ყველგან და ყოველთვის ერთი პროგრამით, შეერთებული ძალებით უნდა გამოდიოდეს, მუშათა რევოლუციური მოძრაობა კავკასიაშიც, უკრაინაშიც — ყველგან, იმპერიის განაპირა — ნაციონალურ რაიონებში რუსეთის მუშათა კლასის — როგორც ხელმძღვანელი ძალის ბრძოლის განშტოებას წარმოადგენს. ამ მითითებას დაბნეულობიდან გამოჰყავდა საქართველოს ჯერ კიდევ მოუმწიფებელი რევოლუციური ძალები, რომელნიც იმ დროისათვის ნათლად არ იყვნენ გარკვეული საერთო რევოლუციური ფრონტის მნიშვნელობაში და ეროვნული თა-

---

1 გაზ. „ბრძოლა", № 1, 1901.

2 ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 1, გვ. 6.

ვრცთავადობის შინაარსის მოთაფლული დაპირებების გაელენით ცარიზმის კოლონიური უღლისაგან განთავისუფლების გზას სეპარატიზმში ხედავდნენ და ცდილობდნენ მოქმედება ეროვნული განცალკევების გზით წარემართათ.

გაზეთის სარედაქციო სტატიის ზემომოტანილი მითითება ნათლად გამოხატავდა ეროვნულ საკითხში აღიარებულ პოზიციასაც. „ბრძოლამ" ეროვნული საკითხი არა თვითმიზნად, არამედ მუშათა კლასის განმათავისუფლებელი ბრძოლის შემადგენელ ნაწილად გამოაცხადა. რუსეთის მრავალეროვანი იმპერიის მუშათა კლასის საერთო ფრონტის აღიარება, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში რუსი, ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი, უკრაინელი და ყველა სხვა ეროვნების ძალთა საბრძოლო გაერთიანება ნიშნავდა წინა პლანზე პროლეტარული ინტერნაციონალიზმის წამოწევას. ამ ერთიან მოძრაობას უნდა დაერღვია ნაციონალური კედლები, რომელსაც ეროვნულ-ბურჟუაზიული პარტიები აგებდნენ და ერთ მთლიან ნაკადად წარემართა იერიშები თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. სტატიაში „ნაციონალიზმი და სოციალიზმი", რომელიც ახალგაზრდა ნიჭიერი მარქსისტის ალ. წულუკიძის კალამს ეკუთვნის, მითითებული იყო, რომ „პროლეტარიატის დემოკრატიული პროგრამა სავსებით შეიცავს დაჩაგრული ერების ინტერესებს, ეროვნულ თავისუფლებას და ამ ერებს სრული ნდობით შეუძლიათ გაჰყვნენ პროლეტარიატს დემოკრატიისათვის ბრძოლაში. ეს არ მოატყუებს მათ როგორც ატყუებდა მას ბურჟუაზია განმათავისუფლებელ ბრძოლაში"[1].

გაზ. „ბრძოლის" სულ 4 ნომერი გამოვიდა. ჟანდარმერიამ გაზეთის აქტიური თანამშრომლები ციხეში გამოამწყვდია. არსებობის ასეთი მოკლე დროის მიუხედავად, „ბრძოლამ" საქართველოსა და ამიერკავკასიის მუშათა მოძრაობის ისტორიაში თვალსაჩინო როლი შეასრულა. იგი ლენინური „ისკრის" კავკასიელი თანამოძმე გახდა და საფუძველი მოუმზადა რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ახალი ტიპის პარტიად ჩამოყალიბებას. „ბრძოლის" გამოსვლის დღეებში გაზეთის გამოცემის მთავარი ორგანიზატორი ლ. კეცხოველი მგზნებარებით ამბობდა: „ეს ახალი „ბრძოლა" ბომბაა,... ნამდვილი ბომბა! ყუმბარასავით გავარდება და საცა კი დაეცემა, სულ ბღლვირს აადენს, რევოლუციის ცეცხლს დაანთებს!". ლ. კეცხოველის წინათგრძნობა

---

[1] გაზ. „ბ რ ძ ო ლ ა", № 2—3, 1901.

ახდა: „ბრძოლა“ საქართველოს რევოლუციის ხანძრის გამაღვივებლად მოევლინა.

„ისკრის“, ხოლო შემდეგ „ბრძოლის“ ფურცლებზე რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის პარტიული მშენებლობის ძირითადი პრინციპების შესახებ გაწეულმა პროპაგანდამ დიდად დააჩქარა ლენინურ-ისკრული ორგანიზაციების ხელმძღვანელი ორგანოების ჩამოყალიბება. 1901 წლის 11 ნოემბერს თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის არალეგალურ კონფერენციაზე უკვე გაფორმდა რსდმპ ლენინურ-ისკრული მიმართულების თბილისის კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში არჩეულ იქნენ ი. სტალინი, ზ. ჩოდრიშვილი, ა. ოქუაშვილი, გ. ჩხეიძე, ს. ჯუღელი, გ. ყარაჯაევი (არკომედ.), ვ. ცაბაძე.

რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული წრეების ორგანიზაციული მუშაობა ცხოვლად მიმდინარეობდა ამიერკავკასიის სხვა სამრეწველო ქალაქებში. 1902 წლის დამდეგისათვის ამიერკავკასიაში უკვე მოქმედებდა ლენინურ-ისკრული მიმართულების სამი ძლიერი ორგანიზაცია — თბილისისა, ბათუმისა და ბაქოს კომიტეტები, რომლებიც მუშაობდნენ „ისკრის“ იდეური ხელმძღვანელობით ვ. ი. ლენინის მითითებათა საფუძველზე[1].

ბრავალეროვან ამიერკავკასიაში მუშათა კლასის ინტერნაციონალური სულისკვეთებით საბრძოლო დარაზმვის საქმეში „ბრძოლასთან“ ერთად თვალსაჩინო როლი შეასრულა არალეგალურმა გაზეთმა „პროლეტარმა“, რომელიც თბილისში 1902 წელს გამოსცა „სომეხ სოციალ-დემოკრატთა კავშირმა“. გაზეთში გამოქვეყნდა კავშირის „მანიფესტი“, სადაც საგანგებოდ იყო მითითებული, რომ იგი მთლიანად და სავსებით იზიარებს „ისკრის“ მიმართულებას და თავისი თავი მიაჩნია რსდმ პარტიის განშტოებად“. ამრიგად, „პროლეტარი“ მთლიანად იდგა გაზ. „ბრძოლის“ პოზიციაზე. მანიფესტი ამასთან გამოკვეთილად აყალიბებდა ეროვნულ პროგრამას და მიუთითებდა, რომ აღიარებდა ყველა ხალხის თვითგამორკვევის უფლებას, რადგან ეროვნული თავისუფლება მიაჩნდა საერთო მოქალაქეობრივი თავისუფლების შემადგენელ ნაწილად[2]. აღსანიშნავია, რომ გაზ. „პროლეტარის“ ეს ნომერი

---

[1] საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, თბილისი, 1971, გვ. 100.

[2] С. Шаумян, избр. произведения, т. I, с. 18. Г. А. Галоян. Рабочее движение и национальный вопрос в Закавказье 1900—1922, Ереван, 1969, с. 49.

ს. შაუმიანმა გაუგზავნა ლონდონში ვ. ი. ლენინს, რომელმაც შემდეგ „ისკრის“ ფურცლებზე საგანგებო სტატია მიუძღვნა მანიფესტს[1] და მიესალმა მის მიერ ეროვნული საკითხის მართებულ დაყენებას.

რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების მშენებლობის ის ინტერნაციონალური პრინციპი, რომელიც „ბრძოლამ“ და „პროლეტარმა“ უყოყმანოდ აღიარეს, აგრეთვე ამიერკავკასიის მსხვილ ცენტრებში ლენინურ-ისკრული მიმართულების სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ფორმირების წარმატებანი, თავისთავად აყენებდა საკითხს საერთო ამიერკავკასიული ხელმძღვანელი ორგანოს ჩამოყალიბების შესახებ. ასეთი ხელმძღვანელი ცენტრი მართლაც შეიქმნა 1903 წლის მარტის შუა რიცხვებში მოწვეულ კავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების პირველ ყრილობაზე. მას ეწოდა რსდმპ კავკასიის კავშირი. კავშირის კომიტეტმა გაზ. „ბრძოლისა“ და „პროლეტარის“ სიმბოლური გაერთიანებით გაიჩინა ახალი ორგანო, „პროლეტარიატის ბრძოლა“, რომელიც პირველად ქართულ და სომხურ ენებზე გამოდიოდა, შემდეგ მას რუსული გამოცემაც შეემატა.

გაზეთთან ერთად პროლეტარული იდეოლოგიის პროპაგანდის საქმეში დიდ როლს ასრულებდა რევოლუციური არალეგალური ლიტერატურა, რომლის გამოცემა 1903 წლის შემდეგ გაიზარდა. უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ავლაბარში არალეგალური სტამბის შექმნას. ეს იყო რევოლუციური კონსპირაციის ერთ-ერთი ბრწყინვალე მაგალითი. ბოლშევიკურ არალეგალურ სტამბაში 1904—1905 წლებში დაიბეჭდა დიდძალი რევოლუციური ლიტერატურა.

ბოლშევიკური პარტიის მეორე ყრილობის შემდეგ საქართველოში რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ორგანიზატორული და სააგიტაციო საქმიანობა კიდევ უფრო გაცხოველდა. რევოლუციური მოძრაობის ხელმძღვანელობის მძლავრი კერები აღმოცენდნენ ბათუმში, ქუთაისში. შეიქმნა რსდმპ იმერეთის კომიტეტი, რომელიც მთელ დასავლეთ საქართველოში სათავეში ედგა მუშათა, გლეხთა და დემოკრატიული ინტელიგენციის რევოლუციური ბრძოლის აღმავლობას. „ამრიგად, 1901—1903 წლებში იმ დიდი იდეური და ორგანიზაციული მუშაობის შედეგად, რომელიც გასწიეს ლენინურ-ისკრული მიმართულების ჯერ თბილისის კომიტეტმა, შემდეგ თბილისისა და ბათუმის კომიტეტებმა და ბოლოს რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა და იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტმა, უზრუნველყოფილ იქნა

[1] გაზ. „ისკრა“, № 33, 1902.

ლენინურ-ისკრული მიმართულების სრული გამარჯვება საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში"[1].

მეორე ყრილობის შემდეგ კავკასიაშიც, ისე როგორც რუსეთში, სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში აღმოცენდა ორი მიმდინარეობა — ბოლშევიზმი და მენშევიზმი. კავკასიელმა მენშევიკებმა არ ისურვეს პარტიის მეორე ყრილობის გადაწყვეტილებებს დამორჩილებოდნენ და ფართოდ გააჩაღეს დეზორგანიზატორული საქმიანობა იმ მიზნით, რომ ხელთ ეგდოთ ხელმძღვანელობა კავკასიის კავშირის, თბილისის და ქუთაისის კომიტეტებში. იდეური ბრძოლა ამ ორ მიმდინარეობას შორის შეურიგებელ და შეუპოვარ ხასიათს ატარებდა. ამიერკავკასიის ბოლშევიკების ბრძოლა მენშევიკების დეზორგანიზატორულ-გამთიშველური საქმიანობის წინააღმდეგ განუყრელად იყო დაკავშირებული იმ ბრძოლასთან, რომელსაც ვ. ი. ლენინი ეწეოდა მენშევიზმის წინააღმდეგ მთელი რუსეთის მასშტაბით. როგორც ცნობილია, შექმნილი ვითარებიდან ერთადერთ გამოსავლად ვ. ი. ლენინს მიაჩნდა პარტიის მესამე ყრილობის მოწვევა. ვ. ი. ლენინის მოწოდებას მესამე ყრილობის მოწვევის შესახებ მხურვალედ დაუჭირა მხარი რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა. ყრილობის მოწვევისათვის მზადება ამიერკავკასიის ორგანიზაციებში მენშევიკებთან შეურიგებელი იდეური ბრძოლის ვითარებაში მიმდინარეობდა. ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები ამ ბრძოლაში მტკიცდებოდნენ, იწრთობოდნენ. ისინი წარმოადგენდნენ ვ. ი. ლენინის საიმედო დასაყრდენს რევოლუციური მარქსისტული პარტიისათვის ბრძოლაში.

* * *

1900 წლის პირველ იანვარს გაზეთმა „ივერიამ" გამოსცა საგანგებო საახალწლო დამატება, რომელშიც მოწინავედ დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის ცნობილი სტატია „მეცხრამეტე საუკუნე". ამ სტატიაში მოკლედ, მაგრამ შთამბეჭდავად იყო შეფასებული XIX საუკუნის დანიშნულება და როლი კაცობრიობის ისტორიაში, მისი მთავარი იდეალი და მიმართულება. „ვინ მოსთვლის ყოველს იმ სიკეთეს, — წერდა ილია, — რომელიც მეცხრამეტე საუკუნემ შესძინა კაცობრიობას. ერთი დიდი და სახელოვანი საქმე მეცხრამეტე საუკუნისა, სხვათა შორის, ის არის, რომ მაგარს საფუძველზე დააყენა და ფრთა გააშლევინა იმ კაცთმოყვარულს მოძღვრებას, რომ ყოველი ადამიანი, რა წოდებათა კიბის საფეხურზედაც გინდ იდგეს, მაინც ადამიანია, და ვითარცა ადა-

[1] საქართველოს კომპარტიის ისტორიის ნარკვევები 1883—1970, 1971, გვ. 107.

მიანი — ყველასთან თანასწორი, თანასწორად შესაწყნარებელი და გულ-შესატკივარი. მართალია, ამ მოძღვრების დასაბამი დიდის ხნისაგან მოდის, მაგრამ ამ საუკუნემ ეს მოძღვრება განადიდა, გააძლიერა, გააფართოვა და დაუდვა რა მეცნიერული საბუთი, ღარიბთა და უძლურთა სამწეო მოძღვრებად გადააქცია. ამ მეცხრამეტე საუკუნემ სოციალურის წყობილების იდეალად გამოსახა „გაუქმება ქონებისა და შემოსავლის მეტ-ნაკლებად განაწილებისა ადამიანთა შორის, გაუქმება ყოველის კლასობრივის ბატონობისა და, შეძლებისამებრ, ყოველის კლასობრივის სხვადასხვაობისა, ფეხზე წამოყენება და ხელშეწყობა ბამრჯელ და მშრომელ კლასებისა წარსამატებლად". ამ გზაზე წინა საუკუნეებს ერთად იმოდენი არა უქმნიათ-რა, რაც ამ ერთმა მეცხრამეტე საუკუნემ ჰქმნა თავისდა პატივის მოსახსენებლად"[1].

ამონაწერიდან ნათლად ჩანს, რომ XIX საუკუნის დიდ დამსახურებათა შორის მთავარ დამსახურებად ილიას მიაჩნდა განმათავისუფლებელი მოძრაობის დამკვიდრება. ილიას აზრით, ეს მოძრაობა წინათაც იყო, მაგრამ XIX საუკუნემ მას მეცნიერული საფუძვლები ამოუშენა, მეცნიერულ საბუთიანობაზე დააფუძენა განმათავისუფლებელი იდეალები, სხვაგვარად რომ ვთქვათ, სოციალიზმი უტოპიიდან მეცნიერულ მოძღვრებად გადააქცია. მეცნიერული სოციალიზმი გახდა „ღარიბთა და უმწეოთა სამწეო მოძღვრება", ამ მოძღვრების განხორციელება, — წერს ქვემოთ ილია, — „მეცხრამეტე საუკუნემ უანდერძა აწ მომავალს საუკუნეს"[2]. ქართველ მოაზროვნეთაგან არავის მოუცია XIX საუკუნის უკეთესი შეფასება. ეს შეფასება მართებულია. მასში ნათლადაა დანახული სოციალიზმის იდეის ძლევამოსილება, მიკვლეულია კაცობრიობის პროგრესის მთავარი ძარღვი, გამოკვეთილია ახალი საუკუნის დანიშნულება.

ი. ჭავჭავაძის ეს სტატია გაზ. „ივერიისათვის" საპროგრამო როლს ასრულებდა. რედაქტორის პირით გაზეთი საზოგადოებრიობას ახალ საუკუნეში აღუთქვამდა ბრძოლას იმ დიდი განმათავისუფლებელი იდეალებისათვის, რომლებიც XIX საუკუნემ შეიმუშავა. გაზეთი ერთგული რჩებოდა ადრინდელი მიმართულებისა და მკითხველთ მიანიშნებდა, რომ კვლავაც ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ტრიბუნა იქნებოდა.

„ივერიას" და მის რედაქტორს ი. ჭავჭავაძეს, რა თქმა უნდა, სო-

---

[1] ილია ჭავჭავაძე. თხზ., სრ. კრებული, ტ. V, გვ. 8—9.

[2] იქვე, გვ. 9.

ციალიზმზე და მისი განხორციელების გზებზე თავისებური შეხედულება ჰქონდათ. ეს სოციალიზმი კლასთა გათანაბწორებას და ჰარმონიას გულისხმობდა, იგი პროლეტარიატის ჰეგემონობის, პროლეტარიატის დიქტატურის შეგნებამდე ვერ ამაღლებულიყო და სოციალიზმზე წვრილბურჟუაზიული დემოკრატის წარმოდგენას ვერ სცილდებოდა. მაგრამ მიუხედავად ამ შეზღუდულობისა, სოციალისტური იდეებისადმი მხარდაჭერა, საერთოდ, გაზეთს და მის რედაქტორს თვალსაჩინო როლს უმკვიდრებდა ახალი ეტაპის განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

1900—1904 წლებში გაზ. „ივერიის" ნომრების შესწავლას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ გაზეთი აგრძელებდა დემოკრატიული პოზიციიდან საქართველოს საშინაო ცხოვრების მტკივნეული საკითხების, საგარეო პოლიტიკის საკითხებისა და მსოფლიოს ხალხთა ცხოვრების მთავარი მოვლენების გაშუქებას. გაზეთი ყოველთვის წინა პლანზე სწევდა ხალხის ინტერესებს და გმობდა ყოველგვარ მჩაგვრელ ძალას ყველა ქვეყანაში. „ივერია" მთავარ ყურადღებას მაინც ქართველი ხალხის განათლებისა და კულტურის საკითხებს აქცევდა, ფართოდ აშუქებდა ქართული თეატრის სცენურ ცხოვრებას, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების პატრიოტულ საქმიანობას. არც თუ იშვიათად „ივერიას" ცხარე კამათი ჰქონდა „კვალთან", „ცნობის ფურცელთან". ეს კამათი უპირატესად ახალი თაობის აღზრდის მეთოდებსა და მიმართულებას შეეხებოდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ 1900 წლიდან ი. ჭავჭავაძე ფაქტიურად „ივერიას" ჩამოსცილდა და მის ყოველდღიურ ცხოვრებაში აღარ მონაწილეობდა. დაძაბულმა შრომამ ილია მოქანცა, შეირყა მისი ჯანმრთელობა. 1900 წელს სამკურნალოდ გერმანიაში წავიდა. 1901 წელს ილია კვლავ საზღვარგარეთ, — ამჯერად პარიზს გაემგზავრა. ევროპაში მკურნალობა-დასვენებამ ვერ უშველა, ვერ აღიდგინა ჯანმრთელობა. პარიზიდან დაბრუნებული თავს კვლავ შეუძლოდ გრძნობდა და საჭიროდ ჩათვალა „ივერიის" რედაქტორობისათვის თავი მიენებებინა. 1901 წლის ნოემბრიდან „ივერიას" სათავეში დროებით ჩაუდგა ი. ჭავჭავაძის თანამებრძოლი ალ. სარაჯიშვილი. 1902 წლის აპრილიდან ალ. სარაჯიშვილმა ილიასაგან სამუდამოდ ჩაიბარა „ივერიის" გამომცემელ-რედაქტორის თანამდებობა. ოცდახუთწლიანი გმირული ბრძოლა ქართული საზოგადოებრივი აზრის შემართებისათვის „ივერიის" ფურცლებზე ილიამ წარმატებით დაასრულა, თუმცა ამ გაზეთში თანამშრომლობა მის დახურვამდე არ შეუწყვეტია.

„ივერიის" შემდეგ მეორე დემოკრატიული გაზეთი, რომელსაც

ფართო მკითხველი ჰყავდა და ავტორიტეტით სარგებლობდა, იყო „ცნობის ფურცელი“; 1900 წლის ნოემბრამდე იგი გამოდიოდა ვ. გუნიას რედაქტორობითა და საინფორმაციო დანიშნულებით იფარგლებოდა. 1900 წლის ნოემბერში გაზეთი იყიდა ალ. ჯაბადარმა, რომელმაც რედაქტორად წარადგინა ალ. ჭყონია („მოამბის“ რედაქტორი). ჩამოყალიბდა რედაქციის ახალი ბირთვი, რომელშიც შევიდნენ გ. ლასხიშვილი, შ. ბილანიშვილი, ელ. ლორთქიფანიძე, ქაეთარაძე. შემდეგ მათ შეუერთდა ა. ჯორჯაძე, ს. ფირცხალავა, გ. რცხილაძე და ი. აღლაძე.

„ცნობის ფურცლის“ მოღვაწეთა ეს ჯგუფი საკმაოდ ცნობილია საქართველოს ისტორიაში. ესენი იყვნენ წვრილბურჟუაზიული მიმართულების ინტელიგენტები, რომლებიც არსებული რეჟიმისადმი მტრულად იყვნენ განწყობილნი და თავიანთ მოწოდებას ამ რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში ხედავდნენ. ისინი ესწრაფოდნენ ქვეყნის დემოკრატიულ გადახალისებას, თავის თავს სოციალისტური იდეოლოგიის მიმდევრადაც აცხადებდნენ, მაგრამ ეს იყო წვრილბურჟუაზიული სოციალიზმი, რომელიც პროლეტარიატის განთავისუფლების მეცნიერული მოძღვრებისაგან დიდად განსხვავდებოდა. მოღვაწეთა ეს ჯგუფი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში წინა პლანზე ეროვნულ საკითხს აყენებდა, არ ესმოდა და არც სურდა გაეგო, რომ ეროვნული საკითხი კლასობრივის შემადგენელი ნაწილია და მისი გადაჭრა პროლეტარიატის სრული სოციალური განთავისუფლების გარეშე შეუძლებელია. სწორედ ეროვნული საკითხის გამო მოღვაწეთა ამ ჯგუფს დიდი უთანხმოება ჰქონდა საქართველოს რევოლუციურ სოციალ-დემოკრატებთან, რომელთაც კოსმოპოლიტებს და ნიჰილისტებს უწოდებდნენ. „ცნობის ფურცლის“ ეს ბირთვი, მალე საქართველოში ახალი წვრილბურჟუაზიული პარტიის ჩამოყალიბების ინიციატორი გახდა. პევრი მათგანი ამ პარტიას ხელმძღვანელ პოსტზე ბოლომდე შერჩა.

„ცნობის ფურცლის“ სარედაქციო ბირთეი თანდათან აფართოებდა თანამგრძნობთა ჯგუფს. წვრილბურჟუაზიული მიმართულების ინტელიგენტური წრეებიდან. ვ. გუნიასა და ნ. ქართველიშვილის ბინებში სისტემატურად იმართებოდა შეკრებები, რომელსაც „ცნობის ფურცლის“ ეს წამყვანი თანამშრომლები მოთაეეობდნენ. შეკრების სისტემატური მონაწილენი იყვნენ, რედაქციის თანამშრომლებს გარდა, გიორგი და ანდრია დეკანოზიშვილები, ილ. ნაკაშიძე, ფ. გოგიჩაიშვილი, ევტ. მამინაშვილი, ნ. ქართველიშვილი, ს. ვახვახიშვილი და სხვ. შეკრებებზე გამართულ აზრთა გაცვლა-გამოცვლაში ერთი ნაწილი XIX ს. 60—70-იანი წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაო-

ბის იდეოლოგიას იზიარებდა და მიმდინარე ეტაპზე ეროვნული საკითხის გადაჭრისათვის ბრძოლით იფარგლებოდა. მეორე ნაწილი სოციალისტური იდეოლოგიით იყო გატაცებული და მხარს უჭერდა ქართველ მარქსისტებთან იდეურ სიახლოვეს. მესამე ჯგუფი შესაძლებლად თვლიდა ამ ორი მიმდინარეობის შერიგებას და ეროვნულ-სოციალისტურ მიმართულებას იჩემებდა. ამ შეკრებებზე იკვეთებოდა ახალი წვრილბურჟუაზიული პარტიის საძირკვლები. შეკრების მესვეურთ პარტიის შექმნა გარდუვალად მიაჩნდათ, მაგრამ არ ჩქარობდნენ. პირველი რიგის ამოცანად სახავდნენ საზოგადოებრივი აზრის შემზადებას ახალი პარტიისათვის. გ. ლასხიშვილი იგონებს, „ჩვენ არ ვფიქრობდით პარტიის დაარსების დაჩქარებას. წმინდა სტრატეგიული მოსაზრება იყო: „ჯერ არტილერიის საშუალებით დამზადება ბრძოლის ველისა"[1].

გაზეთმა თავისი საპროპაგანდო გამოსვლები პირველყოვლისა გასული საუკუნის იდეური ცხოვრების შეფასებას მიუძღვნა. 6 იანვრის ნომერში დაიბეჭდა კიტა აბაშიძის სტატია, რომელიც XIX საუკუნის ლიტერატურულ ცხოვრებას და საზოგადოებრივ აზროვნებას ეხებოდა და მკითხველს თავისებურ შეფასებასაც სთავაზობდა. სტატიის ავტორის აზრით, XIX ს. მსოფლიოს ასპარეზზე „პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებანი მოხდა გარეშე ჩვენი მონაწილეობისა და გავლენისა და უფრო ერთი ამ ცვლილებათაგანი ჩვენ თოფის სიახლოვეზედაც არ მოგვკარებია, მეცნიერულ-ფილოსოფიური მსვლელობისაც კი სრულიად გარეშე მაყურებლად დავრჩით.... უმთავრესი ტონი ჩვენი მწერლობისა არის ღრმა პესიმიზმი, ხანდახან ქრისტიანობრივის მოთმინებით აღვსილი (ნ. ბარათაშვილი), ხანდახან მხნე და გამბედავი (ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი), უმეტესად კი უსაზღვრო, დაუსრულებელი რადიკალური, უსასო და უიმედო (ჭავჭავაძეები და ჩვენი ახალი მწერლები); მთელი ჩვენი მწერლობა გაჟღენთილია პესიმიზმით, ეს პესიმიზმი ხან ლბილია და გულჩვილი, ხან სასტიკი და მძაფრი..."[2].

კ. აბაშიძე გაზეთის საშუალებით ქართველ ლიტერატურულ მოღვაწეებს სთხოვდა გამოეთქვათ თავიანთი აზრი XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის დამსახურებასა და XX საუკუნის პერსპექტივებზე. ეს თხოვნა კ. აბაშიძემ გაზეთის 22 თებერვლის ნომერში კვლავ გაიმეორა: „უმორჩილესად ვთხოვთ ყველა ჩვენს მოღვაწეს როგორც სალიტერატურო, ისე საზოგადოებრივ ასპარეზზე, ნუ დაიზარებენ და რამდენიმე სიტყვით გამოთქვან თავისი აზრი XIX საუკუნის ჩვენი ლიტე-

[1] გ. ლასხიშვილი, მემუარები, თბ., 1934, გვ. 141.
[2] გაზ. „ცნობის ფურცელი", 6 იანვარი, 1901.

რატურის შესახებ, მისი მოსალოდნელი და სასურველი მომავლის შესახებ... ეთხოვთ წერილები გამოგვიგზავნონ „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ჩვენს სახელზე“[1].

XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის კ. აბაშიძისეული შეფასება მცდარი იყო, მას ნიჰილიზმისა და პესიმიზმის ელფერი დაჰკრავდა.

„ცნობის ფურცლის“ მიერ აღძრულ კითხვას იმავე „კვალის“ ფურცლებიდან ბევრი გამოეხმაურა, მაგრამ ყველაზე დასაბუთებული, მეცნიერულად მართებული პასუხი გასცეს ი. გომართელმა და ალექსანდრე წულუკიძემ. თავის სტატიაში („ახალი ტიპი ჩვენს მწერლობაში“) ალ. წულუკიძემ ცხადყო ის სიახლე, რომლითაც ცოცხლობდა და გზას იკელეკდა ახალი ეპოქის ლიტერატურა.

„ცნობის ფურცელი“ აქტიურად გამოეხმაურა საქართველოს რუსეთთან შეერთების აქტს, რომლის 100 წლისთავს ცარიზმი 1901 წ. დიდი ზარზეიმით იხდიდა. ოფიციალურ რუსულ ისტორიოგრაფიას და პრესას ამ აქტის ინტერპრეტაციისას მთელი ყურადღება გადაჰქონდა კავკასიაში რუსეთის თვითმპყრობელობის კეთილშობილურ მისიაზე. ქართველი ხალხის შესვლას რუსეთის მფლობელობაში ცარიზმის იდეოლოგები დიდ ბედნიერებად და სიკეთედ წარმოიდგენდნენ. ამ ტენდენციას აჰყვა ქართველი თავადაზნაურობაც, რომელსაც მეფე და მისი მოხელეობა საკუთარი კლასობრივი ინტერესების დამცველ ძალად მიაჩნდა. თავადაზნაურობამ ადრესი მიართვა რუსეთის იმპერატორს, სადაც თავის უქვეშევრდომილეს ერთგულებას ეფიცებოდა.

ქართველი თავადაზნაურობის ღონისძიებებს ამ დღესასწაულის ჩატარებასა და გამოყენებაში წარმართავდა დავით მელიქიშვილი — თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი. იგი უაღრესად განათლებული პიროვნება და კარგი ორგანიზატორი იყო, მაგრამ ამასთან თვითდაჯერებული მონარქისტი და მთელი არსებით სწამდა მონარქისტული რუსეთის შემადგენლობაში საქართველოს ბედნიერი მომავალი. დ. მელიქიშვილის ინიციატივით ქართული თავადაზნაურული ინტელიგენცია ხშირ შეკრებებს მართავდა, სადაც ზუსტდებოდა ის მოთხოვნები, რომელიც მთავრობისათვის ამ ზეიმთან დაკავშირებით უნდა წარედგინათ. მთავრობას უნდა გავახსენოთ, — ამბობდა მელიქიშვილი, — რომ საქართველო რუსეთს ნებით შეუერთდა, დარიალის კარები გაუხსნა მას და საშუალება მისცა ახლო აღმოსავლეთში ფეხი მოეკიდებინა. საქართველოს კი სამაგიეროდ არაფერი მიუღია, იმედი

[1] გაზ. „ცნობის ფურცელი“, 22 თებერვალი, 1901.

გაუცრუვდა და დღეს გადაგვარების გზას ადგია. მელიქიშვილი და მისი თანამოაზრენი ვარაუდობდნენ, რომ შუამდგომლობას საქართველოში ერობის, ნაფიც-მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღებაზე და ეროვნული უნივერსიტეტის დაარსებაზე დადებითი პასუხი მოჰყვებოდა. მელიქიშვილი ვარაუდობდა ამ მოძრაობაში დემოკრატიული პარტიებიც ჩაება. მან საგანგებოდ რამდენჯერმე შეკრიბა დემოკრატიული ინტელიგენციის წარმომადგენლები. საგულისხმოა, რომ დემოკრატიულმა ინტელიგენციამ თავადაზნაურობის ამ „პატრიოტულ მოძრაობას" ზურგი შეაქცია. მან უარი თქვა თათბირებში მონაწილეობაზედაც კი და საჯაროდ განაცხადა, რომ ამ სამარცხვინო დღესასწაულში საერთოდ არავითარ მონაწილეობას არ მიიღებდა[1].

1901 წლის 25 სექტემბერს, რომელიც იუბილეს დღედ შეარჩია კავკასიის ხელისუფლებამ, თბილისს ესტუმრნენ ყოფილი მეფის ნაცვალი მიხეილ ნიკოლოზის ძე, საბერძნეთის დედოფალი, დიდი მთავრები და თავად-აზნაურების წინამძღოლნი მოსკოვიდან, კიევიდან, პეტერბურგიდან, ვილნოდან და სხვ. საზეიმო შეხვედრაზე მიხეილ ნიკოლოზის ძემ გამოაქვეყნა რესკრიპტი ზეიმთან დაკავშირებულ „წყალობებზე".

ქართველი თავად-აზნაურების მოლოდინი არ გამართლდა. მას მხოლოდ კადეტთა კორპუსი დაუარსეს შვილების აღსაზრდელად და მიუგდეს მცირეოდენი ფულადი წყალობა.

მეცნიერულად სწორი და პოლიტიკურად მიზანსწრაფული პოზიცია ამ ზეიმთან დაკავშირებით დაიკავა საქართველოს რევოლუციურმა სოციალ-დემოკრატიამ და მისმა ორგანომ გაზ. „ბრძოლამ". ამ შეფასებას იზიარებდა ქართველი დემოკრატიული ინტელიგენცია, რომელიც გაზეთების „ივერიის", „ცნობის ფურცლის" და ჟურნალ „მოამბის" გარშემო იყო დაჯგუფებული. 1901 წლის 1-ლი იანვრის მოწინავე სტატიაში „ცნობის ფურცელი" მიმოიხილავს რა XIX საუკუნის საზოგადოებრივ ცხოვრებას, ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად თვლის საქართველოს რუსეთთან შეერთებას. ამ აქტმა, — აღნიშნავს გაზეთი, — საქართველო აზიური დილეგიდან გამოიყვანა და ევროპული ცხოვრების ორბიტში შეიყვანა. ასევე უდიდესი მნიშვნელობის მოვლენადაა აღიარებული ბატონყმობის გაუქმება რუსეთსა და საქართველოში. ბატონყმობის მოსპობამ ხელი შეუწყო ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებას, კულტურის წინსვლას და ერის მოქალაქეობრივი ცხოვრე-

---

[1] გ. ლასხიშვილი, მემუარები, გვ. 143—145.

ბის დაწყებას, მისი თვითცნობიერების გაღვიძებას, მის ზიარებას ევროპულ კულტურასთან[1].

„ცნობის ფურცლის“ პუბლიცისტები ეროვნულ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს რუსეთთან შეერთების ფაქტს არაერთხელ შეხებიან და მოუციათ მისი შეფასება. ამ შეფასებაში დანახულია ის ობიექტურად პროგრესული შედეგები, რაც საქართველოს რუსეთთან შეერთებას მოჰყვა ქართველი ერის სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. ქართველი ერის მომავალიც „ცნობის ფურცლის“ პუბლიცისტებს გააზრებული აქვთ რუსეთის შემადგენლობაში, ოღონდ ავტონომიის უფლებით. საქართველოს რუსეთიდან გამოყოფის თვალსაზრისი, რაც შემდეგ გაუჩნდათ ბურჟუაზიულ ნაციონალისტებს, 900-იანი წლების დემოკრატიული ინტელიგენციის აზროვნებისათვის უცხოა.

ახალი პარტიის იდეოლოგიური საფუძვლების პროპაგანდა „ცნობის ფურცელმა“ წამოიწყო არჩილ ჯორჯაძის სტატიით, „ჩვენი საჭირბოროტო კითხვები“, — რომელიც გაზეთის 19 იანვრის ნომერში გამოქვეყნდა.

გაზეთის 21 მარტის ნომერში გამოქვეყნდა ა. ჯორჯაძის მეორე სტატია „საერთო მოქმედების ნიადაგი“[2], ხოლო 27 და 28 მარტის ნომრებში „მოკამათე დასთა საერთო მოქმედების ნიადაგი ევროპაში“[3]. ამ სტატიებში ა. ჯორჯაძემ გადმოსცა ეროვნულ და სოციალურ საკითხებში წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის ის შეხედულებანი, რაც შემდეგ საფუძვლად დაედო სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის პროგრამას.

ა. ჯორჯაძე თვლიდა, რომ საქართველო უკვე შეეიდა ბურჟუაზიული განვითარების სტადიაში. კაპიტალისტური განვითარების საფეხური საკალდებულო და აუცილებელია ყველა კულტურული ერისათვის. კაპიტალიზმი პროგრესია საქართველოს სინამდვილეშიც.

ა. ჯორჯაძე არ უარყოფდა, რომ კაპიტალიზმის განვითარება ისე როგორც ყველგან, საქართველოშიც იწვევს კლასობრივი გათიშულობის გაღრმავებას, სოციალური უთანასწორობა კაპიტალიზმის ვითარებაში იზრდება, ამასთან ერთად მწვავდება კლასობრივი ბრძოლა, ინტერესების შეურიგებლობა. ეს პატარა ერის ცხოვრებაში, ა. ჯორ-

---

1 გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1 იანვარი, 1901.
2 გაზ. „ცნობის ფურცელი“, 21 მარტი, 1901.
3 გაზ. „ცნობის ფურცელი“, 27—28 მარტი, 1901.

ჯაძის აზრით, ტრაგიკული მომენტია. ერის სოციალური ძალების გათიშულობითა და დაპირისპირებით სარგებლობს უცხო მჩაგვრელი ძალა, რომელიც ეუფლება არა მარტო ეკონომიკურ სიმდიდრეს, არამედ აღწევს ერის სულიერ გადაგვარებას. კაპიტალიზმის განვითარება საქართველოში, ა. ჯორჯაძის აზრით, ეროვნულ ინტერესებს უნდა დამორჩილებოდა. მას კი არ უნდა გაეთიშა საზოგადოება მტრულ და ერთმანეთისადმი დაპირისპირებულ სოციალურ ჯგუფებად, არამედ გაეერთიანებინა ისინი ერთი საერთო მოწოდებით — ეროვნული აღორძინების მისწრაფებით. ყველა წოდებისა და მდგომარეობის ქართველს — მუშაა ის, კაპიტალისტი თუ გლეხი, აქვს ერთი საერთო მისწრაფება — მისი ერის გაძლიერება და უცხო, მჩაგვრელი ძალისაგან განთავისუფლება. „ქართველი კაპიტალისტი, ესე იგი ვაჭარი და მრეწველი ქართველ მუშას კი არ უნდა დაეუპირისპიროთ, არამედ იმ უცხო ტომის ელემენტს, რომელსაც ხელში უჭირავს აღებმიცემობის მონოპოლია. ქართველი მუშა, ასოთამწყობია იგი, თერძი თუ მეჩექმე, თუ კარის დარაჯი, ამაეე ეროვნული აზრით უნდა იყოს გამსჭვალულიო"[1]. — აღნიშნავდა ა. ჯორჯაძე.

ა. ჯორჯაძე ეროვნული ინტერესების დასაცავად ერთი დროშის ქვეშ მოუწოდებდა ყველა იმ საზოგადოებრივ მიმდინარეობებს, დასებსა და პარტიებს, რომლებსაც 900-იანი წლებისთვის საქართველოში აქტიური საქმიანობა ჰქონდათ გაჩაღებული.

როგორც ვხედავთ, ა. ჯორჯაძე ყველა სოციალური ფენის, ყველა მიმართულების ქართველ ინტელიგენტს, მთელ ეროვნულ ინტელიგენციას ერთ ძირითად ამოცანას უსახავდა: ეს იყო ერის ეკონომიკური და სულიერი აღორძინების ამოცანა[2]. ამ ამოცანის გადასაწყვეტად ინტელიგენცია უნდა გაერთიანებულიყო, საერთო ნიადაგი მოენახა, საერთო ფრონტი შეექმნა. „საქართველო იმ ისტორიულ ხანაში ჩადგა, როდესაც საზოგადოების და ხალხის დაყოფა და დაქუცმაცება კი არ გვესაჭიროება, არამედ იმისი გამართლება და გამრთელება", — წერდა ა. ჯორჯაძე სტატიაში, „საერთო მოქმედების ნიადაგი". ა. ჯორჯაძემ მონახა ის პრობლემებიც, რომლებიც ყველა სოციალური ჯგუფის ქართველისათვის და ამდენად მთელი ეროვნული ინტელიგენციისათვის საერთო უნდა ყოფილიყო. ეს პრობლემები იყო: 1. ქართული ენის დაცვა, 2. ქართული ვაჭრობა-მრეწველობის შექმნა და

---

[1] ა. ჯ ო რ ჯ ა ძ ე, თხზ., ტ IV. გვ. 8-9.

[2] გაზ. „ცნობის ფურცელი", 21 მარტი, 1901.

3. ქართული მეურნეობის ქართველთა ხელში შერჩენა. ა. ჯორჯაძე თავგამოდებით ამტკიცებდა იმასაც, რომ სხვადასხვა თვალსაზრისის მქონე დასების შერიგება, მათი მოქმედების საერთო ნიადაგი დამახასიათებელია დასავლეთ ევროპის განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის. საერთო ნიადაგის პრობლემებში შემდეგ დამატებით ა. ჯორჯაძემ თვითმმართველობისა და სახალხო მოღვაწეობის საკითხებიც შეიტანა.

ა. ჯორჯაძის ამ წერილებმა დემოკრატიული ინტელიგენციის წრეებში დიდი ინტერესი გამოიწვია. ბევრი წერილბურჟუაზიული ინტელიგენტი მართლაც დადგა ამ პოზიციაზე. ეროვნული ინტერესების პრიმატობა აქ ოსტატურად იყო გამოყენებული სოციალური გათიშულობის მისაჩქმალავად. ამ შეხედულებების გაზიარება კი ქართველ ინტელიგენტს მცდარ გზაზე აყენებდა. საერთო ნიადაგის ეს ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური კონცეფცია ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას უქადდა დაჩიავებას, იმ საერთო საიმპერიო მოძრაობისაგან გამოთიშვას, რომელიც მუშათა კლასის ჰეგემონობით იწყებდა გაფართოებას. ეს კონცეფცია არსებითად ქართული ეროვნული ბურჟუაზიის წისქვილზე ასხამდა წყალს, მისი გაძლიერებისათვის, ერის მეთაურ ძალად აღიარებისათვის იყო მოგონილი.

ა. ჯორჯაძის „საერთო ნიადაგის" ბურჟუაზიული თეორიის წინააღმდეგ დროულად და მთელი პრინციპულობით აღიმაღლეს ხმა ქართველმა მარქსისტებმა. 1901 წ. ფ. მახარაძემ გამოაქვეყნა სტატია „ისტორიული მატერიალიზმი"[1], სადაც მარქსიზმის პოზიციიდან გააკრიტიკა ა. ჯორჯაძის მცდარი წარმოდგენა ინტელიგენციაზე და ანგარიშგაუწევლობა ობიექტური სინამდვილისადმი. ფ. მახარაძემ უჩვენა, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებას სრულებითაც არ განსაზღვრავს ცალკეულ ადამიანთა სურვილები, ინტელიგენციის სურვილები; სტატიაში ფ. მახარაძემ ახსნა საზოგადოებაზე მარქსისტული შეხედულების ძირითადი შინაარსი, ცხადყო საზოგადოებრივ ყოფიერებაზე, დიალექტიკის კანონებზე ა. ჯორჯაძის წარმოდგენათა ანტიმეცნიერულობა.

მაგრამ ყველაზე დასაბუთებული და ამომწურავი კრიტიკა ა. ჯორჯაძის „საერთო ნიადაგის" თეორიისა მოგვცა ა. წულუკიძემ ჯერ „კვალის" ფურცლებზე[2], ხოლო უფრო სრულყოფილად 1903 წ. გამოცემულ წიგნში „ოცნება და სინამდვილე". ა. წულუკიძემ არა მარ-

---

[1] ფ. მახარაძე, თხზ., ტ. VI, 1929, გვ. 59—70.

[2] გაზ. „კვალი", 25 დეკემბერი, 1902.

ტო დაასაბუთა მცდარობა ჯორჯაძის თეორიებისა, არამედ მოგვცა ღრმა მარქსისტული ანალიზი ინტელიგენციის როლისა, ეროვნულის და ინტერნაციონალურის რაობისა რევოლუციურ მოძრაობაში.

ალ. წულუკიძემ პირველ ყოვლისა ცხადყო, რომ ა. ჯორჯაძის თეორიის ფილოსოფიური საფუძვლები ნეოკანტიანელობაა და ახალსა და ორიგინალურს არაფერს შეიცავს, რომ თვალსაზრისი ადამიანთა საზოგადოების სხვადასხვა ფენის არსსა და როლზე იმეორებს აგრეთვე რუსი ნაროდნიკების (მიხაილოვსკის, ლავროვის) შეცდომებს. ა. ჯორჯაძის სუბიექტურ-იდეალისტურ შეხედულებათა მკაცრი და დამაჯერებელი კრიტიკის კვალდაკვალ ალ. წულუკიძემ ბრწყინვალედ გადმოსცა მარქსისტული თვალსაზრისი საზოგადოების განვითარებაზე, ყოფიერებისა და ცნობიერების ურთიერთ დამოკიდებულებაზე, უჩვენა რომ საზოგადოების განვითარების საფუძველია მატერიალური წარმოება და არა იდეები და შეხედულებები. ა. წულუკიძემ ქვაქვაზე არ დატოვა ა. ჯორჯაძის სუბიექტურ-იდეალისტური თვალსაზრისიდან ისტორიაში პიროვნების როლის შესახებ და დაასაბუთა, რომ ისტორიის მამოძრავებელი ძალაა არა ცალკეული პიროვნებანი, არამედ კლასები და კლასთა ბრძოლა.

ალ. წულუკიძემ ასევე გააკამტვერა ა. ჯორჯაძის მტკიცება ინტელიგენციის როგორც კლასობრივი და მთლიანი მასის შესახებ და დაასაბუთა, რომ ინტელიგენცია კლასის ნაწილია და არავითარ თავისთავად ძალას არ წარმოადგენს[1].

ალ. წულუკიძემ მარქსისტულ-ლენინური პოზიციიდან შეაფასა ა. ჯორჯაძის საერთო ნიადაგის თეორია. მასში სამართლიანად დაინახა კლასთა ბრძოლის უარყოფა და სოციალური ზავის ქადაგება, რაც იმ პერიოდში განსაკუთრებით სჭირდებოდა ქართველ ბურჟუაზიას.

ალ. წულუკიძემ სათითაოდ გაარჩია ის ხუთი ძირითადი პრობლემა, რომლებიც ა. ჯორჯაძის თვალსაზრისით თითქოს საერთო ნიადაგს. საერთო მოქმედების შესაძლებლობას ქმნიდეს და ნათელყო, რომ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში არც ერთი არ შეიძლებოდა ყოფილიყო საერთო მოქმედების საფუძველი.

ალ. წულუკიძემ საგანგებოდ შეაჩერა ყურადღება ენაზე, რომელიც საერთო ნიადაგის თეორიის მთავარ არგუმენტს წარმოადგენდა და ცხადყო, რომ „სანამ თანამედროვე ცხოვრების პირობები არსე-

---

[1] ალ. წულუკიძე, თხზ., 1967, გვ. 120.

ბობენ. მისი ძირითადი უკუღმართობა ფესვიანად არ ამოთხრილა, მანამ ენაც არ არის „საერთო ნიადაგი“[1]. „დღევანდელი კაპიტალისტური წარმოება, — მიუთითებს ალ. წულუკიძე, — მუდმივს, დაუცხრომელ ანტაგონიზმს ამყარებს მწარმოებელსა და საწარმოო იარაღის მესაკუთრეს შორის...“ ამიტომ „ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის უფსკრული ღრმავდება, ფართოვდება და არა კლებულობს, ივსება“[2]. მოიტანა რა კაპიტალისტურ საზოგადოებაში სხვადასხვა სოციალური ჯგუფის ინტერესთა შეურიგებელი დაპირისპირების მაგალითები ევროპის, რუსეთის, საკუთრივ საქართველოს ცხოვრებიდან, ალ. წულუკიძემ დასკვნაში დაბეჯითებით განაცხადა: „მოპირდაპირე დასების საერთო მოქმედების ნიადაგი.... საიმედო ნიადაგი ვერ ყოფილა, როგორც ბ. არჩილ ჯორჯაძეს ეგონა... პროგრამის უმთავრესი მუხლები ავტორს შეუგნებელი ჰქონია და ამიტომ მისი მსჯელობა ოცნებას წარმოადგენს, სინამდვილესთან არავითარი კავშირი არ აქვს“[3].

ჯორჯაძის „საერთო ნიადაგის“ თვალსაზრისის შესახებ „კვალის“ ფურცლებზე გამოვიდა ნ. ჟორდანიაც, მაგრამ მის წერილებს აკლდა თანამიმდევრობა. არსებითად იგი ქართული დემოკრატიული აზრის ცილისწამებას და „საერთო ნიადაგის“ თეორიის დაცვას წარმოადგენდა. ნ. ჟორდანია მხოლოდ წერილმანებში გამოედავა ა. ჯორჯაძეს, რაც შეეხება მის ძირითად თეზისს პატარა ერის კლასების საერთო ინტერესების შესახებ, იგი არა თუ გაიზიარა, არამედ ამ თვალსაზრისის პრიორიტეტობაზეც განაცხადა პრეტენზია. მართებულია აზრი იმის შესახებ, რომ ჟორდანიას ამ წერილებს მეტი ზიანი მოჰქონდა იმ თვალსაზრისით, რომ იგი მარქსიზმის სამოსელით იყო შენიღბული და მაშინდელი რადიკალური, თუნდაც სოციალ-დემოკრატიული ინტელიგენციის რიგებში შეიძლებოდა მეტი დაბნეულობა გამოეწვია[4].

ალ. წულუკიძეს ჟურნალ „მოამბიდან“ გამოეკამათა ფ. გოგიჩაიშვილი, რომელიც მაშინ ახლად დაბრუნებული იყო ევროპიდან და თავისი შეხედულებით ბურჟუაზიული დემოკრატიზმის პოზიციაზე იდგა. ფ. გოგიჩაიშვილმა მოიშველია ცალკეული ადგილები „კომუნისტური პარტიის მანიფესტიდან“ და ძეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებელთა სხვა ნაშრომებიდან ა. ჯორჯაძის დასაცავად და იმის დასასაბუთებ-

---

[1] ალ. წულუკიძე, თხზ., გვ. 167.
[2] იქვე, გვ. 236.
[3] იქვე, გვ. 120.
[4] გაზ. „კვალი“, № 23, 24, 25, 1901.

ლად, რომ ბურჟუაზიამ პროგრესული როლი შეასრულა, რომ კაპიტალიზმის განვითარება სასარგებლოა მუშათა კლასისათვისაც და სხვ. მაგრამ ეს ცალკეული ციტატები ვერ ფარავდნენ გოგიჩაიშვილის სტატიის შინაგან წინააღმდეგობას, მის თეორიულ სისუსტეს. ალ. წულუკიძემ ფ. გოგიჩაიშვილის არგუმენტების უსუსურობა მშვენივრად დააასაბუთა.

1901—1903 წლებში ქართველი ინტელიგენციის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებს შორის გაჩაღებული ეს პოლემიკა ფრიად დროული და სასარგებლო იყო. ამ პოლემიკაში ქართველმა მარქსისტულმა ინტელიგენციამ გამარჯვება მოიპოვა, მან მოიგო ბრძოლა წვრილბურჟუაზიულ-ნაციონალიზმთან. არჩილ ჯორჯაძის „საერთო ნიადაგის" თეორიას საფუძველი გამოეცალა. ქართული დემოკრატიული ინტელიგენციის შემდგომი მიმართულების გარკვევისათვის, განმათავისუფლებელ მოძრაობაში პოზიციის დაზუსტებისათვის ამ გამარჯვებას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

• •

„ცნობის ფურცელის" ირგვლივ შემოკრებილი ახალგაზრდობის წრეში 1901 წლის შემოდგომაზე უკვე მომწიფდა აზრი ახალი პარტიის დაარსების შესახებ. ახალ პარტიას ახალი გაზეთი სჭირდებოდა, მართალია, „ცნობის ფურცელი" სისტემატურად ეწეოდა ახალი პარტიის პროგრამული დებულებების პროპაგანდას, მაგრამ ლეგალურ გაზეთში ცენზურის თვალთვალის გამო შეუძლებელი ჩანდა სისტემატური და თანამიმდევრული გაშუქება ეროვნული საკითხისა, რასაც ეს ახალგაზრდები უპირატეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ერთ-ერთ შეკრებაზე ა. ჯორჯაძემ წამოაყენა აზრი საზღვარგარეთ ახალი გაზეთის გამოცემისა. დიდი კამათის შემდეგ გამოცემის ადგილად პარიზი იქნა შერჩეული. ახალ გაზეთს დიდი თანხა სჭირდებოდა. გადაწყდა ეს თანხა შემოწირულების გზით შეეგროვებინათ. 1902 წლის დასაწყისში საორგანიზაციო ჯგუფს უკვე შეიდი ათას მანეთამდე ჰქონდა შეკრებილი. ამავე პერიოდში ფარული კენჭისყრით არჩეულ იქნა მომავალი პარტიის კომიტეტი ხუთი კაცის შემადგენლობით (ა. ჯორჯაძე, გ. დეკანოზიშვილი, ვ. ლორთქიფანიძე, ანდ. დეკანოზიშვილი, გ. ლასხიშვილი), რომელთაც ევალებოდათ გაზეთის გამოცემისა და საერთოდ, პარტიის ჩამოყალიბების ღონისძიებათა გაძღოლა.

ახალი პარტიის შემადგენლობაში დემოკრატიული ინტელიგენციის

რიგებიდან ბევრი ეწერებოდა, თუმცა ზოგიერთს მის პროგრამულ საკითხებზე გააზრებული წარმოდგენა არ ჰქონია. ბევრი არც კი ეთანხმებოდა პროგრამას. გ. ლასხიშვილი იგონებს: „პარტიაში ჩარიცხვის მსურველი საკმაოდ ბევრი იყო, მაგრამ აქვე უნდა ვთქვა, რომ მომავალი ჩვენი პროგრამის მიხედვით, ეს ხალხი ნაირ-ნაირი იყო: ზოგს მარტო ეროვნული პროგრამა აინტერესებდა და ჩვენი სოციალიზმი ნაკლებ სწამდა, ზოგი „ნაროდნიკობდა", ზოგი ანარქიზმ-სინდიკალიზმისაკენ მიიწევდა და სხვ. ამის შესახებ ჩვენ, კომიტეტმა გადავწყვიტეთ, ჯერჯერობით არ მიგვეცა სასტიკი ყურადღება წევრების გარჩევაზე. ჩვენ იმ აზრის ვიყავით, რომ ახლო მომავალში, როცა პარტიული პროგრამა შემუშავდებოდა, პარტიული რიგები თავისთავად გაიწმინდებოდა"[1].

1903 წლის გაზაფხულზე პარიზში ახალი პარტიის საორგანიზაციო კომიტეტმა მუშაობა გააჩაღა ახალი გაზეთის გამოსაცემად. კომიტეტთან ერთად მოსამზადებელ ღონისძიებებში ფართოდ მონაწილეობდნენ თ. სახოკია, ალ. დიასამიძე, ზ. ავალიშვილი და სხვ. მაისში მოხერხდა ახალი გაზეთის პირველი ნომრის გამოცემა, რომელსაც „საქართველო" უწოდეს. რამდენიმე ხნის შემდეგ გაზეთი „Georgie"-ს სახელწოდებით ფრანგულადაც გამოვიდა. ფრანგული გამოცემა ძირითადად ქართულის ასლი იყო, თუმცა ზოგჯერ მასში იბეჭდებოდა ფრანგი პუბლიცისტების სტატიებიც.

გაზ. „საქართველო" პირველი ნომრიდანვე შეუდგა ახალი პარტიის პროგრამული დებულებების პროპაგანდას. სტატიაში „ღია წერილი რუსეთის ლიბერალთა და სოციალისტთა მიმართ" გაზეთმა წამოაყენა ეროვნულ საკითხში შემუშავებული პრინციპები, რომლის კვინტესენცია იყო ავტონომია. „ჩვენი სურვილი, — ნათქვამია ამ დოკუმენტში, — დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენა არ არის. ნათლად და აშკარად ვამბობთ: ჩვენ პოლიტიკური სეპარატიზმის მომხრენი არა ვართ. ჩვენი წადილი და მისწრაფება — განსაკუთრებული, საქართველოს პირობებთან შესაფერი, კონსტიტუციის მოპოვებაა. ჩვენ გვსურს დავრჩეთ რუსეთის პოლიტიკური ორგანიზმის ჩარჩოებში, მხოლოდ ამასთან შინაურ საქმეებში გვინდა ვიყვეთ სრულიად დამოუკიდებელნი. ერთი სიტყვით, ჩვენ გვსურს ეროვნული ავტონომია მოვიპოვოთ"[2]. სტატია რუსეთის მომავლის ამოცანად თვლიდა დე-

---

[1] გ. ლასხიშვილი, მემუარები, გვ. 146.

[2] გაზ. „საქართველო", 1 მაისი, 1903.

ცენტრალიზაციას, ცალკეულ ეროვნულ ერთეულთა შორის მშვიდობისა და თანხმობის დამყარებას, რაც ფედერაციული წესწყობილების პირობებში იქნებოდა შესაძლებელი. ავტონომიის საკითხი დაკავშირებული იყო ფედერალიზმის საკითხთან.

ფედერალისტები თვლიდნენ, რომ მარტო ეროვნული საკითხით შორს ვერ წავიდოდნენ, ვერ აიყოლიებდნენ მასებს, რომელთაც ეროვნულ ჩაგვრაზე მეტად სოციალური ჩაგვრა აწუხებდათ. ამ პარტიის მესვეურები იცნობდნენ მარქსისა და ენგელსის მოძღვრებას სოციალიზმის შესახებ, მაგრამ ვერ ჩაწვდნენ მის არსს. ამიტომ მათი წარმოდგენა სოციალიზმზე წვრილბურჟუაზიულ, უტოპიურ თვალსაზრისს არ გასცილებია. მათ სჯეროდათ, რომ ავტონომიის პირობებში საშინაო საქმეებში დამოუკიდებელი დემოკრატიული ხელისუფლება (პარლამენტი) მოაგვარებდა სოციალურ პრობლემებსაც: მუშებს დაუწესებდა 8-საათიან სამუშაო დღეს, შეზღუდავდა მწარმოებელთა მხრივ ექსპლოატაციას, განახორციელებდა მიწის სოციალიზაციას. რაც აგრარული საკითხის გადაწყვეტის აუფუძველი გახდებოდა და სხვ.

რა თქმა უნდა, ფედერალისტების სოციალური პროგრამა შორს იყო ნამდვილი სოციალიზმისაგან. ამ პროგრამაში ძალზე უხვი იყო ნაროდნიკული, ესერული იდეოლოგიის მინარევები. ფედერალისტების უტოპიური სოციალიზმი წვრილბურჟუაზიული თეორიების ჩვეულებრივ ნაირსახეობას წარმოადგენდა. ამ მოძღვრებით ფედერალისტების გატაცება ნამდვილი სოციალიზმის პოპულარობით უნდა აიხსნას. წვრილბურჟუაზიული მოაზროვნეები სოციალიზმის აზრის მიღმა პოპულარიზაციას უწევდნენ წვრილბურჟუაზიულ-ესერულ რეცეპტებს მომავალზე, რომელიც მათ საერთოდ მეტად ბუნდოვნად ჰქონდათ წარმოდგენილი.

„გაზ. „საქართველოს“ მარტო სახელი აქვს სოციალისტური“, — მიუთითებდა ი. ბ. სტალინი თავის კრიტიკულ სტატიაში („როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი“), როცა იხილავდა ბურჟუაზიული ნაციონალისტების პროგრამას ეროვნულ და სოციალურ საკითხებში.

პარიზში გამოცემული არალეგალური გაზეთის საქართველოში გამოგზავნას და მუშათა შორის გავრცელებას სოციალისტ-ფედერალისტები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. მოახერხეს კიდეც თბილისში გაზეთის შემოტანა, მაგრამ მათი მოლოდინი არ გამართლდა: მუშათა მასებმა სოციალისტ-ფედერალისტების პროგრამა არ მოიწონეს. გა-

ზეთს არავითარი პოპულარობა არ მოუპოვებია. მის პოზიციას მხოლოდ ქართველი ინტელიგენციის ერთეულები იზიარებდნენ.

„ცნობის ფურცლისა“ და „საქართველოს“ ფურცლებზე გაშლილმა პროპაგანდამ ამოაშენა ის საფუძვლები, რომელზედაც ახალი პარტია უნდა აღმოცენებულიყო. საორგანიზაციო კომიტეტმა წინასწარი მუშაობა ჩაატარა, რათა 1904 წელს ქ. ჟენევაში შეკრებილიყვნენ წარმომადგენლები საქართველოში მოქმედი ცალკეული იდეური მიმართულებებისა, რომელთაც ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში სამოქმედო პროგრამა უკვე მოხაზული ჰქონდათ.

1904 წლის პირველ აპრილს ჟენევაში გაიხსნა კოხფერენცია, რომელსაც სულ 21 კაცი ესწრებოდა. გარდა სოციალისტ-ფედერალისტებისა, აქ იყვნენ წარმომადგენლები ანარქისტული მიმართულებისა, აგრეთვე სოციალ-დემოკრატებისა. სხვადასხვა მიმართულებათა წარმომადგენლებმა გამოთქვეს თავიანთი თვალსაზრისი საპროგრამო საკითხებზე. ეროვნულ საკითხზე ერთი ჯგუფი იცავდა სეპარატიზმის, მეორე ავტონომიისა და ფედერაციის პოზიციას. მონაწილეთა უმრავლესობამ სეპარატიზმის თვალსაზრისი არ გაიზიარა და მხარი დაუჭირა ავტონომიას. მიღებულ იქნა რეზოლუციები ეროვნულ, აგრარულ, მუშათა და სხვ. საკითხებზე. სოციალ-დემოკრატებს რეზოლუციის შემუშავებაში მონაწილეობა არ მიუღიათ. მათ კონფერენცია მეორე სხდომიდან დატოვეს.

ჟენევის კონფერენცია, რომელმაც თითქოს გააფორმა სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის შექმნა, იდეურად ერთსულოვანი სრულიადაც არ ყოფილა. მონაწილეთაგან ძლიერი ჯგუფი ჰყავდათ ანარქისტებს ვ. ჩერქეზიშვილის მეთაურობით. ა. ჯორჯაძეს, რომელიც ფედერალისტ-ავტონომისტთა ფრაქციას მესკვეურობდა, საპროგრამო საკითხებზე მწვავე შეჯახება ჰქონდა ანარქისტებთან, აგრეთვე სეპარატისტებთან მისივე პარტიის შიგნით. ეს შინაგანი წინააღმდეგობა ამჩნევია კონფერენციაზე მიღებულ რეზოლუციებსაც. სოციალისტ-ფედერალისტები არ უარყოფდნენ, რომ მათს პარტიაში არეული იყო სხვადასხვა მიმდინარეობანი. სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ასეთი მექანიკური, შეკოწიწებული ხასიათი უცნობი არ დარჩენილა ქართველი საზოგადოებრიობისათვის. 1904 წ. ი. სტალინი სტატიაში „როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი“ ირონიულად შენიშნავდა: „წლეულს გაზაფხულზე საზღვარგარეთ თავი მოიყარეს ქართველმა რევოლუციონერებმა: ქართველმა ანარქისტებმა, „საქართველოს“ მომხრეებმა, ქართველმა „სოციალ-რევოლუციონე-

რებმა“ და... შეერთდნენ... „პარტიად“ ქართველი სოციალისტ-ფედერალისტებისა“... დიახ, სწორედ ანარქისტები, რომლებსაც სულითა და გულით ეზიზღებათ ყოველი პოლიტიკა, სოციალისტ-რევოლუციონერები, რომლებიც ალმერთებენ პოლიტიკას, „საქართველოისტები“, რომლებიც უარყოფენ ყოველ ტერორისტულ და ანარქისტულ ზომას, — აი, ეს ჭრელი და ერთმანეთის უარმყოფელი ხალხი, თურმე ნუ იტყვით, შეერთებულა... „პარტიად!“[1].

სოციალისტ-ფედერალისტების მთელი პროგრამა, რომელიც ჟენევის კონფერენციის რეზოლუციებშია გადმოცემული, არ სცილდებოდა ბურჟუაზიული დემოკრატიზმის ფარგლებს. დამფუძნებელი კრების მოწვევა, რასაც ისინი პოლიტიკური ბრძოლის მთავარ იდეად აცხადებდნენ, ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, ილუზიას წარმოადგენდა კაპიტალიზმის ბატონობის პირობებში. სოციალისტ-ფედერალისტები სოციალიზმს, მართალია, აცხადებდნენ უმაღლეს იდეალად, მაგრამ სოციალიზმისათვის ბრძოლის ჭეშმარიტი გზა მათთვის უცნობი იყო. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული წყობილების ვითარებაში ვერც ეროვნული საკითხი გადაწყდებოდა. სოციალისტ-ფედერალიზმი ვერ ამაღლდა იმის შეგნებამდე, რომ ეროვნული საკითხი მშრომელი მასების განთავისუფლებისათვის ბრძოლის გამარჯვებაზე იყო დამოკიდებული, რომ ეროვნული საკითხის საბოლოო გადაწყვეტა შეეძლო მხოლოდ პროლეტარიატს ექსპლოატატორული რეჟიმის დამხობისა და სოციალისტური წყობილების დამყარების გზით.

სოციალისტ-ფედერალისტების წვრილბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ საქართველოს რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ბრძოლა ყოველთვის პრინციპულ, შეურიგებელ ხასიათს ატარებდა. ამ ბრძოლაში წამყვანი პოზიცია ეკავათ ალ. წულუკიძეს, ი. სტალინს, ფ. მახარაძეს, მ. ტოროშელიძეს, ს. შაუმიანს და სხვ. მათი სტატიები, თუ გამოსვლები დისკუსიებზე ააშკარავებდნენ სოციალისტ-ფედერალისტების პროგრამის შეუსაბამობას მუშათა განმათავისუფლებელ მოძრაობასთან, მეცნიერულ სოციალიზმთან, ეს თეორიული წერილები ბევრ ქართველ ინტელიგენტს დაეხმარა გათავისუფლებულიყო სოციალიზმზე იმ წვრილბურჟუაზიული ილუზიებიდან, რომელიც სოციალისტ-ფედერალისტებს ახასიათებდათ. მაგრამ სოციალ-დემოკრატების ეს კამათი, უსათუოდ მიზანსწრაფული, პრინციპული და მართებული, ზოგჯერ ვერ აღწევდა სასურველ შედეგს მისი ზედმეტი

---

1 ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 1, გვ. 52—53.

ემოციურობის, უკიდურესობის გამო. ქართველი რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ზოგიერთმა წარმომადგენელმა ვერ მოზომა და ჯოხი მარცხნივ გადახარა, ვერ გაითვალისწინა, რომ სოციალ-ფედერალიზმის წვრილბურჟუაზიული შეხედულების ტყვეობაში იმყოფებოდნენ ცარიზმისა და კაპიტალიზმის რეჟიმისადმი მტრულად განწყობილი ადამიანები და ამ ადამიანებს მთელი სულითა და გულით სურდათ უსამართლო რეჟიმის დამხობა. ამდენად, გარკვეული მნიშვნელობით, ისინი დემოკრატიულ რევოლუციაში პროლეტარიატის მოკავშირეები იყვნენ.

სოციალისტ-ფედერალისტების პროგრამის წარმატება ინტელიგენტურ წრეებში ეროვნული საკითხის წინ წამოწევით უნდა აეხსნათ. პროპაგანდაც ამ მიმართულებით უნდა გამახვილებულიყო. საჭირო იყო იმის ახსნა, რომ ეროვნული ჩაგვრისაგან გათავისუფლება მხოლოდ პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების გზითაა შესაძლებელი, რომ სოციალიზმი ქართველ ხალხს, ისე როგორც რუსეთის იმპერიის ყველა ხალხებს, მიანიჭებდა ეროვნულ დამოუკიდებლობას და თავისუფლებას, შექმნიდა ეროვნული შემოქმედებითი ძალების აღორძინების ყველა შესაძლებლობას.

სოციალისტ-ფედერალისტების მამხილებელ წერილებში ბოლშევიკური პარტიის ეროვნული პროგრამა ნათლად და დამაჯერებლად ვერ იყო გაშუქებული. ხშირ შემთხვევაში მათ ეროვნული ნიჰილიზმის ელფერიც დაკრავდა. ეს ნიჰილიზმი კი უფრო აღიზიანებდა მერყევ და იქვნეულ ინტელიგენციას. სოციალისტ-ფედერალისტური შეხედულებებით გამსჭვალულ ინტელიგენციას ზოგიერთი ქართველი ბოლშევიკი უყურებდა როგორც მხოლოდ მტრულ ძალას. საჭირო კი იყო მათში მოკავშირის, მართალია, მერყევი და გზასაცდენილი, მაგრამ დემოკრატიულ რევოლუციაში მაინც მოკავშირის დანახვა.

* * *

რუსეთის პირველი რევოლუციის წინა პერიოდის ქართული საზოგადოებრივი აზრის გაცხოველებაში დიდი როლი მიუძღვის ჟურნალ „მოგზაურს", რომელიც 1901—1905 წლებში გამოდიოდა თბილისში ივანე როსტომაშვილის რედაქტორობით.

ივანე პაველს ძე როსტომაშვილი XIX ს. 80—90-იანი წლებისა და პირველი რევოლუციის პერიოდის თვალსაჩინო ქართველი მოღვაწეა, რომელმაც პრაქტიკული საქმიანობითა და პუბლიცისტური აზ-

როვნებით დიდი წვლილი შეიტანა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. იგი, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი ფიგურაა დემოკრატი ინტელიგენტისა, რომელიც მთელი თავისი შეგნებით მიდის მუშათა რევოლუციასთან და ამ რევოლუციის პროპაგანდისტი ხდება.

1900 წლის აპრილში ი. როსტომაშვილმა კავკასიის საცენზურო კომიტეტის სახელზე შეიტანა თხოვნა მისთვის ნება დაერთოთ დაეარსებინა ყოველთვიური ილუსტრირებული ქართული ჟურნალი სახელწოდებით „მოგზაური"[1]. განმეორებითი თხოვნის შემდეგ თბილისის გუბერნატორის განკარგულებით როსტომაშვილს მიეცა ჟურნალის გამოცემის უფლება. ი. როსტომაშვილი ენერგიულად შეუდგა ახალი ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის შერჩევას, აქტივის შემოკრებას. ამავე წლის ნოემბერში „ცნობის ფურცელმა" ქართველ საზოგადოებრიობას აუწყა სასიხარულო ამბავი: „მომავალი 1901 წლის იანვრიდან, მთავრობის ნებართვით, ივანე პავლეს ძე როსტომაშვილის რედაქტორობით გამოვა ახალი ქართული ჟურნალი „მოგზაური", ჟურნალს საგნად აქვს ადგილობრივ აღწეროს და დაასურათოს ჩვენი ქვეყნის ყოველი შესანიშნავი ნაგთი, საგანი და პირი. გარდა ამისა, ჟურნალი ადგილს მისცემს თავის ფურცლებზედ საქართველოსა და მის ნაწილთა მკვიდრთა ყოველგვარ სტატიებსა, მოთხრობებსა, ლექსებსა, გადმოცემებსა და ზღაპრებსა, ისტორიულ, არქეოლოგიურ, გეოგრაფიულ და ეთნოგრაფიულს შინაარსისას"[2].

ამ განცხადებაში უკვე განსაზღვრული იყო ჟურნალის ძირითადი პროფილი. მის დანიშნულებას წარმოადგენდა ქართველი მკითხველისათვის ფართოდ გაეცნო ჩვენი სამშობლოს ღირსშესანიშნაობანი, მისი ისტორია და კულტურა, ტრადიციები. რედაქტორი თვლიდა, რომ ხალხის პატრიოტული სულისკვეთების ამაღლებისათვის, მისი ეროვნული გათვითცნობიერებისათვის ამ პროფილს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა*. პირველივე ნომრის სარედაქციო წერილში რედაქტორი მის მიზანდასახულობას უფრო დაწვრილებით განმარტავდა და

---

1 საქ. სსრ ცსია, ფ. 114, აღწ. 4, საქ. № 693, ფურც. 16.

2 გაზ. „ცნობის ფურცელი", № 1310, 1900.

* ჟურ. „მოგზაური", მისი რედაქტორის შესახებ იხ. აგრეთვე შ. მ ა რ კ ო ზ ა შ ვ ი ლ ი, ივანე როსტომაშვილი და ჟურნალი „მოგზაური". ჟურნალისტიკის თეორიისა და ისტორიის საკითხები, V, 1976.

ყველა ქართველ ინტელიგენტს მოუწოდებდა ჩაბმულიყო ამ კეთილ-შობილურ საქმიანობაში[1].

ჟურნალის პირველი ნომერი, რომელიც ქართველმა მკითხველმა დაპირებისამებრ 1901 წლის იანვარში მიიღო, უპირატესად ისტორიულ თემატიკას აშუქებდა. სარედაქციო სტატიაში კარგადაა მოტივირებული ისტორიით ასეთი გატაცება. „ბევრი საშინელი წამი უნახავს ჩვენს ხალხსა და ერსა, — წერს ი. როსტომაშვილი, — სუსტი ადამიანი, სუსტი ხალხი მაშინვე შერიგებია მტერსა და დაუთმია მისთვის ადგილი. ასე არ იქცეოდა ქართველი. იგი გმირულად უმკლავდებოდა მტერს და ხშირად სძლევდა კიდეც მას. მაგალითისათვის შორს ნუ წავალთ: გავიხსენოთ მურვან ყრუ, ტამერლანი და სხვანი მათნი მსგავსნი. გაიხსენეთ შესანიშნავი ღვაწლი ჩვენთა გამოჩენილ მამულის შვილთა, მათი საარაკო გამბედაობა, თავდადება, მოთმინება, ქედუხრელობა, პატიოსნება და გვიბრძანეთ, საჭირო და ღირსი არის თუ არა, რომ ყოველი ეს გამოკვლეულ და განცხადებულ იქნას მათ სადიდებლად და ჩვენთა, მათ შთამომავალთა, კელავ გმირებად აღსაზრდელად... „მოგზაურიც“ ეცდება ნათელი მოაფინოს ჩვენის წინსვლის ყოველთა წვრილთა და გააცნოს იგი ხალხსა. დედა აზრი ჩვენის ჟურნალისა ის არის, რომ რამდენადაც შესაძლებელი იქნება, ადგილობრივ აღიწეროს და დაასურათოს ჩვენი ქვეყნის შესანიშნავი ნაშთები, რათა შესაძლებელ იქნას უმთავრესი მოთხოვნილება მეცნიერთა: „რომ ერთი სტრიქონი დასკვნა სთქვა, საჭიროა ათი და ოცი ტომები მასალათა“.

მაგრამ, რადგანაც წარსულის შესწავლა მხოლოდ და მხოლოდ მაშინ არის ნაყოფიერი, როცა იგი დაკავშირებულია აწმყოსთან, როცა გესმის და ხედავ, ავად თუ კარგად შენც განაგრძობ წინაპართა წმიდა ღაღადებათა და ღვაწლთა, ამიტომ ჩვენის ჟურნალის მიზანი ისიც იქნება, რომ წარსულის გაცნობასთან ერთად, არც აწინდელი ყოფანი დასტოვოს უყურადღებოდ...

დროა ჩვენც საქმით ვემსახუროთ ჩვენს ქვეყანას. გვახსოვდეს: ძილი და მცონარობა — უკან სვლაა, სიმხნე — წინსვლა“[2].

ამავე ნომერში გამოქვეყნებულია ცნობილი რუსი ისტორიკოსის ნ. კარამზინის მრავალტომეულიდან შესავალი ნაწილი: „სარგებლობა და მნიშვნელობა ისტორიისა“. შემდეგ მოდის კონკრეტული თემები: მცხეთისა და მისი მიდამოების ისტორიული ძეგლების აღწერა, „ფუ-

---

[1] ჟურ. „მოგზაური“, № 1, 1901.

[2] იქვე.

ძე ქართლისა. არმაზი", „ჯაჰვის წმიდა ჯვრის მონასტერი", „მურჯახეთისა და განძის სვეტები", „ბელტრის ციხე", „დავით კურაპალატის ჯვარი", „როდის და როგორ დასახლდა ჩვენი ქვეყანა". ჟურნალის მომდევნო ნომერში აღწერილია საქართველოს თითქმის ყველა კუთხის მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლები. მოცემულია ცალკეული რაიონების ისტორიულ-გეოგრაფიული დახასიათება. უხვად არის ეთნოგრაფიული მასალა, განსაკუთრებით საქართველოს მთიანეთიდან. გამოქვეყნებულია აგრეთვე ხალხური ლექსები, ზღაპრები, ლეგენდები. ჟურნალი, ამასთან, ადგილს უთმობს თანამედროვე ქართულ ლიტერატურას, ბეჭდავს ლექსებს, მოთხრობებს, პიესებს, რეცენზიებს. საყურადღებო მოვლენებს ქართველი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში.

ჟურნალში წარმოდგენილი საისტორიო მასალა პოპულარული ხასიათისაა და მას აქვს ერთი ძირითადი დანიშნულება: გააცნოს ქართველს მისი ქვეყანა. ეს სტატიები მეცნიერული ნარკვევის პრეტენზიას არ აცხადებენ. უმრავლესობა ამის გამო ხელმოუწერელიცაა. ჩვენთვის ცნობილია, რომ ქართველი მკითხველისათვის ამ მასალებს უპირატესად ამზადებდნენ საქართველოს ისტორიის იმდროინდელი აღიარებული სპეციალისტები თ. ჟორდანია, მ. ჯანაშვილი, ნ. ხიზანიშვილი (ურბნელი). ი. როსტომაშვილი, დ. კარიჭაშვილი, ალ. ფრონელი და სხვები.

ჟურნალის გარშემო შემოკრებილი ქართველი ისტორიკოსების ეს წრე იმდროინდელი ისტორიული მეცნიერების დონისა და მოწოდების სიმაღლეზე იდგა. მას უკვე განვლილი ჰქონდა ფეოდალურ-აზნაურული რომანტიზმის, ეროვნული ისტორიის ადვოკატური გამოსარჩლების საფეხური და რუსეთის ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის მეთოდოლოგიური კონცეფციის — პოზიტივიზმის პოზიციას იზიარებდა. ამას ნათლად მოწმობს „მოგზაურის" 1902 წლის პირველ ნომერში გამოქვეყნებული სტატია „ისტორიის შესავალი", რომელიც ვინმე გ. კ.-ს ეკუთვნის და ისტორიის საკითხებზე ჟურნალის კრედოს გამოხატავს.

„იყო დრო, — ნათქვამია სტატიაში, — როცა ისტორიის საგანს მეფეების და სხვა დიდებულ და წარჩინებულ გვამთა ცხოვრება შეადგენდა. ხალხი, საზოგადოება, მისი ცხოვრება, მისი მისწრაფება, მისი სული და გული ისტორიისაგან განდევნილი იყო. ეს ის დრო იყო, როცა ლუდოვიკ XIV გაიძახოდა: საფრანგეთი მე ვარო: როცა ქვეყნის მართვა-გამგეობა მეფეების განუსაზღვრელ ბატონობაზე ეკიდა, როცა ქვეყნის სათავეში იდგა რომელიმე უმაღლესი წოდება, როცა ერთი

მეფე, ან ერთი წოდება მთელი ხალხის უმრავლესობის ინტერესებს თელავდა და ანადგურებდა. არსებულ ისტორიულ ხანას თავისი განსაკუთრებული მატერიალური პირობები ამოძრავებენ. ამ პირობათა განვითარების მიხედვით განიზომება საზოგადოების სულიერი, გონებრივი და პოლიტიკური სტრუქტურა".

წერილის ავტორი ქვემოთ იცავს და ავითარებს აზრს იმის შესახებ, რომ „არსებულ ისტორიულ ხანას თავისი განსაკუთრებული მატერიალური პირობები ამოძრავებენ", რომ „ყველაფერი ვითარდება, ყველაფერი იცვლება", რომ „დღეს განხილვა და გამოკვლევა ისტორიულად ნიშნავს მეცნიერების სხივის ჩაშუქებას თვითონ ხალხის გულის სიღრმეში, განათებას და გაშუქებას ხალხის ცხოვრებისას...".

ავტორს არ მოსწონს, რომ ადრინდელი ისტორიკოსები მეფეთა ბიოგრაფიებია მხოლოდ, ეს ისტორია ემყარება თვალსაზრისს — თითქოს გმირები ქმნიდნენ ისტორიას. „ჭეშმარიტი საგანი ისტორიისა არის არა გმირთა და წარჩინებულთა გვამთა ბიოგრაფიები, არამედ ცხოვრება თვითონ ხალხისა"[1].

ისტორიულ კვლევა-ძიებაზე ამ მართებული ზოგადი წანამძღვრების შემდეგ ავტორი საკუთრივ საქართველოს ისტორიის პრობლემებზე გადადის და აღნიშნავს:

„საქართველოს კულტურული ისტორიის შესწავლა — ეს არის შესწავლა და გაცნობა ქართველი ხალხისა ყოვლის მხრით: შესწავლა მისი ცხოვრებისა, ზნე-ჩვეულებათა, კანონებისა, დაწესებულებათა, მართვაგამგეობისა; ეს არის გათვალისწინება მისი, როგორც ეკონომიურის, ისე პოლიტიკურის ცხოვრებისა. ეს არის შესწავლა ქართველი ერის კულტურული მოძრაობისა როგორც წარსულის, ისე თანამედროვისა, აწმყოსი, რომლის შედეგადაც ადვილი ხდება მომავლის გათვალისწინება"[2].

ისტორიის, როგორც მეცნიერების დანიშნულების, ახსნას ემსახურება აგრეთვე „მოგზაურის" 1902 წლის მეექვსე ნომერში გამოქვეყნებული სტატია „თანამედროვე ისტორიის ტენდენციები", რომელიც ალექსანდრე მდივანს ეკუთვნის. ავტორი, გვიხსნის რა ადამიანთა ისტორიული ცხოვრებისადმი, ისტორიის, როგორც მეცნიერებისადმი დამოკიდებულების რთულ პრობლემებს, აღნიშნავს: „ისტორიკოსებმა უარჰყვეს ძველი გზა და მიზანი. უმთავრესი ყურადღება საზოგადოება-

---

[1] ჟურნ. „მოგზაური", № 1, 1902.

[2] იქვე.

თა ეკონომიური და სოციალური მხარეების გამორკვევამ და შესწავლამ მიიქცია. საზოგადოებათა ოჯახური შესწავლა და კლასთა ბრძოლა, აი, რის შესწავლამ დაიკავა დღეს უპირველესი ადგილი. XIX საუკუნის მეორე ნახევარი ის ხანაა, რომელმაც თვალსაჩინოდ გახადა ეკონომიური მოტივის მნიშვნელობა კაცობრიობის ცხოვრებაში. აქედან დაიბადა ის უკიდურესი მიმართულება, რომელიც ისტორიულ მეცნიერებაში „ეკონომიური", ანუ „ისტორიული მატერიალიზმის" სახელით მოინათლა"[1].

ზემოთ მითითებული სტატიები ქართული ისტორიული აზრის დიდ წარმატებაზე მეტყველებს. შემთხვევითი არაა, რომ „მოგზაურში" გამოქვეყნებული ეს სტატიები დროში ემთხვევა ივ. ჯავახიშვილის ცნობილ შესავალ ლექციას პეტერბურგის უნივერსიტეტში ისტორიის, როგორც მეცნიერების დანიშნულების შესახებ და მის ცნობილ ნარკვევს „მამულიშვილობა და მეცნიერება", რომელიც ცალკე წიგნად 1904 წ. გამოიცა. ი. ჯავახიშვილმა, მაშინ ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა მკვლევარმა, ხმა აღიმაღლა ფეოდალურ-აზნაურული რომანტიკული ისტორიოგრაფიის წინააღმდეგ, დაგმო მისი ადვოკატურ-გამოსარჩლებითი მეთოდი და წინა პლანზე წამოსწია ხალხის ისტორია, მისი ეკონომიკისა და კულტურის, მისი მთელი ცხოვრების კომპლექსური შესწავლა თანამედროვეობის ინტერესების გათვალისწინებით. XX საუკუნის დასაწყისის ქართული ისტორიოგრაფია ამ შემთხვევაში პასუხობდა ი. ჭავჭავაძის აღძრულ კითხვას იმის შესახებ, რომ გაერკვიათ — რამ გადაარჩინა საქართველო, ი. ჭავჭავაძე ამის პასუხს ვერ ხედავდა „ქართლის ცხოვრებაში", რომელიც მას მეფეთა ისტორიად წარმოუდგებოდა. მას კი ხალხის ისტორია აინტერესებდა.

ისტორიაში ხალხის როლის წინ წამოწევა საერთოდ ახალი სიტყვა იყო ისტორიოგრაფიაში. ეს იყო პოზიტივიზმი, — ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის მეთოდოლოგია, რომელსაც თავისი იდეალისტური საფუძვლების მიუხედავად, თავადაზნაურულ ისტორიოგრაფიასთან შედარებით უაღრესად დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა. იგი ისტორიული მატერიალიზმის ზღურბლთან იყო მისული. ფეოდალურ-ბატონყმური რუსეთის სინამდვილეში ისტორიოგრაფიის ამ ახალ მიმართულებას განსაკუთრებული როლი ენიჭებოდა. XX ს. დასაწყისის რუსი პოზიტივისტი ისტორიკოსები მთელ მსოფლიოში სახელმოხვეჭილი მეცნიერები იყვნენ (კოვალევსკი, ვინოგრადოვი, კარეევი, ვასილევს-

[1] ჟურნ. „მოგზაური", № 6, 1902.

კი და სხვ.). ქართველი ისტორიკოსები მათ ტრადიციებზე აღიზარდნენ. ამ ტრადიციებმა, ამ სიახლემ იჩინეს თავი ჟურნ. „მოგზაურის“ ფურცლებზე. ეს ჟურნალის დიდი დამსახურება იყო.

1903 წლიდან ჟურნ. „მოგზაურის“ თემატიკა გამრავალფეროვანდა. ამ სიახლის შესახებ მკითხველს რედაქტორი 1902 წლის ბოლო ნომერში აუწყებდა: „თუმცა წელს ძალიან ცოტა ხელისმომწერი გვყავდა, რედაქცია მაინც შეძლებისამებრ პირნათლად გაუძღვა ჟურნალის გამოცემის ძნელ საქმეს. ხელის მომწერთა სიმცირის მიზეზს რედაქცია მხოლოდ ჟურნალის პროგრამის სიმცირეში ხედავდა და ამიტომ იშუამდგომლა მთავრობის წინაშე, რომ პროგრამა ჟურნალისა ოთხი სხვა განყოფილებით, სახელდობრ: პედაგოგიურის, სამეურნეო, სამკურნალო და სამეცნიეროთი შევსილიყო“[1].

1903 წლიდან „მოგზაური“ თემატურად მრავალფეროვანი ჟურნალი გახდა. მის ფურცლებზე ფართო ადგილი დაეთმო სტატიებს მეცნიერების სხვადასხვა დარგის აქტუალურ პრობლემებზე. ჟურნალმა ამასთან, ყურადღება გაამახვილა თანამედროვეობის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ-კულტურულ საკითხებზე. იგი ჩაება აღზრდის საკითხებთან დაკავშირებით ქართულ პრესაში გაჩაღებულ პოლემიკაში. ამ სტატიების შინაარსი და მიმართულება დემოკრატიული სულისკვეთებით იყო გამსჭვალული. იგი ვერ ეგუებოდა არსებულ რეჟიმს და მისი გარდაქმნის აუცილებლობას ასაბუთებდა. „ჩვენი მომავლის განსამტკიცებლად საჭიროა ძირფესვიანად შეიცვალოს როგორც ჩვენი დღევანდელი ცხოვრება და მოქმედება, ისე ჩვენი მოზარდი თაობის დღევანდელი ბურჟუაზიული სწავლა-აღზრდის საქმე“[2]. — ი. როსტომაშვილის ეს სიტყვები ჟურნალის ეპიგრაფად გამოდგებოდა. ჟურნალი გრძნობდა რევოლუციური ქარიშხლის სიახლოვეს და მასზე ამყარებდა მომავლის იმედებს. ამგვარად, თავისი საქმიანობით, ტენდენციით, დანიშნულებით ჟურნ. „მოგზაური“ თავიდანვე განსაზღვრებდა საქართველოს მუშათა კლასის მოკავშირეს დემოკრატიულ რევოლუციაში.

ჩვენ სავსებით ბუნებრივად მიგვაჩნია, რომ პირველი რევოლუციის აზვირთებისთანავე ჟურნ. „მოგზაურმა“ რევოლუციის ტრიბუნის პოზიცია დაიკავა და იგი ქართველი რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის მესიტყვე გახდა.

---

1 ჟურნ. „მოგზაური“, № 12, 1902.

2 ჟურნ. „მოგზაური“, № 1, 1903.

1904 წლის მეორე ნახევარში „მოგზაურის“ გამოცემა მატერიალური სივიწროვის გამო დროებით შეფერხდა. ეს იყო პერიოდი, როდესაც საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელი ცენტრი ლეგალური ორგანოს შექმნისათვის ზრუნავდა, მაგრამ მთავარ დაბრკოლებად ამ საქმეს წინ ეღობებოდა მთავრობის ნებართვა. რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა გადაწყვიტა „მოგზაურის“ შეფერხებით ესარგებლა და მისი გამოცემა, როგორც ნებადართული ორგანოსი, განეახლებინა საკუთარი სახსრებითა და რედაქციის ახალი შემადგენლობით. ფ. მახარაძემ გამართა მოლაპარაკება ი. როსტომაშვილთან. მხარეები შეთანხმდნენ, რომ 1905 წლის დამდეგიდან ჟურნალი „მოგზაური“ კელავ გამოვიდოდა ი. როსტომაშვილის რედაქტორობით. ჟურნალი ცენზურისათვის დასაშვებ ფარგლებში პროპაგანდას გაუწევდა მარქსიზმს და გააშუქებდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პრაქტიკულ საკითხებს.

მართლაც, 1905 წლის იანვრიდან ჟურნალი ძველი სახელწოდებითა და სრულიად განახლებული პროგრამით გამოვიდა. ამის შესახებ მომდევნო თავში ვისაუბრებთ. ახლა საინტერესოა გარკვევა იმისა, თუ რატომ წავიდა ი. როსტომაშვილი ბოლშევიკურ ცენტრთან შეთანხმებაზე.

ლიტერატურაში გამოთქმულია ვარაუდი, რომ ეს თანხმობა ი. როსტომაშვილის მხრივ „წმიდა მატერიალური ინტერესებით“ იყო ნაკარნახევი. „ასეთ სარისკო“ საქმეში როსტომაშვილის ჩაბმა, უნდა ვივარაუდოთ, ნაკარნახევი იყო უფრო ამ უკანასკნელის მატერიალური დაინტერესებით, ვიდრე მისი თანაგრძნობით პროგრესული იდეებისადმი[1], — წერს მკვლევარი ჯ. ვათეიშვილი.

ჩვენ ამ თვალსაზრისს ვერ გაეიზიარებთ. ი. როსტომაშვილის მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა, როგორც ზემოთ ვნახეთ, იმის ნათელი მოწმობაა, რომ იგი პროგრესული იდეებით იყო გამსჭვალული და არსებული უსამართლო რეჟიმის დამხობაზე ოცნებობდა. დემოკრატიული ინტელიგენციის რიგებიდან, როგორც ცნობილია, ბევრი მოღვაწე მივიდა მარქსიზმთან და მუშათა მოძრაობის აქტივისტთა რიგებში ჩადგა. ასეთად უნდა ჩავთვალოთ ი. როსტომაშვილიც, რომელიც ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის მთელ პერიოდში სოციალ-დემოკრატიის გვერდით იდგა. რევოლუციის დამარცხების შემდეგ მან

---

[1] Д. Ватейшвили, Из истории легальной рабочей печати Закавказья, 1965, с. 32.

იწვნია რეაქციის რეპრესიების საშინელება, მაგრამ ერთხელაც ქედი არ მოუხრია, რწმენისათვის არ უღალატია. ი. როსტომაშვილს საკუთარი მატერიალური გაჭირვების გამოსასწორებლად მრავალი სხვა გზა ჰქონდა. მას, სხვას რომ თავი დავანებოთ, შეეძლო თანამშრომლობა საქართველოს ნებისმიერ დემოკრატიულ პრესაში. ეს გზა, — ბოლშევიკებთან შეთანხმების გზა და ამ სარისკო საქმეში ჩაბმა, — როსტომაშვილმა აირჩია სრული შეგნებით. იგი ინტუიციით დარწმუნდა, რომ ერთადერთი ძალა, რომელსაც შეეძლო ცარიზმის დამხობისა და მშობლიური ხალხის გათავისუფლების საქმე ბოლომდე მიეყვანა, ბოლშევიკური პარტია იყო.

* * *

საერთო დემოკრატიული მოძრაობის ავანგარდში 1900—1904 წლებში იდგა სტუდენტობა, რომელსაც ვ. ი. ლენინი „ინტელიგენციის ყველაზე გულისსმიერ ნაწილს"[1] უწოდებდა. სტუდენტთა რევოლუციური გამოსვლები მხარს აძლევდნენ პროლეტარიატის მზარდ, უკვე საბარიკადო სტადიაში შესულ ბრძოლას თვითმპყრობელური რეჟიმის წინააღმდეგ.

1900 წელს სტუდენტთა მღელვარება დაუცხრომლად მიმდინარეობდა პეტერბურგის, ოდესის, მოსკოვის, კიევის უნივერსიტეტებში. 1901 წელს მშრომელი მასები აღაშფოთა მთავრობის ველურმა ღონისძიებამ 183 კიეველი სტუდენტის ჯარისკაცად განწესების შესახებ. ეს იყო შურისძიება მთელი ქვეყნის რევოლუციური ახალგაზრდობის წინააღმდეგ, რომელიც მეტ და მეტ ორგანიზებულობასა და შეუპოვრობას ამჟღავნებდა თვითმპყრობელობის დამხობისათვის ბრძოლაში. კიევის სტუდენტთა დიდი ჯგუფისათვის ანგარიშგასწორებამ აღაშფოთა სტუდენტობა და საპროტესტო გამოსვლები ყველა უმაღლეს სასწავლებელს მოედო. ბევრგან ეს გამოსვლები პოლიციასთან და ჟანდარმერიასთან სისხლისმღვრელ შეტაკებებში გადაიზარდა.

საქართველოს ამ პერიოდში მართალია, თავისი უმაღლესი სასწავლებელი არ ჰქონია, მაგრამ ქართველი ახალგაზრდობა დიდი რაოდენობით სწავლობდა რუსეთში. ქართველ სტუდენტთა სათვისტომოებმა ანკეტების საშუალებით გაარკვიეს XIX საუკუნის მიწურულისათვის ქართველ სტუდენტთა რიცხვი იმპერიის სხვადასხვა ქალაქში. აღმოჩ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 7, გვ. 37.

ნდა, რომ პეტერბურგის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობდა 70-მდე ქართველი, მოსკოვში — 50, კიევში — 33, ხარკოვში — 25, ოდესაში — 20 და სხვ. ქართველ სტუდენტთა რიცხვი რუსეთში სულ 210-ს აღემატებოდა[1]. აღსანიშნავია, რომ ქართველი სტუდენტობა რუსეთის თითქმის ყველა უმაღლეს სასწავლებელში სტუდენტთა მოღვაწეობის ავანგარდთან იდგა. ეს ტრადიცია XIX ს. 60-იანი წლებიდან მომდინარეობდა.

ქართველი სტუდენტობის პროტესტანტული განწყობილება და რევოლუციური აქტიურობის ზრდა განპირობებული იყო მრავალი გარემოებით: სოციალური შემადგენლობით ქართველი სტუდენტობა, მართალია, პრელი იყო[2] და თავადაზნაურული ფენა მასში თითქმის ნახევარს შეადგენდა, მაგრამ სტუდენტთა უდიდეს უმრავლესობას თავის კლასთან მხოლოდ წარმოშობა აკავშირებდა. ქართველი აზნაურობის მატერიალური მდგომარეობა XX საუკუნის დასაწყისისათვის გლეხის მდგომარეობიდან თითქმის არაფრით არ განსხვავდებოდა, რაც დიდი მხატვრული სიმართლით გვიჩვენა დავით კლდიაშვილმა. ქართველი თავადობაც, გარდა მცირე გამონაკლისისა, ეკონომიკურად დეგრადაციის გზაზე იყო დამდგარი. ასე რომ, თავადაზნაურული წარმოშობის სტუდენტებიც, ისევე მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებში იყვნენ, როგორც სხვა წოდებათა წარმომადგენლები: ბნელი და ნესტიანი საცხოვრებლები, პერმანენტული შიმშილობა არსებული უსამართლო რეჟიმის წინააღმდეგ სტუდენტების სიძულვილსა და აღშფოთებას თანდათან ზრდიდა. 500-იანი წლების ქართულ პრესაში ხშირად იწერებოდა სტუდენტების მძიმე მატერიალური მდგომარეობის შესახებ. დემოკრატ მოღვაწეთა შორის წამოიჭრა კიდეც აზრი ქართველ სტუდენტთა დამხმარე კომიტეტის შექმნის თაობაზე, მაგრამ რაიმე საგრძნობი ნაბიჯი სტუდენტთა საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად არ გადადგმულა. მხოლოდ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და ორიოდ ქართველი მეცენატი მრეწველ-კაპიტალისტური წრიდან თითო-ოროლა სტუდენტს ყოველთვიურად მცირე თანხას აძლევდა, ეს იყო წვეთი ზღვაში. მთლიანად ქართველი სტუდენტობის მატერიალური მდგომარეობა რუსეთშიც და საზღვარგარეთაც აუტანელი იყო.

---

[1] სამსონ ფირცხალავა, მოგონებათა ფურცლები, ჟურნ. „მნათობი", № 6, 1971.

[2] იქვე.

სოციალურის გარდა ქართველი სტუდენტობის რევოლუციური განწყობილების ზრდას აპირობებდა ეროვნული ჩაგვრა, რაც იმპერიალიზმის ეპოქაში კიდევ უფრო მძიმე და აუტანელი გახდა. ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის სულისკვეთება ქართველ სტუდენტობას გაჰყვა საქართველოდან. გიმნაზიაში სწავლის პროცესში მას უკვე შეუმუშავდა სიძულვილი იმ რეჟიმის მიმართ, რომელიც მშობლიურ ენას, კულტურას, ტრადიციებს ყველა საშუალებით დევნიდა და ცდილობდა ჩაეკლა მისი ეროვნული სიამაყე, გადაეგვარებინა იგი. საშობლოდან შორს მყოფ ქართველ სტუდენტობას ერის სიყვარული კიდევ უფრო უცხოველდებოდა, ამასთან ერთად უძლიერდებოდა მჩაგვრელთა სიძულვილი, მოქალაქეობრივი შეგნება იმისა, რომ მას, როგორც ერის მოწინავე რაზმის წარმომადგენელს, ევალებოდა ბრძოლა საშობლოს კეთილდღეობისათვის, ბრძოლა მისი მჩაგვრელების წინააღმდეგ. ამ სულისკვეთებას ქართველ სტუდენტობაში კიდევ უფრო აღვივებდნენ ე. წ. სტუდენტური სათვისტომოები, რომლებიც შექმნილი იყო ყველა იმ უმაღლეს სასწავლებელში, სადაც ქართველი სტუდენტები სწავლობდნენ. ამ სათვისტომოებს 60-იანი წლებიდან ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, ნიკო ნიკოლაძემ, გიორგი წერეთელმა და სხვებმა მაღალი ეროვნული ტრადიციები დაუმკვიდრეს. ეს სათვისტომოები ზრუნავდნენ არა მარტო მასში შემავალი სტუდენტობის ბედზე, არამედ სისტემატურად მსჯელობდნენ საქვეყნო საკითხებზე და მისთვის სამსახურის მაღალ ჩვეულებს უმუშავებდნენ ახალგაზრდობას. კიევის უნივერსიტეტის იმ სტუდენტთა შორის, რომელნიც მთავრობამ ჯარისკაცად განამწესა, ქართველი სტუდენტებიც იყვნენ. ეს სასჯელი ერგოთ გ. ამირეჯიბს, ვ. არდიშვილს, გ. ვაჩნაძეს, მ. ქორქაშვილს, გ. გვერდწითელს, რ. ყანჩელს, ნ. ქუთათელაძეს, ა. მაჩაბლიშვილს, კ. მოდებაძეს, თ. მჭედლიშვილს, ს. ნათიშვილს, ნ. ტურიაშვილს, ი. ჩხიკვიშვილს, ლ. ხერხეულიძეს და სხვ.[1] ეს მაშინვე გახდა ცნობილი რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში შექმნილი ქართული სათვისტომოებისათვის. ქართველმა სტუდენტობამ პეტერბურგში, მოსკოვში, იურიევში, ხარკოვში, ყაზანში და სხვაგან თავისი საპროტესტო ხმა შეუერთა სტუდენტთა საყოველთაო აღშფოთებას და მღელვარებებს, რამაც გრანდიოზული ხასიათი მიიღო და მთავრობა ფეხზე დააყენა.

პეტერბურგის უნივერსიტეტში 1901 წლის თებერვალში მოხდა

---

[1] ЦГИА УССР, ф. 274. о. I, д. 518. с. 325—327.

სტუდენტებისა და პოლიციის სისხლისმღვრელი შეტაკება. მოსკოვის სტუდენტობამ გამართა დემონსტრაციები და მტკიცედ მოითხოვა ჯარში განწესებულ სტუდენტთა დაბრუნება. დემონსტრაციის მონაწილე სტუდენტობა პოლიციამ და ჯარმა მანეჟში გამოკეტა, მაგრამ სტუდენტთა ერთსულოვნება არ შერყეულა. მათ დასაცავად გამოვიდნენ. მუშები, სტუდენტები. აღშფოთება საყოველთაო იყო. მთელი რუსეთის ინტელიგენცია გმობდა მთავრობის მხეცურ ანგარიშგასწორებას. ხმა აღიმაღლა ლევ ტოლსტოიმ, რომელიც სწორედ ამ პერიოდში იყო შერისხული ეკლესიის მიერ. ლევ ტოლსტოის ახალგაზრდობისადმი მხურვალე მხარდაჭერამ აღაფრთოვანა რუსეთის პროგრესული საზოგადოებრიობა. ამ აღფრთოვანების გამოვლინება იყო ის მხურვალე წერილი, რომელიც დიდ მწერალს 1901 წელს ქართველმა სტუდენტებმა გაუგზავნეს. „დიდად პატივცემულო ლევ ნიკოლოზისძე! — წერდნენ სტუდენტები, — თქვენი სიყვარული სიმართლისადმი და სამართლიანობის ძიება ჩვენთვის კარგად არის ცნობილი. მაშინ, როდესაც სხვები სდუმან, თქვენ მარტო ამბობთ იმას, რაც საჭიროა. ყოველგვარი ჩაგვრა, ყოველგვარი ძალადობა ადამიანთა მიმართ დიდად ეწინააღმდეგება თქვენს ბუნებას და თქვენში იწვევს სამართლიან გულისწყრომას, — სურვილს, რომ თვალი აუხილოთ მჩაგვრელს და ტანჯვის შემსუბუქებაში დაეხმაროთ ჩაგრულს. ყველაფერი ეს ჩვენ კარგად ვიცით, ამიტომაც მოგმართავთ თქვენ, ამიტომ მივმართავთ თქვენს დახმარებას, თქვენს ხელისშეწყობას“[1].

ქართველი სტუდენტები მონაწილეობდნენ იმ საპროტესტო დემონსტრაციაში, რომელიც ნიჟნი-ნოვგოროდიდან გორკის გადასახლების გამო 1901 წლის ნოემბერში გაიმართა ჯერ ნიჟნი-ნოვგოროდში, შემდეგ ხარკოვში. სტუდენტები ამ დემონსტრაციების დროს ქება-დიდებას ასხამდნენ გორკის, როგორც ხალხის დამცველს და „ქარიშხალის“ მომღერალს, სამარცხვინო ბოძზე აკრავდნენ რეაქციის შავბნელ ძალებს, რომლებიც დიდ მწერალს არ აძლევდნენ შემოქმედებითს თავისუფლებას.

გაზ. „ისკრა“ სისტემატურად აშუქებდა სტუდენტთა გრანდიოზულ გამოსვლებს რუსეთის საუნივერსიტეტო ქალაქებში. ვ. ი. ლენინი სტატიაში „შინაური მიმოხილვა“ სტუდენტთა მღელვარებებს ხალხის საყოველთაო აღშფოთების გამოხატულებად მიიჩნევდა და რევოლუ-

---

[1] ვ. ონიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 225.

ცეურ სოციალ-დემოკრატიას აეკრძალებდა ეწოდებინათ „პროტესტის აქციის ავარდნილი ალის“[1] გამოყენება.

სტუდენტთა გამოსვლებს ასევე დიდი გამოხმაურება ჰქონდა საზღვარგარეთ, განსაკუთრებით რუსეთის რევოლუციურ ემიგრაციასა და სტუდენტობაში. ჟენევის უნივერსიტეტში 1901 წლის ნოემბერ-დეკემბერში მიმდინარეობდა სტუდენტთა შეკრებები, რომლებშიც აქტიურად მონაწილეობდნენ ქართველები. სტუდენტთა კრებამ წერილით მიმართა რუსეთის სტუდენტობას, სადაც მის რევოლუციურ შემართებას ქება-დიდებით იხსენიებდა და აქეზებდა ახალი ბრძოლებისაკენ.

ვ. ი. ლენინი 1901 წ. გაჩაღებულ სტუდენტთა მოძრაობას რომ აფასებდა, ყურადღებას ამახვილებდა პოლიტიკურ თავისუფლებაზე, რაც ამ მოძრაობის მთავარ მიზნად უნდა გადაქცეულიყო და სტუდენტთა მოძრაობისა და მუშათა გამოსვლების კავშირ-ურთიერთობაზე. „ხარკოვში სტუდენტთა საქმეებით გამოწვეული დემონსტრაცია გადაიქცა ქუჩის ნამდვილ ხელჩართულ ბრძოლად, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს არამარტო სტუდენტებმა. გასული წლის გამოცდილებას სტუდენტებისათვის ამაოდ არ ჩაუვლია. მათ დაინახეს, რომ მხოლოდ ხალხის და უმთავრესად მუშების მხრივ მხარდაჭერას შეუძლია უზრუნველყოს მათი გამარჯვება“[2], — წერდა ვ. ი. ლენინი.

სტუდენტთა რევოლუციურმა ბრძოლამ ახალი გაქანება პოვა 1902 წელს. დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო ის პოლიტიკური დემონსტრაცია, რომელიც სტუდენტებმა მოაწყვეს 3 მარტს ნევის პროსპექტზე. ჟანდარმერიასთან შეტაკებას სისხლისღვრა მოჰყვა. დააპატიმრეს რამდენიმე ასეული სტუდენტი, მათ შორის ქართველებიც. პეტერბურგის ამბები გახმაურდა მთელ ქვეყანაში. რუსეთის ყველა საუნივერსიტეტო ქალაქი აბობოქრდა. ნოვოროსიის უნივერსიტეტი სტუდენტთა მიტინგებისა და დემონსტრაციების ადგილად იქცა. მღელვარებაში აქტიურად მონაწილეობდნენ აქ მოსწავლე ქართველი სტუდენტები, რომელთაც იწვნიეს ხელისუფლების მკაცრი რეპრესიები. 1902 წლის მღელვარებანი მოედო ბალტიისპირეთის უნივერსიტეტებს. 19 და 21 თებერვალს იურიევის უნივერსიტეტში სტუდენტთა დიდი დემონსტრაცია გაიმართა. მას, წითელი დროშით ხელში სათავეში ედგნენ ქართველი სტუდენტები კობერიძე, გაბრიელ ხუნდაძე, დ. ქავთარაძე, ნ. რამიშვილი, კ. ქავთარაძე. სტუდენტთა მღელვარებამ ფარ-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 5, გვ. 358—359.
[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 5, გვ. 401.

თო ხასიათი მიიღო რიგაში. მთავრობამ რიგელ მეამბოხე სტუდენტებს შოუწყო მკაცრი ანგარიშსწორება. გარიცხულ და გადასახლებულ სტუდენტთა შორის იყვნენ ი. ჯანდიერი, ა. ოდიშელიძე, რიგის ვეტერინარული ინსტიტუტის სტუდენტები გ. ცინცაძე, ტ. წერეთელი და სხვები[1]. მთავრობამ მარტის მღელვარებათა გამო დაკეტა პეტერბურგის სატყეო, სამთო, ტექნოლოგიური, საგზაო და სამოქალაქო ინსტიტუტები, იურიევის უნივერსიტეტი. რიგ სასწავლებლებში თვეობით შეწყდა მეცადინეობა. 1902 წ. ოდესაში ქართველმა სტუდენტებმა დააარსეს არალეგალური ორგანიზაცია „ჩირაღდანი". ამ ორგანიზაციის ორგანიზატორ-ხელმძღვანელები იყვნენ ე. შავდია, შ. ლეჟავა, გ. ლორთქიფანიძე, კ. სულაქველიძე, მ. მდივანი და სხვ. ორგანიზაცია მიზნად ისახავდა სტუდენტი ახალგაზრდობის ჩაბმას რევოლუციურ მოძრაობაში, მათ საბრძოლო დარაზმვას. ორგანიზაცია თავისი იდეური სულისკვეთებით ახლო იყო სოციალ-დემოკრატიასთან. ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელობით ქართველი სტუდენტობა ოდესის უნივერსიტეტის სტუდენტთა რევოლუციური ცხოვრების ავანგარდში იდგა.

სტუდენტთა მოძრაობა 1903 წელს უფრო ორგანიზებულ ხასიათს იღებს, ამასთან იგი უფრო მჭიდრო კონტაქტშია მუშათა მოძრაობასთან. 1903 წლის თებერვალში რსდმპ პეტერბურგის კომიტეტმა მოწოდებით მიმართა სტუდენტობას მხარი მიეცა აზვირთებული მუშათა მოძრაობისათვის[2]. ეს მოწოდება სტუდენტთა შეკრებებზე დამუშავდა. კრებამ, რომელსაც 2500 კაცი ესწრებოდა, მიიღო რეზოლუცია, რომელიც მიესალმებოდა სოციალ-დემოკრატიისა და სტუდენტობის ერთობლივ ბრძოლას და სტუდენტობას მოუწოდებდა მუშათა კლასთან მჭიდრო თანამოქმედებას. სტუდენტთა მოძრაობას მძლავრი, ორგანიზებული ხასიათი ჰქონდა უკრაინაში, ბალტიისპირეთში. ხარკოვის, ოდესის, კიევის უნივესიტეტებში სტუდენტთა მოძრაობა მუშათა საკაფიცვო ბრძოლასთან კონტაქტში ვითარდებოდა. 1903 წელს ოდესის სტუდენტებმა ნავსადგურის მუშათა შორის შექმნეს ორგანიზაცია „ინტერნაციონალი", რომელიც ბოლშევიკურ პოზიციაზე იდგა. ამ ორგანიზაციის უმრავლესობას შეადგენდნენ ქართველი სტუდენტები და მუშები, რომლებიც რსდმპ ოდესის კომიტეტის ხელმძღვანე-

---

[1] ე. ონიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 255; ე. ახობაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 72.
[2] გაზ. „ისკრა", № 35, 1903.

ლობით მოქმედებდნენ[1]. ქართველი სტუდენტები აქტიურად მონაწილეობდნენ მუშათა გაფიცვებში, რომელმაც, როგორც ცნობილია, 1903 წლიდან მოიცვა მთელი სამხრეთ რუსეთი.

სტუდენტთა მოძრაობა ბალტიისპირეთში 1903 წ. უფრო გაძლიერდა. განსაკუთრებული ძალით იჩინა მან თავი იურიევის უნივერსიტეტსა და ვეტერინარულ ინსტიტუტში. მოძრაობის აქტივისტთა შორის ჟანდარმერიის ნაკვლევში დასახელებული არიან: სეით დევდარიანი, პავლე გედევანიშვილი, კირილე ნინიძე, პავლე კერესელიძე, გალაკტიონ მასხარაშვილი და სხვ. ჟანდარმერია ყველაზე აქტივისტ მეამბოხედ ასახელებს სტუდენტ გაბრიელ ხუნდაძეს, რომელიც სტუდენტთა კრებებისა და დემონსტრაციების ერთ-ერთ მთავარ ორგანიზატორად ითვლებოდა, მარქსისტული ლიტერატურისა და მოწოდებების გამავრცელებლად იყო აღიარებული. დაპატიმრებისას ხუნდაძეს აღმოაჩნდა კ. მარქსის და ფრ. ენგელსის შრომები, ბოლშევიკური გაზეთების ნომრები. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ხუნდაძე დერპტის სტუდენტთა გაერთიანებული სათვისტომოს აქტიური წევრია და ეწევა პროპაგანდისტულ მუშაობას, ავრცელებს არალეგალურ რევოლუციურ ლიტერატურასო[2].

პეტერბურგის უმაღლესი სასწავლებლების — უნივერსიტეტის, პოლიტექნიკური ინსტიტუტის, სამთო, ტექნოლოგიური, სატყეო ინსტიტუტების, ლესგაფტისა და ბესტუჟევის კურსების კავკასიელი სტუდენტები გაერთიანებული იყვნენ ე. წ. „კავკასიის სათვისტომოში". ამ სათვისტომოდან აქტიურ რევოლუციურ საქმიანობაში იყვნენ ჩაბმულნი ა. ჯაფარიძე, მ. ვერმიშევი, ფ. მახარაძე, პ. ქავთარაძე, ა. ზურაბოვი, ბ. კნუნიანცი, სტ. შაუმიანი, მ. აზიზბეკოვი და სხვები. ისინი დაკავშირებული იყვნენ უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა წრეებთან, მათთან ერთად მონაწილეობდნენ არალეგალური ლიტერატურის, პროკლამაციების გავრცელებაში. სტუდენტებს სისტემატური კავშირი ჰქონდათ თბილისის, ბაქოს სასწავლებლებთან და გიმნაზიელ ახალგაზრდობას უგზავნიდნენ რევოლუციურ ლიტერატურას. არალეგალური ლიტერატურის გავრცელებაში და პეტერბურგელ და თბილისელ რევოლუციონერთა კავშირში აქტიურად მონაწილეობდნენ იური, ოლგა, ვერა და ლუდმილა ეორონოვები, — სახელგანთქმული

---

1 ი. ლ. პორტნოი, მშრომელი ქართველები 1905 წ. რევოლუციურ ბრძოლებში ოდესაში. იხ. კრებული—1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში, 1955, გვ. 459.

2 ვ. ონიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 274—275.

რუსი რევოლუციონერის, ა. გერცენისა და ნ. ოგარიოვის თანამებრძოლის ნიკოლოზ ვორონოვის შვილი, რომელმაც XIX ს. 70-იანი წლების ბოლოს მუდმივ საცხოვრებელ ადგილად აირჩია წებელდის რაიონი და იმ დროიდან მთელი ოჯახით გახდა სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან კავკასიის ხალხთა განთავისუფლების ენერგიული მონაწილე"[1].

1903 წლიდან პეტერბურგელ სტუდენტთა კავკასიის სათვისტომოს შეემატა შალვა ელიავა, რომელიც ამ წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი გახდა და მამია ორახელაშვილი, რომელიც იმ წელს შევიდა სამხედრო სამედიცინო აკადემიაში. ისინი დიდი გატაცებით ჩაებნენ სტუდენტთა არალეგალურ რევოლუციურ საქმიანობაში. ამ სათვისტომოს სისტემატური მჭიდრო კავშირი ჰქონდა პეტერბურგის რსდმპ ორგანიზაციასთან და ამიერკავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციებთან. კავკასიის სათვისტომოს აქტიურ რევოლუციურ მოღვაწეებთან უახლოეს რევოლუციურ თანამშრომლობას ახორციელებდა რსდმპ პეტერბურგის კომიტეტის მდივანი ე. სტასოვა. ახლო მეგობრობა ჰქონდა ამ წრესთან აკად. ი. პ. ბოროდინს, რომელიც ბოტანიკურ მუზეუმს განაგებდა და ახალგაზრდა პროფესორ ვ. ლ. კომაროვს (შემდეგ სსრკ მეცნ. აკადემიის პრეზიდენტი), რომლის აკადემიური ოთახი რევოლუციონერი ახალგაზრდობის შესაკრები ადგილი იყო[2].

1903 წ. აპრილში მთელ ქვეყანაში აზვირთებული სტუდენტური გამოსვლების ანგარიშგასწორების მიზნით მთავრობამ მოაწყო სტუდენტთა მასობრივი დაპატიმრებანი, რომელშიც მრავალი ქართველი სტუდენტი მოჰყვა. ბევრი ქართველი სტუდენტი გარიცხულ იქნა სასწავლებლიდან და იძულებული გახდა სამშობლოში დაბრუნებულიყო. სტუდენტთა რევოლუციური მოძრაობის შემდგომი აღმავლობისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სტუდენტთა საერთო ყრილობას, რომელიც 1903 წლის ნოემბერში კონსპირაციულად შედგა ოდესაში. მასში მონაწილეობდნენ ქვეყნის 19 უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენლები. ყრილობამ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია აღიარა ერთადერთ ხელმძღვანელ ძალად, გაიზიარა რსდმპ მეორე ყრილობის გადაწყვეტილებანი, მოწონებით შეხვდა რსდმპ პარტიის დაარსებას. სტუდენტთა ოდესის ყრილობის ორგანიზაციასა და მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ქართველი სტუდენტები.

---

[1] И. П. Лейборов. Цебельдинская находка. Из истории революционных связей между Петербургом и Кавказом. М., 1980, с. 166—168.

[2] ოქვე, გვ. 191.

სტუდენტთა მოძრაობა 1904 წელს მძლავრი შენაკადი გახდა იმ მზარდი რევოლუციური ბრძოლებისა, რომელიც რუსეთის პროლეტარიატმა და მშრომელმა გლეხობამ გააჩაღა პირველი რევოლუციის წინა პერიოდში და აიყოლია იმპერიის მთელი დემოკრატიული ინტელიგენცია. სტუდენტობამ 1904 წლიდან თავისი გულისწყრომა და რისხვა გამოავლინა მთავრობის იმპერიალისტური, რეაქციული საგარეო პოლიტიკის მიმართ. კერძოდ, იაპონიასთან ომის გაჩაღებაში სტუდენტობამ დაინახა კრიზისის წინაშე მდგომი მთავრობის ვერაგული განზრახვა ხალხის რისხვა ომის ხმაურში ჩაეხშო და შორეულ აღმოსავლეთში გაერეკა რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდობა არმიის, მუშათა და გლეხთა რიგებიდან. 1904 წ. თებერვალში სტუდენტები პეტერბურგში, მოსკოვში, უკრაინაში, ბალტიისპირეთში აწყობდნენ ომის საპროტესტო დემონსტრაციებს. ოდესის სტუდენტთა ორგანიზაციამ „ინტერნაციონალმა" გამოსცა პროკლამაციები და მოწოდებანი, რომელიც ააშკარავებდა იაპონიასთან ცარიზმის მიერ გაჩაღებული ომის არსს და სტუდენტობას რევოლუციური ბრძოლებისაკენ მოუწოდებდა. პოლიციამ და ჟანდარმერიამ ოდესის უნივერსიტეტის მეამბოხე სტუდენტთა მოთავეები დააპატიმრა. დაპატიმრებულთა შორის იყვნენ ნ. ჯიშკარიანი, ვ. ფიჩხაია, ნ. ქუთათელაძე, პ. ქარუმიძე, ელ. ქაჯაია და სხვები[1].

კურსდამთავრებული ან სასწავლებლიდან დათხოვილი სტუდენტები სამშობლოში დაბრუნების შემდეგ აგრძელებდნენ რევოლუციურ მოღვაწეობას. ისინი უკავშირდებოდნენ ადგილობრივ რევოლუციურ ორგანიზაციებს და მათი მითითებით ეწეოდნენ ორგანიზაციულ თუ საპროპაგანდო საქმიანობას. სტუდენტთა მოძრაობის შესანიშნავი სკოლა განელეს საქართველოსა და ამიერკავკასიის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის მესვეურებმა ფ. მახარაძემ, ალ. წულუკიძემ,

[1] ზემოთ მოტანილი მწირი მასალებიდანაც ცხადი ხდება, რომ ქართველმა სტუდენტობამ სამი რევოლუციის მანძილზე გაჩაღებულ მოძრაობაში თვალსაჩინო როლი შეასრულა. ქართველი სტუდენტები აქტიური მონაწილენი იყვნენ საუნივერსიტეტო ქალაქების რევოლუციური ცხოვრებისა 1900-1917 წლებში. სამწუხაროდ, ამ საკითხით დღემდე არც ერთი ქართველი მკვლევარი არ დაინტერესებულა. ჩვენ მკვლევარებს წინ უდევთ დიდი სამუშაო — ჩასხდნენ საუნივერსიტეტო ქალაქების არქივებში და გამოამზეურონ ის სისხლსავსე, თავგანწირული, სასახელო რევოლუციური საქმიანობა, რაც ქართველ სტუდენტთა სახელთანაა დაკავშირებული. თბილისის უნივერსიტეტის სსრ კავშირის ისტორიის კათედრამ უკვე გადადგა ნაბიჯები ამ მიმართულებით და იმედი გვაქვს მალე ვიხილავთ სპეციალურ ნაშრომს რუსეთში ქართველი სტუდენტობის რევოლუციური საქმიანობის შესახებ.

ლ. კეცხოველმა, პ. ჯაფარიძემ, ვ. ნონიკაშვილმა და სხვებმა, რომლებიც XIX ს. მიწურულში აქტიურად მონაწილეობდნენ რუსეთისა და საზღვარგარეთის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა გაბოსვლებში. ისინი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიით აღფურვილნი დაბრუნდნენ სამშობლოში და აქტიურად მონაწილეობდნენ ლენინურ-ისკრული ორგანიზაციების შექმნა-განმტკიცების საქმეში. 900-იანი წლებიდან რევოლუციონერთა რიგები საქართველოში ივსებოდა ახალი სტუდენტური ძალებით, რომელთა ერთი ნაწილი რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის პოზიციაზე იდგა და გატაცებით მონაწილეობდა ლენინური პარტიის ორგანიზაციულ მშენებლობასა და იდეურ-პროპაგანდისტულ მოღვაწეობაში. ქართველ სტუდენტთა გარკვეულ ნაწილს, მართალია, რევოლუციური სოციალ-დემოკრატიისაგან განსხვავებული შეხედულება ჰქონდა, მაგრამ არსებული რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის სულისკვეთება მას ეწეოდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლთა იმ ბანაკში, რომლის წამყვან ძალას ბოლშევიკები წარმოადგენდნენ.

უმაღლეს სწავლამიღებული ახალგაზრდობა ძირითადად პედაგოგიურ ფრონტზე იწყებდა მოღვაწეობას და ამრიგად, ქალაქად და სოფლებში შეჰქონდა საბრძოლო სულისკვეთება. პირველი რევოლუციის წინა პერიოდის რევოლუციური საქმიანობის მოთავეთა შორის შეიძლებოდა დაგვესახელებინა ასეულობით მასწავლებელი, რომელნიც მოსწავლეთა და მშობელთა შორის მგზნებარე პროპაგანდისტულ საქმიანობას ეწეოდნენ და ამზადებდნენ პირველი სახალხო რევოლუციის აქტიურ მებრძოლებს[1]. სტუდენტური ძალებით ივსებოდა აგრეთვე შემოქმედებითი ინტელიგენციის — მწერლების, ჟურნალისტების, თეატრალური მოღვაწეების რიგები. ერთი სიტყვით, 900-იანი წლების ქართველი დემოკრატიული ინტელიგენცია, რომელმაც უმაღლესი განათლება და პირველი რევოლუციური ნათლობა რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში მიიღო, ჩამოყალიბდა მძლავრ საზოგადოებრივ ძალად, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა იმპერიალიზმის ეპოქის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში და ასრულებდა მუშათა კლასის მოკავშირის როლს ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

რევოლუციურ-დემოკრატიული მოღვაწეობის ის დიდი ტრადიცი-

---

[1] იხ. სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები, კრებული 3 წიგნად, გამოცემული 1953, 1955, 1968 წლებში; ე. ახობაძე, ქართველი დემოკრატიული ინტელიგენცია და რევოლუციური მოძრაობა საქართველოში, გვ. 56—57.

ები. რომელიც საქართველოში XIX ს. 60-იანი წლებიდან მომდინარეობდა. როგორც ცნობილია, მუდამ კეთილისმყოფელ გავლენას ახდენდა საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობაზე; ამ ახალგაზრდობამ თავისი რევოლუციური სულისკვეთება ნათლად გამოავლინა XIX ს. 80—90-იან წლებში. განსაკუთრებით თავი ისახელა ამ მხრივ თბილისის სასულიერო სემინარიამ, სადაც ნაცვლად ღვთის და მთავრობის ერთგული მსახურებისა, ჭეშმარიტი რევოლუციური ძალები გაიზარდნენ. ეს ტრადიცია თბილისის სასულიერო სემინარიას არა მარტო გადმოჰყვა XX საუკუნეში, არამედ იგი გამდიდრდა ახალი რევოლუციური სულისკვეთებით. სემინარიაში მოქმედებდა რევოლუციური ახალგაზრდობის საიდუმლო ორგანიზაცია. რომელიც მჭიდრო კონტაქტში იყო რსდმპ ლენინურ-ისკრული მიმართულების თბილისის კომიტეტთან და მისი დავალებით აქტიურად მონაწილეობდა რევოლუციური პროკლამაციებისა და სხვა ლიტერატურის გავრცელებაში. სემინარიის მოსწავლეთა რევოლუციური ბირთვი შეუპოვრად ებრძოდა სემინარიის რეაქციულ სულისკვეთებას, იეზუიტურ რეჟიმს, აქტიურად მონაწილეობდა მუშათა საპირველმაისო დემონსტრაციებსა და სხვა გამოსვლებში.

მოსწავლე ახალგაზრდობას თავისი საიდუმლო რევოლუციური ორგანიზაცია ჰქონდა თბილისის საფერშლო სკოლაში. ამ ორგანიზაციის წამყვანი ძალა იყო გრიგოლ (სერგო) ორჯონიკიძე, რომელიც აქტიურად იღვწოდა თბილისის რევოლუციური ახალგაზრდობის ძალთა გაერთიანებისათვის. 1902 წელს თბილისში უკვე ჩამოყალიბდა მოსწავლეთა გაერთიანებული ცენტრი, რომელიც სათავეში ჩაუდგა თბილისელ მოსწავლეთა რევოლუციურ ბრძოლას. ცენტრს მჭიდრო კონტაქტი ჰქონდა თბილისის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციასთან და მოქმედებდა მისი დავალებით.

რევოლუციური სულისკვეთება 900-იან წლებში მტკიცედ დამკვიდრდა დასავლეთ საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობაში, რაც რსდმპ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის დაუცხრომელ რევოლუციურ-პროპაგანდისტული მოღვაწეობის შედეგი იყო. ქუთაისის ვაჟთა და ქალთა გიმნაზიებში, რეალურ სასწავლებელში, სასულიერო სემინარიაში არსებობდა საიდუმლო წრეები, ისინი სცემდნენ ხელნაწერ ჟურნალებს, ხშირად აწყობდნენ არალეგალურ შეკრებებს, მონაწილეობდნენ არალეგალური ლიტერატურის გავრცელებაში.

ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მოსწავლეების რევოლუციური ენთუზიაზმი უფრო და უფრო ღვივდებოდა საქართველოს პროლეტარიატის პოლიტიკური ბრძოლის აღმავლობასთან დაკავშირებით. გიმ-

ნაზიის ფარული წრის აქტიური მონაწილე, შემდეგში ცნობილი ქართველი მწერალი ლ. ქიაჩელი იგონებს: „წრის წევრებში ძლიერდებოდა რევოლუციური სულისკვეთება, რასაც ხელს უწყობდა ამ დროს როტშილდის ქარხნის მუშათა გაფიცვები ბათუმში და პოლიტიკური დემონსტრაციები, რომელთაც სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია ხელმძღვანელობდა"[1].

ქუთაისელ მოსწავლეთა გარევოლუციურების საქმეში დიდი იყო რსდმპ კავკასიის კავშირის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის წევრის ალიოშა ჯაფარიძის როლი. მისი ხელმძღვანელობით მოსწავლე ლ. ქიაჩელის ბინაზე ჩამოყალიბდა ქუთაისელ წვრილ ხელოსანთა და ნოქართა რევოლუციური ორგანიზაცია, რომელშიაც მოსწავლეებიც იღებდნენ მონაწილეობას. ისინი ავრცელებდნენ პროკლამაციებს მუშათა შორის, მონაწილეობდნენ მიტინგებსა და დემონსტრაციებში. კლასიკური გიმნაზიის, სასულიერო სემინარიის, ქალთა გიმნაზიის მოსწავლეებს, სტუდენტებთან ერთად ქუთაისის ცხოვრებაში შეჰქონდათ რევოლუციური ენთუზიაზმი; ახალგაზრდა რევოლუციონერთა სათაეში იდგნენ ს. წულუკიძე, ს. ქავთარაძე, ი. მამფორია, ვ. რუხაძე, მ. მგელაძე, პ. ქაცარავა, ა. ურუშაძე და სხვები.

მთელ რუსეთში გახმაურდა დემონსტრაცია, რომელიც 1904 წელს 3 თებერვალს მოსწავლეებმა მოაწყეს ქუთაისში, ეს იყო ცარიზმის მიერ იაპონიასთან წამოწყებული ომის საწინააღმდეგო პოლიტიკური გამოსვლა. გაზ. „ისკრა" წერდა: „ქუთაისში... ყველგან მღელვარებაა. მთავრობისადმი მტრული დამოკიდებულება შესამჩნევია საზოგადოების ყველა ფენაში. გიმნაზიასა და რეალურ სასწავლებელში სტუდენტთ შეეგებნენ მთავრობის მანიფესტს. გაისმა სიმღერა და შეძახილები „ძირს თვითმპყრობელობა". ამ დღეებში ქუთაისში გაიმართა მოსწავლეთა დემონსტრაცია. მასში მონაწილეობდნენ ქალაქის ყველა სასწავლებლის მოსწავლე ვაჟები და ქალები"[2]. მოსწავლეთა ეს გამოსვლები რსდმპ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის შთაგონებით მოეწყო. ამ მოვლენასთან დაკავშირებით გამოცემულ პროკლამაციაში კომიტეტი მიესალმებოდა ახალგაზრდების რევოლუციურ შემართებას. „...თქვენ თავზარი დაეცით მტერს და ჩვენც მოგესალმებით ამისათვის. რევოლუციური მოძრაობის აბობოქრებული ტალღებით გატაცებულნი, თქვენ გაბედულად შეუერთდით სოციალ-დემოკრატიას და დაიძარით,

---

1 ლ ე ო ქ ი ა ჩ ე ლ ი, თხზ., ტ. V, 1964, გვ. 122.

2 გაზ. „ისკრა", № 60, 1904.

რათა დასწვათ თვითმპყრობელობის გემი, ის უსაქოდ ეხეთქება აქეთ-იქით და მრისხანედ მიწოლილი ტალღები მალე დაღუპვას უქადიან მას"[1]. ქუთაისის მოსწავლეთა დემონსტრაცია დიდმნიშვნელოვან მოვლენად მიიჩნია რსდმპ კავკასიის კავშირის თბილისის კომიტეტმა და თბილისელ მოსწავლეებს მოუწოდა აეღოთ ქუთაისელთა მაგალითი. „დაე, ქუთაისელ ახალგაზრდა მებრძოლთა თავგანწირულება მაგალითი გახდეს სხვა სასწავლებლებისათვის, დაირაზმონ ახალგაზრდა ამხანაგები, ვინაიდან ძალა ერთობაშია!... დაუმტკიცეთ, რომ თქვენგან გამოელენ არა მოხელეები, არა სულმდაბალი ბილწი კაცუნები, არამედ შეომარნი, არა უბადრუკი, ბეჩავი დაქირავებულნი, არამედ ამაყი და მამაცი მებრძოლები კაცობრიობის ბედნიერებისა და ნათელი მომავლისათვის"[2].

1900—1904 წლებში საქართველოში ვერ დავასახელებთ .ისეთ სასწავლებელს, სადაც მოსწავლეები გულგრილნი ყოფილიყვნენ არსებული რეჟიმისადმი და თავისი რევოლუციური პათოსი არ გამოეხატათ სხვადასხვა ფორმის გამოსვლებში. ამ გამოსვლებს მკვეთრი ხასიათი ჰქონდა ბათუმის, სოხუმის, ხონის, გორის, თელავის, ოზურგეთის, სასწავლებლებში. მოსწავლეები აქ რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების საიმედო, მჩქეფარე თანაშემწეებს წარმოადგენდნენ თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

* * *

ქართველი ხალხის გათვითცნობიერებისა და საბრძოლო შემართების საქმეში პირველი რევოლუციის წინა წლებში დიდი მუშაობა გასწია შემოქმედებითმა ინტელიგენციამ, პირველ რიგში ქართულმა დემოკრატიულმა მწერლობამ, რომელიც სწორედ ამ პერიოდში შეივსო ახალი, ნიჭიერი ძალებით. განმათავისუფლებელი მოძრაობის მესამე ეტაპზე — იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციის ეტაპზე ლიტერატურა რუსეთში და ჩვენშიც ახალი ამოცანების წინაშე დადგა, ახალ ხმაზე აეწყო. ქართული დემოკრატიული მწერლობა მტკიცედ ჩადგა პროლეტარული ეპოქის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სამსახურში. ამ პერიოდის ქართული ლიტერატურის განვითარების ძირითადი ტენდენცია განსაზღვრა რევოლუციის ეპოქის

---

1 ცსია, ფ. 107, საქ. № 8520, ფურც. 33.

2 რსდმპ კავკასიის კავშირის პროკლამაციები, გვ. 132.

სულისკვეთებამ, მისმა შემამზადებელმა ისტორიულმა მოვლენებმა, მისმა პათოსმა და დანიშნულებამ.

ქართველ მწერლობაში ამ სიახლეს ნიადაგი 90-იან წლებში შეუმზადდა. საზოგადოებრივ ასპარეზზე მარქსისტული თაობის („მესამე დასის") გამოსვლამ ქართულ ლიტერატურაში ახალი მოტივები მოიტანა, ახალი იდეები აღძრა. მწერალთა ერთი ჯგუფი (ე. ნინოშვილი, შ. არაგვისპირელი, ი. ევდოშვილი, ლალიონი და სხვ.), უპირატესად ღარიბი ფენებიდან მოსული, თავიდანვე სისხლხორცეულად განიმსჭვალა მომწიფებული სოციალური ტკივილების მხატვრული ასახვის სულისკვეთებით; ქალაქად და სოფლად გამწვავებული კლასობრივი ბრძოლა გაიხადა მან შემოქმედების მთავარ თემად, გაბედულად დადგა უუფლებოთა და გაყელეფილთა მხარეზე, მისი სოციალური აღშფოთების, საბრძოლო სულისკვეთების ამსახველი და წამაქეზებელი გახდა. მწერალთა ამ ჯგუფს, მართალია, ჯერ კიდევ აკლდა იდეური გამოკვეთილობა, წვრილბურჟუაზიულ მერყეობასაც განიცდიდა იგი, მაგრამ სანაცვლოდ მოჭარბებული ჰქონდა საბრძოლო პათოსი, იგი მუშათა კლასის ინტერესებით ცოცხლობდა და მასში ხედავდა მომავალს.

მწერალთა ეს თაობა აღზრდილი იყო XIX ს. 70—80-იანი წლების ქართული დემოკრატიული მწერლობის იმ მაღალ ტრადიციებზე, რომელიც განუხრელად იცავდა ჰუმანიზმის, დემოკრატიზმის პრინციპებს და მხატვრული შემოქმედების დანიშნულებად დაჩაგრული მასების ინტერესებისათვის ბრძოლას აღიარებდა. ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილის შემოქმედება ამ თაობამ აკვნიდან, დედის რძესავით შეიწოვა, შეირგო და ბოლომდე მისი ერთგული დარჩა. ამიტომ იყო, რომ მათ მხატვრულ ნააზრევში სოციალურთან ერთად მძლავრად ჟღერდა ეროვნული მოტივები. ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის წყურვილი სოციალური ჩაგვრისაგან გათავისუფლებისათვის ბრძოლის სწრაფვასთან ერთად წითელ ზოლად გასდევს XIX ს. რევოლუციურ-დემოკრატიულ ქართულ ლიტერატურას.

მწერალთა ამ ახალგაზრდა თაობის გვერდით XX საუკუნეში შემოაბიჯეს XIX ს. ქართული ლიტერატურის ბუმბერაზებმაც — ილიამ, აკაკიმ, ვაჟამ, იაკობმა, გ. წერეთელმა, ნ. ნიკოლაძემ და სხვებმა (1901 წელს მათ რიგებს გამოაკლდა გიორგი წერეთელი). ახალგაზრდა თაობაზე ამ პლეადის იდეურ-მხატვრული ზეგავლენა უდიდესი იყო, მიუხედავად იმისა, რომ თემატიკის არჩევისა და მისი სოციალური ინ-

ტერპრეტაციის თვალსაზრისით ეს თაობები ერთმანეთისაგან უკვე საკმაოდ დაშორებული იყვნენ.

XIX ს. 60—70-იანი წლების თაობა პირველი რევოლუციის წინ იმავე პოზიციიდან, იმავე სიღრმითა და გატაცებით ეწეოდა ქართველი ერის სულიერი გამოღვიძებისა და თვითშეგნების ამაღლების კეთილშობილურ შემოქმედებით საქმიანობას, როგორადაც გასული საუკუნის 60—90-იან წლებში. თუმცა ისიც არ უნდა დავიიწყოთ, რომ ბრძოლაში გაჭაღარავებულ ამ თაობას ემჩნეოდა ოდნავი დაღლილობა, — განსაკუთრებით დიდ ილიას, რომლის მხატვრული კალამი ახალი საუკუნის დასაწყისიდან თითქმის დადუმდა.

მაგრამ ამ თაობის როლი საქართველოს მშრომელი მასების რევოლუციურ შემართებაში მაინც უდიდესი იყო. ყველა ქართული ოჯახი— წერა-კითხვის მცოდნე თუ უცოდინარი — ნაზიარევი იყო ილიას, აკაკის, ვაჟას, ა. ყაზბეგისა და მათი თანამებრძოლების შემოქმედებას. კაკო ყაჩაღი, გაბრო, ელგუჯა საბრძოლო სულისკვეთების გამაღვიძებელ გმირებად დასახლდნენ ქართულ ოჯახებში, აკაკისა და ვაჟას პატრიოტული ლირიკა ყოველი მოსწავლე ახალგაზრდის სულიერ საგზალად იქცა ცხოვრების გზაზე.

„დიდი სამოციანელების“ გვერდით XX საუკუნის დასაწყისში აქტიურ შემოქმედებით საქმიანობას ეწეოდა 80-იან წლებში წამოზრდილი თაობა ხალხოსანი მწერლებისა (ნ. ლომოური, ს. მგალობლიშვილი, ეკ. გაბაშვილი), თავს იჩენდა აგრეთვე მოდერნიზმისა და სიმბოლიზმის ნიშნები. 900-იანი წლების ლიტერატურული მიმდინარეობანი არა მხოლოდ ასახავდნენ ამ პერიოდის კლასობრივ ძალთა განწყობილებასა და ურთიერთდამოკიდებულებას, არამედ თავისი კლასის იდეურ-მხატვრული სამსახურის ფუნქციასაც ასრულებდნენ.

XX საუკუნის დასაწყისის ქართული რევოლუციურ-დემოკრატიული და პროლეტარული ლიტერატურა ისე როგორც ადრე, ძალუმად განიცდიდა რუსეთის ლიტერატურის კეთილისმყოფელ გავლენას. ქართველი მწერლებისათვის განსაკუთრებით სათაყვანო იყო სახელი მაქსიმ გორკისა, რომელიც ახალი საუკუნის გარიჟრაჟზე გოლიათური ძალით წამოიმართა მუშათა კლასის ინტერესების დასაცავად და არსებული რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში მთელი რუსეთის შემოქმედებითი ინტელიგენცია გაიყოლია. მაქსიმ გორკის საქართველოსთან აკავშირებდა შემოქმედების საწყისი პერიოდი. ახალი თაობის მწერლებიდან ბევრი პირადად იცნობდა მას, როგორც 90-იან წლებში თბილისის რევოლუციური ცხოვრების აქტიურ მონაწილეს. მ. გორკის „შე-

ვარდენი“ ირ. ევდოშვილის თარგმანით „კვალში“ 1899 წელს დაიბეჭდა. რევოლუციის ეს უბადლო სიმღერა 1902 წ. ხელახლა თარგმნა ვ. გიუნაშვილმა („მიმინოს ლექსი“). „კვალში“ 1903 წელს ისევ გამოქვეყნდა „შევარდნის სიმღერის“ კ. ჯაფარიძისეული თარგმანი. გორკის „გრიგალას სიმღერიდან“ ცალკეული სტროფები რევოლუციურ მგზნებარებას მატებდნენ 1900 — 1904 წლებში თბილისში გამოცემულ ბოლშევიკურ პროკლამაციებს.

ქართულ მწერლობაზე კვთილისმყოფელ გავლენას ახდენდა აგრეთვე დიდი რუსი მწერლის ლ. ნ. ტოლსტოის გენიალური შემოქმედება და დაუცხრომელი პრაქტიკული ბრძოლა არსებული რეჟიმის წინააღმდეგ. ასევე დიდი იყო დემოკრატი რუსი მწერლების ა. ჩეხოვის, ლ. ანდრეევის, ა. კუპრინის, ა. ბლოკის, ვ. ბრიუსოვის და სხვ. გავლენა. ახალი საუკუნის დასაწყისიდან ქართულ ლიტერატურაში თანდათან მკვიდრდებოდა სოციალისტური რეალიზმის შემოქმედებითი მეთოდი, რომელიც ეყრდნობოდა რა ქართული კრიტიკული რეალიზმის მდიდარ ტრადიციებს, იზრდებოდა და სისხლსავსე ხდებოდა საქართველოს პროლეტარიატისა და მშრომელი გლეხობის აღმავალი რევოლუციური ბრძოლების გამოცდილებით (დ. კლდიაშვილი, ირ. ევდოშვილი, შ. არაგვისპირელი, ვ. ბარნოვი).

* * *

პირველი სახალხო რევოლუციის წინა პერიოდში განსაკუთრებული ძალით გამოვლინდა ი. ევდოშვილის მოქალაქეობრივი და შემოქმედებითი აქტივობა. იგი საქართველოს მუშათა კლასს გაბედულად გაჰყვა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში და თავისი მგზნებარე პოეზიით მას გმირობისა და თავგანწირვის სულისკვეთებას უნერგავდა. ი. ევდოშვილი აღფრთოვანებული შეხვდა პირველი ქართული არალეგალური ბოლშევიკური გაზეთის „ბრძოლას“ გამოსვლას და მის ფურცლებზე დაბეჭდა ლექსები „ბრძოლას“, „ძმებო გავიდეთ ბრძოლისა ველზე“[1]. ი. ევდოშვილმა თარგმნა აგრეთვე ცნობილი რევოლუ-

---

[1] გაზ. „ბრძოლის“ ფურცლებზე ლექსი „ბრძოლას“ დაბეჭდილია X-ის ხელმოწერით („ბრძოლა“, № 2—3, 1901), ხოლო „ძმებო, გავიდეთ ბრძოლისა ველზე“ („ბრძოლა“, № 4, 1901.) ბუკის ხელმოწერით. მკვლევარმა ნალეა გოზალი ვილმა დაასაბუთა, რომ ორთავე ეს ლექსი ი. ევდოშვილს ეკუთვნის. იხ. მისი-ქართული რევოლუციური მხატვრული ლიტერატურის ისტორიისათვის, 1963, გვ. 25—26.

ცეური ჰიმნები „ვარშავიანკა“ და „მარსელიეზა“, რომლებიც აგრეთვე გაზეთ „ბრძოლაში“ დაიბეჭდა. ი. ევდოშვილი ამ პერიოდში მთელი არსებით თანაუგრძნობდა იმ რევოლუციურ-დემოკრატიულ იდეებს, რომლებსაც პროპაგანდას ბოლშევიკური „ბრძოლა“ უწევდა. „ერთადერთი ხარ სხვათა მრავალში, ჭეშმარიტების მღაღადებელი“, — ასე მიმართავდა იგი გაზეთს და მოუწოდებდა „დამანახვე შენი გმირები ბრძოლისა ველზე გამარჯვებულნი, რომელთაც ხელთ ეპყრათ დროშა და ზედ ეწეროს თავისუფლება და სიყვარული“. იროდიონ ევდოშვილის იმდროინდელი ლექსები, სიმღერად გარდაქმნილი, მუშათა დემონსტრაციებს ძალასა და სიმხნეევს მატებდა. ლექსი „ძმებო, გავიდეთ ბრძოლისა ველზე“, როგორც საპირველმაისო სიმღერა, ცალკე პროკლამაციის სახით დაიბეჭდა რსდმპ კავკასიის კავშირის ხელმოწერით[1] და გავრცელდა მუშებსა და მოსწავლე ახალგაზრდობას შორის.

1900—1903 წლებში ი. ევდოშვილი ახლო ურთიერთობაში იყო რსდმპ კავკასიის კავშირისა და თბილისის კომიტეტებთან, მათი დავალებით ეწეოდა პროპაგანდისტულ მუშაობას თბილისისა და სოფლების მაზრებში. 1904 წელს, რუსეთ-იაპონიის ომის დაწყებიდან იგი გაიწვიეს არმიაში და განაწესეს ელიზავეტპოლში ასლანდუზის სათადარიგო ბატალიონში პროპორშჩიკად. ი. ევდოშვილს საქართველოსთან კავშირი არ გაუწყვეტია. ქართულ პრესაში სისტემატურად იბეჭდებოდა მისი ლექსები და მოთხრობები, რომლებიც უმღეროდნენ რევოლუციას და დაჩაგრულ მასებს შეუპოვარი ბრძოლებისაკენ მოუწოდებდნენ. ელიზავეტპოლში, პოლკის ჯარისკაცთა შორის ი. ევდოშვილი ეწეოდა რევოლუციურ პროპაგანდას. ჟანდარმერიის 1904 წლის დასკვნაში ნათქვამია: „ასლანდუზის ბატალიონში — ქ. ელიზავეტპოლში სამსახურში მყოფი სათადარიგო პროპორშჩიკი იროდიონ ხოსიტოვი (ხოსიტაშვილი) — ქართველი პოეტი, რომელიც წერს ევდოშვილის ფსევდონიმით, აწარმოებს დანაშაულებრივ პროპაგანდას დასახელებული ბატალიონის ჯარისკაცთა შორის — განსაკუთრებით მკვიდრთა შორის... ბატალიონის თითქმის ყველა ჯარისკაცი იმყოფება ამ პროპაგანდის გავლენის ქვეშ. ამას გარდა დასახელებული ხოსიტოვი აწვდის სოციალ-დემოკრატებს იარაღს: ბერდანის თოფებს და ბრაუნინგისა და ნაგანის რევოლვერებს. იარაღს იწერს ქარხნებიდან და იარაღის მაღაზიების მეპატრონეთაგან“.

---

[1] რსდმპ კავკასიის კავშირის პროკლამაციები (1903—1905 წწ.) 1955, გვ. 148—149.

რსდმპ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის პროპაგანდისტულ ძალებს შორის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური და მგზნებარე ტრიბუნი იყო ჭოლა ლომთათიძე, რომლის შემოქმედება ახალ ნაკადად შემოვიდა XX საუკუნის დასაწყისის ქართულ ლიტერატურაში.

1901 წლის დეკემბერში ჟურნალ „მოამბეში"[1] დაიბეჭდა ჭ. ლომთათიძის პირველი მოთხრობა „დავითი", ხოლო „ცხოვრების გულიდან" გაზ. „ცნობის ფურცელში"[2]. 1901—1903 წლებში ჭ. ლომთათიძემ თორმეტამდე ბელეტრისტული ნაწარმოები გამოაქვეყნა („შეყვარებული", „მატლი", „ტალღები", „დასაფლავება", „ერთი საღამო ბატონ ადვოკატთან", „ზღვა", „აღსარება", „ნაზარეველი აღსდგა", „კვლავ ფიქრი, ფიქრი", „სიცრუე"). ესენი იყო ან ნოველური ტიპის მცირე მოთხრობები, ან მინიატურები, ეტიუდები. მათში უკვე იგრძნობოდა ის სიახლე და რევოლუციური პათოსი, რაც ახალგაზრდა ჭოლას მოჰქონდა ქართულ ლიტერატურაში. „ისინი მათი ავტორისათვის დამახასიათებელი მხატვრული დამაჯერებლობით, უშუალობით, პირდაპირობითა და მებრძოლი შემართებით ამხელენ და კიცხავენ დროგოლ, ბოროტების წარმომქმნელსა და უკანონობაზე დაფუძნებულ სოციალურ სისტემას, რომელიც უწყალოდ თრგუნავდა საზოგადოების ყველაზე სიცოცხლისუნარიან ნაწილს — მშრომელ მასას...[3]. — ამ პირველსავე მოთხრობებში „გამოიკვეთა ინტერესთა რკალი, თემები, რომლებიც შემდგომში ჭოლას შემოქმედების შთამაგონებელ წყაროებად იქცნენ — ესაა სოციალ-პოლიტიკური უკეთმართობის მხილება და ეროვნული პრობლემა"[4].

ჭ. ლომთათიძე ამ დროს ცოტას წერდა. ყველაზე მეტად მას პრაქტიკული რევოლუციური საქმიანობა იტაცებდა. 1902 — 1903 წლებში იგი უპირატესად გურიაში იყო, სადაც ამ დროს გაჩაღებული იყო აგრარული ბრძოლის ხანძარი. ჭოლა აქტიური მონაწილე იყო მიტინგებისა, დემონსტრაციებისა და მანიფესტაციებისა, ამასთან ერთად გამოდიოდა დისპუტებში, დისკუსიებში. მან დაიმსახურა განათლებული და მგზნებარე პროპაგანდისტის სახელი. 1904 წლის დამლევს იგი მივლინებულ იქნა ნოვოროსიისკში, იქ მომუშავე ქართველთა შორის რევოლუციური მუშაობის გასაჩაღებლად.

---

[1] მ ო ა მ ბ ე, XII, 1901.

[2] გაზ. „ ც ნ ო ბ ი ს ფ უ რ ც ე ლ ი", სურათებიანი დამატება. 21 დეკემბერი. 1901.

[3] გ ი ო რ გ ი ც ი ც ი შ ვ ი ლ ი, ჭოლა ლომთათიძე, ცხოვრება და შემოქმედება, 1966, გვ. 180.

[4] ი ქ ვ ე, გვ. 191.

პირველი რევოლუციის წინ რევოლუციურ-დემოკრატიული სულისკვეთებით გამსჭვალულ მწერალთა რიგებს შეემატა მიხეილ ჯავახიშვილი.

1903 წელს „ცნობის ფურცელში" გამოქვეყნდა მიხეილ ჯავახიშვილის პირველი მოთხრობა „ჩანჩურა", რომელმაც მაშინვე მიიქცია საზოგადოებრიობის ყურადღება. ავტორმა ამ მოთხრობაში სატირულ ფორმებში დახატა ბედშაეი, ნახევრად მახინჯი, ყველას მიერ სასაცილო და აბუჩად აგდებული პატარა ადამიანის ცხოვრება და მისი ტრაგიკული თავგადასავლის ფონზე გახსნა კაპიტალისტური საზოგადოების ეთიკური მანკიერება, მისი ანტიჰუმანური ხასიათი. მკითხველი მოთხრობაში ყველა გვერდზე გრძნობს ცხოვრების მიერ დამკვიდრებული მგლური კანონების უკუღმართობას, სოციალურ უფსკრულს, რომელიც მდიდართა და არაფრის-მქონეთა შუაა გათხრილი, იმსჭვალება არსებული უსამართლობის წინააღმდეგ ზიზღისა და შურისძიების სულისკვეთებით.

„ჩანჩურას" მალე მოჰყვა „კურკას ქორწილი", „მეჩექმე გაბო". კურკაც და გაბოც შვილებია იგივე სოციალური გარემოსი, რომელმაც ჩანჩურა იმსხვერპლა. საზოგადოებრიობისაგან ჩანჩურასებრ დამცირებული, აბუჩად აგდებული. კურკას ხანმოკლე ბედნიერება მოტყუებაზეა აგებული. მალე იგი მათხოვრად იქცევა და ქვეყნის სამასხარაო ხდება. მეჩექმე გაბო კი თითქოს შეძლებული ხელოსანია, მაგრამ კაპიტალიზმის მგლური კანონების პირობებში ისიც ქუჩაში გამოგდებული და ულუკმაპურო ხდება.

პირველსავე ქმნილებებში მ. ჯავახიშვილი ქართველ მკითხველ საზოგადოებრიობას მოევლინა რეალისტური მიმართულების ნიჭიერ გამგრძელებლად. მისი მახვილი მზერა ნილაბს ხდიდა ბურჟუაზიული წყობილების გამოუსწორებელ მანკიერებას. ყველასაგან მივიწყებული და ზურგშექცეული, საზოგადოების ფსკერზე ჩაძირული ადამიანების დამახასიათებელი ცხოვრება, როგორც ცნობილია, იმდროინდელ რუსულ ლიტერატურაში ყველაზე ღრმად მაქსიმ გორკიმ გააშუქა. მ. ჯავახიშვილმა განიცადა თემატური გავლენა გორკისა, რომლის შემოქმედებას ყირიმში სწავლის პერიოდში გაეცნო და მუდამ თაყვანს სცემდა[1].

მ. ჯავახიშვილის გამოსვლას ლიტერატურულ სარბიელზე იმედითა და მხარდაჭერით შეხვდა საზოგადოებრიობა. „ცნობის ფურცელში" 1903 და 1904 წლებში დაიბეჭდა „ზანგის" (გრ. რცხილაძე) კრიტიკუ-

[1] გ ე რ ა მ გ ვ ე რ დ წ ი თ ე ლ ი, მიხეილ ჯავახიშვილი, 1977, გვ. 26.

ლი წერილები, რომლებშიც იგი მაღალ შეფასებას აძლევდა მ. ჯავახიშვილის შემოქმედებას. „იშვიათი შემთხვევაა, — წერდა კრიტიკოსი, — ოომ ახალგაზრდა მწერალმა ასეთი მოხდენილის და ძლიერი ნაწარმოებით დაიწყოს მოღვაწეობა სამწერლო ასპარეზზე, როგორც ბ-ნ ადამაშვილის (მ. ჯავახიშვილის ფსევდონიმი, ა. ს.) „ჩანჩურა". ეს სადებიუტოდ დაწერილი მოთხრობა, ჩვენის ფიქრით, დიდად საინტერესოა და უტყუარად მოწმობს იმის ავტორის მხატვრულობით ნიჭს და ლოღიკურ სისასტიკით მოქმედ ფანტაზიას"[1].

პირველი რევოლუციის წინა პერიოდში აქტიურ შემოქმედებით მოღვაწეობას განაგრძობდნენ სოფრომ მგალობლიშვილი, ეკატერინე გაბაშვილი, ნიკო ლომოური, ანასტასია ერისთავ-ხოშტარია, ვასილ ბარნოვი, დავით კლდიაშვილი, ია ეკალაძე (ი. ცინცაძე) და სხვები, რომელთა დემოკრატიული მსოფლმხედველობა გასული საუკუნ-ს 90-იან წლებში ჩამოყალიბდა. მწერალთა ეს თაობა ავითარებდა კრიტიკული რეალიზმის იმ ტრადიციებს, რომელიც „დიდმა სამოციანელებმა" დააფუძნეს. იგი გულწრფელად მიესალმებოდა მშრომელი მასების რევოლუციურ გამოღვიძებას და იმედით შეჰყურებდა ახალ საუკუნეს, რომელსაც მისი მშობელი ერისათვის ეროვნული თვითმყოფობა და დემოკრატიული თავისუფლება უნდა მოეტანა.

„დიდი სამოციანელებიდან" ახალი საუკუნის დასაწყისში შემოქმედებითი აქტივობის მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ აკაკი წერეთელი და ვაჟა ფშაველა.

1900 წელს აკაკი იძულებული გახდა სახსრების სიმცირის გამო შეეწყვიტა საკუთარი ჟურნალის გამოცემა, მაგრამ მისი სტატიები ფელეტონები, რომლებიც იმ დროის საშინაბოროტო საკითხებს შეეხებოდნენ, უხვად იბეჭდებოდა გაზ. „ივერიაში", „კვალში", „ცნობის ფურცელში". აკაკი ამ პუბლიცისტურ სტატიებში თანამიმდევრულად იცავდა თავის დემოკრატიულ პოზიციას სოციალურ და ეროვნულ საკითხებში სატირის მწვავე მახვილით უსწორდებოდა ყველას, ვინც, მისი აზრით, ეროვნულ დემოკრატიულ პრინციპებს ღალატობდა და პირადს საზოგადოებრივზე მაღლა აყენებდა, მიესალმებოდა საზოგადოებრივ ასპარეზზე ახალი ძალების გამოჩენას, თუმცა კიცხავდა ახალთაობის ზოგიერთთა გულდიდობასა და ქედმაღლურ დამოკიდებულებას ძველისადმი (კამათი „ცნობის ფურცელთან"). სათანადო შე-

---

[1] გაზ. „ცნობის ფურცელი", 1903.

ფასებას აძლევდა მისი თაობის იმ ადამიანების დამსახურებას, რომლებიც 900-იან წლებში გამოაკლდნენ ქართველ მოღვაწეთა რიგებს (გ. წერეთელი, რ. ერისთავი, ილ. ხონელი), აღვივებდა მოძმე ხალხების ცხოვრებისა და შემოქმედებითი თანამეგობრობის იდეებს.

სტატიაში „წერილი მეგობართან", რომელიც გაზ. „ივერიაში" დაიბეჭდა 1901 წელს, აკაკი მწერალ სოფრომ მგალობლიშვილს ასე უმღიერებდა მისი, როგორც მწერლის და მოქალაქის, დანიშნულებას: „როცა კარგ რასმე ვხედავთ ჩვენში, ან გაკეთებულს და ან დაწერილს, ვინდ ჩემის მოსისხარ მტრისაგანაც იყოს, ალტაციებაში ვვარდები!.. მავიწყდება ყველაფერი საპირადო და მზადა ვარ მტერი გულში ჩავისვენო და წინ ფიანდაზად დავეფინო!... აგრეთვე უნიჭოდ დაწერილი და უხიაგად ჩანადენი რომ გულს მიკლავს და მაბრაზებს... ჩემთვის თავდადებული მეგობარიც რომ იყოს, ხელს ვერ დავაფარებ და პირისპირ წუნს დავდებ... განა გულს შეუძლიან მისი ლალატი, რაც ადამიანს შესისხლხორცებია და რჯულად გადაჰქცევია? მე არ მინდა, და რომ კიდეც მოვინდომო, ვერ გავახერხებ, გულგრილად გვერდი ავუარო ჩვენის ქვეყნის ავსა და კარგს, გინდ მცირედიც იყოს ის, თუ საქმით ვერა, სიტყვით მაინც ჩავერევი და კიდეც ეს არის ჩემის ცხოვრების ნარი-ეკალა!.."[1]

აკაკი მიესალმა პრესაში ქართული პროზის ახალი მარგალიტების გამოჩენას (მათ შორის ს. მგალობლიშვილის „უკვდავების წყარო ვარ") და ამასთან დაკავშირებით მოგვცა ქართული ლიტერატურის დანიშნულების განმარტება. „თვითეულ ერს თავისი საკუთარი ერთი მეორისაგან განსხვავებული სახე აქვს და მათ ლიტერატურაშიც. როგორც სარკეს ამა თუ იმ ერისას, განსაკუთრებული ელფერი უნდა ედვას. ჩვენი მწერლობაც უტყუარი სარკე უნდა იყოს ქართველობისა; შიგ უნდა ისახებოდეს საქართველოს მრავალფეროვანი ბუნება მისის მიწა-წყლით, მთა-ბარით, ტყე-ველით და სხვანი. ქართველის გრძნობა-გონება ხორცშესხმულად უნდა მოძრაობდეს შიგ უმეტნაკლებოდ, ზომიერად; აწმყო წარსულს უნდა ეთანხმებოდეს და ორივე ერთად—კი მომავლისაკენ მიიწევდეს. თუ ეს არ იქნება, ჩვენი მწერლობაც უმნიშვნელო იქნება, როგორც უბრალო რამ, უსახო ლანდი"[2].

ამ პრინციპებითა და რწმენითაა გამსჭვალული აკაკის პუბლიცისტური ნააზრევი და მხატვრული შემოქმედებაც. 1900 წელს „კრებულ-

---

[1] ა. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზ., ტ. XIV, გვ. 26.

[2] ი ქ ვ ე.

ში" შესწორებული სახით მეორედ გამოქვეყნდა აკაკის დიდებული პოემა „ნათელა" (პირველად გამოიცა 1897 წ. ქუთაისში ცალკე წიგნად), რომელიც ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ნაწარმოები გახდა იმდროინდელ საქართველოში. პოემა, რომელიც ძველ დროში ქართველი ხალხის სამშობლოსათვის თავდადებას და გმირობას განადიდებდა, ამასთან გაჟღენთილი იყო უდიდესი პოლიტიკური ოპტიმიზმით და მშობელ ერს უწინასწარმეტყველებდა ეროვნული მეობისათვის ბრძოლის ხანძარის მალე გაღვივებას[1].

აკაკი დიდი თანაგრძნობითა და მხარდაჭერით ეპასუხებოდა რეოლუციის წინა პერიოდის ქართული დემოკრატიული ინტელიგენციის საბრძოლო განწყობილებას და პრაქტიკულ საქმეებს, რაც ამ განწყობილების შემდგომი გაღვივებისადმი იყო მიმართული. მას მიაჩნდა, რომ ახალგაზრდობის რეოლუციური სულისკვეთების გაღვივებაში მისმა თაობამ თავისი როლი შეასრულა და მიესალმებოდა ახალი ძალების, ახალი თაობის გამოჩენას, რომელსაც მეტი რეოლუციური სიმკვეთრე და შეუპოვრობა ახასიათებდა.

„მოდის, მოდის სხვა თაობა, ჩვენ რომ გვინდა იმისთანა! ეუგალობოთ „მას მზე შინა" და ძველებს კი ეუთხრათ „ნანა"...

—წერდა პოეტი.

1900 წელს აპრილში თბილისში დიდი ზეიმით გადაიხადეს ცნობილი სომეხი დრამატურგის გაბრიელ სუნდუკიანცის „პეპოს" დადგმის 30 წელი. როგორც ცნობილია, გ. სუნდუკიანცის ეს პიესა ქართულ სცენაზე ამეტყველდა და თითქმის ყველა სეზონზე მის მშვენებას წარმოადგენდა. ქართველმა საზოგადოებრიობამ სომხებთან ერთად დიდი სიყვარული და პატივისცემა გამოხატა ავტორისადმი, რომელსაც თავდავიწყებით უყვარდა საქართველო და ქართველი ერი. აკაკიმ გ. სუნდუკიანცს მიუძღვნა ლექსი „მეგობარს". „ეს ნაწარმოები საუკეთესო დოკუმენტს წარმოადგენს ქართველი და სომეხი მოძმე ხალხების კულტურული კავშირისა და მეგობრული ურთიერთობის დასახასიათებლად"[2].

აკაკი წერეთელი ქართული დემოკრატიული ლიტერატურის წინსვლა-განვითარებაში ყოველთვის აღიარებდა რუსეთის ლიტერატურის მაღალ როლს. აკაკი თვით თარგმნიდა რუსეთის დემოკრატიული პოეზიის საუკეთესო ნიმუშებს. 900-იან წლებში დიდი ქართველი მწერ-

---

[1] ა კ. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზ., ტ. V, გვ. 187.

[2] ლ. ა ხ ვ ლ ი ა ნ ი, ცხოვრება აკაკი წერეთლისა, 1965, გვ. 413.

ლის ყურადღება მიიპყრო გორკის რევოლუციურ-დემოკრატიულმა შემოქმედებამ, რომლის ძირითად ლეიტმოტივს თვითმპყრობელური რეჟიმის წინააღმდეგ რუსეთის ხალხების გამოღვიძება და რევოლუციური შემართება წარმოადგენდა.

1903 წელს აკაკი დიდ რუს მწერალს ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლებთან ერთად შეხვდა ქუთაისში. ეკ. პეშკოვა იგონებს: „1903 წლის ივლისში გორკის პატივსაცემად მოწყობილ საღამოზე ალექსი მაქსიმეს ძე გაეცნო ინტელიგენციის მრავალ წარმომადგენელს, კერძოდ, საქართველოს სახელგანთქმულ პოეტს აკაკი წერეთელს, რომლის შემოქმედებისადმი იგი ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენდა"[1].

აკაკი ოპტიმისტურად უყურებდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის რევოლუციურ საქმიანობას და მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული საკითხის გაგებაში მის ზოგიერთ წარმომადგენელს არ ეთანხმებოდა, მაინც თვლიდა, რომ ეს პარტია ყველაზე მოქმედი, პერსპექტიული ძალა იყო იმდროინდელ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. „იბერიის" ფურცლებზე იგი ახალ „დასელთა" მოღვაწეობას რომ აფასებდა, წერდა:

„მომეწონა მათი აზრი, კარგი არის მათი მცნება!... მაგრამ ჩვენთვის ჯერჯერობით უნდა იყოს კი ოცნება"[2].

მას სანუკვარ ოცნებად მიაჩნდა მშრომელი მასების რევოლუციური შემართების დასაწყისი. 1902 წელს, როცა საქართველოში რევოლუციის ქარიშხლის მაუწყებელი პირველი სიმპტომები გაჩნდა, აკაკი აღტაცებით მიესალმებოდა მებრძოლი მასების შემართებას.

1904 წელს პოეტმა იგრძნო ახალი ქარიშხლის ძალა. იგრძნო რომ თვითმპყრობელობა, რომელიც მას მთელი არსებით სძულდა, სასიკვდილო კრიზისის წინაშე დადგა, რაც იაპონიასთან უღიბლო ომში გამოჩნდა.

უფროსი თაობის მოღვაწეთაგან 900-იან წლებში შემოქმედებითი აქტიობით გამოირჩეოდა ვაჟა-ფშაველა. ცხოვრების უკუღმართობის წინააღმდეგ უკომპრომისო მებრძოლი ვაჟა 900-იან წლებში თიანეთში მასწავლებლობდა და შორეულ პროვინციაში ჩაკეტილი, თითქოს მოწყვეტილი იყო დედაქალაქის მჩქეფარე ცხოვრებას. მაგრამ ვაჟას, რომელიც ლექსების ხურჯინით თვეში რამდენჯერმე ეწვეოდა ხოლმე

---

[1] ლ. ასათიანი, ცხოვრება აკაკი წერეთლისა, გვ. 420.

[2] გაზ. „ივერია", № 215, 1902.

თბილისს, განსაკუთრებული სიცხოველე. სიხარული და აღტაცება შეჰქონდა მის ინტელექტუალურ ცხოვრებაში.

საახალწლო ლექსში („მგოსნის სიმღერა"), რომელიც 1900 წ. „ივერიაში" დაიბეჭდა, ვაჟა-ფშაველას გარკვევით აქვს ჩამოყალიბებული მისი როგორც მოქალაქის და პოეტის დანიშნულება...

„უფლისა საბქომ კელავ ნება დამრთო
ჩანგის აღების და ზედ მღერისა,
დიდება უფალს, რაკი შევიძელ
კელავ სამსახური ჩვენის ერისა,
დაჩაგრულების გამოსარჩლება,
ვით ახირება იმის მტერისა!
დიდება უფალს, რომ კელავ მომეცა
ძალა ციერის აღმაფრენისა"[1].

ამ დევიზით მოღვაწეობდა დიდი პოეტი 900-იანი წლების მთელ მანძილზე და თავისი შემოქმედებით ხელს უწყობდა საქართველოს მშრომელი მასების რევოლუციურ გამოფხიზლებასა და დარაზმულობას.

1900—1904 წლებში დაბეჭდილი მისი ბრწყინვალე ლექსები („ზამთარი და გაზაფხული", „ანდერძი", „არ ვტირი", „ჩემი ახალი მეკვლე", „კითხვა-პასუხი", „მთების სიზმარი", „საშობაო სიმღერა", „მიკვლევა", „დამსეტყვე ცაო", „ქებათა ქება", „შავი დამაწვა ღრუბელი", „გელო არ გატყდე" და სხვ.) დიდი მხატვრული ძალით ასახავდა საქართველოს რევოლუციური მასების განწყობილებას, მათი საბრძოლო სულისკვეთების ამაღლებით გამოწვეულ სიხარულსა და აღტაცებას, რევოლუციის ქარიშხლის საბედნიერო მოლოდინს.

„ივერიის" ფურცლებზე სისტემატურად ქვეყნდებოდა ვაჟას „თიანური ფელეტონები", სადაც ფშავი ხალხის ყოფისა და ტრადიციების მიმზიდველ გადმოცემასთან ერთად, გამოტანილი იყო ამ კუთხის ჭირ-ვარამი, მეფის ადგილობრივი მოხელეების უსამართლობა. ფშაველი გლეხკაცის ცხოვრების მტკივნეულ მხარეებს ეხებოდა აგრეთვე მისი სტატიები „ცნობის ფურცელში".

ვაჟა დარწმუნებული იყო რომ ინტელიგენცია ყველგან და ყოველთვის „ერის ძალას" წარმოადგენდა, და რომ იგი იყო მუდამ ერის „ბელადი, სარდალი" პროგრესისათვის ბრძოლაში. ამ რწმენით გამსჭვალული ვაჟა დიდ იმედებს ამყარებდა ქართველ ინტელიგენციაზე

---

[1] ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა, თხზ., ტ. 5.

და მიაჩნდა, რომ რევოლუციაში, უკვე აზვირთებას რომ იწყებდა, იგი იტყოდა თავის სიტყვას. ვაჟა ქართველ ინტელიგენციას ურჩევდა საშოქმედო პროგრამის მეტ დახვეწასა და გამოკვეთილობას[1].

• • •

XX საუკუნის დასაწყისისათვის ქართულ თეატრს გავლილი ჰქონდა განვითარების ნახევარსაუკუნოვანი გზა. მნიშვნელოვანი იყო მისი წვლილი არა მარტო ეროვნული კულტურის განვითარების, არამედ მასების რევოლუციური შეგნების ამაღლებისა და საბრძოლო დარაზმვის საქმეში. 1900 წლის პირველ იანვარს გაზ. „ივერია" მიესალმებოდა რა ქართული თეატრის იუბილეს, აღნიშნავდა, რომ „ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში ჩვენმა ნორჩმა, მაგრამ მრავალმოჭირნახულე სცენამ ბევრი გასაჭირი გაიარა, ბევრი დაბრკოლება დასძლია და ჩვენამდე მიაღწია იმ სახით, როგორც ვხედავთ, თუმცა არა უნაკლომ, მაგრამ იმდენად წელში გამართულმა, იმდენად განმტკიცებულმა, რომ მას, სიუკეთმართე ცხოვრებისა ქედს ასე ადვილად ვერ მოახრევინებს ვინაიდგან უკვე დამსახურებული აქვს სიყვარული ხალხისა და დანახულ საჭიროებად არის გადაქცეული ქართველ მდაბიო ხალხისათვის"[2].

ქართული თეატრის სიცოცხლისუნარიანობა, პირველ რიგში, განპირობებული იყო იმით, რომ იგი ახლო იდგა ქართულ ცხოვრებასთან, მისი ეროვნული თვითმყოფობის სარკეს წარმოადგენდა. ქართულ სცენაზე მუდამ ცოცხლობდნენ ხალხის პროგრესისა და თავისუფლებისათვის მებრძოლი გმირები. იგი გაბედულად ააშკარავებდა და გმობდა მანკიერებას, აქეზებდა საქვეყნო საქმეებისათვის ბრძოლასა და თავგანწირვას. ორმაგი ჩაგვრის უღელქვეშ ქედმოხრილი ხალხის სულიერი მხნეობის გაღვივებისათვის თეატრის როლი ღრმად ჰქონდათ შეგნებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მესვეურებს ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, სერგეი მესხს, ნიკო ნიკოლაძეს და სხვებს. ამიტომ ექცეოდნენ ისინი თეატრს დიდის გულისყურით და ეხერგიას არ ზოგავდნენ, რომ ქართული სცენა — ეროვნული ცხოვრების ეს უტყუარი სარკე — არ გამრუდებულიყო. ქართული თეატრის იდეური პროფილი XIX ს. მეორე ნახევარში ეროვნულ-დემოკ-

---

1 გაზ. „ივერია", № 108, 1901.

2 გაზ. „ივერია", № 1, 1900.

რატიული იყო. ახალი საუკუნის მიჯნაზე, ქვეყნის ცხოვრებაში მომხდარი დიდი სოციალური ძვრების გამო და განსაკუთრებით, მასების რევოლუციური ბრძოლის მკვეთრ აღმავლობასთან დაკავშირებით, ქართული თეატრიც ახალი ამოცანების წინაშე დადგა.

თბილისის ქართულმა პროფესიულმა თეატრმა, რომელსაც მაღალი იდეურ-მხატვრული ტრადიცია ჰქონდა, ახალი საუკუნის დასაწყისში მომწიფებულ ამოცანებს პირველ ხანებში ალღო ვერ აუღო. თბილისის, თეატრალური ძალებით, რომელსაც ბევრი ბრწყინვალე ვარსკვლავი ამშვენებდა, შეეძლო მაღალიდეური და მაღალმხატვრული სპექტაკლების წარმოდგენა, მაგრამ რიგი დამაბრკოლებელი მიზეზების გამო მისი შემოქმედებითი წინსვლა ერთგვარად შეფერხდა. ამ შეფერხების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რა თქმა უნდა, სახსრების სიმცირე იყო, მაგრამ არანაკლებ იგრძნობოდა რეპერტუარის ნაკლებობაც და გულგრილობა დრამატული საზოგადოების მხრივ. ეს საზოგადოება ანგარიშს არ უწევდა იმას, რომ შეიცვალა თეატრის მაყურებელი, შეიცვალა მისი მოთხოვნილება.

თეატრი გასცდა ინტელიგენტურ წრეებს, იგი მასობრივ ტრიბუნად იქცა. ამ ტრიბუნიდან მაყურებელი მკვეთრი სოციალური ყღერადობისა და რევოლუციური პათოსით გაჟღენთილ სიტყვას მოითხოვდა. თეატრს სწორედ ეს აკლდა. მოიკოჭლებდა რეჟისურაც, რის გამოც ზოგიერთი თანადროული და მაღალმხატვრული პიესაც მაყურებლამდე ვერ მიდიოდა. ასეთი ბედი ეწია მაგალითად ალ. სუმბათაშვილ-იუჟინის ცნობილ დრამას „ღალატი", რომელიც უდიდესი წარმატებით იდგმებოდა მოსკოვის სამხატვრო თეატრში, თბილისში კი 1903—04 წლის სეზონში ჩავარდნა განიცადა. ერთი სიტყვით, თბილისის პროფესიული ქართული თეატრის „იდეურ-მხატვრული დონე ჩამორჩებოდა ეპოქის ამოცანებს — მუშათა კლასის დაწყებულ ბრძოლას კაპიტალიზმისა და ცარიზმის წინააღმდეგ"[1]. ამ მხრივ, თბილისის პროფესიული ქართული თეატრის პირდაპირ საპირისპირო პოზიცია ეკავა ქუთაისის ქართულ სამხატვრო თეატრს, რომელსაც ამ პერიოდში სათავეში ედგა უნიჭიერესი აქტიორი და რეჟისორი ლადო მესხიშვილი.

ქუთაისის ქართულ თეატრს კარგი ტრადიციები ჰქონდა, მაგრამ 1894—95 წლებში მისი შემოქმედებითი საქმიანობა შეფერხდა. და-

---

[1] გ. ბეწნიკაშვილი, ქართული თეატრი რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში, 1955, გვ. 13.

იწვა თეატრის შენობა. კოტე მესხმა თავი დაანება დასს და თბილისში ვადასახლდა. ორი წლის განმავლობაში ქუთაისის თეატრი თითქმის აღარ მუშაობდა. მართალია, თეატრმა ახალი შენობა მიიღო (1896 წ.). მაგრამ საქმე მაღალ დონეზე მაინც ვერ აეწყო. მხოლოდ 1897 წლის შემოდგომიდან იწყება ქუთაისის თეატრის შემოქმედებითი აღორძინება, როცა დასს სათავეში ჩაუდგა ლადო მესხიშვილი.

ლ. მესხიშვილმა, როგორც რეჟისორმა, პირველ რიგში გადაახალისა თეატრის რეპერტუარი და გასაქანი მისცა რუსულსა და უცხოურ კლასიკურ პიესებს (ოსტროვსკის „შემოსავლიანი ადგილი", ვ. პროტოპოპოვის „ცხოვრების გარეშე", შილერის „ყაჩაღები", ვ. მონტის „კაი გრაკხი", ფ. ფილიპის „კაცობრიობის კეთილისმყოფელნი", ვ. ჰიუგოს „რუი ბლაზი" და სხვ.). ნიჭიერად დადგმულ ამ სპექტაკლებში, სადაც წინა პლანზე წამოწეული იყო სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლა, მთავარ როლებს ჩვეული ნიჭიერებით ასახიერებდა თვით ლ. მესხიშვილი. მას მხარს უმშვენებდნენ ნიჭიერი აქტიორები დ. ივანიძე, ს. დავითაშვილი, მ. მდივანი, ბ. რონდელი, ნ. გამყრელიძე, ნ. გვარაძე, დ. ბაქრაძე, გ. თუთბერიძე, დ. აწყურელი, ვ. გამყრელიძე, მ. ამაშუკელი, ი. ზარდალიშვილი, ა. მუსერიძე, დ. ჩარკვიანი, ა. ჯაყელი, თ. შველიძე და სხვები.

დროის ამოცანების დონემდე ამაღლებული თეატრი მაყურებელმა შეიყვარა. 1904 წლის ოქტომბერში ქუთაისის თეატრმა წარმოადგინა ალ. სუმბათაშვილ-იუჟინის „ღალატი", რომელსაც დიდი წარმატება ხვდა წილად.

1900—1904 წლებში ქუთაისის თეატრი რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდობის შეკრების ყველაზე მიმზიდველ კერად იქცა. თეატრის სცენა და მაყურებელი ერთი სულისკვეთებით იყო გამსჭვალული. ხშირად მაყურებელთა შორის ვრცელდებოდა რევოლუციური პროკლამაციები. პოლიციის მხრივ დევნა, რომელსაც რევოლუციური სპექტაკლების წარმოდგენის გამო ლ. მესხიშვილი და მისი თანამებრძოლები განიცდიდნენ, უფრო აღიზიანებდა ახალგაზრდობას და ულვივებდა სიძულვილს არსებული რეჟიმის წინააღმდეგ. მესხიშვილმა ისე აღზარდა და განაწყო ქუთაისის მაყურებელი, რომ იგი ვეღარ ეგუებოდა თვითმპყრობელური იდეოლოგიით გამსჭვალულ სპექტაკლებს და მას ობსტრუქციას უწყობდა. მაგალითად, როცა ქუთაისში 1901 წ. საგასტროლოდ ჩასულმა რუსულმა დრამატულმა დასმა წარმოადგინა ს. ლიგვინისა და ვ. კრილოვის ანტისემიტური პიესა „კონტრაბანდისტები", მაყურებლებმა ჩაშალეს წარმოდგენა. ისინი გამოვიდნენ ქუ-

ჩაში და მოაწყეს დემონსტრაცია, რომელსაც ხალხი შეუერთდა. დემონსტრაცია განმეორდა მაშინაც, როცა რუსულმა დასმა იგივე სპექტაკლი სხვა სათაურით წარმოადგინა („ისრაელის შვილები"). პოლიციასა და დემონსტრანტებს შორის გაიმართა შეტაკება. ქუთაისელ მაყურებელთა დემონსტრაციის ამბავი მთელ რუსეთში გახმაურდა. დემონსტრაციის აქტიური მონაწილენი იყვნენ ქუთაისელი მოსწავლეები და სტუდენტები. დაპატიმრებულთა შორის იყო შემდგომში ცნობილი ბელეტრისტი ნიკო ლორთქიფანიძე.

ლ. მესხიშვილი თავისი დასით ხშირად აწყობდა გასვლას დასავლეთ საქართველოს რაიონებში. მის სპექტაკლებს ყველგან ხვდებოდნენ აღტაცებით. „ლადო მესხიშვილმა და მთელმა დასმა, — წერს თეატრმცოდნე გ. ბუხნიკაშვილი, — შესანიშნავ შედეგებს მიაღწია სწორედ იმით, რომ მტკიცე იდეური კონტაქტი ჰქონდათ დამყარებული რევოლუციურად განწყობილ მაყურებლებთან. სცენაზე წარმოთქმული გაბედული სიტყვა ჩაგვრის და უსამართლობის წინააღმდეგ მხურვალე გამოძახილს პოულობდა მაყურებელში. წარმოდგენების დროს თეატრი მუდამ ხალხით იყო სავსე და წარმოდგენები მეტწილად რევოლუციური დემონსტრაციებით მთავრდებოდა"[1].

თბილისის პროფესიულ თეატრზე ერთგვარად გულაცრუებულ მდგომარეობა მაყურებელს XX საუკუნის დასაწყისის მღელვარე წლებში დიდ სულიერ კმაყოფილებას ანიჭებდა სახალხო თეატრები, რომლებიც თითქმის ერთდროულად აღმოცენდნენ ავლაბარსა და ნაძალადევში — ქალაქის ხელოსნურ და მუშათა რაიონებში.

სახალხო თეატრები რუსეთში პირველად XIX საუკუნის 70-იან წლებში შეიქმნა. რუსეთის პროგრესული საზოგადოებრიობა დიდად აღფრთოვანებული იყო ამ წამოწყებისა. საკვირაო სკოლებთან ერთად, სახალხო თეატრები ხელს უწყობდნენ მუშების განათლებას, ესთეტური გემოვნების ამაღლებას, მასების პოლიტიკურ გათვითცნობიერებას. დიდი რუსი დრამატურგი ა. ოსტროვსკი ყოველმხრივ ეხმარებოდა სახალხო თეატრებს. იღვწოდა, რომ რუსეთის სამრეწველო ცენტრებში მათი ქსელი გაფართოებულიყო. 90-იანი წლებისათვის სახალხო თეატრები მუშაობდნენ მოსკოვში, ლენინგრადში, ოდესაში, კიევში და სხვა ქალაქებში.

თბილისში სახალხო თეატრის დაარსების იდეა 80-იან წლებში გაჩნდა. თბილისელმა ხელოსნებმა, რომლებიც კანტიკუნტად ადრეც

---

[1] გ. ბ უ ხ ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 50.

მართავდნენ წარმოდგენებს, გადაწყვიტეს მუდმივი მუშათა თეატრალური დასი ჩამოეყალიბებინათ. წამოწყებას სათავეში ჩაუდგნენ სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლეები ვ. თევდორაშვილი, მ. ჯაბაური, ი. ძნელაშვილი, ი. იმედაშვილი, მ. თუმანიშვილი და სხვები. შედგა დასი, დაიწერა წესდება, მოიძებნა შენობაც — საჩაიე ავჭალის მოედანზე. მუშა-ხელოსანთა თეატრალურ კოლექტივს ეწოდა „სცენისმოყვარე ხელოსანთა ამხანაგობა". თავმჯდომარედ შერჩეულ იქნა ვასილ თევდორაშვილი, რეჟისორობა მიენდო იოსებ იმედაშვილს[1]. პირველ წარმოდგენაზე თეატრი ხელოსან და მუშა მაყურებელთა წინაშე წარსდგა ა. ცაგარელის პიესით „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ!". თეატრმა დიდძალი მაყურებელი მიიზიდა. იგი მთელ ქალაქში პოპულარული გახდა და ისტორიაში დაიმკვიდრა „ავჭალის აუდიტორიის" სახელი.

ავჭალის აუდიტორიის რეპერტუარი უპირატესად ქართული იყო (ა. ყაზბეგის „არსენა", ა. ცაგარელის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ", „ციმბირელი", ა. ფურცელაძის „ავაზაკები", ვ. გუნიას „და-ძმა", „თამარ ბატონიშვილი", ნ. აზიანის „არსენა", „ფული და ხარისხი", გ. სუნდუკიანცის „პეპო", და სხვ.). იდგმებოდა კლასიკური რუსული და უცხოური პიესებიც. თეატრის ახალგაზრდა ძალები თანდათან ოსტატდებოდნენ, ბევრი მათგანი შემდეგ პროფესიული მსახიობიც გახდა. მაგალითად, ნიკო გოცირიძე, რომელიც 1897 წელს პირველად გამოვიდა ავჭალის აუდიტორიის სცენაზე, აქ იმდენად დახელოვნდა, რომ მრავალი თაყვანისმცემელი გაიჩინა და შემდეგ ქართული სცენის დიდოსტატი გახდა. თეატრს მზრუნველობას არ აკლებდნენ ქართული სცენის ნაცადი ოსტატები. სპექტაკლებში ხშირად უსასყიდლოდ მონაწილეობდნენ ნ. გაბუნია-ცაგარლისა, კ. მესხი, კ. ყიფიანი, მ. საფაროვა-აბაშიძისა, ე. ჩერქეზიშვილი, ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, ს. სეიმონ-ხიძე, ა. ადამაძე, კ. შათირიშვილი და სხვები.

ი. გრიშაშვილი აღნიშნავს, რომ ავჭალის აუდიტორია ერთი სულისკვეთების მაყურებელთაგან შედგებოდა. „აქ იყო გაერთიანებული მასა საერთო მიზნით, საერთო მისწრაფებით; ავჭალის აუდიტორია არ იყო არც ქანდარა, არც ლოჟა, ის იყო ერთი სადა დარბაზი, რომელშიაც თანაბრად სძგერდა მაყურებელთა გული მუშა მსახიობთაგან ანატოკი...", შეიძლება ეს წარმოდგენები დაუხვეწელი იყო და მხატვრულადაც გაუმართავი, მაგრამ აქ იყო გულწრფელობა, სიახლე,

---

[1] ი. იმედაშვილი, ჩემი ცხოვრების წიგნი, 1978, გვ. 52—64.

ნდობა და, რაც მთავარია, იმ დროს გამოძახილი. მოკლედ რომ ვთქვათ, ეს იყო ხალხის ტრიბუნა"[1].

ავჭალის აუდიტორია არ იფარგლებოდა მარტო თეატრალური წარმოდგენებით. აქ ხშირად ეწყობოდა ლექციები, იმართებოდა დისპუტები, შემოქმედებითი საღამოები. თეატრის მესვეურები ახლო იყვნენ რევოლუციურ ორგანიზაციებთან, იმართებოდა საგანგებო საღამო-წარმოდგენები დაპატიმრებულ რევოლუციონერთა დასახმარებლად.

ავჭალის აუდიტორიამ ისე გაითქვა სახელი, რომ მიიზიდა დემოკრატიული ინტელიგენციაც. თეატრთან მჭიდრო კონტაქტი დაამყარეს და მას ყოველმხრივ უწევდნენ დახმარებას ნიკო ავალიშვილი, სოფრომ მგალობლიშვილი, მარიამ დემურია, ილია აღლაძე, ერემია გულისაშვილი და სხვები.

თბილისის პროლეტარიატის რიგებში რევოლუციური განწყობილების ზრდის კვალდაკვალ ავჭალის აუდიტორიაც, როგორც სახალხო ტრიბუნა, მეტ მებრძოლ განწყობილებას ამჟღავნებდა და თავის შემოქმედებით საქმიანობას მჭიდროდ უხამებდა მუშათა ხელმძღვანელი ორგანიზაციების პროპაგანდისტულ საქმიანობას. აქ ხშირად იმართებოდა რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების საიდუმლო კრებები, აქედან ვრცელდებოდა პროკლამაციები.

ავჭალის აუდიტორიამ თბილისის სხვა მუშათა უბნებიც აიყოლია. ნაძალადევის სცენისმოყვარე მუშათა აქტიური მონაწილეობით, რომელთაც ცნობილი გამომცემელი მწიგნობარი გრიგოლ ჩარკვიანი თაოსნობდა, შეიქმნა ნაძალადევის მუშათა თეატრი. იგი 1897 წელს და 1902—1903 წლებში სისტემატურად მართავდა წარმოდგენებს ავჭალის აუდიტორიის კოლექტივის დახმარებით. ნაძალადეველთა წამოწყებას ქებით იხსენიებდნენ გაზეთები „კვალი" და „ცნობის ფურცელი".

მუშა და ხელოსანი სცენის მოყვარეები XIX საუკუნის 90-იან წლებში გაჩნდნენ აგრეთვე ავლაბარში, ხოლო 1902 წლიდან ავლაბრის მუშათა თეატრს სათავეში ჩაუდგა სცენისმოყვარე რუსი ოფიცერი მურაშკო, რომელმაც საგანგებოდ ააგო მცირე მოცულობის სათეატრო შენობა და თვით ედგა სათავეში სპექტაკლების ჩვენებას რუსულ, ქართულ და სომხურ ენებზე[2].

---

1 ი. გრიშაშვილი, ნიკო გოცირიძე, ბიოგრაფიული ესკიზი, 1934, გვ. 20—21.
2 თ. გომართელი, სახალხო თეატრების ფარდასთან, 1976, გვ. 13.

ერთი სიტყვით, სახალხო თეატრებმა, როგორც ხალხის ტრიბუნამ, უაღრესად მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს თბილისის პროლეტარიატის რევოლუციური განწყობილების ზრდის საქმეში.

* * *

ქართული დემოკრატიული ინტელიგენციის ის ეროვნულ-კულტურული საქმიანობა, რომელიც ხალხის განათლებას, მისი ეროვნული მეობის დაცვას, თვითშეგნების გაღვივებას, პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდას ემსახურებოდა, ამავე დროს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის მომზადების პროცესსაც აჩქარებდა, რადგან მიმართული იყო თვითმპყრობელობის კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ და ხალხთა მასებში ანტიცარისტულ განწყობილებას აღვივებდა.

ეროვნულ-კულტურულ დაწესებულებათა შორის კვლავ პირველი ადგილი ეკავა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას", რომელიც მოთავეობდა სკოლების გახსნას, ბიბლიოთეკა-სამკითხველოების დაარსებას, საკვირაო სკოლების მოწყობას, წიგნების გამოცემას, მუზეუმების დაარსებას და სხვ. ძნელია იმ დროის საქართველოში დავასახელოთ რაიმე მნიშვნელოვანი ეროვნული ხასიათის ღონისძიება, რომ მისი მოთავე ან მთავარი დამხმარე ძალა ეს საზოგადოება არ ყოფილიყო.

1900 წლისათვის საზოგადოება 611 წევრს აერთიანებდა. მას ფილიალები ჰქონდა საქართველოს მსხვილ ქალაქებსა და სამაზრო ცენტრებში. ძირითადი საქმე, რასაც საზოგადოება ემსახურებოდა, ქართული სკოლების მოვლა-პატრონობა იყო. ეს სკოლები საზოგადოებას დაარსებული ჰქონდა ისეთ რაიონებში, სადაც ქართული მოსახლეობა მცირე იყო და რეალურად იგრძნობოდა ქართული ენის დავიწყების საშიშროება. 1900 წლისათვის საზოგადოების კავკავის სკოლაში სწავლობდა 151 მოსწავლე, ბათუმის სკოლაში — 159; თიანეთისა — 60, წინარეხისა — 43, გომარეთისა — 48, ხელთუბნისა — 46, ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლაში — 500 მოსწავლე, ამ სკოლის სენაკის განყოფილებაში — 149 მოსწავლე. 1900 წლისათვის საზოგადოებას ჰქონდა 6 სახალხო ბიბლიოთეკა (თბილისის პირველი და მეორე, ქუთაისის, ახალციხის, უდისა, დიდი ჯიხაიშისა)[1].

---

[1] ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების 1900 წლის ანგარიში, თბ., 1901.

„საზოგადოება“, გარდა იმ სკოლებისა, რომლებიც მის ხარჯზე არსებობდნენ, მატერიალურად მზრუნველობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გახსნილ საუწყებო სკოლებსა და ბიბლიოთეკა-სამკითხველოებს, აძლევდა მათ ფულად სახსრებს, უგზავნიდა თავის გამოცემებს უსასყიდლოდ. „სტიპენდიას“ უნიშნავდა რუსეთისა და საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებში ჩასწავლელ სტუდენტებს. „საზოგადოება“ უძღვებოდა სასკოლო სახელმძღვანელოებისა და დამხმარე საკითხავი წიგნების გამოცემას. „საზოგადოების“ მიერ დაარსებულ სკოლებში მასწავლებლის შერჩევა ხდებოდა საგანგებოდ, დიდი სიფრთხილით. ამ მასწავლებლებს ევალებოდა უცხო ელემენტებით გარშემორტყმულ და გადაგვარების გზაზე მდგომ ქართველთა შორის ეროვნულ-პატრიოტული მუშაობის გაშლა და მათი თვითშეგნების გაღვიძება. მართლაც, ეს მასწავლებლობა დიდად სასარგებლო საქმეს აკეთებდა. იგი პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად დაუღალავად ზრუნავდა საზოგადო საქმეებისათვის. ამასთან ერთად სწავლობდა თავისი კუთხის ისტორიულ წარსულს, ტრადიციებს, აგროვებდა სიძველეებს და ეთნოგრაფიულ მასალებს, რომელთაც შემდეგ აქვეყნებდა თვით „საზოგადოების“ მიერ დაარსებულ გამოცემებში, ან პრესაში.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ალეგრო-სალამოებს, რომლებიც საქართველოს ყველა კუთხეში ამ „საზოგადოების“ თაოსნობით ეწყობოდა. იგი საუკეთესო საშუალება იყო ადგილებზე სახალხო ინიციატივის, შემოქმედებითი ძალების გამოვლინებისა, ეროვნულ-პატრიოტული განწყობილებების გაღვივებისა. ამ ღონისძიებებმა „საზოგადოებას“ დიდად დაუახლოვა მუშები, გლეხები. წვრილი ვაჭრები, ხელოსნები, რომლებიც „საზოგადოების“ სასარგებლოდ მცირე შეწირულებას არ იშურებდნენ.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საზრუნავი, გარდა სკოლებისა და სამკითხველოებისა, იყო იმ დროის ეროვნულ-კულტურული ცხოვრების ყველა უბანი; ქართული მწერლობა, ქართული მეცნიერება. მას შემოკრებილი ჰყავდა იმ დროის ყველა თვალსაჩინო მოღვაწე და შესაძლებლობის ფარგლებში ახორციელებდა ღონისძიებებს, რომლებიც ერის სულიერი ძალების ამოქმედებას ემსახურებოდნენ. 900-იან წლებში საზოგადოების გამგეობის წევრი ს. ფირცხალავა იგონებს: „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება მოთავსებული იყო თავად-აზნაურობის ქარვასლაში (დღევანდელი ლენინის მოედანი)... მისი კანცელარია ნამდვილი კლუბი იყო, კულტურული და რაოდენიმე პოლიტიკურიც. ვინ არ შემოდიოდა იქ, ვისაც კი რაიმე და-

მოკიდებულება ქონდა ქართველ საქმეებთან, ვისაც აინტერესებდა საქართველოს ბედი და მომავალი. მოდიოდნენ ქართული წიგნის საყიდლად, წიგნებისა და ჟურნალების წასაკითხავად, ძველი ხელნაწერების გასასინჯად, ახალი ამბების გასაგებად, ერთმანეთთან შესახვედრად. მოდიოდნენ მასწავლებლები, მწერლები, არტისტები, მეცნიერები, საზოგადო მოღვაწეები, ეპისკოპოსები, მღვდლები, თბილისის მცხოვრებნი თუ პროვინციიდან ჩამოსულები. ხანდახან გაიმართებოდა საერთო საუბარი, კამათი, იყო მოგონება გარდასულის, გამოცნობა მომავლის. პროვინციიდან თუ ვინმე ჩამოვიდოდა, მშობელი ქვეყნის გულშემატკივარი, თავის წმინდა მოვალეობად მიაჩნდა წერა-კითხვის საზოგადოებაში შემოვლა. თვალწინ იშლება მთელი გალერეა ქართველ მამულიშვილთა სახეებისა"[1].

საზოგადოების გამგეობას 900-იანი წლებიდან სათავეში კვლავ ილია ჭავჭავაძე ედგა, მაგრამ ჯანმრთელობის გაუარესების გამო სისტემატურად ვეღარ წარმართავდა გამგეობის სხდომებს. სანაცვლოდ დიდ აქტივობას იჩენდა გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ნიკო ცხვედაძე, რომლის დაუცხრომელი ენერგია მთლიანად საზოგადოების საქმიანობის გაცხოველებისკენ იყო წარმართული.

ერთ-ერთი უკეთილშობილესი ღონისძიება, რომელიც წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ახალი საუკუნის დასაწყისში განახორციელა, იყო თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის აშენება. შენობას საძირკველი 1900 წელს ჩაეყარა ვაკეში, იმ დროს სრულიად დაუსახლებელ რაიონში. მშენებლობის სულისჩამდგმელები და უშუალო ხელმძღვანელები იყვნენ ილია ჭავჭავაძე, ნიკო ცხვედაძე და ლუარსაბ ბოცვაძე. მშენებლობა თავიდანვე მოფიქრებული და ნავარაუდევი იყო ქართული უნივერსიტეტისათვის, რომლის დაარსება ამ დროს უკვე რეალურად იდგა. გასაოცარი სულიერი სიმხნევე და გამძლეობა დასჭირდათ მშენებლობის თაოსნებს იმ დაბრკოლებათა გადასალახავად, რომელიც მათ მუდამ წინ ეღობებოდათ. მთავარი მაინც სახსრების სიმცირე იყო. მაგრამ მაღალი მამულიშვილური გრძნობა, რომელიც ჩვენს ამ სახელოვან წინაპრებს ახასიათებდათ, ეხმარებოდა ყველა დაბრკოლების გადალახვაში. ბრწყინვალე შენობა მოკლე დროში აიგო და ამ წარმატებამ უფრო გააღვივა საქართველოში საკუთარი ეროვნული უნივერსიტეტის გახსნის მისწრაფება.

---

1 სამსონ ფირცხალავა, მოგონებათა ფურცლები, მნათობი, № 6, 1971, გვ. 160—161.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთ ძირითად საქმიანობას აგრეთვე შეადგენდა ეროვნული საუნჯის — ძველი ქართული ხელნაწერების, სამუზეუმო ნივთების, ისტორიულ-არქეოლოგიური ნაშთების შეგროვება და შემზადება ექსპონატებისა ეროვნული მუზეუმის შესაქმნელად, რომლის შენობის აგებისთვის ზრუნვა და სახსრების შეგროვება უკვე მიმდინარეობდა.

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას მჭიდრო ურთიერთობა და შემოქმედებითი კავშირი ჰქონდა გაბმული რუსეთის დემოკრატიულ ინტელიგენციასთან, იმ რუს მოღვაწეებთან, რომლებიც შეუპოვრად იბრძოდნენ უსამართლო რეჟიმის წინააღმდეგ. ამ ურთიერთობის ნათელი ილუსტრაციაა საქართველოს შემოქმედებითი ძალების სისტემატური კავშირი მაქსიმ გორკთან, ლევ ტოლსტოისთან, ანტონ ჩეხოვთან და მრ. სხვასთან.

დიდი რუსი მწერალი მაქსიმ გორკი 90-იან წლებში საქართველოში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. ახალი საუკუნიდან დიდი მწერლის ინტერესი საქართველოსადმი კიდევ უფრო გაცხოველდა. 1901 წ. გორკი მესამედ ჩამოვიდა საქართველოში ამჯერად ა. ჩეხოვთან და მხატვარ ვასნეცოვთან. მეოთხედ მ. გორკი თბილისს ეწვია 1903 წელს. ყოველი მისი ჩამოსვლა საქართველოს შემოქმედებითი ინტელიგენციის ცხოვრებაში დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო. გორკის აქ ყოველთვის ხვდებოდნენ ქართული სტუმართმოყვარეობით. ქართველი ინტელიგენციის შემოქმედებითი საქმიანობით გორკი დიდად იყო დაინტერესებული. მას სიამოვნებას გვრიდა ასეთი შეხვედრები. ქართველი მწერლები გორკის თხზულებებს დიდი ინტერესით თარგმნიდნენ. დიდი რუსი მწერალი უაღრესად პოპულარული იყო მთელ საქართველოში.

ქართველ მოღვაწეებს ასევე მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ დიდ რუს მწერალ ლევ ტოლსტოისთან. ტოლსტოის ოჯახის სასურველ სტუმართა შორის ერთ-ერთი პირველთაგანი იყო ილია ნაკაშიძე. ილია და ნინო ნაკაშიძეები 1898 წლიდან 1903 წლამდე მოსკოვში ცხოვრობდნენ და იასნაია-პოლიანას ხშირი სტუმრები იყვნენ. თვით ლევ ტოლსტოიც დადიოდა ი. ნაკაშიძის ბინაში. მათი გაცნობა — მეგობრობა დაიწყო 1896 წლიდან, როცა ი. ნაკაშიძე დაინტერესდა „დუხობორთა“ სექტის ბედით და ამის თაობაზე რუს მწერალთან ხშირი მიმოწერა ჰქონდა. ი. ნაკაშიძის საშუალებით ლევ ტოლსტოი ახლოს იცნობდა საქართველოს ინტელიგენციის შემოქმედებით საქმიანობას, დიდი სურვილი ჰქონდა იმისა, რომ მეორედ ჩამოსულიყო საქართველოში, სადაც

მას ახალგაზრდობის წლები გაეტარებინა და საუკეთესო მოგონებები ჰქონდა[1].

ლევ ტოლსტოიზე შეყვარებული იყო არა მარტო რუსეთში სასწავლებლად მყოფი ქართველი სტუდენტობა, არამედ მთელი ქართველი საზოგადოებრიობა, რომელიც დიდ მწერალსა და მოაზროვნეს იცნობდა ორიგინალში და ქართული თარგმანებითაც. ქართველ სტუდენტ ახალგაზრდობაში რისხვას იწვევდა ის მტრული დამოკიდებულება, რომელსაც ცარიზმი და მისი იდეოლოგიური საყრდენი ეკლესია იჩენდა ლევ ტოლსტოის მიმართ და ეს აღფრთოვანება არაერთხელ გამოუთქვამს მას დიდი მწერლისადმი წერილებში.

* *

ჩვენ მოკლედ მიმოვიხილეთ ქართველი დემოკრატიული ინტელიგენციის სულიერი ცხოვრება 1900—1904 წლებში — რუსეთის პირველი რევოლუციის წინა პერიოდში. წარმოდგენილი მასალა, ეფიქრობთ, ნათლად მეტყველებს, რომ პირველი რევოლუციის წინ საქართველოს დემოკრატიული ინტელიგენცია აქტიურად იყო ჩაბმული არსებული რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ქართველი ხალხის ეროვნული და სოციალური თავისუფლება შეადგენდა მის იდეალს. მართალია, ინტელიგენციის მასა არ ყოფილა სოციალურად ერთგვაროვანი და მისი აზროვნებაც ერის მომავლის გაგებაში განსხვავებული იყო, მაგრამ ამ სხვაობის მიუხედავად, ყველა ჯგუფს თუ დასს აერთებდა თვითმპყრობელობის დამხობისა და დემოკრატიული თავისუფლების დამკვიდრებისათვის ბრძოლის მისწრაფება. ამ ბრძოლაში დემოკრატული ინტელიგენცია იდგა საქართველოს პროლეტარიატის გვერდით, იყო მისი მოკავშირე არსებული რეჟიმის დამხობისათვის ბრძოლაში.

ქართველი დემოკრატიული ინტელიგენცია პირველი სახალხო რევოლუციის წლებში

რუსეთის 1905—1907 წლების რევოლუცია ერთ-ერთი უდიდესი მოვლენაა მსოფლიოს ხალხთა ცხოვრებასა და ისტორიულ განვითარებაში. მან, როგორც იმპერიალიზმის ეპოქის პირველმა დიდმა სახალ-

[1] ნინო ნაკაშიძე, მოგონებები, 1946; ვ. ზამბახიძე, ილია ნაკაშიძე, 1947.

ხო რევოლუციამ, დასაბამი მისცა დიდი პოლიტიკური ძვრებისა და რევოლუციური გამოსვლების ეპოქას, ევროპაში მუშათა მოძრაობისა და აზიის ქვეყნებში ჩაგრული ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობას.

1905—1907 წლების რევოლუციამ საძირკვლამდე შეარყია რუსეთის თვითმპყრობელობის ძალაუფლება, მძლავრი ლახვარი ჩასცა მემამულეთა და კაპიტალისტთა ბატონობას, რითაც შეამზადა მყარი ნიადაგი იმ დიდი რევოლუციური გადატრიალებისათვის, რომელიც რუსეთში 1917 წელს განხორციელდა. ეს რევოლუცია იქცა რუსეთის დაჩაგრული კლასების აღზრდის დიდ სკოლად. მან პოლიტიკური ცხოვრებისათვის გამოაღვიძა რუსეთისა და მასთან მსოფლიოს მრავალი ქვეყნის გლეხი და მუშა, და ექსპლოატატორული სისტემის წინააღმდეგ ბრძოლაში აღჭურვა ისინი არა მარტო უდიდესი გამოცდილებით, არამედ გამარჯვების ურყევი რწმენითაც. რევოლუციამ, დამარცხების მიუხედავად, გენერალური რეპეტიციის როლი შეასრულა. სწორედ აქ შეძენილი გამოცდილება დაეხმარა რუსეთის იმპერიის მუშათა კლასს და გლეხობას ცარიზმის და კაპიტალიზმის საბოლოო დამხობასა და სოციალისტური წყობილების დამყარებაში.

რუსეთის პირველმა რევოლუციამ უდიდესი გარდამტეხი გავლენა მოახდინა რუსეთის ინტელიგენციის ცხოვრებაში. დემოკრატიული ინტელიგენცია ჩაითრია სახალხო მოძრაობაში და დარაზმა მუშათა კლასის მხარეზე ცარიზმის ბურჯებზე საიერიშოდ, ხოლო მემამულურ-კაპიტალისტური ინტელიგენციის კლასობრივი პოზიცია, მისი მტრული დამოკიდებულება მშრომელი მასების საბრძოლო ინტერესების მიმართ, გამოავლინა მთელი სიცხადით.

პირველი რევოლუციის დროს რუსეთის მრავალეროვან იმპერიაში ერთდროულად აზვირთდა მძლავრი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა, რომელიც მიმართული იყო, ერთი მხრივ, სოციალური, მემამულურ-კაპიტალისტური ჩაგვრისა და, მეორე მხრივ, ცარიზმის მიერ დაკანონებული ნაციონალურ-კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ. განაპირა კოლონიური მხარეების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მხარში ედგა და აძლიერებდა რუსეთის პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ ბრძოლას ცარიზმის დამხობისათვის. თავის მხრივ, რუსეთის პროლეტარიატი თავისი რევოლუციური მაგალითებით აღაფრთოვანებდა ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის რუსეთის ყველა ეროვნების მშრომელთა მასებს. მხურვალედ უჭერდა რა მხარს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, რუსეთის პროლე-

ეპოიატი და მისი მებრძოლი ავანგარდი — ბოლშევიკური პარტია — იცავდა ერთა თვითგამორკვევის უფლებას, გადაჭრით გმობდა იმ დიდმპყრობელურ შოვინისტურ პოლიტიკას, რომელსაც ცარიზმი და გაბატონებული კლასები ახორციელებდნენ. ბოლშევიკური პარტია განამტკიცებდა რუსეთის ხალხთა რევოლუციური მოქმედების ერთიანობას, გადაჭრით ებრძოდა ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს, ზრდიდა მასებს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, იმის რწმენით, რომ ეროვნული ჩაგვრის მოსპობა რუსეთში განხორციელდებოდა ყველა ეროვნების მშრომელთა ერთობლივი რევოლუციური ბრძოლით, რასაც შედეგად უნდა მოჰყოლოდა ცარიზმისა და კაპიტალისტური რეჟიმის ლიკვიდაცია და ერთა თანასწორუფლებიანობის პრინციპზე დამყარებული პროლეტარული სახელმწიფოს შექმნა.

* * *

1905—1907 წლის რევოლუციის მთელ მანძილზე საქართველო ცარიზმზე შეტევის მოწინავე პოზიციაზე იდგა. რევოლუციური მოძრაობის ეს მაღალი დონე განპირობებული იყო რიგ ობიექტურ ფაქტორებთან ერთად (იმპერიალიზმის ეპოქაში ეროვნული ჩაგვრის გამწვავების გამო პოლიტიკური ჩაგვრის კიდევ უფრო გამძაფრება, რევოლუციური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ტრადიციები) სუბიექტური ფაქტორებით, და ამ ფაქტორთა შორის მთავარს ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების იდეურ-ორგანიზაციული სიმწიფე, მთლიანობა და მიზანსწრაფული პრაქტიკული მოღვაწეობა შეადგენდა. როგორც ცნობილია, რსდმპ III ყრილობაზე ვ. ი. ლენინმა საჭიროდ მიიჩნია ამიერკავკასიის პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციური შემართება და ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების იდეურ-ორგანიზაციული საქმიანობა დაეხასიათებინა, როგორც საერთო საიმპერიო რევოლუციური მოძრაობის მისაბაძი გამოცდილება და დააყენა კიდეც საკითხი ამ გამოცდილების ფართე პროპაგანდის შესახებ. კავკასიის ამბების გამო ყრილობის მიერ მოწონებულ რეზოლუციაში აღნიშნულია: „რსდმპ III ყრილობა რუსეთის შეგნებული პროლეტარიატის სახელით მხურვალე სალამს უთვლის კავკასიის გმირ პროლეტარიატსა და გლეხობას და აკალებს პარტიის ცენტრალურ და ადგილობრივ კომიტეტებს უაღრესად ენერგიული ზომები მიიღონ, რათა ბროშურების გამოცემის, მიტინგების, მუშათა კრებების მოწყობის, საწრეო გასაუბრების და სხვ. გზით

რაც შეიძლება ფართოდ გავრცელონ ცნობები კავკასიაში საქმეთა ვითარების შესახებ, აგრეთვე ყოველი ღონისძიებით დროულად გაუწიონ დახმარება კავკასიას"[1].

ამიერკავკასიის რევოლუციური ცხოვრების იდეურ-ორგანიზაციულ შტაბს წარმოადგენდა რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი, რომელიც საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებს ხელმძღვანელობდა რსდმპ ადგილობრივი კომიტეტების — თბილისის, იმერეთ-სამეგრელოს, ბათუმის, ჭიათურის კომიტეტების და გურიის ჯგუფის მეშვეობით[2]. იმ დღიდან, როცა კავკასიაში მოაღწია ხმამ პეტერბურგში მშვიდობიანი მუშათა დემონსტრაციის ვერაგული დახვრეტის შესახებ, კავკასიის კავშირის კომიტეტი და მისი უშუალო მითითებით ადგილობრივი კომიტეტები გეგმაზომიერად და მიზანსწრაფულად მოქმედებდნენ, რომ საქართველოს პროლეტარიატი და გლეხობა ცარიზმზე გადამწყვეტი იერიშებისათვის დაერაზმათ. ისინი მეთაურობდნენ პროლეტარიატის პოლიტიკურ გაფიცვებს, დემონსტრაციებსა და საბარიკადო ბრძოლებს, გლეხთა აგრარულ მოძრაობას, შეჰქონდათ მასში პროგრამული სიცხადე, ორგანიზებულობა, ამხელდნენ ცარიზმის ვერაგულ პოლიტიკას — კავკასიის ხალხთა ურთიერთ მისევის საქმეში და განამტკიცებდნენ კავკასიაში მოსახლე ყველა ერისა და ეროვნებების საბრძოლო ერთიანობას, აღწევდნენ მშრომელთა განმსჭვალვას პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით. ბოლშევიკები იღვწოდნენ, რათა აზვირთებულ რევოლუციაში ჩაებათ მშრომელი მოსახლეობის ყველა ფენა, გადაექციათ იგი საყოველთაო სახალხო ნოძრაობად. ბოლშევიკები ამხელდნენ თავადაზნაურობის კონტრრევოლუციურ საქმიანობას, ლიბერალების მშიშრობას, ინტელიგენციის ზედაფენის მერყეობას, აქეზებდნენ დემოკრატიული ფენების გაუბედავ საბრძოლო ნაბიჯებს. ბოლშევიკები შეურიგებლად ებრძოდნენ თავადაზნაურული და ბურჟუაზიული ნაციონალიზმის ყოველგვარ გამოვლინებას. მათი მაორგანიზებელი ხელი ჩანდა საქართველოს ქალაქებისა და სოფლების მშრომელთა ყველა გამოსვლაში. საქართველოს ბოლშევიკები ყოველ ნაბიჯზე ამხელდნენ მენშევიკების დეზორგანიზატორულ საქმიანობას, რომელიც მიმართული იყო რსდმ პარტიის ერთიანობის წინააღმდეგ. ფართო დისკუსიებში, რომელიც

---

[1] სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში. ნაწ. I, 1954, გვ. 101.

[2] საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, გვ. 135.

ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის რევოლუციის წლებში მიმდინარეობდა, ბოლშევიკები ააშკარავებდნენ მენშევიკთა ოპორტუნიზმს, წვრილბურჟუაზიულ მერყეობასა და დამთმობლობას, სექტანტობასა და გამთიშველობისკენ მისწრაფებას. ამ დისკუსიებს ენიჭებოდათ უდიდესი მნიშვნელობა არა მარტო პარტიის იდეოლოგიური, ორგანიზაციული და ტაქტიკური საფუძვლების დაცვის საქმეში, არამედ მშრომელთა ფართო მასების გამოფხიზლებისა და გადაბირების თვალსაზრისითაც. რევოლუციის წლებში ქართველ ბოლშევიკთა მიერ შექმნილი თეორიული ნაშრომები (ი. სტალინის „გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე", „პასუხად სოციალ-დემოკრატს", ა. გ. წულუკიძის „შეგნებული პროლეტარიატის ბრძოლა", „ჩვენს მკითხველებს", „პაწია შენიშვნა დიდ კითხვაზე" და სხვ.) იცავდნენ რა ვ. ი. ლენინის დებულებებსა და მითითებებს პარტიის იდეოლოგიურ და ორგანიზაციულ საკითხებზე, ეწეოდნენ რსდმპ III ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდას და მასებისათვის ცხადყოფდნენ მენშევიკ ოპორტუნისტთა მავნე როლს რევოლუციის მსვლელობაში.

ბოლშევიკები დაუნდობლად ებრძოდნენ აგრეთვე წვრილბურჟუაზიულ პარტიებს (სოციალ-ფედერალისტები, ესერები, ანარქისტები), ააშკარავებდნენ მათი პროგრამის ცრუსოციალისტურ ხასიათს. განსაკუთრებით შეუპოვარ ხასიათს ატარებდა ბრძოლა ეროვნული საკითხის გარშემო. საქართველოს ეროვნული ავტონომია, რომელიც სოციალისტ-ფედერალისტებმა თავიანთი პროგრამის ქვაკუთხედად გამოაცხადეს, ბოლშევიკებს იმ პერიოდისათვის სამართლიანად მიაჩნდათ დემოკრატიული რევოლუციისათვის საზიანოდ, რადგან იგი იწვევდა რევოლუციის ძალთა გათიშულობას. ბოლშევიკები აქტიურად ერეოდნენ დემოკრატიული წრეების პროტესტის ყოველ გამოვლინებაში და წარმართავდნენ მას ცარისტული რეჟიმისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით. რევოლუციისათვის საერთო-სახალხო მასშტაბების გაფართოების მიზნით ბოლშევიკები პროლეტარიატის და გლეხობის გვერდით რაზმავდნენ წვრილბურჟუაზიულ მასას, განსაკუთრებით წვრილბურჟუაზიულ დემოკრატიულ ინტელიგენციას, ებრძოდნენ რა მის მერყეობას, ხელს უწყობდნენ წინ წაეწიათ რევოლუციური შეგნებულობის მიმართულებით.

რსდმპ III ყრილობამ ბოლშევიკებს მისცა გამოკვეთილი გეზი დემოკრატიული ინტელიგენციისადმი დამოკიდებულებაზე. III ყრილობის სტრატეგიული გეგმა ითვალისწინებდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში პროლეტარიატის — რევოლუციის ავანგარდის

მჭიდრო კავშირს მთელ გლეხობასთან, ლიბერალური ბურჟუაზიის იზოლაციის ვითარებაში. ეს გეგმა, ამასთან, შეიცავდა ინტელიგენციასთან დამოკიდებულების კონკრეტულ პროგრამას. ეს პროგრამა პარტიული ორგანიზაციების ყურადღებას აშახვილებდა, ერთი მხრივ, ინტელიგენციის ბურჟუაზიულ-ლიბერალური ზედაფენის წინააღმდეგ ბრძოლაზე, მეორე მხრივ, მშრომელი, წვრილბურჟუაზიული დემოკრატიული ინტელიგენციის მიზიდვაზე რევოლუციის აქტიურ მებრძოლთა რიგებში.

ყრილობამ საგანგებოდ განიხილა საკითხი „სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში მუშებისა და ინტელიგენციის დამოკიდებულების შესახებ". რეზოლუციის პროექტი ყრილობას წარუდგინა ვ. ი. ლენინმა. მასში მხილებული იყო სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში მუშებსა და ინტელიგენციას შორის სიძულვილისა და მტრობის გაღვივების მენშევიკური დემაგოგია. ყრილობაზე ცხარე კამათი გაიმართა სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში მუშათა და ინტელიგენციის ურთიერთობის შესახებ მოხსენების გარშემო. მ. ცხაკაიამ, ალ. ჯაფარიძემ ამ კამათში ეჭვსულოვნად დაუჭირეს მხარი ვ. ი. ლენინის რეზოლუციას, რომელიც მიუთითებდა: „ყრილობა გადაჭრით გმობს სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებში მუშებსა და ინტელიგენტებს შორის უნდობლობისა და მტრობის დანერგვის იმ პოლიტიკას, რომელსაც ახალისკრელები ატარებენ...[1].

III ყრილობამ, რევოლუციის ინტერესებიდან გამომდინარე, დასაშვებად სცნო რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის პრაქტიკული შეთანხმება სოციალისტ-რევოლუციონერებთან და ამ საკითხზე მიღებულ რეზოლუციაში მიუთითა:

„1. რომ სოციალ-დემოკრატების დროებითი საბრძოლო შეთანხმება სოციალისტ-რევოლუციონერთა ორგანიზაციებთან თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით შეიძლება ზოგ შემთხვევაში სასარგებლო იყოს;

2. რომ ასეთი შეთანხმებანი არავითარ შემთხვევაში არ უნდა ზღუდავდეს სოციალ-დემოკრატიული პარტიის სრულ დამოუკიდებლობას და არ უნდა არღვევდეს მისი პროლეტარული ტაქტიკისა და მისი პრინციპების მთლიანობასა და სიწმინდეს.

რსდმპ III ყრილობა ავალებს ცენტრალურ კომიტეტს და ადგილობრივ კომიტეტებს, საჭიროების შემთხვევაში დადონ დროებითი

---

[1] Третий съезд РСДРП, Протоколы, с. 10.

საბრძოლო შეთანხმებანი სოციალისტ-რევოლუციონერთა ორგანიზაციებთან, ამასთან ადგილობრივი შეთანხმებანი შეიძლება დაიდოს მხოლოდ ცენტრალური კომიტეტის კონტროლით"[1]. III ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებები საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციებს ნათელ გზს აძლევდნენ მათს იდეურ-ორგანიზაციულ მუშაობაში.

მასებთან კავშირი, მისდამი ხელმძღვანელობა, მისი წაქეზება და შემართება უსაარიანად ხორციელდებოდა რევოლუციური პრესის მეშვეობით. თამამად შეიძლება ითქვას, რომ რევოლუციის მთელ მანძილზე, ცარიზმის რეპრესიების მიუხედავად, ბოლშევიკებს საქართველოსა და ამიერკავკასიაში რევოლუციური ბეჭდვითი სიტყვის ერთ-ერთი საუკეთესო ორგანიზაცია ჰქონდათ. ავლაბრის არალეგალური ბოლშევიკური სტამბა, რომელიც 1903 წლიდან შევიდა მოქმედებაში, რევოლუციური კონსპირაციის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი მაგალითია მთელ იმპერიაში. ამას გარდა, არალეგალური სტამბები არსებობდნენ თბილისში, ჭიათურაში, ქუთაისში. ამ სტამბებში ქართულ, რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე იბეჭდებოდა გაზეთები და ბროშურები, პროკლამაციები და სხვა სახის რევოლუციური ლიტერატურა, რომელიც დაუყოვნებლივ ვრცელდებოდა მთელ ამიერკავკასიაში. პროკლამაციებს, საბრძოლო ფურცლებს ბეჭდავდნენ აგრეთვე იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი და სხვა ადგილობრივი ბოლშევიკური ორგანიზაციები. ვინც უურადღებით მიადევნებს თვალს ამ პროკლამაციებს დარწმუნდება, რომ მის წინაშეა რევოლუციურ მოვლენათა მთელი ენციკლოპედია[2]. პარტია მხურვალედ ეხმაურება პირველი რევოლუციის ეპოპეის ყველა ფაქტსა და მოვლენას, აძლევს მათ ლენინურ შეფასებას. ამ პროკლამაციებში ახლაც ისმის დიდი სახალხო მოძრაობის ძლევამოსილი სუნთქვა, ექო საბარიკადო ბრძოლებისა.

რევოლუციის წლებში საქართველოს ბოლშევიკებს რამდენიმე გაზეთი ჰქონდათ. 1903—1906 წლებში, როგორც ცნობილია, გამოდიოდა რსდმპ კავკასიის კავშირის არალეგალური გაზეთი „პროლეტარიატის ბრძოლა", ეს გაზეთი პროპაგანდას უწევდა პროლეტარიატის ჰეგემონობის ლენინურ იდეას, ამხელდა წვრილბურჟუაზიული პარ-

---

1 სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწ. 1, გვ. 99.

2 რსდმპ კავკასიის კავშირის პროკლამაციები (1903—1905 წწ.), 1955.

ტიების არსს, მენშევიკური ტაქტიკის შეუთავსებლობას რევოლუციის ინტერესებთან. გაზეთის ფურცლებზე სისტემატურად შუქდებოდა რევოლუციის მიმდინარეობა რუსეთსა და ამიერკავკასიაში, მიმდინარეობდა შეიარაღებული აჯანყების მხურვალე პროპაგანდა. „პროლეტარიატის ბრძოლის“ საქმე 1905 წლის ოქტომბრიდან გააგრძელა „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკმა“*. მართალია, ეს გაზეთი ლეგალურად გამოდიოდა და ასე თუ ისე ცენზურისაგან მაინც შეზღუდული იყო, მაგრამ იგი რევოლუციის ძირითად ფაქტებს და მოვლენებს აშუქებდა. ოქტომბრის საყოველთაო გაფიცვის მთელ პერიოდში გაზეთი ეწეოდა არა მარტო პროპაგანდისტულ, არამედ ორგანიზატორულ საქმიანობას: ხელმძღვანელობდა პეტერბურგის გაფიცულ მუშათა დასახმარებლად სახსრების შეგროვებას ამიერკავკასიაში. იგი ამიერკავკასიელ მუშებს მოუწოდებდა პეტერბურგელ მოძმეთა დასახმარებლად მოეწყოთ გაფიცვები ამიერკავკასიაში. ამასთან ამხელდა მეფის მანიფესტის ნამდვილ არსს და რევოლუციის გამარჯვების ერთადერთ გზად სახავდა შეიარაღებულ აჯანყებას. გაზეთში სისტემატურად შუქდებოდა რევოლუციური გამოსვლების მიმდინარეობა სოფლად, არმიასა და ფლოტში მზარდი მღელვარებანი. გაზეთი ეხმაურებოდა ფართო დემოკრატიული მასების მხარდაჭერას რევოლუციაში (გაფიცვები ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა შორის, რკინიგზის მუშა-მოსამსახურეთა საყოველთაო გაფიცვა და სხვ.), ყურადღებას ამახვილებდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობაზე პოლონეთში, ფინეთში, უკრაინაში, ბალტიისპირეთსა და შუა აზიაში.

რევოლუციის უკან დახევის პერიოდში (1906 წლის მეორე ნახევარი, 1907 წელი) ბოლშევიკები ქართულ ენაზე სხვადასხვა დროს სცემდნენ ლეგალურ გაზეთებს („ახალი ცხოვრება“, „ახალი დროება“, „მნათობი“, „ჩვენი ცხოვრება“, „დრო“). ეს გაზეთები მუშათა და გლეხთა რევოლუციურ მოძრაობას აძლევდნენ სწორ მიმართულებას, უნერგავდნენ რწმენას რევოლუციისადმი, ამხელდნენ ცარიზმის კავკასიელ ხელისუფალთა ვერაგობას რევოლუციისადმი ანგარიშგასწორებაში და მოუწოდებდნენ მუშათა კლასს, გლეხობას შეემჭიდროებინათ საბრძოლო რიგები, არ დაეთმოთ პოზიციები[1].

---

* „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკ“ №-16 ნომრიდან გამოდიოდა „ელიზოვეტოპოლსკი ვესტნიკ“-ის სახელწოდებით.

[1] გ. ე ვ ა ნ ი ა, საქართველოს ბოლშევიკური პრესა რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში, 1955, გვ. 96.

საგანგებოდ უნდა დავახასიათოთ ჟურნალი „მოგზაური", რომელმაც 1905 წლის მთელ მანძილზე უაღრესად თვალსაჩინო როლი შეასრულა ბოლშევიკების საპროპაგანდო მოღვაწეობაში.

წინა თავში ჩვენ საუბარი გვქონდა იმის შესახებ, რომ რსდმპ თბილისის კომიტეტის მითითების შემდეგ ჟურნალი „მოგზაური", რომელსაც დემოკრატი მოღვაწე ივანე როსტომაშვილი რედაქტორობდა, გადახალისდა. მის სარედაქციო კოლეგიაში შეიდნენ ფ. მახარაძე, ალ. წულუკიძე, აქტიური თანამშრომლები გახდნენ შ. ელიავა, ს. კუხალეიშვილი, ნ. ელიავა, ი. კვიცარიძე, პ. კიკალიშვილი და სხვები. ჟურნალის ოფიციალურ რედაქტორად, მართალია, ისევ ივ. როსტომაშვილი დარჩა (ეს საცენზურო კომიტეტის თვალისახვევის მიზნით მოხდა), მაგრამ ჟურნალი ამ გადახალისების შემდეგ ბოლშევიკური იდეების პროპაგანდისტი გახდა. მისი იდეური წარმმართველები ბოლშევიკები იყვნენ. განახლებული „მოგზაურის" პირველი ნომერი 1905 წლის 16 იანვარს გამოიცა (ფორმალურად იგი მეორე იყო, რადგან იანვარში ძველმა რედკოლეგიამ ერთი ნომერი უკვე გამოუშვა).

ჟურნალი „მოგზაური" უთუოდ იმსახურებს იმას, რომ ქართული რევოლუციური პრესის ისტორიაში თვალსაჩინო ადგილი დაიკავოს. არ მიგვაჩნია მართებულად, როცა ბოლშევიკური პრესის ისტორიის ზოგი მკვლევარი გვერდს უვლის ამ ჟურნალს, ფიქრობს, რომ მენშევიკების თანამშრომლობამ ჟურნალს დაუკარგა იდეური სიმახვილე. ბოლშევიკური პრინციპულობა. ამ მხრივ გამონაკლისია ჯუანშერ ვათეიშვილის ნარკვევი, რომელმაც საგანგებოდ შეისწავლა ჟურნალ „მოგზაურის" და გაზეთ „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკის" იდეურ-თეორიული პროდუქცია და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ჟურნალი „მოგზაური" და გაზეთი „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკი" წარმოადგენდნენ ამიერკავკასიის ბოლშევიკების საბრძოლო ორგანოს. ისინი ღირსეულად ასრულებდნენ მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების პროპაგანდას, მობილიზაციას უკეთებდნენ მშრომელთა ფართო მასებს ცარიზმზე იერიშისათვის. მათ საძირკველი დაუდეს ამიერკავკასიაში რიგ ბოლშევიკურ ლეგალურ გამოცემას რუსულ და ეროვნულ ენებზე"[1].

ჟურნალის საერთო შეფასებაში მართებული კურსის მიუხედავად ჯ. ვათეიშვილს, ჩვენი აზრით, მაინც გამორჩა მხედველობიდან ამ ჟურ-

---

[1] Д. Ватейшвили, Из истории легальной рабочей печати Закавказья, 1965, с. 303.

ნალის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი საქმიანობის ზოგიერთი მხარე და ნიუანსი.

1. „მოგზაურის“ გამოცემას ბოლშევიკები სათავეში ჩაუდგნენ რევოლუციის აღმავლობის პერიოდში, იმ დროს, როცა ცარიზმის წინააღმდეგ იერიშისათვის საჭირო იყო მშრომელი მასების ერთსულოვანი ამხედრება, არსებული რეჟიმით უკმაყოფილო სოციალური ჯგუფების მეტი რაოდენობით მოზიდვა და დარაზმვა რევოლუციურ ბანაკში. ნიშანდობლივია, რომ რევოლუციური აღმავლობის სწორედ ამ პერიოდს ახასიათებდა რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ბლოკი მემარცხენე მიმართულებებთან და პარტიებთან.

2. „მოგზაური“ ლეგალური ჟურნალი იყო და ცენზურის მრისხანე თვალი მას ყოველ ნაბიჯზე ფხიზლად დარაჯობდა. სწორედ ცენზურისაგან თავდაცვის მიზანს ემსახურებოდა ის, რომ განახლებულმა რედაქციამ გააგრძელა გამოცემის პერიოდულობა — ნუმერაცია. დატოვა ძველი გამოცემის რედაქტორი. ჟურნალს დასახელებაც არ შეუცვლია და არც ახალი კურსი გამოუცხადებია, თუ არ ჩავთვლით სტატიას „ჩვენ მკითხველებს“, სადაც, მართალია, ახსნილი იყო ის ძირითადი საკითხები, რომლებზედაც ამიერიდან ჟურნალი ყურადღებას გაამახვილებდა, მაგრამ დუმილით იყო გვერდავლილი, რომ „მოგზაურის“ სახით საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელმა ცენტრმა ახალი ლეგალური ორგანო გაიჩინა.

3. ჩვენი აზრით, გადაჭარბებული და ხელოვნურია მითითება ჟურნალის რედაქციის „ბოლშევიკურ“ ფრთაზე და „მენშევიკურ“ ფრთაზე“ (ჯ. ვათეიშვილი) ჟურნალის რედაქცია ასეთ ფრაქციებად დანაწილებული არ ყოფილა. ჟურნალის რედაქტორმა ფილიპე მახარაძემ ბოლომდე შეინარჩუნა ჟურნალის იდეური მესვეურობა. ფ. მახარაძე და ალ. წულუკიძე ტონს აძლევდნენ ჟურნალის იდეურ მიმართულებას. რუსეთის რევოლუციის ყველა არსებითი საკითხი ჟურნალში გაშუქებული იყო ლენინური პოზიციიდან. ავტორები ყველა წამყვანი სტატიებისა, რომლებიც იმდროინდელ საჭირბოროტო საკითხების ახსნა-განმარტებას და შეფასებას იძლეოდნენ, იყვნენ ფ. მახარაძე და ალ. წულუკიძე. მართალია, რედაქციის შემადგენლობაში იყვნენ და გარედანაც თანამშრომლობდნენ მენშევიკები, მაგრამ ამ თანამშრომლობას ჟურნალის იდეური კურსი არ შეუცვლია, მისი რევოლუციური პრინციპულობა არ მოუდუნებია, მისი საბრძოლო მგზნებარება არ შეუნელებია. რედაქციის თანამშრომელი „ეშმაკი“ და „თაგუნა“ უპირატესად სატირულ ფელეტონებს წერდნენ და ამ ფელეტონების ისარი, პირ-

ველ ყოვლისა, სოციალისტ-ფედერალისტების წინააღმდეგ იყო მიმართული. მართალია, ჟურნალში ნ. ჟორდანიაც თანამშრომლობდა, მაგრამ მისი სტატიები უპირატესად ევროპის ისტორიის საკითხებს შეეხებოდნენ. რევოლუციის საპროგრამო საკითხებზე ამ ჟურნალში ნ. ჟორდანიას და მის მიმდევრებს სტატიები არ მოუთავსებია. აღსანიშნავია ისიც, რომ ბოლშევიკები რეაგირების გარეშე არ ტოვებდნენ რედაქციის თანამშრომელთა პოზიციას, თუ იგი ჟურნალის იდეური კურსის საზიანოდ ელიწდებოდა. ცნობილია, რომ „მოგზაურმა" პრინციპული კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ივ. გომართელის — „მოგზაურის" ერთ-ერთი აქტიური თანამშრომლის სტატია, რომელიც ჟურნალმა არ გამოუქვეყნა, მაგრამ დაბეჭდილ იქნა გაზ. „ივერიაში".

4. ჟურნალი იმ დროის გამოცემათაგან ყველაზე სრულად გადმოგვიშლის 1905 წელს საქართველოსა და ამიერკავკასიის მშრომელთა რევოლუციურ შემართებას. ჟურნალში სისტემატურად შუქდებოდა საქართველოს მუშათა კლასის საგაფიცვო ბრძოლა, მუშათა პოლიტიკური გამოსვლების ხასიათი და მიმართულება. განსაკუთრებით ფართოდ და რელიეფურადაა წარმოდგენილი საქართველოს რევოლუციური გლეხობა. ჟურნალმა სპეციალური დამატება შექმნა გურიის გლეხთა აგრარულ-რევოლუციური ბრძოლის გასაშუქებლად და ისე შთამბეჭდავადაა აღწერილი მაგალითად, კრიმ-გირეის მოგზაურობასთან დაკავშირებული მიტინგების მიმდინარეობა, რომ დღესაც აუღელვებლად ვერ წაიკითხავ. ჟურნალმა ფართოდ წარმოგვიდგინა აგრეთვე გლეხთა მოძრაობა ქართლსა და კახეთში. მკვლევარისათვის ეს ჟურნალი საქართველოს იმდროინდელი რევოლუციური ცხოვრების ყველაზე სრულ და ცხოველმყოფელ მატიანეს წარმოადგენს.

5. ჟურნალი მართებულად ამახვილებდა ყურადღებას რევოლუციის პერიოდში საქართველოს ბოლშევიკების წინაშე მდგარ კონკრეტულ საბრძოლო საკითხებზე. ჟურნალის თეორიული მახვილი, პირველ ყოვლისა, მიმართული იყო სოციალისტ-ფედერალისტების წინააღმდეგ, მათი ეროვნული პროგრამის, კერძოდ, „ეროვნული ავტონომიის" წინააღმდეგ. ეროვნული საკითხის სწორ პროპაგანდას, ნაციონალისტური ხასიათის გადახრების გამომზეურებასა და დაგმობას იმ პერიოდში ერთ-ერთი მთავარი მნიშვნელობა ჰქონდა და ჟურნალიც ამ მიმართულებით წარმატებით ასრულებდა თავის მოვალეობას.

6. ჟურნალის განსაკუთრებული დამსახურებაა რევოლუციაში მშრომელი მასების საბრძოლო ფრონტის მთლიანობის მგზნებარე პროპაგანდა. ჟურნალს რუსეთის მუშათა კლასი მიაჩნდა ჰეგემონ და ხელმძღვა-

ნელ ძალად, რომლის გარშემო უნდა დარაზმულიყვნენ რუსეთის მრავალეროვანი იმპერიის მშრომელი მასები. ჟურნალი ებრძოდა ბურჟუაზიული ნაციონალიზმის ყოველგვარ გამოვლინებას და ეწეოდა დაუცხრომელ პროპაგანდას პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა, განსაკუთრებით ამახვილებდა ყურადღებას ამიერკავკასიის მშრომელი მასების საბრძოლო ძმობაზე და დაუნდობლად ამხელდა ყველა პარტიას, ყველა მიმართულებას, რომელიც ეროვნულ ნაკუწში იკეტებოდა და ხელს უწყობდა რევოლუციურ ბრძოლაში ერთიანი ფრონტის დანაწევრებას. ამ მიმართულებით თვალსაჩინოდ ჩანს ჟურნალის შეურიგებელი პოზიცია „ცნობის ფურცელთან", „ივერიასთან" და სომხურ ჟურნალ „არშალუზთან" პაექრობაში.

7. ჟურნალს მოზიდული ჰყავდა დემოკრატიული ინტელიგენციის ოვალსაჩინო ძალები, რომლებიც სტატიებს აქვეყნებდნენ რუსეთის, ევროპის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების საინტერესო და აქტუალურ საკითხებზე. აქ ჩანდა ბოლშევიკური პარტიის მართებული სწრაფვა დემოკრატიული ინტელიგენციის მიზიდვისა რევოლუციაში, რასაც ლენინური ტაქტიკა ითვალისწინებდა. მაგრამ, საერთოდ, ინტელიგენციის საკითხში ჟურნალის პოზიციას მაინც აკლდა გამოკვეთილობა, ლენინური ტაქტი. შეიმჩნეოდა ინტელიგენციისადმი მენშევიკური ნიჰილიზმის ერთგვარი ზეგავლენაც. მასში მკრთალად შუქდებოდა ფაქტები და მოვლენები დემოკრატიული ინტელიგენციის რევოლუციური ცხოვრებიდან. არ ჩანდა ტენდენცია ინტელიგენციის რევოლუციური ენთუზიაზმის გაბედული წაქეზებისა. მაგალითად, ჟურნალი უმართებულოდ მოეკიდა დემოკრატიული ინტელიგენციის ყველაზე გამოჩენილ წარმომადგენლებს (ილია ჭავჭავაძეს, სიკო ცხვედაძეს და სხვებს), როცა ისინი, საერთოდ, დემოკრატიული რევოლუციის ნტრებად გამოაცხადა. ინტელიგენციის საკითხზე სტატიები მენშევიკური პოზიციიდან იყო დაწერილი. ამის თვალსაჩინო ილუსტრაციაა — „ლიას" ხელმოწერით ჟურნალის 23-ე, 24-ე და 25-ე ნომრებში დაბეჭდილი სტატია „ჩემი შთაბეჭდილებანი". აქ ინტელიგენცია, საერთოდ, მისი სოციალურ კუთვნილებაზე მითითების მიუხედავად, დახასიათებულია როგორც ბურჟუაზიული კატეგორია. „ინტელიგენცია — ეს ბურჟუაზიის სხეულიდან გამოღებული გვერდი და ამ გვერდიდან დამუშავებული კრებულია, ეს მესაკუთრეთა სხვადასხვა კლასების და ჯგუფების ძელის ნახეთქი და მათი სისხლი და ხორცია"[1], — ამტკიცებდა ავტორი. ინტელიგენცია, რომელი სოციალური

[1] ჟურნ. „მოგზაური", № 23, 1905.

ჯგუფის წარმომადგენელიც არ უნდა იყოს, მაინც მტერია მუშა ხალხისა და მასთან დაპირისპირებული. ავტორს სჯერა, რომ რევოლუციის გამარჯვების შემდეგ „ათას სხვა ისტორიულ უკუღმართობასთან ერთად პროლეტარიატი გააუქმებს ინტელიგენციასაც, როგორც განსაკუთრებულ საზოგადოებრივ კრებულს“[1].

ჟურნალის შეცდომები ამ მიმართულებით არ იყო შემთხვევითი. იგი არ უნდა მივაწეროთ მხოლოდ „მენშევიკურ ფრთას“, მენშევიკურ ზეგავლენას. დემოკრატიულ ინტელიგენციასთან დამოკიდებულებაში ზემომითითებული შეცდომები ნაწილობრივ იმდროინდელ ზოგ ხელმძღვანელ ქართველ ბოლშევიკსაც ახასიათებდა.

ჟურნალის ყველაზე დიდი შეცდომა მაინც იყო ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ ცილისმწამებლური კორესპონდენციის გამოქვეყნება, რაშაც ერის სულიერ მოძღვარს მოუწამლა სიცოცხლის ბოლო წლები. მხოლოდ შემდეგ გახდა ცნობილი, რომ ამ კორესპონდენციის შემოხზველი სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში შემძვრალი „ოხრანკის“ აგენტი იყო.

* * *

ქართველი სოციალისტ-ფედერალისტების პარტია პირველი რევოლუციის დაწყებისთანავე აქტიურად ჩაება მოძრაობაში და მიზნად დაისახა ეს მოძრაობა მის მიერ დასახული პროგრამით წარემართა. მაგრამ სოციალისტ-ფედერალისტებმა რევოლუციის მსვლელობაში პარტიული ავტორიტეტი ვერაფრით ვერ აღიმაღლეს. რევოლუციის ძირითადი ძალები ვერ გაიყოლიეს, მხოლოდ ქართველი ინტელიგენციის შედარებით მცირე ჯგუფი თანაუგრძნობდა სოციალისტ-ფედერალისტთა პროგრამას, მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა კი ამ პარტიისაგან შორს იდგა და მიუხედავად მრავალი მხურვალე მოწოდებისა, დუმილით უელიდა გვერდს მის მიერ ნაჩვენებ მიმართულებას.

სოციალისტ-ფედერალისტებმა რევოლუციის დაწყებიდან შეწყვიტეს პარიზში თავიანთი ორგანოს — „საქართველოს“ გამოცემა. პარტიის თვალსაჩინო მოღვაწენი თბილისში დაბრუნდნენ და გაზეთ „ცნობის ფურცელის“ გარშემო დაირაზმნენ. რევოლუციის წლებში სოციალისტ-ფედერალისტები თავიანთი შეხედულებების პროპაგანდას, გარდა „ცნობის ფურცელისა“, ეწეოდნენ გაზეთების — „შრომის“ (გამო-

[1] ჟურნ. „მოგზაური“, № 23, 1905.

დიოდა 1906 წ. „ცნობის ფურცელის“ აკრძალვის შემდეგ ჯერ ნ. დიასამიძის, შემდეგ გრ. რცხილაძის რედაქტორობით), „გლეხის“ (რედაქტორი ს. ფირცხალავა) ფურცლებზე.

სოციალისტ-ფედერალისტები, არსებული რეჟიმის მოწინააღმდეგენი იყვნენ. ისინი თვლიდნენ, რომ რუსეთის სოციალ-პოლიტიკური წყობილება რევოლუციურად უნდა გადახალისებულიყო. სოციალისტ-ფედერალისტები მტრულად იყვნენ გამსჭვალულნი კავკასიაში ცარიზმის კოლონიური რეჟიმის მიმართ. პირველი რიგის მოვალეობად მიაჩნდათ მშრომელი მასების ამხედრება ამ რეჟიმის წინააღმდეგ.

ამრიგად, არსებული რეჟიმის გულწრფელმა სიძულვილმა, მის წინააღმდეგ ბრძოლის განწყობილებამ სოციალისტ-ფედერალისტების პარტიას რევოლუციის აზვირთებისთანავე ბინა მიუჩინა იმ დემოკრატიულ ბანაკში, რომელიც აღსდგა თვითმპყრობელობის დრომოჭმული, რეაქციული რეჟიმის წინააღმდეგ.

მაგრამ სოციალისტ-ფედერალისტები, მიუხედავად იმისა, რომ თავიანთი თავი გულწრფელ რევოლუციონერებად, ქართველი ერის მოსარჩლედ და სოციალურ-კოლონიური ჩაგვრისაგან მისი გათავისუფლების მესვეურად მოჰქონდათ, სინამდვილეში შორს იდგნენ ნამდვილი რევოლუციონერებისაგან და მათ მიერ არჩეული გზით, მათ მიერ დასახული პროგრამით სოციალიზმი ვერ დამყარდებოდა. მართალია, მათს პროგრამაში ჩაწერილი იყო ზოგადი ფრაზები სოციალიზმის შესახებ, როგორც მაგალითად: „სოციალიზმის განსახორციელებლად საჭიროა მშრომელი ხალხის ყველა წრეების სოლიდარობა შრომისა და თანასწორობის ნიადაგზე“[1], მაგრამ ეს სოციალიზმი წვრილბურჟუაზიული გათანასწორების ილუზიებს შეიცავდა და არა მეცნიერულად განსჯილ მომავალ საზოგადოებას, რომლის მშენებლობა საზოგადოებრივი ცხოვრების კანონების საფუძველზე. უმკაცრესი კლასობრივი ბრძოლების პირობებში უნდა მომხდარიყო.

სოციალისტ-ფედერალისტები გამორიცხავდნენ სოციალისტური საზოგადოების დამყარებისათვის ბრძოლაში პროლეტარიატის ხელმძღვანელ, წარმმართველ როლს. მათ თანაბარ რევოლუციურ ძალებად მიაჩნდათ მუშათა კლასი, გლეხობა და ინტელიგენცია. პროლეტარიატის, გლეხობისა და ინტელიგენციის ერთიან ნაკადად წარმოდგენის საფუძველზე იყო შედგენილი მათი პარტიაც, რომელიც ამის გამო, ფაქტიურად ზეკლასობრივი ორგანიზაცია გამოდიოდა.

---

[1] ს. ფ. პარტიის მესამე (დამფუძნებელი) პარტიული კრების ანგარიში, გვ. 35.

სოციალისტ-ფედერალისტების თეორიული არსენალი ნაროდნიკული სოციალიზმიდან მოდიოდა. ნაროდნიკულ სოციალიზმზე წამოიზარდა, როგორც ცნობილია, სოციალისტ-რევოლუციონერების პარტიაც რუსეთში. ბუნებრივია, რომ ამ ორ პარტიას ბევრი საერთო ჰქონდა და რუსი სოციალისტ-რევოლუციონერები სრულიად არა შემთხვევით ქართველ სოციალისტ-ფედერალისტებს თავის ფილიალად თვლიდნენ[1].

სოციალისტ-ფედერალისტები პირველი რევოლუციის პერიოდში თითქოს ანარქისტებსაც გაემიჯნენ, მაგრამ მათ პროგრამაში ასევე საკმაო დოზით იყო ანარქისტული დებულებანი. სოციალისტ-ფედერალისტების სოციალურ-ეკონომიკური პროგრამა არ სცილდებოდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ფარგლებს. ამ პროგრამით ისინი ექსპლოატატორული საზოგადოების დამხობას, მუშათა კლასისა და გლეხობის სრულ განთავისუფლებას, ცხადია, ვერ მიაღწევდნენ.

პირველი რევოლუციის წლებში ამიერკავკასიის მშრომელი მასების საბრძოლო რიგების ინტერნაციონალური შემჭიდროების თვალსაზრისით არა ნაკლებ საზიანო იყო სოციალისტ-ფედერალისტების ეროვნული პროგრამა. ე. წ. „ეროვნული ავტონომია“, რომელიც ამ პარტიის ლიდერებმა რევოლუციაში ძირითად საკითხად წამოაყენეს.

სოციალისტ-ფედერალისტები დაჟინებით ამტკიცებდნენ, რომ მიმდინარე რევოლუციაში ქართველმა ხალხმა თავის ძირითად მოთხოვნად უნდა დააყენოს ავტონომიის საკითხი, — ე. ი. საშინაო საკითხებში საქართველოს დამოუკიდებლობაო. სოციალისტ-ფედერალისტების ეს საპროგრამო მოთხოვნა საქართველოს თავადაზნაურულმა და ბურჟუაზიულმა პარტიებმაც გაიზიარეს. ამ ლოზუნგით ამოძრავდა ქართული ეკლესიაც. ლოზუნგმა მიიზიდა რევოლუციაში ზერელედ ჩახედული მერყეები, საზოგადოების განვითარებაზე ბუნდოვანი წარმოდგენის მქონე წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის დიდი ნაწილი. ავტონომიის საკითხი იმდროინდელი პრესის, საზოგადოებრივი შეკრებების, დისპუტების ერთ-ერთი ძირითადი საკითხი გახდა.

ეროვნული ავტონომია, რა თქმა უნდა, არ იყო ეროვნული სეპა-

---

[1] დაწვრ. იხ. გ. ჯანგველაძე, საქართველოს კომუნისტური პარტიის ბრძოლა ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიების იდეური და ორგანიზაციული განადგურებისათვის (1903—1921 წწ.), 1974, გვ. 85.

რატიზმი და უმართებულოა, როცა ზოგიერთი მკვლევარი სოციალისტ-ფედერალისტებს სეპარატისტებად თვლის*.

ეროვნული ავტონომიის მოთხოვნა არ იყო სოციალისტ-ფედერალისტების აღმოჩენა. ამ ლოზუნგს შეიცავდა, როგორც ცნობილია, XIX საუკუნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ეროვნული პროგრამა. ცარიზმის კოლონიური რეჟიმის აღკვეთა და შინაგანი თვითმმართველობის მოპოვება თერგდალეულთა მთავარი მოთხოვნა იყო ეროვნულ საკითხში. თავისი შინაარსით ეს ლოზუნგი, ცხადია, დემოკრატიული იყო და ეროვნულ საკითხზე მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებელთა წარმოდგენას სრულებითაც არ უპირისპირდებოდა.

მაგრამ რევოლუციის განვითარების ახალ ეტაპზე ამ ლოზუნგმა თავისი თავი ამოწურა, დრო მოპარა და იგი ახალ ეითარებაში რევოლუციის საქმეს არა თუ წინ, არამედ უკან სწევდა.

იმპერიალიზმის ეპოქის ამ პირველ რევოლუციაში რევოლუციის ჰეგემონის — რუსეთის პროლეტარიატისა და მისი ძირითადი მოკავშირის — გლეხობის წინაშე ძირითად ამოცანად იდგა ცარიზმის დამხობა და ქვეყნის დემოკრატიულ გარდაქმნათა ბოლომდე მიყვანა, შემზადება პირობებისა ექსპლოატატორული რეჟიმის სრული დამხობისა და სოციალისტური წყობილების დამყარებისათვის. ეს ამოცანა რუსეთის იმპერიის დაჩაგრული და ექსპლოატირებული მასების საერთო ამოცანა იყო, განურჩევლად მათი ეროვნული შემადგენლობისა. რუსეთის ცარიზმი და ბურჟუაზია იმპერიის მასშტაბით საერთო ფრონტით გამოდიოდა დემოკრატიული და სოციალისტური რევოლუციის წინააღმდეგ. ამ მრისხანე ბრძოლაში მეფისა და ბურჟუაზიის ერთიან ფრონტს უნდა დაპირისპირებოდა რუსეთის პროლეტარიატისა და გლეხობის ერთიანი ფრონტი. ეროვნული ავტონომიის ლოზუნგი ამ საერთო ფრონტს, ამ ინტერნაციონალურ სოლიდარობას უპირისპირდებოდა, რითაც აფერხებდა რევოლუციის განვითარებას და დისონანსი, დაბნეულობა შეჰქონდა მის იდეურ მონოლითობაში. სოციალისტ-ფედერალისტების ეს ლოზუნგი განსაკუთრებით საზიანო იყო მრავალეროვანი ამიერკავკასიის ეითარებაში. იგი თითქოს წყალს ასხამდა ცეცხლზე, რომელიც ამიერკავკასიელმა რევოლუციონერმა სოციალ-დემოკრატებმა რუსი, ქართველი, აზერბაიჯანელი, სომეხი და სხვა ეროვნებათა მშრომელი მასების ინტერნაციონალური სოლიდარობის შედეგად

---

* ამ საკითხზე ყურადღება გაამახვილა და სწორი თვალსაზრისი განაკითარა გ. ჯანგველაძემ. იხ. მისი ზემოდდასახელებული წიგნი, გვ. 68—69.

გააჩალეს. იგი უპირისპირდებოდა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იმ საუკეთესო ტრადიციებს, რომელიც დაუცხრომელი მოღვაწეობით დაამკვიდრეს ბოლშევიკებმა და რაც ვ. ი. ლენინს ეროვნული საკითხის სოციალისტურ გადაწყვეტად მიაჩნდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციის ეპოქაში, როცა დღის წესრიგში პრაქტიკულად იდგა არა მარტო ცარიზმის დამხობისა, არამედ სოციალისტური რევოლუციის განხორციელების ამოცანაც, სოციალისტ-ფედერალისტთა პროგრამა მთლიანად აღებული, უკვე დრომოჭმული იყო. იგი ეროვნულ ავტონომიას ითვალისწინებდა ბურჟუაზიული რუსეთის ფარგლებში, ხოლო მისი წვრილბურჟუაზიული (უტოპიური) სოციალიზმი მხოლოდ მოდური ფრაზად, შორეული მომავლის მოვლენად მოჩანდა ეკლექტიკურად შეკოწიწებულ და ბუნდოვან პროგრამაში.

აი რატომ იყო, რომ ბოლშევიკები სოციალისტ-ფედერალისტების პროგრამული დებულებების წინააღმდეგ პირველი რევოლუციის მთელ მანძილზე შეუპოვარ ბრძოლას ეწეოდნენ. ბოლშევიკები ამ ბრძოლაში ფედერალისტებთან ერთად საკადრის პასუხს აძლევდნენ ქართველი თავადაზნაურობის, სამღვდელოების იმ მესვეურებს, რომლებსაც რევოლუციის ძირითადი გეზის შებრუნება და ეროვნულ ავტონომიამდე დაყვანა ეწადათ. ბოლშევიკები ამ ბრძოლაში თვალს უხელდნენ აგრეთვე ნამდვილ არსში ჯერ კიდევ გაურკვეველ წვრილბურჟუაზიულ ინტელიგენციას, რომელსაც მართლაც აწუხებდა ეროვნული ჩაგვრის სიმძიმე, მაგრამ ნათელი წარმოდგენა არ ჰქონდა იმის შესახებ, თუ რა გზით იყო შესაძლებელი ეროვნული ჩაგვრის ლიკვიდაცია. ამ ბრძოლაში ბოლშევიკები კიდევ უფრო ამჭიდროებდნენ ამიერკავკასიის რევოლუციური მასების საბრძოლო რიგებს.

ჩვენ აქ არაფერს ვამბობთ ქართველი ანარქისტების, ან ეროვნული დემოკრატების შესახებ. რევოლუციის წლებში მათ თითო-ოროლა მიმდევარი ჰყავდათ და ორგანიზაციულად გაფორმებაც არ მოუსწრიათ. მით უმეტეს, რომ ამ პარტიების პროგრამა და საქმიანობა კარგადაა გაშუქებული ქართულ ისტორიულ-პარტიულ ლიტერატურაში[1].

საქართველოს ბოლშევიკების პრინციპული, შეურიგებელი ბრძოლა

---

[1] ლ. გორგილაძე, იდეოლოგიური ბრძოლის ისტორიიდან საქართველოში, 1963; გ. ჯანგველაძე, საქართველოს კომუნისტური პარტიის ბრძოლა ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიების იდეური და ორგანიზაციული განადგურებისათვის; ე. ახობაძე, ეროვნული საკითხის ისტორიისათვის საქართველოში, 1966.

წვრილბურჟუაზიული პარტიების წინააღმდეგ არ ნიშნავს იმას, რომ პრაქტიკულ რევოლუციურ მოღვაწეობაში ისინი სხვადასხვა ბანაკში იყვნენ და ერთმანეთს ებრძოდნენ ისევე, როგორც შეურიგებელი, ანტაგონისტურად დაპირისპირებული კლასობრივი მტრები. აქ ჩვენ ერთხელ კიდევ ვიხსენებთ მემარცხენე ბლოკის ტაქტიკას, რომელსაც ბოლშევიკური პარტიის III ყრილობის გადაწყვეტილებებიდან მომდინარეობდა. დემოკრატიული რევოლუციისათვის საერთო ბრძოლაში ეს ტაქტიკა ბოლშევიკებს ავალებდა გაერთიანებინა ოპოზიციური და რევოლუციურ-დემოკრატიული მიმდინარეობანი. ვ. ი. ლენინი ჯერ კიდევ პირველი რევოლუციის წინ ბოლშევიკებს რჩევას აძლევდა „მხარი დავუჭიროთ ყოველგვარ ლიბერალურ და დემოკრატიულ პროტესტს... ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა, — ჩავერიოთ ყოველგვარ ლიბერალურ საკითხში, განვსაზღვროთ ჩვენი, სოციალ-დემოკრატიული, დამოკიდებულება მისდამი, მივიღოთ ზომები იმისათვის, რომ პროლეტარიატი აქტიურად მონაწილეობდეს ამ საკითხის გადაჭრაში და ეცადოს მისებურად გადაჭრან იგი“[1].

სოციალისტ-ფედერალისტებთან, ისე როგორც სხვა წვრილბურჟუაზიულ პარტიებთან ბლოკს საქართველოს ბოლშევიკები იმისათვის იყენებდნენ, რომ ფართო მასებისათვის ნათელი გაეხადათ რუსეთის ცარიზმის დრომოჭმულობა, რეაქციულობა, მისი დამხობის აუცილებლობა. ეს ბლოკი მათ სჭირდებოდათ საგაფიცვო ბრძოლაში მეტი მასობრიობისათვის. ამ ბლოკს საგანგებო მნიშვნელობა ენიჭებოდა აგრეთვე ამიერკავკასიის კონკრეტულ ვითარებაში, როცა ცარიზმმა, რევოლუციური ერთიანობის შენელების მიზნით მიმართა აზერბაიჯანელი, სომეხი და ქართველი ხალხების წაკიდების ვერაგულ პოლიტიკას.

1905 წლის დასაწყისში, როცა ცარიზმმა ამიერკავკასიაში სომეხთათართა ურთიერთ წასისიანებისა და ჟლეტის კომპანია წამოიწყო, რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი სათავეში ჩაუდგა ამ ვერაგული კომპანიის აღკვეთის კეთილშობილურ საქმეს და ამ ღონისძიებაში მან ჩაბა ამიერკავკასიის რევოლუციური და ოპოზიციური პარტიები. 1905 წლის 12 თებერვალს გამოვიდა საგანგებო მოწოდება „ამიერკავკასიის ყველა ხალხს“, სადაც ხაზგასმული იყო საერთო მტრის — თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ამიერკავკასიის ხალხთა ძმობისა და საბრძოლო

---

1 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 5, გვ: 423—424.

სოლიდარობის აუცილებლობა. ამ მოწოდებას ხელს აწერდნენ რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი, „ჰნჩაკის“ თბილისის კომიტეტი, სოციალისტ-ფედერალისტების (საქართველოისტების) თბილისის კომიტეტი, სოციალისტ-რევოლუციონერების თბილისის კომიტეტი, „დაშნაკცუთუნის“ ამიერკავკასიის კომიტეტი[1]. მკვლევარი გ. გალოიანი მართებულად შენიშნავს, — „დაშნაკცუთუნის“ ხელმოწერა ამ დოკუმენტზე არ ნიშნავს, რომ ამიერიდან იგი ნაციონალისტურ მიმართულებას უარყოფდა და მუშათა რევოლუციური მოძრაობის მესვეური ხდებოდა. რაც შეეხება ესერებს, გნჩაკისტებს, სოციალისტ-ფედერალისტებს, მათი ხელმოწერაც უნდა შევაფასოთ „როგორც ტაქტიკური მანევრი, როგორც საშუალება იმისა, რათა შეენარჩუნებინათ მუშურ-გლეხურ მასებზე თავიანთი შერყეული ზეგავლენა[2].

იმავე წლის ნოემბერში რსდმპ კავკასიის კავშირის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტმა ქუთაისის სტამბაში დაბეჭდა და მემარცხენე პარტიებთან საერთო ხელმოწერით გამოსცა პროკლამაცია, რომელიც საქართველოს მშრომელ მასებს საბრძოლო დარაზმულობისაკენ და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლისაკენ მოუწოდებდა. ამ პროკლამაციას ხელს აწერდნენ რსდმპ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი, ესერთა პარტიის ქუთაისის კომიტეტი, „დაშნაკცუთუნის“ პარტია საქართველოში, ქუთაისელი ანარქისტები[3].

სოციალისტ-ფედერალისტები რევოლუციურ სოციალ-დემოკრატებთან ერთად მონაწილეობდნენ მუშათა გაფიცვებსა და დემონსტრაციებში, შედიოდნენ იმ საგაფიცვო ბიუროებში, რომლებიც დგებოდა სოციალ-დემოკრატ ბოლშევიკთა მეთაურობით. აღსანიშნავია ერთი გარემოებაც: სოციალ-ფედერალისტურ პარტიას რევოლუციის აღმავლობის პერიოდში მიეკედლა დემოკრატიული სულისკვეთებით გამსჭვალული და ექსპლოატირებული მასების გულწრფელი მოსარჩლე ბევრი ქართველი ინტელიგენტი, რომელსაც ეგონა, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტია ეროვნული ნიჰილიზმით იყო დაავადებული და ქართველი ერის ტკივილებზე მხოლოდ ფედერალისტური პარტია ზრუნავდა. ამ ინტელიგენტებს შორის ბევრი თვალსაჩინო საზოგადო ბოღვაწე იყო, ბევრი უშიშარი ახალგაზრდა, განსაკუთრებით სტუდენ-

---

1 Г. А. Галоян. Рабочее движение и национальный вопрос в Закавказье 1900—1922. Ер., 1969, с. 78—79.

2 იქვე, გვ. 80.

3 ლ. ებანოიძე, საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები 1905—1907 წლების რევოლუციის პერიოდში, გვ. 389.

ტთა რიგებიდან, რომლებიც თავგანწირულად იბრძოდნენ პროლეტარიატისა და გლეხობის რიგებში. რიგ რაიონებში სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის წევრები წითელ რაზმებში მონაწილეობდნენ, იძენდნენ იარაღს ფარულად და ამზადებდნენ რაზმებს საბარიკადო ბრძოლებისათვის. ცნობილია, რომ თედო სახოკია, რომელიც სოციალისტ-ფედერალისტების პარტიას ეკუთვნოდა, ერთ-ერთი თაოსანი იყო საზღვარგარეთ იარაღის ფარული შეძენისა. ეს იარაღი საქართველოში ცარიზმის წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყებისათვის იყო განკუთვნილი.

უნდა შევნიშნოთ, რომ ბოლშევიკების ბლოკი წვრილბურჟუაზიულ პარტიებთან ტაქტიკის სფეროებს შეეხებოდა და თავისთავად ყოველთვის გულისხმობდა იდეურ ბრძოლას მათს წინააღმდეგ. იდეურ პრინციპულ საკითხებში ბოლშევიკები არსად არაფერს უთმობდნენ არც მენშევიკებს, არც ესერებსა და ფედერალისტებს, ყოველ ნაბიჯზე, ყველა შემთხვევაში ამხეურებდნენ მათ არათანამიმდევრულობას, მერყეობას, ბურჟუაზიასთან შემთანხმებლობას, მათ ეროვნულ-სოციალური პროგრამის უტოპიურობასა და შეუთავსებლობას მშრომელი მასების ჭეშმარიტ რევოლუციურ ინტერესებთან.

დამახასიათებელია ისიც, რომ რევოლუციის აღმავლობის პერიოდში წვრილბურჟუაზიულ პარტიებს თვითვე ახასიათებდათ დიდი ლტოლვა რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიასთან ბლოკისაკენ, დარწმუნებული იმაში, რომ პროლეტარიატი და გლეხობა ამ პარტიის დროშის ქვეშ ირაზმებოდა, წვრილბურჟუაზიული პარტიები მასებზე გავლენის შენარჩუნების თვალსაზრისით საჭიროდ თვლიდნენ სოციალ-დემოკრატიასთან ბლოკში ემუშავათ. მაგრამ იმ დროიდან, როცა რევოლუციის დაღმავლობა დაიწყო, მისი დამარცხება ნათელი გახდა, წვრილბურჟუაზიული პარტიები, როგორც ცნობილია, სოციალ-დემოკრატებს განუდგნენ და მტრული პოზიციიდან მიჰყვეს ხელი მათ ლანძღვას, მათ მიერ აღებული კურსის დაგმობა-შეგინებას.

•

რუსეთის პირველი რევოლუციის აზვირთება 1905 წლის 9 იანვრის სისხლიან ტრაგედიას უკავშირდება. ცარიზმის ჯალათობამ რუსეთის იმპერიის მუშათა კლასი და გლეხობა უკიდურესად აღაშფოთა და იმის შეგნებამდე მიიყვანა, რომ დრომოჭმული და რეაქციული რეჟიმის დამხობა მხოლოდ ძლევამოსილი რევოლუციური იერიშებით შეიძლებოდა.

9 იანვრის ამბებს, ისევე როგორც ყველგან, საქართველოსა და ამიერკავკასიაშიც მშრომელი მასები მრისხანე პროტესტითა და საბრძოლო განწყობილებით გამოეხმაურნენ. 18 იანვარს დაიწყო თბილისის სამრეწველო საწარმოთა საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა. თბილისს მხარი დაუჭირა ბათუმის პროლეტარიატმა. საგაფიცვო მოძრაობაში ჩაებნენ ჭიათურის, ქუთაისის საწარმოთა მუშები. იანვრის მეორე ნახევრის საგაფიცვო ბრძოლას მთელ ამიერკავკასიაში ინტერნაციონალური სოლიდარობა, მიზნის სიცხადე და პოლიტიკური მგზნებარება ახასიათებდა.

საქართველოს პროლეტარიატის საგაფიცვო ბრძოლა მხარს უმშვენებდა და ამხნევებდა საქართველოს სოფლებში აზვირთებულ აგრარულ მოძრაობას. საქართველოს რიგ რაიონებში აგრარული მოძრაობა ჯერ კიდევ რევოლუციის დაწყებამდე იყო გაჩაღებული. 1905 წლის დამდეგიდან მას უფრო სისტემატური და გამოკვეთილი პოლიტიკური ხასიათი მიეცა. განსაკუთრებით ისახელა თავი გურიის გლეხობამ. ბოლშევიკური გაზეთი „ვპერიოდი" გურიის გლეხთა გამოსვლებს ახასიათებდა როგორც „სავსებით შეგნებულ პოლიტიკურ მოძრაობას, მთლიანად შერწყმულს მთელი რუსეთის პროლეტარიატის შეგნებულ მოძრაობასთან"[1]. გურიას მალე მხარი გაუსწორეს იმერეთ-სამეგრელოს, ქართლისა და კახეთის სოფლის მშრომელებმა, საქართველოში დაინთო გლეხთა რევოლუციური ხანძარი, რომელმაც, როგორც ცნობილია, მთელი იმპერიის რევოლუციური ძალების მხურვალე მოწონება და მხარდაჭერა დაიმსახურა.

საქართველოს მუშათა კლასისა და გლეხობის რევოლუციურმა შემართებამ გაიყოლია საქართველოს დემოკრატიული ინტელიგენცია. ქართველი სტუდენტობა, მოსწავლეები და მასწავლებლობა, მოსამსახურეები და შემოქმედებითი ინტელიგენცია ფეხზე დადგა, მხარი აუბა რევოლუციას, გამოავლინა მაღალი საბრძოლო ენთუზიაზმი.

რევოლუციის დაწყებისთანავე უჩვეულო საბრძოლო ენთუზიაზმი გამოიჩინეს მოსწავლეებმა. იანვრის მეორე ნახევარში საქართველოს დედაქალაქსა და სამაზრო ცენტრებში ერთდროულად დაიწყო მოსწავლეთა მღელვარება. თბილისის პირველი გიმნაზიისა და რეალური სასწავლებლის მოსწავლეთა თაოსნობას დედაქალაქის ყველა სასწავლებელი გამოეხმაურა. მოსწავლეები რევოლუციური ლოზუნგებით გამოვიდნენ ქუჩაში, მოითხოვეს რეაქციონერ მასწავლებელთა გაძევება

[1] Газ. «Вперед», 12 апреля 1905 г.

სასწავლებლებიდან. ქუთაისის მოსწავლეები დაუყოვნებლივ გამოეხმაურნენ 19 იანვარს დაწყებულ მუშათა გაფიცვას. მოსწავლეთა მიტინგებზე საბრძოლო ლოზუნგები მოითხოვდნენ თვითმპყრობელობის დამხობას. გუბერნატორის განკარგულებით სკოლები იმავე დღეს დაკეტეს. სკოლის დახურვამ მღელვარება კიდევ უფრო გააძლიერა. თებერვლის დასაწყისში იგი მოსწავლეთა პოლიტიკურ დემონსტრაციებში გადაიზარდა. სისტემატური ხასიათი მიიღო შეტაკებამ კაზაკთა რაზმებთან. ქუთაისელ მოსწავლეთა გამოსვლებში აქტიურად მონაწილეობდა ვლადიმერ მაიაკოვსკი. კაზაკები მათრახებით მცემდნენ სხვებთან ერთად. ეს იყო ჩემი პირველი საბრძოლო ნათლობა, როგორც რევოლუციონერისა და აგიტატორისა, — იგონებს გამოჩენილი საბჭოთა პოეტი.

რევოლუციური განწყობილება ერთბაშად დაეუფლა ბათუმელ მოსწავლეებსაც. 27 იანვარს დაიწყო ვაჟთა გიმნაზიის მოსწავლეთა გამოსვლა. მათ სკოლიდან ეზოში გამოიტანეს და ნაფლეთებად აქციეს იმპერატორის პორტრეტი. მოხდა კაზაკთა ნაწილებთან შეტაკება, რომლის დროსაც რამდენიმე გიმნაზიელი დაიჭრა. ვაჟთა გიმნაზიას მხარში ამოუდგნენ ქალთა გიმნაზიის მოსწავლეები[1]. მოსწავლეთა გამოსვლები დაიწყო სოხუმში, გორის, თელავის, სამტრედიის, ფოთის, ოზურგეთის, ხონის სასწავლებლებში. მალე იგი საყოველთაო მოვლენად იქცა.

რსდმპ კავკასიის კავშირის თბილისის კომიტეტის სტამბაში დაიბეჭდა და მასობრივად გავრცელდა თბილისის საშუალო სასწავლებლების მოსწავლეთა მოთხოვნები[2]. ბათუმის სტამბაში დაიბეჭდა ვაჟთა გიმნაზიის მოსწავლეთა მოთხოვნები[3]. პროკლამაციად გამოქვეყნდა ბაქოელი მასწავლებლის მ. ვასილიევის წერილი, რომელიც აქეზებდა ამიერკავკასიის მოსწავლეთა რევოლუციურ მგზნებარებას[4]. რევოლუციურმა სოციალ-დემოკრატიამ მაშინვე აუღო ალღო მოსწავლეთა რევოლუციური განწყობილების მნიშვნელობას და დაიწყო ზრუნვა, რომ მასში ორგანიზებულობა შეეტანა, წარემართა იგი რევოლუციის საერთო ინტერესების შიმართულებით. თებერვალში მოსწაელეთა რევოლუციურმა მღელვარებამ უფრო მასობრივი და ორგანიზებული ხასიათი მიიღო. მოსწავლეები თავიანთ მოქმედებას უთანხმებდნენ ადგილობრივ

---

[1] რსდმპ კავკასიის კავშირის პროკლამაციები (1903—1905 წწ.), გვ. 304.
[2] იქვე, გვ. 312.
[3] იქვე, გვ. 313.
[4] იქვე, გვ. 309—311.

რევოლუციურ ძალებს. ისინი გაფიცულ მუშებთან მხარდამხარ გამოდიოდნენ, ხოლო ზოგჯერ, როცა საქმე მთავრობის ნაწილებთან შეიარაღებულ შეტაკებამდე მიდიოდა, მუშებთან ერთად ბარიკადებზე იდგნენ და იარაღით ხელში იბრძოდნენ თავისუფლებისათვის. დამახასიათებელია ამ მხრივ 14 თებერვლის პოლიტიკური დემონსტრაცია ქუთაისში. ამ გამოსვლაში ქალაქის მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობდნენ. ისინი შეიარაღებულნი გამოვიდნენ ქუჩაში. პოლიცია დაერია მოსწავლეებს და 70 დააპატიმრა. შეტაკება სისხლიანი იყო. დაჭრილთა შორის მრავალი მოსწავლე იყო, რომელნიც უფროსთა გვერდით თავგამოდებით იბრძოდნენ[1]. ქუთაისელ მოსწავლეთა საბრძოლო მოწოდებაა, რომელიც რსდმპ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტმა დაბეჭდა თავის არალეგალურ სტამბაში, იმის ნათელი მოწმობაა, რომ მოსწავლეთა რევოლუციურ გამოსვლებს ბოლშევიკები სწორი გზით წარმართავდნენ და რევოლუციის საერთო ინტერესებს უქვემდებარებდნენ. „ვწყვეტთ რა მეცადინეობას, რევოლუციური ბრძოლის დასრულებამდე, — ნათქვამია ამ პროკლამაციაში, — ჩვენ ხმას ვუერთებთ მებრძოლი რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ხმას, პარტიისა, რომელიც თავის უახლეს ამოცანად ისახავს მეფის თვითმპყრობელობის შეცვლას დემოკრატიული რესპუბლიკით და კონსტიტუციით, რომელიც კერძოდ ჩვენთვის, მოსწავლეთათვის უზრუნველყოფს:

1. პიროვნებისა და ბინის ხელუხლებლობას; 2. სინდისის, სიტყვის, პარტიის, კრებებისა და კავშირების თავისუფლებას; 3. მოსწავლეთა სრულ თანასწორუფლებიანობას ასაკის, რელიგიის, რასისა და ეროვნების განურჩევლად; 4. საყოველთაო უფასო და სავალდებულო განათლებას ორივე სქესის ბავშვებისათვის, 5. ღარიბ ბავშვთა მომარაგებას საჭმლით, ტანსაცმლითა და სახელმძღვანელოებით სახელმწიფოს ხარჯზე, 6. სკოლის გამოყოფას ეკლესიისაგან, 7. ყველა სასწავლებელში დედა-ენის შემოღებას სახელმწიფო ენის თანაბრად"[2]. პროკლამაციის ეს ტექსტი, როგორც მკვლევარი ი. მელქაძე მიუთითებს, შედგენილ იქნა რსდმპ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის წარმომადგენელთა დახმარებით[3]. მართებულად შენიშნავს პროფ. ე. ახობაძე, რომ რევოლუციის დასაწყისიდანვე „მოსწავლე ახალგაზრდობა გვერდში ამოუდგა მუშებს და გლეხებს ქვეყნის დემოკრატიზაციისათვის

---

[1] ჟურნ. „მოგზაური", № 2, 1905.

[2] ი ლ ი ა მ ე ლ ქ ა ძ ე, რსდმპ კავკასიის კავშირის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი, 1934, გვ. 101—102.

[3] ი ქ ვ ე ე, გვ. 100.

ბრძოლაში. თავის მხრივ, მუშები და გლეხები უდიდეს გულისხმიერებას იჩენდნენ მოსწავლეებისადმი. მათი რევოლუციური მოთხოვნების ბევრი პუნქტი უშუალოდ ეხებოდა მოსწავლე ახალგაზრდობას[1]. მოსწავლეთა ერთსულოვანი აღშფოთებით არსებული რეჟიმისა და სწავლების დამყაყებული სისტემის წინააღმდეგ დიდად კმაყოფილი იყო ქართველი დემოკრატიული ინტელიგენცია და ამ ბრძოლას იგი დიდი იმედითა და სასოებით შეჰყურებდა. გაზ. „ივერია" მოწონებით იხსენიებდა საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის ერთსულოვან გამოსვლებს, ტრიბუნას უთმობდა ახალგაზრდებს, რომლებიც თავის გულისტკივილს დასაბუთებას აძლევდნენ. „ებლანდელი სასწავლებელი, — აღნიშნავდა გაზეთი, — იმის მაგიერ, რომ განათლებული და ზნეამაღლებული ადამიანები გამოგვიყვანოს, გვაჩლუნგებს, გეხდის საზოგადოებისათვის გამოუსადეგარ, მავნე კაცებად. ჩვენც მოსწავლეები ვუერთდებით და მხარს ვაძლევთ უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლებს, ჩვენც მათთან ერთად ვადგენთ მოთხოვნებს, ჩვენ ვთხოულობთ ისეთი ტიპის სკოლას, რომელსაც შეეძლება ახალგაზრდობის საუკეთესოდ მომზადება და მისი ამაღლება როგორც ზნეობრივად, ისე გონებრივად"[2].

დემოკრატიული ინტელიგენციიდან რევოლუციის ყველაზე აქტიური, ყველაზე მგრძნობიარე და შემართებული მონაწილე იყო სტუდენტობა.

რევოლუციის დაწყების დღეებში პეტერბურგის 14 უმაღლეს სასწავლებელში არსებობდა სოციალ-დემოკრატიული ჯგუფები, რომლებშიც 100 სტუდენტი შედიოდა. 500-ზე მეტი სტუდენტი გაერთიანებული იყო წრეებში, რომლებსაც რევოლუციური სოციალ-დემოკრატები ხელმძღვანელობდნენ. რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის გავლენა დიდი იყო სტუდენტობაზე, აგრეთვე მოსკოვის, ოდესის, ხარკოვის, კიევის, ყაზანის, ბალტიისპირეთის და სხვ. უმაღლეს სასწავლებლებში.

ამ სასწავლებლებში მოსწავლე ქართველი ახალგაზრდები რევოლუციის მთელ პერიოდში სტუდენტური გამოსვლების ავანგარდში იდგნენ.

---

1 ერასტი ახობაძე. ქართველი დემოკრატიული ინტელიგენცია და რევოლუციური მოძრაობა საქართველოში, 1977, გვ. 109.

2 გაზ. „ივერია", № 43, 1905.

მოსკოვის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა ჯგუფი, რომელმაც 9 იანვრის სისხლიანი ტრაგედია მტკივნეულად განიცადა, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტის ნ. ჩიგოგიძის ხელმძღვანელობით აქტიურად მონაწილეობდა საპროტესტო კრებებსა და დემონსტრაციებში, ემზადებოდა პეტერბურგში გასამგზავრებლად, რომ იქაურ მუშათა დემონსტრაციას დახმარებოდა[1].

მოსკოვში შეიქმნა ქართველი ახალგაზრდების შეიარაღებული რაზმი, რომელიც რსდმპ მოსკოვის კომიტეტის დავალებით მოქმედებდა კონტრრევოლუციური ძალების წინააღმდეგ და იცავდა მოწინავე რევოლუციურ ინტელიგენციას. მ. გორკი წერს, რომ 1905 წლის ნოემბერ-დეკემბერში ჩემს ბინაში, მოხოვოისა და ვოზდვიჟენსკის კუთხის სახლში ცხოვრობდა ქართველთა საბრძოლო რაზმი 12 კაცის შემადგენლობით. ეს რაზმი ლ. ბ. კრასინის მიერ იყო ჩამოყალიბებული და ექვემდებარებოდა კომიტეტს, რომელიც მოსკოვში მუშათა რევოლუციურ მოძრაობას ხელმძღვანელობდა. ამ ჯგუფის ხელმძღვანელი იყო ვასო არაბიძე — ენერგიული, მომთხოვნი და გმირულად განწყობილი რევოლუციონერი[2].

ცნობილი ქართველი რეჟისორი ალ. წუწუნავა სწორედ იმ პერიოდში ჩავიდა მოსკოვში ვ. გუნიას სარეკომენდაციო წერილით ალ. სუმბათაშვილ-იუჟინთან, რათა სამხატვრო თეატრის სტუდიაში შესულიყო. მოსკოვში დაბინავებისთანავე იგი შეხვედრია ვასო არაბიძეს, რომელსაც მისთვის წინადადება მიუცია შესულიყო საბრძოლო დრუჟინაში, რომელიც შექმნილი იყო მოსკოვის ბოლშევიკური ორგანიზაციის დავალებით. ეს რაზმი ამ დროს იცავდა მაქსიმ გორკის, რომელსაც შავრაზმელები სიკვდილით ემუქრებოდნენ. ალ. წუწუნავა, რომელიც სახელგანოქმულ რუს მწერალს თაყვანს სცემდა, სიამოვნებით დათანხმდა გორკის დასაცავად შეიარაღებულიყო. იგი არაბიძეს გაჰყვა გორკის ბინაზე. აქ გაეცნო იგი მაქსიმ გორკის. ამ რაზმს მრავალი საგმირო საქმე აქვს შესრულებული. როცა 1905 წ. ოქტომბერში შავრაზმელებმა მოკლეს გამოჩენილი რევოლუციონერი ბაუმანი, მისი გასვენების უშიშროება ქართველი სტუდენტების ამ რაზმმა იკისრა. პროცესიას თავს დაესხნენ ხულიგნები და კაზაკები. სტუდენტებიდან მრავალი დაიჭრა. შავრაზმელ-

---

1 И. Татишвили, Т. Деканосидзе, Московский университет и Грузинская молодежь, 1960, с. 329—330.

2 М. Горький, Собрание сочинений в тридцати томах, т. 17, 1952, с. 335.

თა ბანდა ქართველმა რაზმელებმა გაფანტეს, მათვე უპატრონეს დაჭრილებს[1]. აღსანიშნავია ისიც, რომ ბაუმანის სამგლოვიარო პროცესიას მოსკოვში წინ მიუძღოდა წითელი დროშით ხელში ქართველი სტუდენტი ქალი ბ. როსტომაშვილი.

ქართველი სტუდენტობა აქტიურად მონაწილეობდა ოდესის რევოლუციურ ცხოვრებაში. „სოციალ-დემოკრატი სტუდენტები, — შენიშნავს მკვლევარი ი. პორტნოი, — მათ შორის ქართველებიც, მუშაობდნენ ოდესის ბოლშევიკური კომიტეტის ხელმძღვანელობით, რომელიც კომუნისტური პარტიის ერთ-ერთ მოწინავე რაზმს წარმოადგენდა. მათ მჭიდრო კავშირი დაამყარეს მუშებთან გაერთიანებული პოლიტიკური დემონსტრაციის მოსაწყობად. ამის შესახებ შეიტყო ოხრანკამ და 1905 წლის 23 იანვარს ღამით გაფიცვისა და დემონსტრაციის, პეტერბურგში მეფის სისხლიანი ბოროტმოქმედების წინააღმდეგ პროტესტის, მომწყობი სტუდენტები დააპატიმრა და ციხეში მოათავსა. ბევრ დაპატიმრებულ სტუდენტს უპოვეს ფრ. ენგელსისა და ვ. ი. ლენინის ბროშურები"[2].

ოქტომბრის საყოველთაო გაფიცვის პერიოდში ოდესაში ქართველი სტუდენტები მანიფესტაციებისა და საბარიკადო შეტაკებების მოწინავე უბანზე იდგნენ. ოდესის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტი ა. ბაირამაშვილი უნივერსიტეტის სტუდენტთა საბრძოლო რაზმის შეიარაღებას ხელმძღვანელობდა. ვ. ი. ლენინის თანამებრძოლის ს. ი. გუსევის მოგონებაში ნათქვამია, რომ ოდესელ შავრაზმელებთან და მათ მფარველ ჯართან შეიარაღებულ ბრძოლებში გმირულად მოქმედებდნენ ქართველი სტუდენტები.

ოდესის დაცვისათვის ბრძოლაში გმირულად დაიღუპა სტუდენტი ექვთიმე მუჯირი, რომელიც რევოლუციის მთელ მანძილზე წითელ რაზმს ხელმძღვანელობდა და იმდენად სახელმოხვეჭილი იყო გმირობისა და მამაცობის გამო, რომ რსდმპ ოდესის კომიტეტი ყველაზე საპასუხისმგებლო უბნებზე გზავნიდა.

შავრაზმელთა მიერ ებრაელების მორიგი დარბევის დროს 1905 წლის ნოემბერში ოდესაში დაიღუპა ოდესის უნივერსიტეტის ლაბორანტი ალექსანდრე (საბა) კლდიაშვილი; იგი მიეშველა ებრაელებს, რომლებიც

---

[1] დავით კასრაძე. ლიტერატურული პორტრეტები, 1962, გვ. 230—233.

[2] ი. ლ. პორტნოი. მშრომელი ქართველები 1905 წლის რევოლუციურ ბრძოლებში ოდესაში. 1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში, სტატიების კრებული. 1955, გვ. 464.

მის მეზობლად ცხოვრობდნენ და ამ რბევის მსხვერპლნი გახდნენ. ს. კლდიაშვილი ქართველმა სტუდენტებმა საქართველოში ჩამოასვენეს. ოდესაში მისი ცხედრის გაცილება გრანდიოზულ პოლიტიკურ დემონსტრაციად იქცა. ს. კლდიაშვილის ცხედარს ბათუმის ნავსადგურში მოეწყეს დიდი შეხვედრა. ეს შეხვედრა აგრეთვე გრანდიოზულ პოლიტიკურ დემონსტრაციაში გადაიზარდა, რაშიც მთელი ქალაქი იღებდა მონაწილეობას. რევოლუციის უდანაშაულო მსხვერპლი ს. კლდიაშვილი მშობლიურ სოფელში — სიმონეთში გაასვენეს. ყველა სარკინიგზო სადგურზე ეწყობოდა მიტინგები. დაკრძალვა დიდი პოლიტიკური კამპანიის ხასიათს ატარებდა.

ოდესის მუშათა დეპუტატების საბჭოში, რომელიც მთელ ქალაქში ნოემბერ-დეკემბერში შეიარაღებულ აჯანყებას ხელმძღვანელობდა, 3 ქართველი ახალგაზრდა მონაწილეობდა, ხოლო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე იყო ვ. შავდია (გადაასახლეს ციმბირში. გაიქცა საზღვარგარეთ, სადაც 1912 წ. გარდაიცვალა)[1].

ქართველმა სტუდენტებმა სახელოვანი ფურცლები ჩაწერეს პეტერბურგის, ტარტუს, ყაზანის, კიევის უნივერსიტეტებისა და სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა რევოლუციურ მოძრაობაში. პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტობის უმრავლესობა რევოლუციის დაწყებიდან დამარცხებამდე აქტიურად მონაწილეობდა ყველა რევოლუციურ ღონისძიებაში. სტუდენტთა ერთი ჯგუფი დაკავშირებული იყო არალეგალურ სტამბასთან, რომელიც მოსკოვში მოაწყეს ა. ენუქიძემ, ს. თოდრიამ, გ. სტურუამ და სხვებმა[2]. ამ სტამბაში დაბეჭდილი ბოლშევიკური გაზეთები მათი მეშვეობით ვრცელდებოდა პეტერბურგის უნივერსიტეტსა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

დეკემბრის შეიარაღებულ აჯანყებაში მოსკოვში, პეტერბურგში მონაწილეობდა მრავალი ქართველი სტუდენტი, რომლებმაც გასაოცარი გმირობა უჩვენეს და თავი დასდეს რევოლუციის საქმისათვის. დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების აქტიური მონაწილე იყო პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიის სტუდენტი — მამია ორახელაშვილი. მან ამ ბრძოლების შესახებ გაზეთ „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკისათვის“ დაწერა მგზნებარე სტატია, რომელიც ავლაბრის არალეგალური ბოლ-

---

1 ი. პ ო რ ტ ნ ო ი. დასახ. ნაშრომი, გვ. 472—473.

2 ა. ე ნ უ ქ ი ძ ე. რსდმპ არალეგალური სტამბა; ს. თ ო დ რ ი ა, ალიონიდან გათენებამდე, ჟურნ. „რევოლუციის მატიანე“, № 5, 1923.

შევიკური სტამბის დარბევის შემდეგ ხელში ჩაუვარდათ ყაზდარმებს. ამ სტატიის საფუძველზე მ. ორახელაშვილი დააპატიმრეს[1].

აქტიურობით ხასიათდებოდა ტარტუს უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა რევოლუციური საქმიანობაც[2].

რა თქმა უნდა, ყველა ქართველი სტუდენტი რევოლუციის ერთნაირი ენთუზიასტი არ ყოფილა. მცირე ჯგუფი მაღალი სოციალური ფენის ქართველი სტუდენტობისა განზე იდგა მღელვარე მოვლენებისაგან; სხვადასხვა სოციალური ფენის ქართველ სტუდენტებში შეიმჩნეოდა განხეთქილება, პარტიობა, ურთიერთშორის კინკლაობა და სხვ. ჟურნ. „მოგზაური" ყურადღებას ამახვილებდა რა ქართველ სტუდენტთა შინაგან განხეთქილებაზე, წერდა: „ქართველი სტუდენტობა თითქმის ყველა საუნივერსიტეტო ქალაქებში სრულიად არ წარმოადგენს ერთგვარ მასას, იგი დაყოფილია სხვადასხვა ჯგუფებად, ემხრობა ამა თუ იმ საზოგადოებრივ მიმდინარეობას de jure თუ de facto ებღაუჭება საზოგადოდ შემუშავებულ ამა თუ იმ პროგრამას. ქართველი სტუდენტების ჯგუფური დაყოფა და მოქმედება ხშირად იწვევს ყველგან პატარ-პატარა შეტაკებებს და განხეთქილებებს".

„მოგზაური" იმასაც აღნიშნავდა, რომ ეს არაა სამწუხარო, როგორც ზოგიერთ გაზეთს ეჩვენება. პირიქით, ამ დაჯგუფებებში ჩანს სტუდენტთა თვითგამორკვევის აქტიური პროცესი[3].

სტუდენტთა თავადაზნაურული ზედაფენის უპრინციპო კინკლაობის საფუძველზე მოხდა გათიშვა პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა სათვისტომოში. ამ გათიშვას რუსეთშიც, ჩვენშიც მრავალი გაზეთი გამოეხმაურა. გათიშული ჯგუფების წარმომადგენლებმა სამედიატორო სასამართლო მოითხოვეს. სასამართლო პროცესი ჩატარდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ცნობილი პროფესორის კარეევის თავმჯდომარეობით. ე. ტარლეს, მ. ვინარეევის, ა. ნოვიკოვის, ს. იურიცინის შემადგენლობით. ჟურნალ „მოგზაურის" ფურცლებზე დაბეჭდილია სამედიატორო სასამართლოს განაჩენი, საიდანაც ჩანს, რომ მთელი ეს განხეთქილება აღმოცენებულია უბრალო წაკინკლაევების გამო. განხეთქილების მოთავენი თავადაზნაურული კლასის წარმომადგენლებია. ჩანს, რევოლუციის ამ მშფოთვარე დღეებში მათ გაუჭირ-

---

1 ს. კვაჭაძე, მამია ორახელაშვილი, 1965, გვ. 9.

2 მ. გაჩეჩილაძე, ქართველ სტუდენტთა სათვისტომო იურიევში, 1897—1911 წწ. ჟურნ. „ხელოვნება", № 12, გვ. 1971.

3 ჟურნ. „მოგზაური", № 4, 1905, გვ. 37—38.

დათ სამოქმედო გზის არჩევა. დიადი მიზნისაგან განზე გადგომამ ისინი ობივატელური ჰორიკანობის ჭაობამდე მიიყვანა.

პეტერბურგელი დემოკრატი მეცნიერის პ. ფ. ლესგაფტის უმაღლესი კურსები რევოლუციის მთელ მანძილზე ბოლშევიზმის ერთ-ერთ ბასტიონს წარმოადგენდა. აქ ხშირად ეწყობოდა პეტერბურგის მუშათა დეპუტატების საბჭოს სხდომები, ბოლშევიკური ორგანიზაციის პეტერბურგის კომიტეტის თათბირები, შეხვედრები დედაქალაქის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა რევოლუციურ კომიტეტებთან, იმპერიის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ რევოლუციურ სოციალ-დემოკრატებთან. ლესგაფტის კურსების ხშირი სტუმრები იყვნენ სტუდენტთა კავკასიის სათვისტომოს აქტივისტები ბამია ორახელაშვილი, შ. ელიავა, მ. მიქელაძე, პ. ქავთარაძე და სხვები. ისინი ჩაბმული იყვნენ აქტიურ რევოლუციურ საქმიანობაში, დახმარებას უწევდნენ პეტერბურგელ ბოლშევიკ-ხელმძღვანელებს ლ. კრასინს, რ. ზემლიაჩკას, ე. სტასოვას, მ. ვასილევ-იუჟინას და სხვებს არალეგალური ლიტერატურის გავრცელებაში, პარტიის III ყრილობის მოწვევის საქმეში, შეიარაღებული აჯანყების ორგანიზაციაში და სხვ. სტუდენტებს სისტემატური კავშირი ჰქონდათ მ. ცხაკაიასთან, ა. ჯაფარიძესთან, ახორციელებდნენ მათს დავალებებს.

ლესგაფტის კურსების შენობაში რევოლუციის წლებში არაერთხელ იყო ვ. ი. ლენინი, რომელსაც შეხვედრები ჰქონდა დედაქალაქის რევოლუციონერებთან. 1906 წ. მარტში ვ. ი. ლენინი შეხვდა სტუდენტთა კავკასიის სათვისტომოს აქტივისტებს, პიტერელ და ქართველ ბოლშევიკებს. ამ შეხვედრას ესწრებოდნენ შ. ელიავა, მ. ორახელაშვილი, ლ. ეორონოვი, პ. ქავთარაძე, მ. მიქელაძე, გ. და ვ. სტურუები და სხვ. შეხვედრა ჩატარდა ო. ვიტმერის ქალთა გიმნაზიის შენობაში, რომელიც ლესგაფტის კურსების გვერდით მდებარეობდა. ვ. ი. ლენინი ამ შეხვედრაზე დიდხანს ესაუბრებოდა კავკასიელ რევოლუციონერებს, დაწვრილებით არკვევდა კავკასიაში საბრძოლო იარაღის შეტანის, არალეგალური ლიტერატურის გავრცელების მდგომარეობას და სხვ. ვ. ი. ლენინი დაინტერესებული იყო დიდი მეცნიერისა და რევოლუციონერი დემოკრატის ვ. ა. სტაროსელსკის მოღვაწეობით საქართველოში, კერძოდ, ქუთაისის გუბერნატორობის პერიოდში მის მიერ გატარებული დემოკრატიული ღონისძიებებით. „წითელ გუბერნატორთან" ვ. ი. ლენინის შეხვედრის მოწყობაში ქართველი რევოლუციონერები, მათ შორის სტუდენტთა კავკასიის სათვისტომოს აქტივისტები

მონაწილეობდნენ. ეს შეხვედრა განხორციელდა 1907 წ. დასაწყისში ლესგაფტის კურსების შენობაში[1].

ქართველი სტუდენტების საკმაო ნაწილი რევოლუციის დაწყებიდანვე თავისი ნებით გამოეშურა სამშობლოში, რათა ბრძოლების აქტიური მონაწილე გამხდარიყო. ზოგიერთ უნივერსიტეტში რევოლუციის აღმავლობის დღეებში მეცადინეობა საერთოდ შეწყდა. ესეც ქართველმა სტუდენტობამ თავის სამშობლოში რევოლუციური მოღვაწეობის გაჩაღებისათვის გამოიყენა.

1905 წელს არალეგალური კრებების მოწყობისა და სტუდენტთა დემონსტრაციებში მონაწილეობისათვის ოდესის უნივერსიტეტიდან გაირიცხა დავით პარკაძე. ოდესის პოლიცია მას დაეძებდა, რათა დაეპატიმრებინა. ოდესის სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ იგი ფარულად, საჭირო დავალებებით გამოგზავნა საქართველოში. დ. პარკაძე საქართველოში აქტიურ რევოლუციურ მუშაობაში ჩაება. აგვისტოში იგი დააპატიმრეს და 5 წლით ტობოლსკის გუბერნიაში გადაასახლეს. 5 თვის შემდეგ გადასახლებიდან დაბრუნდა ავადმყოფი და ისევ ჩაება რევოლუციურ საქმიანობაში. 1906 წელს კვლავ ხვდა წილად გადასახლება ტამბოვის გუბერნიაში. მასთან ერთად გადასახლებაში მოხვდა 30 ქართველი გლეხი გორის მაზრიდან, რომელთაც დავითმა დიდი დახმარება გაუწია[2].

ცნობილი ქართველი მწერალი ლეო ქიაჩელი (შენგელაია) 1905 წ. ხარკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი იყო. იანვრის ამბების შემდეგ, დამფრთხალმა მთავრობამ უნივერსიტეტი დროებით დახურა. ლ. ქიაჩელი სამშობლოში დაბრუნდა და პროპაგანდისტულ საქმიანობაში ჩაება. „აქედან იწყება, მისი ბიოგრაფიის ყველაზე მღელვარე, რევოლუციური თაედაეიწყებითა და გამბედაობით აღსავსე ეტაპი"[3]. 1905 წ. ოქტომბრიდან ლ. შენგელაია ზუგდიდის მაზრაში რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთი მეთაური იყო. იგი გამოდიოდა გლეხთა კრებებზე და მათ თვითმპყრობელობისა და თავადაზნაურობის წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლისაკენ მოუწოდებდა. აქტიურად მონაწილეობდა წითელი რაზმების შედგენაში. ლ. ქიაჩელი ეწეოდა შეიარაღებული აჯანყების მხურვალე პროპაგანდას. საპოლიციო დოკუმენტებში იგი იხსენიება „ზუგდიდის რესპუბლიკის" ერთ-ერთ მოთაედ. 5 დე-

---

1 И. П. Лейборов. Цебельдинская находка. М., 1980, с. 256.

2 იხ. სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები, კრებული შესაბ, 1958, გვ. 260—261.

3 ა. თოფურია. ლეო ქიაჩელის ცხოვრება და შემოქმედება. 1977, გვ. 40.

კემბერს ზუგდიდში ლ. შენგელაიას და მ. გობეჩიას ხელმძღვანელობით დ. კეთილის შეიარაღებული რაზმი თავს დაესხა ჯაპოლიციო შენობას, განაიარაღა სტრაჟნიკები. გაათავისუფლა პატიმრები. ლ. შენგელაია მონაწილეობდა შეეიცარიიდან შემოტანილი იარაღის ანაკლიიდან გადმოტვირთვასა და წითელ რაზმელებზე განაწილებაში. იგი წინ მიუძღოდა ამ რაზმებს ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელი ჯარის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ლ. ქიაჩელთან ერთად ზუგდიდის მაზრის რევოლუციური საქმიანობის სათავეში იდგა ტარტუს უნივერსიტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი ვასილ ალშიბაია, რომელიც 1906 წ. მოკლეს პოლკოვნიკ ხოდზინსკის დამსჯელი რაზმის ჯალათებმა[1]. ლ. შენგელაია რევოლუციის დამარცხების შემდეგ იმალებოდა, მაგრამ 1906 წ. ივნისში დააპატიმრეს და გაგზავნეს ქუთაისის ციხეში. მას მოელოდა უმკაცრესი სასჯელი, მაგრამ სხვა პოლიტიკურ „დამნაშავეებთან" ერთად გაქცევა მოახერხა და ემიგრაციაში გაემგზავრა.

ცნობილი ქართველი მწერალი და კრიტიკოსი გერონტი ქიქოძე რევოლუციის დაწყებისთანავე გამოეშურა სამშობლოში გერმანიიდან, (ლაიპციგიდან), სადაც იგი სწავლობდა 900-იან წლებში. „რევოლუცია მოგვიხმობდა საგუშაგო პოსტზე გამოვცხადებულიყავით. ქართველი ბოლშევიკი სტუდენტები გამოვეთხოვეთ პავლოვსკის და მაკაროვის ლექსიკონებს, ვუნდტის და ბიუხერის ლექციებს და სამშობლოსაკენ გამოვეშურეთ"[2] — იგონებს იგი. გ. ქიქოძე რევოლუციის წლებში აქტიურ პროპაგანდისტულ საქმიანობას ეწეოდა. ხშირად გამოდიოდა სტატიებით ბოლშევიკური გამოცემების „კავკასკი რაბოჩი ლისტოკის", „მოგზაურის" ფურცლებზე. ახლო ურთიერთობაში იყო ბოლშევიკების ხელმძღვანელ ცენტრთან, სტეფანე შაუმიანთან, ისიდორე კორასთან.

„პოლიტიკურ მიტინგზე მხოლოდ ერთხელ გამოვედი, — იგონებს გ. ქიქოძე, — ეს იყო გურიაში, სოფელ შემოქმედში, სადაც მახლობელი სოფლებიდან დიდძალმა გლეხკაცობამ და ინტელიგენციამ მოიყარა თავი. მიტინგზე სოციალ-ფედერალისტებმა საუკეთესო ორატორები გამოიყვანეს. მათ მხარს უჭერდნენ ქართველი სოციალისტ-რევოლუციონერებიც. სოციალ-დემოკრატების მხრივ ფილიპე მახარაძე და პოლა ლომთათიძე გამოვიდნენ; მეც წარმოვთქვი მოკლე სიტყვა. გლეხკაცო-

---

[1] ა. თოფურია, დასახ. ნაშრომი, გვ. 52—54.

[2] გერონტი ქიქოძე, მოგონებები, სიტყვები და წერილები, 1956, გვ. 111.

ბას უფრო ჩვენი სიტყვები მოეწონა, ინტელიგენციას — ჩვენი მოწინააღმდეგეებისა. ფედერალისტებ'ს ერთ ორატორს, აღარ მახსოვს სამსონ ფირცხალავას თუ სიმონ მდივანს, საჯაროდ შეეკითხე როგორ წარმოგიდგენიათ სოციალიზმის დამყარების დრო, შორეული ამბავია თუ ახლობელი-მეთქი. — ასი წელიწადი მაინც უნდა ვიცადოთო, მიპასუხა მან. დაბსწრეთა უმრავლესობას ეს პასუხი ძალიან არ მოეწონა; შორეული ბედნიერების ლოდინი ცუდი მალამოა ტანჯული კაცობრიობისათვის"[1].

რევოლუციის პირველსავე დღეებში ლაიფციგიდან თბილისში სასწრაფოდ გამოემგზავრნენ უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტები დავით სულიაშვილი, მიხ. დავითაშვილი, რომლებიც ჩამოსვლისთანავე ჩაებნენ აქტიურ რევოლუციურ მუშაობაში. დასავლეთ საქართველოში, უპირატესად ხონში, ზესტაფონში, ჭიათურაში მ. დავითაშვილი და კასრაძე აქტიურად მონაწილეობდნენ შეიარაღებული აჯანყების მომზადებაში, იყენენ „ყვირილის რესპუბლიკის" ორგანიზატორები. ჭიათურაში „თავგანწირულ რევოლუციურ ახალგაზრდობასთან — სტ. ინწკირველთან, ბაქრაძესთან („ელეზნი"), სამუელ ბუაჩიძესთან, კოტე ცინცაძესთან და სხვებთან ერთად, დ. სულიაშვილი და მ. დავითაშვილი მოთავეობდნენ ჭიათურის პროლეტარიატისა და იმერეთის გლეხთა შეიარაღებულ ბრძოლებს მთავრობის ჯარების წინააღმდეგ[2].

რევოლუციის აზვირთებას მხურვალედ გამოეხმაურა საზღვარგარეთის მოსწავლე ქართველი სტუდენტობა. ჟენევაში, სანამ იქ ვ. ი. ლენინი ცხოვრობდა, რუსი და ქართველი ემიგრანტი ახალგაზრდობა და სტუდენტობა ხშირად იკრიბებოდნენ დისკუსიებზე, რაშიც სხვადასხვა მიმართულების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. განსაკუთრებული მოვლენა იყო ამ დისკუსიებზე ვ. ი. ლენინის გამოჩენა, რომელიც იდეურად აკამტვერებდა ჩერნოვის, მარტოვის, ი. წერეთლისა და სხვათა გამოსვლებს და იძლეოდა რევოლუციის პერსპექტივების ნათელ გაშუქებას. რუსუდან ნიკოლაძე — ნიკო ნიკოლაძის ქალიშვილი, — რომელიც თავის ძმასთან გიორგისთან ერთად იმყოფებოდა ჟენევაში ამ დროს, გადმოგვცემს თავის მოგონებაში ვ. ი. ლენინთან შეხვედრის მღელვარე დღეებს და იმ დაუვიწყარ შთაბეჭდილებას, რასაც მსმენელებზე ახდენდა ლენინის ბრწყინვალე გამოსვლები, მისი რკინისებური ლოგიკა ესერებთან და მენშევიკებთან კამათის დროს. რუსუდანს

---

[1] გ. ქიქოძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 114.

[2] დავით სულიაშვილი. დღენი ჩემი ცხოვრებისა, 1966.

და გიორგის მოეცათ ბედნიერი შემთხვევა პირადად გაცნობოდნენ ვლადიმერ ლენინს. ეს მოხდა ახალი „ისკრის" სტამბაში, სადაც გიორგი ქართველ ასოთამწყობთან დალმატი გალდავასთან ასოთამწყობის სპეციალობას ეუფლებოდა. „სტამბაში გალდავასთან, ეიყავით, — წერს რ. ნიკოლაძე. — უეცრად დარბაზში ლენინი შემოვიდა, მისებური სწრაფი ნაბიჯით პირდაპირ გალდავასთან მივიდა, ჩანს, რაღაც უნდა ეთქვა. მაგრამ დაზგასთან გიორგი რომ დაინახა, მერე მე (უსაქმოდ ვიდექი), მის მეტყველ სახეზე გაკვირვება აღიბეჭდა — ამათ რა უნდა ჩვენს სტამბაშიო? — უსიტყვოდ შეეკითხა იგი თვალებით გალდავას. დალმატმა მას წარუდგინა გიორგი, როგორც თბილისიდან საზაფხულოდ ჩამოსული გიმნაზიელი და მოსწრებულად უთხრა, რომ იგი იქ, იმავე სტამბაში სწავლობდა ასოთაწყობას, სადაც მამამისი „კოლოკოლის" ფურცლებს აწყობდაო.

— Фамилия? — იკითხა ლენინმა. — Николадзе — აღელვებული ხმით უპასუხა გიორგიმ. — Издатель «Обзора»? — იმწამსვე შეეკითხა ლენინი. და ამან ისე გაგვაოცა, რომ მეც ჩავერთე მათ საუბარში და ორივემ ერთხმად წამოვიძახეთ გაოცებით, თითქმის ერთი და იმავე სიტყვებით: Откуда вы знаете? ჩვენმა გაოცებამ ის გაამხიარულა. მან გულიანად გაიცინა, ორივეს ხელი ჩამოგვართვა და თან, თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა: «Не зная прошлого, нельзя овладеть будущим, да!» — და სამივეს მხიარულად გადმოგვხედა. და უეცრად შეგვეკითხა მე და გიორგის: «А вы знаете, что мы здесь книжку одну издали не так давно, куда и эта ваша газета попала из Грузии? и очень почетно попала»...

როგორც გამოირკვა, ეს იყო 1898 წელს აქ გამოცემული წიგნი: «Материалы для характеристики положения Русской печати, выпуск I».

ლენინმა იქვე ბარათი მოგვცა ჟენევის ცენტრალური კომიტეტის სახელზე, რომ იქ ეს წიგნი ეჩვენებინათ. ბარათი წავიღეთ, წიგნი გვაჩვენეს. ის თავი იქვე წაგვაკითხეს. შინ რომ მივედით (ჩვენს პანსიონში), დედასთვის ამ ამბის სახარებლად და მამასთვის პეტერბურგში მისაწერად, დედამ ღიმილით გვითხრა: „მამას უკვე დიდი ხანია შინ აქვს ეს წიგნი გადამალული, მას მეც კარგად ვიცნობო"[1]. ამ გაცნობის შემდეგ რუსუდანი და მისი ძმა სისტემატურად ესწრებოდნენ ვ. ი. ლენინის ლექციებს. „საქართველოზე ათას რამეს გვეკითხებოდა, მან კარგად

---

1 რ უ ს უ დ ა ნ ნ ი კ ო ლ ა ძ ე, ცხოვრების დიდ გზაზე, თბ., 1975, გვ. 227—228.

იცოდა, თუ როგორ დაახლოებული იყვნენ თავის დროზე პეტერბურგელი ქართველი სტუდენტები ჩერნიშევსკისთან. მრავალ კითხვას გვაძლევდა, დიდი ინტერესით კითხულობდა მაგალითად, როგორ გვასწავლიდნენ ახლა „ახალი საუკუნის" ისტორიას ცალკე ვაჟების, ცალკე ქალების სასწავლებლებში, წრეები თუ გვქონდა და რა ხასიათისა, რა საინტერესო წიგნები აღწევდა თბილისი-ქუთაისამდე, რა გვაინტერესებდა და ა. შ.[1].

ჟენევის გარდა ქართველი სტუდენტები მრავლად იყვნენ ციურიხში, პარიზში, ლაიფციგში, ბერლინში, მიუნხენში. იმ დროს ყველა სულდგმულობდა რევოლუციის გამარჯვების იმედით. ვისაც ამის შესაძლებლობა მიეცა, დაბრუნდა კიდეც საქართველოში რევოლუციურ ბრძოლებში უშუალო მონაწილეობის მისაღებად.

1905 წლის რევოლუციის მთელ მანძილზე მუშათა და გლეხთა შეიარაღებულ გამოსვლებში აქტიურ მონაწილეობას იღებდა არაერთი სტუდენტი. ისინი იარაღით ხელში მონაწილეობდნენ საბარიკადო ბრძოლებში, სათავეში ედგნენ მშრომელთა საპროტესტო დემონსტრაციებსა და მანიფესტაციებს, მონაწილეობდნენ პარტიულ-პოლიტიკურ დისპუტებში, იარაღის დამზადებაში, არალეგალური ლიტერატურის ბეჭდვასა და გავრცელებაში. ბევრი მათგანი თავს სწირავდა რევოლუციას იმით, რომ პირადად უსწორებდა ანგარიშს ხალხის ჯალათებს.

დემოკრატიული ინტელიგენციის ყველაზე მძლავრ, მოქმედ არმიას საქართველოში წარმოადგენდა მასწავლებლობა, რომელიც გარდა სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობისა, ჩაბმული იყო საზოგადოებრივ-კულტურულ მოღვაწეობაში. სახალხო მასწავლებელი იმდროინდელ ქართულ სოფელში, რომელიც დაწყებითი სკოლის გარდა მოკლებული იყო კულტურულ-საგანმანათლებლო კერებსა და ინფორმაციის საშუალებებს, წარმოადგენდა სინათლის ჩაუქრობელ სხივს, რომელიც ამკვიდრებდა ეროვნული თვითშემეცნების სულისკვეთებას. მასწავლებლობა მოთავეობდა ბიბლიოთეკა-სამკითხველოების შექმნას და ნერგავდა წიგნისადმი სიყვარულს, განათლების ტრადიციებს, მასწავლებლობა აწყობდა საღამო წარმოდგენებს, რითაც მოქალაქეობრივი მოვალეობის შეგნებას აღვიძებდა თანასოფლელთა შორის. მასწავლებლობა, რომელიც ძირითადად დაბალი ფენებიდან იყო გამოსული, უფრო მგრძნობიარედ განიცდიდა არსებული რეჟიმის უსამართლობას

---

[1] რუსუდან ნიკოლაძე, ცხოვრების დიდ გზაზე, თბ., 1975, გვ. 230.

და ყველაზე მიყრუებულ ადგილებშიც კი უკეთ გრძნობდა რევოლუციის ვულკანის ხმაურს, ასევე დიდი იყო მასწავლებლობის როლი იმ-დროინდელი სამაზრო ქალაქების კულტურულ ცხოვრებაში. თბილისში და ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში და სხვა მსხვილ ქალაქებში მასწავლებლობა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დემოკრატიული ბანაკის ავანგარდში იდგა.

1905 წლის რევოლუციის აზვირთებას საქართველოში მასწავლებლობა მოუმზადებელი არ შეხვედრია, პირიქით, იგი თვით იყო აქტიური მონაწილე სახალხო რევოლუციის იდეური შემზადებისა, რადგან წლების მანძილზე ახალგაზრდობაში ნერგავდა ჩაგვრისა და უსამართლობისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებას, რომელიც თვით მან სახელოვან სამოციანელთაგან შეითვისა. სოფლის მასწავლებლობა აგრარული მოძრაობის მაორგანიზებელთა რიგებში იდგა. იმ მწყობრ, ღრმაშინაარსიან, ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალულ და სოციალურად გამოკვეთილ მოთხოვნებში, რომელსაც საქართველოს თითქმის ყველა სოფლის გლეხობა პირველი რევოლუციის პერიოდში აყენებდა, თავისი წილი ედო სოფლის მასწავლებლობას. მასწავლებლები გვერდით ედგნენ ბოლშევიკ აგიტატორებს რევოლუციის ამოცანების პროპაგანდის საქმეში. სახალხო მასწავლებელთა შორის ბევრი ბოლშევიკიც იყო.

მასწავლებლობას რევოლუციის მსვლელობაში, გარდა რეჟიმისადმი მკვეთრი სიძულვილისა, ჰქონდა საკუთარი, პროფესიული პრეტენზიები: სოფლის მასწავლებელი მატერიალურად გაჭირვებული და ხელმოკლე იყო, ამასთან მოქალაქეობრივ უფლებებს მოკლებული. მოწინავე მასწავლებლობა მწვავედ განიცდიდა აღზრდის ცარისტული სისტემის მანკიერებას, იმას, რომ სკოლა ეროვნული გადაგვარებისკენ იყო მიმართული. მოწინავე მასწავლებლობას მუდმივი უთანხმოება ჰქონდა განათლების საინსპექციო ორგანოებთან, რომლებიც დაჟინებით ცდილობდნენ დაენერგათ სწავლების იანოვსკისებური სისტემა. ვოსტორგოვის, ლევიცკისა და სხვა ბნელეთის მოციქულთა ცარისტული ანტიხალხური ტენდენციები.

ამიტომ მოხდა, რომ რევოლუციის დასაწყისიდანვე მშრომელ მოსახლეობასთან ერთად, მოსწავლეებთან ერთად მასწავლებლებიც ამოძრავდნენ. ისე როგორც ყველგან, რუსეთის იმპერიაში, საქართველოშიც საგუბერნიო და სამაზრო ქალაქებში რევოლუციის აღმავლობის პერიოდში მიმდინარეობდა მასწავლებელთა კრებები და ყრილობები, რომელთა ანგარიშები შუქდებოდა დემოკრატიულ პრესაში.

1905 წლის მარტში შედგა ქუთაისის გუბერნიის მასწავლებელთა ყრილობა. ეს იყო პერიოდი, როცა ქუთაისის გუბერნიის სასწავლებელთა უმრავლესობა გაფიცული იყო და დემონსტრაციებსა და მანიფესტაციებს აწყობდა არსებული რეჟიმის წინააღმდეგ; როცა დასავლეთ საქართველოს გლეხობა ყალყზე იყო შემდგარი და რსდმპ კავკასიის კავშირის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის ხელმძღვანელობით შეუპოვრად იბრძოდა თავისუფლებისათვის. ქუთაისის გუბერნიის მასწავლებლობამ მიღებულ რეზოლუციაში გამოკვეთილად ჩამოაყალიბა არსებული რეჟიმის მანკიერება, მისი რევოლუციური გარდაქმნის აუცილებლობა და, კერძოდ, მასწავლებლის როლი და დანიშნულება რევოლუციურ მოძრაობაში. „მოქალაქისა და ადამიანის უფლებათა უზრუნველმყოფელი უფლებრივი ნორმების არარსებობა — ასეთია რუსი ადამიანების სულიერი მონობა. ახლა, ამ მძიმე ისტორიულ დღეებში, მძარცველთა მეფის ხროვამ ბრძოლაში გაიწვია, ომი გამოუცხადა მთელ მოაზროვნე რუსეთს, ომი სამკვდრო-სასიცოცხლო. ეს მომაკვდავი თვითმპყრობელობის უკანასკნელი კრუნჩხვეებია, ეს — იმპერატორის დრომოჭმული მთავრობის სულთმობრძაობაა. ყველაფერი გათავდა. ახლა მშვიდობიანი კულტურული საქმიანობის დრო არ არის. ჩვენში არსებულ თავისუფალ მეცნიერებაზე ფიქრის დრო არ არის. ქმარა ქედის დრეკა, როდესაც გლეხებისა და მუშების კეთილშობილური მკერდი მეფის ტყვიებით იცხრილება!“[1].

რეზოლუცია გუბერნიის მასწავლებლობას არსებული რეჟიმის წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლისაკენ მოუწოდებდა. „ჩვენ ვიღებთ გამოწვევას: ჩვენ თავს ვანებებთ მუშაობას, ვწყვეტთ მეცადინეობას... ჩვენ მებრძოლთა რიგებში ვდგებით, ჩვენს ხმას ვუერთებთ მებრძოლი რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ხმას და მოვითხოვთ:

ა) დამფუძნებელი კრების დაუყოვნებლივ მოწვევას საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული საარჩევნო უფლების საფუძველზე ყველასათვის, განურჩეველად სქესისა და ეროვნებისა.

ბ) სიტყვის, სინიდისის, ბეჭდვის, კრებების, კავშირების და გაფიცვების თავისუფლებას.

გ) ნაციონალური და რელიგიური ჩაგვრის მოსპობას.

დ) პოლიტიკური და რელიგიური რწმენისათვის ყველა წამებულის სრულ ამნისტიას.

---

[1] რსდმპ კავკასიის კავშირის პროკლამაციები (1903 — 1905 წწ.), გვ. 251.

ე) ქვეყნის გამომფიტველი ომის დაუყოვნებლივ შეწყვეტას"[1].

ზემომოტანილი რეზოლუცია პროლეტარიატისა და დემოკრატიული ინტელიგენციის მჭიდრო კავშირის ერთ-ერთი დამახასიათებელი დოკუმენტია. არც ისაა შემთხვევითი, რომ ეს რეზოლუცია პროკლამაციის სახით გამოსცა რსდმპ კავკასიის კავშირის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტმა. ნათლად იგრძნობა, რომ ყრილობაზე დიდი იყო ბოლშევიკთა იდეური ზეგავლენა. რსდმპ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი, ისე როგორც ყველა სხვა რევოლუციურ ღონისძიებაში, აქაც წარმმართველ როლს ასრულებდა.

მასწავლებელთა საგუბერნიო ყრილობა თბილისში ჩატარდა აპრილში. ყრილობის მუშაობას დასავლეთ საქართველოს სასწავლო დაწესებულებათა წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. ძირითადი მოხსენებით ყრილობაზე გამოვიდა შიო ჩიტაძე, რომელმაც საერთო რევოლუციურ ამოცანებთან ერთად დააყენა სასკოლო რეფორმების ამოცანაც.

სახალხო მასწავლებლობამ თავისი რიგებიდან მოგვცა მრავალი მგზნებარე, მამაცი და თავდადებული რევოლუციონერი, რომლებიც სახალხო მოძრაობის აზვირთების პირველი დღიდანვე მებრძოლთა მოწინავე რიგებში იდგნენ და მოთავეობდნენ იერიშებს თავისუფლებისათვის ბრძოლაში, ასეთები იყვნენ: სამუელ ბუაჩიძე — რაჭა-ლეჩხუმის დაწყებითი სკოლის მასწავლებელი, შიო ჩიტაძე — თბილისის პირველი გიმნაზიის დირექტორი, იოსებ ოცხელი — ქუთაისის ქართული გიმნაზიის დირექტორი, ივანე მესხი — რევოლუციამდელ აჭარაში განათლების საქმის დიდი თაოსანი და მგზნებარე პროპაგანდისტი, ელენე ბახტაძე — დაბა ხონის ქალ-ვაჟთა პირველი დაწყებითი სკოლის მასწავლებელი, სამსონ ფრუიძე — ჭრებალოს სკოლის მასწავლებელი, სადაც მისი თაოსნობით 1905 წ. შეიქმნა რევოლუციური ორგანიზაცია, ილია ზარაფიშვილი — თელავის სასულიერო სასწავლებლის ქართული ენის მასწავლებელი, პეტრე ჭარაია — ჟურნალისტი, სამურზაყანოს ქართული სკოლების პედაგოგი, მარიამ ორბელიანი — ვახტანგ ორბელიანის ქალიშვილი, პედაგოგი, ივანე გამყრელიძე — თბილისის ვაჟთა პირველი გიმნაზიის დირექტორი, სპირიდონ ნორაკიძე — თვალსაჩინო პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე.

რევოლუციის წლებში მასწავლებელთა თავდადებული, რევოლუციურ-რაინდული საქმიანობის მასალა იმდენად უხვი და მრავალფე-

---

[1] რსდმპ კავკასიის კავშირის პროკლამაციები (1903—1905 წწ.), გვ. 351—352.

როვანია, რომ იგი ცალკე და საგანგებო გაშუქებას მოითხოვს. ჩვენ ამ-ჟამად იმით დავკმაყოფილდებით, რომ მივუთითებთ მაინც გვარებს იმ სახალხო მასწავლებლებისა, რომლებიც 1905 წლის რევოლუციის ყველაზე აქტიური მონაწილენი იყვნენ და თავიანთი დაუცხრომელი საზოგადოებრივი მოღვაწეობით თვალსაჩინო წვლილი შეჰქონდათ მშრომელთა დარაზმულობასა და საბრძოლო შემართებაში. ასეთები იყვნენ: სტეფანე გაგუა — ქუთაისის პირველი საქალაქო ექვსკლასიანი სასწავლებლის დირექტორი; გრიგოლ ბურჭულაძე — ხონის სასულიერო სემინარიის მასწავლებელი; მელიტონ კელენჯერიძე — ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი; მელიტონ ჩოგოვაძე — ქუთაისის ეპარქიალური სასწავლებლის ინსპექტორი; ლავრენტი წულაძე — ფოთის ქალთა გიმნაზიის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი; კონსტანტინე გვარამაძე (ცნობილი ჟურნალისტის „ეინმე მესხის" შვილი) — მესხეთის დაწყებითი სკოლის მასწავლებელი; ლავრენტი ჩიმაკაძე — ხონის სამასწავლებლო სემინარიასთან არსებული საჩვენებელი სკოლის გამგე; გიორგი ბოკერია — ხონის სამასწავლებლო სემინარიის მასწავლებელი; ნიკო შიუკაშვილი — ცნობილი დრამატურგი, რევოლუციის წლებში მასწავლებელი ახალციხეში; გიორგი ნათაძე — კავკავის ქართული სკოლის მასწავლებელი; მარიამ დადიანი-ანჩაბაძისა — სოხუმში ქართული სკოლის მშენებლობის ერთ-ერთი თაოსანი; კირილე ჯავახია — ახალსენაკის მაზრის მასწავლებელი; ლადო ბზვანელი — ტობანიერის ორკლასიანი სასწავლებლის ზედამხედველი, ცნობილი ლიტერატორი, საზოგადო მოღვაწე, რომელსაც 1915 წ. ვაჟა-ფშაველამ ლექსი მიუძღვნა:

„რა ვუყოთ მასწავლებელი დღეს თე არ ფასობს ჩვენშია. თემცა ხსნა ჩვენი ერისა მხოლოდ და მხოლოდ თქვენშია, სული გასუქდეს ბევრად სჯობს, ვიდრე გასუქდეს ლეშია"[1].

ივანე გიუნაშვილი — სოფ. წინარეხის სკოლის მასწავლებელი; კირილე არველაძე — მასწავლებელი სოფ. ბანძაში; ივანე ნიჟარაძე — თბილისის ქართული გიმნაზიის რუსული ენის მასწავლებელი; ანდრო შუბლაძე — ძველი სენაკის ქართული სკოლის მასწავლებელი; ნოტიო ლოლუა — ფოთის კერძო პროფესიული სასწავლებლის გამგე; თორნიკე გეგეშიძე — სოფ. ქვემო დიმის მასწავლებელი; ვარლამ ბურჯანაძე — ქუთაისის დაწყებითი სკოლის მასწავლებელი; ვარლამ ხურო-

[1] ჟურნ. „განათლება", № 5—6, 1915.

ძე (მალაქიაშვილი) — მასწავლებელი დაბა ლანჩხუთში; ილია ფერაძე — თბილისის სასულიერო სემინარიისა და ქალთა საეპარქიო სასწავლებლის მასწავლებელი; არსენ მამულაიშვილი (ლალიონი) მწერალი და პედაგოგი — თბილისის ვერეს პირველი უმაღლესი დაწყებითი სკოლის მასწავლებელი: სტეფანე ძიძისტარაშვილი — მარტვილისა და სენაკის სკოლების მასწავლებელი; გიორგი შარაშიძე — ახალციხის სამოქალაქო სასწავლებლის მასწავლებელი, ნიკო ჯაყელი — აჭარის სოფლებში აქტიურად მოღვაწე პედაგოგი; არისტო ქუთათელაძე — თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის მასწავლებელი; აბელ ბაირამაშვილი — ინგილო, რომლის სტუდენტი შვილი კოწია ოდესაში მოკლეს შავრაზმელებმა; გერასიმე ცაგარეიშვილი — ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიის მასწავლებელი; მარიამ და მიხეილ ზაალიშვილები — მასწავლებლები ქალ. გორში; იასონ ნიკოლაიშვილი — ქუთაისელი პედაგოგი, რომელიც 1905 წ. აირჩიეს დასავლეთ საქართველოს მასწავლებელთა კავშირის თავმჯდომარედ; ლაზარე ხმალაძე, მელიტონ გობეჩია, დომენტი ოყრეშიძე და მრავალი სხვა[1].

მოსწავლეთა და მასწავლებელთა რევოლუციური მოძრაობა ორგანულად იყო დაკავშირებული მშრომელთა რევოლუციურ მოძრაობასთან. სკოლის მოსწავლეთა უმრავლესობა მაინც მოსახლეობის დემოკრატიული ფენებიდან იყო გამოსული და ცხადია, ასახავდა, მშობლების განწყობილებას. ბუნებრივია, თვით მშობლები სისხლხორცეულად იყვნენ დაინტერესებული სკოლის იმდროინდელი მდგომარეობით და მოსავლით. ამიტომ, სხვა საკითხებთან ერთად სწავლა-აღზრდის საკითხის დემოკრატიულ პრინციპზე აგება რევოლუციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა იყო. ვინც დაინტერესდება და თვალს მიადევნებს რევოლუციის მთელ მანძილზე მუშათა და გლეხთა კრებებზე წამოყენებულ მოთხოვნებს, ნათლად შეამჩნევს, რომ ყველგან სახალხო განათლების ძირფესვიანი გარდაქმნა ერთ-ერთ მთავარ საზრუნავადაა მიჩნეული.

1905 წლის 29 მარტს თბილისში შედგა ქალაქის პედაგოგთა და მშობელთა გაერთიანებული თათბირი, რომელმაც განიხილა სასკოლო რეფორმების საკითხები. მიღებული რეზოლუცია გამოხატავს მასწავლებელთა და მშობელთა ერთსულოვან მხარდაჭერას სახალხო რევოლუციისადმი. „ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ განახლებული რუსე-

---

[1] ზემოხსენებულ ქართველ სახალხო მასწავლებელთა განათლების ფრონტზე განეული მოღვაწეობის შესახებ დაწერილებით იხ. სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები, კრებული 3 ტომად 1953—1968.

თის... სკოლის ცხოვრება დამყარებული უნდა იყოს არა შიშსა და მონურ მორჩილებაზე, არა დაბეჩავებულობასა და დამცირებაზე, არამედ სამართლიანობის, გონიერი თავისუფლების, ურთიერთნდობისა და სიმართლის საფუძველზე... ჩვენ მშობლებს გვაწევს მოვალეობა მივეხმაროთ იმ გამათავისუფლებელ მოძრაობას, რომელმაც მოიცვა მთელი რუსეთი და ყველა ჩვენს განკარგულებაში მყოფი ძალებით ხელი შევუწყოთ მის წარმატებას. ამიტომ ჩვენ მხარს ვუჭერთ იმ უთვალავ ხმებს, რომლებიც მოითხოვენ საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული საარჩევნო უფლებების საწყისებზე მოწვეულ იქნას დამფუძნებელი კრება, როგორც სახალხო მთავრობის მუდმივი ორგანო და მიენიჭოს მას „საკანონმდებლო უფლება"[1].

როგორც ვხედავთ, არ ყოფილა რევოლუციის არც ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი თუ მოვლენა, რომელსაც საქართველოს მასწავლებლობა გულმხურვალედ არ გამოხმაურებოდეს. რა თქმა უნდა, ეს გამოხმაურება სხვადასხვაგვარი იყო და რევოლუციის შინაარსის სხვადასხვაგვარ აღქმასაც გულისხმობდა: მასწავლებლობა, ცხადია, არ იყო საკუთრივ ერთგვაროვანი, მთლიანი სოციალური ერთეული, რომელსაც რევოლუციის ყველა ძირითად საკითხზე ერთნაირი შეხედულება ჰქონოდა და მის მომავალსაც ერთგვარად უყურებდა. სახალხო მასწავლებლების ნაწილი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ძირითად დანიშნულებას ეროვნული საკითხის გადაწყვეტაში ხედავდა და აყოლილი იყო სოციალისტ-ფედერალისტების მოდურ ლოზუნგს, რომელიც მთავარ აქცენტს „საქართველოს ავტონომიაზე" აკეთებდა. მასწავლებელთა პოზიციას აკლდა კლასობრივი გამოკვეთილობა და დახვეწილობა: საერთო-დემოკრატიული განწყობილება, რომელიც მასწავლებელთა ძირითად მასას ახასიათებდა, ცხადია, ჩამორჩებოდა რევოლუციის დონეს და ერთგვარად ზღუდავდა კიდეც მის განვითარებას. მაგრამ ბოლშევიკური პარტია, რომელსაც კარგად ესმოდა სახალხო მასწავლებლის როლი და ძალა იმდროინდელ მშრომელ მოსახლეობაში, უნარიანად მუშაობდა იმ მიმართულებით, რომ მასწავლებლობას მხარი აება რევოლუციის განვითარების ტემპებისათვის და პროლეტარიატისა და გლეხობის საბრძოლო ენთუზიაზმის დონეზე დამდგარიყო. ბოლშევიკების მოღვაწეობას ამ მიმართულებით წარმატება ჰქონდა: სახალხო მასწავლებელთა დიდი არმიის უმრავლესობამ რევოლუციური სოცი-

---

[1] საისტორიო მოამბე. ტ. 15—16, 1963, გვ. 443—444.

ალ-დემოკრატიის პათოსი აითვისა და სასახელო ფურცლები ჩაწერა ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მატიანეში.

პირველ რევოლუციაში ინტელიგენციის მოძრაობას განეკუთვნება რკინიგზის, სამედიცინო პერსონალის, ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა ის მასობრივი საგაფიცვო მოძრაობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში რევოლუციის მთელ მანძილზე. რკინიგზელთა გაფიცვა, როგორც ცნობილია, რევოლუციის პერიოდში რუსეთის პროლეტარიატის საგაფიცვო ბრძოლის მნიშვნელოვან წილს წარმოადგენდა. ამიერკავკასიის რკინიგზაზე გაფიცვა 21 მარტიდან დაიწყო. აპრილის დასაწყისიდან მას შეუერთდნენ თბილისის კვანძის მემანქანეები და მუშა-მოსამსახურენი. მალე გაფიცვა მთელ ამიერკავკასიას მოედო. შეწყდა მატარებლების მიმოსვლა. ადმინისტრაცია დაფრთხა. გამარჯვება რკინიგზელებს ხვდა წილად. გაზ. „ვპერიოდი" ახასიათებდა რა რკინიგზელთა გაფიცვის მიმდინარეობას და შედეგებს ამიერკავკასიაში, წერდა, რომ იგი „მიმდინარეობდა კავკასიისათვის ჩვეული სიმტკიცით და სოლიდარობით, ერთბაშად მოედო რა მთელ ხაზს, ამაში ჩანს რსდმპ კავკასიის კავშირის გავლენა"[1].

რკინიგზელებმა თბილისის ტრამვაის მუშა-მოსამსახურენიც აიყოლიეს. მალე საგაფიცვო მოძრაობაში ფოსტა-ტელეგრაფის მუშა-მოსამსახურენიც ჩაებნენ. მოძრაობის ტალღებს აჰყვნენ დაბალი საექიმო პერსონალი, ფარმაცევტები, ვაჭარ-ხელოსნები. ამრიგად, მუშათა მასებთან ერთად სხვადასხვა პროფილის წარმოება-დაწესებულებების მოსამსახურე პერსონალი ამოძრავდა და მეტ-ნაკლები აქტივობით გაჰყვა რევოლუციის დინებას. ჟურნალი „მოგზაური", გაზ. „ევერია", „ცნობის ფურცელი" სისტემატურად აქვეყნებდნენ სხვადასხვა პროფესიის მოსამსახურეთა მოთხოვნებს და აშუქებდნენ საგაფიცვო მოძრაობის მიმდინარეობას.

* * *

შემოქმედებითი ინტელიგენცია საქართველოში, ისე როგორც რუსეთის იმპერიაში, რევოლუციაში აქტიურ მებრძოლ ძალას წარმოადგენდა. ეს აქტივობა განაპირობა რუსული და ქართული დემოკრატიული კულტურის მაღალმა ტრადიციებმა, რევოლუციის წინ და მსვლელობის მთელ პერიოდში რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის პროპაგანდისტულმა საქმიანობამ, შეგნებამ იმ მაღალი პასუხისმგებლობი-

[1] გაზ. „ვპერიოდი". № 16, 1905.

სა, რომელიც ისტორიული მობრუნების ჟამს ხალხის წიაღიდან გამოსულ განათლებულ ადამიანებს ამ ხალხის წინაშე ეკისრებოდა.

რევოლუციის დასაწყისიდანვე რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული განწყობის შემოქმედებითი ინტელიგენციის მედროშეობა წილად ხვდა მაქსიმ გორკის, რომელმაც იმთავითვე ყველაზე ნათლად და მგზნებარედ გამოხატა მუშათა კლასის იდეალები. მაქსიმ გორკი, როგელიც ქართველი შემოქმედებითი ინტელიგენციისათვის მუდამ სათაყვანო და მისაბაძი იყო, კიდევ უფრო მახლობელი გახდა მას შემდეგ, როცა მან უშუალოდ აღიმაღლა ხმა კავკასიაში ცარიზმის ველური პოლიტიკის გამოსააშკარავებლად და სამარცხვინო ბოძზე გააკრა ბნელი ძალები, რომლებიც რევოლუციის საზიანოდ კავკასიის ხალხებს ერთმანეთზე აქეზებდნენ. ქართველი მხატვრული ინტელიგენციის მანიფესტად იქცა გორკის ცნობილი „გრიგალას სიმღერა", რომელიც 1905 წლის იანვარში გამოაქვეყნა ბოლშევიკების ჟურნალმა „მოგზაურმა"[1].

რევოლუციის დაწყებიდან ჟურნ. „მოგზაური" გადაიქცა იმ მთავარ ტრიბუნად, საიდანაც გაისმოდა მგზნებარე პარტიულ-მხატვრული სიტყვა რევოლუციაში მუშებისა და გლეხების საბრძოლო დარაზმვისათვის. გორკისებურ საბრძოლო ყაიდაზე ეღერდა „მოგზაურის" 3—11 ნომერში დაბეჭდილი ლექსი ი. ევდოშვილისა „მერცხლებმა დაიწკრიალეს", სადაც მწერალი რევოლუციის ქარიშხალს მიესალმებოდა[2].

ი. ევდოშვილი საქართველოს მუშათა კლასისა და გლეხობის რევოლუციური შემართების მომღერალი და წამაქეზებელი იყო. გლეხობაში იგი ხედავდა მუშათა კლასის ერთგულ მოკავშირეს დესპოტიზმისა და მონობის წინააღმდეგ ბრძოლაში („გლეხის ფიქრები", „გლეხი", „მოჯამაგირე", „სოფელში", „ურმული" და სხვ.). ი. ევდოშვილი რევოლუციის წლებში არა მარტო ლექსებით გამოხატავდა თავის რევოლუციურ განწყობილებას, იგი მებრძოლთა წინა ხაზზე იდგა, გამოდიოდა მგზნებარე მომწოდებელი სიტყვებით მშრომელთა მიტინგებზე, ცხოველ მონაწილეობას იღებდა არალეგალური ლიტერატურის გავრცელებაში, შეიარაღებული აჯანყების მომზადებაში.

ი. ევდოშვილის დიდი დამსახურებაა ისიც, რომ მან სწორად გაიგო შემოქმედის როლი და დანიშნულება მუშათა კლასის განმათავისუფლებელ ბრძოლაში. ხელოვნებისა და ცხოვრების დამოკიდებულებაზე ი. ევდოშვილის კონცეფცია გამომდინარეობდა იმ სახელმძღვა-

[1] ჟურნ. „მოგზაური", № 2, 1905.

[2] იქვე, № 11, 1905.

ხელო დებულებებიდან, რომელიც ვ. ი. ლენინმა წამოაყენა 1905 წ. დაწერილ სტატიაში „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“[1]. 1905 წ. რევოლუციის აღმავლობის პერიოდში შექმნილ პოემაში „მუზა და მუშა“ მთელი ძალით აყღერდა მწერლის ოპტიმიზმი, გამოიკვეთა ხალხის ბედისადმი შემოქმედის პასუხისმგებლობის გრძნობა. „ხელოვნება მოწოდებულია ემსახურებოდეს მუშათა კლასის ინტერესებს“ — ასეთია პოემის ძირითადი ლეიტმოტივი. თვით ევდოშვილი პირად მაგალითს იძლეოდა ხელოვანის ასეთი ვალდებულებისა. სახალხო მოძრაობის აღმავლობის მთელ მანძილზე იგი იყო რევოლუციური პოეზიის მეთაური ქართულ მწერლობაში.

ირადიონ ევდოშვილის გზას გაჰყვა მთელი თაობა ახალგაზრდა მწერლებისა, რომლებიც იმ დროის ჟურნალ-გაზეთებში („მოგზაური“, „ცხრობის ფურცელი“, „ივერია“, „ტალღა“, „ახალი სხივი“, „ახალი დროება“, „ჩვენი ცხოვრება“, „მნათობი, „ელვა“, „შრომა“ და სხვ.) ბეჭდავდნენ ლექსებსა და მოთხრობებს. ამ თაობაში რევოლუციური აქტივობით გამოირჩეოდნენ ნოე ჩხიკვაძე, ვარლამ რუხაძე, ნიკო კურდღელაშვილი, ია ეკალაძე, იოსებ მჭედლიშვილი, ნატალია აზიანი, დომენტი თომაშვილი, ბაბილინა და სიკო ფაშალიშვილები, შალო მღვიმელი, ნოე ზომლეთელი, იასამანი, გიორგი ქუჩიშვილი, პოლიო ირეთელი, ჯაჯუ ჯორჯიკია, მიხეილ კინწურაშვილი და სხვები[2]. ამათგან უმრავლესობა არა მარტო კალმით, არამედ პრაქტიკულად მონაწილეობდა რევოლუციაში, გამოდიოდა მუშათა და გლეხთა მიტინგებზე, იდგა ბანიფესტანტთა მოწინავე რიგებში, — ავრცელებდა არალეგალურ ლიტერატურას.

მ ი ხ ე ი ლ ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, რომელიც პირველი რევოლუციის წინ გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე და მაშინვე, როგორც ცხოვრების რეალისტმა მხატვარმა საზოგადოებრიობის აღიარება დაიმსახურა, პირველი რევოლუციის დასაწყისიდანვე პუბლიცისტურ საქმიანობაში ჩაება და გაბედულად შეუდგა რუსეთის თვითმპყრობელური რეჟიმის შავბნელ მხარეთა გამომზეურებას. ამ პერიოდში მ. ჯავახიშვილი ძირითადად თანამშრომლობდა გაზეთ „ივერიაში“ და ზედიზედ აქვეყნებდა სტატიებს საერთო იმპერიული ვითარების შესახებ („რუსეთის

---

1 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 10, გვ. 34—41.

2 ს. ჭ ი ლ ა ი ა, უახლესი ქართული მწერლობა, 1972, გვ. 23; შ ა ლ ვ ა გ ო ზ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, ქართული რევოლუციური მხატვრული ლიტერატურის ისტორიისათვის, 1963, გვ. 141—187.

ცხოვრებიდან"). ამ წერილებში ფაქტები და მოვლენები ისეა შერჩეული, დალაგებული და გაანალიზებული, რომ მკითხველს წარმოუდგენს იმდროინდელი სოციალურ-პოლიტიკური რეჟიმის მთელ საშინელებას, აღძრავს მის წინააღმდეგ ბრძოლის სულისკვეთებას. 1905 წ. 3 მარტის „ივერიაში" მ. ჯავახიშვილი ყურადღებას ამახვილებს კავკასიის ხალხების სოციალურ-კოლონიური ჩაგვრის აუტანლობაზე და დასაბუთებას აძლევს რევოლუციურ შემართებას, რომელიც ამ დროის ამიერკავკასიისათვის იყო დამახასიათებელი. იგი ამხელს ცარიზმის ვერაგულ განზრახვას კავკასიის ხალხთა წაკიდებისა და მოუწოდებს ამ ხალხებს შეამჭიდროონ რიგები რევოლუციის სასარგებლოდ.

1905 წელს გამოქვეყნებულ მის პუბლიცისტურ სტატიებს ახასიათებს საბრძოლო პათოსი. 1905 წლის დეკემბრის შემდეგ გამოქვეყნებულ სტატიებში დაგმობილია რა ცარიზმის „სისხლიანი ქელეხი", გამოსჭვივის რწმენა რევოლუციის ხელახალი აღორძინებისა. „ივერიის" 1906 წლის 11 ივნისის ნომერში მწერალი აღნიშნავს: „უსამართლობისა, უკანონობისა და ძალმომრეობის კლასიკურ ქვეყანაში, — კურთხეულ რუსეთში, — ჩვენ ვერაფერი გაგვაკვირვებს... ჩვენ საკუთარი თვალით ვნახეთ უმაგალითო ავანტიურა შორეულ აღმოსავლეთში, საკუთარი თვალით ვნახეთ ხალხის პირველი შეშმუშვნა მარშან 9 იანვარს, სევასტოპოლისა და ოდესის აჯანყება, მოსკოვის ბარიკადები, საქართველოს აოხრება და ბალტიისპირეთის მხარის აკლება. ჩვენ კარგად გვახსოვს და არასოდეს არ დავივიწყებთ ტრეპოვს, დუბასოვს, ორლოვს, ალიხანოვს, ტიმოფეევს, რენენკამფს, ნეიდგარტს და დურნოვოს, რომელთა შავი ხსოვნა ცეცხლის ასოებით არის აღბეჭდილი ჩვენს გულში. ამ ხსოვნას ჩვენ მომავალ თაობას გადავცემთ და ისეევ ვიამაყებთ 1905—1906 წლებით, როგორც ფრანგები ამაყობენ 1789, 1848 და 1871 წლებით"[1]. 1906 წელს მიხეილ ჯავახიშვილი გარდა იმისა, რომ სისტემატურად თანამშრომლობს გაზ. „ივერიაში", სამსონ ფირცხალავასთან ერთად აარსებს გაზ. „გლეხს", რომელსაც ხელს აწერს, როგორც ოფიციალური რედაქტორი (გაზეთის ფაქტიური რედაქტორი იყო ს. ფირცხალავა)[2]. „გლეხი" სოციალისტ-ფედერალისტების ორგანო იყო და, ცხადია, მის ფურ-

---

1 გაზ. „ივერია", № 15, 1906.

2 ქართული საზოგადოებრივი აზრის მკვლევართა შორის დავა ატყდა იმის თაობაზე, თუ ვინ იყო გაზ. „გლეხის" რედაქტორ-გამომცემელი — ს. ფირცხალავა თუ მ. ჯავახიშვილი (იხ. ლ. ნანიტაშვილი, სამსონ ფირცხალავა — რედაქტორი და გამომცემელი) 1906—1910 წ. „მაცნე", № 3, 1970; ტ. კვანტალიშვილი, კო-

ცლებზე პროპაგანდას უწევდნენ სოციალისტ-ფედერალისტთა მცდარ შეხედულებებს რევოლუციის არსსა და პერსპექტივებზე. მაგრამ, მიუხედავად ამისა, რევოლუციის უკუქცევის მძიმე პერიოდში, როცა გაბოროტებული ცარიზმი უკვე იწყებდა ხალხისადმი სისხლიან ანგარიშგასწორებას, ეს გაზეთი დადებით როლს ასრულებდა, რადგან კელავ აღვივებდა საქართველოს დემოკრატიული წრეების რევოლუციურ განწყობილებას[1].

1906 წ. მიხ. ჯავახიშვილი იძულებული გახდა ემიგრაციაში წასულიყო, რადგან ცარიზმის მოხელეთა დევნას განიცდიდა და დაპატიმრების საშიშროების წინაშე იდგა. ჟენევაში გადახვეწილი ქართველი მოღვაწე ენერგიულად შეუდგა სწავლას. ამასთან „ივერიასთან" და მის რედაქტორ ფ. გოგიჩაიშვილთან უწყვეტი ურთიერთობა ჰქონდა.

რევოლუციის დასაწყისმა ჰ ო ლ ა ლ ო მ თ ა თ ი ძ ეს მოუსწრო ნოვოროსიისკში, სადაც იგი მუშათა შორის მგზნებარე რევოლუციურ პროპაგანდას ეწეოდა. ამ დროს ჰოლა ლომთათიძეს ქართული საზოგადოებრიობა უკვე იცნობდა როგორც ნიჭიერ, იმედიან ქართველ ახალგაზრდა მწერალს. რევოლუციის მთელ მანძილზე ჰოლას არაფერი დაუწერია (თუ მხედველობაში არ მივიღებთ მის პუბლიცისტურ წერილებს გაზ. „ელვაში" 1906 წ.). მან, როგორც იტყვიან, კალამი ხიშტზე გაცვალა და მთელი გატაცებით ჩაება რევოლუციურ ბრძოლაში. ჰოლა გურიის რესპუბლიკის ერთ-ერთი ორგანიზატორთაგანი იყო. ხელმძღვანელობდა გურიის გლეხთა გამოსვლებს, რევოლუციური წესრიგის დაცვას, აქტიურად მონაწილეობდა ნასაკირალის ოპერაციაში. ჰოლა ლომთათიძის ცხოვრება-მოღვაწეობის მკვლევარი პროფ. გ. ციციშვილი მართებულად შენიშნავს, რომ ამ პერიოდში ჰოლა, რომელიც ფორმალურად მენშევიკურ ფრაქციას ეკუთვნოდა, თავისი რევოლუციური მგზნებარებით ნამდვილი ბოლშევიკი იყო. „დაწყებული 1905 წ. ზაფხულიდან, — წერს გ. ციციშვილი, — როცა ნოვოროსიისკიდან ჩამოვიდა და ნახევრად არალეგალურ მდგომარეობაში იმყოფებოდა, იგი (ჰოლა ლომთათიძე, ა. ს.) აქტიური მოქმედების მომ-

---

შენტარი ზედმეტი არ არის, „ცისკარი" № 6, 1971 წ.; ი. ბ ო ცვ ა ძ ე, გაზეთ „გლეხის" რედაქტორის ვინაობის საკითხისათვის, ჟურნალისტიკის თეორიისა და ისტორიის საკითხები, 111, 1974. ჩვენ ვფიქრობთ, რომ გაზეთების „გლეხის", „მიწას" დამაარსებელი და ფაქტიური რედაქტორი, ე. ი. წამყვანი მოღვაწე ამ გაზეთისა, იყო ს. ფირცხალავა. მ. ჯავახიშვილი მის უახლოეს თანამშრომელს წარმოადგენდა. გაზეთის საპროგრამო სტატიები ეკუთვნოდა ს. ფირცხალავას.

[1] გაზ. „ივერია", № 15, 1906.

ხრედ გვეელინება და საქმით შეიარაღებული აჯანყებისათვის იღვწის. მისი მეუღლის მოწმობით, ნასაკირალის ბრძოლების დროს, ჭოლა ენერგიულად უწყობდა ხელს მასების დარაზმვას, რეზერვების მომზადებას"[1]. 1906 წ. მარტ-აპრილში ჭოლას ირჩევენ რსდმპ IV („გამაერთიანებელი") ყრილობის დელეგატად და მიემგზავრება ქ. სტოკჰოლმში. ამ ყრილობაზე ჭოლა აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა და ძირითად საკითხებში ვ. ი. ლენინის პოზიცია ეკავა[2]. ყრილობიდან დაბრუნების შემდეგ იგი დაუცხრომლად მოღვაწეობდა ცარიზმის რეპრესიებიდან ხალხის დაცვაში, ამ დროს გადაწვა პოლკ. კრილოვის დამსჯელმა რაზმმა ჭოლას სახლი გურიაში. 1907 წ. დასაწყისში ჭოლა აირჩიეს II სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად. დეპუტატთა სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაში მას გაბედული რევოლუციური პოზიცია ეკავა. ამავე წლის მაისში იგი, როგორც დელეგატი, გაემგზავრა რსდმპ V ყრილობაზე ლონდონში. ყრილობის დამთავრების შემდეგ კვლავ დაბრუნდა პეტერბურგში II სათათბიროს დეპუტატთა სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაში სამოღვაწეოდ, მაგრამ 1907 წ. ივნისის დასაწყისში, როგორც ცნობილია, მეფემ II სათათბირო გარეკა, ხოლო მისი სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია დააპატიმრა. დაპატიმრებულთა შორის იყო ჭოლა ლომთათიძე — 24 წლის ყმაწვილი, რომლის პრაქტიკულ რევოლუციურ მოღვაწეობას ამიერიდან საბოლოოდ შეეკვეცა ფრთები.

ჭ. ლომთათიძე ერთ-ერთი უშიშარი რაინდია პირველი სახალხო რევოლუციისა. „ჭოლა მიუხედავად მენშევიკური ფრაქციისადმი კუთვნილებისა, — სამართლიანად ასკვნის გ. ციციშვილი, — თავისი სულით, მისწრაფებებით, ხასიათით, პირადი ცხოვრებითა და მხატვრული შემოქმედებით არ გამოხატავს ამ პოლიტიკურ მიმდინარეობას..."[3].

დემოკრატიული ინტელიგენციის რჩეულთა რიგებს უნდა მივაკუთვნოთ ი ვ ა ნ ე გ ო მ ა რ თ ე ლ ი. ღარიბი იმერელი აზნაურის ოჯახიდან გამოსულმა ივანე გომართელმა 1899 წელს დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი. სტუდენტობის დროიდან ჩაება იგი საზოგადოებრივ მოღვაწეობაში. აქტიურად თანამშრომლობდა „კვალის", „ივერიის", „მოამბის", „ჯეჯილის" ფურცლებზე, ეწეოდა

[1] გ ი ო რ გ ი ც ი ც ი შ ვ ი ლ ი, ჭოლა ლომთათიძის ცხოვრება და შემოქმედება, 1966, გვ. 46.

[2] დაწერ. იხ. გ. ც ი ც ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 48—60.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 79.

თარგმნით საქმიანობას. წერდა პუბლიცისტურ სტატიებს ცხოვრების მტკივნეულ საკითხებზე, სამეცნიერო-პოპულარულ თემებზე. ყველაზე მეტად ი. გომართელი მხატვრულმა ლიტერატურამ გაიტაცა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ დაბრუნდა საქართველოში და გახდა „კვალის" უახლოესი თანამშრომელი. სურდა კიდეც „კვალი" შეესყიდა და თვით ჩადგომოდა სათავეში მის გამოცემას.

პირველი რევოლუციის წინ ივ. გომართელი ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა. იგი უკვე სახელმოხვეჭილი ექიმია, ხალხის მეგობარი, უანგარო მზრუნველი მის ჯანმრთელობაზე. გაზ. „შრომა" 1906 წელს ახასიათებდა რა ი. გომართელის თავდადებას, როგორც მკურნალისას, აღნიშნავდა, რომ მან „დაიმსახურა ხალხის ყურადღება და სიყვარული. მრავალი ხალხი, განსაკუთრებით სოფლებიდან, დადიოდა სამკურნალოდ ბ-ნ გომართელთან, რომელიც უმეტეს შემთხვევაში სასყიდელს არ ართმევდა და ხშირად თვითონ ყიდულობდა შეუძლებელი პაციენტისათვის წამლებს. ასეთმა ქველმოქმედებამ გაუთქვა სახელი ბატონ გომართელს და დასავლეთ საქართველოში იშვიათია კაცი, რომ მადლობით არ იხსენიებდეს მის სახელს"[1].

ივ. გომართელმა არანაკლებ მოიხვეჭა სახელი როგორც მწერალმა და კრიტიკოსმა. 1896—1904 წლებში მან სხვადასხვა გამოცემაში 74-ზე მეტი სტატია გამოაქვეყნა, რომლებიც ჩვენი ცხოვრების მტკივნეულ მხარეებს ასახავდა, მაგრამ უმეტესობა ამ სტატიებიდან მაინც ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობას, გამოჩენილ მოღვაწეებს, ქართულ თეატრს შეეხებოდა[2].

ივ. გომართელის პოლიტიკური შეხედულებანი ერთი გარკვეული მიმართულებით არ განვითარებულა. XIX ს. 90-იან წლებში იგი „მესამედასელთა" პროგრამას იზიარებდა. 900-იანი წლებიდან სოციალდემოკრატიულ მიმართულებას გაჰყვა და მენშევიკური გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, თუმცა ეროვნულ საკითხში მენშევიკურ ნიჰილიზმს არ იზიარებდა და უფრო „ეროვნული ავტონომიის" ლოზუნგი იზიდავდა. იგი არ ყოფილა პოლიტიკური მოღვაწე — რევოლუციონერი და რომელიმე პოლიტიკური მიმდინარეობის დაცვა თავგამოდებით არასოდეს არ გაუხდია მოწოდებად. ი. გომართელი ტიპიური წარმომადგენელი

---

1 გაზ. „შ რ ო მ ა", № 46, 1906.

2 იხ. ივ. გ ო მ ა რ თ ე ლ ი, რჩეული თხზულებანი ორ ტომად, ტომი II, 1966, გვ. 445—448.

იყო იმ დემოკრატიული ინტელიგენციისა, რომელსაც ღრმად ჰქონდა შეგნებული არსებული სოციალურ-პოლიტიკური რეჟიმის დრომოჭმულობა, უსამართლობა და დამხობის აუცილებლობა. გულწრფელად თანაუგრძნობდა მშრომელი მასების თავგანწირულ ბრძოლას და ყოველთვის ცდილობდა ამ ბრძოლაში სათანადო წვლილი შეეტანა. მის ოცნებას ქართველი ხალხის სოციალური და ეროვნული თავისუფლება, მატერიალური და სულიერი ამაღლება წარმოადგენდა. იგი არ იყო მარქსისტი, მაგრამ თავისი რწმენით ახლო იდგა ამ მოძღვრებასთან, თუმცა ინტელიგენტისათვის ჩვეული იქვი, მერყეობა მაინც ხელს უშლიდა პროლეტარიატის განთავისუფლებისათვის მებრძოლ ხელმძღვანელთა რიგებში დამდგარიყო[1].

საქართველოს ბოლშევიკები მუდამ პატივს სცემდნენ ი. გომართელს მისი გულწრფელი დემოკრატიზმის გამო. იგი აქტიური თანამშრომელი იყო ჟურნალ „მოგზაურისა". ამ პატივისცემასთან ერთად, ბოლშევიკები მუდამ პრინციპულ შეფასებას აძლევდნენ ი. გომართელის შეცდომებს, ამზეურებდნენ ეროვნულ საკითხზე მისი შეხედულებების ილუზიურობას. მარტო 1905 წელს ივ. გომართელმა „მოგზაურის" და „ივერიის" ფურცლებზე 25-ზე მეტი სტატია გამოაქვეყნა, რომლებიც იმდროინდელი ცხოვრებისა და კულტურის აქტუალურ საკითხებს შეეხებოდნენ. ამავე პერიოდში დაწერა პიესა „ქოხში" (დაიბეჭდა 1905 წ.), რომელიც წარმატებით დაიდგა მაშინვე ქართულ სცენაზე და დიდი მოწონება დაიმსახურა.

ივ. გომართელს აქტიური მოღვაწეობის გამო ცარიზმის აგენტები დაპატიმრებას უმზადებდნენ. იგი 1906 წლის დასაწყისიდან არალეგალურ მდგომარეობაზე გადავიდა და მალულად გაემგზავრა ემიგრაციაში.

ივ. გომართელის ტიპის საზოგადო მოღვაწე იყო თ ე დ ო ს ა ხ ო კ ი ა. თედო თერგდალეულთა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ იდეალებზე აღიზარდა და ამ სახელოვან თაობას XIX ს. 90-იანი წლების დასაწყისიდან ამოუდგა გვერდით, როგორც ქართველი ხალხის ტრადიციების, ყოფისა და კულტურის დაუცხრომელი პროპაგანდისტი, მისი განვითარებისათვის თავდადებული მებრძოლი მწერალი და მეცნიერი. 900-იანი წლებიდან თ. სახოკია გაზ. „ცნობის ფურცლის" თანამშრომელი გახდა. აქტიურად მონაწილეობდა სოციალისტ-ფედერალისტების გაზეთის „საქართველოს" გამოცემაში პარიზში, სადაც, ამასთან ერთად, ცოდნას იღრმავებდა საანთროპოლოგიო უმაღლეს სკოლაში

[1] იხ. ვ ლ. წ ო ფ ე ლ ი ა, ივანე გომართელი, 1919.

ისეთი გამოჩენილი სპეციალისტების ხელმძღვანელობით, როგორიც იყვნენ ლეფევრი, მანუვრიე, ლაბარდი და სხვები.

თედო სახოკია, მართალია, სოციალისტ-ფედერალისტების გაზეთში თანამშრომლობდა და ფორმალურად ამ პარტიის წევრადაც ითვლებოდა, მაგრამ არასოდეს არ გამხდარა ამ პარტიის მოტრფიალე ორთოდოქსი. მას არც ერთი საპროგრამო პოლიტიკური ხასიათის სტატია არ გამოუქვეყნებია და არ ცდილა დაეცვა ამ პარტიის შეხედულებები, რომელსაც მარჯვნიდან და მარცხნიდან სასტიკად აკრიტიკებდნენ. გულწრფელ პატრიოტ თ. სახოკიას ეგონა, რომ სოციალისტ-ფედერალისტების ეროვნული პროგრამა უკეთ სჭვრეტდა საქართველოს მომავალს და ამიტომ მიეკედლა ამ პარტიას. მისი მთელი მოღვაწეობა კი აგრძელებდა XIX საუკუნის 90-იან წლებში აღებულ გზს და ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის საკითხებს მოიცავდა. ამასთან ეწეოდა დაუღალავ თარგმნითს მოღვაწეობას და ქართველი მკითხველისათვის ხელმისაწვდომს ხდიდა ფრანგი, იტალიელი კლასიკოსების საუკეთესო ქმნილებებს. თედო სახოკია უშიშრად ებრძოდა ცარიზმის რეაქციულ პოლიტიკას. 90-იან წლებში იგი აქტიური წევრი იყო ქართველ მოღვაწეთა იმ პატარა ჯგუფისა, რომელსაც აფხაზეთში გაბედულად აღუდგა წინ თვითმპყრობელობის შორგამიზნულ პროგრამას აფხაზეთის სრული რუსიფიკაციისა. ანთიმოზ ჯუღელთან, პ. ჭარაიასთან, ი. გეგიასთან და სხვებთან ერთად თ. სახოკიამ დიდი მუშაობა ჩაატარა აფხაზეთში სახალხო განათლების ქსელის გაფართოებისათვის და ამ დროიდან ცარიზმის მოხელეთა დევნა დაიმსახურა.

1905 წლის რევოლუცია თედო სახოკიამ აღიქვა, როგორც დასაწყისი მისი სანუკვარი იდეალების განხორციელებისა და რევოლუციის დაუცხრომელ მოღვაწეთა გვერდით დადგა. 1905 წლის დასაწყისში იგი პარიზში იყო და აქტიურ მონაწილეობას იღებდა საქართველოს აჯანყებული მშრომელებისათვის იარაღის შეძენის მოსამზადებელ მუშაობაში, რომელსაც გიორგი დეკანოზიშვილი ხელმძღვანელობდა. ამ ჯგუფმა ჰოლანდიაში შეიძინა იარაღი, ხომალდი და სამშობლოში გამოგზავნა ირალეგალურად. თ. სახოკია იარაღის შეძენისთანავე გამოემგზავრა საქართველოში, რომ სათავეში ჩადგომოდა სოხუმსა და ფოთში იარაღის გადმოტვირთვასა და განაწილებას. „სამშობლოში ჩამოსულს უნდა მეკისრნა საზღვარგარეთიდან წამოსული იარაღის მისალებად დახვედრება ხალხისა და ამ იარაღის გადმოცლა შავი ზღვისპირის სხვადასხვა პუნქტებში. ეს ჩემი გასაკეთებელი საქმე ჩემთვის უნდა გაეადვილებინა იმ გარემოებას, რომ შავი ზღვისპირის (სო-

ბუმის) მცხოვრები ვიყავ და ამ ზღვის სანაპირო ადგილები და მკვიდრნი ჩემთვის ნაცნობნი და შინაურნი იყვნენ.

სამშობლოში დაბრუნებისთანავე გემის მოლოდინისა და მის მიერ წამოღებული იარაღის მისაღებად მზადების ამბავი გავუზიარე ჩემს სკოლის ამხანაგს მიხეილ ესაკიას, რომელსაც ფოთის პორტის მუშათა შორის დიდი გავლენა და სახელი ჰქონდა და სწორედ ამ პორტის მუშებსა და მენაველთ უნდა მიეღოთ ამ საქმეში უშუალო და მხურვალე მონაწილეობა, მათის მეშვეობით უნდა გადმოტვირთულიყო საზღვარგარეთიდან მოსული იარაღი და დაჰრიგებოდა ხალხს რევოლუციისათვის...

დაეაარსე კომიტეტები ფოთის გარდა ბათუმსა და სოხუმში. ბათუმში მოეწყო გაზეთ „ჩერნომორსკი გესტნიკის" სტამბაში პარტიულ არალეგალურ გამოცემათა ბეჭდვა და აქედან ხალხში გავრცელება. მოეწყო სხვადასხვა ქალაქებში საჯაროდ მიტინგებზე გამოსვლა, აშკარად, საყოველთაოდ დაგმობა არსებულ წესწყობილებისა და მოთხოვნა ამ წესწყობილების შეცვლისა"[1].

როგორც ცნობილია, იარაღის შეძენის, გადმოზიდვის, განაწილების სიმძიმე ძირითადად ბოლშევიკურმა პარტიამ გადაიტანა. რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის სამხედრო-ტექნიკური კომისია ხელმძღვანელობდა საქართველოში შეიარაღებული აჯანყების ტექნიკურ მომზადებას. იარაღის შემოტანა საქართველოში კონსპირატიულად მოეწყო. დიდ ოსტატობით ჩატარდა მისი გადმოტვირთვა. მართალია, გადმოტვირთული იარაღის ნაწილი ხელში ჩაუვარდა მთავრობას, მაგრამ დიდი ნაწილი მაინც დაურიგდა რევოლუციურ ორგანიზაციებს. ამ განაწილებაში ი. ბ. სტალინთან ერთად დიდ როლს ასრულებდა ს. ორჯონიკიძე, რომელიც ამ დროს სოხუმსა და გუდაუთში სათავეში ედგა შეიარაღებულ ბრძოლებს ცარიზმის წინააღმდეგ.

შეიარაღებული აჯანყების ბოლშევიკი ორგანიზატორები ხშირად მიმართავდნენ რევოლუციურად განწყობილი დემოკრატიული ინტელიგენციის ცალკეულ წარმომადგენლებთან თანამშრომლობას იარაღის შეძენის, ადგილობრივი დამზადების, მებრძოლი რაზმების დაკომპლექტებისა და სხვ. საქმეში. ამ მხრივ თედო სახოკიას მიერ გაწეული

---

[1] თ ე დ ო ს ა ხ ო კ ი ა, ავტობიოგრაფია, „თ. ს ა ხ ო კ ი ა, კრებული, 1969, გვ. 234—235.

მუშაობა შეიარაღებული აჯანყების მომზადებისათვის ფრად ნაყოფიერი აღმოჩნდა.

რევოლუციურ-დემოკრატიული პოზიციიდან აღიქვეს 1905—1906 წლების დიდი სახალხო მოძრაობა ს. მგალობლიშვილმა, ეკ. გაბაშვილმა, შ. არაგვისპირელმა, დ. კლდიაშვილმა, ვ. ბარნოვმა, ანასტასია ერისთავ-ხოშტარიამ, კოტე მაყაშვილმა და სხვებმა. ამასთან რევოლუციის წლებში მოვიდა ახალი ნიჭიერი თაობა ქართულ ლიტერატურაში (ი. ზურაბიშვილი, შ. დადიანი, ს. შანშიაშვილი და სხვ.), რომლებმაც თავის პირველსავე ქმნილებებში გამოხატეს არსებული რეჟიმისადმი შეურიგებლობა, ქვეყნის რევოლუციური გარდაქმნის სულისკვეთება და მისწრაფება ამ გარდაქმნებში აქტიური მონაწილეობისა.

რევოლუციის წლებში ქართული ლიტერატურა გამდიდრდა იდეურ-თემატურად, ჟანრობრივად. „მრავალმხრივია და მრავალფეროვანი ამ პერიოდის ქართული მწერლობის თემატიკა, — შენიშნავს პროფ. ს. ჯილაია, — ვინც კრიტიკული თვალით შეხედავს მაშინდელ ქართულ ლიტერატურას, ადვილად შეამჩნევს, რომ იმდროინდელ მწერლობას, ერთი მხრივ, განსაზღვრავს XIX საუკუნის ქართული კლასიკური მწერლობის მოწინავე ტრადიციები, მისი სოციალური, ეროვნული, პროგრესული შეხედულებები, მეორე მხრივ, პროლეტარიატის სახელთან დაკავშირებული სოციალისტური ლიტერატურის ნოვატორული მოტივები და იდეები. სწორედ ამ პერიოდში გამოჩნდა სოციალისტური რეალიზმის ტენდენციები ქართულ მწერლობაში... ეს ტენდენციები ფართოდ შეიჭრა ლიტერატურაში. გამოჩნდნენ მუშათა კლასის პირველი წარმომადგენლები მწერლობაში"[1].

რევოლუციის საქმეს დიდ სამსახურს უწევდა ის პუბლიცისტური ფელეტონები, რომლებიც ამ დროს საქართველოს ბოლშევიკურ და რევოლუციურ-დემოკრატიულ პრესაში წამყვანი ჟანრი გახდა. ის დიდი ტრადიციები, რაც პუბლიცისტური ფელეტონების მხრივ გააჩნდა ქართულ ლიტერატურას (ილია, აკაკი, ნიკო ნიკოლაძე და სხვ.), რევოლუციის წლებში გამდიდრდა და გამრავალფეროვანდა. ი. ევდოშვილის, ნ. აზიანის, ი. ეკალაძის, ნ. კურდღელაშვილის, შ. შარაშიძის, თ. კიკვაძის სატირულ-იუმორისტული ფელეტონები ბასრი იარაღი იყო რევოლუციის მტრების, ცარიზმის აგენტებისა და ლიბერალური მერყეევი ელემენტების გამოსამზეურებლად. იგი სიცოცხლისა და ბრძო-

---

[1] სერგი ჯილაია, უახლესი ქართული მწერლობა, გვ. 15—16.

ლის ხალისს მატებდა მშრომელ მასებს, ეხმარებოდა მათ რევოლუციის მტერმოყვარეთა გამოცნობაში.

რევოლუციამ ხელი შეუწყო ჟურნალისტურ ასპარეზზე ახალი ძალების გამოჩენას. რევოლუციურ-დემოკრატიულ პრესაში სისტემატურად იბეჭდებოდა ცარიზმის რეაქციული რეჟიმის, თვითმპყრობელობის კავკასიელი აგენტების მამხილებელი და რევოლუციური პათოსით გამსჭვალული ფელეტონები ფ. გოგიჩაიშვილის, პ. სურგულაძის, გ. რცხილაძის, ს. ფირცხალავას, გ. ლასხიშვილისა და მრ. სხვ. რევოლუციას ფართოდ ეხმაურებოდა საბავშვო ლიტერატურა. საბავშვო ჟურნალები „ჯეჯილი", „ნაკადული" აქვეყნებდნენ მოთხრობებსა და ლექსებს, რომლებიც ნორჩ თაობას ზრდიდნენ თვითმპყრობელური რეჟიმისადმი მტრობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის ერთგულების სულისკვეთებით. საბავშვო ლიტერატურის დიდი მოამაგე იყო მრავალმხრივი მოღვაწე მარიამ დემურია, მან შემოიკრიბა შესანიშნავი თაობა დემოკრატი ქალებისა (ან. თუმანიშვილი-წერეთლისა, ეკ. გაბაშვილი, ნ. ნაკაშიძე, ელ. დეკანოზიშვილი და სხვ.), რომლებიც პირველი სახალხო რევოლუციის წლებში არა მარტო მოზარდი თაობის სახით მებრძოლთა საიმედო შევსებას ამზადებდნენ, არამედ თვით აქტიურად მონაწილეობდნენ მასების რევოლუციურ შემართებაში.

• • •

საქართველოს თეატრალურმა ინტელიგენციამ პირველი რევოლუციის წლებში კიდევ უფრო გააღრმავა ის მაღალი საბრძოლო ტრადიციები, რომლებიც მან ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ადრინდელ ეტაპებზე გამოიმუშავა. ქუთაისისა და თბილისის პროფესიული თეატრები, დედაქალაქსა თუ სამაზრო ცენტრებში მუშათა და სახალხო თეატრები რევოლუციის ტრიბუნებად გარდაიქმნენ, წარმოგვიდგნენ მძლავრ სააგიტაციო ძალად მასების რევოლუციური შთაგონების საქმეში.

რევოლუციის მღელვარე დღეებისათვის ქუთაისის თეატრიც და მაყურებელიც, როგორც ზემოთ ვნახეთ, კარგად შეამზადა გამოჩენილმა მსახიობმა და რეჟისორმა ლადო მესხიშვილმა. მისი სპექტაკლები გამსჭვალული იყო უსამართლობის წინააღმდეგ მწვავე პროტესტის სულისკვეთებით და მთლიანად შეესატყვისებოდა მაყურებელთა განწყობილებას. სპექტაკლების მიმდინარეობის პერიოდში რევოლუციური ახალგაზრდობა ავრცელებდა პროკლამაციებს. სპექტაკლების

შემდეგ უმეტეს შემთხვევაში იმართებოდა რევოლუციური დემონსტრაციები.

განსაკუთრებით შთაბეჭდავი მაინც მონტის „კაიგრაკხი“ იყო, რომელმაც ლ. მესხიშვილის დადგმით და მონაწილეობით 1905 წ. თითქმის მთელი საქართველო მოიარა. „ოვაციები, ახალგაზრდობის სიგიჟემდე მისვლა, ქუდების სროლა, ტრიბუნაზე გადმომდგარ კაი-გრაკხისადმი აპლოდისმენტები, ყვირილ-ყიჟინი, ქება-დიდება, სტვენა, ერთი სიტყვით, სამხრეთის სისხლის ადუღება და მის კვალობაზე აღმაფრენა, ხოლო მის გვერდით პოლიციის ჩარევა და აურზაური, — აი რას იწვევდა ეს პიესა“[1], — იგონებს დავით კასრაძე.

გაზეთ „ივერიაში“ თ. ხუსკივაძე მაღალ შეფასებას აძლევდა ლადო მესხიშვილის მოღვაწეობას. „ბ-ნი მესხიშვილი გამოცდილი და დახელოვნებული მსახიობია, რომელმაც ალღო აუღო დღევანდელი ცხოვრების განვითარებას, კბილები მოუსინჯა მის მოთხოვნილებას, აწონ-დაწონა მისი გემოვნება, აზროვნება, ესთეტიკა და ამ მოთხოვნილების შესაფერისი რეპერტუარიც შეადგინა... ეს რეპერტუარი, — შენიშნავს რეცენზენტი, — თავისი შინაარსით მოსწონს ხალხს, რადგან აქ გამოთქმული აზრები ხალხის უმეტესი ნაწილის გულის დარდ-ვარმებს, მათ მისწრაფებას გამოსთქვამს. ბ-ნმა მესხიშვილმა ამგვარი პიესების დადგმით ეს მისწრაფებანი და ხალხის გულის თქმანი თავისის დასის ხელოვნური თამაშით განახორციელა და ისე ღრმად ჩაბეჭდა მათ გონებაში, როგორც თვალსაჩინო, სწავლის დროს ბავშვის ნორჩ გონებაში სამუდამოდ აღმოუფხვრელი რჩება მასწავლებლის გონიერად ახსნილი რაიმე ახალი მცნება. ამგვარად, წლევანდელმა დრამატიულმა დასმა, ერთი მხრივ, სიყვარული და მადლობა დაიმსახურა საზოგადოებისა და, მეორე მხრივ, კიდევ უფრო გააღვივა ხალხის გულში აღგზნებული ახალი ცხოვრებისადმი მისწრაფებანი, აღძრა კეთილშობილური გრძნობანი, ბოროტების დასაგმობად და ახალი ცხოვრებისათვის გზის გასაკაფავად“[2].

ლ. მესხიშვილი არა მარტო სცენიდან აღაგზნებდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლ ძალებს, არამედ საჭიროების შემთხვევაში ბარიკადების აგებას მეთაურობდა და რევოლუციის მტრებთან ბრძოლებში მონაწილეობდა. როცა, მაგალითად, ალიხანოვ-ავარსკის

---

1 დ ა ვ ი თ კ ა ს რ ა ძ ე, ლიტერატურული პორტრეტები, 1962, გვ. 149.

2 გაზ. „ივერია“, № 21, 1905.

ღამსჯელი რაზმები ქუთაისს ემუქრებოდნენ დასარბევად. ლ. მესხიშვილი თეატრის ირგვლივ ბარიკადების აგებას მოთავეობდა. მის გვერდით იყვნენ მსახიობები ი. მურვანიშვილი, გ. ჩარკვიანი, ა. მურუსიძე, გ. თუთბერიძე, მ. ჯანსემო, ლ. სანიკიძე, ვ. ჩხიკვაძე, დ. ნარიკაშვილი, თ. შველიძე, ი. ჭანკოტაძე, ს. ბოჭორიშვილი, მათთან ერთად სცენის მუშაკები[1].

ლ. მესხიშვილის როგორც რევოლუციისათვის თავდადებული მებრძოლის დასახასიათებლად შესანიშნავი მასალაა ლ. მესხიშვილის სიტყვა ქუთაისის თავადაზნაურობის კრებაზე, რაზედაც დაწვრილებით მოგვითხრობს ჟურნ. „მოგზაური". 9 აპრილს ამ კრებაზე აზნაურმა იაშვილმა ლადო მესხიშვილს ბრალად დასდო, რომ იგი თავადაზნაურობის ფონდიდან მიღებულ დახმარებას იყენებდა ისევ თავადაზნაურობის წინააღმდეგ, რადგან ხალხს რევოლუციისკენ მოეწოდებდა. საპასუხო სიტყვით გამოვიდა ლ. მესხიშვილი, რომელმაც განაცხადა: „ბატონი იაშვილი მაყვედრის, რომ ჩვენ ფული შევუკრიბეთ ჩვენს არტისტს, მოვარჩინეთ ის და ის კი ისეთ წარმოდგენებს მართავს, რომ აზნაურობას სამარეს უთხრისო. მოვახსენებ ბ-ნ იაშვილს, რომ მე აზნაურობას არ ვეკუთვნი, მე ვეკუთვნი მთელ ერს, ფულს როდი ვემსახურები, არამედ სცენას, ჩემს რწმენას და ვერავითარი სასყიდელით ვერვინ ვერ მომისყიდის და ვერ მათქმევინებს იმას, რაც ჩემს რწმენას ეწინააღმდეგება". თავადაზნაურობა ყვიროდა და თავმჯდომარეს მოუწოდებდა ტრიბუნა წაერთმია ლ. მესხიშვილისათვის. მან ქება-დიდება შეასხა რევოლუციას და თავადაზნაურობას მოუწოდა, რომ თუ მას არ სურს ხალხისაგან საბოლოოდ გაირიყოს, ფეხი უნდა ჰუწყოს რევოლუციას[2].

ლ. მესხიშვილის მეთაურობით ქუთაისის თეატრი 1905 წელს გასტროლებს აწყობდა თბილისში, ბათუმში, ფოთში, სოხუმში, განჯაში, ხონში, ზესტაფონში. თეატრის რევოლუციური სპექტაკლები ყველგან აღაფრთოვანებდა მაყურებელს. სპექტაკლის შემდეგ, ჩვეულებრივ, მიტინგი და დემონსტრაციები იმართებოდა. ხშირად სპექტაკლები ეწყობოდა ადგილობრივი ბოლშევიკური ორგანიზაციების ფულადი დახმარებისათვის — იარაღის შესაძენად.

თუ ქუთაისის თეატრის შემოქმედებითს საქმიანობას ქართული პრესა მაღალ შეფასებას აძლევდა და მის ხელმძღვანელს ქება-დიდე-

---

[1] აკ. ფაღავა, ლადო მესხიშვილი, 1969; ალ. ბურთიკაშვილი, თეატრალური პორტრეტები, 1958.

[2] ჟურნ. „მოგზაური", № 15, გვ. 237.

ბას ასხამდა. სამაგიეროდ, სამართლიან საყვედურს გამოთქვამდა თბილისის დრამატული საზოგადოებისა და თეატრალური დასის მისამართით, რომელიც უმოქმედობას იჩენდა და ჩამორჩებოდა ეპოქის მოთხოვნებს. გაზ. „ივერია" დედაქალაქის დრამატულ საზოგადოებას ურჩევდა პირველ რიგში ყურადღება გაემახვილებინა რეპერტუარზე და აერჩია დროის შესაფერისი პიესები. „დრონი იცვალნენ, იცვალა ხალხიც, მისი გონება და გრძნობა, მისი მისწრაფება სულ სხვას თხოულობს, ვიდრე წინად. მას ესაჭიროება დროის შესაფერისი რეპერტუარი"[1], — მიუთითებდა გაზეთი. დრამატულმა საზოგადოებამ და ახლად ჩამოყალიბებულმა დასმა გაითვალისწინა სამართლიანი შენიშვნები. სეზონი გაიხსნა სუმბათაშვილ-იუჟინის „ღალატით". სეზონში თეატრმა წარმოადგინა ა. კოსოროტოვის „გაზაფხულის ნიაღვარი" (ვ. გუნიას თარგმანი), ა. სტრინდბერგის „მამა" (თარგმანი თ. ხუსკივაძისა), ვ. პროტოპოპოვის „ცსოვრების გარეშე", ფ. ფილიპის „ქაცობრიობის კეთილისმყოფელნი" (ვ. გუნიას თარგმანი); ნოემბერში ე. გუნიამ დადგა „მეზობლები". შემოსავალი მთავრობის ჯარების მიერ დაწიოკებული მოსახლეობის დახმარების ფონდში გადაირიცხა. თბილისის თეატრალური დასის წამყვანი ძალები — ვალ. გუნია, ვ. აბაშიძე, ნ. ჩხეიძე, ტ. აბაშიძე, ვ. შალიკაშვილი, შ. დადიანი, კ. შათირიშვილი, მ. მდივანი და სხვები ენერგიულად ზრუნავდნენ თბილისის თეატრი რევოლუციის ტრიბუნად გადაექციათ. ისინი, ამასთან, აქტიურად მონაწილეობდნენ სახალხო თეატრების მუშაობაში.

რევოლუციის წლებში მუშათა თეატრების, ავჭალის სახალხო თეატრის შემოქმედებითი საქმიანობაც ფერხდებოდა, რადგან მსახიობები, რომლებიც ძირითადად თბილისელი მუშებისაგან შედგებოდა, რევოლუციურ ბრძოლებში იყვნენ ჩაბმულნი და წარმოდგენებისათვის აღარ ეცალათ. მიუხედავად ამისა, დროდადრო აქაც იმართებოდა სპექტაკლები. ხშირად ამ თეატრების სცენაზე გამოდიოდნენ ლ. მესხიშვილი, ვ. გუნია, შ. დადიანი, ვ. აბაშიძე და სხვა გამოჩენილი მსახიობები.

სისტემატურად ეწყობოდა მასობრივი გართობანი სამაზრო ცენტრებში, მსხვილ დაბებსა და სოფლებში. ალეგრო-სალამოების შემოსავალი რევოლუციის საქმეს ხმარდებოდა. ეს ღონისძიებანი ადგილებზე ხორციელდებოდა ადგილობრივი შემოქმედებითი ინტელიგენციის ხელმძღვანელობით.

გაზ. „ივერია" აგვიწერს „ყვენობას" — ძველ სახალხო დღესასწაულს თელავში 1905 წლის თებერვალში. ზეიმს წინ აღუდგა ადგი-

[1] გაზ. „ივერია", № 92, 1905.

ლობრივი ხელისუფლება. ყველობის მონაწილეებმა ბოქაულ-სტრაჟნიკებს სცემეს, წითელი დროშა ააფრიალეს. „ყველობა" გადაიქცა გრანდიოზულ რევოლუციურ დემონსტრაციად, რომელშიც დიდძალი ხალხი მონაწილეობდა[1].

თეატრის ქართველ მოღვაწეთა რევოლუციური მატიანის სახელოვანი ფურცელია ა. სუმბათაშვილ-იუჟინის შემოქმედება მოსკოვის მცირე თეატრში. მისი დრამა „ღალატი", სადაც მთავარ როლებს თვით სუმბათაშვილი (ოთარ ბეგი) და მ. ნ. ერმოლოვა (ზეინაბი) განასახიერებდნენ, ქმნიდნენ საშობლოსათვის თავგანწირული მებრძოლების აჭაღელვებელ სახეებს, რაც მთელ დასს და მაყურებელს აღაფრთოვანებდა და განაწყობდა საშობლოს მტრების წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლის სულისკვეთებით.

სახელოვანი ქართველი რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი, რომელიც ამ დროს რუსეთში მოღვაწეობდა, მაქსიმ გორკისთან ერთად მასებში რევოლუციური იდეალების გაღვივებას ემსახურებოდა. 1905 წელს მან მოსკოვში დადგა მ. გორკის „მოაგარაკენი", რომელმაც აღაფრთოვანა მაყურებელი და კიდევ უფრო გააღვივა მასში თვითმპყრობელური რეჟიმის სიძულვილი. 1905 წ. კ. მარჯანიშვილი ეწეოდა აქტიურ რევოლუციურ საქმიანობას. იგი დაკავშირებული იყო ქართველ სტუდენტთა სათვისტომოსთან. მათთან ერთად გამოდიოდა მიტინგებზე, მონაწილეობდა დემონსტრაციებსა და საბარიკადო ბრძოლებში. „მე გამალებით დავრბოდი მიტინგიდან მიტინგზე, გრიმს გრიმზე ვიცვლიდი და ყველგან მხურვალე სიტყვებით თვითმპყრობელობის ჩამოგდებისათვის მოვუწოდებდი ხალხს. თეატრში მოვაწყეთ მებრძოლი რაზმი, თუმცა მხოლოდ ერთადერთი რევოლვერი გვქონდა და რამდენიმე ხმალი თეატრის რეკვიზიტიდან... ყველგან იქ გავჩნდებოდით, სადაც სროლა გაჩაღდებოდა მუშებსა და პოლიციას შორის"[2], — იგონებს დიდი რეჟისორი.

კ. მარჯანიშვილი სათავეში ჩაუდგა რიგის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქართველ სტუდენტთა იმ რაზმს, რომელსაც უნდა „გაეტაცნა" რიგაში დაპატიმრებული მაქსიმ გორკი და მისი მეუღლე მსახიობი მ. ფ. ანდრეევა[3].

---

[1] გაზ. „იბერია", № 18, 23, 1905.

[2] კ. მ ა რ ჯ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, „მოგონებანი და წერილები", 1947, გვ. 10.

[3] გ. ბ უ ხ ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი. ქართული თეატრი — რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში, გვ. 94.

მსახიობი ვასო არაბიძე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოსკოვის ქართველთა შეიარაღებულ რაზმს ხელმძღვანელობდა და არაერთი გმირული ბრძოლა გადაიხადა შავრაზმელთა წინააღმდეგ. ამ რაზმის წევრები იყვნენ თეატრალური სასწავლებლის სტუდენტები ალ. წუწუნავა, მისი ძმა ს. წუწუნავა და ბაბო როსტომაშვილი.

ქართული თეატრის მსახიობი ვასო ურუშაძე 1905 წ. პეტერბურგის დემონსტრაციაში მონაწილეობდა. პოლიციასთან შეტაკებისას იგი დაჭრეს.

მგზნებარე რევოლუციონერი იყო ქართველი მუსიკოსი ია კარგარეთელი. იგი სოციალ-დემოკრატიულ გაზეთ „ტალღას" რედაქტორობდა ია კარგარეთელი ამ დროს საოპერო თეატრში მოღვაწეობდა, სადაც საქველმოქმედო მიზნით ხშირად დგამდა სპექტაკლებს. რევოლუციის წლებში მან განახორციელა ქართულად „სევილიელი დალაქის" და „დემონის" დადგმა. თეატრის ბილეთებს აგიტატორები მუშათა შორის ჰყიდდნენ. სპექტაკლების შემდეგ ხშირად იმართებოდა მიტინგები და დემონსტრაციები. რეაქციის აგენტები ია კარგარეთელს გადაემტერნენ და ტერორი დაუნიშნეს. 1906 წ. 14 დეკემბერს იგი დაიპატიმრეს და ღამით, საპატიმროში შეყვანის წინ ზურგიდან ესროლეს. „დავეცი, ორი კბილიც ჩამემსხვრა, — იგონებს ია, — ვგრძნობ, რომ ტანისამოსს მხდიან, ამართვეს საათიც, — მოკვდაო, — სთქვეს და გაიქცნენ. დიდხანს ვეგდე უპატრონოდ, თვალებში ხან სიბნელე ჩამომაწვებოდა და ხან ცეცხლის ალი... უკანასკნელი ძალ-ღონე მოვიკრიბე და უადამიანო ხმით შევბღავლე: მიშველეთ, მომკლეს მეთქი, გუშაგი გოროდოვოი უმალვე მოიკრა ჩემთან. უშველოს ღმერთმა, იმან გადამარჩინა"[1].

მსახიობი, რეჟისორი, მწერალი, ჟურნალისტი იოსებ იმედაშვილი პირველი რევოლუციის წლებში თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლთა წინა რიგებში იდგა. ისნის და ორთაჭალის სახალხო თეატრის ენთუზიასტმა 1905 წელს მშობლიურ სოფელ ხაშმს მიაშურა და სათავეში ედგა ხაშმელ გლეხთა აგრარულ ბრძოლას. ხაშმელმა გლეხებმა გამოკვეთილად ჩამოაყალიბეს თავიანთი მოთხოვნები და მთავრობას წარუდგინეს. ხაშმს სხვა სოფლებიც შეუერთდნენ. ივრისპირელმა გლეხებმა გარეკეს მეფის მიერ დანიშნული მოხელეები, ჩამოაყალიბეს რევოლუციური ხელისუფლება; მამასახლისად იოსებ იმედაშვილი აირჩიეს. 1905 წლის მეორე ნახევრიდან 1906 წლის დასაწყისამდე ი. იმე-

---

[1] იხ. დ ა ვ ი თ კ ა ს რ ა ძ ე, ლიტერატურული პორტრეტები, გვ. 200.

დაშვილი სათავეში ედგა რევოლუციურ ხელისუფლებას. მისი თაოსნობით მოეწყო ადგილობრივი სასამართლო, ალაგმულ იქნა სამღვდელოება, ყველა საკითხს რევოლუციური მთავრობა წყვეტდა. სომეხთათართა შორის ცარიზმის მიერ მოწყობილი პროვოკაციის დროს, როცა სოფ. მუღანლოდან თათართა რაზმი დაიძრა, თბილისელ თანაშოძმეთა დასახმარებლად, ი. იმედაშვილმა შეიარაღებული რაზმებით მუღანლოელ თათრებს გზა გადაუღობა და უკან გააბრუნა[1]. როდესაც აჯანყებული გურული გლეხების „დასამშვიდებლად" კავკასიის ხელისუფლებამ ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელი რაზმები აამოქმედა, ი. იმედაშვილმა გურულების დასახმარებლად რაზმი ჩამოაყალიბა. „ერთ დღეს, — წერს თეატრმცოდნე ალ. ბურთიკაშვილი, — მეფის ნაცვლის სასახლეს ცხენოსანთა რაზმი მოადგა იოსების მეთაურობით. გარეკახეთის მშრომელთა სახელით იოსებმა მოსთხოვა მეფის ნაცვალს გურიიდან ჯარების გამოყვანა. თუ ეს არ გიქნიაო, განაცხადეს გარეკახელებმა, იარაღს ავისხავთ და ჩვენი ძმების მისაშველებლად დავიძვრებით გურიისკენო. გაზ. „ცნობის ფურცლის" დამატებაში დაიბეჭდა შეიარაღებული დელეგაციის სურათი, რომელთა შუაში იოსები დგას"[2].

თეატრალური ინტელიგენციის გვერდით უნდა დავასახელოთ ქართველი მხატვრების მცირე, მაგრამ სახელოვანი რაზმი, რომელიც რევოლუციას დიდი ენთუზიაზმით და იმედებით შეეგება.

ამ პერიოდისათვის უკვე სახელმოხვეჭილი ქართველი მხატვრები გ. გაბაშვილი და ალ. მრევლიშვილი რევოლუციის მხურვალე მოსარჩლეები იყვნენ. ალ. მრევლიშვილის ტილო — „რევოლუციონერის დახვრეტა", რომელსაც იგი რამდენიმე წელს ამუშავებდა, ნათლად ააშკარავებს როგორ ძლიერად განიცადა მხატვარმა 900-იანი წლების მღელვარე მოვლენები.

რევოლუციური მოძრაობის აქტიური მონაწილენი იყვნენ მხატვარი-გრაფიკოსი ა. გოგიაშვილი, მ. თოიძე, გ. მესხი და სხვები. გოგიაშვილის სურათები „დარბევა" და „გურულები, რომლებიც ტყეს შეფარებიან" მკაფიოდ ავლენს მხატვრის რევოლუციურ განწყობილებას და თანაგრძნობას უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლი გლეხებისადმი. მოსე თოიძე ჯერ კიდევ რევოლუციის წინ ჩამოყალიბდა როგორც დემოკრატიული შეხედულების მხატვარი. მისი ტილოები „მრეცხავი ქალი", „ებრაელის პორტრეტი", „სამკედლო", „ქალობაზე",

---

[1] იოსებ იმედაშვილი, ჩემი ცხოვრების წიგნი, 1978, გვ. 123—158.
[2] იქვე, გვ. 123.

რომლებიც 1904 წელს წარმოდგენილი იყო კავკასიელ მხატვართა ამხანაგობის გამოფენაზე, ნათლად მეტყველებდნენ მხატვრის გამოკვეთილ რევოლუციურ-დემოკრატიულ პოზიციებზე.

აქტიურ რევოლუციურ მუშაობაში იყვნენ ჩაბმული ახალგაზრდა მხატვრები გრ. მესხი, ალექსანდრე ციმაკურიძე, რომლებიც ამ დროს მოსკოვში სწავლობდნენ. გრ. მესხი ჟანდარმერიის დევნის გამო იძულებული გახდა სწავლა მიეტოვებინა და სამშობლოში დაბრუნებულიყო.

ამრიგად, რუსეთის პირველმა რევოლუციამ დიდად შეუწყო ხელი ქართული კულტურის ამაღლებას, იგი ახალი შემოქმედებითი იმპულსებით განმსჭვალა და ხალხის რევოლუციური ცხოვრების ავანგარდში ჩააყენა.

* * *

დაბოლოს, საჭიროდ მიგვაჩნია საგანგებოდ განვიხილოთ XIX ს. მეორე ნახევრის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წამყვანი ძალის — თერგდალეულთა პოზიცია და პრაქტიკული მონაწილეობა რუსეთის პირველ რევოლუციაში.

რევოლუციის პერიოდში შემოქმედებითი საქმიანობის სრული მწიფობის ასაკში იყვნენ ი. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, ვაჟა-ფშაველა, ნ. ნიკოლაძე და მათი უმცროსი თანამებრძოლები — დ. კლდიაშვილი, ე. თაყაიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ვ. პეტრიაშვილი, პ. მელიქიშვილი და სხვები.

მკითხველისათვის უკვე ცნობილია ჩვენი აზრი ამ მიმდინარეობის იდეურ-პოლიტიკური პროფილის შესახებ: ვიმეორებთ: ეს იყო საერთო-დემოკრატიული ნაკადი, რომელიც განზე იდგა იმ პარტიული დაჯგუფებებისაგან, რომელიც რევოლუციის წინ და მსვლელობის პერიოდში საკმაოდ მომრაველდა საქართველოში.

ამ საერთო-დემოკრატიული მიმდინარეობის თვალსაზრისს კვლავ ასახავდა გაზ. „ივერია". მართალია, ამ დროს გაზეთს ახალი რედაქტორი (ფილიპე გოგიჩაიშვილი) ჩაუდგა სათავეში, მაგრამ პოზიცია უცვლელი დარჩა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ილია ჭავჭავაძის ტრადიციები, სულისკვეთება ამ გაზეთში მის აკრძალვამდე ცოცხლობდა და დომინანტობდა.

ვინც ყურადღებით შეისწავლის გაზ. „ივერიის" რევოლუციისდროინდელ ნომრებს, იგი უეჭველად იმ დასკვნამდე მიეა, რომ გაზე-

თი აზვირთებული სახალხო მოძრაობის მხარეზე დადგა. ძველი რეჟიმის დამხობას, დემოკრატიული წყობილების გამარჯვებას იგი ეპოქის გარდაუვალ მოთხოვნად თვლიდა. გაზეთი არ გასცილებია საერთო-დემოკრატიულ მოთხოვნათა დონეს და ამიტომ იგი რევოლუციის ნამდვილი ინტერესების გამომხატველად ვერ ჩაითვლება, მაგრამ ბურჟუაზიული მშიშრული ლიბერალიზმიდან მაინც შორს იდგა.

ლიბერალიზმი რუსეთში, როგორც ცნობილია, ბურჟუაზიის ინტერესებს ასახავდა. ამ კლასის ინტერესების ყველაზე ერთგულ და თანამიმდევრულ დამცველად კადეტების პარტია გამოვიდა. ბურჟუაზია იძულებული იყო გარკვეულ დრომდე სახალხო რევოლუციას აჰყოლოდა, მაგრამ იგი მაინც პოტენციური მტერი იყო რევოლუციისა, რადგან მისი განვითარება-გაღრმავება არ აწყობდა, რადგან რევოლუცია მისი ინტერესების საზიანოდ მიემართებოდა. „ივერიას" კი არ აშინებდა რევოლუციის მომავალი. იგი არ ამოდიოდა ბურჟუაზიის ინტერესებიდან. დემოკრატიული რევოლუციის ჩარჩოებში მისი სოციალ-ეროვნული პროგრამა პროგრესული იყო. „ივერიას" მიაჩნდა:

1. აზვირთებული რევოლუცია არ იყო მხოლოდ მუშებისა და გლეხობის საქმე, ის იყო საერთო-ეროვნული მოვლენა და გამომხატველი საზოგადოების ყველა სოციალური ფენის ინტერესებისა, რადგან არსებული სოციალურ-პოლიტიკური რეჟიმი მეტ-ნაკლებად ყველა კლასის, ყველა საზოგადოებრივი ჯგუფის ინტერესებს უპირისპირდებოდა. „საქართველოს ყველა კუთხიდან მოდის, — წერდა გაზ. „ივერია", — ალ-ახალი ამბები, რომელნიც ცხადად გვიმტკიცებენ, რომ ჩვენი ბრავალტანჯული ერიც იღვიძებს, დღევანდელი პირობების შეცვლას თხოულობს, ეეღარ იტანს იმ მძიმე უღელს, რომელსაც აქამდის ატარებდა და განთავისუფლებას ლამობს. თუ აქამდის ღელავდა მცირე ნაწილი საქართველოსი, როგორც გურია, დღეს ჰღელავს აჭარა, სამეგრელო, იმერეთი, კახეთი და ქართლიც კი. ამიტომაც ეს საერთო მოძრაობა ფრიად საგულისხმიერო და დასაფიქრებელია. საჭიროა ყოველმა შეგნებულმა ქართველმა, ვისაც კი გული შესტკივა თავის სამშობლოსათვის, შეძლების გვარად მონაწილეობა მიიღოს ამ მოძრაობაში, საფუძვლიანად დაუკვირდეს ხალხის დღევანდელ მოთხოვნილებას, დაიცვას ხალხის უმეტესობის ინტერესები და სამართლიანად განსაჯოს"[1].

„ივერიას" რევოლუცია მიაჩნდა „ხალხის გამოღვიძებად და იმ

---

[1] გაზ. „ივერია", № 20, 1905.

იდეების განხორციელებად, რასაც ქართველი დემოკრატი მოღვაწენი ჯერ კიდევ XIX ს. 60-იანი წლებიდან ნერგავდნენ.

2. რევოლუციის ძირითადი მიზანი უნდა ყოფილიყო ცარიზმის კოლონიური რეჟიმის დამხობა, ცარიზმის ნანგრევებზე დემოკრატიული წყობილების დამყარება რუსეთში, რომლის შემადგენლობაში მყოფ საქართველოს, ისე როგორც იმპერიის სხვა არარუს მოსახლეობას, თავისი შინაგანი თვითმმართველობა ექნებოდა. ახალი ხელისუფლება იქნებოდა არჩევითი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებდნენ საზოგადოების ყველა კლასები თანასწორობის საფუძველზე.

3. დემოკრატიული კლასებისა და საზოგადოებრივი ჯგუფების თანამშრომლობა გაზეთს რევოლუციის წარმატების ძირითად პირობად ესახებოდა. იგი არ სცნობდა პროლეტარიატს, როგორც ჰეგემონს რევოლუციისა. მიაჩნდა რომ საქართველოში, როგორც აგრარულ ქვეყანაში, რევოლუციის ძირითადი ძალა გლეხობა იყო და მის გარშემო უნდა დარაზმულიყვნენ სხვა საზოგადოებრივი ჯგუფები. თავადაზნაურობას გაზეთი დროებულ წოდებად თვლიდა, მაგრამ უშვებდა იმის შესაძლებლობასაც, რომ წოდებრივ პრივილეგიებზე ხელისაღების შემდეგ, შესაძლებელი გახდებოდა ამ წოდების ჩაყენება ერის ინტერესების სამსახურში.

4. გაზეთი, ისე როგორც თავისი არსებობის პირველ პერიოდში, ახლაც, რევოლუციის კონკრეტულ ამოცანათა შორის პირველ პლანზე ეროვნულ საკითხს აყენებდა. მიაჩნდა, რომ კოლონიური საქართველოსათვის ძირითადი და მთავარი ცარიზმის უღლის გადაგდება იყო. ეროვნულად თავისუფალი საქართველო, — გაზეთის აზრით, — არჩევითი დემოკრატიული ორგანოების მეშვეობით თანდათანობით გადაწყვეტდა სოციალურ საკითხებს იმგვარად, რომ ყველა კლასს, ყველა წოდებას მატერიალურ და სულიერ სიკეთეს თანაბრად დაუმკვიდრებდა.

ამ პროგრამიდან გამომდინარე „ივერიას“ ხშირი პოლემიკა ჰქონდა სოციალისტ-ფედერალისტებთან, ერთი მხრივ, სოციალ-დემოკრატებთან, მეორე მხრივ. სოციალისტ-ფედერალისტების გაზეთს („ცნობის ფურცელი“) იგი უსაყვედურებდა იმ ნიჰილიზმის გამო, რასაც სამოციანელთა ღვაწლის შეფასებაში ამჟღავნებდა. უსაყვედურებდა აგრეთვე პროგრამის ბუნდოვანობას, არათანამიმდევრულობას, არადეტალურობას („საპნის ბუშტები“), ხშირ შემთხვევაში ნაციონალიზმით მეტისმეტ გატაცებას. „ცნობის ფურცელი“ „ცოდვის ფურცელიაო“ — — „გზაშემცდარი ქალიაო“, — ამბობდნენ „ივერიელები“. „ივერია“

ასევე უსაყვედურებდა „მოგზაურს“ ეროვნული საკითხისადმი ინდიფერენტულობის გამო. მიაჩნდა, რომ სოციალ-დემოკრატების პოზიცია რევოლუციაში უგულებელყოფდა ქართველი ხალხის ეროვნულ ინტერესებს და ხალხის სხვადასხვა სოციალურ ფენას ერთმანეთზე აქეზებდა.

„იბერიის“ ზემომითითებულ პროგრამაში შეიძლება მრავალი „იზმი“ დავინახოთ. მართალია ისიც, რომ გაზეთის პოლიტიკური პოზიცია ვერ იდგა პროლეტარიატისა და გლეხობის საბრძოლო ამოცანათა დონეზე, ვერ წვდებოდა მეცნიერული სოციალიზმის იდეოლოგიას, მარქსიზმ-ლენინიზმის საპროგრამო მოთხოვნებს, მაგრამ იგი ამის მიუხედავად, რევოლუციაში პროგრესულ როლს ასრულებდა და ისეთივე იდეური მოკავშირე იყო პროლეტარიატისა, როგორც საერთოდ დემოკრატიული ინტელიგენცია.

„იბერია“ შორს იყო ბურჟუაზიული ნაციონალიზმისაგან. ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში რუსეთის იმპერიის შებრძოლი ძალების გაერთიანება მას რევოლუციის წარმატების ერთ-ერთ მთავარ პირობად მიაჩნდა. იგი მუდამ გმობდა რუსეთის რეაქციული შოვინისტური გაზეთების პოზიციას, ამავე დროს მიესალმებოდა დემოკრატიულ გაზეთებს და მათთან კოორდინაციისათვის იღვწოდა. როცა დემოკრატიული გაზეთი „რუსი“ საქართველოს მშრომელთა რევოლუციურ აქტივობას დადებითად გამოეხმაურა და სისტემატურად აშუქებდა საქართველოს პროგრესული ძალების მიერ დასახულ პროგრამას, „იბერიამ“ დიდი მადლიერებით მოიხსენია ამ გაზეთის დამსახურება. მადლობის დეპეშას, რომელიც „რუსის“ რედაქციას გაეგზავნა, ხელს აწერდნენ ი. ჭავჭავაძე, დ. ნიჟარაძე, ა. ჯამბაკურ-ორბელიანი, ი. ანდრონიკაშვილი, ი. რატიშვილი, მ. ადამაშვილი, ნ. ციციშვილი, ნ. აბაზაძე, კ. აბხაზი, ი. ჯორჯაძე, ლ. ჩერქეზიშვილი, ს. ჭავჭავაძე, დ. ქადაგიძე, დ. კარიჭაშვილი, ნ. ჩოლოყაშვილი. გ. რცხილაძე, ნ. თავდგირიძე, ი. ზურაბიშვილი, ა. ცომაკურიძე, კ. შათირიშვილი, პ. მირიანაშვილი, ს. იაშვილი, ფ. გოგიჩაიშვილი, ა. ქუთათელაძე, ზ. ფალიაშვილი, ა. ყარაშვილი, ა. ფურცელაძე, ე. გუნია, კ. მესხი, ა. ჯაბადარი, ა. მიქაბერიძე და მრ. სხვა. დეპეშის ტექსტი კოლექტიური ხელმოწერით გაზეთში დაიბეჭდა[1].

„იბერია“ სისტემატურად ამხელდა ცარიზმის კავკასიელ მოხელეთა ვერაგულ პოლიტიკას, რომელიც ამიერკავკასიელი ხალხების ურთიერთ-

---

[1] გაზ. „იბერია“, № 15, 1905.

წასისიანებითა და შინაომით საერთო რევოლუციური ფრონტის შესუსტებას ვარაუდობდა. 1905 წ. თებერვალ-მარტში ბაქოში დატრიალებული სომეხ-თათართა ძმათამკვლელი შეტაკების გამო „ივერიაში" ზედიზედ იბეჭდებოდა რეაქციონერთა მამხილებელი მასალები. გაზეთი წინა პლანზე აყენებდა ამიერკავკასიის დემოკრატიული ძალების ძმური ერთიანობის, საბრძოლო თანამეგობრობის აუცილებლობას, სამარცხვინო ბოძზე აკრავდა ცარიზმის პროვოკაციულ ანკეტზე წამოგებულ ნაციონალისტებს. „ივერიამ" ფართო პროპაგანდა გაუწია იმისათვის, რომ მსგავსი შემთხვევები თბილისისათვის აეცილებინა. მან თბილისში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების დემოკრატიული ძალები დარაზმა რევოლუციური დროშის ქვეშ. დემოკრატიული ძალები მხურვალედ მონაწილეობდნენ გრანდიოზულ მიტინგებსა და დემონსტრაციებში, რომელიც 1905 წლის თებერვალში გაიმართა თბილისში რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის ხელმძღვანელობით.

გაზ. „ივერია" უყოყმანო მხარდაჭერით მიეგება მოწოდებას, რომელიც 13 თებერვლის მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს და გაავრცელეს[1]. ეს მოწოდება არა მარტო მკაცრ პროტესტს აცხადებდა სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტის წინააღმდეგ, არამედ მოითხოვდა თვითმპყრობელობის დამხობისათვის ბრძოლაში რევოლუციურ ძალთა გაერთიანებას.

„ივერიის" ფურცლებზე სისტემატურად და დაწვრილებით შუქდებოდა საქართველოს სოფლებში მიმდინარე აგრარული მოძრაობა. ქვეყნდებოდა საქართველოს ცალკეული მაზრების, დაბა-სოფლების გლეხთა მიტინგების ანგარიში და მოთხოვნები. გურიის გლეხთა მოძრაობის მთლიანი სურათი წარმოდგენილია პ. სურგულაძის ფელეტონებში, ასევე ფართოდაა ნაჩვენები საქართველოს პროლეტარიატის საგაფიცო ბრძოლა, მოსწავლეთა საპროტესტო გამოსვლები, შემოქმედებითი ინტელიგენციის განწყობილება და პრაქტიკული რევოლუციური საქმეები.

„ივერია" დადებითად აფასებდა სახალხო მოძრაობის აღმავლობას და საყოველთაო გაფიცვას 1905 წლის ოქტომბერში. თუმცა, ისე როგორც მთელი რუსეთის დემოკრატიული წრეები, ისიც შეიპყრო ილუზიამ, რომ 17 ოქტომბრის მანიფესტი რუსეთის ცხოვრებაში ახალი ეპოქის დასაწყისს და რევოლუციის გამარჯვებით დაგვირგვინებას მოასწავებდა. ეს, რა თქმა უნდა, გაზეთის შეცდომა იყო. მისთვის ‘ბუგე-

---

[1] რსდმპ კავკასიის კავშირის პროკლამაციები, გვ. 328—331.

ბარი გახდა, რომ 17 ოქტომბრის მანიფესტი ცარიზმის ვერაგულ მანევრს, ხალხის მოტყუებას, დროის მოგების პოლიტიკას წარმოადგენდა.

დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დღეებში „ივერია" ისევ ერგულად უწევდა პროპაგანდას თავის ეროვნულ დემოკრატიულ იდეალებს, ერთგვარად აშინებდა კიდეც რევოლუციის მაღალი ფაზა და მასში ეროვნული შინაარსის საფრთხეს ხედავდა. მიზანშეწონილად მიაჩნდა მეტი ზრდიერება, ეროვნული ძალების მეტი კონსოლიდაცია საერთო მტრის — ცარიზმის წინააღმდეგ. ამასთან ერთად გაზეთი იმასაც გრძნობდა, რომ რეაქცია ძალებს იკრებდა და ანგარიშგასწორებისათვის ემზადებოდა.

რევოლუციის უკან დახევა და ცარიზმის შეტევა მებრძოლი მასების წინააღმდეგ „ივერიისათვის", ისე როგორც რევოლუციის მესიტყვე მრავალი გაზეთისათვის, საბედისწერო გამოდგა. 1906 წ. გაზ. „ივერია" აიკრძალა.

• • •

ხანგრძლივი და შეუსვენებელი შრომისაგან დაქანცულ, ავადმყოფობისაგან მოტეხილ მოხუც ილიას 1905 წლის რევოლუციაში ისეთი აქტიური მონაწილეობა, მას რომ შეეფერებოდა, აღარ მიუღია. მაგრამ ვერავინ იტყვის, რომ იგი დიდი სახალხო მოძრაობისგან შორს იდგა ან მასში არავითარი წვლილი არ მიუძღვის!

ილია ჭავჭავაძის იდეებმა შეამზადეს საქართველოს მშრომელი მასები იმ შეუპოვარი იერიშებისათვის, რევოლუციის მთელ მანძილზე რომ გმირული თავდადებით ხორციელდებოდა. 1905 წელი იყო ის „დიადი მყობადი", რასაც ილია XIX ს. 60-იან წლებში „ქართველის დედაში" შენატროდა. რევოლუციის წითელი რაზმელები იყვნენ კაკოები და ზაქროები, გაბრიელები და პეპიები, რომელთაც შეიგნეს ცალკეულად თუნდაც თავგანწირული ბრძოლის უშედეგობა, ერთობლივად აღსდგნენ მიწისა და თავისუფლებისათვის. ილია — „აჩრდილის" ეს ლეგენდარული მოხუცი — საქართველოს „თანამდევი უკვდავი სული" რევოლუციის აზვირთებით აღფრთოვანებულიც იყო და შეშფოთებულიც. თანამოძმეთა სისხლისღვრით შეწუხებული იგი ისევ შეჰღაღადებდა ღვთისმშობელს:

„საღმრთოდ მიიღე სისხლი, რომელ ამ ხალხს ღვრია, ჩაგრულთ სასოო, ნე არიდებ მოწყალე თვალსა!...".

ეჭვი არ არის, რომ ილია ჭავჭავაძემ მიიღო რევოლუცია, მის მხარეზე დადგა. ხორცს ისხამდნენ მისი ოცნებები, იდეები, გეგმები... დგებოდა საქართველოს თავისუფლების განთიადი.

მაგრამ მოხუცი ილია შეაკრთო რევოლუციის გაღრმავებამ. მიიჩნია, რომ მოვლენები წარიმართა სხვა მიმართულებით. გურიის ამბებმა. სადაც აჯანყებულმა გლეხობამ ძველი ხელისუფლება დაამხო და საბალხო მმართველობა დაამყარა, გააძლიერა მოხუცის იჭვები. ამიერიდან რევოლუცია დაემსგავსა ქარიან ამინდში გაჩაღებულ ხანძარს, რომელიც საქართველოს ყველა კუთხეს ელვისებურად ედებოდა. გაბოროტებული ცარიზმი აძლიერებდა რეპრესიებს და ჯარის საგანგებო ნაწილებს დავალებას აძლევდა ნაცარტუტად ექციათ რევოლუციის კერები. თავადაზნაურობამ იარაღი აისხა და საგანგებო რაზმები ჩამოაყალიბა გლეხებისათვის ანგარიშგასასწორებლად. საქართველოს ქალაქ-სოფლები დიდი განსაცდელის წინაშე იდგა — გაჩაღებულ შინაომში ერთმანეთს უნდა მისეოდნენ თანამოძმენი, საქართველო სისხლისაგან დაიწრიტებოდა, დაიშრიტებოდა მისი ენერგია.

ასე წარმოიდგინა ილიამ საქართველოს იმდროინდელი ვითარება და მიზანშეწონილად ჩათვალა დაძაბულობა ერთგვარად შეერბილებინა. გლეხობას იგი ზომიერებისაკენ მოუწოდებდა. გაბოროტებულ თავადაზნაურობას აფრთხილებდა, — ღმერთი არ გასწყრომოდა და გლეხობის წინააღმდეგ არ აღემართა იარაღი. თვით, ყველა ღონეს ხმარობდა, რომ ცარიზმის კავკასიის ხელისუფლება ხალხისათვის იარაღით ანგარიშგასწორების მიზანშეუწონლობაში დაერწმუნებინა.

თბილისელ თავადაზნაურთა კრებაზე, სადაც საკითხი იდგა თუ რა ღონისძიებებით დაემორჩილებინათ გაურჩებული გლეხობა, რეაქციულმა ბირთვმა შეიარაღებული რაზმების ჩამოყალიბების წინადადება წამოაყენა. აბდუშელიშვილები, ციციშვილები გორში უკვე ქმნიდნენ ასეთ რაზმებს, მთავრობისაგან იარაღს ილებდნენ, რომ გლეხთა მოძრაობა სისხლში ჩაეხშოთ. კრებაზე სიტყვით გამოვიდა ილია ჭავჭავაძე, რომელმაც მკაცრად დაგმო ეს განზრახვა. „რად გინდათ იარაღი რომ აგისხამთ? ვისთვის ამზადებთ თოფებსა? გლეხობისათვის? არ გაბედოთ! ახალეთ თავში ეგ იარაღი, ვინც დაგირიგათ!"[1]. ასე მკაცრად მიმართა ილიამ საბრძოლველად განწყობილ „შავი რაზმების" მესვეურებს.

---

[1] პ. ინგოროყვა, ილია ჭავჭავაძე, გვ. 173.

„დღევანდელ მოძრაობას თავი იქით უნდა უბრუნოს კაცმა, საით-�ეენაც ჯერ არს, და არა იქით, რომ ერთმანეთს მივესიოთ და ციხესი-ბაგრე ჩვენი, ჩვენვე შიგნიდამ გავტეხოთ. ამას თხოულობს არამცთუ სიკეთე და ბედნიერება ჩვენი ქვეყნისა, საერთოდ, არამედ გლეხკაცობისაც, საკუთრივ"[1], — მიუთითებდა ი. ჭავჭავაძე. „დიდი მოვალეობა პატ ესისა, მისი ღვაწლი, გლეხისა და თავადაზნაურის, ან მდიდრისა და ღარიბის ერთმანეთზე მისევა კი არ არის, შუაკაცობაა, შუა ჩადგომაა მათ შორის, მშვიდობიანობის ჩამოგდებაა, მოსარიგებლის მორიგებაა, შესარიგებლის შერიგებაა იმისდა მიხედვით, — ვის რა ზნეობრივი და მოქალაქეობრივი, ან ერობრივი სამართალი მიუძღვის ერთმანეთის წინაშე", — ასე ესმოდა ილიას იმ პერიოდში ვალდებულება საზოგადო პოლვაწისა. ეს რწმენა ილიას, როგორც ცნობილია, მტკიცედ ჰქონდა გამჯდარი ახალგაზრდული ასაკიდან. საქართველოს ბედნიერებად მას წოდებათა შორის ბრძოლა კი არა, ჰარმონია მიაჩნდა.

1905 წლის 6 მარტს თავადაზნაურობის კერძო თათბირზე წარმოთქმულ სიტყვაში ი. ჭავჭავაძემ ჩამოაყალიბა თავისი პოზიცია მიმდინარე რევოლუციაში. მას მიაჩნდა, რომ რევოლუციას საქართველოსთვის უნდა მიეცა შინაგანი დამოუკიდებლობა. შინაური ცხოვრების გამგე ხალხი თვით აირჩევდა ხელისუფლების ორგანოებს, რომელიც შემდეგ რევოლუციური კანონებით წარმართავდა ცხოვრებას. როგორც ცნობილია, ილიას ეს სიტყვა გაზ. „ივერიის" კორესპონდენტმა დამახინჯებით წარუდგინა საზოგადოებას და ილია იძულებული იყო იმავე გაზეთის მორიგ ნომერში გამოექვეყნებინა „წერილი რედაქციის მიმართ" და განემარტა თავისი ჭეშმარიტი პოზიცია.

„სასურველია, რასაკვირველია, — წერს ილია განმარტებაში, — რომ ჩვენი ქვეყნისათვის კანონები აქვე, ჩვენში იწერებოდეს, მაგრამ მარტო ამით არა გვეშველება-რა. მე ვთქვი და კიდევ ყველგან ვიტყვი: „ჩვენის ქვეყნისათვის კანონები აქვე უნდა იწერებოდეს ჩვენის ქვეყნის მიერ არჩეულ წარმომადგენელთა კრებულისაგან"[2].

ამავე გამოსვლაში ილიამ მკაცრად დაგმო ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა და აგრარული უწესოების ერთ-ერთ მიზეზად ქართული მიწების უცხოტომელთათვის გადაცემა გამოაცხადა.

ილიას ხსენებული გამოსვლა და პუბლიცისტური წერილები ნათელ წარმოდგენას ქმნიან რევოლუციაში მის პოზიციაზე: ცარიზმის უღლის დაძხობა, შინაგან საქმეებში დამოუკიდებელი დემოკრატიული საქარ-

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. IX, გვ. 280.
[2] იქვე, გვ. 265.

თელო, არჩევითი ძალაუფლება და თანასწორუფლებიანობა ერის ყველა წოდებისა. ეს პოზიცია იდენტურია იმ პროგრამისა, რაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მესვეურმა ჯერ კიდევ XIX ს. 60-იან წლებში შეიმუშავა. ეს იყო გულწრფელი დემოკრატის პოზიცია. მას ეგონა, რომ რევოლუცია ამ გზით უნდა წასულიყო. რა თქმა უნდა, ეს დიდი ხნის განელილი ეტაპი იყო. ეს იყო კეთილშობილური ფანტაზია დიდი დემოკრატისა.

ილია, როგორც ვთქვით, სასტიკი წინააღმდეგი იყო მთავრობის რეპრესიებისა და როცა გაიგო გურიას ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელი ექსპედიციის მახვილი ემუქრებაო, შეშფოთებული სათავეში ჩაუდგა დეპუტაციას, რომელმაც მეფისნაცვალს ხელი ააღებინა ამ განზრახვაზე. ექვთიმე თაყაიშვილი იგონებს: „1905 წლის მანიფესტის გამოცხადების წინ, როგორც ცნობილია, გურიის საქმე მეტად გართულდა. მეფისნაცვალმა ვორონცოვ-დაშკოვმა ალიხანოვის ჯარი გაგზავნა გურიის დასასჯელად. ეგ რომ ჩვენ შევიტყვეთ, თავზარი დაგვეცა, რადგანაც გურიას განადგურება ელოდა. შეიკრიბა მთელი ინტელიგენცია, ყველა პარტიების წარმომადგენლები, სამღვდელოება და გადაწყვიტეს დეპუტაცია გაეგზავნათ ვორონცოვისათვის და ეთხოვათ მისთვის, რომ დამსჯელი რაზმი უკან დაებრუნებინა. დეპუტატები ამოირჩიეს ილიას მეთაურობით, რომელსაც ვორონცოვი უნდა დაერწმუნებინა, რომ გურია დამშვიდდება და აღარავითარ წინააღმდეგობას არ გაუწევს მთავრობას. წავიდა ილია დეპუტაციით. დიდი მოლაპარაკების და თხოვნის შემდეგ დაითანხმეს ვორონცოვი. მან ალიხანოვი სამტრედიიდან დააბრუნა უკან“[1].

1905 წლის დამლევს, ნასაკირალის ცნობილი ამბების შემდეგ ცარიზმმა გურიაში ისევ ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელი ჯარები შეიყვანა. გურიის ცაზე ისევ ჩამოწვა სისხლიანი ღრუბელი. ილია ისევ შეშფოთებულია და ცდილობს მთავრობის განზრახვა ამჟამადაც ჩაშალოს. „ეს იყო 1905 წლის დამლევს, — იგონებს ილია ზურაბიშვილი, — ნასაკირალის ამბების გამო დასავლეთ საქართველოში დამსჯელი რაზმი იგზავნებოდა ალიხანოვ-ავარსკის უფროსობით. უეჭველი იყო ხალხის რბევა და ხოცვა-ყლეტა, რაც მოხდა კიდეც. ქართველი საზოგადოების წარმომადგენელნი შეიკრიბნენ სათათბიროდ, რომ ამ საქმისათვის ეშველათ როგორმე. ამ თათბირს ილიაც დაესწრო და შესანიშნავი სიტყვა წარმოთქვა. ამ გრძნობით და აზრით სავსე სიტყვის აღდგენას

---

[1] ე ქ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, რჩ. ნაშრომები, ტ. I, გვ. 278.

ვერ ვახერხებ, მეხსიერება მღალატობს. მაგრამ მახსენდება სიტყვის დასასრული. ილია წინადადებას იძლეოდა მეფისნაცვალს დელეგაცია მივუგზავნოთ, დამსჯელი ექსპედიციის გაგზავნა გადათქვასო, თანაც უნდა განვუცხადოთ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ ყველანი იქ წავალთ და ჩვენ ძმებთან ერთად «костьми ляжем» (სიტყვა ილიამ რუსულად წარმოთქვა)"[1].

გურიის გამო დეპუტაციის შექმნის ინიციატივა რომ ილიას ეკუთვნოდა, ამას ნათლად მოწმობს ის სიტყვა-მიმართვა ქართველი ხალხისადმი, რომელიც ა. თავაძემ 1967 წ. „საისტორიო მოამბეში" გამოაქვეყნა. „საქართველოს ერთი საუკეთესო ნაწილის — გურიის განადგურება ბთავრობას გადაუწყვეტია. ჩვენ არ შეგვიძლია ამას დავემორჩილოთ. წავიდეთ ახლავე ვორონცოვთან, ჯერ ვთხოვოთ, უკან დააბრუნოს დამსჯელი რაზმი, თუ არ დააბრუნებს და მაინც გაგზავნის გურიის მოსასპობად, მაშინ ჩვენ ყველანი წავიდეთ გურიაში და მათთან ერთად დავიხოცოთ"[2].

როგორც ვხედავთ, არსებითად ილია გლეხობის მხარეზე იყო. ცარიზმის დამხობა და ქართველი ხალხის სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან გათავისუფლება მას სულითა და გულით ეწადა, მაგრამ აზვირთებული რევოლუცია მაინც შიშს ჰგვრიდა, ეგონა, რომ საქართველოს იგი ზიანს მოუტანდა, ამიტომ ცდილობდა ზომიერება შეეტანა მის მსვლელობაში. კაცთმოყვარეობისა და სამართლიანობის პრინციპებით ხელმძღვანელობა მის ასაკს, ჯანგატეხილობას შეეფერებოდა კიდეც.

და მიუხედავად ამისა, ჟურნალმა „მოგზაურმა" ერის ბუმბერაზი სულიერი მამის მიმართ დიდი უტაქტობა გამოიჩინა, როცა გამოაქვეყნა ცილისმწამებლური სტატია საგურამოს გლეხებისადმი ილიას ეითომც დესპოტური დამოკიდებულების შესახებ. ეს სტატია თავისი დანიშნულებით აგრძელებდა იმ მტრულ დამოკიდებულებას, რომელიც დიდი მოღვაწისადმი მენშევიკური პარტიის ლიდერებს ჰქონდათ და მხარს უმაგრებდა ნ. ჟორდანიას, რომელსაც, როგორც ცნობილია, სწორედ პირველი რევოლუციის წინ ილიამ გამანადგურებელი პასუხი გასცა („უმეცრობის ფართიფურთი", „ახალი უმეცრობანი ბ-ნ ნოე ჟორდანიასი", „ქარაფშუტობა, ორთავიანობა და ორპირობა უმეცრისა",

---

[1] ილ. ზურაბიშვილი, მოთხრობები. მოგონებები.

[2] „საისტორიო მოამბე", 1967, გვ. 435.

„ისევ და ისევ ბ-ნ ნოე ჟორდანიას უმეცრობანი და მისი წაჯეუკუ-ჯეკობანი“). ნ. ჟორდანიას ერთ-ერთი თაყვანისმცემელი „მოგზაურში“ თანამშრომლობდა. ჩანს იგი შეეცადა დახმარებოდა წინამძღოლს იდეური მოწინააღმდეგის სახელის გატეხვასა და იდეურ დასამარებაში.

დარტყმა მეტად მოზომილი, ამასთან ვერაგული იყო და ილიამ იგი ძალზე მტკივნეულად განიცადა, რადგან საკითხი ეხებოდა მის პირად ადამიანურ ღირსებას. ცილისმწამებლური სტატიის ანონიმურმა ავტორმა, როგორც ილია აღნიშნავდა, „ზნეობრივად დატანჯა და დაჰბუგა იგი, რადგან „სამარცხვინო საქციელები“ დასწამა, ისე რომ არც ერთი დამაჯერებელი საბუთი არ მოუტანია“.

ილიამ ცილისმწამებელს პასუხი გასცა „ივერიის“ ფურცლებზე[1]. პასუხში ნათლად იგრძნობა ილიას აღშფოთება. ეს ცილისმწამებლობა ილიამ კერძო ფაქტად, კერძო პირის უსინდისობად მიიჩნია. ამიტომ მას ერთი სიტყვაც არ უთქვამს იმ სხვაობაზე, რომელიც მისსა და სხვა პარტიების პროგრამებში არსებობდა. ცდებიან ის მკვლევარები, რომელთაც მიაჩნიათ, რომ „მოგზაურის“ კორესპონდენტის გალაშქრება ილიას წინააღმდეგ თითქოს პარტიული ინტერესებით იყო ნაკარნახევი. ასე რომ ყოფილიყო, ილიას მის პროგრამაზე უნდა ელაპარაკა, აქასთან გაეკრიტიკებინა მოწინააღმდეგენი, უნდა დაესაბუთებინა საპირისპირო თვალსაზრისების შეუსაბამობა ხალხის, ერის ინტერესებთან.

1906 წ. ილია ჭავჭავაძე სახელმწიფო საბჭოს წევრად აირჩიეს. ახალ თანამდებობას ილიამ შეხედა ხალხის ინტერესების დამცველის თვალსაზრისით და ცდილობდა რამდენადაც შესაძლებელი იყო, დაეცვა თანამიმდევრული, დემოკრატიული პოზიცია.

ილიას მოღვაწეობა სახელმწიფო საბჭოში სათანადოდ გაშუქებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში და ჩვენ მას ვერაფერს დაუმატებთ. მოვიტანთ მხოლოდ ერთ ადგილს მისი ინტერვიუდან, სადაც ნათლად მოჩანს დიდი მამულიშვილის ინტერესები და დანიშნულება. „სახელმწიფო საბჭოში მე ამომირჩია თავადაზნაურობამ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ საბჭოში მე მარტო თავადაზნაურთა საჭიროებაზე ვილაპარაკებ. თუ ამას ჰფიქრობენ ზოგნი ჩემნი ამომრჩეველნი, ეს დიდი შეცდომაა. სახელმწიფო საბჭოში თუ თავადაზნაურთა სახელით შევდივარ, ეს მხოლოდ ფორმალური, იურიდიული მხარეა. არ დავფარავ და ვიტყვი:

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. IX, გვ. 269—304.

„საბჭოში მთელი საქართველოს და ქართველთა ინტერესების დამცველი ვიქნები, კითხვებსაც შევწირავ ჩემ ღონეს“[1].

* * *

60-იანი წლების მოღვაწეთაგან 1905 წლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციასთან ყველაზე ახლო აკაკი წერეთელი მივიდა.

აკაკი, ისე როგორც ილია, შეურიგებელი მტერი იყო რუსეთის ცარიზმისა. თვითმპყრობელობის დამხობა მას მიაჩნდა საბჭოთა ლოზუნგის განთავისუფლებისა და ხალხთა კეთილდღეობის აუცილებელ პირობად. ალექსანდრე მეორე რომ მოკლეს, აკაკიმ დაუყოვნებლივ გამოაქვეყნა ლექსი „გაზაფხული“, რომელშიც მკაფიოდ გამოიხატა პოეტის სიხარული. ამ ლექსის გამო იგი და გაზეთის რედაქტორი კ. მესხი პასუხისგებაში მისცეს[2].

აკაკი გაბედულად იბრძოდა ცარიზმის პოლიტიკური რეაქციის მძიმე ვითარებაში მშობლიური ენის, კულტურის, ტრადიციების გადასარჩენად. იგი რაზმავდა ეროვნულ ძალებს, დაუნდობლად ამხელდა და ამათრახებდა ცარისტულ რეჟიმს, იღვწოდა ხალხის გათვითცნობიერებისათვის.

80-იან წლებში აკაკი ხანჯალს ლესავდა, ახალგაზრდა თაობას მოუწოდებდა ბრძოლის ველზე გამოსულიყო. და როცა 1905 წელს დაინახა თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხის ერთსულოვანი შემართება, მან აღტაცებით წამოიძახა:

„ამას ველოდი, მოვესწარ!.. ვიცინი, აღარ ვსტირი მე! ახალგაზრდებო, აწ კი თქვენ გამოდით, თქვენი ჭირიმე...“[3].

„გილოცავთ... ამ აწინდელ ხანას და ვმადლობ ჩემს ბედსაც, რომ მოვესწარ იმ ბედნიერებას, რასაც ამ ნახევარი საუკუნის წინეთ ვნატრობდი და მხოლოდ იდეალად ვსახავდი“, — ასე მიესალმა აკაკი რევოლუციურ ხალხს „ივერიის“ ფურცლებიდან[4].

აკაკი თავისებური საზომით მიუდგა 1905 წლის მოვლენებს. XIX ს. 60—70-იანი წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი მესვეურისათვის ეს იყო ეროვნული თვითმყოფობისათვის

---

1 პ. ინგოროყვა, ილია ჭავჭავაძე, ნარკვევი, 1967, გვ. 175.

2 აკაკი წერეთელი, მასალები. „საისტორიო მოამბე“, 1953, № 7, გვ. 323—328.

3 აკაკი წერეთელი, თხზ., ტ. III, გვ. 146.

4 გაზ. „ივერია“, № 125, 1905; ა. წერეთელი, თხზ., ტ. 14, გვ. 313.

ვალკიძებული ხალხის რევოლუცია. ძმურუც აკაკის არ ჩაუსედავს რევოლუციის „წერილმანებში“, რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის პროგრამიდან ბევრ რამეს არ იზიარებდა, პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის ინტერესთა მკვეთრ დაპირისპირებულობაზე ყურადღებას არ ამახვილებდა. მწერალი უაღრესად კმაყოფილი იყო იმით, რომ ასრულდა მისი დიდხანის ოცნება და თავის მოვალეობად მიიჩნია სიმღერა ეთქვა რევოლუციისათვის, გაემხნევებინა მებრძოლი ძალები საიერიშოდ. რევოლუციის პრაქტიკულ ხელმძღვანელობას იგი ანდობდა მომდევნო თაობას, რომლისადმი უაღრესად დიდი რწმენითა და სიყვარულით იყო გამსჭვალული. აკაკი სავსებით იზიარებდა 1905 წლის რევოლუციაში მშრომელი კლასების საბრძოლო მოთხოვნებს.

ა. წერეთელი დიდად აფასებდა ამიერკავკასიის მშრომელი კლასების ძმურ თანამშრომლობასა და მეგობრობას. იგი ყოველთვის პატივისცემით, სიყვარულით იხსენიებდა მოძმე ერებს და საჭიროდ მიაჩნდა მათი ერთიანობა ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. როცა მეფის მთავრობა ამიერკავკასიის ხალხების წასისიანების პოლიტიკას დაადგა და სომეხ-თათართა ელეტა მოაწყო, აკაკი, ისე როგორც გორკი, დაუყოვნებლივ გამოეხმაურა მას და ამიერკავკასიის მშრომელებს ინტერნაციონალური სულისკვეთების განმტკიცებისაკენ, საერთო მტრის წინააღმდეგ საერთო ძალებით ბრძოლისაკენ მოუწოდა[1].

რევოლუციისადმი დიდი სიმპათიისა და მისთვის სასარგებლო პრაქტიკული მუშაობის თვალსაჩინო მაგალითად საკმარისია დავასახელოთ ამ პერიოდში აკაკის მიერ ეჟენ პოტიეს ცნობილი ლექსის „ინტერნაციონალის“ გადმოქართულება. ეს ლექსი რევოლუციური მუშებისა და გლეხების ჰიმნი იყო. მისი დაბეჭდვისათვის აკაკი, გაზეთის რედაქტორთან ერთად, კელავ პასუხისგებაში მისცეს.

აკაკის მართალია, ახარებდა ხალხის საბრძოლო შემართება, მაგრამ მასაც, ისე როგორც ილიას, ეშინოდა, რომ ეს მოძრაობა ძმათამკვლელობად არ გადაქცეულიყო. იგიც მეტ სიფრთხილეს, მეტ ზომიერებას მოითხოვდა „დღეს ის შენობა, — წერს აკაკი „იეერიის“ ფურცლებზე, — სადაც ვიყავით გამომწყედეული, ირღვევა და იმის წილ ახალი, დროის შესაფერი, უნდა აიგოს. ჩვენც უნდა დავაგდოთ ძველი, მიხვეულ-მოხვეული გზა და გავიყვანოთ ახალი: უფრო სწორე, პირდაპირი და თამამად გასასვლელი. ბრძენთა-ბრძენი ამბობს, რომ „ვარდი უეკლოდ არავის მოუკრეფიაო“. დღეს სწორედ ვარდის საკრეფი

---

[1] აკაკი წერეთელი, თხზ., ტ. III, გვ. 162—163.

დრო გვიდგება და უნდა ვეცადოთ, რომ ეკალს მოვერიდოთ. სიფრთხილე სიმხდალე არ არის!... ყველაზე დიდი ეკალი უთანხმოება არის, ის უთანხმოება, რომელიც ასუსტებს ხალხის ძალას!... მეცხვარის ძაღლებმაც კი იციან, ჯერ გარეშე მტრის მოგერიება უნდა შეერთებული შრომით და მერე შინაური ბრძოლა...

დღეს ჩვენები რამდენიმე წრედ არიან გაყოფილნი, რომ ერთმანეთს წინ აღუდგნენ, თუმცა ცალ-ცალკე კი ყველას ერთი და იგივე უწერიათ დროშაზე: „ძმობა, ერთობა და სიყვარული!“ ეს უბრალო „ეცდომა უნდა გასწორდეს, შეერთებულად უნდა მივადგეთ ყველანი ახალ შენობას“[1].

როგორც ვხედავთ, მოხუც პოეტს რევოლუცია და მასში ქართველი ხალხის დანიშნულება ისევე ესმოდა, როგორც ილიას.

აკაკი ვერ შეაშინა რევოლუციის გაღრმავებამ, ბოლომდე მისი მომღერალი დარჩა. უფრო მეტიც, რევოლუციური ბრძოლების გამძაფრებასთან ერთად აკაკი უფრო იმაღლებს ხმას. პირდაპირ პროკლამაციის ხასიათს ატარებს, მოწოდებას წარმოადგენს იმ ხანებში გამოქვეყნებული ლექსი პოეტისა.

„ძირს, მთავრობავ უსამართლო! ვეღარ ვიტანთ გასაჭირსო“, — ყოველი მხრით გეძახიან: „ძირს, მთავრობავ!... აწ კი ძირსო!“[2].

რეაქციის მოძალვრებამ ვერ შეარყია ა. წერეთლის მებრძოლი სული. იგი კვლავ დაუნდობლად ამათრახებდა ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას, დასცინოდა მეფის უვიცსა და ყოყოჩა მოხელეებს. თბილისის გუბერნატორის წინააღმდეგ გალაშქრების გამო აკაკიც ციხეში ჩასვეს. მაგრამ ამას პატიმრების ისეთი პროტესტი მოჰყვა, რომ ჟანდარმერია იძულებული გახდა აკაკი დაუყოვნებლივ გაეთავისუფლებინა.

1905 წლის რევოლუციას იაკობ გოგებაშვილი, ისევე როგორც ილია და აკაკი, საერთო დემოკრატიული პოზიციიდან აფასებდა. მას ახარებდა ხალხის რევოლუციური ბრძოლა, თვლიდა, რომ დადგა მისი საოცნებო დრო-ჟამი უსამართლო რეჟიმის მსხვრევისა და ხალხის მმართველობის დამყარებისა.

იაკობი, როგორც ტიპიური სამოციანელი, საზოგადოებრივ მოძრაობაში უპირატესობას ეროვნულ საკითხს ანიჭებდა. ეროვნული საკითხის საუკეთესო გადაწყვეტად მიაჩნდა ეროვნული ავტონომია, რო-

---

1 აკაკი წერეთელი, თხზ., ტ. 14, გვ. 313.

2 იქვე.

მელიც მას უფრო მართებულად ჰქონდა გააზრებული, ვიდრე სოციალისტ-ფედერალისტებს. გოგებაშვილის აზრით, ავტონომია სრულიადაც არ იყო სეპარატიზმი. „ავტონომია არა თუ სეპარატიზმს არ მოასწავებს, არამედ ძირ-ფესვიანად სთხრის და სპობს სეპარატიზმსა"[1], წერდა იგი. იაკობს მიაჩნდა, რომ თვითმპყრობელობის დამპალ შენობას საერთო ძალით დაანგრევდნენ რუსეთის იმპერიის რევოლუციური ძალები. ახალი, დემოკრატიული რუსეთი შინაგან დამოუკიდებლობას მისცემდა საქართველოს. ავტონომიის შემდეგაც ძირითადი საკონსტიტუციო კანონები კვლავ ცენტრალური მთავრობის ხელში რჩებოდა. საერთო იქმნებოდა ჯარიც, ფლოტიც, ფინანსების ნაწილი, ტამოჟნა, საგარეო პოლიტიკა, საერთო ვალი და სხვა საქმეცა. თვით საქართველოს მიენიჭება საკუთარი კანონმდებლობითი დაწესებულება, ადგილობრივი პარლამენტი, რომელიც არჩეულ იქნება საყოველთაო, პირდაპირი, საზოგადო და ფარული კენჭის ყრით[2]. იაკობის აზრით, ამგვარი წესით არჩეული პარლამენტი ხალხის ინტერესების გამომხატველი იქნებოდა და იგი თანდათან განახორციელებდა ისეთ რეფორმებს, რომ საზოგადოების ყველა სოციალური ჯგუფის ინტერესი დაეკმაყოფილებინა. ეს იყო გოგებაშვილის წარმოდგენით ის „ეროვნული საყოველთაო სოციალიზმი", რომლისთვისაც იბრძოდა პროგრესული საზოგადოება მთელ მსოფლიოში. ი. გოგებაშვილის ეს „ეროვნული საყოველთაო სოციალიზმი" განსხვავდებოდა ჩვეულებრივი ბურჟუაზიული დემოკრატიზმისაგან. პროფ. ლ. გორგილაძის სამართლიანი შენიშვნით ი. გოგებაშვილის ეს სოციალიზმი ბურჟუაზიულ სოციალიზმზე „უფრო მაღლა დგას, მაგრამ სოციალურ დემოკრატიზმზე, რა თქმა უნდა, მიღწეული არ არის"[3].

იაკობ გოგებაშვილი განათლების ფრონტზე დაუცხრომელ მოღვაწეობასთან ერთად, ღრმა ინტერესით ადევნებდა თვალს რევოლუციური მოვლენების განვითარებას. იგი აღფრთოვანებული იყო გურიის ამბებით. გურული გლეხკაცობის უკომპრომისო ბრძოლაში ხედავდა მისაბაძ მაგალითს საქართველოს ყველა გლეხობისათვის. „თავის რადიკალურ მისწრაფებათა განსახორციელებლად მათ (გურულებმა, ა. ს.)— წერდა იაკობი თავის მიმართვაში ქართლის გლეხებისადმი, — ამოირ-

---

1 იაკობ გოგებაშვილი, თხზ., ტ. 4, 1955, გვ. 57.

2 იქვე.

3 ლ. გორგილაძე, იდეოლოგიური ბრძოლის ისტორიიდან საქართველოში, 1963, გვ. 32.

ჩიეს მეტად სიმპათიური სრულიად კულტურული ღონისძიება: მტკიცე ერთობა თავის შორის და გაფიცვა, ბოიკოტი მოწინააღმდეგეთა შესასებ. კლასთა ბრძოლაში მათ არც ერთი ბარბაროსული ღონისძიება არ უხმარიათ, არც ერთი მემამულე არ მოუკლავთ მხოლოდ იმიტომ, რომ იგი მემამულე იყო. არც ერთი შენობა არ გადაუწვიათ. მართალია, ივინი სიკვდილით სჯიდნენ, მაგრამ ვის? სულმდაბალს ჯაშუშებს, რომელნიც მათ აბეზღებდნენ, ცილსა სწამებდნენ და ათობით და ოცობით აგზავნიდნენ საპყრობილეში.

თუ ახლა ყველას გაგვითენდა დილა თავისუფლებისა და მოველით თავისუფლების შუადღესაც, თუ ქართლის ერის მეტნაკლებობით გატეხილი სახელი აღდგა და პატივით იხსენიება კავკასიას, რუსეთსა და მთელს განათლებულს კაცობრიობაში, ეს უმთავრესად გურულების მეოხებით, რომლებმაც არ დაიშურეს საყოველთაო თავისუფლების მოპოვებისათვის არც თავისი რაინდული ხისხლი, არც თავისი ღვაწლიანი სიცოცხლე"[1].

1906 წელს, როცა საქართველოში ცარიზმმა დამსჯელი რაზმები აამოქმედა, ი. გოგებაშვილმა გაზ. „ცნობის ფურცელში" ორჯერ დაბეჭდა მიმართვა თბილისის ინტელიგენციისადმი — დარაზმულიყვნენ ქართველი მოსახლეობის დასაცავად და მეფისნაცვალი იძულებული გაეხადათ გამოეწვია საქართველოს სოფლებიდან მარბიელი ჯარები.

„ისევ ნაცადი ღონისძიება უნდა ვიხმაროთ თბილელმა ქართველებმა ახლაც. ვცადოთ და იქნება გადავარჩინოთ სისხლის ნაკადელებს, დარბევასა და გადაწვას დასაცლეთ საქართველო" — სასოებით წერდა იგი.

იაკობმა ქართულ საზოგადოებრიობას მიმართა წინადადებით შეექმნათ „განმათავისუფლებელი საყოველთაო ფონდი" რევოლუციაში დაზარალებულთა დასახმარებლად. „იმ ფულს, რომელიც ახლა გროვდება გურულების სახელობაზე. არ შეშვენის შეწირულების სახელი,— წერდა იაკობი. ეს წმინდა ვალის გადახდაა და არა შეწირულება, დახმარება"[2].

ი. გოგებაშვილმა, სათავეში ჩაუდგა რა ამ თაოსნობას, ქართველ საზოგადოებრიობას პირველმა მისცა მაგალითი იმით, რომ ფონდში

---

[1] ი. გ ო გ ებ ა შ ვ ი ლ ი, თხზ., ტ. 4, გვ. 49.

[2] ი. გ ო გ ებ ა შ ვ ი ლ ი, თხზ., ტ. 4, გვ. 108—131 (ეს სტატია 1908 წელს რუსულიდან თარგმნა გ. ყიფშიძემ და დაბეჭდა ქართულ ჟურნალ „განათლებაში").

შეიტანა მისი წიგნის „რანი ვიყავით გუშინ“ მთელი შემოსავალი და 1 თუმანი ყოველთვიური ხელფასიდან.

ი. გოგებაშვილმა 1905 წ. საგანგებოდ დააყენა საქართველოში სახალხო უნივერსიტეტების შექმნის საკითხი. მისი აზრით, ეს იქნებოდა დიდი ღონისძიება ხალხის განათლების საქმეში.

იაკობი გაბედულად ამხელდა ცარიზმის ყველა მცდელობას ამიერკავკასიის ხალხთა წაკიდებისა. იგი ხალხთა თანამშრომლობისა და მეგობრობის პროპაგანდისტი იყო.

1905 წელს პეტერბურგის ლიბერალურ-დემოკრატიულ გაზეთ „რასსვეტში“ იაკობ გოგებაშვილმა დაბეჭდა ერცელი სტატია „შეიწროება ქართული ენისა და ქართველებისა სწავლა-განათლების სფეროში“[1]. სტატია შეიცავს საქართველოში სწავლა-აღზრდის მდგომარეობის ღრმა ანალიზს, რომელიც თავისთავად ცხადყოფს ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის შეუთავსებლობას ხალხის ინტერესებთან, მისწრაფებას განათლების კარები დაეხშოთ ქართველი მოსახლეობისათვის. სტატიას რუსული დემოკრატიული საზოგადოებრიობა თანაგრძნობით შეხვდა. ი. გოგებაშვილმა ამ სტატიაში შესანიშნავად დაასაბუთა რუსი და ქართველი პროგრესული ძალების ინტერესთა ერთობლიობა და მთელი იმედი გადაიტანა რუსეთის იმ საუკეთესო შვილებზე, რომლებიც იბრძვიან თვითმპყრობელობის დამხობისა და დემოკრატიული მმართველობის დამყარებისათვის.

სახალხო რევოლუციისადმი თავისებური დამოკიდებულება ჰქონდა ნიკო ნიკოლაძეს. რევოლუციას იგი, საერთოდ, მიესალმებოდა. თვითმპყრობელური რეჟიმის დამხობა გარდუვალად მიაჩნდა, მაგრამ თვლიდა, რომ რუსეთი რევოლუციისათვის შემზადებული არ ყოფილა, ხოლო მოუმწიფებელ რევოლუციას შეეძლო ხალხისათვის უფრო ზიანი მოეტანა, ვიდრე სარგებლობა.

• • •

თერგდალეულთა სახელოვანი თაობიდან 1905 წლის რევოლუციის ყველაზე აქტიური პრაქტიკული მონაწილე იყო ვაჟა-ფშაველა. ვაჟა, რომელიც ამ დროს თიანეთის მაზრაში მასწავლებლობდა, მთის მოსახლეობას რევოლუციური ბრძოლის სათავეში ჩაუდგა როგორც წინამძღოლი და ყველა ღონისძიება მისი უშუალო მითითებებით ხორციელ-

---

[1] ი. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი, თხზ., ტ. 4, გვ. 131.

დებოდა. ვაჟა ავტორია იმ ცნობილი დეკლარაციისა, რომელიც მთის მოსახლეობამ მთავრობას წარუდგინა. 20 მუხლისაგან შემდგარი ეს დეკლარაცია საქართველოს მთაში აწესებდა ხალხის თანასწორუფლებიანობას და მმართველობას, სოლიდარობას უცხადებდა კავკასიის ერებს მათს სამართლიან ბრძოლაში თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ვაჟამ მიაღწია, რომ ფშავ-ხევსურეთისათვის მოეცილებინათ რეაქციონერი მაზრის უფროსი. იგი მეთაურობდა შეიარაღებული რაზმების მოქმედებას. ყველა მთიელი, რომელიც თავს შევიწროებულად და შეურაცხყოფილად იგრძნობდა, რჩევისა და დახმარებისათვის მიმართავდა ვაჟას, რომლის განჩინება კანონი იყო.

კაპიტანი სემიონოვი, რომელმაც მთავრობის დავალებით საგანგებოდ შეისწავლა ფშავ-ხევსურეთის რევოლუციური მოძრაობა, დასმენაში წერდა: „აღნიშნულ რაიონში რევოლუციური მოძრაობის სათავეში დგას სახალხო პოეტი „ვაჟა-ფშაველა" (მეტსახელია), გვარით ლუკა რაზიკაშვილი, რომელიც ცხოვრობს სოფელ ჩარგალში. აღნიშნული რაზიკაშვილი ფშავია, აქვს განუსაზღვრელი გავლენა ფშაველებზე, ითვლება სახალხო ბელადად. მე პირადად ვიცნობ მას. ესაა — ჭკვიანი, შარიანი კაცი, რომელიც ეხმარება მოსახლეობას სათხოვარი განცხადებების შედგენაში და ეწევა ქართულ პრესაში აგიტაციას მთავრობის წინააღმდეგ. უკანასკნელ ხანებში დაჟინებით ავრცელებს ყალბ ცნობებს ხევსურეთში თითქოსდა შიმშილობის და მოუსავლიანობის შესახებ... ეწევა აგიტაციას, რომ როცა მთავრობა გასცემს ფულს დამშეულთა დასახმარებლად, იგი მოხმარდეს რევოლუციისათვის იარაღის შეძენას... იმის გამო, რომ ვაჟა-ფშაველა მთაში ჭკვიან და აქტიურ მავნე მოღვაწეობას ეწევა, აუცილებელია მოვიგონოთ რიგი ღონისძიებებისა, რაც მის საქმიანობას გააუნებადებს, რადგან მის დაპატიმრებას შეიძლება მოჰყვეს სერიოზული შედეგები და არეულობა მაღაროსკარელთა შორის"[1]. დასმენაში შემდეგ მოთხრობილია როგორ გაძევა ვაჟა-ფშაველამ თიანეთიდან პრისტავი სოსო ჯანდიერი, — მთავრობის უაღრესად ერთგული კაცი, რომელიც აქტიურად ებრძოდა რევოლუციონერებს, ვაჟა-ფშაველა, — წერს სემიონოვი, — ჯანდიერის გაძევებას ცდილობდა განსაკუთრებით იმიტომ, რომ ამის გარეშე მთაში რევოლუციურ მოძრაობას წარმატება არ ექნებოდა, რადგან სოსო ჯანდიერი იყო ფიცის ერთგული და უბანში დამყარებული ჰქონდა სრული წესრიგი. მთიელ ქისტებზე მისი გავლენის მეშვეობით ქის-

---

[1] გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება", № 49, 1948.

ტები მას ეხმარებოდნენ სცოდნოდა ყოველივე, რაც ხდებოდა მის უბანშიო"[1].

ვაჟას ამ პერიოდის ცხოვრების შესახებ საინტერესოა მისი მეუღლის მოგონება: „1905 წელს ლუკა არ დარჩა ისე, რომ რევოლუციისათვის შორიდან ეცქირა და რამენაირად მონაწილეობა არ მიეღო მასში, იმას სწამდა, რომ როდესაც რევოლუცია გაიმარჯვებდა, საქართველო აუცილებლად განთავისუფლდებოდა რუსეთის თვითმპყრობელობის კლანჭებიდან. იმ დროს ჩარგალში მღვდლად გიგო სონღულაშვილი იყო. ერთ მშვენიერ დღეს დაუძახა ლუკამ იმ ჩვენს მღვდელს და უთხრა: — აბა ღვდელო, აიღე შენი შესამოსი და ჯვარი, უნდა გამომყვე სადაც მე წავალო.

— სად უნდა წავიდეთო, — ეკითხება მღვდელი.

— სად და ყინვალს, მაღაროსკარს, შუაფხოს, უკანფშაეს, ერთი სიტყვით ყველგან. უნდა სოფლის მოსამართლეებს და მამასახლისებს მედლები აეყარო და შენ კიდევ ხალხი საქართველოს ერთგულებაზე უნდა დააფიცოო.

გახეთქოდა გული გიგო მღვდელს. არ დამღუპო კაცო, რას ამბობ, ციმბირში გადაგვკარგავენ მეცა და შენცაო.

— ბევრს ნუ ლაპარაკობ, მღვდელო, თორემ ხომ ხედავ ამ მათრახსა, უარეს დღეს მე დაგაყრი თუ არ წამოხვალო და ისიც წაჰყოლოდა.

მართლაც, ვაჟას სადაც კი სუდია-მამასახლისები იყვნენ, ყველასთვის მედლები აეყარა. მღვდელი კიდევ ყველას საქართველოს ერთგულებაზე აფიცებდა. როდესაც თითქმის მთელი ფშავი მოიარეს, ლუკა მოვიდა. ერთი ტოპრაკი მედლები მოიტანა, გადმომიგდო და სიცილით მითხრა: აბა, დედაკაცო, ამის შიბი (გულზე გასაკეთებელი ფშაური სამკაული) გააკეთებინეო. ეს ამბავი გაეგო თიანეთის მაზრის უფროსს. მაშინვე დაეძახა პრისტავ ოზიაშვილისათვის და ეთქვა: წაიყვანე სტრაჟნიკები, დაიჭირე ვაჟა-ფშაველა და აქ მომგვარეო. ოზიაშვილს კიდევ ეთქვა არა ბატონო და მიეშვირა მკერდი, დაუძახე და ემწუთში დამხვრიტონ, ოღონდ მაგას მე ცოცხალი თავით ვერ ვიზამ, რას იტყვის ხალხი, ხომ სულ ჩაგვქოლავსო..."[2].

ვაჟას აქტიური რევოლუციური საქმიანობა ასევე კარგადაა ასახული გ. შამანაურის, ნ. ტლაშაძის, პ. ბუქურაულის, ე. აკობაშვილის, ივ. აფშინაშვილის და სხვ. მოგონებებში[3].

---

[1] სოლ. ყუბანეიშვილი, ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი, 1961, გვ. 277—280.
[2] იქვე, გვ. 276.
[3] იქვე, გვ. 284—288.

ვაჟა დიდი ინტერესით ადევნებდა თვალყურს რუსეთის მთელ იმპერიაში აზვირთებულ მოძრაობას. აღფრთოვანებას ანიჭებდა პეტერბურგსა და მოსკოვში დატრიალებული ამბები. სირცხვილია პეტერბურგსა და მოსკოვს ქართველები ჩამოერჩეთო, — აქეზებდა იგი მეგობრებს. რეკოლუციის წლებში დაწერილ ვაჟას ლექსებსა, ნარკვევებსა თუ პუბლიცისტურ წერილებში ჩაქსოვილია არსებული რეჟიმის სიძულვილის, ხალხის ბრძოლის სამართლიანობის სულისკვეთება და აღფრთოვანება თანამოძმეთა რევოლუციური აქტივობით. ასეთი განწყობილებისაა მისი იმდროინდელი ლექსები „გულო არ გასკდე, გამაგრდი“, „სიმღერა“, „მათრია წუთისოფელმა“, „კიდევაც ვნახავ გაზაფხულს“ და ამასთან, მრავალი სტატიები მთიელთა ცხოვრებიდან. ვაჟა განიცდიდა, რომ რევოლუციაში ზღვა სისხლი დაიღვარა, მაგრამ თანამებრძოლთ ანუგეშებდა, რომ უმსხვერპლოდ დიდი საქმე არასოდეს არ გაკეთებულა, რომ დღევანდელ მარცხს ხვალ გამარჯვება მოჰყვებაო („კიდევაც ვნახავ გაზაფხულს“).

თერგდალეულთა უფროსი თაობის გვერდით იდგნენ ექვთიმე თაყაიშვილი, ივანე ჯავახიშვილი, ვასილ პეტრიაშვილი, პეტრე მელიქიშვილი და მრ. სხვა.

ექვთიმე თაყაიშვილი თაოსანი იყო იმ დელეგაციისა, რომელიც ვორონცოვ-დაშკოეთან მეორედ მივიდა (ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ) და სთხოვა არ გაეგზავნა დამსჯელი ექსპედიცია გურიაში. მეფის ნაცვალი, როგორც ცნობილია, ამ თხოვნას წინ ვერ აღუდგა და დროებით გადასდო დამსჯელი რაზმის გაგზავნა.

ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის საწყისი ეტაპი რუსეთის იმპერიის ქარიშხლოვან ეპოქას დაემთხვა. პეტერბურგის უნივერსიტეტში პრივატ-დოცენტი ივ. ჯავახიშვილი სათავეში ედგა ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრეს, რომელიც მეცნიერებასთან ერთად დიდად დაინტერესებული იყო პოლიტიკური საკითხებით. რუსეთის პირველ რევოლუციაში ისინი ხედავდნენ ცარიზმის უღლისაგან საქართველოს გათავისუფლებას და მთელი არსებით თანაუგრძნობდნენ საქართველოს მშრომელთა ერთობლივ ბრძოლას სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ.

1906 წელს ივ. ჯავახიშვილმა გამოაქვეყნა ნაშრომი „პოლიტიკური და სოციალური ბრძოლა საქართველოში XIX საუკუნეში“[1]. ნაშრომის

---

[1] И. Джавахишвили. Политическое и социальное движение в Грузии в XIX веке, Пет., 1906.

მიზანს შეადგენდა ემხილა ქართველი ხალხის ჩაგვრის აუტანლობა და დაესაბუთებინა გლეხთა რევოლუციური გამოსვლების კანონზომიერება. შესავალ ნაწილში ივანე გაბედულად მიუთითებდა, რომ საქართველოში აზვირთებული ბრძოლა შედეგია არა პოლიტიკური პარტიების აქტიური აგიტაციისა, როგორც ამას ცარიზმი ირწმუნება, არამედ იმ უხეში, ხალხისათვის პირდაპირ აუტანელი ჩაგვრისა და შევიწროებისა, რასაც ცარიზმი საქართველოში დამკვიდრების დღიდან ახორციელებს, მემამულეებისა და გლეხობის იმ სოციალური ანტაგონიზმისა, რომელიც თანდათან ღრმავდებოდა მთელი XIX საუკუნის განმავლობაში და ამჟამად რევოლუციურ ბრძოლაში გადაიზარდაო. ამ ნაშრომის გამოქვეყნებას იმ პერიოდში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. იგი ამზეურებდა ცარიზმის დანაშაულს ხალხის წინაშე, საჯაროდ იცავდა ქართველ გლეხობას.

ივ. ჯავახიშვილთან ერთად ქართველი დემოკრატიული ინტელიგენციის აქტიურ პოზიციას რევოლუციაში იზიარებდნენ პეტერბურგის უნივერსიტეტის აღიარებული პროფესორები ალექსანდრე ცაგარელი, ნიკო მარი; ისინი აქტიურად ებრძოდნენ რუსეთის რეაქციულ საეკლესიო პოლიტიკას, ამხელდნენ თვითმპყრობელობის აგენტების — ვოსტორგოვისა და სხვ. საქმიანობას, აქტიურად უჭერდნენ მხარს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას, რაც შემადგენელი ნაწილი იყო საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა.

თერგდალეულთა პოზიციიდან აფასებდა პირველ რევოლუციას პროფ. ალ. თარხნიშვილი, რომელიც ამ დროს მოსკოვის უნივერსიტეტში მოღვაწეობდა და ალ. სუმბათაშვილ-იუჟინი — სახელმოხვეჭილი მსახიობი, დრამატურგი, რომელსაც რუსეთის ინტელიგენციაში განსაკუთრებით დიდი გავლენა ჰქონდა. ხახანაშვილი და სუმბათაშვილ-იუჟინი მოსკოვში სათავეში ედგნენ ქართველი ინტელიგენციის სათვისტომოს და აქტიურად მოღვაწეობდნენ იმისათვის, რომ რუსეთის შემოქმედებითს ინტელიგენციაში გაეღვიძებინათ ინტერესი საქართველოსადმი, გამოეწვიათ საქართველოს რევოლუციური მოძრაობისადმი მხარდაჭერა.

საქართველოს რევოლუციურ შემართებას აღფრთოვანებით განიცდიდა სახელმოხვეჭილი პროფესორი ვ. პეტრიაშვილი, რომელიც ოდესის უნივერსიტეტში XIX ს. 60-იანი წლებიდან ქართველ სტუდენტთა რევოლუციურ მოძრაობას მეთაურობდა. რევოლუციის წლებში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ოდესის უნივერსიტეტი რევოლუციის ნამდვილ

ციტადელს წარმოადგენდა. მოძრაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ ქართველი სტუდენტები. როცა ცარიზმმა რევოლუციისადმი მხარდაჭერის გამო ოდესის უნივერსიტეტის რექტორობიდან გადააყენა ი. ზანჩევსკი, არსებული წესის მიხედვით, რექტორის პოსტი ეკუთვნოდა ვ. პეტრიაშვილს, როგორც უხუცეს დეკანს. პეტრიაშვილმა ავადმყოფობის მიუხედავად, დაიკავა ეს თანამდებობა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში რექტორობისკენ გზა ეხსნებოდა პირწავარდნილ რეაქციონერს პროფ. ლეგაშევს. ოდესის იმ დროის ბატონ-პატრონი იყო გენერალი ტოლმაჩოვი, რომელსაც სძულდა რევოლუციური ინტელიგენცია (განსაკუთრებით ქართველობა). ცნობილია, რომ 1905 წ. საქართველოში მან თავი გამოიჩინა რევოლუციონერებთან მხეცური ანგარიშგასწორებით. იგი წინ აღუდგა ვ. პეტრიაშვილის რექტორობას და მის წინააღმდეგ ინტრიგებს მიმართავდა. ვ. პეტრიაშვილი ტოლმაჩოვის მუქარას არ მოუდრეკია, მთელი შესაძლებლობით მფარველობდა უნივერსიტეტის პროგრესულ ძალებს, გასაქანს აძლევდა სტუდენტთა რევოლუციურ მოძრაობას. ვ. პეტრიაშვილს მუდმივი კონფლიქტი და შეტაკება ჰქონდა რეაქციულ პროფესურასთან, სასწავლო ოლქის მზრუნველთან არ ასრულებდა მინისტრის მითითებებს. ესარჩლებოდა ებრაელ ახალგაზრდობას, გზას უხსნიდა უნივერსიტეტში. ვ. პეტრიაშვილის ერთგულ თანაშემწეს და მებრძოლ მეგობარს ამ პერიოდში წარმოადგენდა მისი სახელოვანი მოწაფე პეტრე მელიქიშვილი, რომელიც 1905—1906 წლებში ოდესის უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის დეკანი იყო[1].

სახელოვან სამოციანელთა პლეადიდან ჩვენ რამდენიმე მოღვაწის რევოლუციურ-დემოკრატიულ საქმიანობაზე შევაჩერეთ მკითხველის ყურადღება.

მოტანილი მაგალითებითაც ცხადი და უდავოა: თერგდალეულთა სახელოვანი თაობა, რომელიც რუსეთის რევოლუციის წლებში კელავ აქტიურად მოღვაწეობდა, რევოლუციური პათოსით იყო გამსჭვალული. მას აღაფრთოვანებდა თანამემამულეთა საბრძოლო ენთუზიაზმი და თავდადება და ცდილობდა ხალხის ამ ერთსულოვანი აზვირთებისათვის ფეხი აეწყო და მთელი შესაძლებლობა მოეხმარებინა.

---

[1] ე. წ ე ლ ა ძ ე, ორი ქიმიკოსი, 1953, გვ. 97—95.

• • •

ამიერკავკასიის მშრომელი მასების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობამ ცარიზმს უკარნახა მეტი სიფრთხილით მოჰკიდებოდა მხარის მართვა-გამგეობის საქმეს: როგორც ცნობილია, კავკასიის სამეფისნაცვლო აღადგინეს თავის უფლებებში. გაწვეულ იქნა მთავარმართებელი გოლიცინი, რომელიც ადგილობრივ ცნობილი იყო „კავკასიის მხეცის" მეტსახელით. კავკასიის მეფისნაცვლად დაინიშნა ცარიზმის ცბიერი მოხელე ვორონცოვ-დაშკოვი.

ვორონცოვ-დაშკოვმა კავკასიის მოსახლეობის თვალის ასახვევად კოლონიური რეჟიმის შემამსუბუქებელი ზოგიერთი ღონისძიება გაატარა: დაითხოვა ყველაზე რეაქციული მოხელეები და მათ ნაცვლად ლიბერალო ელემენტები მიიწვია, გამართა თათბირები კავკასიაში ერობის შემოღებისა და სასამართლოს ორგანიზაციის საკითხებზე, გლეხობას შეჰპირდა დროებითვალდებულთა ინსტიტუტის გაუქმებას. მან განსაკუთრებული მფარველობის ქვეშ აიყვანა სომხური ბურჟუაზია, ნება დართო გაეხსნათ სკოლები სომხურ ენაზე, სომხურ ეკლესიას დაუბრუნა ქონება, რომელიც ჩამორთმეული ჰქონდა გოლიცინის მიერ და სხვ.

დემოკრატიისადმი დათმობის ერთ-ერთი თვალსაჩინო ფაქტი იყო ქუთაისის გუბერნატორად სახელმოხვეჭილი მეცნიერი-აგრონომის, რუსეთის დემოკრატიული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლის ვლადიმერ ალექსანდრეს ძე სტაროსელსკის დანიშვნა. ვ. ა. სტაროსელსკი იყო თანამიმდევარი რევოლუციონერი-დემოკრატი, რომელიც თავის ღრმა შეგნებით თანდათანობით მივიდა მარქსიზმთან. მას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ქართველ რევოლუციონერ-მარქსისტებთან. დასავლეთ საქართველოში მისი გუბერნატორობის დროს გატარდა რიგი რევოლუციური ღონისძიებებისა. მთავრობა იძულებული გახდა დანიშვნიდან მეშვიდე თვეზე „წითელი გუბერნატორი" თანამდებობიდან მოეხსნა.

მთავრობის დაპირებანი და დამთმობლური ღონისძიებანი დროებითი ხასიათისა იყო. იგი მიზნად ისახავდა მხოლოდ დროის მოგებას. ვორონცოვ-დაშკოვი ამასთან, ფარულად ამზადებდა რევოლუციის ჩახშობას. იგი თავს უყრიდა მთავრობის ძალებს, აწყობდა ადგილობრივი კონტრრევოლუციური ელემენტების მობილიზაციას.

ვორონცოვ-დაშკოვის წაქეზებითა და ხელშეწყობით ქართველმა რეაქციულმა თავადაზნაურობამ დაიწყო შექმნა სპეციალური რაზმე-

ბისა, რომლებმაც მიზნად დაისახეს რევოლუციური გლეხობის რბევა-აწიოკება. რაზმებში მიიწვიეს პროფესიული ყაჩაღები და სხვა გარეწარი ელემენტები. თავადაზნაურთა ერთ-ერთი ასეთი რაზმი ჩამოყალიბდა გორში, — თავადების — ამილახვრისა და აბდუშელიშვილის მეთაურობით. — „ქართველ აგრარიების დასს" მოუკრეფია ადგილობრივად 700 კაცისაგან შემდგარი ე. წ. „თავადაზნაურთა დრუჟინა", რომელსაც ბელადობს უნივერსიტეტის კურსდამთავრებული (ს. აბდუშელიშვილი) და ეს ვაჟბატონი, თურმე, მათრახით ხელში, მაწანწალა ბრბოს თანხლებით, დაძრწის ქართლის ქალაქებსა და დაბებში და შიშის ზარსა სცემს ადგილობრივ მშვიდობიან და უწყინარ მცხოვრებლებსო", — აღშფოთებული წერდა „მოგზაური"[1].

ვორონცოვ-დაშკოვის მითითებით მთავრობის ჯარებმა 1905 წლის 29 აგვისტოს დახვრიტეს მიტინგი, რომელიც ქალაქის შუალედურმა ფენებმა გამართეს თვითმმართველობის გამგეობის შენობაში. ჯალათურმა ლონისძიებამ ამიერკავკასიის პროლეტარიატის საბრძოლო რიგები კიდევ უფრო შეაჭიდროვა. დახოცილი ამხანაგების პატივსაცემად პირველი სექტემბერი გლოვის დღედ იქნა გამოცხადებული. პოლიტიკური დემონსტრაციები გაიმართა ამიერკავკასიის მთელ რიგ ქალაქებში. მასში აქტიურ მონაწილეობას იღებდა დემოკრატიული ინტელიგენცია. რსდმპ კავკასიის კავშირის მოწოდებაში აღნიშნული იყო, რომ მეფის მთავრობა ნუ იფიქრებს, ჩვენი რევოლუციური სიმამაცე გასტეხოს! პირიქით, მოძმეთა სისხლი გულს უფრო ამაგრებს, „ძმათა აჩრდილნი ნათქვამია პროკლამაციაში — თავს გვევლებიან და ყურში ჩაგვჩურჩულებენ: სისხლი აიღეთო! ჩვენ ვერ დავიხვეთ უკან, ჩვენ ვერ დავუშვებთ დროშას! სისხლი სისხლისათვის და სიკვდილი სიკვდილისათვის— აი რით უნდა ვუპასუხოთ ჯალათებს, შეიარაღება და სისხლის აღება! გაუმარჯოს აჯანყებას! — აი, როგორი უნდა იყოს ჩვენი ლოზუნგები, ამხანაგო მუშებო"[2].

ვორონცოვ-დაშკოვის მფარველობით თბილისში შეიქმნა შავრაზმული ორგანიზაცია, რომელმაც შემოიკრიბა ყველაზე რეაქციული, დიდმპყრობლური შოვინიზმით გაჟღენთილი ნაძირალა ელემენტები და 21—22 ოქტომბერს ქალაქში მოაწყო მანიფესტაცია, რასაც მშვიდობიანი მოსახლეობის რბევა-აწიოკება და ხოცვა-ჟლეტა მოჰყვა. კაეკა-

---

1 გაზ. „მოგზაური", № 17, 1905.

2 1905—1907 წწ. რევოლუცია საქართველოში, გვ. 213.

ხის ხელისუფლებამ ბნელი ძალები ისევ აამოქმედა და სომეხ-თათართა ახალი ხოცვა-ჟლეტა გამოიწვია.

1905 წლის შემოდგომაზე, ცარიზმის რეპრესიულ ღონისძიებათა მიუხედავად, რევოლუციური მოძრაობა საქართველოში უფრო მძლავრად გაჩაღდა. ბოლშევიკური პარტიის მოწოდებამ შეიარაღებული აჯანყებისაკენ პროლეტარიატსა და რევოლუციურ გლეხობაში ერთსულოვანი მხარდაჭერა პოვა. 17 ოქტომბრის მანიფესტმა, რომლის დასაცავად მენშევიკები ენერგიას არ ზოგავდნენ, მშრომელ კლასებს თვალი ვერ აუხვია. შეიარაღებულმა მუშებმა საბარიკადო ბრძოლები გაიჩაღეს. სისტემატური ხასიათი მიიღო გლეხთა წითელი რაზმების შეტაკებებმა მეფის ჯარებთან.

ნოემბრის ბოლო რიცხვებში მეფის ჯარებთან სისხლისმღვრელი ბრძოლები იმართებოდა ქუთაისში, ბათუმში. დეკემბერში მთავრობამ სამხედრო წესები გამოაცხადა თბილისში; ნაძალადევის, დიდუბის რაიონები ამ დროს მუშათა რაზმებს ეკავათ, რომლებიც ჯარების შემოტევისაგან თავიანთ ბასტიონებს გმირულად იცავდნენ. თბილისის გუბერნიის რკინიგზა მუშებს ჰქონდათ დაკავებული. აჯანყების ალში გაეხვია გორის, დუშეთის, თელავის, სიღნაღის მაზრები. გურიის გლეხობამ ნასაკირალთან მთავრობის ჯარებზე მოაწყო გმირული თავდასხმა და გამარჯვება მოიპოვა. ბათუმისა და სოხუმის ოლქებში, ქუთაისის, შორაპნის, ზუგდიდის, სენაკის მაზრებში გლეხთა წითელი რაზმები შიშის ზარს სცემდნენ პოლიციასა და მთავრობის ჯარებს. 30 დეკემბერს გლეხთა რაზმებს ბოლშევიკების მეთაურობით ყვირილასა და ხარაგაულთან შეტაკება მოუხდათ 77-ე პოლკის ორ ასეულთან, რომლებიც განაიარაღეს და დაატყვევეს. 1906 წლის 2 იანვარს რაზმელებმა წიფის გვირაბთან იარაღი აჰყარეს იმავე პოლკის მეცხრე ასეულს. სოფლებში ძალაუფლება რევოლუციური გლეხობის მიერ ამორჩეულ პირებს ეკავათ. მეფის მოხელეები მიიმალნენ. იმ გმირულ რევოლუციურ ბრძოლებში, რომლებიც საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში მიმდინარეობდა, მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის მხარდამხარ ყოველთვის იდგა დემოკრატიული ინტელიგენცია. მოსწავლენი, სტუდენტები, მასწავლებლობა, თეატრის, პრესის მუშაკები და სხვ. ისინი ხშირად გმირობის, რევოლუციისადმი თავდადების მაგალითებს უჩვენებდნენ.

მოსკოვის აჯანყების განადგურებით გამხნეებული მეფის მთავრობა განსაკუთრებული გააფთრებით დაეჯახა ეროვნულ-განმათავი-

სუფლებელ მოძრაობას განაპირა ქვეყნებში. საქართველოში ამოქმედნენ დამსჯელი ექსპედიციები.

• • •

ვაჯამებთ რა ქართველი დემოკრატიული ინტელიგენციის მონაწილეობას პირველ რევოლუციაში, წარმოდგენილი მასალა უფლებას გვაძლევს გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნები:

1. 1905—1907 წლების რევოლუციის მთელმა მსვლელობამ დაადასტურა ლენინური დებულება, რომ ყველაზე მებრძოლ, თანამიმდევრულ რევოლუციურ და ავანგარდულ ძალას წარმოადგენდა პროლეტარიატი. თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში პროლეტარიატმა გაიყოლია მისი ყველაზე საიმედო მოკავშირე — გლეხობა; რევოლუციის გამოცდილებამ დაადასტურა აგრეთვე ვ. ი. ლენინის იმედები დემოკრატიულ ინტელიგენციაზე, როგორც მოკავშირეზე თვითმპყრობელობის დამხობისათვის ბრძოლაში. დემოკრატიული ინტელიგენცია გაჰყვა პროლეტარიატს და ზოგიერთი სიფრთხილისა და მერყეობის მიუხედავად, საერთო ჯამში ბარიკადების იმ მხარეზე დადგა, სადაც პროლეტარიატი და გლეხობა იდგნენ. რევოლუციის აქტიური მხარდაჭერისათვის დემოკრატიულ ინტელიგენციას განაწყობდა თვითმპყრობელური რეჟიმის დამხობისათვის ბრძოლის საერთოსახალხო ხასიათი, რუსეთში დესპოტიზმის მოსპობისა და სამართლიანი, დემოკრატიული წყობილების დამყარების პერსპექტივები. ამასთან, დემოკრატიული ინტელიგენციის მოძრაობის აღმავლობა უშუალოდ იყო დამოკიდებული პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის აღმავლობაზე. დემოკრატიული ინტელიგენციის ყველა თვალსაჩინო გამოსვლა საქართველოში, ისე როგორც ყველგან, პროლეტარიატის მოწოდების შედეგად იწყებოდა და მიმდინარეობდა მისივე მეთაურობით.

2. 1905—1907 წლები საქართველოში წარმოადგენდა უმაღლეს ფაზას იმ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა, რომელსაც სათავე XIX ს. 30-იანი წლებიდან დაედო და რომელიც მიმართული იყო ცარისტული რეჟიმის წინააღმდეგ. ახალ ეტაპზე ამ მოძრაობის ავანგარდულ ძალად გამოვიდა საქართველოს პროლეტარიატი. იგი წარმართავდა საქართველოს სოფლებში აზვირთებულ აგრარულ ბრძოლას, ქალაქების შუალედური ფენების, დემოკრატიული ინტელიგენციის მოძრაობას.

1905—1907 წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში ნათლად გამოვლინდა ამ ბრძოლის ადრინდელი ეტაპების მაღალი ტრადიციები: ის ფაქტი, რომ რევოლუციის მთელ მანძილზე საერთოსაიმპერიო მოძრაობაში საქართველოს ერთ-ერთი მოწინავე უბანი ეკავა, განპირობებული იყო ერთი მხრივ, მშრომელი მოსახლეობის კოლონიური ჩაგვრის ორმაგობითა და სიმძიმით, მეორე მხრივ, საბრძოლო დარაზმულობის იმ მაღალი ტრადიციებით, რომელიც XIX ს. საქართველოს გლეხთა მოძრაობასა და საზოგადოებრივი აზრის რევოლუციურ-დემოკრატიულ მიმდინარეობაში იქნა დაგროვილი.

3. 1905—1907 წლების რევოლუციის ერთ-ერთი ნიშანდობლივი თვისება იმაში მდგომარეობდა, რომ რევოლუციური გლეხობის მხარდამხარ მასობრივად დადგა სოფლის ინტელიგენცია. ეს საერთო რუსული მოვლენა იყო. საქართველოში სოფლის ინტელიგენციის მასობრივ შემართებასა და აქტიურობას აპირობებდა ის ორმაგი ჩაგვრა, რომელსაც ეს ინტელიგენცია ცარისტული რეჟიმის პირობებში განიცდიდა.

სოფლის ინტელიგენცია წარმოადგენდა ძირითად ძალას, რომელსაც ბოლშევიკები და სხვა დემოკრატიული პარტიები ეყრდნობოდნენ თავიანთ სააგიტაციო-პროპაგანდისტულ მუშაობაში. სოფლის ინტელიგენცია (ძირითადად მასწავლებლები) იყო გლეხთა შეკრებების ორგანიზატორი და აქტიური მონაწილე, მიტინგებზე შემუშავებული მოთხოვნების ავტორი. სოფლის ინტელიგენცია იღებდა აქტიურ მონაწილეობას ახალი ხელისუფლების ორგანიზაციაში. რა თქმა უნდა, სოფლის ინტელიგენციის შეხედულება რევოლუციაზე არ იყო ერთგვაროვანი და მასაც ისეთივე იდეური სხვადასხვაგვარობა ახასიათებდა, რაც საერთოდ ქართულ დემოკრატიულ ინტელიგენციას, მაგრამ ქალაქის ინტელიგენციისაგან განსხვავებით, სოფლის ინტელიგენციის მეტი აქტივობა რევოლუციის მთელ მანძილზე ნაკლებად ცვალებადი იყო. სოფლის ინტელიგენცია ბოლომდე აქტიურად გაჰყვა აგრარულ მოძრაობას. კონსტიტუციურ ილუზიებს იგი არ გაუბრუებია, მისი აქტივობა და რევოლუციური ენთუზიაზმი არ შეუნელებია.

4. იმ პარტიებიდან და პოლიტიკურ მიმდინარეობათაგან, რომლებიც პირველი რევოლუციის პერიოდში საქართველოში აქტივობდნენ, ყველაზე რევოლუციური და თანამიმდევრული პოზიცია ბოლშევიკურ პარტიას ეკავა. ბოლშევიკები რევოლუციის მთელ მანძილზე მტკიცედ აპორციელებდნენ ხელმძღვანელ და წარმმართველ ძალას რევოლუციაში. რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის, თბილისისა და იმერეთ-

საბჭოგრელოს კომიტეტების უშუალო ხელმძღვანელობით ეწყობოდა და მიმდინარეობდა საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში მუშათა კლასისა და გლეხობის საგაფიცვო მოძრაობა, დემონსტრაციები და მანიფესტაციები, შეიარაღებული გამოსვლები და საბარიკადო ბრძოლები. ბოლშევიკები განუხრელად იცავდნენ რევოლუციაში ლენინურ მითითებებს, ააშკარავებდნენ სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის პროგრამის ბურჟუაზიულ ხასიათსა და უტოპიურობას, ქართველი ანარქისტების, სოციალისტ-რევოლუციონერების და სხვა მიმდინარეობათა ინტერესების შეუთავსებლობას რევოლუციის ჭეშმარიტ ინტერესებთან, მენშევიკების მერყეობას, დამთმობლობას, გამთიშველობისადმი მისწრაფებას, რაც იმ დროს რევოლუციური საქმის ღალატს წარმოადგენდა. ამასთან ერთად, საჭიროების შემთხვევაში, როცა ამას რევოლუციის კონკრეტული ინტერესები კარნახობდა, ბოლშევიკები წვრილბურჟუაზიულ პარტიებთან კოალიციაშიც შედიოდნენ, რომ გაერთიანებული ძალებით უფრო მძლავრად შეეტიათ ცარიზმისათვის, გაეუვნებადებინათ მისი რეაქციული კონტრლონისძიებანი.

5. საქართველოს ბოლშევიკებს საერთოდ მართებული პოზიცია ეკავათ დემოკრატიული ინტელიგენციის მიმართ. ბოლშევიკები სწორ ნიმართულებას აძლევდნენ და რევოლუციის ინტერესებისათვის უნარიანად იყენებდნენ დემოკრატიული ინტელიგენციის უკმაყოფილებასა და პროტესტს არსებული უსამართლო რეჟიმის წინააღმდეგ. მოსწავლეთა და სტუდენტთა რევოლუციურ გამოსვლებს, შემოქმედებითი ინტელიგენციის აქტივობას ბოლშევიკები ანიჭებდნენ მეტ პათოსს და რევოლუციურ გამოკვეთილობას. ბოლშევიკების პრინციპულმა და თანამიმდევრულმა პოლიტიკამ უზრუნველყო დემოკრატიული ინტელიგენციის ძირითადი ძალების დარაზმულობა რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის დროშის ქვეშ. აქვე შევნიშნავთ: ზოგიერთი ხელმძღვანელი ბოლშევიკის ეროვნული ნიჰილიზმი და დემოკრატიული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებთან ულტრა მომემარცხენეო დამოკიდებულება საზიანო იყო რევოლუციის ინტერესებისათვის, ვინაიდან იწვევდა მისი მერყეევი ელემენტების გადასვლას წვრილბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პოზიციაზე.

6. პირველ რევოლუციაში მონაწილე ქართველი დემოკრატიული ინტელიგენცია პირობითად შეიძლება დავაჯგუფოთ სამ თაობად; — თერგდალეულები, 80-იანელები და „მესამედასელები". პირველი თაობის მოღვაწენი (ი. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, ნ. ნიკოლაძე და სხვ.) რევოლუციაში ხედავდნენ ხორცშესხმას იმ პრო-

გრაშისა, რომლითაც სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდნენ XIX ს. 60-იან წლებში. ისინი აღფრთოვანებული იყვნენ მასების რევოლუციური აქტივობით, თუმცა ქართველი ხალხის ანტაგონისტური სოციალური ჯგუფების შინაარსი საზიანოდ მიაჩნდათ და ოცნებობდნენ რევოლუციის ხომალდი შეებრუნებინათ ცარიზმის კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ ერთობლივი იერიშების მიმართულებით. თერგდალეულთა თაობა ასაკის გამო რევოლუციის აქტიურ ძალად აღარ გამოსულა, მაგრამ მისი როლი ამ რევოლუციის იდეურ შემზადებაში უდიდესი იყო. ასევე დიდი იყო გავლენა, რომელიც მათ მასებზე უშუალოდ რევოლუციის დღეებში ჰქონდათ. მათ ყოველ გამოსვლას, მოწოდებას მებრძოლი მასები მხარდაჭერით ეხმაურებოდნენ.

რევოლუციაში უფრო აქტიურ ძალად წარმოგვიდგება XIX ს. ოთხმოციანელნი — ე. წ. საშუალო თაობა (ვაჟა-ფშაველა, ს. მგალობლიშვილი, ეკ. გაბაშვილი, გ. ზდანოვიჩ-მაიაშვილი, ივ. გომართელი, ივ. როსტომაშვილი და სხვ.). თერგდალეულთა იდეებზე აღზრდილი ეს თაობა, რომელიც თავიდანვე საქართველოს გლეხური მოსახლეობის სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან გათავისუფლების პროპაგანდას ეწეოდა, რევოლუციას დიდი იმედებით შეხვდა. ამ თაობის პროგრამა რევოლუციის პერიოდში საერთო-დემოკრატიულ ჩარჩოებს არ გასცილებია, მაგრამ თავისი მიმართულებით იგი რევოლუციურ-დემოკრატიული იყო და დადებით როლს ასრულებდა ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

დემოკრატიული ინტელიგენციის რიგებიდან ყველაზე მოქმედ და აქტიურ ძალას წარმოადგენდა ის უმცროსი თაობა, რომელიც 90-იან წლებში გამოვიდა საზოგადოებრივ ასპარეზზე და ძირითადად „მესამე დასის" იდეებზე წამოიზარდა.

„მესამე დასმა" — პირველმა მარქსისტულმა ორგანიზაციამ საქართველოში შემოიკრიბა და აღზარდა ქართველი მარქსისტულ-ლენინური ინტელიგენციის შესანიშნავი თაობა, პროფესიულ რევოლუციონერთა თაობა, რომელიც არა მარტო 1905—1907 წლებში, არამედ იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციის მთელ ეპოქაში სათავეში ედგა საქართველოსა და ამიერკავკასიის მშრომელთა ბრძოლას სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის (ი. ბ. სტალინი, ალ. წულუკიძე, მ. ცხაკაია, ფ. მახარაძე, მ. დავითაშვილი და სხვ.). რევოლუციის მონაწილე ამ თაობის ინტელიგენციიდან მარქსისტულ-ლენინურ მსოფლმხედველობამდე ყველა, ცხადია, ვერ ამაღლდა, ზოგიც წვრილბურჟუაზიული პარტიების ბანაკში აღმოჩნდა (ა. ჯორჯაძე, გ. ლასხი-

შვილი, ს. ფირცხალავა, თ. სახოკია და სხვ.), მაგრამ, საერთოდ, მათი პრაქტიკული რევოლუციური საქმიანობა წარმართა რევოლუციის სასარგებლოდ. საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციის მესვეურებმა დემოკრატიული ინტელიგენციის შემოკრებისა და დარაზმვისათვის დიდი მუშაობა ჩაატარეს. მათ შეძლეს ამ ინტელიგენციის ინტერნაციონალური სულისკვეთების გაღვივება და მნიშვნელოვანწილად დაძლევა მერყეობისა და იქვნეულობისა, რომელიც საერთოდ დამახასიათებელია ინტელიგენციისათვის.

7. ქართველი დემოკრატიული ინტელიგენცია სოციალურად თითქმის ერთგვაროვან ჯგუფს წარმოადგენდა. მასში შედიოდნენ მუშათა კლასის, გლეხობის, ქალაქური შუალედური ფენების (ხელოსნების, ვაჭრების, დაბალი სასულიერო პირების, გაღატაკებული აზნაურობის წარმომადგენლები). ისინი, რომელთაც ცარისტული რეჟიმი ჩაგრავდა და თავისუფლების გზას უხშობდა. სოციალურად თითქმის ამ ერთგვაროვან მასაში არ იყო მკვეთრი კლასობრივი დაპირისპირება. არსებითად ყველანი ექსპლოატირებული და უუფლებო კლასების წარმომადგენლები იყვნენ. ასეთ ვითარებაში ქართველი დემოკრატიული ინტელიგენციის იდეური სხვადასხვაობა თითქოს აუხსნელი ჩანს, ვინაიდან ასეთი სხვადასხვაობის საფუძველს მათი კლასობრივი კუთვნილება არ იძლევა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქართველი დემოკრატიული ინტელიგენციის მიერ რევოლუციის პერსპექტივების სხვადასხვაგვარი გაგება მათ მიერ ეროვნული საკითხის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციიდან მომდინარეობდა, ეროვნული საკითხი იყო წყალგამყოფი ინტელიგენციის სხვადასხვა მიმდინარეობათა შორის. ერთ მთავარ ჯგუფს ქართველი დემოკრატიული ინტელიგენციისა მიაჩნდა, რომ იმ ეტაპზე ეროვნული საკითხი არ იყო წამყვანი და ძირითადი, რომ ეროვნული თავისუფლება თავისთავად მიჰყვებოდა რევოლუციის გამარჯვებას. მეორე მთავარი ჯგუფი კი წინაპლანზე აყენებდა ეროვნულ საკითხს, მიაჩნდა, რომ ეროვნული ავტონომია იყო ის მთავარი საძირკველი, რომელზედაც აიგებოდა შინაგანად დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული შენობა. ამ ორ მიმდინარეობას გაჰყვა არსებითად ქართველი დემოკრატიული ინტელიგენცია არა მარტო ამ რევოლუციაში, არამედ სამი რევოლუციის გზაზე.

8. ჩვენი უპირატესი ყურადღება მოსწავლეებზე, სტუდენტობაზე, მასწავლებლებსა და შემოქმედებითს ინტელიგენციაზე იმას არ ნიშნავს, რომ განზე ვტოვებთ დემოკრატიული ინტელიგენციის სხვა დარგის წარმომადგენელთა მოძრაობას (რკინიგზის, ფოსტა-ტელეგრაფის,

სამედიცინო საწსახურის მოსამსახურენი, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი). საერთო დემოკრატიულ მოძრაობაში ეს ინტელიგენციაც აქტიურად მონაწილეობდა. მაგრამ, ამასთან, ყურადღება მისაქცევია ერთი კარემოებაც: ამ უწყებებში მომუშავე ინტელიგენციის უმრავლესობა არაქართველი იყო, იგი სუსტად იყო დაკავშირებული ქართველ დემოკრატიულ ინტელიგენციასთან, ჩაკეტილ კასტას წარმოადგენდა და ობიექტურად მონაწილე იყო კიდეც იმ კოლონიური ჩაგვრისა, რასაც ცარიზმი საქართველოს მიმართ ახორციელებდა. თბილისში და ამიერკავკასიის მსხვილ ქალაქებში, მართალია, ადგილი ჰქონდა რკინიგზის მუშა-მოსამსახურეთა, აფთიაქის მოსამსახურეთა და სხვა უწყებების მოსამსახურეთა გაფიცვებს, მაგრამ თავისი მასშტაბით იგი შედარებით მცირე იყო, ამასთან ამ გაფიცვებს გამოკვეთილ რევოლუციურ ხასიათს აძლევდა დაბალი რანგის მოხელეობა, სადაც შედარებით ჭარბობდა ქართული ელემენტი.

ქართველი დემოკრატიული ინტელიგენცია 1907—1917 წლებში

1907 წლის 3 ივნისს, როცა ცარიზმმა გარეკა მეორე სახელმწიფო სათათბირო და ახალი საარჩევნო კანონი გამოაქვეყნა, რუსეთში განხორციელდა სახელმწიფო გადატრიალება. სამი ივნისის აქტით ცარიზმმა ფეხქვეშ გათელა რევოლუციის მონაპოვარი — 1905 წ. 17 ოქტომბრის მანიფესტი და საჯაროდ აღიარა შავი რეაქციისკენ უყოყმანო მობრუნება.

მეფის მთავრობა ამიერიდან რევოლუციური კლასების წინააღმდეგ აშკარა შურისძიებას შეუდგა. მთელ ქვეყანაში მოქმედებდნენ საგზედრო-საველე სასამართლოები. 1906 წლიდან 1909 წლამდე ამ სასამართლოებმა ქვეყნის საუკეთესო შვილებს 4630 სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს. დათარეშობდნენ შავრაზმული ბანდები, რომლებიც მუშებსა და გლეხებს ხშირ შემთხვევაში გამოძიებისა და სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშეც ხოცავდნენ.

ცარიზმმა მთავარი იერიშები მუშათა რევოლუციურ ორგანიზაციებზე მიიტანა. ბოლშევიკებმა ყველაზე სასტიკი დევნა განიცადეს. 1906 — 1910 წლებში დარბეულ და ლიკვიდირებულ იქნა 437 პროფესიული ორგანიზაცია. 1907—1909 წლებში „პოლიტიკური დანაშაულებისათვის" გაასამართლეს და მსჯავრი დასდეს 28 ათას კაცს. 1905—

1912 წლებში ციხეებსა და გადასახლებაში 30 ათასზე მეტი კაცი დაიღუპა.

ცარიზმი არ კმაყოფილდებოდა იმით, რომ რევოლუციურ ხალხს ფიზიკურად უსწორებდა ანგარიშს. მან მიზნად დაისახა გაეხრწნა მასები იდეურად, ჩაეკლა მათში რევოლუციური სულისკვეთება და ხალხისი მომავალი ბრძოლებისა. კონტრრევოლუციამ აამოქმედა მთელი იდეოლოგიური არსენალი, რათა წაებილწა რევოლუციის ხსოვნა, თავისუფლებისათვის მებრძოლთა შემართვა, გაემეფებინა უიმედობის, სინანულის, დაცემულობის ატმოსფერო.

ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილი გულგატეხილობამ მოიცვა და რევოლუციას მან ზურგი შეაქცია. ეს ცხადია, არ ნიშნავს, რომ ინტელიგენციამ, როგორც რევოლუციურმა ძალამ, თითქოს, თავისთავი ამოსწურა და პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ იგი ცარიზმის ერთგული და დასაყრდენი ძალა გახდა. გულგატეხილობა და იდეური უკანდახევა დამახასიათებელი იყო უპირატესად ინტელიგენციის თავადაზნაურული და ბურჟუაზიული ზედაფენისათვის. რეაქციის პერიოდში მათ რელიეფურად გამოამჟღავნეს საკუთარი თავი, როგორც შეძლებული კლასების ერთგულმა მსახურებმა.

რაც შეეხება დემოკრატიულ ინტელიგენციას, საერთოდ, იგი კვლავ რჩებოდა დემოკრატიული და სოციალისტური რევოლუციის საიმედო რეზერვად და მოკავშირედ. ვიდრე რუსეთში ბატონობდა ცარიზმი და დახშული იყო გზა ქვეყნის დემოკრატიული გარდაქმნებისა, დემოკრატიული ინტელიგენცია ყოველთვის იდგა იმ ძალების გვერდით, რომლებიც დესპოტური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლას წარმართავდნენ. აქის თვალსაჩინო მაგალითებია სტუდენტთა მოძრაობა 1907—1917 წლებში, მოსწავლეთა და მასწავლებელთა შეურიგებლობა სახალხო განათლების ცარისტული სისტემისადმი და სხვადასხვა ფორმით გამოხატული უკმაყოფილება, შემოქმედებითი ინტელიგენციის — მეცნიერების, მწერლების, ხელოვნების მუშაკთა სიძულვილი და აღშფოთება რეაქციის შავბნელი საქმიანობის მიმართ, რასაც სისტემატური და შზარდი ხასიათი ჰქონდა. დემოკრატიული ინტელიგენცია მთელი სულითა და გულით მოელოდა რევოლუციური ძალების ხელახლა მომწიფებას, ახალ ქარიშხალს. მართალია, ზოგ მის წარმომადგენელს გულს უღრღნიდა იმის ეჭვი, რომ თავისუფლებისათვის მებრძოლი ძალები ცარიზმმა დათრგუნა და ახალი რევოლუციური შემართება ახლო მომავალში თითქოს შეუძლებელი ჩანდა, მაგრამ ეს ეჭვი გაფანტეს 1910—1912 წლის მღელვარე მოვლენებმა, როცა მთელ რუსეთში, განსაკუთ-

რებით ლენაზე დატრიალებული სისხლიანი ტრაგედიის შემდეგ, ისევ ახვირთდა მუშათა პოლიტიკური გაფიცვების ტალღა და მან კვლავ მიიღო საერთო სარუსეთო ქარიშხლის ხასიათი.

იმპერიის მასშტაბით საერთო დემოკრატიული მოძრაობის ტონის მიმცემი ისე, როგორც ადრე, ახლაც იყო რუსი დემოკრატიული ინტელიგენცია, რომელსაც ჰქონდა თვითმპყრობელური დესპოტიზმის წინააღმდეგ ბრძოლის უმდიდრესი გამოცდილება. რუსი ინტელიგენცია მუდამ მიესალმებოდა იმპერიის განაპირა — ნაციონალურ რაიონებში გაჩაღებულ დემოკრატიულ მოძრაობას და ცდილობდა მისთვის მიეცა თანამიმდევრული მებრძოლი ხასიათი. რუსეთის დემოკრატიულ ინტელიგენციაში ცოცხლობდა და უფრო ღვივდებოდა კლასობრივი ბრძოლის ის მაღალი სული და ტრადიციები, რომელიც XIX ს. 60—70-იანი წლების დიდმა რუსმა რევოლუციურმა-დემოკრატებმა ჩერნიშევსკიმ, ვერცენმა, დობროლიუბოვმა, ნაროდნაია-ვოლიას გმირებმა დაამკვიდრეს და რომელთა შესახებ მუდამ დიდი სიამაყით ლაპარაკობდა ვ. ი. ლენინი. ეს საბრძოლო სულისკვეთება ასულდგმულებდა იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციის ეპოქის დიდ დემოკრატიულ მოღვაწეებს, სამოციანელთა ღირსეულ მემკვიდრეებს — გორკის და კოროლენკოს, ლევ ტოლსტოის და ა. სერაფიმოვიჩის, კ. სტანისლავსკის და ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს, ი. პავლოვისა და ნ. ჟუკოვსკის შემოქმედებასა და საზოგადოებრივ საქმიანობას, რასაც სულგანაბული უგდებდა ყურს მთელი მოაზროვნე რუსეთი.

დემოკრატიული ინტელიგენციის საბრძოლო სულისკვეთების გაღვივება, მისი ორპოფობის დაძლევა და ახალ ვითარებაში მისი სულისკვეთების მისადაგება პროლეტარიატის განმათავისუფლებელ მოძრაობასთან, რჩებოდა ბოლშევიკური პარტიის დამრაზმველი საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად.

* * *

რეაქციის წლები განსაკუთრებით მძიმე და მტანჯველი გამოდგა იმპერიის განაპირა-ნაციონალური რაიონებისთვის, სადაც ცარიზმი სოციალურთან ერთად ეროვნულ ჩაგვრასაც ახორციელებდა. პირველი რევოლუციის გაკვეთილებმა, განაპირა-ნაციონალური რაიონების მშრომელი მასების საბრძოლო დარაზმულობის მაღალმა დონემ, ცარიზმს უკარნახა კიდეე უფრო მოეჭირა ქანჩები, გაეძლიერებინა ბრძოლა არარუს ეროვნებათა „სეპარატიზმის“ წინააღმდეგ, ჩაეთესა შუღლი

და მტრობა რუსეთის მრავალრიცხოვან ეროვნებათა შორის, რომ ამით გაეთიშა და დაეკნინებინა მისთვის მტრული ძალები.

რეაქციის წლებში ცარიზმმა გააძლიერა ამიერკავკასიის მოსახლეობის კოლონიური ჩაგვრა, ამასთან მთელი ინტენსიურობით შეუდგა იგი „სეპარატიზმისა" და „ნიჰილიზმის" ფესვების ამოძირკვას. გაძლიერდა რეპრესიები ამიერკავკასიის დემოკრატიული ინტელიგენციის წინააღმდეგ, რომელშიც ცარიზმი, პირველი რევოლუციის გამოცდილების საფუძველზე, მისთვის საშიშ მტრულ ძალას ხედავდა. ცარიზმი ასასგვარ საშუალებებს მიმართავდა, რომ მრავალეროვან კავკასიაში ერთმანეთზე წაეკიდებინა სხვადასხვა ეროვნებათა ინტელექტუალური ძალები და ამით მწვავე კლასობრივი ბრძოლისათვის შიდანაციონალური ბრძოლის ელფერი მიეცა, დაეშრიტა კავკასიის მებრძოლი ძალების ინტერნაციონალური სოლიდარობა.

კავკასიის მეფისნაცვალი ვორონცოვ-დაშკოვი რევოლუციის ძალთა გათიშვის მიზნით ლამობდა ადგილობრივი ბურჟუაზიული ელემენტების გადაბირებას, რომ ამით გაეუვნებადებინა მისი მტრული განწყობილება. ვორონცოვ-დაშკოვი მხარს უჭერდა კავკასიაში საერთო-საიმპერიო კანონების განხორციელებას. ამასთან დაკავშირებით დაისვა საკითხი კავკასიაში ერობათა შემოღების, სასამართლო რეფორმისა და სოფალაქო თვითმმართველობის განხორციელების შესახებ. მაგრამ საჩელმწიფო სათათბიროს მემარჯვენე პარტიები, რომლებსაც ამ საკითხში არსებითად კადეტებიც ეთანხმებოდნენ, წინ აღუდგნენ კავკასიაში ბურჟუაზიულ დაწესებულებათა შემოღებას. ამრიგად, კავკასიის მოსახლეობა კვლავ მოკლებული დარჩა არჩევით ორგანოებში მონაწილეობის იმ მცირე უფლებებსაც კი, რითაც რუსეთის მოსახლეობა სარგებლობდა. კავკასიის მოსახლეობის ეს მუდმივი დისკრიმინაცია ცარიზმის არსებობის მთელ მანძილზე გრძელდებოდა.

ველიკორუსული შოვინიზმის გაძლიერებამ რეაქციის წლებში თავის მხრივ გააქტიურა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პარტიათა საქმიანობა. განაპირა ნაციონალური რაიონების ბურჟუაზიულ-მონარქისტული ზედაფენა, რომელიც რევოლუციის პერიოდში ცარიზმის ენერგიული დამცველი იყო, ახლა ოპოზიციაში მოექცა მას და ადგილობრივი ნაციონალიზმის გაღვივება დაიწყო. ადგილობრივი ნაციონალიზმი ისეთივე შეუთავსებელი იყო მშრომელი მასების ფეოდალური და კაპიტალისტური ჩაგვრისაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლასთან, როგორც ველიკორუსული შოვინიზმი, იგი თიშავდა და აკნინებდა პროლეტარიატისა და გლეხობის ინტერნაციონალურ რევო-

ლუციურ ბრძოლას და მასებს უმორჩილებდა ბურჟუაზიის გავლენას. ბურჟუაზიას კი აინტერესებდა არა თვითმპყრობელობის დამხობა, არაშედ მთავრობისაგან მეტი ეკონომიკური და პოლიტიკური პრივილეგიების გამოძალვა.

რეაქციის წლებში ადგილობრივი ნაციონალიზმი გაიფურჩქნა ამიერკავკასიის ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ ფენებში. სომხური ბურჟუაზიის ინტერესების კარნახით დაშნაკების პარტია ე. წ. „დიდი სომხეთის" აღდგენის პროპაგანდას ეწეოდა და აღვივებდა სიძულვილს სხვა ერების მიმართ, მიზნად ისახავდა სომხეთის მშრომელი მასების გამოცალკევებას და ბურჟუაზიის ინტერესებისადმი დამორჩილებას. აზერბაიჯანის გაბატონებულ კლასებში ამ დროიდან გაღვივდა პანისლამისტური მისწრაფება, რომლის აქტიური წამქეზებელი იყო რუსეთისადმი მტრულად განწყობილი თურქეთის იმპერია. პანისლამიზმი მიზნად ისახავდა თურქული მოდგმის ხალხთა გაერთიანებას ოსმალთა იმპერიის შემადგენლობაში, რეაქციის წლებში ასეთი განწყობილების მატარებელნი იყვნენ შუა აზიაში აღმოცენებული „ჯადიდი" და აზერბაიჯანული „მუსავატი" (ორგანიზაციულად გაფორმდა 1911 წ.). ეს პარტიები მიისწრაფოდნენ რევოლუციური ზემოქმედებისაგან გაეთიშათ მუსლიმანი მშრომელები, მათი რელიგიურ-პოლიტიკური ლოზუნგები შეძლებული კლასებისადმი ბრმა მორჩილებას მოუწოდებდნენ.

რეაქციის წლებში საქართველოს წვრილბურჟუაზიული ინტელიგენცია ეროვნულ საკითხში ადრინდელ პოზიციაზე დარჩა. სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის პუბლიცისტები ეროვნულ საკითხს სუბიექტურ-იდეალისტური პოზიციებიდან უდგებოდნენ, სწყვეტდნენ რა მას პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობის ამოცანებისაგან. ისინი კვლავ უწევდნენ პროპაგანდას მოძველებულ შეხედულებებს ერის რაობისა და მისი მომავალი მოწყობის საკითხებში (ა. ჯორჯაძე, ნ. წერეთელი, შ. გოგელია, ვ. ჩერქეზიშვილი). ეროვნული საკითხის გაგებაში სოციალისტ-ფედერალისტების პარტიაში მრავალი დაჯგუფება აღმოცენდა. რომლებიც ვითომ ერთიმეორეს ებრძოდნენ, მაგრამ საერთო ფრონტით გამოდიოდნენ მარქსიზმის წინააღმდეგ. ისინი მარქსიზმს „დოგმატურ" მოძღვრებად აცხადებდნენ და უცხოელი და რუსი იდეალისტ-ნეხისტებისაგან აღებული დებულებებით ცდილობდნენ თავიანთი შეხედულებების დასაბუთებას.

ცხარე მსჯელობანი ეროვნულ საკითხზე მოდად იქცა მენშევიკლიკვიდატორთა შორისაც. ლიკვიდატორების ლიდერმა ნ. ჟორდანიამ

გამოაქვეყნა რიგი სტატიები, სადაც ცილს სწამებდა ბოლშევიკებს ნაციონალურ ნიჰილიზმში, უარყოფდა ერის მარქსისტულ განსაზღვრებას და ავსტრიელი სოციალ-დემოკრატების კ. რენერის, ო. ბაუერის არსენალიდან ნასესხები დებულებებით ცდილობდა დაესაბუთებინა თავისი ანტიმარქსისტული, იდეალისტური შეხედულებანი ერისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შესახებ. ეროვნულ საკითხში თავიანთი შეხედულებებით მენშევიკები სოციალისტ-ფედერალისტების ნაციონალისტურ პოზიციამდე დაეშვნენ, რასაც სხვათა შორის, სოციალისტ-ფედერალიზმის ლიდერი ა. ჯორჯაძე მიესალმა კიდეც. მენშევიკებმა კავკასიაში ეროვნული საკითხის გადაწყვეტის საუკეთესო ფორმად კულტურულ-ნაციონალური ავტონომია გამოაცხადეს, ეს ლოზუნგი, თავისთავად რეაქციული, კავკასიის ვითარებისათვის ნამდვილი გაუგებრობა იყო და გზას უხსნიდა ნაციონალისტურ განკერძოებულებათა უფრო მეტად გაღვივებას და ასუსტებდა მშრომელი მასების სოლიდარულ ბრძოლას ექსპლუატატორული კლასების წინააღმდეგ.

ველიკორუსული შოვინიზმისა და ბურჟუაზიული ნაციონალიზმის წინააღმდეგ თანამიმდევრულ, შეურიგებელ ბრძოლას ეწეოდნენ ბოლშევიკები ვ. ი. ლენინის მეთაურობით, ვ. ი. ლენინი და მისი უახლოესი თანამებრძოლები ნიღაბს ხდიდნენ დიდმპყრობელურ შოვინიზმსა და ადგილობრივ ნაციონალიზმს, მათ პროლეტარული, განმათავისუფლებელი მოძრაობის უბოროტეს მტრად აცხადებდნენ. მხოლოდ მარქსისტ-ლენინელების მიერ ალიარებული ერთა თვითგამორკვევის პროგრამა უპასუხებდა სოციალური და პოლიტიკური ჩაგვრისაგან მშრომელი მასების განთავისუფლების ამოცანას.

რეაქციის მძვინვარების წლებში საქართველოს ბოლშევიკებმა რეოლუციური ბნნეობა და გამარჯვების ურყევი რწმენა შეინარჩუნეს. ურთულეს პირობებში ისინი ახერხებდნენ იატაკქვეშა ორგანიზაციების შექმნას და უზრუნველყოფდნენ რეოლუციური მასების ორგანიზებულ უკანდახევას, რომ ისინი მორიგი იერიშებისათვის შეემზადებინათ. განსაკუთრებით შეუპოვარ და თანამიმდევრულ ბრძოლას ბოლშევიკები ეწეოდნენ მენშევიკთა ლიკვიდატორობის წინააღმდეგ, იმ ნაციონალისტური ტენდენციების წინააღმდეგ, რომელიც რეაქციის წლებში წვრილბურჟუაზიულ ინტელიგენციაში საგრძნობლად მომძლავრდა და პროლეტარიატის ინტერნაციონალისტურ მონაპოვარს წალეკვით ემუქრებოდა.

დემოკრატიულ ინტელიგენციასთან კავშირისა და მასზე იდეური

ზეგავლენის თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ბოლშეკიკების მოღვაწეობას ლეგალურ ორგანიზაციებში — „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში“, სახალხო უნივერსიტეტებსა და დრამატულ წრეებში, ეერესა და ავჭალის აუდიტორიებში. ამ ორგანიზაციების მოღვაწეობაზე ქვემოთ ვისაუბრებთ, აქ აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ ბოლშევიკების საქმიანობა ამ ეროვნულ-საქველმოქმედო დაწესებულებებში საუკეთესო საშუალება იყო დემოკრატიულ ინტელიგენციასთან კავშირ-ურთიერთობისა და მათი საქმიანობის პროლეტარული იდეოლოგიით წარმართვის თვალსაზრისით.

• • •

რეაქციის წლებში საქართველოს დემოკრატიულმა ინტელიგენციამ მუშათა კლასსა და გლეხობასთან ერთად ცარიზმის მძიმე დარტყმა განიცადა. რევოლუციაში აქტიურად მონაწილე ინტელიგენციის ერთი ნაწილი ციხეში გამოამწყვდიეს, მეორე ნაწილმა ემიგრაციით უშველა თავს და ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში გახიზნული აღმოჩნდა. სუსხიანმა რეპრესიებმა თავისებური ზეგავლენა მოახდინა ამ ინტელიგენციის წვრილბურჟუაზიულ ფსიქოლოგიაზე. ბევრმა მათგანმა რევოლუციის საქმე საერთოდ განწირულად ჩათვალა და სინანულის გრძნობით შეუდგა წარსულის გაკვეთილების გადაფასებას, შედარებით მცირე ნაწილს ადრინდელი ენთუზიაზმი, მართალია, შერჩა, მაგრამ სამოღვაწეო ასპარეზის დახშობის პირობებში თავისი ენერგიის გამოყენებას ვეღარ ახერხებდა.

ზემოთქმული ისე არ უნდა გავიგოთ, რომ რეაქციის წლებში ქართველი დემოკრატიული ინტელიგენციის სულიერი ცხოვრება თითქოს საერთოდ ჩაკვდა და მიწყდა მისი საბრძოლო პულსიც.

დემოკრატიული ინტელიგენციის დაუცხრომლობის საილუსტრაციოდ საკმაო იქნებოდა თუნდაც ასეთი ფაქტი: რეაქციის მძლავრობის ხანაში (1907—1911 წლები) საქართველოში სხვადასხვა დასახელების 168 გაზეთი და ჟურნალი გამოიცა. მართალია, ამ გამოცემათა უმრავლესობა მეტად დღემოკლე იყო (ზოგჯერ თითო ნომერიც), მაგრამ ეს იმის მოწმობაა, რომ ინტელიგენცია არ ყრიდა ფარხმალს, — თუ ერთ გაზეთს დაუხურავდნენ, სხვა სახელწოდებით და განახლებული შინაარსით, მეორეს სცემდა და, ამრიგად, ცდილობდა საზოგადოებისათვის თავისი სიტყვა მიეწვდინა. ყველაზე გააფთრებულ დევნასა და რეპრესიებს, როგორც ცნობილია, ბოლშევიკური პრესა განიცდიდა. მე-

ფის ოხრანკამ 1906 წელს აღმოაჩინა და გაანადგურა ავლაბრის არალეგალური ბოლშევიკური სტამბა, რომელიც თავისი მასშტაბითა და კონსპირაციით ერთ-ერთი უბადლო ბოლშევიკური სტამბა იყო მთელ რუსეთში. ბოლშევიკებმა 1908 წ. უმძიმეს პირობებში მოახერხეს რუსულ და ქართულ ენებზე არალეგალური გაზეთის გამოცემა („ბრძოლა"), მაგრამ 4 ნომრის გამოსვლის შემდეგ იგი პოლიციამ აღმოაჩინა და გაანადგურა. იმავე წლის სექტემბერში ბოლშევიკებმა ახალი არალეგალური სტამბა მოაწყეს თბილისში, თუმცა პოლიციამ იგი მუშაობის დაწყებამდე დაარბია. ზედიზედ მძიმე დარტყმების შემდეგ ბოლშევიკებმა თბილისში კვლავ შეძლეს არალეგალური სტამბის შექმნა 1910 წლის დასაწყისში. ამ სტამბაში 5 იანვრიდან ქართულ და რუსულ ენებზე დაიწყო გაზ. „თბილისის პროლეტარის" გამოცემა. აპრილიდან „თბილისის პროლეტარის" საქმე გააგრძელა „თბილისის პროლეტარიატის ფურცელმა" მაგრამ 1910 წ. ივლისში პოლიციამ ეს სტამბაც გაანადგურა.

შედარებით ნაკლები რეპრესიები ხვდა წილად მენშევიკურ გამოცემებს, რომლებიც სხვადასხვა სახელწოდებით რეაქციის წლებში ასე თუ ისე მაინც ახერხებდნენ არსებობას. 1908 წ. მენშევიკები თბილისში ცემდნენ გაზ. „აზრს" (რედ. თ. ოთხმეზური), რომელიც 27-ე ნომრის გამოსვლის შემდეგ დაიხურა თბილისის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით. მის ნაცვლად მენშევიკებმა გამოსცეს გაზ. „დასაწყისი" (რედაქტორ-გამომცემელი გ. მაჭავარიანი). ამ გაზეთს დიდხანს არ უარსებია, თბილისის გენერალ-გუბერნატორის მითითებით ისიც დაიხურა და შემდეგ განახლდა „მერცხალის" სახელწოდებით (რედ. გ. მიქაძე). მე-11 ნომერზე ეს გამოცემა შეწყდა და განახლდა „ცხოვრების სარკის" სახელწოდებით (რედ. რ. ელიოზიშვილი). ეს გამოცემა 23-ე ნომერზე დახურეს. აქის შემდეგ გამოვიდა „ნაპერწკალი (რედ. მ. აბაზაძე), 1908 წლის მეორე ნახევარში ამ გაზეთმა ხუთჯერ შეიცვალა სახელწოდება: „ნაპერწკალი", — „ახალი სხივი", (რედ. თ. ოთხმეზური), „ხომლი" (რედ. ს. ედილაშვილი) — „ეკალი" (რედ. პ. გაჩეჩილაძე), „იმედი" (რედ. ივ. გაჩეჩილაძე) — „ალი" (რედ. ბ. ქორაშვილი). 1908 წ. დეკემბერს ბოლოს ეს გამოცემაც დაიხურა.

1907 წლის მიწურულისათვის თბილისში მოქმედებდა რსდმპ თბილისის გაერთიანებული კომიტეტი, სადაც ბოლშევიკებს უმცირესობა ჰყავდათ. ეს გაერთიანებული კომიტეტი ფაქტიურად პარტიის დამანგრეველ საქმიანობას ეწეოდა, რადგან ილაშქრებდა არალეგალური მუშაობის წინააღმდეგ. ბოლშევიკებმა ახალ არჩევნებში, რომელიც

1908 წლის შეერთიანებულ ბიუროს ჩატარდა, რომ რაიონებში და თბილისის კომიტეტებშიც უმრავლესობა მოიპოვეს, რამაც მათ საშუალება მისცა გაეჩალებინათ აქტიური იდეური ბრძოლა ლიკვიდატორების, ოტზოვისტებისა და ყველა ჯურის ოპორტუნისტების წინააღმდეგ, ამასთან ერთად სწორი გზა საქართველოს დემოკრატიულ ინტელიგენციასთან ურთიერთობებულებაში.

ამ მხრივ განსაკუთრებით ნაყოფიერი გამოდგა „ბოლშევიკების ლიტერატურული ბიუროს“ საქმიანობა, რომელიც თბილისელი ბოლშევიკების იდეურ-ორგანიზაციულ ცენტრს წარმოადგენდა. 1907—1909 წლებში იგი ფაქტიურად სათავეში ედგა ბოლშევიკური ორგანიზაციების საქმიანობას მთელი საქართველოს მასშტაბით.

ჩვენს ისტორიულ-პარტიულ ლიტერატურაში „ბოლშევიკების ლიტერატურული ბიუროს“ საქმიანობა საკმაოდაა გაშუქებული[1] და მას ალარ შევეხებით. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ იმ ვითარებაში ბიუროს იდეურმა მოღვაწეობამ უდიდესი როლი შეასრულა საქართველოს დემოკრატიული ინტელიგენციის რევოლუციური განწყობილების შენარჩუნებაში და სინათლე და გარკვეულობა შეიტანა იმ თეორიულ წყვდიადსა და დაბნეულობაში, რომელიც დემოკრატიული ინტელიგენციის ნაწილს რევოლუციის დამარცხების შემდეგ დაეუფლა. „ბოლშევიკების ლიტერატურული ბიუროს“ აქტიური წევრები სხვადასხვა დროს იყვნენ ფ. მახარაძე, მ. ცხაკაია, ი. სტალინი, მ. ფილია, ვ. ნანეიშვილი, ზ. ჩოდრიშვილი, ს. ინწკირველი, პ. არველაძე, ა. აკოფიანი, ა. დოლიძე, ა. ოქრუაშვილი და სხვები. ბიურო ახერხებდა კავშირი დაემყარებინა საქართველოს ქალაქებში (ბათუმი, ქუთაისი) და რაიონებში ერომუშავე ბოლშევიკებთან, ბაქოს ბოლშევიკურ ორგანიზაციასთან, აგრეთვე საზღვარგარეთ მოღვაწე იმ ქართველ ბოლშევიკებთან, რომელთაც უშუალო კონტაქტი ჰქონდათ ვ. ი. ლენინთან და მიეღო მათი საშუალებით ლენინის დირექტივები იდეურ-ორგანიზაციული საქმიანობის შესახებ.

ბოლშევიკების ლიტერატურული ბიუროს თაოსნობით 1907 წელს გამოდიოდა ლეგალური ბოლშევიკური გაზეთები „ჩვენი ცხოვრება“, „დრო“, 1908 წ. არალეგალური ბოლშევიკური გაზეთი „ბრძოლა“, რომლებშიც შუქდებოდა რეაქციის ვითარებაში პარტიის წინაშე მდგომი ამოცანები, მისივე თაოსნობითა და ხელმძღვანელობით ჩამოყალიბ-

[1] იხ. საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, 1971; იხ. ვ. ესაიაშვილი, ვ. ი. ლენინი და საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები, 1959.

და პოლიტიკური განათლების წრეები, სადაც მიმდინარეობდა მარქსისტულ-ლენინური ლიტერატურის შესწავლა, ეწყობოდა დისკუსიები მენშევიკებთან სოციალურ და ეროვნულ საკითხებზე. ბიურო ფურცლებითა და პროკლამაციებით მიმართავდა რევოლუციურ მასებს და მათ აქტიური პოლიტიკური ბრძოლისაკენ მოუწოდებდა. ბიუროს ჰქონდა არალეგალური სტამბა, სადაც იბეჭდებოდა ბოლშევიკური ლიტერატურა (მარქსის, ენგელსის, ლენინის ნაშრომები).

„ლიტერატურულმა ბიურომ" აქტიური იდეურ-ორგანიზაციული საქმიანობით შეამზადა ნიადაგი, რომ რსდმპ თბილისის კომიტეტის ახალი შემადგენლობა 1909 წლის აპრილიდან მხოლოდ ბოლშევიკური ყოფილიყო. ეს დიდი გამარჯვება იყო, რომლის შემდგომ ლიტერატურულმა ბიურომ თავისი ფუნქციები ამოწურულად ჩათვალა.

ბოლშევიკების კონსპირაციული საქმიანობის კლასიკურ მაგალითად, ავლაბრის არალეგალურ სტამბასთან ერთად, მუდამ დარჩება პოლიტიკური პატიმრების გაქცევა ქუთაისის საგუბერნიო ციხიდან. 1907 წ. ქუთაისის საპყრობილე საუსე იყო პოლიტიკური პატიმრებით. უმძიმესი სასჯელი მოელოდათ 1905 წ. შეიარაღებული აჯანყების მონაწილეებს ყვირილას, ზუგდიდის ბელაგორის, რაჭა-ლეჩხუმის „რესპუბლიკების" მოთავეებს. რევოლუციურ მუშებთან და გლეხებთან ერთად მრავალი პატიმარი იყო დემოკრატიული ინტელიგენციის რიგებიდან. გაქცევის ორგანიზაციას სათავეში ჩაუდგნენ ვიატკის გადასახლებიდან ალადდაბრუნებული ბოლშევიკი კოტე ცინცაძე, ბარონ ბიბინეიშვილი, ზ. გურული, თომა ჩუბინიძე და სხვ.

ბოლშევიკების ამ გმირულ თაოსნობას მხურვალედ უჭერდა მხარს ქალაქის დემოკრატიული ინტელიგენცია, ცნობილმა ნაროდნიკმა რევოლუციონერმა, 1905—1907 წლებში ჭიათურის შავი ქვის მრეწველობის მოხელემ გიორგი ზდანოვიჩმა ზეიძინა სახლი, საიდანაც გვირაბის გაყვანა უნდა დაწყებულიყო. თითქმის მთელი თვე დღე და ღამე მუშაობდნენ გვირაბის გაყვანაზე და 1907 წ. 25 სექტემბრისათვის რგი შეიყვანეს პოლიტპატიმართა საკანში.

37 პატიმარი გაიქცა ციხიდან. მთელი ადმინისტრაცია ფეხზე დადგა. პატარა საგუბერნიო ქალაქში ამდენი პატიმრის დამალვა, სხვისი პასპორტით და გადაცმული გამგზავრება დიდი გმირობა იყო, რაშიც შეთანხმებით მუშაობდნენ რევოლუციურ პარტიათა მესვეურები, პარტიის გარეშე მდგომი ინტელიგენტები[1].

---

1 ბ ა რ ო ნ ბ ი ბ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი, მეოთხედი საუკუნის მანძილზე, 1932, გვ. 206—207.

ამ გაქცევით სიკვდილის რეალურ საფრთხეს დააღწია თავი ლეო ქიაჩელმა, დ. სულიაშვილმა და სხვებმა, რომელთაც სხვისი პასპორტით ემიგრაციას მიაშურეს. ცარიზმის რეპრესიებს მოხერხებულად დააღწია თავი და ევროპას მიაშურა ივანე გომართელმა. ჟენევაში გადახვეწილი ი. გომართელი 1906 წ. მაისში პირველი სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად აირჩიეს. დეპუტატის ხელშეუხებლობის კანონით რუსეთში დაბრუნდა და აქტიურად ჩაება თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში, სათათბიროს ტრიბუნიდან იგი უშიშრად ამხელდა ცარიზმის შეუთავსებლობას ხალხის ინტერესებთან და მის დამხობას მოითხოვდა. „არც ერთ გარეშე მტერს არ მიუყენებია საქართველოსათვის ისეთი საშინელი და აუტანელი გაჭირვება, — ნათქვამია მის ერთ-ერთ გამოსვლაში, — არავის არ აუკლია და გაუნადგურებია იგი ისე, როგორც ეს ჩაიდინა პეტერბურგელმა მთავრობამ... ვამთავრებ რა ჩემს სიტყვას, არ შემიძლია არ მივმართო რუს ხალხს შემდეგი სიტყვებით: ისეთი მთავრობა, რომელიც უმოწყალოდ არბევს მთელ რუსეთს და კავკასიას, ხალხის მთავრობა კი არა, ხალხის მტერია. დარწმუნებული ვარ რუსი ხალხი ყოველგვარი პროტესტის გარეშე შეისმენს ასეთ მოწოდებას"[1].

კავკასიელი დელეგატების გამოსვლას სათათბიროში, როგორც ცნობილია, მიესალმებოდა ვ. ი. ლენინი, ამასთან აკრიტიკებდა მათ მიერ დაშვებული ზოგი შეცდომის გამო. პირველი სათათბირო, რომელიც ცარიზმის მავხილებელ ტრიბუნად იქცა, მთავრობამ გარეკა, ხოლო მისი რევოლუციონერი დეპუტატების დევნა დაიწყო. თბილისში დაბრუნებულ ივანე გომართელს, რომელიც ნაყოფიერ ლიტერატურულ საქმიანობას ეწეოდა, განუწყვეტლივ სდევნიდა პოლიცია და ჟანდარმერია. 1910 წელს იგი დაატუსაღეს. მასთან ერთად დააპატიმრეს სოციალ-დემოკრატი სევერიანე ჯუღელიც.

გაბოროტებულმა რეაქციამ მიზანში ამოიღო ყველა ის მემარცხენე პარტიები, რომლებიც რევოლუციაში ბოლშევიკების მხარდამხარ ებრძოდნენ ცარიზმს. ქართველი დემოკრატიული ინტელიგენციისადმი შიში და სიძულვილი კავკასიის მთავრობას განსაკუთრებით ცარიზმის ეროვნული პოლიტიკისადმი შეურიგებლობის გამო ჰქონდა. 1910 წ. მაისის დამდეგს დააპატიმრეს გ. ლასხიშვილი, გ. რცხილაძე, ს. ფირცხალავა, ექიმი ალ. მაღალაშვილი, ი. აღლაძე, ალ. ჯაბადარი, მიხ. ჯავახიშვილი, ს. გრძელიშვილი, კ. ქავთარაძე, ე. ავალიშვილი, მ. ხუ-

---

[1] ვლადიმერ წოწელია, ივანე გომართელი, 1979, გვ. 52.

ციშვილი, ა. ჯაჯანაშვილი, გ. ქიქოძე (რომელიც დროებით დაბრუნდა ემიგრაციიდან), ს. მაჰავარიანი, ფერეიდნელი ქართველი ონიკაშვილი და სხვები. მეტეხის ციხეში 7 თვის პატიმრობის შემდეგ კავკასიის ხელისუფლებამ ნათ ხუთი წლით კავკასიის სამეფისნაცვლოში ცხოვრება აუკრძალა. ამრიგად, დემოკრატიულ მოღვაწეთა ეს ჯგუფი იძულებული შეიქნა შორეულ რუსეთში, ან ემიგრაციაში გახიზნულიყო.

ემიგრაციაში გადახვეწილი ქართველი დემოკრატი ინტელიგენტები ევროპის სხვადასხვა ქალაქში — უპირატესად პარიზში, ჟენევაში, ლაიფციგში, ბერნში ცხოვრობდნენ და განაგრძობდნენ აქტიურ რევოლუციურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. ამავე ქალაქებში იყო თავმოყრილი ქართველი სტუდენტობაც, რომელიც ემიგრანტებთან მჭიდრო კავშირში პოლიტიკური მოღვაწეობის ჩვევებს ითვისებდა.

აქტიურ თეორიულ და პრაქტიკულ რევოლუციურ საქმიანობას განაგრძობდა ქართველ ბოლშევიკ ემიგრანტთა ჯგუფი, სადაც ხელმძღვანელ როლს მ. ცხაკაია, ს. ორჯონიკიძე, მ. ფილია, მ. დავითაშვილი, მ. ტოროშელიძე, ნ. კიკნაძე და სხვები ასრულებდნენ. ქართველი ბოლშევიკები მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ვ. ი. ლენინთან, რომელიც ემიგრაციიდან ხელმძღვანელობდა რუსეთის ბოლშევიკური პარტიის იდეურ-ორგანიზაციულ საქმიანობას. 1911 წ. მაისში ცენტრალური კომიტეტის თათბირზე ვ. ი. ლენინმა შექმნა VI საერთო-პარტიული კონფერენციის მომწვევი საზღვარგარეთის საორგანიზაციო კომისია, რომელმაც ს. ორჯონიკიძეს, როგორც რწმუნებულს, დააკისრა მეთაურობა გაეწია კონფერენციის მოსამზადებელი მუშაობისათვის. რუსეთში. ს. ორჯონიკიძე არალეგალურად გაემგზავრა რუსეთის ქალაქებსა და კავკასიაში, სადაც ბოლშევიკურ ორგანიზაციებს VI პარტიული კონფერენციის მხარდაჭერისათვის რაზმავდა. კონფერენციისათვის მზადება, როგორც ცნობილია, მიმდინარეობდა მენშევიკების წინააღმდეგ გააფთრებული ბრძოლის ვითარებაში და ეს ბრძოლა ბოლშევიკებმა მოიგეს. ამ ბრძოლაში ს. ორჯონიკიძესთან ერთად წამყვან როლს ასრულებდნენ ი. სტალინი, ს. სპანდარიანი, ე. სტასოვა, პ. არველაძე და სხვები. ე. ი. ლენინი საზღვარგარეთ მყოფი ქართველი ბოლშევიკების მეშვეობით მუდამ კურსში იყო კონფერენციის მზადებისათვის მიმდინარე იდეურ-ორგანიზატორულ საქმიანობისა და მათ აძლევდა შესაფერის მითითებებსა და რჩევა-დარიგებებს.

რუსეთის საერთო-პარტიულმა კონფერენციამ პრაღაში 1912 წ.

იანვარში აღადგინა არალეგალური მარქსისტული პარტია რუსეთში და მისი ცენტრალური კომიტეტი, პარტიის შემადგენლობიდან გარიცხა მენშევიკი ლიკვიდატორები. ეს იყო ახალი ეტაპი ბოლშევიკური პარტიის იდეურ-ორგანიზაციულ ბრძოლაში. კონფერენციაზე არჩეული ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში კავკასიიდან შეიდნენ ს. ორჯონიკიძე, ს. სპანდარიანი, ი. სტალინი (ამ დროს გადასახლებაში იმყოფებოდა).

საზღვარგარეთ ვ. ი. ლენინთან ყველაზე ახლო ურთიერთობაში იყო მ. ცხაკაია, რომელიც 1907—1910 წლებში ჟენევაში ცხოვრობდა. ცხაკაია ლენინის მეთაურობით ამ პერიოდში ასრულებდა რიგ პარტიულ დავალებებს, აქტიურად მონაწილეობდა გაზეთ „პროლეტარის" გამოცემას. მას სისტემატური მიმოწერა ჰქონდა კავკასიელ ბოლშევიკებთან. ამ პერიოდში მ. ცხაკაიას ჰქონდა ზოგიერთი შეცდომა იმ მხრივ, რომ ძალათანადოდ აფასებდა რეაქციის პერიოდში პარტიის ლეგალური საქმიანობის მიზანშეწონილობას, მაგრამ ეს შეცდომები ნან მალე დასძლია და კვლავ მტკიცედ დადგა ლენინურ პოზიციაზე[1]. ამავე წლებში მ. ცხაკაიასთან ერთად ჟენევაში იმყოფებოდა მალაქია ტოროშელიძე. რომელსაც აგრეთვე სისტემატური კავშირი ჰქონდა თბილისსა და ბაქოში მომუშავე ბოლშევიკებთან. მ. ტოროშელიძე ხშირად ესწრებოდა ვ. ი. ლენინის ლექციებს, კარგად იცნობდა რა ვ. ი. ლენინის ოჯახს, აწვდიდა მას ინფორმაციას კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ცხოვრების შესახებ. მ. ტოროშელიძე ამ დროს განსაკუთრებით იყო დაინტერესებული მარქსიზმის ფილოსოფიური საკითხებით და ბოგდანოვისადმი ზოგიერთი სიმპათიების მიუხედავად, საერთოდ მახიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ლენინის პოზიციაზე იდგა. ლენინურ პოზიციას ბოგდანოვისა და მახისტების მიმართ მთლიანად უჭერდა მხარს აგრეთვე მ. დავითაშვილი, რომელიც ძირითადად პარიზში მუშაობდა.

ციურიხში, ჟენევაში, ბერნში, ბრიუსელში, პარიზში ცხოვრობდა ქართველი დემოკრატიული ინტელიგენციის მრავალი გამოჩენილი წარმომადგენელი გ. ქიქოძე, ლ. ქიაჩელი, დ. სულიაშვილი, კ. თათარაშვილი, ს. შანშიაშვილი და სხვები. უკიდურეს მატერიალურ ხელმოკლეობას განიცდიდნენ ყველა ისინი და ლუკმა პურის მოპოვებისათვის არ თაკილობდნენ არაერთარ მძიმე სამუშაოს. მაგრამ ამ გაჭირვების ვითარებაშიც იდეურად საინტერესო და მჩქეფარე იყო მათი ცხოვრება.

---

[1] სოფიო ბერიძე, მიხა ცხაკაია, 1959, გვ. 62—63.

სხვადასხვა პარტიის წარმომადგენელთა შორის მიმდინარეობდა დაუცხრომელი დისკუსიები განვლილი რევოლუციის ხასიათსა და მათ პოზიციებზე, რუსეთის რევოლუციურ მომავალზე, საქართველოს ისტორიულ ბედსა და მის პერსპექტივებზე. დემოკრატიული ინტელიგენციის ეს ჯგუფები ახლო იყვნენ ბოლშევიკებთან და რიგ საპროგრამო საკითხებზე განსხვავებული შეხედულებების მიუხედავად, ყოველ მათგანს იზიდავდა ვ. ი. ლენინთან სიახლოვის სურვილი, მისი ლექციების მოსმენის მისწრაფება. ლ. ქიაჩელი, დ. სულიაშვილი, გ. ქიქოძე ამავიანთ მოგონებებში ვ. ი. ლენინის ლექციებზე ყოფნას იგონებენ, როგორც უბედნიერეს დღეებს მათი მძიმე ემიგრანტული ცხოვრებისა[1].

მთავარი სადისკუსიო საკითხი, რომელიც ემიგრანტ ინტელიგენტთა ამ ჯგუფებს ერთმანეთისაგან თიშავდა, მაინც ეროვნული საკითხი იყო, რომელიც, როგორც ცნობილია, პირველი იმპერიალისტური ომის წინ ცხარე მსჯელობის ობიექტი გახდა.

სწორედ ამ პერიოდში ევროპისა და რუსეთის წვრილბურჟუაზიულ პარტიებში დიდი მხარდაჭერა და გავრცელება პოვა ეროვნული საკითხის გადაწყვეტის ე. წ. „კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის“ თეორიამ, რომლის ავტორები იყვნენ ავსტრიელი სოციალ-დემოკრატები ო. ბაუერი და კ. რენერი. ეს თეორია ერის იდეალისტურ გაგებას ეფუძვნებოდა. რენერი მაგალითად, ერს განმარტავდა როგორც ადამიანთა კულტურულ ერთობას, რომლისთვისაც სავალდებულო არ იყო არც ეკონომიკური არც ტერიტორიული, არც ენობრივი ერთობანი. ასევე ბაუერიც, ერის ერთადერთ სავალდებულო ნიშნად მხოლოდ საერთო ბედის საფუძველზე შექმნილი ხასიათის ერთობას აცხადებდა. ერის ასეთი გაგების საფუძველზე ეროვნული საკითხის გადაწყვეტის მთავარ პირობად აღიარებულ იქნა კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის პროგრამა. ამ პროგრამით თითოეული მოქალაქე ეროვნული წარმომაელობისა და საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად თავის სურვილით ჩაეწერებოდა რომელიმე ერის შემადგენლობაში, თითოეულ ერს იურიდიულად მთლიანი, სახელმწიფოს მიერ აღიარებული კავშირი ექნებოდა (თავისი ეროვნული პარლამენტით, ეროვნული მინისტრებით) კულტურის განვითარების საქმეში.

---

[1] იხ. დავით სულიაშვილი, დღენი ჩემი ცხოვრებისა, 1966, გვ. 236—240; გერონტი ქიქოძე, მოგონებები, სიტყვები და წერილები, 1956, 163—164; ლ. ქიაჩელი, შეხვედრა ილიჩთან, „ლიტერატურული საქართველო“, 1970, № 16.

„კულტურულ-ნაციონალური ავტონომია“ თავისი შინაარსით ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური იყო. იგი გულისხმობდა კლასობრივ ჰარმონიას ერის შიგნით, უპირისპირდებოდა მუშათა კლასის ინტერნაციონალურ მისწრაფებებს, ეროვნულ საკითხს სწყვეტდა კლასობრივ ბრძოლას, პროლეტარიატის ინტერესებს უმორჩილებდა ბურჟუაზიის ინტერესებს. კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის პროგრამის ცენტრალური ლოზუნგი იყო მხოლოდ „ეროვნული კულტურა“. ეს იმას ნიშნავდა, რომ პროლეტარიატის სოციალური ჩაგვრისაგან გათავისუფლებისათვის ბრძოლა მეორე პლანზე ინაცვლებდა. „ნაციონალური კულტურის“ თავისუფლების ქვეშ კი მუშათა ინტერნაციონალური საბრძოლო ერთიანობის ლიკვიდაცია იგულისხმებოდა.

კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის პროგრამამ დიდი მხარდაჭერა პოვა რუსეთის კადეტურ და წვრილბურჟუაზიულ პარტიებში. მისი დაცვის და განხორციელების საქმეში განსაკუთრებული აქტივობა ბუნდელებმა და კავკასიელმა მენშევიკ-ლიკვიდატორებმა გამოიჩინეს. სწორედ ამ პერიოდში ლიკვიდატორების აღიარებულმა ლიდერმა ნ. ჟორდანიამ გაზ. „განთიადში“ ნარიძის ფსეევდონიმით გამოაქვეყნა სერია წერილებისა „ნაციონალური კითხვა ჩვენში“, სადაც იცავდა კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის პროგრამულ მოთხოვნებს და კავკასიაში მისი პრაქტიკული განხორციელების გზებს სახავდა. ნ. ჟორდანიას მხარი დაუჭირეს მენშევიკებმა ირ. წერეთელმა და აკ. ჩხენკელმა. ეს უკანასკნელი სათათბიროს ტრიბუნიდან იცავდა მენშევიკური პარტიის ამ საპროგრამო მოთხოვნას .

„კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის“ პროგრამა ობიექტურად სოციალისტ-ფედერალისტთა ეროვნულ პროგრამას ემთხვეოდა, მის სახესხვაობას წარმოადგენდა და დიამეტრალურად უპირისპირდებოდა ეროვნული საკითხის ჰეშმარიტ მარქსისტულ გაგებას, რომელსაც ამ დროს თანამიმდევრულად ახორციელებდნენ ბოლშევიკები. ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ ქართველი სოციალისტ-ფედერალისტები მიესალმნენ მენშევიკების აღიარებულ პროგრამას ეროვნულ საკითხში და იგი ქართული საზოგადოების გამრთელების გზაზე გადადგმულ ნაბიჯად აღიარეს.

კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის იდეოლოგიის წინააღმდეგ დროული და გადამწყვეტი იერიშები გააჩალეს ბოლშევიკებმა. კ. ი. ლენინის საპროგრამო თეორიული სტატიები — „კრიტიკული შენიშვნები ნაციონალურ საკითხზე“, „ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ“ და სხვ. ამზეურებდნენ კულტურულ-ნაციონალური ავ-

ტონომიის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ შინაარსს, მის შეუთავსებლობას მუშათა კლასის განმათავისუფლებელი ბრძოლების ინტერესებთან და აყალიბებდნენ პარტიის ეროვნულ პროგრამას. ეს სტატიები უძვირფასესი შენაძენია მარქსიზმის იდეური საგანძურისა. 1913 წ. სექტემბერში რსდმპ ცენტრალური კომიტეტის პორონინოს თათბირზე „კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის“ პროგრამა შეფასებულ იქნა როგორც შავრაზმული ნაციონალიზმის უკუფენა, ნაციონალისტური ტენდენციების გაძლიერება ჩაგრულ ეროვნებათა ზედაფენებში, როგორც ცდა კავკასიელი მენშევიკებისა და ბუნდელებისა დაეშალათ პარტია და გაეუქმებინათ მისი პროგრამა. თათბირის რეზოლუციაში რომელიც ვ. ი. ლენინის მიერ იყო დაწერილი, ეროვნული საკითხის გადაწყვეტის ერთადერთ საშუალებად აღიარებულია ყველა ეროვნების მუშათა ინტერნაციონალური შეკავშირება და საერთო ბრძოლა ექსპლოატატორული სისტემის წინააღმდეგ. „მუშათა კლასის ინტერესები, — ნათქვამია რეზოლუციაში, — მოითხოვს მოცემულ სახელმწიფოს ყველა ეროვნების მუშათა შეერთებას ერთიან პროლეტარულ ორგანიზაციებად — პოლიტიკურ, პროფესიულ, კოოპერაციულ-საგანმანათლებლო და სხვა ორგანიზაციებად. სხვადასხვა ეროვნების მუშათა მხოლოდ ასეთი შეერთება ერთიან ორგანიზაციებად პროლეტარიატს შესაძლებლობას აძლევს ძლევამოსილი ბრძოლა აწარმოოს საერთაშორისო კაპიტალისა და რეაქციის წინააღმდეგ. აგრეთვე ყველა ეროვნების მემამულეების, ხუცებისა და ბურჟუაზიული ნაციონალისტების ქადაგებისა და მისწრაფებათა წინააღმდეგ, რომლებიც თავიანთ ანტიპროლეტარულ მისწრაფებებს ჩვეულებრივ ატარებენ ნაციონალური კულტურის“ დროშით. მსოფლიო მუშათა მოძრაობა ქმნის და დღითი დღე სულ უფრო ანვითარებს პროლეტარიატის ინტერნაციონალურ-საერთაშორისო კულტურას“[1].

ეროვნული საკითხის მარქსისტულ-ლენინურ გაშუქებას ბოლშევიკებმა მრავალი სტატია მიუძღვნეს. მარტო გაზ. „პრავდას“ ფურცლებზე ამ შინაარსის 400-მდე წერილი გამოქვეყნდა. დიდ აქტივობას იჩენდნენ ამ მიმართულებით კავკასიელი ბოლშევიკები. 1913 წ. ვ. ი. ლენინის წინადადებით ეროვნული საკითხის მარქსისტულ გაშუქებას საგანგებო თეორიული წიგნი უძღვნა ი. ბ. სტალინმა, რომელმაც 1913 წ. იანვარში ვენაში დაწერა და გამოაქვეყნა ეურნ. „პროსვეშჩენიეში“. ამ წიგნში მან მოგვცა ერის დასაბუთებული განმარტება. ეროვნული მოძ-

[1] სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში. ნაწ. I, 1954, გვ. 397.

რაობის დახასიათება, კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური შინაარსის კრიტიკა, ამხილა ბუნდის ნაციონალიზმი და სეპარატიზმი, კავკასიელი ლიკვიდატორების ეროვნული პროგრამის შეუთავსებლობა პროლეტარიატის განმათავისუფლებელი ბრძოლის ამოცანებთან და განმარტა ეროვნული საკითხის ბოლშევიკური პროგრამის შინაარსი[1].

ვ. ი. ლენინმა სტალინის ამ ნაშრომს მაღალი შეფასება მისცა. ეროვნულ საკითხზე დასაბუთებული მარქსისტულ-ლენინური სტატიებით გამოვიდნენ ს. შაუმიანი, ფ. მახარაძე, ა. ენუქიძე, ს. კახიანი, ს. სპანდარიანი და სხვები. საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელები კავკასიელ ლიკვიდატორებთან დისკუსიებში ააშკარავებდნენ წვრილბურჟუაზიული ნაციონალიზმის რეაქციულ ხასიათს. აქვე აქტიურად მიმდინარეობდა დისკუსიები ფილოსოფიურ საკითხებზე. ბოლშევიკები მტკიცედ იცავდნენ ვ. ი. ლენინის პოზიციებს მახიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ფილოსოფიაში მარქსისტული მსოფლმხედველობის დასაცავად მთავარი იყო ვ. ი. ლენინის შრომა „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი".

ვ. ი. ლენინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა კავკასიელი ბოლშევიკების დაუცხრომელ იდეოლოგიურ ბრძოლას ნაციონალისტებისა და მარქსიზმის ყველა ჯურის გამყალბებელთა წინააღმდეგ, მათ დიდ გამოცდილებას. ინტერნაციონალიზმის ნაცადი პრინციპების განუხრელი დაცვა და განხორციელება ვ. ი. ლენინს მიაჩნდა ეროვნული საკითხის გადაჭრის პრაქტიკულ ნიმუშად და ამის თაობაზე სწერდა კიდეც ა. მ. გორკის: „ჩვენში და კავკასიაში ს.-დ. ქართველები+სომხები+თათრები+რუსები ათ წელიწადზე მეტ ხანს მუშაობდნენ ერთად, ერთიან ს.-დ. ორგანიზაციაში. ეს ფრაზა კი არ არის, არამედ ეროვნული საკითხის პროლეტარული გადაწყვეტაა. ერთადერთი გადაწყვეტა"[2].

ვ. ი. ლენინი საგანგებოდ სწავლობდა ეროვნული საკითხის მდგომარეობას საქართველოსა და ამიერკავკასიაში. ემიგრანტ ქართველ ბოლშევიკებს ავალებდა ეთარგმნათ ეროვნულ საკითხზე კავკასიის პრესაში გამოქვეყნებული სტატიები. 1913 წ. 24 აგვისტოს ვ. ი. ლენინი ს. შაუმიანს სთხოვდა აუცილებლად გაეგზავნა მისთვის, რაც შეიძლება, მეტი მასალა ეროვნულ საკითხზე კავკასიაში... და კავკასიის სტატისტიკა და მასალა ეროვნებათა ურთიერთობაზე კავკასიაში, ამასთან, ავალებდა მოეძებნა კავკასიელი ამხანაგები, რომელთაც შეეძლოთ სტატიე-

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 2, გვ. 318—195.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 35, გვ. 76.

ბის დაწერა ეროვნულ საკითხზე[1]. პასუხში ს. შაუმიანი ეროვნული საკითხის მცოდნე ბოლშევიკებიდან კავკასიაში პირველ რიგში ასახელებდა ბაქოს ქართული გაზეთის „წყაროს“ რედაქტორს ფ. მახარაძეს. 1913 წ. ივნისში ბოლშევიკ ნ. კიკნაძეს ვ. ი. ლენინისათვის გაუგზავნია წერილი, სადაც საგანგებოდაა მოხსენებული გაზ. „წყაროში“ ეროვნულ საკითხზე გამოქვეყნებული ფ. მახარაძის წერილები. ეროვნულ საკითხზე ვ. ი. ლენინთან და ნ. კრუპსკაიასთან მიმოწერა ჰქონდათ მ. დავითაშვილს, მ. ტოროშელიძეს.

ეროვნულ საკითხზე საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკების იდეურ ბრძოლას, რომელიც ლენინური დებულებების განუხრელი დაცვით მიმდინარეობდა, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა დემოკრატიული ინტელიგენციის სწორი ორიენტაციისათვის. შოვინისტური და ნაციონალისტური ტენდენციების მომძლავრების ვითარებაში, რასაც მთავრობის უკიდურესი რეაქციული კურსი აპირობებდა, ბოლშევიკების მიერ ეროვნული საკითხის პროლეტარული, ინტერნაციონალისტური პრინციპების დაცვა და პროპაგანდა ხელს უწყობდა წვრილ ბურჟუაზიული ინტელიგენციის მერყეობის დაძლევას და შემზადებას იმ გადამწყვეტი იერიშებისათვის, რომელსაც პარტია რევოლუციური მოძრაობის აღმავლობის ვითარებაში თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ამზადებდა.

* * *

რეაქციის წლებში საქართველოს დემოკრატიული ინტელიგენციის წინააღმდეგ ანგარიშსწორების ყველაზე ველურ ფაქტს წარმოადგენდა ილია ჭავჭავაძის მკვლელობა.

1907 წ. 30 აგვისტოს თბილისიდან საგურამოში მიმავალ ილიას და მის მეუღლეს წიწამურთან თავს დაესხნენ დაქირავებული მკვლელები, რომლებმაც ბერდენკას ტყვიით გული გაუგმირეს მოხუც პოეტს, გრძნობის დაკარგვამდე სცემეს მის მეუღლეს, მოკლეს მეეტლეც და მიიმალნენ. ეს თავზარდამცემი ამბავი საქართველოს იმავე დღეს ამცნო გაზ. „ისარმა“.

ელვის სისწრაფით გავრცელდა ილიას ვერაგული მკვლელობის ცნობა მთელ საქართველოში და მისი ყველა კუთხე — დედაქალაქიც და შორეული სოფლებიც, ერთნაირმა მწუხარებამ და რისხვამ მოი-

---

[1] В. И. Ленин, Полное собрание сочинений, т. 48, стр. 208.

ცვა. ხალხს გულმა უგრძნო, რომ გაბოროტებულმა რეაქციულმა რეჟიმმა ილიას სახით საქართველოს გაუსწორა ანგარიში, როცა სამსხვერპლოდ მისი სულიერი მამა, მისი ყველაზე ღვაწლმოსილი შვილი შეარჩია.

ცარიზმის კავკასიელმა მოხელეებმა კარგად იცოდნენ ილია ჭავჭავაძის ავტორიტეტისა და პოპულარობის შესახებ, იმის შესახებ, რომ რეოლუციის წლებში საქართველოს მუშებისა და გლეხების რევოლუციური აქტივობის ერთ-ერთ მასაზრდოებელ წყაროს ილიას შემოქმედება წარმოადგენდა. იგი „საშიშ კაცად" მიაჩნდათ რეაქციის ბოიკულებს და ჯერ კიდეე XIX ს. 80-იანი წლებიდან მასზე საიდუმლო მეთვალყურეობა იყო დაწესებული. რეოლუციის დამარცხების შემდეგ, როცა ცარიზმს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან ანგარიშსწორების და შურისძიების დღეები დაუდგა, სრულიადაც არა შემთხვევით მსხვერპლად ილია ჭავჭავაძე იქნა შერჩეული. მეფის ოხრანკამ დაქირაველული ჯაშუშებისა და ავანტიურისტუაჩაღების ხელით მოაწყო მისი მკვლელობა. თეთრი ძაფით შეკერილი საძიებო საქმე იმთავითვე გაკოტრდა და ხალხისათვის მიუღებელი დარჩა.

აკაკის, კაჟას, იაკობ გოგებაშვილის, ნ. ცხვედაძისა და ქართველი ხალხის სხვა სასიქადულო შვილთა წინათგრძნობა იმის თაობაზე, რომ ილიას მკვლელი უცხო და მტრული ძალა, — თვითმყრობელობა უნდა ყოფილიყო, სავსებით დაადასტურა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ცარიზმის არქივის გამომზეურებამ და ილიას ერთ-ერთი მკვლელის — გარეწარ ბერბიჭაშვილის სასამართლო პროცესმა[1].

სტოლიპინის რეაქციისა და რევოლუციური აღმავლობის წლებში, როცა აშკარა პოლიტიკური ბრძოლისათვის ასპარეზი დახშული იყო, დემოკრატიული ინტელიგენციის პრაქტიკული მოღვაწეობა საქართველოში კვლავ მშრომელი ხალხის განათლებისა და კულტურის ამაღლების კეთილშობილურ საქმეს ემსახურებოდა. ქვეყნის შემოქმედებითი ძალები უპირატესად თავმოყრილი იყვნენ ნებაყოფლობითი საქველმოქმედო საზოგადოებებში (წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, კულტურის მოყვარულთა საზოგადოება, სახალხო უნივერსიტეტები, ავჭალის აუდიტორია და მრ. სხვ.). ეს საზოგადოებანი იმ დროისათვის წარმოადგენდნენ ინტელიგენციის ეროვნულ-კულტურულ ღონისძიებათა განხორ-

---

1 ი. ოდიშელი, წიწამურის ტრაგედია, თბ. 1953.

ციელების ყველაზე მოხერხებულ საშუალებას. ნებაყოფლობითმა საქველმოქმედო საზოგადოებებმა თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში და სამაზრო ცენტრებში თვალსაჩინო როლი შეასრულეს ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში, მეორე ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის მომზადებაში. ეს საზოგადოებანი აღვივებდნენ მშრომელი მასების სოციალურ პროტესტს, ეროვნულ თვითშეგნებას, პოლიტიკური ბრძოლის განწყობილებას. ამით ისინი ობიექტურად ხელს უწყობდნენ ბოლშევიკური პარტიის სტრატეგიული ამოცანის — ცარიზმზე ახალი იერიშებისათვის მშრომელი მასების შემზადების განხორციელებას.

ქვემოთ ჩვენ შეეცდებით მოკლედ დავახასიათოთ ამ ნებაყოფლობით საზოგადოებათა საქმიანობა, რათა წარმოვაჩინოთ დემოკრატიული ინტელიგენციის როლი ხალხის გათვითცნობიერების, მისი ეროვნულ-რევოლუციური თვითშემეცნების ამაღლებაში.

პირველი რევოლუციის პერიოდში, როცა რუსეთის ლიბერალური ინტელიგენციის განწყობილება მკვეთრ ოპოზიციურ ხასიათს ატარებდა, თვითმპყრობელობა იძულებული გახდა მასთან გათამაშების პოლიტიკა ეწარმოებინა და ზოგი რამ დაეთმო. ამ ვითარებაში იმპერიაში მომრავლდა ე. წ. ნებაყოფლობითი საზოგადოებანი, რომელთა ტრიბუნას დემოკრატიული ინტელიგენცია თავისი აზრებისა და იდეების საპროპაგანდოდ იყენებდა. მეფე და მისი მოხელეები დიდი ხალისით როდი იძლეოდნენ ასეთ საზოგადოებათა შექმნის ნებართვას, მაგრამ ვარაუდობდნენ, რომ ეს მხარდაჭერა ინტელიგენციის რევოლუციურ განწყობილებას ერთგვარად მაინც შეანელებდა და ცარიზმს სულის მოთქმის საშუალებას მისცემდა. მართალია, განაპირა ნაციონალურ რაიონებში ცარიზმის სატრაპები ამ მხრივაც განსაკუთრებულ სიფხიზლეს იჩენდნენ და ყოველგვარი ნებაყოფლობითი საზოგადოების უკან სეპარატისტთა შენიღბული დაჯგუფება ელანდებოდათ, მაგრამ სრულ შეზღუდვას მაინც ვერ ბედავდნენ. სამაგიეროდ, პერიფერიიდან წარმოდგენილ საზოგადოებათა წესდებებს განსაკუთრებული გულისყურით იხილავდნენ და ნებართვის გაცემას აჭიანურებდნენ.

1906 წელს კავკასიის მეფისნაცვალს წარედგინა თხოვნა თბილისში საისტორიო და საეთნოგრაფიო სამეცნიერო საზოგადოების დაარსების შესახებ, თხოვნა ქართული საისტორიო ძეგლების დაცვისა და შესწავლის გადაუდებელი საჭიროებით იყო მოტივირებული. საქართველოს ისტორიის შესწავლას მეცნიერული ძალების მოზიდვა, კოორდინაცია და გეგმაზომიერი წარმართვა სჭირდება, რაც სათანადო დაწე-

ებულების შექმნის შემთხვევაში გახდება შესაძლებელი — მითითებული იყო განცხადებაში. თხოვნას თან ერთვოდა წესდების პროექტი, სადაც აღნიშნული იყო, რომ საზოგადოების საქმიანობა იწარმოებს საჯარო კრებების გამართვის, მეცნიერული მოხსენებების მოსმენის და განხილვის სახით, რომ საზოგადოება მოაწყობს საჯარო ლექციებს ბოწვეული ძალებით, გამართავს გამოფენებს, ჩაატარებს არქეოლოგიურ ექსკურსიებსა და ექსპედიციებს, სათავეში ჩაუდგება საგამომცემლო მუშაობას საქართველოს სიძველეთა გამოსამზეურებლად, შექმნის წიგნთსაცავს, მუზეუმსა და სხვ.

კავკასიის ხელისუფალთა თვალში მეტი ნდობისათვის განცხადებას ექვთიმე თაყაიშვილთან ერთად, რომელიც ამ საზოგადოების იდეის სულისჩამდგმელი იყო, ხელს აწერდნენ თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი გ. ბაგრატიონ-დავითაშვილი, სამხედრო-ისტორიკოსი ბორის ესაძე, ექიმი გრიგოლ გაბაშვილი, ვლადიმერ მიქელაძე.

მეფისნაცვალმა კორონცოვ-დაშკოვმა თხოვნას საგანგებო განხილვის შემდეგ დიდი გაჭიანურებით მოაწერა ხელი 1907 წლის ივნისში. 30 ივნისს შეიკრიბნენ საზოგადოების პირველი დამფუძნებელნი, მაგრამ, იმის გამო, რომ ზაფხული იყო და დედაქალაქის ინტელიგენციაც დაფანტული, აქასთან თვით ექვთიმე თაყაიშვილი, ამ საზოგადოების მესვეური, სამხრეთ საქართველოში ექსპედიციის მოსაწყობად საგანგებო მზადებას ეწეოდა. საზოგადოების დამფუძნებელი კრების ჩატარება სექტემბრისათვის გადაიდო.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების შექმნამ, რაც 1907 წ. 20 სექტემბერს მოხდა, საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც ფართო გამოხმაურება პოვა. ქვეყნის კულტურული ძალები თავის მოვალეობად თელიდნენ ამ დაწესებულების წევრობას. განცხადება განცხადებაზე მოდიოდა. 1907 წლის მიწურულისათვის საზოგადოებას უკვე 250-ზე მეტი ნამდვილი წევრი ჰყავდა, მათ შორის იყვნენ აკაკი წერეთელი, ნ. მარი, ე. პეტრიაშვილი, ალ. ხახანაშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ალ. ჯავახიშვილი, ზ. ავალიშვილი, პ. მელიქიშვილი, ი. თარხნიშვილი, კ. აბაშიძე, დ. არაყიშვილი, ვ. ბარნოვი, ლ. ბოცვაძე, დ. კლდიაშვილი, გ. ლასხიშვილი, ნ. ლომოური, მ. დემურია, გ. გეხტმანი, გ. ზდანოვიჩი, ს. მგალობლიშვილი, ი. ნაკაშიძე, ნ. ნაკაშიძე, თ. ჟორდანია, ი. ოცხელი, ლ. და თ. რაზიკაშვილები, ან. ფურცელაძე, ნ. ცხვედაძე, ალ. ჯაბადარი და სხვ.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების შექმნა დიდმნიშვნე-

ლოვანი ეროვნული ღონისძიება იყო: დაარსებიდანვე იგი მეცნიერული ქართველოლოგიის ცენტრი გახდა თბილისში. მართებული შეფასება მისცა საისტორიო საზოგადოების დანიშნულებას მისმა აქტიურმა წევრმა კორნელი კეკელიძემ — „ეს იყო მაშინ ჩვენი უნივერსიტეტიც, აკადემიაც და სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტიც".

1908 წ. საქართველოს საისტორიო საზოგადოებამ გამოსცა თავისი პირველი კრებული „ძველი საქართველო" (ე. თაყაიშვილის რედაქტორობით). კრებულის წინასიტყვაობაში რედაქტორი აღნიშნავდა: „ჩვენი საზოგადოება ჯერ ნორჩი საზოგადოება არის, ხოლო ყოველი საზოგადოების წარმატება ერის თანაგრძნობაზეა დამოკიდებული. ნურვინ იფიქრებს, რომ სპეციალურ საზოგადოებას მარტო სპეციალისტების დახმარება ეჭირვებოდეს. ჩვენი საზოგადოების მიზანი ძლიერ ფართოა. მას საგნად აქვს შესწავლა საქართველოს წარსულისა და აწმყოსი. მაგრამ საქართველოს ყოველგვარი შესწავლისათვის მასალაა საჭირო და მასალის შეკრება უმთავრესად მიზანს შეადგენს ჩვენი საზოგადოებისა. ყველა შეგნებულ ქართველს შეუძლია დიდი დახმარება აღმოუჩინოს ჩვენს საზოგადოებას... როგორც თავის წესდების მიწოდებით საზოგადოების ღონისძიების გასაძლიერებლად, ისე საისტორიო და საეთნოგრაფიო მასალის შეგროვებით და ნივთების მიწოდებით"[1].

ეს იყო მოწოდება საქართველოს კულტურული ძალებისადმი და მათი წაქეზება ეროვნული საქმისაკენ. მართლაც, ამ მოწოდებას ფართო გამოხმაურება მოჰყვა. განსაკუთრებით დიდი ენთუზიაზმი გამოიჩინა მასწავლებლობამ. საზოგადოებას მოსდიოდა უამრავი მასალა საქართველოს ყველა კუთხიდან. „ძველი საქართველოს" შემდეგ ტომებში ქვეყნდებოდა სია შემოწირულებისა, იბეჭდებოდა მასწავლებელთა მიერ ჩაწერილი ხალხური ლექსები, თქმულებები და სხვა ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალა[2].

საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება სისტემატურად აწყობდა სამეცნიერო ექსპედიციებს — არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას სამხრეთ საქართველოში, სვანეთში, რაჭა-ლეჩხუმსა და სამეგრელოში მას ძჭიდრო შემოქმედებითი კავშირი ჰქონდა საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ მოქმედ ნებაყოფლობით საზოგადოებებთან (წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, დრამატული საზოგადოება, ქარ-

---

1 ძველი საქართველო, ტ. I, 1908, გვ. IV.

2 იხ. ძველი საქართველო, ტ. II, 1908; ტ. III, 1909; ტ. IV, 1918.

თული კულტურის მოყვარულთა საზოგადოება მოსკოვში, პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველ სათვისტომო და მრ. სხვ.), პეტერბურგის უნივერსიტეტის ახალგაზრდა მეცნიერული ძალები ი. ჯავახიშვილის მეთაურობით რომ ქართული უნივერსიტეტის გახსნის სამზადისს ეწეოდნენ, საზოგადოების სამეცნიერო საქმიანობაში ენერგიულად იყენენ ჩაბმულნი და ზაფხულობით საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობდნენ ქართული ენის, ისტორიის, ყოფის მეცნიერული შესწავლის მიზნით მასალების შესაგროვებლად (ა. შანიძე, გ. ყიფშიძე, გ. ჩიტაია და სხვ.).

საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებამ რევოლუციამდელ საქართველოში ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობით მეცნიერული ქართველოლოგიის განვითარებისათვის ფართო და მყარი ბაზა შექმნა. ამ ბაზაზე გაიშალა შემდეგ თბილისში დაარსებული ეროვნული უნივერსიტეტის სამეცნიერო მოღვაწეობა. ამაშია მისი მთავარი დამსახურება ქართველი ერის წინაშე[1].

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ჩამოყალიბებამ დიდად აამაღლა ქართველი დემოკრატიული ინტელიგენციის შემოქმედებითი საქმიანობა ეროვნულ-კულტურულ ღონისძიებათა განხორციელებაში, მაგრამ ძირითად დაწესებულებად, რომელიც ქართველი ხალხის ეროვნული გათვითცნობიერებისა და კონსოლიდაციის საქმეს დემოკრატიზმის პრინციპზე წარმართავდა, კვლავ რჩებოდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“.

ამ საზოგადოებას, როგორც ცნობილია, წლების მანძილზე სათავეში ედგა ილია ჭავჭავაძე. ილიას ვერაგული მოკვლის შემდეგ საზოგადოებამ გამგეობის თავმჯდომარის პოსტზე ერთხმად აირჩია გიორგი ნიკოლოზის ძე ყაზბეგი.

გიორგი ყაზბეგი ალექსანდრე ყაზბეგის ბიძაშვილი იყო. მან XIX ს. 50-იან წლებში დაამთავრა ვორონეჟის კადეტთა კორპუსი და პორუჩიკის ჩინით ქართველ გრენადერთა პოლკში მსახურობდა. აქტიურად მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის 1877-78 წლების ომში. იყო ქობულეთის რაზმის შტაბის უფროსი. მამაცობის გამოჩენისათვის საბრძოლო ორდენები დაიმსახურა. 1878 წელს ბაქოს 153-ე ქვეითი პოლკის მეთაურობა ჩაბარეს. 1885 წლიდან ლატვიის 51-ე ქვეით პოლკს მეთაურობდა.

90-იან წლებში გ. ყაზბეგი დაწინაურდა. გენერალ-მაიორის ჩინით

[1] დაწვრ. იხ. რ. მეტრეველი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, თბ., 1982.

იგი ჯერ ვარშავის ციხესიმაგრის შტაბის უფროსი იყო, შემდეგ ამავე ციხესიმაგრისა და მთელი გამაგრებული რაიონის კომენდანტი. 1905 წ. ვლადივოსტოკის კომენდანტად განაწესეს, მაგრამ ლიბერალურ შეხედულებათა გამო სამსახურიდან საერთოდ დაითხოვეს.

კავკასიაში სამხედრო სამსახურის პერიოდში გიორგი ყაზბეგი ახლო იყო ქართველ დემოკრატიულ ინტელიგენციასთან, სულითა და გულით თანაუგრძნობდა თერგდალეულთა ეროვნულ-დემოკრატიულ იდეალებს და თავადაც აქტიურად მონაწილეობდა მათ ღონისძიებებში. იგი აქტიური წევრი იყო „რუსეთის გეორგაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებისა", კავკასიის რუსულ პრესაში აქვეყნებდა წერილებს საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიულ საკითხებზე. 1874 წელს მან საგანგებოდ, არალეგალურად იმოგზაურა თურქეთის ქართულ პროვინციებში — აჭარაში, შავშეთში, არტანუჯში, ლიკანში და ლაზეთში და მოგვცა მათი სრული აღწერა. 1875 წ. გ. ყაზბეგმა მოგზაურობის შთაბეჭდილებანი ცალკე წიგნად გამოსცა[1]. ეს შრომები — შენიშნავს გეოგრაფი ნ. ნაჭყებია, — ყველაზე უფრო სარწმუნო და საინტერესო წყაროა ე. წ. „თურქეთის საქართველოს" შესასწავლად და მისით უხვად სარგებლობდნენ ქართველი და უცხოელი ავტორები[2]. მას მაღალი შეფასება მისცა ცნობილმა ისტორიკოსმა დიმიტრი ბაქრაძემ. გ. ყაზბეგს ეკუთვნის აგრეთვე ნაშრომი, „თერგის ოლქის სამხედრო-სტატისტიკური აღწერა", რომელიც 1888 წელს დაიბეჭდა თბილისში.

1905 წ. მეფის მთავრობის მიერ ლიბერალობის გამო შერისხული გ. ყაზბეგი თბილისში დაბრუნდა და ჩაება საზოგადოებრივ საქმიანობაში. ღრმად განათლებული, ენერგიული და დიდი პატრიოტი გიორგი ილია ჭავჭავაძის გარდაცვალების შემდეგ, 1908 წელს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს. დიდი მონდომებით და ღრმა პასუხისმგებლობით შეუდგა იგი ამ დიდი მოვალეობის შესრულებას და მთელი ქართველი ინტელიგენციის ღრმა სიმპათია დაიმსახურა. „თითქმის ცხრა წლის განმავლობაში ვმუშაობდი გ. ყაზბეგთან — იგონებს იპ. ვართაგავა, — და სინდისის ქვეშ ვამბობ, მან სრულიად გაამართლა საზოგადოების ნდობა და პატივი. იმ დიდ ეროვნულ საქმეს, რომლის სათავეში ქართველმა საზოგადოებამ ის დააყენა, იგი ჰაბუკური ენერგიით, გატაცებითა და

---

[1] Г. Н. Казбеги, Три месяца в Турецкой Грузии, Военно—статистический и стратегический очерки Лазистанского Санджака.

[2] ნ. ნაჭყებია, ქართველი მოგზაური გიორგი ყაზბეგი, 1960, გვ. 33.

წინდახედულად უძღვებოდა ყველა საქმეს, ყველა საკითხს, რაც „საზოგადოებას" ჰქონდა გასაკეთებელი და გადასაწყვეტი, ყაზბეგი წინასწარ დეტალურად სწავლობდა. საკითხების განხილვისა და გადაჭრის დროს საღ აზროვნებას, ნათელ გონებას და ღრმა ანალიზის უნარს იჩენდა. ის სრულებით არ იყო სადეკორაციო თავმჯდომარე, ფაქტიური ხელმძღვანელი. ის ნამდვილი, ფაქტიური ხელმძღვანელი იყო გამგეობის მუშაობისა. იშვიათი შემთხვევა იყო, რომ ის გამგეობის სხდომას დაჰკლებოდა, ან შესასწავლად წაღებული საქმეები შეპირებულ ვადაზე არ წარმოედგინა. როგორც საათი, ისე სწორი იყო. დანიშნულ დროზე ყველა ჩვენზე ადრე მოდიოდა კრებაზე"[1].

წ. კ. გამავრცელებელმა საზოგადოებამ მუშაობის გაფართოებისა და გაცხოველების მიზნით საქართველოში და მის გარეთ მოსახლე ქართველებისთვის შექმნა ადგილობრივი განყოფილებანი, რომელთაც უშუალოდ დაეკისრათ სკოლისა და სამკითხველოების მოვლა-პატრონობა, საზოგადოების ფულადი ფონდის გაძლიერებისათვის სხვადასხვა ღონისძიებათა ჩატარება. 1909 წ. დაარსდა ბათუმისა და ბაქოს განყოფილებანი, 1910 წ. ბორჯომის განყოფილება. 1913 წელს განჯის, ახალციხის განყოფილებანი. 1914 წ. ალაგირის განყოფილება, 1915 წ. გუდაუთის, ერევნის განყოფილებანი. 1916 წლისათვის საზოგადოების განყოფილებანი ჰქონდა საქართველოს თითქმის ყველა მაზრაში. ცალაე გამოეყო თბილისის და ქუთაისის საქალაქო განყოფილებანი.

გაიზარდა რიცხვი საზოგადოების ხარჯზე შექმნილი სკოლებისა და ბიბლიოთეკებისა. 1916 წ. საზოგადოებას ჰქონდა 19 სკოლა (აკათურის, ატენის, ბათუმის, ბაქოს, ბორჩალოს, გერგეთის, გომარეთის, ვარიანის, ზუგდიდის, თელავის, კაეკავის, ნალჩიკის, ნავთლუღის, ნუკრიანის, საგურამოს, სუხუმის, ყალაბშირის, შრომის და წინარეხისა)[2] და 62 ბიბლიოთეკა-სამკითხველო. ამაეე პერიოდისათვის საზოგადოებას თავის წიგნსაცავში ჰქონდა 6000 ქართული ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნი, რუსულ და სხვა ენებზე — 5719 (სულ 11523), 100-მდე სამუზეუმო ნივთი, 300-ზე მეტი სიგელ-გუჯარი, 500-ზე მეტი ნუმიზმატური კოლექცია. საზოგადოება სხვა ეროვნულ საქველმოქმედო საზოგადოებებთან კავშირში მოთავეობდა ეროვნული მუზეუმის აგებისათვის თანხების შეგროვებას. სისტემატურად ეწყობოდა სახალხო კითხვები, ლექციები აქტუალურ საზოგადოებრივ პრობლემებზე ერის კულტუ-

---

1 ი პ ო ლ ი ტ ე ვ ა რ თ ა გ ა ვ ა, მოგონებანი, II, 1962, გვ. 243.

2 გაზ. „სახალხო ფურცელი, № 719, 1916.

რულ-ისტორიულ ფაქტებსა და მოვლენებზე. ომის წლებში სალექციო პროპაგანდის დიდი აქტივისტები თბილისში იყვნენ ილია ნაკაშიძე, ვარლამ ბურჯანაძე, შალვა ქარუმიძე, ქრისტინე შარაშიძე, ანა ახვერდოვი, ნიკო კასრაძე, ნინო ხახუტაშვილი და სხვები.

საზოგადოება ქართულ სკოლებს აწვდიდა სახელმძღვანელოებს დიდი ტირაჟით. თითქმის ყოველწლიურად იცემოდა ი. გოგებაშვილის „დედა ენა", „ბუნების კარი", „რუსკოე სლოვო" და საკითხავი წიგნები — როგორც ქართველი, ისე რუსი და უცხოელი ავტორებისა.

დიდ მუშაობას ეწეოდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილება, რომელსაც სათავეში ედგნენ დიდი საზოგადო მოღვაწენი გიორგი ზდანოვიჩ-მაიაშვილი და იოსებ ოცხელი. ქუთაისის საზოგადოებას 1913 წლისათვის ჰქონდა 18 მოქმედი წიგნსაცავი, რომელთა აქტიური მკითხველი 65 ათას კაცს აღემატებოდა, სამკითხველოების რიცხვი 1914—16 წლებში კიდევ გაიზარდა. 1913 წ. საზოგადოებამ დააარსა თავისი სტამბა და სცემდა მასობრივად საკითხავ წიგნებს. საზოგადოების თაოსნობით სისტემატურად ტარდებოდა გამოჩენილი მწერლების ხსოვნის საღამოები, საიუბილეო შეხვედრები, ეწყობოდა ლექცია-საუბრები, იმართებოდა ალეგორ-წარმოდგენები, საჯარო სეირნობები და სხვ. საზოგადოების საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ქუთაისის ინტელიგენციის წამყვანი ძალები — მელანია გველესიანი, მარიამ ეარდანიძე, ელისაბედ ტყეშელაშვილი, იასონ ბაქრაძე, ისიდორე კვიცარიძე, ბათლომე მოსეშვილი, სილოვან ხუნდაძე, ტრიფონ ჯაფარიძე და მრ. სხვა[1].

1916 წლისათვის ინტელიგენციაში მომწიფდა იდეა ეროვნულ-კულტურულ ნებაყოფლობით საზოგადოებათა კავშირის შექმნის შესახებ. 1916 წლისათვის საქართველოში 27-მდე ნებაყოფლობითი საზოგადოება მუშაობდა. საჭირო იყო მათი საქმიანობის გეგმაზომიერი შეთანხმება, ერთიანი სამუშაო პროგრამის შემუშავება. ეს მეტ ქმედით ხასიათს მისცემდა საზოგადოებათა საქმიანობას. კულტურულ-საგანმანათლებლო ნებაყოფლობით საზოგადოებათა კავშირის შექმნის ინიციატივა აიღო წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ. 1916 წ. 14 იანვარს შედგა კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებათა კავშირის პირველი დამფუძნებელი კრება. დამფუძნებელმა კრებამ კავშირის წევრებად პირველ დღესვე მიიღო წერა-კითხვის გამავრცელებე-

---

[1] ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილების 1913—1914 წლის ანგარიში, ქუთაისი, 1915.

ლი საზოგადოება, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, ქართული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება, ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოება, „განათლების“ საზოგადოება, ქართული საქველმოქმედო საზოგადოება, ქუთაისის გუბერნიის მასწავლებელთა ურთიერთშორის დამხმარე საზოგადოება, ჭიათურის ქართული დრამატული საზოგადოება, გორის ქალთა საზოგადოება „მანდილოსანი“, თბილისის ქართული დრამატული საზოგადოება“[1].

საზოგადოებათა კავშირის გამგეობამ შეიმუშავა სამოქმედო პროგრამა“[2].

საზოგადოებათა ერთობლივი ღონისძიებებით საქართველოში 1916 წ. ნოემბერში ფართოდ აღინიშნა გენიალური ქართველი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების 100 წლისთავი. ნ. ბარათაშვილის ცხოვრება-შემოქმედებაზე ქართულ პრესაში გამოქვეყნდა მრავალი ნარკვევი. გაზ. „სახალხო ფურცელში“ მთელი ნომერი მიეძღვნა ბარათაშვილის შემოქმედებას, სადაც დაიბეჭდა ვ. კოტეტიშვილის, ქრ. რაპველიშვილის, ა. პაპავას, ი. გედევანიშვილის, პ. მირიანაშვილის წერილები, ი. გრიშაშვილის ლექსი მიძღვნილი ნ. ბარათაშვილისადმი[3]. სახალხო უნივერსიტეტში, სახალხო სახლებში, კლუბებში, სკოლებში ჩატარდა ბარათაშვილის საღამოები. გამოცემულ იქნა ბარათაშვილის „ბედი ქართლისას“ ავტოგრაფი. დაიწყო მუშაობა ბარათაშვილის თხზულებათა კრებულის გამოსაცემად. ერთი სიტყვით, ქართველმა დემოკრატიულმა ინტელიგენციამ ღირსეულად გაიხსენა მისი საამაყო წინაპარი. ეს ამასთან იყო ერის კულტურული გათვითცნობიერებისათვის გააზრებული დიდი ღონისძიება.

* * *

რეაქციის წლებში ქართველი დემოკრატიული ინტელიგენციის ეროვნულ-საგანმანათლებლო საქმიანობის მნიშვნელოვანი კერები ღვიოდნენ პეტერბურგში, მოსკოვში, ოდესაში, ხარკოვში და რუსეთის სხვა საუნივერსიტეტო ქალაქებში, სადაც ქართველი სტუდენტობა სწავლობდა.

პეტერბურგის უნივერსიტეტი, როგორც ცნობილია, XIX ს. მეორე

---

1 საქ. ცსია, ფ. 18, ანაწ. 2, საქ. № 33, ფურც. 1—3.

2 საქ. ცსია, ფ. 481, ანაწ. 1, საქ. № 1675, ფურც. 53—54.

3 „სახ. ფურცელი“, № 728, 1916.

ნახევრიდან ქართველი ინტელიგენციის განათლების, რევოლუციურ-დემოკრატიული შემართების, ქართველოლოგიური მოღვაწეობის უმნიშვნელოვანეს ცენტრს წარმოადგენდა. ეს როლი მას XX ს. მთელ რევოლუციამდელ პერიოდში შერჩა.

პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ, ცარიზმის უმკაცრესი რეპრესიის ვითარებაში პეტერბურგის ქართველი ინტელიგენცია შემოიკრიბა ივანე ჯავახიშვილის გარშემო, რომელიც, როგორც ცნობილია, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სამოღვაწეოდ იქვე დარჩა. 1907 წ. ი. ჯავახიშვილმა წარმატებით დაიცვა სამაგისტრო დისერტაცია, რომელიც მეცნიერულ კავკასიოლოგიაში ახალი სიტყვა იყო არა მარტო იმით, რომ შედარებით — ისტორიული შესწავლის საფუძველზე პირველად იკვლევდა სოციალურ-პოლიტიკური წყობილების იმ საერთო ხიშნებს, რომლებიც ორ მეზობელ ქვეყანას საქართველოს და სომხეთს ახასიათებდა, არამედ იმითაც, რომ ძირითადად მატერიალისტური პოზიციებიდან წყვეტდა ამა თუ იმ სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტების წარმოქმნას ორივე ქვეყანაში.

ავტორიტეტული, ენერგიით აღსავსე და მხურვალე პატრიოტული გრძნობებით გამსჭვალული ახალგაზრდა მეცნიერი პეტერბურგში სათავეში ჩაუდგა სამეცნიერო წრეს, რომელიც 1907 წელს თვითონ ჩამოაყალიბა პერსპექტიული დანიშნულებით — ეროვნული უნივერსიტეტის დასაარსებლად.

საქართველოში უნივერსიტეტის დაარსების იდეა, როგორც ვიცით, ახალი არ ყოფილა. XIX საუკუნეში ამ მიმართულებით დაუღალავად იღვწოდნენ ილია ჭავჭავაძე და მისი თანამებრძოლები — ნ. ნიკოლაძე, ს. მეხი, ი. გოგებაშვილი, ნ. ცხვედაძე, გ. წერეთელი, დ. ბაქრაძე და სხვები. XX ს. დასაწყისში ვაკეში ქართული გიმნაზიის აშენება დაიწყო იმ ვარაუდით, რომ მომავალში იგი საუნივერსიტეტო ნაგებობად იყო გათვალისწინებული. კავკასიის ცენტრში, თბილისში კავკასიოლოგიის მსოფლიო ცენტრის დაარსება ეწადა ნიკო მარს. 1906 წ. ნ. მარმა შეადგინა კიდეც პროექტი — წესდება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა. ეს წესდება იხილებოდა პეტერბურგის ქართველი ინტელიგენციის წრეში, მაგრამ „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაარსებას იმ დროს გადაულახავი დაბრკოლებები შეხვდა, — შენიშნავს აკად. შ. ძიძიგური, — ისტორიამ შემოინახა მხოლოდ ექვს გაყვითლებულ ფურცელზე აღბეჭდილი წესდება — პროექტი, შემუშავებული მარის მიერ ქართული მეცნიერული აზრის აღორძინების სურვილით. ჩვენს მეცნიერულ თაობას მართებს, იცოდეს ეს ამბავი და პატი-

ვის ცემის გრძნობით მოიკონოს ის ამაგდარი მკვლევარი, რომელიც ოცნებობდა და ოღვწოდა ქართული აკადემიისათვის რამდენიმე ათეული წლის წინად"[1].

ი. ჯავახიშვილს მიაჩნდა, რომ ეროვნული უნივერსიტეტის დაარსება ხანგრძლივ სამზადისს მოითხოვდა და სამეცნიერო წრეს, რომელიც თვით შექმნა, მთავარ საზრუნავად ეს სამზადისი გაუხადა. სტუდენტთა ეს სამეცნიერო წრე შეუდგა საქართველოს ისტორიის, კულტურის წყაროების თავმოყრა-შესწავლას, საპრობლემო საკითხების კვლევას. სამეცნიერო მოხსენებანი ქართულ ენაზე იკითხებოდა.. ამით მზადდებოდა მეცნიერული კადრი ქართული უნივერსიტეტისათვის. წრემ აღრიცხა და წესრიგში მოიყვანა ქართულ პრესაში საქართველოს ისტორიაზე გამოქვეყნებული მასალები. 1911 წლიდან წრის გამგეობის თავმჯდომარეობა აკაკი შანიძეს დაეკისრა. წრის ყველაზე აქტიური მოღვაწენი იყვნენ ი. ყიფშიძე, ს. ყაუხჩიშვილი, ვ. ბერიძე, დ. ყიფშიძე, გ. ჩიტაია, ვ. ფუთურიძე და სხვები.

წრემ გაარკვია რა ძალები არსებობდა ეროვნული უნივერსიტეტის დაფუძნებისათვის როგორც სტუდენტობის, ისე პროფესორ-მასწავლებელთა მხრივ. ამ მიზნით 1911—1912 წლებში მან რუსეთსა და საზღვარგარეთ მოსწავლე ქართველ სტუდენტობას საგანგებო ანკეტები დაუგზავნა. „ამ ანკეტამ, — იგონებს აკად. ა. შანიძე, — ბევრი რამ საყურადღებო გამოარკვია. მაგალითად, განმტკიცებული იყო აზრი, თითქოს ქართველობა უმთავრესად იურიდიულ ფაკულტეტს ეტანებოდა, თითქოს დიდი ნაწილი სტუდენტებისა ფუქსავატ ცხოვრებას ატარებდა და სხვ. ანკეტამ ცხადყო, რომ ქართველ სტუდენტობაში დიდი ინტერესია მეცნიერებისადმი, რომ ეს ინტერესი მრავალფეროვანია...". შეკრებილმა მასალებმა ისიც დაადასტურა, რომ საქართველოს იმ დროისათვის მეცნიერების თითქმის ყველა დარგში საკმაო საიმედო ძალები ჰყავდა. 1915 წელს წრემ ივანე ჯავახიშვილის რედაქტორობით თბილისში გამოსცა პირველი სამეცნიერო კრებული, რომლის სტატიები ქართველოლოგიის უმნიშვნელოვანეს პრობლემებს შეეხებოდა. 1916 წ. პეტროგრადში ამავე წრემ გამოსცა პირველი წიგნი ქართული პერიოდული პრესის ქართველოლოგიური სტატიების ბიბლიოგრაფიისა.

პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრეს მჭიდრო შემოქმედებითი ურთიერთობა ჰქონდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან, საისტორიო და

---

1 შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, ნიკო მარი — ქართული კულტურის მკვლევარი, 1968, გვ. 9.

საეთნოგრაფიო საზოგადოებასთან და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. ამ საზოგადოებათა სახსრებით წრის წევრები ა. შანიძე, ი. ყიფშიძე და სხვები აწყობდნენ სამეცნიერო ექსპედიციებს საქართველოს სხვადასხვა რაიონში, სისტემატურად კითხულობდნენ ლექციებს ქართველოლოგიის საკვლევ პრობლემებზე.

თბილისში უნივერსიტეტის დაარსების საკითხი რეაქციის წლებში არაერთხელ დაისვა სახელმწიფო ორგანოებში, მაგრამ პრაქტიკული განხორციელება განგებ ჭიანურდებოდა. კავკასიის მეფისნაცვალს საჭიროდ მიაჩნდა თბილისში რუსული უნივერსიტეტის გახსნა, მაგრამ მეფის სატრაპი იქვე იზიარებდა შინაგან საქმეთა სამინისტროს შიშს, რომ უნივერსიტეტი თბილისში რევოლუციის კერად გადაიქცევაო. შინაგან საქმეთა სამინისტროს რეაქციონერი მოხელეები ძალზე მუქ ფერებში ხატავდნენ რუსეთის უნივერსიტეტებში მოსწავლე კავკასიელი სტუდენტების ბუნტარულ განწყობილებას და აშინებდნენ მთავრობას — მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდება, თუ ასეთი არეულობის კერად თვით თბილისი გადაიქცევაო. 1912 წ. გაზ. „პრავდამ" ამხილა ცარიზმის ბნელი ზრახვები ქართული უნივერსიტეტის გახსნის წინააღმდეგ რომ იყო მიმართული. „პრავდას" გამოსცემა ქართული უნივერსიტეტის გახსნის დაჩქარების თაობაზე ერთ-ერთი თვალსაჩინო ფაქტია ქართველი დემოკრატიული ინტელიგენციისათვის ბოლშევიკური პარტიის მხარდაჭერისა.

უნივერსიტეტის დაარსების დაუღალავ ენთუზიასტებს დაწყებული საქმის წარმატებით დაგვირგვინების იმედები განუმტკიცა 1914 წ. საიმპერიო კანონმა რუსეთში კერძო სასწავლებლების გახსნის შესახებ. მართალია, დებულება მეტად შეზღუდული იყო და ეროვნული სასწავლებლების მკაცრ რეგლამენტაციას ითვალისწინებდა, მაგრამ იმ ვითარებაში მაინც რეალურ პერსპექტივას ქმნიდა. დავამ უნივერსიტეტის თუ პოლიტექნიკური ინსტიტუტის გახსნის თაობაზე ორ წელს გასტანა. ომის დაწყებამ კიდევ უფრო გაართულა ვითარება, ასე რომ ქართული უნივერსიტეტის გახსნა ცარიზმის დამხობამდე გადაიდო.

ქართულ კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებათა რიგს 1908 წელს კიდევ ერთი შეემატა. ეს იყო „ქართული კულტურის მოყვარულთა წრე", რომელიც 1907 წელს შეიქმნა მოსკოვის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა თაოსნობით. წრის ორგანიზატორი და თავმჯდომარე იყო მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი გიორგი ჟორდანია. წრეში პირველად 40 სტუდენტი ჩაეწერა. შედგენილ იქნა წესდება, რომელიც დასამტკიცებლად წარედგინა

მოსკოვის უნივერსიტეტის რექტორატს. 1906 წ. 2 აპრილს რექტორატმა წესდება დაამტკიცა. ამავე დღეს გაიმართა ოფიციალური დამფუძნებელი კრება, რომელმაც აირჩია ბიურო სტუდენტების გ. ჟორდანიას, მ. თუხარელის, მ. ქარუმიძის, გ. ჯაფარიძის და დ. წითლანაძის შემადგენლობით[1]. წესდებაში წრის ფუნქცია შემდეგნაირად იქნა განსაზღვრული: „ქართული კულტურის სხვადასხვა დარგებისა — ლიტერატურის, პოლიტიკური და სოციალური ისტორიის, სამართლის ყოველმხრივი შესწავლა"[2].

წრემ აქტიური შემოქმედებითი კავშირი დაამყარა მოსკოვში მცხოვრებ ქართველ ინტელიგენციასთან, მოსკოვის შემოქმედებით ორგანიზაციებთან, საქართველოს ნებაყოფლობით საზოგადოებებთან. წრეს მფარველობას უწევდა და სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ყოველმხრივ ეხმარებოდა ალ. ხახანაშვილი, მოსკოვის თეატრალური საზოგადოებრიობის გამოჩენილი მოღვაწე ალ. სუმბათაშვილ-იუჟინი, კოტე ბარჯანიშვილი, საქართველოს დრამატული ფილარმონიული საზოგადოების აქტიური მოღვაწენი.

წრემ იმთავითვე დაისახა მიზნად მოსკოვის საზოგადოებრიობაში ქართული კულტურის პოპულარიზაცია. ამისათვის იგი მართავდა საჯარო სხდომებს, ქართულ საღამოებს, გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა საიუბილეო შეხვედრებს. ამ საქმიანობაში სტუდენტებმა ჩააბეს მათი მასწავლებლებიც მოსკოვის უნივერსიტეტიდან (ალ. ხახანაშვილი, ა. ვორმსი, ფრიჩე, პ. საკულინი, ალ. ჯავახიშვილი). ალ. სუმბათაშვილ-იუჟინმა წრეს დაუახლოვა რუსული ხელოვნების ისეთი თვალსაჩინო წარმომადგენლები, როგორიც იყვნენ სობინოვი, კაჩალოვი, იაბლოჩკინა და მრავალი სხვა.

წრემ ი. ჭავჭავაძის ტრაგიკულ გარდაცვალებას მიუძღვნა საგანგებო სხდომა. წაკითხულ იქნა გ. ჟორდანიას მოხსენება „ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრება და ზნე-ჩვეულებანი XIX ს. შუა წლებში ი. ჭავჭავაძის ლიტერატურული ნაწარმოებების მიხედვით". 1909 წელს წრემ აღძრა შუამდგომლობა მოსკოვის უნივერსიტეტის პრორექტორის წინაშე წრისათვის ილია ჭავჭავაძის სახელის მინიჭების შესახებ. თხოვნა დამტკიცებულ იქნა[3].

---

[1] ლ. გოდერიძე, მასალები „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების ისტორიისათვის", საისტორიო მოამბე, № 27—28. 1973, გვ. 240—246.

[2] იქვე, გვ. 232.

[3] იქვე, გვ 240.

წრის თაოსნობით 1912 წელს მოსკოვის საზოგადოებრიობამ გულთბილი და სამახსოვრო შეხვედრა მოუწყო აკაკი წერეთელს. მოსკოვის გაზეთმა „უტრო როსიიმ" საგანგებო სტატია უძღვნა აკაკის ჩასვლას მოსკოვში სათაურით „საქართველოს უგვირგვინო მეფე მოსკოვში". „გუშინ, — წერდა გაზეთი, — პეტერბურგიდან ჩამოვიდა მხცოვანი ქართველი მწერალი აკაკი წერეთელი, რომელსაც 50 წ. იუბილე ამ ახლო ხანში გადაუხადა ქართველმა ხალხმა. პატივცემული მგოსანი მოსკოვს ესტუმრა მოსკოველ ქართველ სტუდენტთა საგანგებო მოწვევით. აკაკი წერეთელმა ქართველი ხალხის საერთო სიყვარული დაიმსახურა და ამიტომაც ხალხმა იგი მონათლა „საქართველოს უგვირგვინო მეფედ"[1].

მოსკოვში პოეტს დიდი პატივისცემით შეხვდა ქართველი სტუდენტობა, იქ მცხოვრები ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები. მასთან ერთად სტუმრები იყვნენ ალ. სუმბათაშვილ-იუჟინი, კ. მარჯანიშვილი, ი. ჯავახიშვილი და სხვ. აკაკის მოსკოველმა მასპინძლებმა გაუმართეს დიდი ბანკეტი, რომელსაც დაესწრო რუსეთის მწერლობის და ხელოვნების 100-ზე მეტი წარმომადგენელი. ბანკეტში მონაწილეობდნენ ვალ. ბრიუსოვი, ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკო, კ. სტანისლავსკი, ერმოლოვა, იაბლოჩკინა, ა. ჩეხოვი, კომპოზიტორი ი. ივანოვი, მწერლები ნ. ტელეშოვი, პ. ბობორიკინი და სხვები. ქართველმა სტუდენტებმა, რუსმა მწერლებმა მხურვალე სიტყვებით მიმართეს მხცოვან პოეტს. ღრმა შთაბეჭდილება დატოვა აკაკის გამოსვლამ. „შოვინისტობა, ესე იგი სამშობლოს უკეთესმართი სიყვარული, როცა იმას ანაცვალებენ სხვების კეთილდღეობას და ბედნიერებას, საძაგლობაა, — თქვა აქ აკაკიმ, — მაგრამ ერთი ათასად უფრო საზიზღრობაა სამშობლოს გარეწრობა. ვისაც თავისი მშობელი არ უყვარს, ის სხვებსაც ვერ შეიყვარებს. ვინც თავის პატარა ერს არ ემსახურება, ის ვერც კაცობრიობას გამოადგება. თავის ქვეყნის სამსახურში მსოფლიოც გამოიხატება... ნუ დაგავიწყდებათ, რომ მომავალი თქვენია და სამშობლოც თქვენგან მოელის იმ უკვდავების წყაროს, რომელიც სამკურნალოდ უნდა ემსახუროს არა მარტო მას, არამედ მთელ კაცობრიობასაც. იცოცხლეთ ბედნიერად და თქვენთან ერთად გაუმარჯოს საქართველოს"[2].

ქართული კულტურის მოყვარულთა წრემ უდიდესი როლი შეას-

---

1 იხ. ლ ე ვ ან ა ს ა თ ი ა ნ ი, ცხოვრება აკაკი წერეთლისა. 1965. გვ. 480.

2 დ. ჩ ხ ი კ ვ ი შ ვ ი ლ ი, ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინი, 1976, გვ. 466—467.

რული ქართველ და რუს ხალხებს შორის მეგობრობის განმტკიცებაში. ალ. სუმბათაშვილ-იუჟინის დახმარებით ამ წრის გარშემო შემოკრებილი იყო მოსკოვის შემოქმედებითი ინტელიგენციის ნამყვანი ძალები. ხშირად ეწყობოდა ქართული კულტურის საღამოები, რომელშიც ქართველ მომღერალთა და მოცეკვავეთა გუნდთან, ქართველ მსახიობებთან ერთად მონაწილეობდნენ მოსკოვის თეატრალური ვარსკვლავები. 1910 წ. 14 იანვარს მოსკოვის ქალაქის თავის თხოვნით ქართული კულტურის საღამო მოეწყო ლორდ ჯორჯისა და პუანკარეს პატივსაცემად. საღამოს მხატვრულ განყოფილებას ა. სუმბათაშვილ-იუჟინი და კ. მარჯანიშვილი ხელმძღვანელობდნენ. 1912 წლის 20 იანვარს ქართული კულტურის საღამოზე მოსკოვის ქალაქის თავის მიერ მოპატიჟებული იყვნენ ინგლისელი პარლამენტარები. ამ საღამოს ა. სუმბათაშვილ-იუჟინი და კომპოზიტორი მ. მ. იპოლიტოვ-ივანოვი ხელმძღვანელობდნენ, რეჟისორობდა კ. მარჯანიშვილი. ქართული კულტურის მოყვარულთა წრემ ა. სუმბათაშვილის თაოსნობით შეკრიბა რამდენიმე ათასი მანეთი და ქართულ თეატრალურ საზოგადოებას გაუგზავნა[1].

ქართული კულტურის მოყვარულთა სტუდენტურმა წრემ 1912 წლიდან თბილისში გადმოინაცვლა. წრის შემადგენლობა და ფუნქციები გაფართოვდა, სახსრებიც გაიზარდა. 1912 წლიდანვე მას „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოება" დაერქვა. შემუშავებულ იქნა ახალი წესდება[2]. პირველი საზოგადო კრება თბილისში შეიკრიბა 1912 წ. 30 ოქტომბერს. არჩეულ იქნა საბჭო გ. ჟორდანიას, დ. კასრაძის, რ. გაბაშვილის, დ. წითლანაძის და ს. გაბუნიას შემადგენლობით. კრების გადაწყვეტილებით, საზოგადოებას მიეკუთვნა გარდაცვლილი მკვლევარის და საზოგადო მოღვაწის ალ. ხახანაშვილის სახელი[3]. საზოგადოებამ საპატიო წევრებად აირჩია რუსეთის, საქართველოს, სომხეთის კულტურის გამოჩენილი მოღვაწენი.

საზოგადოება სისტემატურად მართავდა კრებებს, აწყობდა ლექციებს ქართული კულტურის სხვადასხვა საკითხზე. შეხვედრას უწყობდა საქართველოში სტუმრად ჩამოსულ მოღვაწეებს რუსეთიდან, საზღვარგარეთიდან. გრანდიოზული ხასიათი ჰქონდა საგანგებო შეხვედრას,

---

[1] დ. ჩხიკვიშვილი, ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინი, 1976, გვ. 466—467.

[2] მასალები კულტურის მოყვარულთა საზოგადოების ისტორიისათვის, საისტორიო მოამბე, № 27—28, 1973, გვ. 241—246.

[3] იქვე, გვ. 247.

რომელიც ამ საზოგადოებამ მოუწყო რუს ბუნებისმეტყველთა და ექიმთა XIII ყრილობის მონაწილეებს 1913 წ. 21 ივნისს. თბილისში შეხვედრაზე მონაწილეობა მიიღო ყრილობის მთელმა შემადგენლობამ. საღამო გახსნა გ. ჟორდანიამ, რომელმაც წინადადება შეიტანა შეკრების საპატიო თავმჯდომარედ აერჩიათ ბუნებისმეტყველთა და ექიმთა XIII ყრილობის თავმჯდომარე, მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი ი. ა. კაბლუკოვი. შეკრებაზე მოხსენებით გამოვიდნენ თ. ჟორდანია („ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრება და უფლებანი ი. ჭავჭავაძის ნაწარმოებთა მიხედვით"), დ. არაყიშვილი („საქართველოს ხალხური სიმღერა და კულტურა"). კრების მონაწილეებს მხურვალე სიტყვით მიმართა ი. ა. კაბლუკოვმა. სტუმრებს აჩვენეს ქართული ხალხური სიმღერებისა და ცეკვის კონცერტი*.

* * *

რეაქციის პერიოდში საქართველოს დემოკრატიული ინტელიგენციის მოღვაწეობაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენას სახალხო უნივერსიტეტების შექმნა წარმოადგენს. დემოკრატიული მასების კლასგარეშე განათლების სისტემა, როგორც ცნობილია, დაინერგა XIX ს. ევროპაში. ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში სახალხო უნივერსიტეტებმა ფართო გაქანება პოვეს. მასებში განათლების შეტანის კეთილშობილური მისწრაფება ედოთ საფუძვლად დიდი რუსი რევოლუციონერი დემოკრატების თაოსნობით შექმნილი საკვირაო სკოლებს, რომლებიც სახალხო უნივერსიტეტების წინამორბედი იყო XIX ს. რუსეთში. XX საუკუნის დასაწყისიდან სახალხო უნივერსიტეტები ერთდროულად შეიქმნა რუსეთის მსხვილ ქალაქებში. აღმოცენდნენ სახალხო უნივერსიტეტების ნებაყოფლობითი საზოგადოებანი, რომლებშიც წამყვან როლს ასრულებდა დემოკრატიული ინტელიგენცია. მთელ ქვეყანაში გაითქვა სახელი მოსკოვის შინიაესკის სახალხო უნივერსიტეტმა, რომელიც 1908 წელს ჩამოყალიბდა და 600 მსმენელს აერთიანებდა. 1913 წლისათვის ამ უნივერსიტეტში სამიათას ხუთასზე მეტი კაცი

---

* 1918 წელს საზოგადოებამ სახელწოდება შეიცვალა. გადაკეთდა „საქართველოს კულტურისა და შრომის კავშირად". მიღებულ იქნა ახალი წესდება. ახალი წესდებით საზოგადოება უფრო პრაქტიკულ-კულტურულ საქმიანობაში იღებდა მონაწილეობას. საზოგადოება ნაყოფიერად მოღვაწეობდა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველ წლებში. 1928 წ. მან შეწყვიტა არსებობა.

სწავლობდა. სალექციო მუშაობაში ჩაბმული იყო 130 პროფესორ-მასწავლებელი.

ი. გოგებაშვილმა 1905 წ. პრესაში აღძრა საკითხი საქართველოში სახალხო უნივერსიტეტების დაარსების შესახებ[1]. ახასიათებდა რა ასეთი უნივერსიტეტების დიდ მნიშვნელობას მასების განათლების საქმეში, ი. გოგებაშვილი აღნიშნავდა, რომ „სახალხო უნივერსიტეტებში გამეფებულია ცოცხალი სიტყვა, იქ ისმენენ ცოცხალ ლექციებს და მოშორებულნი არიან მშრალ წიგნების გაზეპირებას. ოფიციალურს სასწავლებლებში მასწავლებელნი არიან ყურმოჭრილნი ყმანი ოფიციალურის რეჟიმისა და სულ იმას ცდილობენ, თუ როგორ აამონ თავის უფროსებსა და წინ წაიწიონ სამსახურში. მოსწავლეთა სიკეთე კი ყველა მათგანს, მეტნაკლებათ, დავიწყებული აქვს. სახალხო უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობენ ინტელიგენტნი, განსწავლული მამულიშვილნი, რომელნიც გამსჭვალულნი არიან ხალხის სიკეთით“.

1907 წ. ქართველი ინტელიგენციის ერთმა ჯგუფმა ილია ნაკაშიძის მეთაურობით საფუძველი ჩაუყარა თბილისის „სახალხო უნივერსიტეტების საზოგადოებას“. შემუშავდა წესდება, რომელიც 1907 წ. იანვარში დაამტკიცა თბილისის გუბერნატორმა. სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის თავმჯდომარედ დამტკიცებულ იქნა ცნობილი პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე ვასილ რცხილაძე, რომელსაც რევოლუციური მუშაობის დიდი გამოცდილება ჰქონდა. თბილისის სახალხო უნივერსიტეტის მსმენელები უმთავრესად იყვნენ მუშები და ხელოსნები. მათ ეკითხებოდათ ლექციები საქართველოს ისტორიიდან, საბუნებისმეტყველო საკითხებზე, პედაგოგიკის, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგებში. ლექციათა გეგმები წინასწარ ბეჭდილდებოდა გამგეობის სხდომებზე. ეწყობოდა გასელითი ლექციები საქართველოს რაიონებში. 1907 წ. 4 მარტს სახალხო სახლში ჩატარდა ჩერქეზოვის პირველი ლექცია თემაზე „სახალხო უნივერსიტეტები დასავლეთში და ამერიკაში“. ლექციას 700-ზე მეტი მსმენელი ესწრებოდა. მარტო 1907 წელს წაკითხულ იქნა 51 ლექცია 22 ლექტორის მიერ. ლექციები იკითხებოდა ქართულ, რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე[3]. აუდიტორია, როგორც წესი, ინტერნაციონალური იყო. ინ-

---

1 ი. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი. თხზ., ტ. II, 1940, გვ. 444.

2 წესდება თბილისის სახალხო უნივერსიტეტების საზოგადოებისა, 1907.

3 ბ. ბ ა კ უ რ ა ძ ე, სახალხო უნივერსიტეტები, 1972, გვ. 83—84.

ტერნაციონალური შემადგენლობის იყო სახალხო უნივერსიტეტის გამგეობაც. მის შემადგენლობაში შედიოდნენ მიხ. ქარცივაძე, ალ. რუჩაძე, ან. ბებურიშვილი, მ. ჯიოევი, ი. ბარათაშვილი, გ. დიასამიძე, შ. მესხიშვილი, ს. ჭელიძე, რ. კატანიანი, ტ. გევონდიანი და სხვ[1].

1909 წელს სახალხო უნივერსიტეტი გაიხსნა ქუთაისში ადგილობრივი დემოკრატიული ინტელიგენციის თაოსნობით. მისი დამაარსებელნი და გამგეობის პირველი წევრები იყვნენ პ. ყიფიანი, კ. აბაშიძე, ა. გარსევანიშვილი, ი. ბაქრაძე. 1910 წ. იანვრიდან უნივერსიტეტი შეუდგა სისტემატურ მეცადინეობას. ამ წელს 48 ლექცია იქნა წაკითხული. ლექციების წასაკითხად მოწვეული იყვნენ დ. უზნაძე, კ. ახობაძე, გ. ნათაძე, ალ. გარსევანიშვილი, გ. ნიორაძე, კ. შარაშენიძე, ე. ნიკოლაძე, გ. ბადრიძე და სხვები. ლექციები იკითხებოდა ქართულ ლიტერატურაში, ქართველი ხალხის ისტორიაზე, ქართული კულტურის საკითხებზე, პოლიტეკონომიაში, მედიცინაში და სხვ. ყოველ ლექციას 450-ზე მეტი კაცი ესწრებოდა. ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტმა რუსული პრესის ყურადღებაც მიიპყრო. უნივერსიტეტში ხშირად ეწყობოდა ლიტერატურული დილები. სახალხო უნივერსიტეტის ლექტორებმა დ. უზნაძემ, ალ. გარსევანიშვილმა, ალ. ჯანელიძემ, ჯ. ჯორჯიკიამ, გ. ნათაძემ უნივერსიტეტთან შექმნეს „მეცნიერული წრე", რომელიც უნივერსიტეტში და მის გარეთ სამეცნიერო ცოდნის ფართო პროპაგანდას ეწეოდა. დიდი წარმატებით ჩატარდა 1912 წ. ნოემბერში ილია ჭავჭავაძის ხსოვნის დილა, სადაც დიდი მწერლისა და მოღვაწის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე მოხსენებებით გამოვიდნენ ალ. გარსევანიშვილი, ს. ქვარიანი, დ. კლდიაშვილი. ქუთაისის უნივერსიტეტი რიტმიულად მუშაობდა. 1910 წ. უნივერსიტეტში ჩატარდა 48 ლექცია, 1912 წელს— 48, 1913 წელს — 38, მსმენელთა რიცხვი სტაბილური იყო და საშუალოდ 300 კაცს აღემატებოდა[2].

დიდი იყო ქუთაისის უნივერსიტეტის პოპულარობა. მისი ლექტორები გასვლით ლექციებს აწყობდნენ მთელ დასავლეთ საქართველოში. 1911—1912 წლებში სახალხო უნივერსიტეტების საიმპერიო დათვალიერებაზე ქუთაისის უნივერსიტეტმა სამარის შემდეგ მეორე ადგილი დაიკავა.

სახალხო უნივერსიტეტები წარმატებით მუშაობდნენ აგრეთვე გორში, ბათუმში, სოხუმში, ჭიათურაში, ფოთში.

სახალხო უნივერსიტეტები ბოლშევიკურ პარტიას მიაჩნდა რევო-

---

[1] გაზ. „სახალხო საქმე", 26 აპრილი, 1911.

[2] ბ. ბაკურაძე, სახალხო უნივერსიტეტი, გვ. 94—95.

ლეგალურ მასებთან სიახლოვის ერთ-ერთ საშუალებად. რეაქციისა და რევოლუციური აღმავლობის წლებში სახალხო უნივერსიტეტების ტრიბუნას, როგორც ლეგალური მუშაობის კერებს, ბოლშევიკები ხშირად იყენებდნენ თავიანთი იდეების პროპაგანდისათვის. თბილისის სახალხო უნივერსიტეტის გამგეობაში აქტიურად მოღვაწეობდა ცნობილი რევოლუციონერი ბოლშევიკი ალ. ჯაფარიძე. მისი მეცადინეობით უნივერსიტეტის მუშა მსმენელთა რიცხვი დიდად გაფართოვდა. მეფის ოხრანკამ შენიშნა, რომ თბილისის სახალხო უნივერსიტეტი რევოლუციური პროპაგანდის კერას წარმოადგენდა. იგი „სარგებლობს ლეგალური მდგომარეობით და ვითომ ხალხის მასების გასანათლებლად მთელი ძალ-ღონით ინწრაფვის შეაკავშიროს მუშები და გაავრცელოს მათ შორის სოციალ-დემოკრატიული იდეები. ამ საზოგადოების მოღვაწეობა თანდათან განვითარდა და გადაიქცა წარმოდგენებისა და ლექციების მოწყობად ზუბალოვის სახალხო სახლში, ნაძალადევის თეატრსა და აუდიტორიაში, სადაც ლექციებს კითხულობდნენ რუსულ, ქართულ და სომხურ ენებზე. ხანდახან ოსურ ენაზეც... მსმენელები ყველა შემთხვევაში იყვნენ ქალაქ თბილისის სხვადასხვა საწარმოთა მუშები“, — წერს თავის ერთ-ერთ მოხსენებაში თბილისის ოხრანკის ბოხელე“[1].

სახალხო უნივერსიტეტები და სხვა ნებაყოფლობითი კულტურულ-განმანათლებლო დაწესებულებანი რეაქციისა და რევოლუციური აღმავლობის წლებში საქართველოში ბოლშევიკური პარტიის დემოკრატიულ ინტელიგენციასთან სიახლოვის, მათთან რევოლუციური მოღვაწეობის კოორდინაციის, ამ ინტელიგენციის ეროვნული და რევოლუციური იდეალების სწორი მიმართულებით წარმართვის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას წარმოადგენდნენ. ლეგალური ეროვნულ-კულტურული კერების რევოლუციურ კერებად გადაქცევისათვის ბოლშევიკები ასევე აქტიურად საქმიანობდნენ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში, დრამატულ საზოგადოებაში, სახალხო სახლებში, ავჭალის აუდიტორიაში, თბილისის სამრეწველო საწარმოების მოსამსახურეთა კლუბში

• • •

XX საუკუნის პირველ ოცწლეულში ქართველი დემოკრატიული ინტელიგენციის უფროსი თაობა თანდათან ტოვებდა საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზს. დიდი ილიას ტრაგიკული გარდაცვალების შემ-

[1] საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, გვ. 318.

დეგ ქართველ ერს ზედიზედ გამოეცალნენ სახელოვანი შვილები ჯერ იაკობ გოგებაშვილი, შემდეგ არჩილ ჯორჯაძე, ვაჟა-ფშაველა და დიდი აკაკი.

1912 წლის პირველ ივნისს მთელი საქართველო დიდად დაამწუხრა იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალებამ. იაკობის დაკრძალვა ნამდვილი სახალხო გლოვა იყო. ეს, ამასთან ერთად იყო ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ მებრძოლი ძალების დათვალიერება. ერის დიდ მოამაგეს, ქართული ენის ყველაზე ამაგდარ მოღვაწეს, დაუცხრომელ მებრძოლს საქართველოს პროგრესისათვის ხალხმა სამუდამო განსასვენებელი მთაწმინდაზე მიუჩინა.

1913 წ. გარდაიცვალა ჭლექის მძიმე სენით შეპყრობილი არჩილ ჯორჯაძე. ქართველმა საზოგადოებრიობამ დიდი გულისტკივილით დაიტირა ეს უანგარო და უნიჭიერესი პუბლიცისტი, თვალსაჩინო წარმომადგენელი დემოკრატიული ინტელიგენციისა, რომლის შემოქმედებამ ზოგიერთი მცდარი შეხედულების მიუხედავად, გააღრმავა და გააფართოვა ქართული საზოგადოებრივი აზრის თვალსაწიერი. მისი, როგორც ეროვნული მოღვაწისადმი ღრმა პატივისცემა ჩაქსოვილია თბილისელ მუშათა იმ გვირგვინში, რომელიც დიდების პანთეონში დღესაც ამკობს განსვენებულს საფლავს.

1915 წ. 25 იანვარს ღამის პირველ საათზე საჩხერეში სოფ. სხვიტორში სამუდამოდ დადუმდა აკაკის ქნარი. აკაკი ხომ უგვირგვინო მეფე იყო დაჩაგრული ქვეყნისა და ილიას შემდეგ ასეთი დატირება არავის ღირსებია. სხვიტორიდან თბილისში პოეტის ნეშთის წასვენება დიდი სახალხო დემონსტრაციის ელფერს ატარებდა. საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოსულ დელეგაციებს დედაქალაქი ვერ იტევდა. მთელმა საქართველომ მიაცილა მისი გულის მესაიდუმლე მთაწმინდის საფინემდე.

აკაკის სხვიტორშიც, თბილისშიც მრავალი გამოსათხოვარი სიტყვა უთხრეს. პრესის ფურცლებზე, თუ ზეპირ სიტყვაში ქართველი ინტელიგენტები, გლეხებისა და მუშების წარმომადგენლები გამოხატავდნენ თავიანთ გულისთქმას და ცდილობდნენ აკაკის დამსახურების ესა თუ ის მსარე წარმოეჩინათ. საგულისხმოა აკაკის დიდი თანამებრძოლის, ბანგრძლივ — ცხოვრების გზაზე მისი განუყოელი მეგობრის ნიკო ნიკოლაძის სიტყვა, რომელიც დაკრძალვის დღეს წარმოთქვა დიდმა დემოკრატმა და განმანათლებელმა. ეს სიტყვა ფართო საზოგადოებისათვის უცნობია. მიზანშეწონილად ვცანით მთლიანად მოვიტანოთ იგი. „ჩემზე უკეთ სხვები მოგახსენებენ აკაკის დიდი ნიჭის და ღვაწლის შესახებ.

აღვნიშნავთ, რომ თვით თავისი სიკეთილით მან ახალი შეხანიშნავი სამსახური გაუწია ჩვენს ქვეყანას. ყველას დაგვანახვა, რომ მას გლოვაში ერთი გრძნობა და გული ჰქონია მთელს ჩვენს ერს, მხარეს, წოდებას, ქონების, ასაკს, სქესის და თვით პარტიის განურჩევლად. მისმა კუბომ გარს შემოირტყა და ერთიანობას ძმურად დაუმორჩილა ყველა ჩვენი მიმართულების მეთაურები, რომელთაც წინად ეგონათ რომ მათ შორის საერთო არა მოიძებნება რა. იმედი ვიქონიოთ, არა მარტო გლოვაში, ყველა ჩვენს საერობო საქმეში და გასაჭირში გამოგვადგება ამის შემდეგ ეს მადლიანი მაგალითი. ხედავთ, რამხელა ჯარი გვყოლია? ოღონდ შტაბი არსად გაგვაჩნია, ურომლისოდ ამ განსაცდელით სავსე დროში ერი არა თუ წინ ვერ წაიწევს, ვერც კი გასძლებს.

იქნებ აკაკის ხსოვნამ ის საბწაული მოახდინოს, რომ დღევანდელი ჩვენი ერთობა და ერთი ხელმძღვანელობის მორჩილება ისეთივე მუდმივი გახადოს ჩამულის სახეიროდ, როგორც უკვდავი დარჩება ჩვენში აკაკის სახელი"[1].

ამ მოკლე გამოსვლაში ნათლად გამოსჭვივის დიდი სამოციანელის მოღვაწეობის მთელი კრედო და იმის გულწრფელი სურვილი, რომ საქართველოს დემოკრატიული ძალები ერთსულოვანი და განუყოფელი ყოფილიყვნენ თავიანთ განმათავისუფლებელ ბრძოლაში.

ამავე წელს წმინდა ნინოს სახელობის ლაზარეთში (ახლა უნივერსიტეტის 86-ე აუდიტორია) გარდაიცვალა ქართული პოეზიის არწივი ვაჟა-ფშაველა. აკაკისებური გრანდიოზული გამოთხოვება მოუწყო ვაჟას მთელმა საქართველომ. ქაშვეთის ეკლესიიდან დიდუბის პანთეონამდე იყო გაჭიმული სამგლოვიარო პროცესია. თავიანთ სიტყვებში, ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი, რუსი ინტელიგენციის წარმომადგენლები ვაჟას უბადლო პოეზიას და პროზას ახასიათებდნენ როგორც საკაცობრიო საუნჯეს. დიდად შთამბეჭდავი იყო სიტყვა კორნელი კეკელიძისა, რომელმაც იმპერიალისტური ომის მძვინვარების გამო გამოწვეული საერთო წუხილი ხალხისა აკაკისა და ვაჟას დაკარგვით გამოწვეულ დიდ მწუხარებას დაუკავშირა.

„...თანამედროვე უმაგალითო ომი, — თქვა კ. კეკელიძემ, — ძალაუნებურად გვაგონებს ამ ძვირფას კუბოსთან „ბახტრიონში" აღწერილ ხოშარს, რომელსაც „წარღვნა დაეცა წყეულ თათართა ჯარისა" და სადაც ამის გამო „ხსენება გაწყდა კაცისა". სწორედ ხოშარს წარმოადგენს ჩვენი ბედკრული, დამშეული და წარღვნილი სამშობლო, სადაც

---

1 გაზ. „თემი", № 207, 1915.

დარჩენილან, როგორც ხოშარში, მხოლოდ „ბალღები“ და „დიაცნი“, რომელნიც უნუგეშოდ დასტირიან ომში დახოცილ ძვირფას სახელებს. სავალალო ის არის, რომ ასეთი უბედურების დროს ერთი მეორეზე ხელიდან გვეცლებიან სულისა და გულის მესაიდუმლენი, რომელთაც რეალური შველა თუ არა, პოეტური თანაგრძნობა და ზეაღმაფრენი ნუგეშისცემა მაინც შეეძლოთ. ჯერ კიდევ არ გაციებულა დიდებული აკაკის საფლავი, რომ ჩვენი პოეზიის საკურთხეველზე ჩაქრა მეორე ბრწყინვალე ლამპარი, ის ლამპარი ფშავ-ხევსურეთის მწვერვალთაგან უხვ ნათელს ფენდა მთელ საქართველოს. გაფრინდა „მთის არწივი“, ვაჟა მოგვიკვდა ფშაველი“[1].

1915 წ. 4 ნოემბერს სარატოვში გარდაიცვალა ციხეებსა და მრავალწლიან გადასახლებებში დაუძლურებული ჭოლა ლომთათიძე. ჭ. ლომთათიძის გამოსვენება საავადმყოფოდან დემონსტრაციაში გადაიზარდა. ქართველი სტუდენტების გვერდით იდგნენ რუსეთის ინტელიგენციის მრავალი წარმომადგენელი, მუშები. 14 ნოემბერს ჭოლას ცხედარი თბილისში ჩამოასვენეს და მისი დაკრძალვა იქცა ნამდვილ სახალხო დემონსტრაციად, რომელშიც 10 ათასზე მეტი კაცი მონაწილეობდა. ჭოლას გარდაცვალებას ფართოდ გამოეხმაურა ქართული პრესა („თანამედროვე აზრი“, „სახალხო ფურცელი“) და რუსეთის მრავალი ჟურნალი და გაზეთი („რუსსკიე ვედომოსტი“, „სოვრემენნოე სლოვო“, „უტრო როსიი“, „რეჩი“, „დენ“ და სხვ.). ჭოლას დაკრძალვის ხასიათი,— მიუთითებს გ. ციციშვილი, — „მუშათა კლასისა და მოწინავე ინტელიგენციის დიდ იდეურ-პოლიტიკურ დარაზმულობაზე მეტყველებს“[2].

1907—1917 წლებში ამ ბუმბერაზებთან ერთად ქართველი დემოკრატიული ინტელიგენციის სხვა ბევრი გამოჩენილი მოღვაწე წავიდა ამ ქვეყნიდან, ზოგი დროულად, ზოგიც უდროოდ, შავბნელი რეაქციის მწვავე სუსხით დამზრალი და საპყრობილეებსა და გადასახლებაში ჯანბატეხილი. მაგრამ ქართველი დემოკრატიული ინტელიგენციის რიგები არ გამეჩხრებულა. პირიქით, იგი იზრდებოდა და მტკიცდებოდა, ღებდა რა ახალ შევსებას ცხოვრებიდან. ახალი თაობის ეს ინტელიგენცია ეპირატესად დაბალი ფენებიდან იყო გამოსული და ამდენად, რევოლუციური სულისკვეთებაც უფრო მაღალი ჰქონდა. 1911 წ. გაზ. „სახალხო საქმე“ საგანგებოდ წერდა იმის თაობაზე, რომ ჩვენში „იზრდე-

---

[1] გაზ. „საქართველო, № 61, 1915.

[2] გ. ციციშვილი, ჭოლა ლომთათიძე, გვ. 170.

ბა ახალი ინტელიგენცია. ის გამოდის თვითონ მუშათა წრიდან, ის თავისი ძალღონით არჩევს ყველა საჭირბოროტო კითხვებს, ცდილობს თვითონვე ჩაუდგეს სათავეში მოძრაობას და უხელმძღვანელოს თავის მოძმეებს[1].

ამ ახალი ინტელიგენციის ზრდას გაზეთი ხედავდა არა მარტო რუსეთის მსხვილ ცენტრებში, არამედ პროვინციულ ქალაქებშიც და მიუთითებდა კლეინბარტის ნარკვევზე, რომელიც „ნოვაია ჟიზნის“ ფურცლებზე დაიბეჭდა. ამ ნარკვევში კლეინბარტი ყურადღებას ინტელიგენციის თვისებრივ ცვლილებებზე, მის გადემოკრატიულობაზე, მუშათა წრეებიდან შევსებაზე ამახვილებდა.

საქართველოში ეს მოვლენა ადვილად შესამჩნევი იყო. პირველი რევოლუციისა და რეაქციის წლებში ქართველ ინტელიგენციას შემოქმედებითი საქმიანობის ყველა დარგში შეემატნენ ახალი ძალები, რომელთაც ქართული ეროვნული დემოკრატიული კულტურა ახალ საფეხურზე აიყვანეს. ეს ძალები მშრომელი მასების გვერდში დადგნენ, სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

• • •

მეოცე საუკუნის მეორე ათწლეული ქართულ მწერლობაში ახალი მიჯნაა. ასპარეზზე გამოდის ევროპულად განათლებული მსოფლიო ლიტერატურულ პროცესში ღრმად ჩახედული, სულისშემხუთველ სინამდვილესთან თავგანწირვით შეჭიდებული, ფართო სააზროვნო ასპარეზზე გასული ნოვატორული თაობა. ამ თაობიდან ქართულ ლიტერატურაში პირველმა შემოდგა ფეხი გალაკტიონ ტაბიძემ, შემდგომში ქართული პოეზიის იალბუზმა, ლექსის სწორუპოვარმა ჯადოქარმა, „პოეტმა მეფემ“. იმერელი გლეხის შვილმა განათლება მიიღო ქუთაისში პირველი რევოლუციის გარიჟრაჟზე. მისი ჭაბუკობის გარემო, პოეზიის აკვანი იყო აკაკის ქუთაისი, სამაისო ქუთაისი. იგი აქტიურად მონაწილეობდა ქუთაისის მოსწავლეთა რევოლუციურ გამოსვლებში.

1908 წ. გალაკტიონი თბილისის სასულიერო სემინარიაში შევიდა და სემინარიის მოსწავლეთა რევოლუციური ტრადიციების გამგრძელებელთა რიგებში ჩადგა. აქ იგი რედაქტორობდა მოსწავლეთა ხელნაწერ ჟურნალ „შუქს“. 1911 წლიდან მასწავლებლობდა დასავლეთ საქართველოს რაიონებში. 1915 წელს მოსკოვს გაემგზავრა, ლექციებს ისმენდა შინიავსკის უნივერსიტეტში.

[1] გაზ. „სახალხო საქმე“, 21 აპრილი, 1911.

1908—1914 წლები გალაკტიონის შემოქმედებითი ფორმირების პერიოდია. მისი პაბუკური პოეზიის პირველი წიგნი 1914 წელს გამოიცა. ქართველმა მკითხველმა აღტაცებით მიიღო ეს წიგნი და ირწმუნა, რომ ქართულ პოეზიაში მოვიდა ტიტანური ძალა, უდიდესი ნოვატორი, რომელიც ეროვნული ტკივილების განცდას გადმოსცემდა აქამდე უჩვეულო პოეტური ხილვებით, ორკესტრული ჟღერადობით. „ქართული ლექსის ინსტრუმენტი, — შენიშნავს პროფ. ს. ჭილაია, — გალაკტიონამდე იშვიათად თუ აუწყვიათ ისეთი ჟრუანტელისმომგვრელი ემოციურობითა და განცდებით, იშვიათად თუ ვინმეს მიუნიჭებია ქართული ლექსისთვის ისეთი მუსიკალობა, ცოტას თუ ვისმე აუმღერებია ქართული სიტყვა ისე მშვენიერად და ფრთაასხმულად, როგორც ეს გალაკტიონის პოეზიაშია გამოვლენილი"[1].

რეაქციის წლები — დიდი ფიზიკური და სულიერი ტკივილების გარემო თითქოს ხელშემწყობი პირობა გახდა ქართული პოეზიის ამაღლებისა. თითქმის ერთდროულად გამოვიდნენ ასპარეზზე ქართული სიტყვის ოსტატები ს. შანშიაშვილი, ი. გრიშაშვილი, ალ. აბაშელი.

ბოდბელი მღვდლის შვილის ს. შანშიაშვილის პირველი ლექსი 1905 წ. დეკემბერში დაიბეჭდა გაზ. „ცნობის ფურცელში". რევოლუციურ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობისათვის დამწყები პოეტი 1907 წ. დამდეგს მეტეხის ციხეში მოხვდა. 3-თვიანი პატიმრობის შემდეგ ს. შანშიაშვილი გიმნაზიის კურსის დაუსრულებლად საზღვარგარეთ გაემგზავრა სწავლის გასაგრძელებლად. 1908—10 წლები აქტიური შემოქმედებითი პერიოდია სანდროსათვის. საზღვარგარეთიდან გამოგზავნილი მისი ლექსები სისტემატურად იბეჭდებოდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. ქართველმა საზოგადოებრიობამ იგი ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ და საიმედო ახალგაზრდა პოეტად აღიარა.

1914 წ. ს. შანშიაშვილი სამშობლოში ბრუნდება როგორც სახელმოხვეჭილი პოეტი და იწყებს დაუცხრომელ ლიტერატურულ საქმიანობას. 1916 წ. გაზ. „საქართველოს" რედაქტორია. ამ დროისათვის იგი ავტორია მრავალი საუკეთესო ლექსისა, პოემისა და დრამატული ნაწარმოებისა. მისი პოემები პოეტური ეპოქის დაკნინების ჟამს დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო. არ იქნება გადაჭარბებული თუ ვიტყვით, — წერს პროფ. გ. ციციშვილი, — რომ 1909—1917 წლების ქართულ ლიტერატურაში ს. შანშიაშვილი ყველაზე ნაყოფიერ ეპიკოს პოეტად გვევლინება და მისი ღვაწლი XX ს. პირველი ათწლეულის ქარ-

---

1 ს. ჭ ი ლ ა ი ა. გალაკტიონ ტაბიძე, 1973, გვ. 5.

ოელი პოეტური ეპოსის დაცვა-განვითარების საქმეში ფრიად დიდი და საპატიოა[1].

ალექსანდრე აბაშელი პირველი რევოლუციის წლებში ბათუმის პროლეტარიატის რიგებში იდგა როგორც ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის მუშა და აქტიურად მონაწილეობდა ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. აქტიური მუშა-რევოლუციონერი დააპატიმრეს და ციმბირში გადაასახლეს. 1908 წ. ა. აბაშელი გადასახლებიდან გაიქცა და არალეგალურად დაბრუნდა სამშობლოში. ამ პერიოდიდან იწყება მისი პოეტური ბიოგრაფია. 1913 წ. გამოქვეყნდა მისი პირველი წიგნი „მზის ციცილი", ხოლო 1916 წ. მეორე წიგნი, — „«Пылающие аллеи». ორივე ეს კრებული ასახავდა პოეტის განწყობილებას, მის რისხვასა და იწუხარებას. „შავი ღრუბლების მიერ მზის სხივების დაბნელების" გამო. რევოლუციის დამარცხება და რეაქციის პარპაში პოეტის სულს ძვირფასად დასწოლია. იგი სასოწარკვეთილი დააბიჯებს ამ „ცოდვილ მიწაზე". მისთვის მხოლოდ ზოგჯერ გაიელვებს რევოლუციურ დღეთა განახლების იმედის ნაპერწკალი.

იოსებ გრიშაშვილის პირველი წიგნი „ვარდების თაიგული" 1906 წ. გამოვიდა. მომდევნო წელს კიდევ ერთი წიგნი უძღვნა მკითხველს ი. გრიშაშვილმა. 1914 წელს კი დაიბეჭდა მისი ლექსების რჩეული. ამ დროისათვის იგი საქართველოში მოდური და საკმაოდ სახელმოხვეჭილი პოეტი იყო. გრიშაშვილის პირველ ლექსებში სოციალური მოტივიც ჟღერდა, მაგრამ რეაქციის წლებში იგი თანდათან მინელდა და პოეტის შემოქმედებაში წინა პლანზე წამოიწია ქალის სილამაზემ, სიყვარულმა, გრძნობის ძალამ. კამერული ინტიმურ-სატრფიალო ლირიკა ი. გრიშაშვილის რევოლუციამდელი შემოქმედების წამყვანი ლეიტმოტივია. ამასთან, ქართულ პოეზიაში მან განსაკუთრებული ეშხითა და სილამაზით შემოიტანა თბილისის თემა.

ს. შანშიაშვილი, ალ. აბაშელი, ი. გრიშაშვილი რევოლუციამდელ ქართულ პოეზიაში მოდერნიზმის პირველი მეკვლეები იყვნენ. დასავლეთევროპული მოდური სიმბოლიზმის ზეგავლენა მძლავრად იგრძნობა ამ პერიოდის მათ შემოქმედებაში. მაგრამ სიმბოლიზმმა ქართულ ლიტერატურაში ნამდვილი აყვავება განიცადა „ცისფერყანწელთა" შემოქმედებაში. ამ ლიტერატურული ჯგუფის პირველი თაოსნები იყვნენ პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, კოლაუ ნადირაძე, ივანე უიფიანი, სანდრო ცირეკიძე, და სხვები. ახალგაზრდა

---

[1] გ. ცინცაძე, სანდრო შანშიაშვილი, 1962, გვ. 61.

მწერლების ეს თაობა ლიტერატურულ ასპარეზზე 1914—1915 წლებში გამოვიდა. ამ დროის ქართულ ჟურნალ-გაზეთებში („მეგობარი", „კოლხიდა", „იმერეთი", „თემი", „სალამური", „სახალხო გაზეთი", „ერი", „საქართველო" და მისი სურათებიანი დამატება, ჟურნ. „თეატრი", „ფასკუნჯი", „ოქროს ვერძი", „კლდე" და სხვ.) იბეჭდებოდა მათი პირველი ლექსები[1]. 1916 წ. ცისფერყანწელები უკვე ცალკე ლიტერატურული სკოლის სახით გაფორმდნენ და საკუთარი ორგანოც გაიჩინეს („ბარიკადი", „ბახტრიონი", „რუბიკონი", „ლაშარი", ჟურნ. „ცისფერი ყანწები", „მეოცნებე ნიამორები" და „მშვილდოსანი").

„ცისფერყანწელების" პოეზიას ახასიათებდა დეკანდენტიზმი, რომელიც ყველგან იყო და რჩება ძირითად ნიშნად სიმბოლიზმისა. იმ კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში დეკადენტობა, რა თქმა უნდა, ქართული დემოკრატიული ინტელიგენციის ეროვნულ მისწრაფებებს ვერ ეგუებოდა და ქართული ლიტერატურის კლასიკური ტრადიციებიდან გადახვევაც იყო. ცისფერყანწელები, მართალია, ვერ გაპყენენ რევოლუციური აღმავლობის ტალღებს და თავიანთი მეამბოხური სული და გზნება მთლიანად ლიტერატურის სფეროში გადაიტანეს, მაგრამ არც თუ იშვიათად გამოდიოდნენ ისინი თავისი ვიწრო კარჩაკეტილობისა და ესთეტიზმის ჩარჩოებიდან და ქართული კლასიკური მწერლობის ტრადიციების დასაცავად იმაღლებდნენ ხმას. მათ, ამასთან, დასავლეთის სიმბოლისტებისაგან განსხვავებით, გააჩნდათ რეალისტური მხატვრული აზროვნების ელემენტები და არასოდეს დაუკარგავთ ეროვნული გრძნობა, რომელიც ქართული პოეზიის დიდი წინაპრებისაგან შეისისხლხორცეს[2]. „ცისფერყანწელები" დაინტერესებული იყვნენ სოციალური საკითხებითაც. მათ მთელი არსებით სძულდათ ბურჟუაზიული სინამდვილე[3].

მთავარი მაინც ისაა, რომ „ცისფერყანწელებმა" ქართული ლექსის მრავალ ახალ საიდუმლოებას მიაგნეს. მათ ქართული ლექსი ახალ მწვერვალებზე აიყვანეს. დიდი ღვაწლი მიუძღვით მათ, ქართული კულტურის და, კერძოდ, ქართული მწერლობის განვითარებაში. შემთხვევითი არ იყო, რომ რევოლუციის შემდეგ „ცისფერყანწელებმა" ად-

---

1 მირიან აბელაძე, ლიტერატურული მიმდინარეობათა ისტორიიდან მეოცე საუკუნის ქართულ მწერლობაში, 1977, გვ. 7.

2 იქვე, გვ. 16—18.

3 ნელი დუმბაძე, ქართული სიმბოლიზმი, 1973, გვ. 238.

ცილად დასძლიეს თავისი ადრინდელი დაბნეულობა და საერთოდ, თვალსაჩინო როლი შეასრულეს ქართული საბჭოთა პოეზიის განვითარებაში.

• • •

რეაქციის სუსხის სიმწვავე ქართველმა თეატრალურმა ინტელიგენციამაც იწვნია. რეაქცია სდევნიდა ქართული თეატრის გამოჩენილ მოღვაწეთ, რომლებიც პირველი რევოლუციის წლებში სახალხო ტრიბუნებს წარმოადგენდნენ და რევოლუციურ ენთუზიაზმს აღვივებდნენ. ციხისა და გადასახლების მოლოდინში სცენის ბევრი გამოჩენილი მუშაკი არალეგალურ ცხოვრებაზე იყო გადასული.

სახელმწიფოებრივ ზრუნვას მოკლებული თეატრი მუდმივად ფინანსურ კრიზისს განიცდიდა. პროფესიული მსახიობების ცხოვრების სახსარიც კი მთლიანად სპექტაკლების შემოსავალზე იყო დამოკიდებული. შემოსავალი კი უმეტეს შემთხვევაში ხარჯებს ვერ აუდიოდა. ამიტომ მსახიობები უკიდურეს მატერიალურ ხელმოკლეობას განიცდიდნენ, ისინი შიმშილობდნენ.

მთავრობის მხრივ დევნის, მტკიცე მატერიალური ბაზის არარსებობის, შესაფერისი ბინის უქონლობის ვითარებაში შეუძლებელი ხდებოდა მაღალმხატვრული სტაბილური სპექტაკლების შექმნა. ასეთ ვითარებაში თეატრს მაყურებელიც მცირე ჰყავდა. ქართული სცენის უნიჭიერეს კოლექტივს, რომელსაც ბრწყინვალე თანავარსკვლავედი ამშვენებდა (ლ. ბესხიშვილი, კ. მესხი, კ. ყიფიანი, ვ. გუნია, ვ. აბაშიძე, ე. ჩერქეზიშვილი, ნ. ჩხეიძე, ალ. იმედაშვილი, ტ. აბაშიძე, ვ. შალიკაშვილი, ი. ზარდალიშვილი, გ. არადელ-იშხნელი, ნ. გვარაძე, ე. ანდრონიკაშვილი, შ. დადიანი, ვ. გამყრელიძე და სხვ.) შეეძლო ნებისმიერი დრამატული ქმნილების უმაღლეს დონეზე წარმოდგენა და იგი მსოფლიოს არც ერთ თეატრალურ კოლექტივს არ ჩამოუვარდებოდა, მაგრამ თეატრალური ბემოქმედებისათვის უმძიმესი ატმოსფერო, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი გულგრილობა, უსახსრობა, უბინაობა იყო ძირითადი მიზეზი იმისა, რომ თითქმის ყველა სეზონი 1907 წლიდან 1917 წლამდე მხატვრულად უღიმღამო და ნაკლებად დასამახსოვრებელი იყო. მართალია, კლასიკური უცხოური და რუსული დრამატურგიიდან ქართველმა სცენის ოსტატებმა დაუვიწყარი სახეები შექმნეს, მაგრამ ამ წარმატებებს მაინც ეპიზოდური ხასიათი ჰქონდა.

ქართულ სცენას აკლდა ეროვნული რეპერტუარიც. XIX ს. ქართული დრამატული ნაწარმოებებიდან წარმატებით იდგმებოდა მხოლოდ

გ. ერისთავის („გაყრა, დავა"), აკ. წერეთლის („პატარა ქალი", „თორნიკე ერისთავი"), ი. ჭავჭავაძის („ქართველის დედა", „გლახა ჭრიაშვილი"), ა. ცაგარელის („რაც გინახავს ვეღარ ნახავ", „ხანუმა"), პიესები. პირველი რეკოლუციის წლებსა და რეაქციის პერიოდში ქართველ მწერალთა შექმნილი ნაწარმოებებიდან; ვ. გუნიას („და-ძმა", „სიძესიმამრი", „სამთა კავშირი"), ი. გედევანიშვილის („მსხვერპლი", „სინათლე"), ვ. შალიკაშვილის („უნიადაგონი", „ნაგავი", „გადაჭრილი მუხა"), ნ. შიუკაშვილის („მეგობრობა", „სიმახინჯე", „ციცინათელა"), ს. შანშიაშვილის („უგვირგვინო მეფენი"), ტ. რამიშვილის („საბედისწერო დამბაჩა", „მეზობლები", „დედინაცვალი"), შ. ს. ყიფიანის („ლევან ბატონიშვილი"), შ. დადიანის („გუშინდელნი"), ი. ბომართელის („ექიმთან"), კ. მესხის („თამარ ბატონიშვილი"), პ. ირეთელის („ბედნიერი დღე", „ქრისტინე") და სხვ. პიესები.

რეჟისურის დარგში წარმატებით მოღვაწეობდნენ ლ. მესხიშვილი, ვ. შალიკაშვილი, ვ. გუნია, მ. ქორელი, კ. ანდრონიკაშვილი, ა. ფალავა, ა. წუწუნავა, ს. ყანჩელი, შ. დადიანი და სხვ.

რეაქციისა და რევოლუციური აღმავლობის წლებში თეატრალური ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ცენტრებად კვლავ რჩებოდა თბილისი, ქუთაისი, ბათუმი. ხშირ შემთხვევაში ქუთაისში თეატრალური მაჯა უფრო რიტმიულად სცემდა, ვიდრე თბილისში. სადაც რეაქციის თვალიც უფრო ფხიზელი და მსახიობთა მატერიალურ საყოფაცხოვრებო პირობებიც უფრო მძიმე იყო. საქართველოს რაიონული ცენტრებიდან თეატრალურ ტრადიციებს ისევ აგრძელებდნენ თელავი, ჭიათურა, ხონი. თვითმოქმედი თეატრალური კოლექტივები თითქმის ყველა სამაზრო ცენტრში არსებობდა, მაგრამ მათი საქმიანობა მაინც ეპიზოდური და მხატვრულად უფერული იყო. სამაზრო ცენტრების კულტურული ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა თბილისისა და ქუთაისის გამოჩენილ მსახიობთა მცირე კოლექტივების ხშირი სტუმრობა, რომელთაც აქ ჩაჰქონდათ ცალკეული სცენები კლასიკური, რუსული, უცხოური და ქართული რეპერტუარიდან.

1914 წ. ქართულ თეატრალურ კოლექტივს კიდევ ერთი უბედურება ეწვია: „დაიწვა ქართული თეატრის ერთადერთი შენობა თბილისში დრამატული დასი, რომელიც ქართული თეატრალური ხელოვნების საუკეთესო ძალებისაგან შედგებოდა და ქართული სცენის მასაზრდოებელ წყაროდ ითვლებოდა, იძულებული გახდა მოხეტიალე ცხოვრება დაეწყო". ამასთან იმპერიალისტურმა ომმა თეატრის საქმიანობაც, ისე

როგორც სხვა დარგი ეროვნულ-კულტურული ცხოვრებისა, საერთოდ მოადუნა და გააფერმკრთალა.

ზემოაღნიშნულ სიძნელეთა მიუხედავად, თეატრი ქართველი ერის ინტელექტუალურ ცხოვრებაში კვლავ უდიდეს როლს ასრულებდა. ქართული სცენა რეაქციის წლებში შეძლებისდაგვარად ასახავდა ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ იდეალებს, ებრძოდა მანკიერ მხარეებს ქართული ცხოვრებისას, ნერგავდა დემოკრატიული თავისუფლების სულისკვეთებას, აღძრავდა იმედსა და რწმენას უკეთესი მომავლისათვის, ახალგაზრდობაში ეროვნული მეობისათვის ბრძოლის განწყობილებას აღვივებდა. ქართული თეატრალური ინტელიგენცია ამ ეტაპზეც ისევ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ავანგარდში იდგა.

დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქართული თეატრის მოღვაწეთა პირველი ყრილობა, რომელიც 1914 წ. ივნისში შედგა. ყრილობამ ქართული თეატრის მოღვაწეობისათვის დასახა მრავალი მნიშვნელოვანი ღონისძიება, მაგრამ იმპერიალისტური ომის დაწყებამ თეატრის მოღვაწეთა ჩანაფიქრის პრაქტიკული განხორციელება შეაფერხა.

თბილისის მოსახლეობაში უდიდეს კულტურულ-საგანმანათლებლო და რევოლუციურ-პროპაგანდისტულ საქმიანობას ეწეოდნენ თბილისის სახალხო თეატრები, სცენისმოყვარეთა წრეები. ავლაბრის სახალხო თეატრის სცენაზე, ზუბალაშვილის სახლში 1907—1914 წლებში სისტემატურად იდგმებოდა სპექტაკლები უპირატესად ქართველი დრამატურგებისა (ა. წერეთელი, ა. ცაგარელი, ვ. გუნია, ი. გომართელი, კ. მესხი, შ. დადიანი, დ. აწყურელი, პ. ირეთელი, ი.გედევანიშვილი). დრამატული წრეები, რომლებიც უპირატესად მუშა-ხელოსნებისაგან იყო შემდგარი, მუდამ სარგებლობდნენ გამოჩენილი ქართველი მსახიობების მხარდაჭერით[1]. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ მხრივ ნატო გაბუნიას, ლ. მესხიშვილის, კ. მესხის, ვალ. გუნიას, ელ. ჩერქეზიშვილის აქტიური მონაწილეობა. ეს თეატრები ქართველი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების ნაყოფიერი მზრუნველობის საგანს წარმოადგენდა. განსაკუთრებით აქტივობდნენ ამ მხრივ ა. ცაგარელი, ა. ფურცელაძე, ს. მგალობლიშვილი, შ. დადიახი, თ. სახოკია, ნ. ნაკაშიძე და სხვები. არაქსიანის, ვეტცელის, მურაშკოს სახალხო თეატრები, რომელთაც მასების რევოლუციური აღგზნების კარგი გამოცდები ჰქონდათ, სცენას მოხერხებულად იყენებდნენ რეაქციის შავბნელი რეჟიმის მხილებისათვის,

---

[1] თ ა მ ა რ გ ო მ ა რ თ ე ლ ი, სახალხო თეატრების ფარდასთან, 1976.

ხალხის რევოლუციური სულისკვეთების გასაღვივებლად, გამარჯვების რწმენის დანერგვისათვის. სპექტაკლების დროს ვრცელდებოდა რევოლუციური პროკლამაციები.

ავჭალის აუდიტორიის მხარდამხარ ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ ზუბალაშვილის სახალხო სახლის ქართული, რუსული და სომხური სცენიმოყვარეთა წრეები, რომლებიც სისტემატურად დგამდნენ სპექტაკლებს სცენის ნაცდელ ოსტატთა ხშირი მონაწილეობით. ზუბალაშვილის სახალხო სახლში 1910 წლის იანვრიდან 1911 წლის იანვრამდე 199 წარმოდგენა დაიდგა. აქედან 68 რუსულ, 33 ქართულ, 32 უკრაინულ, 10 ევროპულ ენებზე. გაიმართა რამდენიმე კონცერტი თბილისელი და მოწვეული თეატრალური და მუსიკალური ძალებით[1].

თეატრალური წრეები ხშირად მიემგზავრებოდნენ საგასტროლოდ თბილისის ახლო რაიონებში. მათ ყველგან დიდი აღტაცებით ხვდებოდნენ. მუშათა თეატრების სპექტაკლებს რეჟისორობდნენ ალ. წუწუნავა, მ. ქორელი, ალ. იმედაშვილი, ვ. აბაშიძე, ვ. გუნია და სხვები. აღსანიშნავია, რომ ამ სახალხო თეატრების სცენაზე აღიზარდა ქართული სცენის მრავალი პროფესიული ოსტატი.

ქართველ თეატრალურ ინტელიგენციას მჭიდრო შემოქმედებითი კავშირი ჰქონდა რუსეთის თეატრალურ კოლექტივებთან, განსაკუთრებით მოსკოვის მცირე თეატრთან, რომლის მხატვრული ხელმძღვანელი და წამყვანი მსახიობი იყო ალ. სუმბათაშვილ-იუჟინი. ალ. სუმბათაშვილის „ღალატი" დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო არა მარტო ქართულ, არამედ რუსულ დრამატურგიაში. რევოლუციის წლებში და რეაქციის სუსხის ვითარებაშიც იგი წარმატებით იდგმებოდა რუსულ სცენაზე, საქართველოში და მაყურებელში აღაგზნებდა საბრძოლო განწყობილებას. ქართველმა მსახიობებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ალ. სუმბათაშვილის იუბილეში, რომელიც 1908 წელს შედგა მოსკოვში. დიდ ზეიმზე, რომელიც რუსეთის რეალისტური თეატრალური კულტურის ჭეშმარიტ დღესასწაულად იქცა, წარმოდგენილი იყო ქართული დელეგაციები: საქართველოს თეატრალური საზოგადოების დელეგაციის მეთაურმა კოტე მესხმა მგზნებარე სიტყვით შინართა დიდ თანამეშამულეს: „შორეული საქართველო მხურვალედ ულოცავს თავის სახელოვან შვილს და უაღრესი მადლიერების გრძნობით მუხლს იდრეკს მის წინაშე... შენ განშორდი სამშობლოს, შენ, როგორც მსახიობმა, ღალატე მშობლიურ სცენას. როგორც

---

[1] გაზ. „სახალხო საქმე", 26 აპრილი 1911.

მწერალმა — წმობლიურ ენას, მაგრამ ჩვენ არ გაიცხავთ ამისათვის, რადგან შენი ღალატი „ღალატითვე“ გამოისყიდე... საქართველო ამაყობს იმით, რომ მისმა ერთ-ერთმა საუკეთესო შვილთაგანმა თავისი მდიდარი ნიჭი მიუძღვნა რუსეთის გულს — მოსკოვს“. — თქვა კ. მესხმა[1].

მცირე თეატრის გამოჩენილი მსახიობები მ. ერმოლოვა, ვ. ფედოტოვა, ა. იაბლოჩკინა, ა. ლენსკი, ე. ლეშოვსკაია, ე. ტურჩანინოვა, ო. პრავდინი, პ. სადოვსკი, ვ. როეოვა, მ. კლიმოვი, ნ. მუზილი, ს. კუზნეცოვი და სხვები ხშირად ჩამოდიოდნენ თბილისში და თბილისელ მაყურებელს ხიბლავდნენ თავიანთი მაღალი ხელოვნებით. 1916 წელს მაისში მცირე თეატრის გამოჩენილ მსახიობებთან ერთად თბილისს ეწვია ა. სუმბათაშვილ-იუჟინი. ეს გასტროლები თეატრალურ ზეიმად იქცა. იგი ამასთან, რუსი და ქართველი ინტელიგენციის ტრადიციული შემოქმედებითი თანამეგობრობის დიდი დემონსტრაციაც იყო. საზეიმო შეხვედრაზე, რომელიც დიდ დრამატურგსა და მსახიობს მოუწყო თბილისის ინტელიგენციამ, სუმბათაშვილმა აღელვებით განაცხადა, რომ „მთელი მისი არსება როგორც ფიზიკური, ასევე სულიერი აღსავსეა იმ განსაკუთრებული, სხვებისათვის ალბათ ძნელად შესამჩნევი თვისებებით, რითაც ჯერ კიდევ ბავშვობის დროს დაასაჩუქრა იგი დედა სამშობლომ... განა შეიძლება რომ ყოველივე ამის განცდის შემდეგ დრამატურგმა და მსახიობმა ვერ ითამაშოს? რასაც არ უნდა წერდეს ის, მისი მბრძანებელი ყოველთვის სამშობლოა, იგი კარნახობს მას ჰეშმარიტების გზას“[2].

მოსკოვის მცირე თეატრის გარდა საქართველოში ხშირად ჩამოდიოდნენ საგასტროლოდ თეატრალური კოლექტივები რუსეთის სხვადასხვა ქალაქებიდან (ძმები ადელგეიმები, ვ. კომისარჟევსკაია, პ. ორლენიევი, ლ. იავორსკაია, ვ. პეტიპა, ე. ჟიხარევა, ბ. ბორისოვი და სხვ.). რუსი და სხვა ეროვნების გამოჩენილი მწერლები, მუსიკოსები. საქართველოს შემოქმედებითი ინტელიგენცია მუდამ ღირსეულ შეხვედრას და მასპინძლობას უწევდა სტუმრებს და ყოველი ასეთი შეხვედრა იყო დემონსტრაცია იმ დიდი მეგობრობისა, რომელიც მუდამ ახასიათებდა ცარიზმის სუსხიან ვითარებაში ერთნაირი საბრძოლო სულისკვეთებით გამსჭვალულ დემოკრატიულ ინტელიგენციას როგორც რუსეთში, ისე საქართველოში.

---

[1] დ ა ვ ი თ ჩ ხ ი კ ვ ი შ ვ ი ლ ი, ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინი, 1976, გვ. 407.
[2] ი ბ ი ვ ე, გვ. 479.

* * *

1914 წელს დაწყებულმა იმპერიალისტურმა ომმა, უკიდურესობამდე გაამწვავა კლასობრივი და ეროვნული წინააღმდეგობანი ომის მონაწილე ყველა ქვეყანაში და განსაკუთრებით მრავალეროვანი რუსეთის იმპერიაში.

საომარი მოქმედება რუსეთში, როგორც ცნობილია, ომის პირველსავე წელს დაიწყო და მიმდინარეობდა სწორედ იმპერიის განაპირა-ნაციონალურ რაიონებში — პოლონეთში, ლიტვაში, ბელორუსიაში, უკრაინასა და ამიერკავკასიაში. ომში ცარიზმის შემდგომი ბედისთვის ამ რაიონების ხალხთა განწყობილებას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა და ცარიზმიც, რომელიც ადრე ამ ხალხების ეროვნული ჩაგვრის პოლიტიკას დიდი ინტენსიობით ახორციელებდა, იძულებული გახდა გაეცა დაპირებანი ეროვნული თვითმმართველობის გაძლიერების მიმართულებით. მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნიდან კადეტები და ოქტიაბრისტები ვარდისფრად ხატავდნენ „მთლიანი და განუყოფელი" რუსეთის მომავალს, მაგრამ წვრილბურჟუაზიული პარტიები განსაკუთრებით განაპირა-ნაციონალური რაიონებიდან გადაჭრით მოითხოვდნენ ეროვნული შეზღუდულობის შემსუბუქებას[1]. ჩანდა, რომ ბურჟუაზია მიისწრაფოდა, ხელთ ეგდო ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის სადავეები.

ამიერკავკასიაში ომის პირველივე დღეებიდანვე წვრილბურჟუაზიული და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების საქმიანობა დიდად გააქტიურდა. თურქეთის მთავრობის მიერ მოწყობილი სომეხთა გენოციდის შემდეგ, სომხეთის საკითხი საერთაშორისო ასპარეზზე ერთ-ერთი აქტიური გახდა. ამიერკავკასიის ქალაქებში, სადაც კი სომხური მოსახლეობა ცხოვრობდა, სასწრაფოდ ჩამოყალიბდა ნაციონალური კომიტეტები, ყალიბდებოდა სომხური დრუჟინები, რომელთა მთავარ დანიშნულებას წარმოადგენდა თურქეთის სომეხთა განთავისუფლება. დაშნაკები სომეხი ხალხის „ნაციონალური ინტერესების დაცვის" დემაგოგიური ლოზუნგით გამოდიოდნენ და ხელს უწყობდნენ ცარიზმს ამიერკავკასიის ხალხთა შორის სიძულვილისა და მტრობის გაღვივებაში. აგრესიული ნაციონალიზმის სულისკვეთებით იყო გამსჭვალული დაშნაკ ბ. იშხანიანის წიგნი „სომეხ-ქართველთა ანტაგონიზმის ეკონო-

---

[1] Государственная дума, Стенографический отчет. Созыв 4, сессия I, ч. I, СПБ, 1913.

მიკური და საზოგადოებრივი საფუძვლები", რომელიც 1914 წ. გამოიცა თბილისში და მისივე „კავკასიის ხალხები", გამოცემული 1916 წ. პეტროგრადში. თბილისის სომხური გაზეთების „მშაკის", „ჰორიზონის" ფურცლებზე დაშნაკმა პუბლიცისტებმა გააჩაღეს ცილისმწამებლური კომპანია ამიერკავკასიაში სომეხთა ვითომცდა ეროვნული შევიწროების შესახებ. ქართველებს ისინი ნაციონალისტურ ტენდენციებს აბრალებდნენ, ამასთან ეწეოდნენ პროპაგანდას საქართველოს რიგი პროვინციების სომეხთა ისტორიული კუთვნილების თაობაზე. განსაკუთრებით აქტიურობდა ამ მხრივ „ჰორიზონი", სადაც დაიბეჭდა გამომწვევი, აგრესიული ნაციონალისტური სულისკვეთებით გამსჭვალული სტატიების სერია დერუნცის ხელმოწერით. სომეხ ნაციონალისტთა ამ გამოწვევას აპყრა ქართველი ლიბერალური და დემოკრატიული ინტელიგენციის ერთი ნაწილი. გაზეთების „სახალხო ფურცლის" და „სამშობლოს" პუბლიცისტებმა სომხურ პრესას შეუტიეს და „სომეხ-ქართველთა ბრძოლა" საერთო ეროვნულ საკითხად გამოაცხადეს[1]. ცარიზმს აწყობდა ამიერკავკასიის ხალხთა ასეთი წაკიდება და ნაციონალისტურ შუღლს აღვივებდა ფარულად. ზოგი დაშნაკი მოღვაწე არ თაკილობდა კავშირს მეფის ოხრანკასთანაც კი. კავკასიის გუბერნატორთა 1914, 1915 წ. ანგარიშებში იგრძნობა კმაყოფილება დაშნაკური პარტიის საქმიანობის შეფასებაში. სომხურ დრუჟინებს შეიარაღებაში ცარიზმი გულუხვად აძლევდა სუბსიდიებს[2].

იმპერიალისტური ომის წლებში საქართველოში მომძლავრებულ წვრილბურჟუაზიული და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების საქმიანობაზე ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ბევრია დაწერილი[3] და დასაბუთებულია, რომ ამ პარტიათა თეორიები ომის ეროვნული ხასიათის, ომში ქართველი ხალხის ამოცანების შესახებ ეწინააღმდეგებოდა მუშათა კლასისა და გლეხობის გამათავისუფლებელი მოძრაობის ჭეშმარიტ ინტერესებს. ამიტომაც საჭიროდ აღარ მიგვაჩნია ამ პარტიე-

---

[1] იხ. „სახალხო ფურცელი", 1916 წლის ივლის-ოქტომბერი; გაზ. „სამშობლო" 1916 წლის ივლის-ოქტომბერი.

[2] საკ. სსრ ცსია, ფ. 2, საქ. № 3671. ფურც. 37.

[3] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VI, 1974, გვ. 359—366, საქ. კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, 1971, გვ. 335—358, ი რ. ა ხ ო ბ ა ძ ე. ეროვნული საკითხის ისტორიიდან საქართველოში (1900—1917 წწ.). 1965. გვ. 335—387. გ. ჯ ა ნ გ ვ ე ლ ა ძ ე. საქ. კომუნისტური პარტიის ბრძოლა ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიების იდეური და ორგანიზაციული განადგურებისათვის (1903—1923 წწ.). 1934, გვ. 111—125.

ბის იდეურ-პრაქტიკულ საქმიანობაზე შეჩერება. დემოკრატიული ინტელიგენციის გარკვეული ნაწილი ამ პარტიების ერთგვარ ზემოქმედებას უთუოდ განიცდიდა, რასაც თან ახლდა მათი ნაციონალისტურ მისწრაფებათა გაძლიერება. ადრე, პირველი რევოლუციების წლებში საქართველოს დემოკრატიული მასებისათვის ასეთი მისწრაფება, როგორც ზემოთ ვნახეთ, უცხო და მიუღებელი იყო.

დემოკრატიული ინტელიგენციის ძირითადი მასა, მისი ყველაზე ჯანსაღი ნაწილი, საბედნიეროდ, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების ამ სეპარატისტულ ფაცი-ფუცს არ აპყოლია და ინარჩუნებდა ხალხთა შორის სოლიდარობისა და ინტერნაციონალური ურთიერთობის იმ პრინციპებს, რომელსაც რევოლუციური სოციალ-დემოკრატია უწევდა პროპაგანდას. მრავალეროვან საქართველოში ომის წლებში ადგილი არ ჰქონია არაევითარ ეროვნულ ექსცესებს, მიუხედავად იმისა, რომ ცარიზმი და მისი დამქაში შოვინისტები ასეთ შუღლს ფარულად აქეზებდნენ.

შოვინისტურად განწყობილმა ელემენტებმა, მაგალითად რუსულ პრესაში განგაში ატეხეს კავკასიის ფრონტზე აჭარელი მოსახლეობის ვითომცდა თურქოფილური განწყობილების შესახებ. ეს იყო ბოროტი ცილისწამება. სინამდვილეში აჭარის მოსახლეობა რუსეთის არმიის მხარდამხარ იბრძოდა და გარკვეული წვლილი შეიტანა ენვერ ფაშას პან-თურქისტული გეგმების ჩაშლაში. განსაკუთრებით დიდი როლი ამ მხრივ შეასრულა აჭარის დემოკრატიულმა ინტელიგენციამ, რომელიც აჭარის მუსულმანური მოსახლეობის იმ გაუნათლებელ ფენებში, რომელსაც ისლამური რელიგიის ძალა თურქეთისკენ ეწეოდა, გააჩალა მიზანსწრაფული პროპაგანდა თურქული იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ეროვნულ პატრიოტული გრძნობების გაღვივებამ აჭარის მთელი მოსახლეობა ერთსულოვნად დარაზმა ეროვნულობის დასაცავად და გააუვნებადა ის მომწამვლელი შხამი, რომელსაც თურქეთის ნაციონალისტური წრეების აგენტები ანთხევდნენ. განსაკუთრებით დიდია ამ მხრივ აჭარის ჰეშმარიტი დემოკრატი განმანათლებლების ა. მიქელაძის, ჰაიდარ აბაშიძის, გულო კაიკაციშვილის, რეჯებ ნიჟარაძის, სახიფ-ეფენდი მეხეშიძის, სულეიმან დიასამიძის, ოსმან გურგენიძის, აბდულ მიქელაძის, ყედემ-აღა ზაქარიაძის და სხვათა დამსახურება.

იმპერიალისტური ომის წლებში, აჭარის ტერიტორიაზე საომარ მოქმედებათა გამო იქაური მოსახლეობა დიდად დაზარალდა. თურქმა დამპყრობლებმა დაარბიეს და გააჩანაგეს აჭარის რიგი სოფლები. მოსახლეობა დაიმშა. აჭარელ მოძმეთა დასახმარებლად დემოკრატიულმა

ინტელიგენციამ დიდი სამუშაო ჩაატარა. საქველმოქმედო საზოგადოების თაოსნობით მთელ საქართველოში დაიწყო თანხების შეგროვება. ამ საზოგადოების თაოსნობით 1915 წ. გამოდიოდა სპეციალური ალმანახი „ძმური სიტყვა" — „დაზარალებულ ქართველ მაჰმადიანთა სასარგებლოდ". ამ გამოცემის მთელი შემოსავალი დაზარალებულთა დახმარების ფონდში შედიოდა. ალმანახში მონაწილეობდნენ ცნობილი ქართველი მოღვაწეები. გაზეთების „სახალხო ფურცელის", „თანამედროვე აზრის", „სამშობლოს" ფურცლებზე გამოქვეყნებული წერილები აღსავსე იყო აჭარელი ძმებისადმი დახმარების, სამაჰმადიანო საქართველოს ბედისადმი ყველა ქართველში ეროვნული პასუხისმგებლობის გაძლიერების სულისკვეთებით. თურქეთის აგენტებს, რომელთაც თვით აჭარაში ხოჯა-ბეგების ძალზე მცირე ჯგუფი თანაუგრძნობდა, ომის წლებში წამოეშველნენ აზერბაიჯანელი მუსავატელები. მუსავატურ პრესაში იბეჭდებოდა წერილები იმის თაობაზე, რომ თითქოს მუსლიმან აჭარლებს დიდი ხანია არაფერი აქვთ საერთო ქართველობასთან, რომ ისინი არა მარტო რელიგიით, არამედ კულტურულ-ისტორიულად თურქეთთან არიან დაკავშირებულნი. აჭარის დემოკრატიულმა ინტელიგენციამ ერთდროულად აღიმაღლა ხმა ასეთი პროვოკაციების წინააღმდეგ და თურქეთის აზერბაიჯანელ დამქაშებს საკადრისი პასუხი გასცა. განსაკუთრებით დიდია ამ მხრივ ჰაიდარ აბაშიძის დამსახურება, რომლის მგზნებარე წერილებში მხილებული იყო პანისლამისტების— შემდეგში სედან მილეთის — მოციქულთა მაქინაციები[1].

იმპერიალისტური ომის წლებში თურქეთის აგენტები ცდილობდნენ სეპარატიზმისაკენ აგრეთვე აფხაზი ხალხის წაქეზებას. თავის მხრივ აქტიურობდნენ შოვინისტურად განწყობილი რუსული კლერიკალური წრეები, რომელთაც სურდათ აფხაზეთის საქართველოდან გათიშვა და ყუბანის ოლქისათვის მიერთება. ეს კამპანია რეაქციის მოციქულებმა ჯერ კიდევ გოლიცინის პერიოდიდან დაიწყეს. მაშინ მთავარმართებელი გოლიცინი და ეგზარხოსი ალექსი სინოდის ობერ-პროკურორს ურჩევდნენ: „სოხუმის ეპარქია მისი ჭარბი აბხაზ და რუს მოსახლეობით სასურველი იქნება გავაცალკევოთ უკიდურესად არასასურველ ქართულ გავლენისაგან. ამ მიზნისათვისო — წერდნენ ისინი, — მეტად სასარგებლო იქნებოდა სოხუმის ეპარქიის ყუბანისათვის შეერთება. ყუბანის მხარე ითვლის 1.716.245 სულს წმიდა რუსულ მართლმადიდებლურ მოსახლეობას. ამ მასაში ადვილად გაითქვიფება შავი ზღვის

---

[1] ჰაიდარ აბაშიძე, წერილები, 1960.

სანაპიროს 100.000 მრავალენიანი მოსახლეობაა[1]. შორსგამიზნული განზრახვით ცარიზმი შავი ზღვის სანაპიროებზე ასახლებდა რუს კოლონისტებს. ამასთან ყველა საშუალებით ებრძოდა აფხაზი და ქართველი ხალხების ძმური ერთიანობისათვის მებრძოლ დემოკრატიულ წრეებს. პირველი რევოლუციის წლებში რეაქციის მოციქულები სოროში შეიმალნენ, მაგრამ რეაქციისა და პირველი იმპერიალისტური ომის წლებში მათ ისევ წამოპყრეს თავი, რათა ქართველი ხალხი მათი ისტორიული თანამოძმეებისაგან გაეთიშათ.

რეაქციონერთა ცდები ამ მიმართულებით ვერავითარ წარმატებას ვერ აღწევდა. საქართველოს და აფხაზეთის დემოკრატიული ინტელიგენცია აქტიურად მოღვაწეობდა ქართველი და აფხაზი ხალხების ძმური ერთიანობის განმტკიცებისათვის. ყველაზე ქმედითი ამ მიმართულებით იყო აფხაზეთის ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელების ნ. ლაკობა, ე. ეწბას, დ. კობახიას, ბ. აგრბას, სახალხო მასწავლებლის ა. ლოგუას, პ. ძიგუას, ს. ქარდავას, ი. ჩამალუას, პ. გეგელიას, პედაგოგ ა. ჩოჩუას და სხვათა საქმიანობა. რომლებიც აფხაზეთის მშრომელებში აღვიეებდნენ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში ყველა მშრომელის ინტერნაციონალური სოლიდარობის სულისკვეთებას. აფხაზეთის დემოკრატული ინტელიგენცია დ. გულიას მეთაურობით სათაეეში ედგა იმ მრავალფეროვან ეროვნულ-კულტურულ ღონისძიებებს, რომლებიც დიდად უწყობდნენ ხელს აფხაზი და ქართველი ხალხების შემდგომ დაახლოებას. ამ ღონისძიებათა გატარებაში თავის მხრივ აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს შემოქმედებითი ინტელიგენცია. მრავალ სასიკეთო თაოსნობას იჩენდნენ საქველმოქმედო ნებაყოფლობითი საზოგადოებანი.

1916 წლის აპრილის ბოლო რიცხვებში თბილისს ეწვია და მეფისნაცვალს წარუდგა აფხაზეთის დეპუტაცია, რომელშიც შედიოდნენ აფხაზეთის ინტელიგენციისა და გლეხობის წარმომადგენლები მ. შერვაშიძე, ა. შერვაშიძე, მ. ემხუარი. ა. ინალიპა, პ. ანჩაბაძე, ბ. ეზუხბაია, ა. ჩუკბარი და სხვები, რომლებმაც საგანგებო მოთხოვნები წარუდგინეს კავკასიის ხელისუფლებას მთელი აფხაზი ხალხის სახელით.

მოთხოვნები ითვალისწინებდნენ აფხაზეთისადმი მთავრობის უყურადღების გამახვილებას, სოხუმის კეთილმოწყობას, აქაური სკოლების ქსელის გაფართოებას, ახალი გზების გაყვანას და ძველის კეთილმოწყობას, სკოლებში სწავლების დამკვიდრებას ქართულ და აფხაზურ

---

[1] თ ე დ ო ს ა ხ ო კ ი ა, კრებული, 1969, გვ. 65.

ენებზე. — „სოხუმის ოლქი გამოყოფილ იქნეს ცალკე გუბერნიად და არავითარ შემთხვევაში არ იქნეს მიწერილი სხვა, უცხო გუბერნიასთან (მაგ. შავი ზღვისა). თუ შეუძლებელია ცალკე გუბერნიად სოხუმის ოლქის გარდაქმნა და იგი რომელიმე გუბერნიას უნდა შეუერთდეს, იმ შემთხვევაში სოხუმის ოლქი შეერთებული უნდა იქნეს ქუთაისის გუბერნიასთან. სუხუმის ეპარქია, რადგან ის მთელი თავისი წარსულით და აწმყოთი შესისხლხორცებულია საქართველოს ეკლესიასთან, არას გზით არ უნდა იქნეს გამოყოფილი საქართველოს საეკლესიარხოსოდან", — ნათქვამია ამ მოთხოვნებში. როგორც ვხედავთ, დეპუტაციის მოთხოვნები უპირისპირდებოდა რუსული კოლონიზატორული წრეებისა და ნაციონალისტურად განწყობილი ინტელიგენციის ცალკეული ჯგუფების მისწრაფებებს და ხაზს უსვამდა აფხაზი და ქართველი ხალხების განუყოფლობის აუცილებლობას.

დეპუტაციას დიდი ყურადღებით მოუსმინა მეფისნაცვალმა და აღუთქვა მას ყოველმხრივ დახმარება.

დეპუტაციის ჩამოსვლას თბილისში გამოეხმაურა ქართველი ინტელიგენცია. დეპუტაციის წევრები მიწვეული იყვნენ ქართველ საქველმოქმედო საზოგადოებათა მიერ. ქართულ პრესაში გამოქვეყნდა დეპუტაციის ჩამოსვლის ცნობა, მათი მოთხოვნების შინაარსი, დეპუტაციის ზოგიერთ წევრთა სურათები[1].

ქართველი საზოგადოებრიობა მიესალმებოდა აფხაზი ხალხის ეროვნული თვითშეგნების განვითარებას, გმობდა ქართველი და აფხაზი ხალხების გამთიშველურ მისწრაფებებს, რასაც რეაქციულად განწყობილი ელემენტები თეზდნენ.

ომის წლებში საქართველოს ებრაულ მოსახლეობაში რუსი და ებრაელი ნაციონალისტების წაქეზებით დაიწყო სიონიზმის პროპაგანდა. ეს არ დარჩენილა ქართველი დემოკრატიული ინტელიგენციის ყურადღების გარეშე და ქართველ ებრაელთა ისტორიული ბედ-იღბლის გარკვევას პრესაში რამდენიმე სტატია მიეძღვნა. საკითხს ქართველი ებრაელი ინტელიგენციაც გამოეხმაურა. ონის რაბინი ბააზოვი თავის სტატიებში ერთგულად იცავდა ებრაელთა სარწმუნოებრივ ფანატიზმს ებრაელთა ეროვნულ-კულტურულ ორგანიზაციაში და ასაბუთებდა ქართველი ეროვნული სხეულისათვის ებრაული ეთნოსის უცხოურობას. ბააზოვის ეს სტატიები ობიექტურად ებრაელებსა და ქართველებს ეროვნული შეღლის გაღვივებისაკენ უბიძგებდა.

---

[1] გაზ. „თეატრი და ცხოვრება", № 23, 1916.

ბაზოვის წინააღმდეგ გამოვიდა მ. ხანანაშვილი, რომელმაც სტატიების სერიაში დიდძალი ფაქტიური მასალების მოტანით დაასაბუთა ქართველთა და საქართველოში მოსახლე ებრაელთა ისტორიულ-კულტურული ერთობა და ქართველ ებრაელთა ჭეშმარიტ სამშობლოდ საქართველო, ხოლო განუყოფელ ძმად ქართველი ხალხი გამოაცხადა. „ვერ დაგისახელებთ დედამიწის ზურგზე ვერც ერთ ჩვენს მერჯულეს, ჩვენისთანა შესამჩნევ, განსაკუთრებულ კეთილ პირობებში მყოფთ, — წერდა მ. ხანანაშვილი, — ორი ათასი წელიწადია და მეტიც, რაც ჩვენ ძოვსულვართ, ამ მადლიან მხარეს, მოსახლეობა არ გამოგვიცვლია, აქ განმტკიცებულვართ, დავმკვიდრებულვართ (ოფიციალურ და ადმინისტრაციულ დაწესებულებებშიაც „საქართველოს მკვიდრი" ან „ქართველ ებრაელად" ვიწოდებით) შეგვისისხლხორცებია მისი დალოცვილი ბუნება, გვისარგებლია მისი უხვი წყალობა, სიქველე და სათნოება. ყველა ეს კარგად შეგვიგნია და განა ამისათვის არაა რომ ვიძახდით: რჯული ხელს არ გვიშლის, ჩვენი მამულის სიყვარულით ვაღიარებთ ჩვენს თავს „პაპაზე მეტ კათოლიკედ". ვიყვეთ საქართველოს ჭეშმარიტი პატრიოტები, ვემსახურებოდეთ ერთგულად, თავდადებულად სამშობლოს ინტერესებს!... „პაპაზე მეტ კათოლიკობას ან „ზოგიერთ" ქართველზე მეტ ქართველობას მისთვის ვამბობთ, რომ ვფიქრობთ, ჩვენი მამები თავისი შეუგნებლობის გამო, ფანატიკოსობით, თუ ცარიელ ვაჭრობაში ჩაფლულობის გამო, ვერ გადაუხდიდნენ წმინდა ვალს თავგანწირული სამსახურით საყვარელ საქართველოს"[1]. ხანანაშვილის წერილების სერიის ლეიტმოტივი ქართველ-ებრაელთა ძმური სოლიდარობის განმტკიცების კეთილშობილურ საქმეს ემსახურებოდა. გაუხათლებელ ებრაელ მოსახლეობას იგი შთააგონებდა, რომ „დედა ენა ჩვენი ქართულია და სამშობლო საქართველოა"[2]. ქართული და ქართველი ებრაელი დემოკრატიული ინტელიგენციის სწორმა პოზიციამ და მიზანსწრაფულმა პროპაგანდამ სიონიზმის წარმატებას გზა დაუხშო. საქართველოში ადგილი არ ჰქონია ქართველთა და ებრაელთა ურთიერთობის გამწვავების არც ერთ შემთხვევას.

ომის წლებში გრძელდებოდა ქართველი დემოკრატიული ინტელიგენციის შემოქმედებითი კავშირი და მჭიდრო თანამშრომლობა რუსეთის დემოკრატიულ ინტელიგენციასთან. ბურჟუაზიულ ნაციონალისტური პარტიების სეპარატისტულ განწყობილებას ეს ძმური ურთიერ-

---

[1] გაზ. „სახალხო ფურცელი", № 709, 1916.
[2] გაზ. „სახალხო ფურცელი", № 690, 1916.

ობა ოდნავადაც არ შეუნელებია. რუსეთის დემოკრატიული ინტელიგენცია მუდამ იჩენდა ზრუნვას საქართველოს მიმართ და გმობდა მთავრობის რეაქციულ კოლონიურ პოლიტიკას. რუსეთის შემოქმედებითი ძალები ხშირად ჩამოდიოდნენ საქართველოში და აქტიურად მონაწილეობდნენ კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებში. 1916 წლის შემოდგომაზე საქართველოს ეწვივნენ გამოჩენილი რუსი მწერლები ა. კუპრინი, ლ. ანდრეევი, ვ. ბრიუსოვი, კ. ბალმონტი, ი. სევერიანინი და სხვები. თბილისში მათ წაიკითხეს ლექციები რუსეთის ლიტერატურული ცხოვრების შესახებ. ქართველი მწერლები ღირსეულ მასპინძლობას უწევდნენ ძვირფას სტუმრებს. ასეთი შეხვედრები ქართველი დემოკრატიული მწერლების შემოქმედებით ფორმირებას დიდად უწყობდა ხელს. სისტემატურად ეწყობოდა თბილისში რუსეთის გამოჩენილი თეატრალური და მუსიკალური ძალების კონცერტები. რუსი და ქართველი ხალხების დაახლოების, ქართული კულტურის რუსეთის ინტელიგენციის წრეებში პროპაგანდის მხრივ ბევრს აკეთებდა რუსეთის უნივერსიტეტებში მოსწავლე ქართველი სტუდენტობა. ქართველ სტუდენტთა სათვისტომოები პეტროგრადის, მოსკოვის, ოდესის, ხარკოვის, კიევის, იურიევის უნივერსიტეტებში წარმოადგენდნენ ქართული კულტურის პატარა კერებს, რომლის გაღვივებაში რუსეთის უმაღლესი სასწავლებლების პროფესურა და სტუდენტობა მონაწილეობდა.

სავსებით ნორმალური გზით მიმდინარეობდა და ვითარდებოდა ქართველი და სომეხი დემოკრატიული ინტელიგენციის ურთიერთობა და თანამშრომლობა. დაშნაკებისა და სოციალისტ-ფედერალისტების, ეროვნული დემოკრატების, გნჩაკისტების გაცხარებული პოლემიკა არსებითად პუბლიცისტურ ვარჯიშად რჩებოდა და ვერ აყენებდა შესამჩნევ ზიანს იმ ძმურ ურთიერთობას, რაც ხანგრძლივი ისტორიული ცხოვრების მანძილზე საქართველოსა და სომხებს შეუმუშავდათ. ქართველი დემოკრატიული ინტელიგენცია მწვავედ განიცდიდა სომეხთა მძიმე ხვედრს და აქტიურად მონაწილეობდა თურქეთიდან ლტოლვილი სომხების ოჯახთა დაბინავებასა და დაპურებაში. ყველა დიდი შემოქმედებითი ღონისძიება თბილისში ქართველთა და სომეხთა ერთობლივი ძალებით მიმდინარეობდა. თბილისი იყო ყველაზე მსხვილი ცენტრი რევოლუციამდელი სომხური კულტურისა. აქ გამოდიოდა სომხური გაზეთები, არსებობდა სომხური დრამატული, სამუსიკო საზოგადოებანი, სკოლები, მრავალი ეროვნულ-საქველმოქმედო საზოგადოებანი და კომიტეტები, რომელთა პრაქტიკული საქმიანობის წარმოებას დიდად უწყობდა ხელს ქართველი ინტელიგენცია.

სომხური ინტელიგენცია მიესალმებოდა და მხარს უჭერდა ქართველი ინტელიგენციის პატრიოტულ-კულტურულ თაოსნობებს, სიხარულით ეხმარებოდა ყოველ ახალ წამოწყებას კულტურულ-საგანმანათლებლო საქმეში, თავის გულწრფელ მწუხარებას გამოთქვამდა ქართველი ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენელთა გარდაცვალების გამო. თბილისის სომხური ინტელიგენცია მასობრივად, მთელი გულისტკივილით მონაწილეობდა ილიას, იაკობის, აკაკის, ვაჟას, დატირებაში.

სომხური გაზეთები „შმაკი", „ჰორიზონი", „გალაფარი" და სხვები სისტემატურად ათავსებდნენ მასალებს ქართველ მწერალთა შემოქმედებაზე, ბეჭდავდნენ ქართული ლიტერატურის ნიმუშებს. 1916 წ. გაზ. „გალაფარის" (აზრი) დეკემბრის ნომრებში დაიბეჭდა ჰუსიკ გნთუნის ვრცელი ფელეტონები ქართველ მწერალთა ლიტერატურულ-საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე[1].

ის ინტერნაციონალისტური სულისკვეთება, რომელიც მრავალეროვან საქართველოში სუფევდა იმპერიალისტური ომის მთელ მანძილზე, შედეგი იყო ამიერკავკასიის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების თავდადებული და თანამიმდევრული ხანგრძლივი საქმიანობისა. რევოლიციური სოციალ-დემოკრატია წლების მანძილზე ამიერკავკასიის მშრომელ მასებს საერთო ინტერესების შეგნებისა და ძმური სიყვარულის სულისკვეთებით ზრდიდა.

საქართველოს ბოლშევიკები, ომის წლებში მთავრობის მხრივ სასტიკი რეპრესიების მიუხედავად, ახერხებდნენ პრაქტიკული რევოლუციური მოღვაწეობის გაჩაღებას და ომისა და რევოლუციის საკითხებზე ლენინური პოზიციის დაცვასა და ფართე პროპაგანდას.

ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების იდეურ-ორგანიზაციულ საქმიანობაში, ომის ვითარებაში წინწამოწეული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტაში დიდი როლი შეასრულა ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანზაციების წარმომადგენელთა თათბირმა, რომელიც 1915 წ. ოქტომბერში გაიმართა ქ. ბაქოში. ამ თათბირზე საქართველოდან თბილისისა და ქუთაისის საგუბერნიოს პარტიული ორგანიზაციების დელეგატები მონაწილეობდნენ. თათბირი ომისა და შიმდინარე მომენტის, ეროვნული საკითხის, ამიერკავკასიის ერთა შორის ურთიერთდამოკიდებულების განსაზღვრას შეეხებოდა. თითოეულ საკითხ-

---

1 პრაჩია ბაირამიანი, ილია ჭავჭავაძე და რევოლუციამდელი სომხური პრესა, „მნათობი". № 4, 1974, გვ. 145.

ზე თათბირმა მიიღო რეზოლუცია. რომელიც შეიცავდა სამოქმედო საზს ომისა და რევოლუციის ვითარებაში.

ეროვნულ საკითხში თათბირის მიერ ერთხმად მოწონებული რეზოლუცია გამომდინარეობდა რა ბოლშევიკური პარტიის ეროვნული პროგრამიდან, აღიარებდა ერთა თვითგამორკვევის პრინციპს, სახელმწიფოებრივ გამოყოფამდე. მაგრამ მიმდინარე მომენტისათვის ხაზს უსვამდა რუ'ეთის იმპერიის მშრომელი კლასების ერთობლივი ბრძოლის აუცილებლობას, რადგან სწორედ ასეთ ბრძოლას უნდა გადაეწყვიტა რუსეთში ცარიზმის დამხობისა და სოციალისტური რევოლუციის განხორციელების ძირითადი საბრძოლო ამოცანა[1].

ამიერკავკასიის ერთა ურთიერთდამოკიდებულების საკითხზე შემუშავებული რეზოლუცია ზუსტ დახასიათებას აძლევდა ამიერკავკასიის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ და წვრილბურჟუაზიულ პარტიებს, ააშკარავებდა მათ როლს ცარიზმის სამსახურის საქმეში. რეზოლუცია გმობდა ნაციონალიზმისა და სეპარატიზმის ყოველგვარ ტენდენციას, რაც ამ პარტიების პროგრამას და პრაქტიკულ საქმიანობას ახასიათებდა და სახავდა პროგრამას შემდგომი მოქმედებისათვის. „...უნდა მოვუწოდოთ მუშებისა და კავკასიის მოსახლეობის ფართო მასებს არ წამოეგონ გაბატონებული კლასების და ნაციონალისტური პარტიების პროვოკაციის ანკესზე და ახსოვდეთ, რომ ყველა ეროვნების დემოკრატიის ძმური ერთიანობა არის მათი გამარჯვების განხორციელების საწინდარი, და რომ პირიქით, ნაციონალური მტრობის შემდგომ გაძლიერებას შეუძლია კავკასია სისხლიანი ნაციონალური შეტაკებების ასპარეზად გადააქციოს"[2], — ნათქვამი იყო რეზოლუციაში.

საქართველოს ბოლშევიკებმა დიდი მუშაობა გაწიეს ომის ვითარებაში დემოკრატიული ინტელიგენციის სწორი ორიენტაციისათვის. ომი!ა და რევოლუციის საკითხებზე ინტელიგენციის რიგებში ბოლშევიკები ხშირად აწყობდნენ დისკუსიებს, ლექციებს სახალხო უნივერსიტეტსა და ავჭალის აუდიტორიაში. ბოლშევიკები ენერგიულ პროპაგანდისტულ საქმიანობას ეწეოდნენ კავკასიის არმიაში. ამ მოღვაწეობის ორგანიზატორები და ხელმძღვანელები იყვნენ ა. ჯაფარიძე, ფ. მახარაძე, ს. ქავთარაძე, პ. არველაძე და სხვები.

ბოლშევიკი პროპაგანდისტების სისტემატურ მუშაობას დემოკრატი-

---

1 მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტ. საქართ. ფილიალის არქივი, ფ. 2, საქართ. 57, ფურც. 67--89.

2 ნლისფპა, ფ. 2. საქ. № 57, ფურც. 87—89.

ული ინტელიგენციის რიგებში თვალსაჩინო შედეგები ჰქონდა. ეს ინტელიგენცია, როგორც ვთქვით, არ აპყოლია ნაციონალისტურ-სეპარატისტულ მისწრაფებებს. მან არსებითად გაიზიარა ომის ლენინური პოზიცია. მნიშვნელოვან დოკუმენტს ამ მხრივ წარმოადგენს პეტროგრადის უმაღლეს სასწავლებელთა ქართველი სტუდენტების საერთო კრების რეზოლუცია, რომელიც შემდეგ პროკლამაცია-მოწოდებით დაეგზავნათ საქართველოს დემოკრატიული ძალების შემოქმედებით ორგანიზაციებს, ეროვნულ კულტურულ დაწესებულებებს, მასწავლებლობას[1].

ეს პროკლამაცია მარქსისტული პოზიციიდან აყალიბებდა ომში ქართველი ხალხის ამოცანას: „მოდური ლაპარაკი ამა თუ იმ ორიენტაციაზე უპრინციპო ადამიანთა თამაშია. ქართველი მარქსისტები ქართველი ხალხის პერსპექტივას ვერ დაუკავშირებენ თურქეთის სახელმწიფოს მხარდაჭერას, რომლის მთავრობას თვით თურქი ხალხი უსიტყვო მონობასა და მორჩილებაში ჰყავს მოქცეული. რუსეთის ეროვნებები, მუშათა კლასი თავისუფლებას ვერ მოიპოვებს ვერც რუსული, ვერც გერმანული, ანდა სხვა ნებისმიერი მთავრობის ხელში. ჩვენი ქვეყნის თავისუფლების საქმე — რუსეთის პროლეტარიატისა და მთელი ჩვენი მოწინავე დემოკრატიის საქმეა, — ნათქვამი იყო ამ პროკლამაციაში"[2].

დემოკრატიული ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები წინ აღუდგნენ ხალხთა შორის შუღლის გაღვივების იმ პოლიტიკას, რასაც აძიერკავკასიის ნაციონალისტები ატარებდნენ. ისიი დიდ მუშაობას ეწეოდნენ მასებში ინტერნაციონალისტურ-სოლიდარული სულისკვეთების გაღვივებისათვის. ამ კეთილშობილურ საქმეებში თვალსაჩინო როლს ასრულებდნენ სახალხო უნივერსიტეტები, ზუბალიშვილის სახალხო სახლი, ავჭალის აუდიტორია და სხვ. ცნობილმა დემოკრატმა საზოგადო მოღვაწემ ილია ნაკაშიძემ 1916 წ. თბილისის, ქუთაისის, ბათუმის სახალხო უნივერსიტეტებში წაიკითხა ლექციების ციკლი ეროვნულ საკითხზე. დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო ცნობილი საზოგადოებრივი ნიკო ნიკოლაძის ლექციები რუსეთთან საქართველოს შეერთების პროგრესულობაზე. ამ ლექციებში ისინი ხალხთა თანასწორუფლებიანობის, მეგობრობის, რეაქციული ძალების წინააღმდეგ გაერთიანებული ბრძოლის იდეებს ატარებდნენ. ნაციონალისტების ბანაკში

---

[1] საკ. სსრ ცსია, ფ. 12, საქ. № 35—85, ფურც. 6.

[2] იქვე, ფურც. 10.

ღრიანცელი ატეხეს, რომ ილია ნაკაშიძე ქართველი ერის ინტერესებს ღალატობს, მის ეროვნულ მისწრაფებებს აფუჩეჩებს და ეროვნულ საკითხში ბოლშევიკ ფ. მახარაძის დებულებებს იზიარებსო. ეს ტენდენციური რეცენზიები გაზ. „სახალხო ფურცელში" გამოაქვეყნა თ. ღლონტმა. ილია ნაკაშიძემ ღირსეული პასუხი გასცა ნაციონალისტებს და კვლავ განმარტა მისი ჰუმანური, დემოკრატიული პოზიცია ომისა და ეროვნებათა მოწყობის საკითხში"[1].

ომის წლებში დემოკრატიული ინტელიგენციის ფართო ნაწილი აიყოლია ე. წ. საერობო მოძრაობამ. როგორც ცნობილია, რუსეთის იმპერიის განაპირა ნაციონალურ რაიონებში თანდათან ძლიერდებოდა საერობო მოძრაობა. მეტროპოლის ბურჟუაზიული დემოკრატია უკმაყოფილო იყო რა 1890 წ. საერობო დებულებისა, ამ დაწესებულების შეტ გადემოკრატიულებასა და მისი ფუნქციების გაფართოებას მოითხოვდა. ერობანი საერთოდ არ არსებობდნენ რუსეთის იმპერიის რიგ განაპირა-ნაციონალურ რაიონებში, მათ შორის კავკასიაშიც. კავკასიის დემოკრატიული ძალები მთავრობისაგან ერობების გახსნას მოითხოვდნენ. საერობო მოძრაობა თანდათან ფართო ხასიათს ღებულობდა.

ომის წლებში ცარიზმს გაუჭირდა, მას დასჭირდა ადგილობრივი ბურჟუაზიის მხარდაჭერა, რაც მის გულისმოგებასაც ავალდებულებდა. სათათბიროს ტრიბუნიდან გაისმა ხმები განაპირა რაიონებისათვის ზოგიერთი დათმობების გაღების, მათ შორის მათთვის ერობების მიცემის შესახებ. დღის წესრიგში დაისვა აგრეთვე რუსეთის საერობო დებულების შეცვლა, მისი გადემოკრატიულება.

ვორონცოვ-დაშკოვის ნაცვლად მეფისნაცვლის პოსტზე დანიშნულმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ 1916 წ. ივნისში გაატარა ამიერკავკასიის სოფლებში მმართველობის ახალი რეფორმა, რომელიც თითქოს საერობო რეფორმის მსგავს ღონისძიებას წარმოადგენდა და ქმნიდა პერსპექტივებს სოფლის მმართველ ორგანოებში დემოკრატიული ძალების მონაწილეობისათვის. რეფორმამ არსებითად ვერ შეცვალა წოდებრივი პრინციპი სოფლის მმართველობაში. სოფელი ისევ ცარიზმის დანიშნულ მოხელეთა თვითნებობის მსხვერპლი დარჩა.

1916 წლის საერობო მოძრაობას კავკასიის მმართველობამ თვით მისცა გასაქანი. აპრილში ერობის საკითხზე მოწვეულ იქნა სამხარეო თათბირი. პლენარულ სხდომებზე და სექციებზე ხანგრძლივი კამათი მიმდინარეობდა იმის თაობაზე, თუ რომელი დებულება დაედოთ სა-

---

[1] გაზ. „სახალხო ფურცელი", № 705, 711, 1916.

ფუძვლად ერობისათვის კავკასიაში. თავადაზნაურული წრეები 1890 წ. დებულებას უპერდნენ მხარს. დემოკრატიულ ძალებს 1890 წლის დებულება აღარ აკმაყოფილებდათ და აყენებდნენ საკითხს საერობო დებულების საიმპერიო მასშტაბით გადასინჯვის შესახებ.ამ საკითხის თაობაზე კავკასიის რუსულ, ქართულ, სომხურ პრესაში დიდი დისკუსია გაიშალა, რაშიც დემოკრატიული ინტელიგენცია ფართოდ მონაწილეობდა. 1916 წ. შემოდგომაზე თბილისში ჩამოვიდა IV სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი ვ. რევესკი, რომელიც საგანგებოდ შეუდგა ერობის საქმის ვითარების შესწავლას. მან პირადად მოიარა საქართველოს და ამიერკავკასიის რიგი მაზრებისა, სადაც ერობის საკითხზე შეკრებებს ატარებდა. ასეთი ხასიათის შეკრებანი მოხდა თბილისშიც. რევესკიმ შეაგროვა დიდძალი მასალა და შეამზადა კიდეც კონკრეტული მოსაზრება სათათბიროსთვის მოსახსენებლად. რევესკის შეკრებებმა ისევ აამოძრავა საზოგადოებრიობა, პრესაში ისევ გაცხოველდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა. მაგრამ ამაოდ: ცარიზმის კავკასიელი მოხელეები განგებ აგვიანებდნენ პროექტის შემზადებას კავკასიის ერობის თაობაზე. დემოკრატიული ძალები მთავრობის ამ გულგრილობას მძიმედ განიცდიდნენ და ამხელდნენ კიდეც რეაქციის ძალებს საერობო მოძრაობის ჩაშლაში. „ერობის შემოღების საქმე ნამდვილ ერობის ჯვარცმად გადაიქცაო", — შენიშნავდა „სახალხო ფურცელი"[1].

კავკასიის ხელისუფლებამ ისე გააჭიანურა საერობო პროექტის მთავრობაში შეტანა, რომ ცარიზმის აღსასრულს ვეღარც მიუსწრო, ამრიგად, საერობო მოძრაობა, რომელმაც დემოკრატიული ინტელიგენცია აიყოლია, საბოლოოდ არარაობა გამოდგა. სანაცვლოდ, ახალი წლიდან დემოკრატიის ძალებს მუშათა კლასის მეთაურობით ნამდვილად მოელოდა ეპოქალური მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტა.

ქართველი დემოკრატიული ინტელიგენცია სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლის პერიოდში (1917—1921 წწ.).

1917 წ. თებერვალში რუსეთში განხორციელდა დიდი მასშტაბისა და მნიშვნელობის რევოლუცია, რომელმაც დაამხო ცარიზმი და ხელისუფლება გადასცა არა მარტო ბურჟუაზიას, არამედ მჭიდროდ მივიდა მუშათა კლასისა და გლეხობის რევოლუციურ დიქტატურამდე. ამ რევოლუციის ეპოქალური მნიშვნელობა განისაზღვრება იმით, რომ მან

[1] გაზ. „სახალხო ფურცელი", № 673, 1961.

მეფის რუსეთი — ფეოდალურ-ბურჟუაზიული ყოვლისშემძლეობის, აუტანელი სოციალური და ეროვნული ჩაგვრის, პოლიტიკური დესპოტიზმის იმპერია — ერთი დაკვრით გადააქცია იმ დროის ყველაზე თავისუფალ ქვეყნად მთელ მსოფლიოში. ამ რევოლუციას ვ. ი. ლენინი „ხალხურს," რუსი ხალხის „თავბრუდამხვევ" წარმატებას უწოდებდა. მან სულ რაღაც ერთ კვირაში განახორციელა კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე სწრაფი ნახტომი აბსოლუტიზმიდან დემოკრატიისაკენ.

ყოველი რევოლუციის ხასიათი განისაზღვრება იმ ამოცანების ობიექტური შინაარსით, რომელთა გადაწყვეტაც მას მიზნად აქვს დასახული. თებერვლის რევოლუციის მთავარ მიზანს წარმოადგენდა რუსეთის ბურჟუაზიული გარდაქმნა. ამდენად, თავისი სოციალურ-პოლიტიკური შინაარსით იგი ბურჟუაზიული ტიპის რევოლუცია იყო. მაგრამ რევოლუციის კონკრეტული სოციალური შინაარსის ყოველმხრივი ახსნისათვის აუცილებელი ხდება ბევრი სხვა მომენტის გათვალისწინებაც: პირველ რიგში იმისა, თუ რა კონკრეტულ ისტორიულ ეპოქაში განხორციელდა იგი და მეორე — როგორი იყო მასში ხალხთა მონაწილეობის დონე და ხასიათი.

1917 წ. თებერვლისა და 1905—1907 წ. რევოლუციები ერთსა და იმავე ისტორიულ ეპოქაში, კაპიტალიზმის ლპობის, მის მონოპოლისტურ სტადიაში მოხდა. ის ამოცანები, რომელიც 1917 წ. თებერვლის რევოლუციამ გადაჭრა, ჯერ კიდევ პირველი რევოლუციის წინაშე იდგა. ერთიც და მეორეც დაგვიანებული ტიპის ბურჟუაზიული რევოლუცია იყო. მაგრამ იმის გამო, რომ ამ რევოლუციებში პროლეტარიატი და გლეხობა, მათთან ერთად მთელი დემოკრატიული მასა, არა მარტო აქტიურად მონაწილეობდნენ, არამედ წამყვან ძალებს წარმოადგენდნენ, ამდენად, ამ რევოლუციებს დემოკრატიული, სახალხო ხასიათი ჰქონდათ.

1917 წ. თებერვლის რევოლუცია 1905—1907 წ. რევოლუციიდან განსხვავდებოდა სულ ცოტა მაინც ორი ფაქტორით: 1. 1917 წ. რევოლუცია განხორციელდა რუსეთში კაპიტალიზმის განვითარების შედარებით მაღალ საფეხურზე, რაც რევოლუციის მომხრე, თუ მოწინააღმდეგე კლასობრივი ძალების მეტი სიმწიფის განმაპირობებელი იყო. 2. 1917 წლისათვის რევოლუციურ-დემოკრატიულ ძალებს რევოლუციური გამოცდილების ვეებერთელა მარაგი გააჩნდათ. ამ ორი რევოლუციის შუალედში ბოლშევიკურმა პარტიამ გასწია დიდი მუშაობა იმისათვის, რომ ფართო დემოკრატიულ მასებს აეთვისებინათ პირველი რევოლუციის გაკვეთილები.

თებერვლის რევოლუციამ გახსნა მთელი სიღრმე და სიმწვავე იმ დიდი ნაციონალური კრიზისისა, რომელმაც მეფის რუსეთი XX ს. დასაწყისიდან გამოუვალ ჩიხში შეიყვანა. ეს რევოლუცია არა მარტო შინაგანი, არამედ მსოფლიო იმპერიალისტური სისტემის საერთო კრიზისის მომწიფების შედეგად მოხდა. სწორედ ამ კრიზისის გამოვლინებამ— პირველმა იმპერიალისტურმა ომმა დააჩქარა რევოლუციის სწრაფი აზვირთება და ცარიზმის სწრაფი აღსასრული.

თებერვლის რევოლუციაში რუსეთის ბურჟუაზიის პოზიცია რთული და წინააღმდეგობრივი იყო, მას უფრო მეტად რუსეთის რევოლუციური ძალებისა ეშინოდა, ვიდრე ცარიზმისა. ამიტომ ძალაუფლებისაკენ მიიწევდა მონარქიასთან შეთანხმების გზით. ბუნებრივია, 1917 წლისათვის იგი უფრო რეაქციული ძალა იყო, ვიდრე პირველი რევოლუციის პერიოდში. მაგრამ იმპერიალისტური ომით გამოწვეულმა მარცხმა და სამეურნეო ნგრევამ ბურჟუაზიის დამოკიდებულება ცარიზმთან იმდენად გაამწვავა, რომ იგი ოპოზიციურ ძალად გადააქცია. ომის სამი წლის გამოცდილებამ ბურჟუაზია დაარწმუნა ცარიზმის სრულ უუნარობაში და იმის აუცილებლობაში, რომ თვით ეგდო ხელისუფლების სადავეები. 1916 წლისათვის ბურჟუაზია მოემზადა კიდეც პატარა რევოლუციისათვის დიდი ომის სასარგებლოდ. ომის გამოცდილებამ, ცარიზმის მმართველი აპარატის გახრწნამ, მისმა პოლიტიკურმა იზოლაციამ, რუსეთის ბურჟუაზია იმ მომენტში რევოლუციის მოწინააღმდეგე ძალიდან მის დამხმარე ძალად გადააქცია.

რევოლუციის წამყვანი ძალა, ავანგარდი, აქ, ისე როგორც პირველ რევოლუციაში, იყო რუსეთის პროლეტარიატი, მისი ძირითადი მოკავშირე — რუსეთის მრავალმილიონიანი გლეხობა. ამ კლასებმა ჯერ პირველ რევოლუციაში, ხოლო შემდეგ პირველ მსოფლიო ომში წინ გადადგეს პოლიტიკური შეგნებულობის მნიშვნელოვანი ნაბიჯები. ჯარისკაცები — ფარაჯაგადაცმული მუშები და გლეხები, განაწამები ხანგრძლივი და უაზრო ომით, იქცნენ მომავალი რევოლუციის ყველაზე ორგანიზებულ ძალად.

რევოლუციამ, მისი სახალხო ხასიათის გამო, ერთბაშად ჩაითრია იმპერიის მთელი დემოკრატიული მასა, გააქტიურა და პოლიტიკური მოღვაწეობის ასპარეზზე გამოიყვანა ვებერთელა წვრილბურჟუაზიული წრეები, ქალაქების შუალედური ფენები განსაკუთრებით დემოკრატიული ინტელიგენცია, განაპირა ქვეყნების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობით გაიჩინა საიმედო რეზერვი მონაპოვრის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში.

ამრიგად, 1917 წ. თებერვლის რევოლუცია რუსეთის ყველა სოციალური ძალების აქტიური მონაწილეობით დაიწყო. რევოლუციის მხარეზე პროლეტარიატისა და გლეხობის გვერდით აღმოჩნდა არა მარტო წვრილი ბურჟუაზია, არამედ მსხვილი ბურჟუაზიაც კი კადეტური პარტიის მეთაურობით. რევოლუციაში „მეტისმეტად ორიგინალური ისტორიული სიტუაციის მეოხებით ერთად შ ე ე რ თ დ ნ ე ნ, და ძალიან „ხმაშეწყობილადაც" შეერთდნენ, ს რ უ ლ ი ა დ ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა ნ ა კ ა დ ე ბ ი, ს რ უ ლ ი ა დ ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა ნ ა ი რ ი კლასობრივი ინტერესები, ურ თ ი ე რ თ ი ს ს რ უ ლ ი ა დ ს ა წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო პოლიტიკური და სოციალური მისწრაფებანი"[1].

ამ სპეციფიკამ განაპირობა თებერვლის რევოლუციის სწრაფი წარმატება, მაგრამ, ამასთან, ღრმა წინააღმდეგობრივი ხასიათიც, მისი ორხელისუფლებიანობაც, მისი დაუმთავრებლობა და აუცილებლობა შემდგომი გაღრმავებისა. რევოლუციის ბოლომდე მიუყვანლობა, მხოლოდ თებერვლის მონაპოვარზე შეჩერება, დროებით შეკავშირებული სხვადასხვა საზოგადოებრივი ძალების ანტაგონისტური დაპირისპირებულობის ვითარებაში, ქმნიდა რეალურ საფრთხეს მონარქიზმის რესტავრაციისა[2].

გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებაც: რევოლუციური ძალების სრული მოწიფულობის მიუხედავად, თებერვლის რევოლუცია დაიწყო უცბად, სტიქიურად. სტიქიური საწყისები საერთოდ დემოკრატიული რევოლუციის ნიშანთვისებაა. ეს სტიქიური საწყისი განმაპირობებელი იყო მისი საერთო სახალხო ხასიათით, მაგრამ, ამასთან, შეიცავდა წარუმატებლობის დიდ საშიშროებასაც, რადგან რევოლუციას იმ კონკრეტულ მომენტში არავინ არ ამზადებდა, არც არავის განუჭვრეტია იგი. რევოლუციის ბედნიერი დასასრული განაპირობა ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელი კადრების **საერთოდ მზადყოფნამ** ყველგან და ყველა ვითარებაში მასების სტიქიური მოქმედების სათავეში აღმოჩენილიყვნენ და მიეცათ მისთვის ორგანიზებული ხასიათი და სწორი რევოლუციური მიმართულება. მაგრამ ბოლშევიკებს, რომლებიც მაშინ პეტროგრადში არალეგალურ მცირე ჯგუფს წარმოადგენდნენ, ცხადია, არ შეეძლოთ მთელი რევოლუციური ნიაღვრის დამორჩილება. მათ შეძლეს მხოლოდ ის, რომ იდეური ხელმძღვანე-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 23, გვ. 400.

[2] П. В. В о л о б у е в. Характер и особенности февральской революции, см. Свержение самодержавия, Москва, 1970, с. 24—36.

ლობა გაუწიეს მოვლენათა მსვლელობას და ხალხის რისხვის აბობოქრებული ტალღა მიმართეს ცარიზმის ბურჯების დასანგრევად. ახალი ხელისუფლების მშენებლობაში ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობა დროებით დაჩრდილა წვრილბურჟუაზიული და ბურჟუაზიული პარტიების შემთანხმებლობამ. ამიტომ მოხდა, რომ რევოლუციის ნამდვილ პირმშოს — საბჭოებს — ბურჟუაზიული მთავრობა დაუპირისპირდა.

თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ზემოთ ნათქვამი სპეციფიკური ნიშან-თვისებანი თავის დაღს ასვამდნენ მოვლენების განვითარებას საქართველოში.

რევოლუციური სიტუაციის საერთო მომწიფების მიუხედავად, იმ კონკრეტულ მომენტში საქართველოში რევოლუცია კიდევ უფრო მოულოდნელი იყო, ვიდრე რუსეთში. რევოლუცია აქ არ შობილა ბარიკადებზე. მშრომელი მასები ცარიზმის უკიდურესი რეპრესიიდან უეცრად, უსისხლოდ, პოლიტიკური თავისუფლების ვითარებაში აღმოჩნდნენ. ერთბაშად, მოულოდნელად დაემხო ცარიზმი — ხალხთა საპყრობილე, რომლის წინააღმდეგ ბრძოლას მშრომელი მასებისა და დემოკრატიული ინტელიგენციის თაობები ეწირებოდნენ.

ცარიზმის დამხობამ და საუკუნეობით ნანატრი თავისუფლების მოპოვებამ ხალხთა მასები ერთბაშად გამოაფხიზლა. ცარიზმის დამხობით მათ პირველად იგრძნეს ძალა და მთელი არსებით გადაეშვნენ მჩაგვრელთა წინააღმდეგ ბრძოლაში, ძველის მსხვრევისა და ახლის ორგანიზაციაში. „ნაციონალური ჩაგვრის ლიკვიდაცია“ — ასეთი იყო მოძრაობის ლოზუნგი. რუსეთის განაპირა მხარეები მყისვე დაიფარნენ „საერთო ნაციონალური დაწესებულებებით“[1]. სცენაზე პირველი გამოჩნდნენ წვრილბურჟუაზიული პარტიები. ისარგებლეს რა ცარიზმის, როგორც ეროვნული ჩაგვრის ძირითადი ძალის, წინააღმდეგ მასების მტრული განწყობილებით, მათ ხელი მოჰკიდეს „ნაციონალური სახელმწიფოს“ მშენებლობას.

ვ. ი. ლენინი რუსეთში შექმნილი სპეციფიკური ვითარების (ორხელისუფლებიანობის) ახსნისას ხაზს უსვამდა შემდეგ გარემოებას: „მილიონობით და ათეული მილიონობით ხალხმა, რომელსაც ათი წელი ეძინა პოლიტიკურად, რომელიც პოლიტიკურად დაბეჩავებული იყო ცარიზმის საშინელი უღლით და კატორღული შრომით მემამულეებისა და მეფაბრიკეების სასარგებლოდ, გ ა მ ო ი ღ ვ ი ძ ა და პოლიტიკას

---

1 ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, ამიერკავკასიის კონტრრევოლუციონერები სოციალიზმის ნიღბით. თხზ., ტ. 4, გვ. 58.

დ ა ე წ ა ფ ა. მერე ვინ არიან ეს მილიონები და ათეული მილიონები? მეტწილად წვრილი მეპატრონენი, წვრილი ბურჟუები, ადამიანები, რომელნიც კაპიტალისტებსა და დაქირავებულ მუშებს შუა დგანან. რუსეთი ევროპის ქვეყნებს შორის ყველაზე უფრო წვრილბურჟუაზიული ქვეყანაა.

უზარმაზარმა წვრილბურჟუაზიულმა ტალღამ წალეკა ყველაფერი, ჩააბზო შეგნებული პროლეტარიატი არა მარტო თავისი სიმრავლით, არამედ იდეურადაც. ე. ი. მოიცვა მუშათა ფრიად ფართო წრეები და გადასდო მათ წვრილბურჟუაზიული შეხედულებანი პოლიტიკაზე"[1].

ვ. ი. ლენინის ეს მითითება მართებულ ახსნას აძლევს რევოლუციის შემდგომ შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას ამიერკავკასიასა და საქართველოში. ცნობილია, რომ ამიერკავკასია კიდევ უფრო წვრილბურჟუაზიული იყო, ვიდრე რუსეთის სამრეწველო ცენტრები, სადაც ეს რევოლუცია იშვა.

საქართველოს მუშათა კლასის შემადგენლობაში ომის პერიოდში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. კადრის მუშები, რომლებიც პირველ რევოლუციაში იყვნენ ნაწრთობი, არმიაში გაწვეული აღმოჩნდნენ. მათი ადგილი წარმოებაში დაიკავეს სოფლიდან ჩამოსულმა მესაკუთრე გლეხებმა, რომლებმაც თან მიიტანეს წვრილბურჟუაზიულ-მესაკუთრული ფსიქოლოგია. მძლავრი კლასობრივი შეჯახებების გამოცდილება ამიერკავკასიის პროლეტარიატს პირველი რევოლუციის შემდეგ არ გააჩნდა. მუშათა მოძრაობა სუსტი და დაუხვეწელი იყო, განსაკუთრებით საქართველოში. ბოლშევიკური ორგანიზაციები ცარიზმის მუდმივ დევნას და რეპრესიებს განიცდიდნენ. ომის წლებში ხელმძღვანელი ბოლშევიკები ან ციხეებში ისხდნენ, ან გადასახლებაში იმყოფებოდნენ. რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული პარტიების სისტემატური აგიტაცია-პროპაგანდის ნაკლებობის ვითარებაში მუშათა წრეებსაც გადაედო წვრილბურჟუაზიული განწყობილება. ამიტომ მოხდა რომ პროლეტარიატი იმთავითვე მოვლენათა სათავეში ვერ აღმოჩნდა. იგი ვერ გაუმკლავდა საერთო დემოკრატიული ტალღის სიმძლავრეს და მას გაჰყვა.

საქართველოს, როგორც გლეხურ ქვეყანას, გლეხთა რევოლუციური ბრძოლის დიდი ტრადიციები ჰქონდა. საქართველოს გლეხობა იბრძოდა სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ, იბრძოდა მიწისა და თავისუფლებისათვის. ამ ბრძოლაში მისი ავანგარდი პროლეტარია-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 24, გვ. 52-53.

ტი იყო, წარმმართველი ძალა — ბოლშევიკური პარტია. მაგრამ მსოფლიო ომის წლებში საქართველოს პროლეტარიატი, როგორც ზეპოთ აღვნიშნეთ, თვით აღმოჩნდა წვრილბურჟუაზიულ-გლეხური ფსიქოლოგიით გამსჭვალული. ბოლშევიკური პროპაგანდა სოფლად მოისპუსტებდა. ამ ვითარებაში გლეხთა განწყობილების დაუფლებას ადვილად ახერხებდნენ წვრილბურჟუაზიული პარტიები, რომლებიც გლეხობას ცარიზმის დამხობასაც და ეროვნული საკითხის გადაწყვეტასაც აღუთქვამდნენ. თებერვლის რევოლუციამ ერთი შეხედვით მართლაც განახორციელა ეს დაპირებანი — დაიმსხვრა მონარქის ტახტი და შედგა ახალი ხელისუფლება, რომელმაც თავის დეკლარაციაში რუსეთის ხალხებს აუწყა „ახალი ეპოქის" დასაწყისი. მთელ იმპერიაში პოლიტიკური თავისუფლების აქამდე გაუგონარი პერიოდი დაიწყო. საქართველოს გლეხობის გულდანდობამ წვრილბურჟუაზიული პარტიებისადმი, რომელთა ნაფიცი ორატორები ხალხს ოქროს ვორებს აღუთქვამდნენ, ახალი ხელისუფლების ორგანოებში გზა სწორედ წვრილბურჟუაზიული ფსიქოლოგიის ადამიანებს გაუკაფა.

რაც შეეხება ქართველ დემოკრატიულ ინტელიგენციას, ჩვენ იგი არ წარმოგვიდგება რაღაც განყენებულ, აბსტრაქტულ მასად, რომელიც თითქოს თავისუფალი იყო იმ პარტიული მიკერძოებისაგან, რაც, საერთოდ, ახასიათებდა იმდროინდელ საზოგადოებრივ პოლიტიკურ მოძრაობას. დემოკრატიული ინტელიგენციის რიგებიდან ილებდნენ შევსებას როგორც ბოლშევიკური, ისე წვრილბურჟუაზიული და შემთანხმებლური პარტიები (სოციალისტ-ფედერალისტები, მენშევიკები, ესერები). მართალია, ამ ინტელიგენციაში იყო გარკვეული ნაწილი, რომელიც, თითქოს, თავისთავს წმინდა პარტიულ ინტერესებზე მაღლა აყენებდა, არ იზღუდებოდა ერთი რომელიმე პროგრამით და თავის მოქალაქეობრივ ვალდებულებას საერთო დემოკრატიული პრინციპებისადმი სამსახურში ხედავდა, მაგრამ ასეთი განწყობილების ინტელიგენტებიც, ობიექტურად წვრილბურჟუაზიული პარტიების წისქვილზე ასხამდნენ წყალს. მათთვის რევოლუცია დამთავრებული ჩანდა. ახლა მთელ ძალ-ღონეს მიმართავდნენ იქითკენ, რომ ცარიზმის ნანგრევებზე შობილი დემოკრატიული საქართველო ეროვნულ-საბელმწიფოებრივ საფუძველზე აეშენებინათ.

ჩვენ აქ არ შევუდგებით იმის დაწვრილებით მოთხრობას, თუ როგორ მოხდა მეშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოების შექმნა საქართველოში, რიგორ აღმოჩნდა ამ საბჭოებში მენშევიკური და ესერული პარტიების უმრავლესობა, მათი შემთანხმებლური პოლიტიკის მეოხე-

ბით, როგორ ეადაეხლართა საბჭოები ბურჟუაზიული ხელისუფლების ორგანოებს — აღმასრულებელ კომიტეტებს და ამიერკავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტს, რომელიც დროებითი ბურჟუაზიული მთავრობის ფილიალს წარმოადგენდა ამიერკავკასიაში. ეს საკითხები ჩვენს ისტორიოგრაფიაში კარგადაა გარკვეული. საქართველოში, ისე როგორც ყველგან, თებერვლის შემდეგ არსებობდა ორხელისუფლებიანობა იმ სპეციფიკით, რომ წვრილბურჟუაზიულ-შემთანხმებლური პარტიების გავლენა ორთავე ხელისუფლებაში უფრო ძლიერი იყო.

მხოლოდ ვ. ი. ლენინის გენიალურ გონებას შეეძლო აეხსნა თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის რთული წინააღმდეგობრივი ხასიათი, მისი სპეციფიკური ბუნება და აქედან გამომდინარე, დაესახა ერთადერთი სწორი გზა მისი გაღრმავება-განვითარებისა. ვ. ი. ლენინი ანგარიშს უწევდა რა წვრილბურჟუაზიული სტიქიის ასეთ დიდ სიმძლავრეს, შემთანხმებლური პარტიებისადმი რევოლუციური მასების გულდანდობას, ან გაურკვეველობას, გადაჭრით წინააღმდეგი იყო დროებითი ბურჟუაზიული მთავრობის დასამხობად დაუყოვნებლივი შეიარაღებული გამოსვლებისა. ლენინს მიაჩნდა, რომ „წინ ვერ წასწევ რევოლუციას, რომელიც შეჩერდა, გაიგუდა ფრაზით, „ერთ ადგილს" ტკეპნის არა გარეშე დაბრკოლებათა გამო, არა ბურჟუაზიის მხრივ ძალადობის გამო..., არამედ მასების მიმნდობი შეუგნებლობის გამო"[1]. ვ. ი. ლენინი აპრილის ცნობილ თეზისებში მოითხოვდა არა დაუყოვნებლივ გამოსვლას იარაღით დროებითი ბურჟუაზიული მთავრობის წინააღმდეგ, რომელიც იმ მომენტში მასების ნდობით სარგებლობდა, არა მის დამხობას, არამედ მასებში დაუცხრომელ პროპაგანდას საბჭოების პოლიტიკის შესაცვლელად, ხოლო საბჭოების საშუალებით დროებითი მთავრობის შემადგენლობისა და პოლიტიკის შესაცვლელად. ლენინს მიაჩნდა, რომ ბოლშევიკური პარტია მაშინ წარმოადგენდა სუსტ უმცირესობას იმ ბლოკთან შედარებით, რომელშიაც შედიოდნენ ყველა წვრილბურჟუაზიული და ბურჟუაზიის გაელენის ქვეშ მყოფი პარტიები, დემოკრატიული ინტელიგენცია. წვრილბურჟუაზიული სტიქიის ასეთი მოზღვავების ვითარებაში მასებისათვის გაუგებარი იქნებოდა ხელახალი აჯანყება. „ჩვენ ბლანკისტები არა ვართ, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — არა ვართ მომხრენი იმისა, რომ უმცირესობამ ძალით ჩაიგდოს ხელში ძალაუფლება"[2].

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 24, გვ. 54—55.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 24, გვ. 25.

ეს პოზიცია ნათელი მოწმობაა იმისა, თუ რევოლუციის ბედ-იღბალისათვის რა დიდ როლს ანიჭებდა ბელადი დემოკრატიის განწყობილებას, მის მხარდაჭერას. ამ მაგალითზე ერთხელ კიდევ დასტურდება თუ როგორი თანამიმდევრული, მეცნიერულად გააზრებული იყო ვ. ი. ლენინის დამოკიდებულება დემოკრატიული ინტელიგენციისადმი, რომელიც მას მიაჩნდა მერყეე, მიმნდობ ძალად, მაგრამ ამავე დროს, საიმედო მოკავშირედ რევოლუციის საბოლოო გამარჯვებაში, ვ. ი. ლენინი შეცდომად თვლიდა დროებითი მთავრობის წინააღმდეგ დაუყოვნებლივ გამოსვლას იმიტომ, რომ დემოკრატიის ძალები, პირველ რიგში დემოკრატიული ინტელიგენცია უეცარი გარდატეხისაგან ჯერ კიდევ გაოგნებული, ფართო ილუზიებით იყო გამსჭვალული და აყოლილი იყო რა ბურჟუაზიული პარტიების მოთაფლულ დაპირებებს, მომავალს ვარდისფერი სათვალეებით ჰვრეტდა. მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა წარმოდგენილი, რომ ბურჟუაზიული დროებითი მთავრობა იყო ისევ მემამულეებისა და კაპიტალისტების მთავრობა, იმპერიალისტური ომის გაგრძელების მთავრობა და მისგან ვერც მუშა, ვერც გლეხი, ვერც ინტელიგენტი-დემოკრატი ჰეშმარიტ თავისუფლებას ვერ მიიღებდა.

ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურში გადაზრდისათვის საჭირო იყო ახალი პოლიტიკური არმიის შემზადება. ეს პოლიტიკური არმია ბოლშევიკურ პარტიას უნდა შეექმნა ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის იმპერიალისტური ბუნების მხილების გზით, საბჭოების გადახალისების, მასში უმრავლესობის მოპოვების გზით. ეს იქნებოდა ხანგრძლივი და მტკივნეული პროცესი, მაგრამ აუცილებელი ეტაპი იმისათვის, რომ ბურჟუაზიული რუსეთის სოციალისტურ რუსეთად რევოლუციური გარდაქმნა ხალხისათვის, ფართო დემოკრატიისათვის სისხლხორცეული და გასაგები ყოფილიყო.

პოლიტიკური არმიის მომზადების პროცესი საქართველოში უფრო ხანგრძლივი აღმოჩნდა, ვიდრე რუსეთში. წვრილბურჟუაზიულ და ბურჟუაზიულ ნაციონალისტურ პარტიებს საქართველოში, გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო, მასებში საგრძნობი გავლენა ჰქონდათ. ამ პარტიებს მძლავრი, ოქროპირი ინტელიგენცია ჰყავდა, რომელიც მასების რევოლუციური სიფხიზლის მიძინებაში დიდ დახელოვნებას ამჟღავნებდა. საქართველოში თებერვლის შემდეგ აღმოცენებულ საერთონაციონალურ ბურჟუაზიულ დაწესებულებებზე იერიშის მიტანა მასებისათვის გაუგებარი, ავანტიურისტული, ბლანკისტური ნაბიჯი იქნებოდა და რევოლუციის საქმეს ზიანის მეტს არაფერს მოუტანდა.

ბოლშევიკებს საქართველოში ესაჭიროებოდათ მეტი დრო სოციალისტური რევოლუციის პოლიტიკური არმიის ფორმირებისთვის, ვიდრე რუსეთის სამრეწველო ცენტრებში. საქართველოში არა თუ საჭირო, არამედ აუცილებელიც იყო რევოლუციის განვითარების „მშვიდობიანი გზა“ და ეს გზა უფრო ხანგრძლივიც აღმოჩნდა სინამდვილეში. მაგრამ ეს მშვიდობიანი გზა სრულებითაც არ გულისხმობდა ჰარმონიულობას, გულხელდაკრეფას და ინერტულობას. ეს იყო უმწვავესი კლასობრივი შეჯახებების, მემამულეთა წინააღმდეგ მძლავრი აგრარული მოძრაობის, აღმავალი საგაფიცვო ბრძოლის, ამ ბრძოლაში პარტიათა ლოზუნგების პრაქტიკული შემოწმების, მასების თანდათანობითი მიმხრობის, დემოკრატიული ინტელიგენციის თანდათანობითი გადმობირების, მასების საბრძოლო დარაზმვის გზა.

* * *

როგორ დაიხვეწა და ჩამოყალიბდა წერილბურჟუაზიული პარტიების პროგრამა თებერვლის რევოლუციის შემდგომ და უპასუხებდა თუ არა იგი საქართველოს ფართო დემოკრატიის ინტერესებს?

თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია მენშევიკებმა დასრულებულად ჩათვალეს და მის შემდგომ გაღრმავებას აღარ აპირებდნენ. მენშევიკების აზრით ეს იყო ჩვეულებრივი ბურჟუაზიული რევოლუცია, რომლის მთავარ მამოძრავებელ ძალას ბურჟუაზია წარმოადგენდა. ცარიზმის დამხობის შემდეგ ხელისუფლების სათავეში ბურჟუაზიის ჩადგომა მათ კანონზომიერად მიაჩნდათ. მენშევიკებმა ბურჟუაზიის დროებით მთავრობას სრული მხარდაჭერა აღუთქვეს. რაც შეეხება საბჭოებს, რომელიც რევოლუციის დღეებში იშვა, როგორც მასების სულისკვეთების გამოხატულება, მენშევიკებმა მას მხოლოდ მთავრობის კონტროლის ფუნქცია დააკისრეს.

— ვინაიდან რევოლუცია ბურჟუაზიულია, — ასაბუთებდნენ მენშევიკები — საბჭოები არ უნდა გადაიქცნენ სახელმწიფო ხელისუფლებად, ეს რევოლუციას ჩამოაშორებს ბურჟუაზიას, პროლეტარიატი დაკ გლეხობა კი სახელმწიფო ძალაუფლებისათვის მომზადებულნი არ არიანო. მათი აზრით, რუსეთის ხალხების უმაღლეს იდეალს მიმდინარე ეტაპზე წარმოადგენდა პარლამენტური რესპუბლიკა.

რევოლუციის მონაპოვართა შენარჩუნებისათვის გადამწყვეტ მისიას მენშევიკები დამფუძნებელ კრებას აკისრებდნენ. ამ კრებას უნდა გადაეწყვიტა მშრომელთა სასიცოცხლო საკითხები. მენშევიკები წინა-

აღმდეგი იყვნენ წარმოებაში მუშათა კონტროლისა, აგრარული საკითხის გადაწყვეტაში გლეხობის რევოლუციური ღონისძიებებისა. მენშევიკები, ამასთან, გამოდიოდნენ იმპერიალისტური ომის მომხრეებად, ისინი მოთაფლული ფრაზებით უკან ეწეოდნენ რევოლუციას მუშათა დეპუტატების საბჭოებიდან ბურჟუაზიის ერთხელისუფლებიანობისაკენ, ჩვეულებრივი ბურჟუაზიული პარლამენტარული რესპუბლიკისაკენ[1].

მენშევიკები ამართლებდნენ კოალიციური მთავრობის შექმნას, 3—5 ივლისის მუშათა მშვიდობიანი დემონსტრაციის დახვრეტის საქმეში მენშევიკი მინისტრების მხარდაჭერას დროებითი მთავრობისადმი. კორნილოვშჩინის მრისხანე დღეებში რევოლუციის ერთადერთ მხსნელ ძალად „დემოკრატიულ თათბირს“ აღიარებდნენ, რომელიც, თითქოს, რევოლუციის ყველა პროგრესულ ძალას აერთიანებდა, სინამდვილეში კი კონტრრევოლუციის ძალთა მობილიზაციის საფარის როლს ასრულებდა.

როგორც ვხედავთ, რევოლუციისა და ომის ყველა ძირითად საკითხში მენშევიკების შემთანხმებლური, არსებითად ბურჟუაზიულ-კონტრრევოლუციური შეხედულება უპირისპირდებოდა არა მარტო მუშათა კლასის, არამედ ფართო დემოკრატიის ინტერესებსაც.

რაც შეეხება ეროვნულ საკითხს, 1917 წელს მენშევიკები ჯერ კიდევ არ იყვნენ მთლიანად ჩაფლული ნაციონალიზმის ჭაობში და პროპაგანდასაც კი უწევდნენ რუსეთის სხვადასხვა ერების მშრომელი მასების ერთიანობას თებერვლის რევოლუციის მონაპოვართა დაცვისათვის ბრძოლაში. მენშევიკები, ამ დროს გამოდიოდნენ ეროვნული თვითგამორკვევის წინააღმდეგ და ხშირად უკიდურეს ნიჰილიზმშიაც ვარდებოდნენ. ამით ისინი ობიექტურად წყალს ასხამდნენ წისქვილს იმ რუსი ნაციონალისტებისა, რომლებიც „მთლიანი და განუყოფელი რუსეთისათვის“ იბრძოდნენ. ამ პერიოდში უფრო ნათლად გამოჩნდა ეროვნულ საკითხში მენშევიკური პოზიციის არათანამიმდევრულობა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ინტერესებთან შეუთავსებლობა. დროებითი მთავრობის ეროვნული პოლიტიკა, როგორც ცნობილია, შორს იყო ნამდვილი დემოკრატიზმისაგან და კოლონიზატორულ, დამპყრობლურ მიზნებს ისახავდა. მართალია, მასების დაწოლის გამო, დროებითი მთავრობა იძულებული გახდა სხვა დაპირე-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 24, გვ. 15.

ბებთან ერთად რუსეთის იმპერიის ხალხებისათვის, ეროვნებისა და სარწმუნოების მიუხედავად, თანასწორუფლებიანობის დაპირება მიეცა, მაგრამ არსებითად ეროვნული პოლიტიკის ხასიათი არ შეცვლილა.

მენშევიკები კი დროებითი მთავრობის ეროვნულ პოლიტიკას მხარს უჭერდნენ. კულტურულ-ეროვნული ავტონომია, რასაც ისინი თებერვლის რევოლუციის შემდეგაც მოითხოვდნენ, სრულებით არ ითვალისწინებდა ამიერკავკასიის ხალხთა ეროვნული ინტერესების დაკმაყოფილებას. ეს პროგრამა შეიცავდა არა ეროვნულ თვითგამორკვევას, არამედ კულტურული ავტონომიის ჩარჩოებში ზოგიერთი მეორეხარისხოვანი საკითხების გადაწყვეტას.

ეროვნულ საკითხში მენშევიკებისა და ესერების ფსევდოდემოკრატიზმის ნათელი გამოხატულებაა ის ფაქტიც, რომ მათ საბჭოების სრულიად რუსეთის პირველ ყრილობაზე 1917 წ. ივნისში „ბუნდელებთან" ერთად დაჟინებით მოითხოვეს და გაიტანეს კიდეც დეკლარაციული რეზოლუცია, რომელიც შეიცავდა მხოლოდ მაღალ ფრაზებს რუსეთის ეროვნებათა თანასწორუფლებიანობის შესახებ და სრულიადაც არ აყენებდა რუსეთში ბურჟუაზიის ბატონობის ლიკვიდაციის საკითხს. ეროვნული საკითხის გადაწყვეტას ეს ყრილობა დამფუძნებელ კრებას აკისრებდა. დროებით ბურჟუაზიულ მთავრობასთან ერთსულოვნება ეროვნულ საკითხში არსებითად შოვინიზმისათვის მხარდაჭერას მოასწავებდა.

რას ითვალისწინებდა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის თებერვლის შემდგომი პროგრამა, — უპასუხებდა თუ არა იგი ფართო დემოკრატიული მასების ინტერესებს?

ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ პარტიებს, თებერვლის შემდგომ რუსეთში დრო დაუდგათ, რომ გარეგნულად დემოკრატიული ღონისძიებანი წვრილბურჟუაზიული მასის გულისმოგებისათვის გამოეყენებინათ. ერთა თვითგამორკვევის უფლება მათ გაიგეს როგორც ბურჟუაზიის უფლება ჩამოეყალიბებინა დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფო, რომელიც საერთო რუსულ ბურჟუაზიულ ხელისუფლებას დაექვემდებარებოდა. ეროვნული ბურჟუაზიის ეს მისწრაფება ნათლად გამოსჭვივოდა ამიერკავკასიაში იმ დროისათვის გააქტიურებული სოციალისტ-ფედერალისტების, ეროვნული დემოკრატების, „დაშნაკების", „მუსავატის" პროგრამულ დებულებებში.

სოციალისტ-ფედერალისტები პროგრამულ აბრად ისევ სოციალიზმს იყენებდნენ, თუმცა, როგორც ადრე მივუთითეთ, მათი „სოციალიზ-

მი“ ჰეშმარიტი მეცნიერული სოციალიზმისაგან არსებითად განსხვავდებოდა. სოციალისტ-ფედერალისტებმა სოციალიზმზე წარმოდგენა ჯერ კიდევ ომის წლებში შემდეგნაირად დააზუსტეს: არსებობს ეროვნული და კოსმოპოლიტური სოციალიზმი; ჩვენ მომხრე ვართ ეროვნული სოციალიზმისა, სოციალ-დემოკრატები — კოსმოპოლიტური სოციალიზმისა. ჩაგრული ერის ინტერესებს გამოხატავს მხოლოდ ეროვნული სოციალიზმი. ბურჟუაზიული წყობილების პირობებშიც შეიძლება სოციალიზმის მშენებლობა დემოკრატიის მატერიალური, პოლიტიკური და ზნეობრივი ამაღლებითო[1].

სოციალისტ-ფედერალისტებმა თებერვლის რევოლუცია დასრულებულ გამარჯვებად, რუსეთის ხალხების განხორციელებულ ბედნიერებად მიიჩნიეს და მთავარი ყურადღება ქვეყნის რევოლუციისშემდგომ პოლიტიკურ ორგანიზაციაზე გადაიტანეს. ისინი, როგორც მენშევიკები და ესერები, მთელ იმედს ამყარებდნენ დამფუძნებელ კრებაზე და მას ანდობდნენ დემოკრატიის ინტერესების საბოლოო გადაწყვეტას.

რაც შეეხება სოციალისტ-ფედერალისტების პროგრამული საკითხების ქვაკუთხედს — საქართველოს ტერიტორიულ ავტონომიას, მის განხორციელებას, რევოლუციის შემდგომ ასე ეარაუდობდნენ: საქართველო შექმნიდა საკუთარ პარლამენტს, რომელიც ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, საფინანსო ცხოვრებას უხელმძღვანელებდა. თვით საქართველოში მოსახლე არაქართულ ეთნიკურ ერთეულებს თავიანთი ეროვნულ-კულტურული მოთხოვნილების დაკმაყოფილება ავტონომიური უფლების დაწესებულებებით შეეძლებოდათ.

პროგრამაში საკანონმდებლო პარლამენტის შეტანა იმას გულისხმობდა, რომ ავტონომია ფედერალისტებისათვის დროებითი ეტაპი იყო სრული დამოუკიდებლობის გზაზე.თებერვლის რევოლუციის შემდეგ ფედერალისტები თანდათან დაეშვნენ სეპარატისტულ პოზიციაზე და გვერდში ამოუდგნენ წმინდა ბურჟუაზიული ბუნების ახალ პარტიას — ეროვნულ-დემოკრატიულს, რომელიც ორგანიზაციულადაც თებერვლის რევოლუციის შემდეგ გაფორმდა.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ადრე ფედერალისტურ პარტიასთან იყო გაერთიანებული. რევოლუციის შემდეგ ამ პარტიამ დამოუკიდებელი ორგანიზაცია შექმნა და ოფიციალურად დაკანონდა 1917 წ. ივნისის დამფუძნებელ ყრილობაზე.

ეროვნული დემოკრატები არც მალავდნენ, რომ სოციალიზმისადმი

---

[1] გაზ. „სახალხო საქმე“, N 466, 1919.

მტრულად იყვნენ განწყობილი. ისინი ასაბუთებდნენ, რომ ეროვნული ინტერესები მაღლა დგას პარტიულ ინტერესებზეო. — ჩვენ მთელი ერის ინტერესებს გამოვხატავთ, ამიტომ განზე ვდგავართ ყოველგვარი პარტიულობისა და ფრაქციულობისაგან, ჩვენ არ მოვითხოვთ ერთი ან მეორე კლასის, ან წოდების დაცვას, ჩვენი პარტია „ეროვნულ ხალხურია"[1]. ის რაც ერთი კლასისათვის სასარგებლოა, ერისათვის შეიძლება საზიანო იყოს. პარტია „საერთოდ ეროვნული სხეულის მთლიან და შეწყობილ ზრდა-განვითარებას ისახავს თავის მიზნადო" — ამტკიცებდნენ ეროვნული დემოკრატები.

პროგრამის კლასგარეშედ გამოცხადება, ცხადია, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ჩვეულებრივი ფანდი იყო, გამიზნული ხალხთა მასების თვალის ახვევისათვის. სინამდვილეში ეს პარტია ეროვნული ბურჟუაზიისა და გაბურჟუების გზაზე შემდგარი აზნაურების ინტერესებიდან ამოდიოდა და ვარაუდობდა ბურჟუაზიული ეროვნული სახელმწიფოს ორგანიზაციას, სადაც ერის სახელით დაიცავდა საქართველოს შეძლებული კლასების ინტერესებს. რაც შეეხება ეროვნულ საკითხს, პარტიის პროგრამაში იგი შემდეგნაირად იყო ფორმულირებული. „უნდა დამყარდეს საქართველოს პოლიტიკური ავტონომია (თვითკანონმდებლობა) დემოკრატიული რესპუბლიკის საფუძველზე აგებული. საქართველოს ავტონომიურ კანონმდებლობას და მმართველობას ექვემდებარება საქართველოს საზღვრებში ცხოვრების ყველა საგანი, გარდა: ა) ომის და ზავის საკითხებისა, ბ) საგარეო პოლიტიკისა და გ) რუსეთის სახელმწიფოსთან საერთო ბიუჯეტისა, რაც რუსეთთან საერთო კანონმდებლობის კომპეტენციას შეადგენს[2].

პროგრამიდან ჩანს, რომ ეროვნული დემოკრატები საჯაროდ თავს იკავებდნენ სრული სეპარატიზმისაგან. ისინი რუსეთ-საქართველოს დამოკიდებულებას განსაზღვრავდნენ 1783 წ. მფარველობითი ტრაქტატის ფარგლებში. დამფუძნებელ ყრილობაზე ამ პარტიის ერთ-ერთი ლიდერის გ. გვაზავას მოხსენებაში მითითებული იყო კიდეც, რომ რუსეთთან საქართველოს 1783 წ. ტრაქტატი აკავშირებს იურიდიულად და ამიერიდან ეს ურთიერთობა ამ ჩარჩოებში უნდა წარიმართოსო.

რა თქმა უნდა, ტრაქტატი აქაც გარკვეული მიზნით იყო მოშველიებული. ეროვნულ დემოკრატებს ეშინოდათ საჯაროდ ელიარებინათ

---

[1] იხ. ეროვნულ დემოკრატიული პარტიის პროგრამა, 1917, გვ. 7.

[2] გაზ. „ჩვენი ქვეყანა", 23 ივნისი, 1917.

მათი სეპარატისტული გულისნადები, რადგან სწამდათ, რომ ეს საქართველოს დემოკრატიული მასის გულისწყრომას გამოიწვევდა. ამიტომაც არ უარყოფდნენ ბურჟუაზიულ რუსეთთან ერთგვარად დამოკიდებულებას. სინამდვილეში მათ მიერ მოფიქრებული ეროვნულ სახელმწიფოს პოლიტიკური ორგანიზაცია სრულ სეპარატიზმს წარმოადგენდა.

მენშევიკების, სოციალისტ-ფედერალისტების, ეროვნული დემოკრატების მიერ შემუშავებულ პროგრამებს თუ კარგად ჩავუკვირდებით, არ გაგვიძნელდება დავასკვნათ, რომ მათ შორის საერთო ძალიან ბევრი იყო. არსებითად ყველა ეს პროგრამა ერთნაირად ვარაუდობდა საქართველოს მომავალ ეროვნულ-პოლიტიკურ ორგანიზაციას. არც სოციალური საკითხების გაგებაში ჩანდა დიდი უფსკრული. მართალია, პრესის ფურცლებზე ეს პარტიები ერთმანეთს აკრიტიკებდნენ, მაგრამ ეს კრიტიკა პროგრამის მეორეხარისხოვან საკითხებს შეეხებოდა. საერთო იყო მათი ფრონტი ბოლშევიკური პარტიის რევოლუციური პროგრამის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამიტომ შემთხვევითად, ან მომენტით ნაკარნახევ ლონისძიებად არ უნდა მოგვეჩვენოს ამ პარტიების ორგანიზაციული გაერთიანება. როგორც ცნობილია, 1917 წ. აპრილში მენშევიკები, ესერები, სოციალისტ-ფედერალისტები, ეროვნული დემოკრატები შეიკრიბნენ საგანგებო თათბირზე, რომელმაც დაბადა ეროვნულ ინტერ-პარტიული საბჭოს შექმნის იდეა. აგვისტოში ასეთი ინტერპარტიული საბჭო გაფორმდა კიდეც. მისი თავმჯდომარე გახდა მენშევიკი ა. ჩხენკელი, თავმჯდომარის მოადგილე სოციალისტ-ფედერალისტი გ. ლასხიშვილი. საბჭოს აქტიური წევრები იყვნენ შ. ამირეჯიბი, ს. მდივანი, პ. საყვარელიძე, და სხვები. ეს პირები ინტერპარტიულმა საბჭომ გაგზავნა კიდეც „დემოკრატიულ თათბირში" მონაწილეობის მისაღებად .

დამფუძნებელ თათბირზე ჩხენკელი თავის თავზე იღებდა რწმუნებას გამოსულიყო მთელი ქართველი ერისა და ყველა პარტიის სახელით, თუმცა მისთვის კარგად იყო ცნობილი, რომ საქართველოს ბოლშევიკებმა, რომლებიც ქართველი ერის ცხრა მეათედის ინტერესებს გამოხატავდნენ, ზურგი შეაქციეს ინტერპარტიულ საბჭოს, როგორც ბურჟუაზიული პარტიების გაერთიანებას ნაციონალისტურ მისწრაფებათა ბაზაზე.

* * *

სოციალისტური რევოლუციის მომზადების მთელ პერიოდში ბოლშევიკური პარტია წვრილბურჟუაზიული პარტიების წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლას ეწეოდა რევოლუციის ყველა საპროგრამო საკითხზე. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ბოლშევიკები ებრძოდნენ საერთოდ წვრილბურჟუაზიულ დემოკრატიასა და მის ავანგარდულ ძალას — დემოკრატიულ ინტელიგენციას. ბოლშევიკური პარტია არასოდეს არ აიგივებდა წვრილბურჟუაზიულ დემოკრატიას სოციალ-შემთანხმებელ პარტიებთან. ამ პარტიების ლიდერებს ბოლშევიკები ებრძოდნენ სწორედ იმისათვის, რომ წვრილბურჟუაზიული დემოკრატია გაერკვიათ რევოლუციის რთულ საკითხებში, დაენახვებინათ მისთვის ამ პარტიების საქმიანობის ობიექტურად ბურჟუაზიული შინაარსი, დაეძლიათ მისი მერყეობა და ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ გადმოეყვანათ პროლეტარიატის მხარეზე, რომელიც კვლავ რჩებოდა სოციალისტური რევოლუციის ავანგარდულ ძალად.

რევოლუციის პირველ დღეებში ბოლშევიკები და მენშევიკები რუსეთის მთელ რიგ ქალაქებში, მათ შორის თბილისში გაერთიანდნენ კიდეც. ბოლშევიკები ყოველთვის თავისუფალი იყვნენ სექტანტობისაგან და რევოლუციის ინტერესებისათვის, თუ კი ეს შესაძლებელი იყო, მუდამ შედიოდნენ ბლოკში მემარცხენე ძალებთან. საკმარისია გავიხსენოთ, რომ რეაქციის უმძიმეს ვითარებაში, 1909—1911 წლებში პარტია იცავდა ბლოკს მენშევიკ-პარტიელებთან გ. პლეხანოვის მეთაურობით ლიკვიდატორების წინააღმდეგ შეერთებული ბრძოლისათვის. ომის წლებში პარტია უარს არ ამბობდა ემუშავა ყველა იმ ძალებთან ბლოკში, რომლებიც კავშირს გაწყვეტდნენ ობორონცობასთან. 1915 წ. ბერნის კონფერენციამ პარტიას მოუწოდა სოციალისტ-შოვინისტებთან გამიჯვნისაკენ, ამასთან ერთად დაადგინა, რომ „დროებითი შეთანხმებანი დასაშვებია მხოლოდ იმ სოციალ-დემოკრატებთან, რომელნიც ემხრობიან ორგანიზაციულ კომიტეტთან, „ნაშა ზარიასთან" და ბუნდთან ორგანიზაციულად გადაჭრით გათიშვას"[1].

ამრიგად, გაერთიანების ფაქტი თავისთავად არ წარმოადგენდა ბოლშევიზმის ორგანიზაციული პრინციპების დარღვევას. ზოგიერთი ბოლშევიკი გულწრფელად იყო შეპყრობილი იმის ილუზიით, რომ რევოლუციის გამარჯვებამ უკვე თავისთავად ამოსწურა უთანხმოება ბოლ-

---

1 სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწ. 1, გვ. 416.

შეეიკებსა და მენშეეიკებს შორის და ამიერიდან, რეეოლუციის მონაპოვართა განმტკიცებაში შესაძლებელია მათი ერთიანი მუშაობა. თბილისში მარტში შეიქმნა რსდმპ გაერთიანებული საქალაქო კომიტეტი. ასეთი გაერთიანებანი მოხდა აზერბაიჯანის, სომხეთის პარტიულ ორგანიზაციებში. აკად. ი. ი. მინცის გამოთვლით მთელს რუსეთში გაერთიანებულ ორგანიზაციათა რაოდენობა ორგანიზაციათა საერთო რიცხვის 15 პროცენტს აღემატებოდა[1].

მაგრამ ორგანიზაციული გაერთიანება მენშეეიკებთან შეცდომა აღმოჩნდა. მენშეეიკები შეეცადნენ გაერთიანებული ორგანიზაციები გამოეყენებინათ თავიანთი წვრილბურჟუაზიულ-შემთანხმებლური შეხედულებების განმტკიცებისა და პროპაგანდისათვის. ბოლშეეიკებს არც შეეძლოთ დაეთმოთ და არც დაუთმიათ თავიანთი პოზიციები, ისინი რეეოლუციის ყველა საკითხზე უაღრესი პრინციპულობითა და შეურიგებლობით იცავდნენ ლენინურ დებულებებს ყველა საპროგრამო საკთხში. მუდმივი შინაბრძოლის ვითარებაში ნათელი გახდა, რომ გაერთიანება ხელოვნური იყო და ხელს უშლიდა მასების გამოფხიზლების საქმეს, ბოლშეეიკური იდეების პროპაგანდას, რეეოლუციის გაღრმავებას. პარტიის VII (აპრილის) კონფერენციის გადაწყვეტილებით ამ გაერთიანებულ ორგანიზაციებში დაუყოვნებლივ გათიშვა მოხდა. ბოლშეეიკები ყველგან ცალკე ორგანიზაციებად ჩამოყალიბდნენ.

რეეოლუციის პირველ ხანებში ბოლშეეიკური პარტიის მიმართ ქართველი დემოკრატიული ინტელიგენციის ერთგვარი იჭვი და უნდობლობა, ჩვენი აზრით, ძირითადად მაინც, განპირობებული იყო ეროვნული საკითხის სხვადასხვაგვარი გაგებით. ცარიზმის კოლონიური ჩაგვრის გამო ხანგძლივად უფლებააყრილ და ეროვნულად შეეიწროებულ დემოკრატიულ მასას უფრო იზიდავდა გარეგნულად ბრჭყვიალა რეზოლუციები წვრილბურჟუაზიული პარტიებისა და ეგონა, რომ მათი სიტყვა და საქმე განუყოფელი იქნებოდა. ეროვნულად თავისუფალი საქართველო მათ ილუზიებში ვარდისფრად გამოიყურებოდა. დემოკრატიულ ინტელიგენციას თავისი წვრილბურჟუაზიული კლასობრივი წარმომავლობის გამო, უჭირდა სოციალისტური რეეოლუციის სიღრმეებში ჭვრეტა და იგი მეტად ნელა და მტკივნეულად თავისუფლდებოდა ეროვნული ავტონომიის სასიამოვნო ბურუსისაგან. რაც შეეხება პროლეტარიატს და გლეხობას, მისი გაუთვითცნობიერებელი ნაწილი შედარებით ადვილად აღწევდა თავს შემთანხმებლურ პარტიათა იდე-

[1] ი. ი. მ ი ნ ც ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 31.

ურ ზეგავლენას და თანდათან ირაზმებოდა ბოლშევიკური პარტიის დროშის ქვეშ სოციალისტური რევოლუციის განხორციელებისათვის ბრძოლაში.

როგორ შინაარსს შეიცავდა ბოლშევიკური პარტიის ეროვნული პროგრამა თებერვლის რევოლუციის შემდეგ? როგორ ესმოდათ ქართველ ბოლშევიკებს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის არსი და მიმართულება ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურად გადაზრდის ეტაპზე?

ბოლშევიკური პარტიის ეროვნული პროგრამა ნათლადაა ჩამოყალიბებული 1917 წ. აპრილის კონფერენციის გადაწყვეტილებებში. ნაციონალურ საკითხზე მიღებულ რეზოლუციაში მკაფიოდაა მითითებული, რომ „რუსეთის შემადგენლობაში შემავალ ყველა ერს უნდა მიენიჭოს თავისუფალი გამოყოფისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის უფლება. ასეთი უფლების უარყოფა და იმ ზომების მიუღებლობა, რომლებიც უზრუნველყოფენ მის პრაქტიკულ განხორციელებას, უდრის დაპყრობათა ანუ ანექსიების პოლიტიკის მხარდაჭერას. პროლეტარიატის მიერ ერთა გამოყოფის უფლების აღიარება უზრუნველყოფს მხოლოდ სხვადასხვა ერის მუშათა სრულ სოლიდარობას და ხელს უწყობს ერთა ნამდვილ დემოკრატიულ დაახლოებას“[1].

მაგრამ რეზოლუცია იქვე მიუთითებს, რომ „შეუწყნარებელია ერთმანეთში ავურიოთ ერთა თავისუფალი გამოყოფის უფლების საკითხი და ამა თუ იმ მომენტში ამა თუ იმ ერის გამოყოფის მიზანშეუწონლობის საკითხი.

ეს უკანასკნელი საკითხი პროლეტარიატის პარტიამ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში სრულიად დამოუკიდებლად უნდა გადაწყვიტოს მთელი საზოგადოებრივი განვითარების და სოციალიზმისათვის პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ინტერესების თვალსაზრისით“[2].

აპრილის კონფერენციაზე ეროვნულ საკითხთან დაკავშირებით წარმოთქმულ სიტყვებში „პრავდის“ ფურცლებზე 1917 წ. გამოქვეყნებულ სტატიებში („უკრაინა“ „ფინეთი და რუსეთი“, „დემოკრატიულად ვერ მოიქეცით მოქალაქე კერენსკი“) ბროშურაში „პროლეტარიატის ამოცანები ჩვენს რევოლუციაში“, რომელიც 1917 წ. სექტემბერში გამოიცა და სხვ. ნათლადაა ჩამოყალიბებული ლენინური დებულებები პრო-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 24, გვ. 355.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 856.

ლეტარიატისა და გლეხობის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზე.

„პროლეტარული პარტია ცდილობს შექმნას. — მიუთითებდა ვ. ი. ლენინი, — რაც შეიძლება უფრო დიდი სახელმწიფო, რადგან ეს ხელსაყრელია მშრომელთათვის; პარტია მიისწრაფვის ერთა ერთმანეთთან დაახლოებისა და მათი შემდგომი შერწყმისაკენ, მაგრამ ამ მიზნის მიღწევა მას სურს არა ძალდატანებით, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ყველა ერის მუშებისა და მშრომელი მასების თავისუფალი და ძმური კავშირით.

რაც უფრო დემოკრატიული იქნება რუსეთის რესპუბლიკა, რაც უფრო მალე მოეწყობა იგი მეშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების რესპუბლიკად, მით უფრო ძლიერი იქნება ყველა ერის მშრომელი მასების ნებაყოფლობითი მისწრაფება ასეთი რესპუბლიკისადმი.

გამოყოფის სრული თავისუფლება. უაღრესად ფართო ადგილობრივი (და ნაციონალური) ავტონომია. ეროვნული უმცირესობის უფლებათა დეტალურად გამომუშავებული გარანტიები — ასეთია რევოლუციური პროლეტარიატის პროგრამა“[1].

ვ. ი. ლენინის ეს დებულებანი ეროვნულ საკითხში შეიცავდნენ ერისა და ეროვნული საკითხის შესახებ მარქსისტული თეორიის შემოქმედებით განვითარებას იმპერიალიზმის ეპოქის ისტორიულ გამოცდილებათა ყოველმხრივი გათვალისწინებით. ვ. ი. ლენინმა ბოლშევიკური პარტიის ეროვნულ პროგრამაში შეიტანა რიგი ახალი და უაღრესად მნიშვნელოვანი დებულებანი. კოლონიური ხალხების ეროვნული თვითგამორკვევის უარყოფა, რასაც იმ დროს კომუნისტური პარტიის ზოგიერთი წევრი უქერდა მხარს, ვ. ი. ლენინს მიაჩნდა მიუტევებელ შეცდომად, იმპერიალისტური ანექსიის გამართლებად[2].

ბოლშევიკების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის პროგრამა ერთადერთი იყო, რომელიც რუსეთის იმპერიის ჩაგრულ ხალხთა ინტერესებს უპასუხებდა. ეს პროგრამა უნდა განხორციელებულიყო სოციალისტური რევოლუციისათვის მთელი ქვეყნის მშრომელი მასების ინტერნაციონალურ-სოლიდარულ ბრძოლაში, რომლის ავანგარდული ძალა იქნებოდა რუსეთის პროლეტარიატი. მხოლოდ მუშათა კლასისა და გლეხობის რევოლუციურ ხელისუფლებას — საბჭოებს

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 24, გვ. 67.

[2] Т. Ю. Бурмистрова, В. С. Гусакова. Национальный вопрос в программах и тактика политических партий в России, с. 221.

გააჩნდა უნარი გადაეჭრა რუსეთის ჩაგრული ერების სასიცოცხლო საკითხები არა მარტო ეროვნულ, არამედ აგრარულ, ზავის და სხვა საკითხებში.

ეროვნულ-საკითხში პარტიის პროგრამის დაცვისა და პროპაგანდისათვის დაუცხრომელ მოღვაწეობას ეწეოდნენ საქართველოს ბოლშევიკები. გაზეთების „კავკაზსკი რაბოჩის", „ბრძოლის" ფურცლებზე სისტემატურად იბეჭდებოდა ხელმძღვანელი ბოლშევიკების ფ. მახარაძის, ბ. ცხაკაიას, ე. ქავთარაძის, მ. ტოროშელიძის და სხვ. სტატიები ეროვნულ საკითხზე. ამ სტატიებში გამომზეურებული იყო ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიულ-შემთანხმებლური პარტიების ეროვნული პროგრამის ილუზიური შინაარსი, დასაბუთებული იყო ეროვნულ საკითხში ლენინურ დებულებათა შესაბამისობა დაჩაგრული ერების, მათ შორის ქართველი ერის, ჰეშმარიტ ინტერესებთან.

ეროვნული საკითხის ლენინური თვალთახედვით შეფასება მოხდა რსდმპ(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო ყრილობაზე, რომელიც 1917 წ. ოქტომბერში ჩატარდა.

ყრილობამ დაგმო ეროვნულ საკითხზე ამიერკავკასიის ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიების შეხედულებანი, გადაჭრით მოითხოვა დროებითი მთავრობისაგან რუსეთის ყველა ერისათვის, მათ შორის კავკასიის ერებისათვის თვითგამორკვევის უფლების აღიარება. კავკასიისათვის მან მიზანშეწონილად მიიჩნია ავტონომია სეიმით, ხოლო კავკასიის შიგნით მსხვილი ეროვნული ერთეულებისათვის ფართო ადგილობრივი თვითმმართველობანი.

ყრილობამ ერთა თვითგამორკვევის უფლება განსაზღვრა სოციალისტური რევოლუციისათვის ბრძოლის ინტერესებიდან და მიუთითა, რომ ამ მომენტისათვის საჭიროდ თვლის წინა პლანზე წამოწიოს არა სახელმწიფოებრივი გამოყოფის, არამედ ინტერნაციონალური შემჭიდროების ტენდენციები და ინტერესები. „აღიარებს რა ყველა ერის თვითგამორკვევის უფლებას, — ნათქვამია ეროვნულ საკითხზე ყრილობის რეზოლუციაში, — მათი თვით სახელმწიფოებრივ გამოყოფამდე, ჩვენი პარტია მოითხოვს დროებითი მთავრობისაგან ამ უფლების დაუყოვნებლივ, აშკარად აღიარებას რუსეთში დასახლებული ყველა ერისათვის და მათ შორის კავკასიის ხალხებისთვისაც. ამასთან ერთად, ყრილობა აცხადებს, რომ ის კავკასიის ერებს არ ურჩევს არც გამოყოფას და არც ფედერაციულ სახელმწიფოთა შექმნას. პირიქით, ვიღებთ რა მხედველობაში ერთა და ტომთა სიჭრელეს და მრავალრიცხოვნობას, და აგრეთვე მათ ერთმანეთში არევას

ჩვენს მხარეში, და მეორე მხრივ, ვითვალისწინებთ რა მუშათა მოძრაობის ერთიანობის ინტერესებს კავკასიაში, ჩვენ მოვუწოდებთ კავკასიის მთელ დემოკრატიას განურჩევლად ეროვნებისა, უაღრესად მჭიდრო ერთობისა და თანამშრომლობისაკენ[1].

• •

საქართველოს დემოკრატიული ინტელიგენცია ბურჟუაზიულ. შემთანხმებლური და რევოლუციური პარტიების შეურიგებელ იდეოლოგიურ ბრძოლაში პასიურ ძალას არ წარმოადგენდა. ინტელიგენცია პოლიტიკური ბრძოლის შუაგულში იდგა და ქვეყნის ბედ-იღბლის გარკვევაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა.

დემოკრატიული ინტელიგენცია, რომელიც თავისი წარმომავლობით წვრილბურჟუაზიულ სოციალურ ფენას წარმოადგენდა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძირითადად წვრილბურჟუაზიული პარტიების პოზიციას იზიარებდა. მაგრამ ეს ინტელიგენცია, არასოდეს არ ყოფილა კლასობრივად კომპაქტური, შეხედულებებით ერთფეროვანი სოციალური ერთეული. იგი მუდამ მერყეობდა პროლეტარულ და ბურჟუაზიულ იდეოლოგიას შორის. თავისი ბუნებით ადვილად მიმნდობი იყო და ექცეოდა კიდეც წვრილბურჟუაზიულ პარტიათა ოქროპირი ორატორების გავლენის ქვეშ, მაგრამ მოვლენათა განვითარების ლოგიკა, შემთანხმებლური და ბურჟუაზიული პარტიების სიტყვისა და საქმის შეუთავსებლობა. თვით ცხოვრების პრაქტიკა ამ ინტელიგენციის ძირითად შემადგენლობაში თანდათანობით აღვივებდა ეჭვისა და უნდობლობის განწყობილებას. დემოკრატიული წრეებიდან ბევრი რწმუნდებოდა რა ქვეყნის ჭეშმარიტი თავისუფლების ინტერესებთან შემთანხმებლური პარტიების პროგრამის შეუთავსებლობაში, ზერგს აქცევდა ამ პარტიებს და ბოლშევიკების მხარეზე გადმოდიოდა, დგებოდა სოციალისტური რევოლუციისათვის აქტიურად მებრძოლთა რიგებში.

წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის სოციალური არაერთგვაროვნება ბოლშევიკურ პარტიას უკარნახებდა დემოკრატიის სხვადასხვა ფენებისადმი დიფერენცირებულ მიდგომას. ამასთან პარტია, რევოლუ-

---

[1] Резолюции Кавказского краевого съезда РСДРП (большевиков). 1917, с. 8.

ციის ინტერესებიდან გამომდინარე წვრილბურჟუაზიულ პარტიებთან ზოგჯერ კომპრომისებსაც ახორციელებდა.

მუშათა საგაფიცვო ბრძოლაში, სოფლად გაჩაღებულ ზეაღმავალ აგრარულ მოძრაობაში, არმიის დემოკრატიზაციისათვის მიმართულ ღონისძიებებში ბოლშევიკები თანდათან იხვეჭდნენ ნდობას ფართო მასებისას, მასების გამემარცხენება ზრდიდა სოციალისტური რევოლუციის პოლიტიკურ არმიას.

ბოლშევიკებისადმი დემოკრატიული მასის ნდობის ზრდის ერთ-ერთ დამახასიათებელ მაგალითად ვ. ი. ლენინს მიაჩნდა საქალაქო სათათბიროს არჩევნები. ამ არჩევნებში ბოლშევიკური პარტია დამოუკიდებელი პროგრამით გამოვიდა და ასარჩევი კანდიდატებიც დამოუკიდებლივ, სხვა პარტიებთან ბლოკის გარეშე წარადგინა. მოსკოვში 387 262 ამომრჩევლიდან ბოლშევიკებს ხმა მისცა 199 337-მა, ე. ი. 51 პროცენტმა[1]. ვ. ი. ლენინი ამას თვლიდა დიდ გამარჯვებად. ივნისიდან სექტემბრამდე დემოკრატიული მასის საერთო ნაციონალურ განწყობილებაში ღრმა ცვლილება მოხდა. „წვრილმა ბურჟუაზიამ ზურგი აქცია კოალიციას, ხალხმა ზურგი აქცია მას, ამაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია", — წერდა ვ. ი. ლენინი სტატიაში „კრიზისი მომწიფდა"[2].

მსგავს მოვლენას ჰქონდა ადგილი თბილისის საქალაქო სათათბიროს არჩევნებშიც, რაც 1917 წ. აგვისტოში ჩატარდა. ბოლშევიკები აქაც დამოუკიდებელი პროგრამით და სიით გამოვიდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ბოლშევიკების წინააღმდეგ ყველა ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტია გაერთიანებული ბლოკით გამოდიოდა, ბოლშევიკებმა მაინც მიაღწიეს წარმატებას. მათ ამომრჩეველთა საკმაო პროცენტმა მისცა ხმა. სათათბიროში 7 ბოლშევიკი დეპუტატი გავიდა[3]. ეს იმის მაჩვენებელია, რომ წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის შეგნებაში თანდათან ხდებოდა გარდატეხა, ხდებოდა მისი გაშემარცხენება. ეს საერთო მოვლენა იყო. აკად. მინცი შენიშნავს, რომ სოციალისტური რევოლუციის მომზადების პერიოდში, განსაკუთრებით იულისის ამბებისა და კორნილოვშჩინის შემდეგ „ხალხმა ზურგი შეაქცია ესერებს და მენშევიკებს, ამის ნათელი დადასტურება იყო

---

[1] Октябрь в Москве, М., 1967, с. 256.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 26, გვ. 77.

[3] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VI, გვ. 443—450.

შემთანხმებელთა განდევნა საბჭოებიდან და გლეხთა აჯანყებანი. მშრომელები თავიანთ ბედს ანდობდნენ ბოლშევიკურ პარტიას"[1].

* *

თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდში რუსეთის დედაქალაქ პეტროგრადში და მოსკოვში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ბევრი ქართველი დემოკრატი ინტელიგენტი, რომლებიც თვითმპყრობელობის დამხობას დიდი ენთუზიაზმით შეხვდნენ და მთელი გატაცებით გადაეშვნენ რევოლუციის ქარიშხალსა და ახალი რუსეთის მშენებლობაში.

პეტროგრადში, თავრიდის სასახლის მახლობლად პ. ლავროვის ქუჩისა და ნ. ჩერნიშევსკის პროსპექტის კუთხის სახლი ნიკო ნიკოლაძის დიდ ოჯახს ეკავა. ნიკოს, მის მეუღლეს ოლგას და ქალიშვილს თამარს ბინა მესამე სართულზე ჰქონდათ. რუსუდან ნიკოს ასულ ნიკოლაძეს და მის მეუღლეს ცნობილ რუს ისტორიკოსს მიხეილ ალექსანდრეს ძე პოლიეექტოვს — მეორე სართულზე. ამავე ბინაში ცხოვრობდა ცნობილი ქართველი მეცნიერი, პროფესორი ალექსანდრე ცაგარელი. „მამამ და მიხეილმა — იგონებს რუსუდან ნიკოლაძე ჩვენს ურთიერთობას ხუმრობით «Добрососедские русско-грузинские отношения» შეარქვეს (ეს მიხეილის საკვლევო თემაც იყო)"[2]. ნიკო ნიკოლაძე ამ დროს პეტროგრადის გაზეთ „რუსკაია ვოლიას" რედაქტორად იყო მიწვეული. რევოლუციის დღეებში, ცარიზმის ბატონობის აღსასრულით აღფრთოვანებულნი, ისინი ყოველდღიურად იკრიბებოდნენ ხან ერთ, ხან მეორე ბინაზე. ამ შეკრების სისტემატური მონაწილენი იყვნენ ალ. ცაგარელი, ივ. ჯავახიშვილი, შ. ნუცუბიძე, აკ. შანიძე, გრ. ყიფშიძე და სხვები. „იყო გაცხოველებული სჯა-ბაასი არა მარტო რუსეთის რევოლუციის, არამედ საქართველოს ბედზედაც. მომხსენებლები უმრავლეს შემთხვევაში იყვნენ თვით პროფ. ცაგარელი და ქართველ მეცნიერთა ახალი თაობის თავკაცი ივანე ჯავახიშვილი, მაშინ ჯერ კიდევ პრივატ-დოცენტი პეტროგრადის უნივერსიტეტისა"[3].

რუსუდანსა და მის უმცროს დას თამარს (შემდეგ აკად. ნ. მუსხელიშვილის მეუღლე) პოეტ ვლ. მაიაკოვსკის რეკომენდაციით, რომე-

---

1 Н. И. Минц. История Великого Октября, т. II, с. 911.
2 რუსუდან ნიკოლაძე, ცხოვრების დიდ გზაზე, გვ. 239.
3 იქვე, გვ. 239—240.

ლიც თავრიდის სასახლეში ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების ჩამოყალიბების შემდეგ სატელეფონო კავშირის მოგვარებას მესვეურობდა. სატელეფონო ჯიხურების გამგებლობა დაეკისრათ. ამ დროიდან ივნისამდე (ვიდრე თბილისში დაბრუნდებოდნენ) ისინი უშუალო მონაწილენი იყვნენ თავრიდის სასახლის და ამასთან პეტროგრადის მღელვარე მოვლენებისა. ისინი ესწრებოდნენ ვ. ი. ლენინის ჩამოსვლას პეტროგრადში 3 აპრილს, როცა მან სადგურის მოედანზე ჯავშნოსანზე წარმოთქვა სიტყვა: „სულგანაბული უსმენდა ყველა, როცა ლენინმა მისალმების პირველი სიტყვებით მიმართა მის წინ გადაშლილ ცოცხალ სტიქიონს. დიდი აღფრთოვანება გამოიწვია ლენინის ენერგიულმა შეძახილმა: გაუმარჯოს სოციალისტურ რევოლუციას"[1]. მეორე დღეს რევოლუციის ბელადს რ. ნიკოლაძე შეხვდა თავრიდის სასახლეში. ვ. ი. ლენინმა — იგონებს რუსუდან ნიკოლაძე — „ყველა შემხვედრ „ისპოლკომელს" მაგრად ჩამოართვა ხელი, ირაკლი წერეთელს მისალმებისას რაღაც უთხრა ყენევაზე, მაშასადამე, იცნო, და არა მარტო ის, არამედ — ეს კი ჩემთვის სრულიად მოულოდნელი იყო — მეც მიცნო! კარლო ჩხეიძემ იგი ჯიხურებთან მიიყვანა და ჩვენზე მიუთითა: «Вот это — Ваш будущий телефон, Владимир Ильич, а это наши телефонистки».

ლენინი მოგვესალმა, მერე უეცრად მე მომაცქერდა, ხელი გამომიწოდა, შემეკითხა,

— Мы кажется, встречались?

— Неужели Вы...

დავიწყე გაოცებით, მაგრამ მან ჯერ ირაკლის შეხედა და მერე ისევ მე მომიბრუნდა.

— В Женеве.

სიტყვები არ მეყო ჩემი ბედნიერებისა და გაოცების ასაწერად. ჩხეიძემ მას ჩემი თავი კიდევ დამატებით წარუდგინა:

— А это наша старшая телефонистка...»[2].

რუსუდანი, თამარი და მათი დედა ესწრებოდნენ კრებას, რომელიც მ. გორკიმ მოიწვია 1917 წ. 9 აპრილს „პოზიტიურ მეცნიერებათა ასოციაციის" დასაფუძვლებისათვის. ძირითადი მომხსენებელი იყო თვით მაქსიმ გორკი. აქ ნიკო ნიკოლაძის მეუღლე ოლღა გურამიშვილი შეხვდა ახალგაზრდობის უახლოეს მეგობარს ნიკოლოზ მოროზოვს, შლისელბურგელს, ცნობილ ნაროდნიკს (შემდეგ სახელოვან საბჭოთა მეცნ-

[1] რუსუდან ნიკოლაძე, ცხოვრების დიდ გზაზე, გვ. 255.

[2] იქვე, გვ. 257.

ნიერს), რომელიც ქართველ სტუდენტ ქალებს (ო. გურამიშვილი, მა-შიკო წერეთელი, კატო ნიკოლაძე) ჟენევაში დაუმეგობრდა XIX ს. 70-იან წლებში. რუსუდანი ესწრებოდა ვ. ი. ლენინის ყველა გამოს-ელას თავრიდის სასახლეში. ნიკო ნიკოლაძე მთელი ოჯახით დაესწრო გლეხთა დეპუტატების სრულიად რუსეთის პირველ ყრილობას. ამ ყრილობის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე რუსუდან მიქელაძე, ელენე ლოლობერიძე, ანა ჩხეიძე. რუსუდანს ვ. ი. ლენინის მიერ დაკისრებული ჰქონდა ფრონტელი ჯარისკაცების ვ. ი. ლენინ-სადმი წერილების გაცნობა და მათი შინაარსის მოხსენება, იგი ამას-თან, მეუღლის დავალებით მონაწილეობდა რევოლუციის შემსწავლე-ლი საზოგადოების მუშაობაში, რომელიც იმ დროს შექმნეს ისტორი-კოსებმა მიხ. პოლიევქტოვმა და პროფესორმა ა. პრესნიაკოვმა.

თებერვლის რევოლუციის პირველი ქარიშხალი რომ დაცხრა, პე-ტერბურგის და მოსკოვის ქართველი სტუდენტობა და იქ მომუშავე ახალგაზრდობა საქართველოს დაუბრუნდა. ყველას ახლა ერთი სურ-ვილი ამოძრავებდა: კოლონიური უღლისაგან გათავისუფლებულ სა-ქართველოში გაეჩაღებინათ მშობლიური ქვეყნის ახლებური ცხოვ-რებისათვის საჭირო საქმიანობა.

ამ კეთილშობილური განზრახვით დაბრუნდა თბილისში ნიკო ნი-კოლაძის ოჯახი, პროფ. ალ. ცაგარელი, ივანე ჯავახიშვილი და მის ირგვლივ შემოკრებილი მეცნიერი ახალგაზრდობა.

დემოკრატიული ინტელიგენციის ნაწილი შედარებით გულგრილად უყურებდა პარტიათა შეურიგებელ ბრძოლას, მიაჩნდა, რომ რევო-ლუციის შემდეგ ქართველ ხალხს, რომელმაც ცარიზმის კოლონიური ჩაგვრის უღელი უკვე გადაიგდო, დაუდგა ეროვნულ-კულტურული აღორძინების პერიოდი. ეროვნულ-საგანმანათლებლო დაწესებულება-თა შექმნას იგი ყველაზე საშერ საქმედ თვლიდა და მთელი ენთუზი-აზმით მონაწილეობდა მათ პრაქტიკულ განხორციელებაში.

ასეთ ეროვნულ საქმედ შეგვეძლო მრავალი დაგვესახელებინა, მაგრამ გამოვყოფთ ყველაზე მნიშვნელოვანს — ქართული უნივერსი-ტეტის, კონსერვატორიისა და კავკასიოლოგიის სამეცნიერო-კვლევი-თი ინსტიტუტის შექმნას. ამ უმნიშვნელოვანეს დაწესებულებათა და-არსების ინიციატივა ქართველი დემოკრატიული ინტელიგენციიდან წამოვიდა.

ზემოთ ჩვენ ვისაუბრეთ იმ გეგმაზომიერი, მიზანსწრაფული საქ-მიანობის შესახებ, რასაც ქართველი დემოკრატიული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები თბილისში ეროვნული უნივერსიტე-

ტის გახსნისათვის ეწოდნენ. თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ მათ ოცნებას და სამზადისს რეალური საფუძველი შეუქმნა.

რევოლუცია არც კი იყო დამცხრალი, როცა პეტროგრადში ივანე ჯავახიშვილმა ქართველ ინტელიგენტთა ერთი ჯგუფი შეკრიბა და პირველი თათბირი გამართა თბილისში უნივერსიტეტის გახსნის თაობაზე. ამ თათბირს ესწრებოდნენ შემდეგში გამოჩენილი მეცნიერები — ა. შანიძე, ი. ყიფშიძე, შ. ნუცუბიძე და სხვ. თათბირზე წარმოიჭრა რიგი საკითხებისა, რომელთა გადასაწყვეტად საჭირო იყო ქართველი ინტელიგენციის უფრო ფართო წრის მხარდაჭერა. ასეთი თათბირი შედგა კიდეც კინოთეატრ „ელიტას“ დარბაზში, სადაც მოხსენებით გამოვიდა ი. ჯავახიშვილი. მან აქ მოხსენა ეროვნული უნივერსიტეტის გეგმა და მისი განხორციელების გზებზეც მიუთითა. კრებაზე აზრთა სხვადასხვაობამ იჩინა თავი იმის თაობაზე — გაეხსნათ უნივერსიტეტი თუ პოლიტექნიკური ინსტიტუტი, უმრავლესობამ უნივერსიტეტს დაუჭირა მხარი.

1917 წ. მაისში ი. ჯავახიშვილი უკვე თბილისშია და ფართო პროპაგანდას ეწევა უნივერსიტეტის გახსნის თაობაზე. იგი საჯარო მოხსენებებით გამოდის თბილისში, ქუთაისში, ქართველი ინტელიგენციის ნაწილი სკეპტიკურად უყურებდა თბილისში უმაღლესი სასწავლებლის გახსნას — იგი ნაადრევად მიაჩნდა. ი. ჯავახიშვილის გარშემო თანდათან შეიკრიბნენ ენთუზიასტი მოღვაწეები: ა. შანიძე, ი. ყიფშიძე, ე. თაყაიშვილი, ფ. გოგიჩაიშვილი, კ. კეკელიძე და სხვები, რომლებმაც ი. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით ფართო საუნივერსიტეტო პროპაგანდა გააჩაღეს. 12 მაისს თბილისში შედგა ქართველი ინტელიგენციის კრება, სადაც ი. ჯავახიშვილმა ვრცელი მოხსენება წაიკითხა მომავალი უნივერსიტეტის სტრუქტურასა და მუშაობაზე. მომხსენებლის მიერ წამოყენებული პრაქტიკული წინადადებების განხორციელებისათვის კრებამ შექმნა „ქართული უნივერსიტეტის საზოგადოება“. საუნივერსიტეტო წესდების და რიგი ორგანიზაციული საკითხების გადასაწყვეტად შეიქმნა აგრეთვე კომისია, რომლის შემადგენლობაში ი. ჯავახიშვილთან ერთად შევიდნენ ე. თაყაიშვილი, ფ. გოგიჩაიშვილი, ი. ლორთქიფანიძე, მ. გრუზინსკი და სხვ.

1917 წლის ზაფხულ-შემოდგომაზე ი. ჯავახიშვილმა შეადგინა უნივერსიტეტის დებულების პროექტი, რომელიც კომისიამ მოიწონა და მთავრობას გადაუგზავნა დასამტკიცებლად. დიდი ბრძოლა იყო საჭირო სახსრებისათვის, რადგან უნივერსიტეტი, როგორც კერძო და-

წესებულება, ხალხის შემოწირულებათა ბაზაზე უნდა შექმნილიყო. ასევე სირთულეს ქმნიდა კვალიფიცური ქართველი სპეციალისტების მოწვევა, რომლებიც რუსეთსა და უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებში იყვნენ გაფანტული. დაბრკოლება აღმოჩნდა იმ მხრივაც, რომ დროებითმა მთავრობამ მხოლოდ რუსული უნივერსიტეტის დაარსებას დაუჭირა მხარი, დროებითი ბურჟუაზიული მთავრობა ამიერკავკასიაში მისი ფილიალი ოზაკომი და ბურჟუაზიული პარტიები ქართული უნივერსიტეტის სახელმწიფო ხარჯზე გახსნას აბრკოლებდნენ.

ი. ჯავახიშვილი ყველა ღონეს ხმარობდა, რათა უნივერსიტეტის გახსნა არ გაჭიანურებულიყო. ორგანიზაციული საქმეების მოსაგვარებლად მისი წინადადებით „უნივერსიტეტის საზოგადოებამ" ორი კომისია შექმნა — აკადემიური და ფინანსური, აკადემიურს ი. ჯავახიშვილი ჩაუდგა სათავეში, ფინანსურს — ფ. გოგიჩაიშვილი. აკადემიურ კომისიაში ცხარე მსჯელობა წარმოებდა იმის თაობაზე, თუ რა სპეციალობანი იქნებოდა წარმოდგენილი მომავალ უნივერსიტეტში. იმდროინდელ შესაძლებლობათა გათვალისწინებით, ი. ჯავახიშვილმა მოითხოვა, ჯერჯერობით, სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტით დაკმაყოფილებულიყვნენ. სამაგიეროდ, ამ ფაკულტეტს ექნებოდა ჰუმანიტარული, მათემატიკური და საბუნებისმეტყველო განხრები.

26 ნოემბრის სხდომა მიეძღვნა უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ-სასწავლო აპარატის ორგანიზაციას. შედგა პროფესორთა პირველი კოლეგია, რომელშიც შეიდნენ: ი. ჯავახიშვილი, პ. მელიქიშვილი, ე. თაყაიშვილი, ა. შანიძე, ი. ყიფშიძე, ა. ბენაშვილი, კ. კეკელიძე, დ. უზნაძე, ფ. გოგიჩაიშვილი, ა. რაზმაძე, ს. ავალიანი, შ. ნეცუბიძე, გ. ახვლედიანი, იუსტ. აბულაძე, ე. ორბელიანი, ვ. ღამბაშიძე. კოლეგიამ უნივერსიტეტის რექტორად აირჩია პეტრე მელიქიშვილი, რუსეთსა და ევროპაში აღიარებული მეცნიერი. სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანობა ი. ჯავახიშვილს დაეკისრა.

1918 წლის 26 იანვარს ქართული უნივერსიტეტი გაიხსნა ქალაქის პირველი გიმნაზიის შენობაში. მთელმა ერმა იზეიმა ეს ისტორიული დღე. ამ დღეს ი. ჯავახიშვილს პირველი ლექცია უნდა წაეკითხა, მაგრამ დარბაზში იმდენი ხალხი მოზღვავდა, რომ ლექციის ჩატარება შეუძლებელი გახდა. 30 იანვარს, სავსე დარბაზში, ქართულ უნივერსიტეტში ივანე ჯავახიშვილმა წაიკითხა პირველი ლექცია თემაზე: „პიროვნება და მისი როლი ძველ ქართულ ისტორიულ-ფილოსოფიურ მწერლობასა და ცხოვრებაში".

თბილისის უნივერსიტეტის დაარსებისათვის ი. ჯავახიშვილის და-

უცხრომელი და ხანგრძლივი შრომა გმირული ეპოპეაა. ქართული უნივერსიტეტის პირველი რექტორი სახელგანთქმული მეცნიერი პეტრე მელიქიშვილი 1924 წ. უნივერსიტეტის საბჭოს სხდომაზე საგანგებოდ აღნიშნავდა: „ივანე ჯავახიშვილი ბრძანდება ერთადერთი დამაარსებელი, სულისჩამდგმელი და ერთადერთი რაინდი ჩვენი უნივერსიტეტისა, აქ მას ვერავინ შეეცილება და შეეზიარება"[1].

მეორე დიდმნიშვნელოვანი ეროვნული აქტი, რომელიც თბილისის უნივერსიტეტის დაარსების პარალელურად განხორციელდა, იყო თბილისის კონსერვატორიის შექმნა.

თბილისის კონსერვატორიის დაარსება არ მომხდარა ერთბაშად. მას წინ უძღოდა ხანგრძლივი დროის მოსამზადებელი მუშაობა. თბილისში არსებული სამუსიკო სასწავლებლის კონსერვატორიად გადაკეთების საკითხი ჯერ კიდევ XIX ს. 90-იან წლებში დაისვა. საკითხის დაყენების ინიციატორი იყო კომპოზიტორი იპოლიტოვ-ივანოვი, მაგრამ რუსეთის სამუსიკო საზოგადოების დირექციამ ეს წინადადება არ გაიზიარა. ამ საზოგადოებაში მოკალათებულ შოვინისტებს კავკასიაში უმაღლესი სამუსიკო სასწავლებლის შექმნა „ნაადრევად" მიაჩნდათ. კონსერვატორიის დაარსებას მოწინააღმდეგენი „მთავარ დირექციაში" მოუმრავლდნენ 1905—1907 წწ. რევოლუციის შემდეგ, რადგან კავკასიას ამ რევოლუციაში ერთ-ერთი მოწინავე უბანი ეკავა.

1912 წლის მარტში პეტერბურგში რუსეთის სამუსიკო საზოგადოების სასწავლებლების და განყოფილებათა დირექტორების პირველ ყრილობაზე საგანგებოდ აღინიშნა რიგი სამუსიკო სასწავლებლების მაღალი დონე და დაისვა კიდეც საკითხი მათთვის კონსერვატორიის ტიტულის მინიჭებაზე (სარატოვის, კიევის, ოდესის, ხარკოვის, სამუსიკო სასწავლებლები). ამ მოწინავეთა შორის თბილისის სამუსიკო სასწავლებელიც აღმოჩნდა. ეს წინადადება მართლაც განხორციელდა ზემოაღნიშნულ მუსიკალურ სასწავლებელთა მიმართ. თბილისის სამუსიკო სასწავლებელი კი განზე დარჩა[2].

სამუსიკო საზოგადოების თბილისის განყოფილებამ მრავალჯერ აღძრა სასწავლებლის კონსერვატორიად გადაკეთების საკითხი. მაგრამ მთავარი დირექცია ყოველმხრივ აკავებდა ამ საქმის გადაწყვეტას. მოწინავე რუსი მუსიკოსები მიესალმებოდნენ თბილისში კონსერვატორიის გახსნას და თვლიდნენ, რომ თბილისის სამუსიკო სას-

---

[1] იხ. ა. სერგულაძე, ივანე ჯავახიშვილი, 1976, გვ. 13—16.

[2] არჩილ მშველიძე, სამუსიკო განათლება საქართველოში, 1976, გვ. 196.

წავლებელი უკვე დიდი ხანია იდგა ამ დონეზე. პეტროგრადის კონსერვატორიის დირექტორი ა. გლაზუნოვი 1915 წ. თავის დასკვნაში წერდა: „კავკასიაში კონსერვატორიის დაარსება მე მიმაჩნია ფრიად საჭირო და სასარგებლო საქმედ. კონსერვატორიის საჭიროება ამ მხარეში შინაგანი მოთხოვნილებით არის განპირობებული. დარწმუნებული ვარ, რომ თბილისის სამუსიკო სასწავლებელი, რომელმაც დიდი ხანია სახელი მოიხვეჭა თავისი ნაყოფიერი მოღვაწეობით და საქმის უნარიანი გაძღოლით, შეძლებს მომავალშიც დაძლიოს როგორც პედაგოგიური, ისე ფინანსური ხასიათის ახალი და რთული ამოცანები[1].

რუსეთის მოწინავე მუსიკალური წრეების მხარდაჭერის მიუხედავად, საზოგადოების „მთავარი დირექცია“ სხვადასხვა მიზეზით კონსერვატორიის გახსნას აჭიანურებდა. მხოლოდ 1917 წ. იანვარში — ისევ გლაზუნოვის, იპოლიტოვ-ივანოვის და თბილისის განყოფილების უფროსის ნ. ნიკოლაევის აქტიური ჩარევით „მთავარმა დირექციამ“ მიიღო დადგენილება 1917 წ. 1 სექტემბრიდან თბილისში კონსერვატორიის გახსნის შესახებ.

თბილისის ინტელექტუალურ წრეებში ამ გადაწყვეტილებას დიდი სიხარულით შეხვდნენ. მიმდინარეობდა ფულად შემოწირულებათა შეგროვება, პედაგოგიური კადრების გადახალისება, შენობის გაფართოება და სხვ.

ამ ეტაპზე მოუსწრო კონსერვატორიის დაარსების საქმეს თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ. ახალ ვითარებაში ამ დიდი საქმის მთავარი ენთუზიასტები გახდნენ ზ. ფალიაშვილი, დ. არაყიშვილი, ვ. თულაშვილი და სხვები, რომლებიც ადრე ამ სასწავლებელში და ფილარმონიულ საზოგადოებაში მოღვაწეობდნენ და საფუძველს უყრიდნენ ქართულ საოპერო მუსიკასა და უმაღლეს სამუსიკო სასწავლებელს. რევოლუციამ კონსერვატორიის დაარსების გულშემატკივრებს ხელ-ფეხი გაუხსნა. სასწავლებლის სამხატვრო საბჭომ „ოზაკომს“ 1917 წ. 27 მარტს ასეთი შუამდგომლობით მიმართა: „რევოლუციამ სამუსიკო სასწავლებლის სამხატვრო საბჭო ახალი ამოცანების წინაშე დააყენა. მან დიდი მოსამზადებელი მუშაობა უნდა ჩაატაროს სასწავლებლის კონსერვატორიად გარდასაქმნელად, მაგრამ უუფლებობის გამო ამის განხორციელება მას არ შეუძლია. ეს

---

[1] ა ნ ი ბ ა ლ მ შ ვ ე ლ ი ძ ე, სამუსიკო განათლება საქართველოში, 1976, გვ. 199—200.

უფლება კი შეუძლია ჰქონდეს იმ შემთხვევაში, თუ სასწავლებელი კონსერვატორიად იქნება აღიარებული. ამისათვის გთხოვთ:

1. თბილისის სამუსიკო სასწავლებელი მიჩნეულ იქნას კონსერვატორიად დღიდან მისი დამტკიცებისა, 2. მიენიჭოს თბილისის კონსერვატორიას სამხატვრო საბჭოს ავტონომიის უფლება, ვიდრე გარკვეული იქნება „რუსული სამუსიკო საზოგადოების" შემდგომი არსებობის ბედი"[1].

„ოზაკომი" იძულებული გახდა აღძრული საკითხი დადებითად გადაეწყვიტა. დადგენილების მიღებისთანავე, 1917 წლის 2 მაისს, შედგა სამხატვრო საბჭოს სხდომა, სადაც კენჭისყრით ახლადშექმნილი კონსერვატორიის დირექტორად აირჩიეს ნ. ნიკოლაევი, ხოლო ინსპექტორად ზ. ფალიაშვილი. კონსერვატორიის დირექტორის თანამდებობა ნიკოლაევს 1 წლის განმავლობაში ეკავა. ახალი დირექტორის— ნ. ჩერეპნინის დანიშვნამდე კონსერვატორიას ფაქტიურად ზ. ფალიაშვილი განაგებდა.

კონსერვატორიის დაარსება დიდმნიშვნელოვანი ეროვნული ღონისძიება იყო. ქართველი ინტელიგენცია მთელი სულითა და გულით მიესალმა ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას. შეიქმნა მკვიდრი და საიმედო კერა სამუსიკო უმაღლესი განათლებისათვის, ეროვნული მუსიკალური კადრების აღსაზრდელად. კონსერვატორიის დაარსების საქმემ დააჩქარა ეროვნული რეპერტუარის დამკვიდრება თბილისის საოპერო სცენაზე. ამ დიდ საქმეს წლობით ამზადებდნენ ზაქარია ფალიაშვილი და მის ირგვლივ შემოკრებილი ქართველი მუსიკოსები. 1919 წ. 21 თებერვალს თბილისის ოპერის თეატრის სცენაზე პირველად დაიდგა ზ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი". დადგმა განახორციელა ა. წუწუნავამ. იმავე წლის აპრილში ქართველმა საზოგადოებრიობამ დიდი მადლიერებით იზეიმა ზ. ფალიაშვილის სამუსიკო მოღვაწეობის 25 წლისთავი. ამ თარიღთან დაკავშირებით კონსერვატორიის სამხატვრო საბჭომ ზ. ფალიაშვილს პროფესორის ხარისხი მიანიჭა[2].

კონსერვატორია იყო მეორე უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც ცარიზმის დამხობისთანავე ერთბაშად შექმნა საქართველოს დემოკრატიული ინტელიგენციის პირადმა ინიციატივამ. ერთიც და მეორეც ქართველი ხალხის გარჯით ჩამოყალიბდა, და არსებობდა ეროვ-

---

[1] არჩილ მშველიძე, სამუსიკო განათლება საქართველოში, 1976, გვ. 208—209.

[2] შალვა კაშმაძე, ზ. ფალიაშვილი, 1947, გვ. 35—36.

ნულ ორგანიზაციათა და კერძო პირთა შემოწირულებითა და რუდუ-ნებით.

1917 წელი საქართველოს დედაქალაქის მეცნიერულ ცხოვრებაში კიდევ ერთი თვალსაჩინო ფაქტით აღინიშნა. ეს იყო კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის დაარსება.

კავკასიოლოგიის სამეცნიერო ცენტრის თვით კავკასიაში შექმნისათვის ბრძოლას ხანგრძლივი ისტორია აქვს. ჯერ კიდევ 1906 წელს ნ. მარმა წამოაყენა წინადადება თბილისში სამეცნიერო აკადემიის გახსნის შესახებ, მაგრამ იმ მომენტსა და ვითარებაში, ეს აზრი, როგორც ი. ჯავახიშვილი აღნიშნავს, „უნიადაგო იყო". პირველი რევოლუციის შემდეგ მრავალჯერ დადგა საკითხი თბილისში კავკასიოლოგიის კვლევა-ძიების ცენტრის დაარსების შესახებ, მაგრამ მთავრობის წრეებში იგი დიდ წინააღმდეგობას აწყდებოდა ყოველთვის და პრაქტიკულად განუხორციელებელი რჩებოდა. ნ. მარმა ვერ მოახერხა სომხურ-ქართული ფილოლოგიის მოღვაწეთა ყრილობის მოწვევაც, თუმცა ამის თაობაზე რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ მთავრობის წინაშე 1913 წელს საკმაოდ დასაბუთებული მოხსენება წარადგინა. ყრილობის მოწვევის საორგანიზაციოდ თბილისში საგანგებო კომიტეტიც შეიქმნა ექვთიმე თაყაიშვილისა და ა. კალანტარის თავმჯდომარეობით. ბევრი შრომა დაიხარჯა აქაც და პეტერბურგშიც ამ ყრილობის მოწვევის მზადებაზე.

რევოლუციის წინ დაწყებული საქმე 1917 წლის 27 ივნისს დამთავრდა. — დამტკიცებულ იქნა დებულება თბილისში ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის დაარსების შესახებ.

ინსტიტუტი, როგორც ეს მის სარეკლამო განცხადებაშია აღნიშნული, მიზნად ისახავდა ფართო ხასიათის მეცნიერულ კვლევა-ძიებას კავკასიოლოგიაში და, ამ მხრივ, იმ ხარვეზების შევსებას, რაც ამ დარგში დასავლეთ ევროპასა და რუსეთის მეცნიერებაში არსებობდა. მისი საქმიანობის პროფილი განისაზღვრებოდა მეცნიერული კავკასიოლოგიით ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით. ინსტიტუტი შეუდგებოდა კავკასიის მოსახლეობის ენის, ყოფა-ცხოვრების და სიძველეთა შესწავლას, ნივთიერი და სულიერი კულტურის ფასეულობათა დაცვას, გაჩნევდა მეცნიერულ მოღვაწეობას ისტორიასა და არქეოლოგიაში, ლინგვისტიკაში, ეთნოგრაფიაში, ლიტერატურის ისტორიაში და ყველა იმ დამხმარე დისციპლინაში, რასაც კავკასიის ხალხთა წარსულ ცხოვრებასთან კავშირი ჰქონდა.

ახალი ინსტიტუტის ნამდვილ წევრად რუსეთის მეცნიერებათა აკა-

ღემიამ აირჩია აგრეთვე გიორგი ჩუბინაშვილი, ადიუნქტებად — ს. ტიგრანიანი და დ. გორდეევი. ნ. მარმა ინსტიტუტის სამეცნიერო ბაზის შესაქმნელად თბილისში გაგზავნა ანისის არქივი — უძველესი კოლექცია, სამწუხაროდ, არეულობის ვითარებაში ვაგონი გზაში დაიკარგა.

კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტი რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში პირველ პერიფერიულ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს წარმოადგენდა. ინსტიტუტს მესვეურობდა ექვთიმე თაყაიშვილი. ინსტიტუტის პირველ აქტივს ქმნიდნენ ი. ჯავახიშვილი, ი. ორბელი, კ. კეკელიძე, ნ. ადონცი, ლ. მელიქსეთ-ბეგი, ი. ყიფშიძე, იუსტ. აბულაძე, ა. ბაბახანიანი (ლეო), მ. აბეშიანი, ს. ლისიციანი, დ. ზავრიევი, ვ. ბერიძე, ა. ოვანესიანი, დ. გორდეევი, მ. კალაშნიკოვი, ნ. სევეროვი და სხვ.

ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მთავრობის მხრივ ხელის შეშლის მიუხედავად ინსტიტუტმა სასარგებლო საქმე გააკეთა მეცნიერული კავკასიოლოგიის განვითარების საქმეში[1].

* * *

რუსეთის პროლეტარიატისა და გლეხობის გმირული ბრძოლა ბურჟუაზიულ-ექსპლუატატორული რეჟიმის წინააღმდეგ 1917 წ. 25 ოქტომბერს გამარჯვებით დაგვირგვინდა.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დაამხო რა კაპიტალისტურ-მემამულური ჩაგვრის სისტემა მთელ იმპერიაში, შექმნა ქვეყნის ეკონომიკური, სამხედრო, კულტურული ჩამორჩენილობის ლიკვიდაციის პირობები და გზა გაუხსნა ხალხის შემოქმედებით ინიციატივას. ოქტომბრის რევოლუციამ სოციალური ჩაგვრის სისტემის მოსპობასთან ერთად დაამსხვრია ეროვნული ჩაგვრის უღელი და იმპერიის მრავალმილიონიან არარუს მშრომელებს რუს პროლეტარიატთან ერთად ახალი ქვეყნის მშენებლობის რეალური საფუძვლები ამოუშენა. რუსეთის ისტორიაში დაიწყო ახალი ეპოქა „ამიერიდან იწყება ახალი ხანა რუსეთის ისტორიაში, და რუსეთის ამ მესამე რევოლუციას საბოლოო შედეგად უნდა მოჰყვეს სოციალიზმის გამარჯვება"[2], — სიამაყით ამბობდა რევოლუციის დიდი ბელადი ვ. ი. ლენი-

---

[1] С. М. Джорбенадзе, Учреждения АН СССР и Тбилисский университет. Документы и факты, Тб., 1974, с. 47.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 26. გვ. 276.

ნი მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების II ყრილობაზე, რომელიც სწორედ სოციალისტური რევოლუციის დღეს შეიკრიბა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ უდიდესი ზეგავლენა მოახდინა მთელი კაცობრიობის ბედ-იღბალზე, გააქტიურა და დააჩქარა ხალხთა განთავისუფლების მსოფლიო ისტორიული პროცესი. ოქტომბრის შემდეგ მთელ ევროპაში ერთბაშად აზვირთდა რევოლუციური მოძრაობის ტალღა, რიგ ქვეყნებში განხორციელდა რევოლუციები. ვ. ი. ლენინი 1920 წ. მარტში მიუთითებდა იმის თაობაზე, რომ პირველ საბჭოთა რესპუბლიკას მსოფლიო მასშტაბით აღმოაჩნდა მოკავშირეები ყველა ქვეყანაში. ეს კავშირები „არსად არაა ჩაწერილი, არაა გაფორმებული, არაფერს არ წარმოადგენს „სახელმწიფო სამართლის" თვალსაზრისით, სინამდვილეში კი ხრწნად კაპიტალისტურ სამყაროში ყველაფერია. ყოველი თვე, როდესაც ჩვენ ბრძოლით ვიპყრობდით პოზიციებს, ანდა როდესაც მხოლოდ ვუმკლავდებოდით გაუგონრად ძლიერ მტერს, მთელ მსოფლიოს უმტკიცებდა, რომ ჩვენ მართალნი ვართ, და გვაძლევდა ადამიანთა ახალ მილიონებს"[1]. ოქტომბრის შემდეგ განსაკუთრებული ძალით გამოვლინდა საერთაშორისო პროლეტარული სოლიდარობა რუსეთში მომხდარ სოციალისტური რევოლუციისადმი. თავის მხრივ, საბჭოთა ქვეყანა საერთაშორისო რევოლუციურ და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას უწევდა მისთვის შესაძლებელ ყოველმხრივ დახმარებას[2].

ოქტომბრის რევოლუციის დასათრგუნავად რეაქციის შინაგანი და საერთაშორისო ძალების გაერთიანებული ძალებით გამოსვლის ვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა რევოლუციისადმი ფართო მასების მხარდაჭერის აუცილებლობამ. მუშათა კლასს, ამ რევოლუციის შემოქმედსა და ავანგარდულ ძალას, ახლა გვერდში უნდა ამოდგომოდნენ დემოკრატიის ძალები რუსეთსა და მთელ მსოფლიოში. სოციალიზმისა და კაპიტალიზმის გადამწყვეტ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში რევოლუციის ბედი დიდად იყო დამოკიდებული წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის განწყობილებაზე, მით უმეტეს, ისეთ წვრილბურჟუაზიულ ქვეყანაში, როგორიც იყო რუსეთი. ვ. ი. ლენინი კომინტერნის მეორე კონგრესისათვის დაწერილ თეზისებში ხაზს უსვამდა იმის აუცილებლობას, რომ „პროლეტარია-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 30, გვ. 543.

[2] Л. Б. Москвин, Рабочий класс и его союзники, с. 78.

ტის რევოლუციურმა ავანგარდმა, მისი კომუნისტური პარტიის სახით, უნდა მოიმხროს და თან გაიყოლიოს არა მარტო მთელი პროლეტარიატი ან მისი უდიდესი უმრავლესობა, არამედ მთელი მშრომელი და კაპიტალის მიერ ექსპლოატირებული მასაც... გამოგლიჯოს მოსახლეობის ეს უდიდესი უმრავლესობა ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში ბურჟუაზიისაგან დამოკიდებულებას; პრაქტიკული გამოცდილებით შთააგონოს მას ნდობა პროლეტარიატისა და მისი რევოლუციური ავანგარდის ხელმძღვანელი როლისადმი... გაანეიტრალოს ან უვხებელყოს აუცილებელი რყევა ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის, ბურჟუაზიულ დემოკრატიასა და საბჭოთა ხელისუფლებას შორის, რაც სჩვევია თითქმის ყველა მოწინავე ქვეყანაში ჯერ კიდევ საკმაოდ მრავალრიცხოვან, თუმცა მოსახლეობის უმცირესობის შესადგენელ კლასს წვრილი მეპატრონეებისას მიწათმოქმედებაში, მრეწველობაში, ვაჭრობაში და ამ კლასთან დაკავშირებულ ინტელიგენციის, მოსამსახურეების ფენას"[1].

ოქტომბრის რევოლუციის სწრაფმა გამარჯვებამ დემოკრატიული ინტელიგენციის რიგებში დაბნეულობა, მერყეობა და ეჭვები კიდევ უფრო გაზარდა. ინტელიგენცია ადვილად ეგებოდა კონტრრევოლუციური ბურჟუაზიული პრესისა და წვრილბურჟუაზიის შემთანხმებლური პარტიების ნაცადი ორატორების ანკეტაზე, რომლებიც ოქტომბრის რევოლუციას „ბლანკიზმად", რუსეთის ჭეშმარიტი თავისუფლების დალუპვად, კონტრრევოლუციისათვის გზის გახსნად მიიჩნევდნენ.

ვ. ი. ლენინი არ მალავდა იმას, რომ „ძველი რუსეთის ინტელიგენციის მთავარი მასა საბჭოთა ხელისუფლების პირდაპირი მოწინააღმდეგე აღმოჩნდა"[2]. და ეს ძნელად დასაძლევ დაბრკოლებადაც მიაჩნდა. მაგრამ რევოლუციის ბელადი აღფურფილი იყო იმის ღრმა რწმენით, რომ ძველი ინტელიგენციის დემოკრატიული ფენა გაერკვეოდა რა რევოლუციის ჭეშმარიტ შინაარსში, ჩადგებოდა საბჭოთა ხელისუფლების სამსახურში. ინტელიგენციის გულდაჯერებულ შემობრუნებას რევოლუციის მხარეზე კი ენიჭებოდა გადამწყვეტი მნიშვნელობა.

დემოკრატიული მასის რევოლუციის მხარეზე გადმოსვლის აუცილებლობის დასაბუთებას ვ. ი. ლენინი თვით სოციალისტური რევო-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ 31, გვ. 215.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 27, გვ. 545.

ლუციის ბუნებით ხსნიდა. აგრარული და ეროვნული საკითხი, მიუთითებდა ვ. ი. ლენინი, რუსეთში წვრილბურჟუაზიული მასის ძირითადი საკითხებია და სწორედ ამ საკითხების გამო პროლეტარიატი არ შეიძლება იზოლირებული იყოს, მას უსათუოდ მოჰყვება ხალხის უმრავლესობა. ქალაქისა და სოფლის საშუალო ფენების მიმართ სწორმა პოლიტიკამ პარტიას შესაძლებლობა მისცა მოეხდინა ნეიტრალიზაცია იმ სოციალური ჯგუფებისა, რომელთაც თავიანთი კლასობრივი ბუნების გამო საანალიზო, მერყეული პოზიცია ეკავათ და არ შეეძლოთ მაშინ გამხდარიყვნენ პროლეტარიატის ნამდვილი მოკავშირე[1].

მასწავლებელ ინტერნაციონალისტთა სრულიად რუსეთის ყრილობაზე 1918 წ. 5 ივნისს ვ. ი. ლენინი მიესალმებოდა მასწავლებელთა მხარდაჭერას ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის სოციალისტურ ღონისძიებებში. ლენინი მოუწოდებდა მასწავლებლობას მშრომელთა მთელ მებრძოლ მასასთან გაერთიანებას და მას სოციალისტური განათლების მთავარ არმიას უწოდებდა[2]. პროლეტარიატისა და მასწავლებლობის ერთობლივი ბრძოლა სოციალიზმის გამარჯვებისათვის ვ. ი. ლენინს გამარჯვების ერთ-ერთ პირობად მიაჩნდა.

• • •

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ ამიერკავკასიაზე უდიდესი ზეგავლენა მოახდინა. მან მკვეთრად შეცვალა მდგომარეობა: ერთი დაკვრით გადაატრიალა ყველა ურთიერთობა და მშრომელი კლასების ხელში დააყენა ძალაუფლების გადასვლის საკითხი. ლოზუნგმა „მთელი ძალაუფლება მუშებსა და გლეხებს!“ მეხივით დაიქუხა ჩვენს ქვეყანაში და ფეხზე დააყენა ჩაგრული მასები“[3].

მშრომელ მასებში სწრაფად გავრცელდა ხმა საბჭოების მეორე ყრილობაზე მიღებული პირველი დეკრეტების შესახებ. საბჭოთა ხელისუფლებისათვის მხარდაჭერა მუშათა მოძრაობის, აგრარული გამოსვლების ლოზუნგი გახდა.

მაგრამ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ჟამს, ბაქოს

---

[1] Л. Б. Москвин. Рабочий класс и его союзники, с. 71.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 27, გვ. 545—546.

[3] ი. ბ. სტალინი, ამიერკავკასიის კონტრრევოლუციონერები სოციალიზმის ნიღბით, ტ. 4, გვ. 57.

გამოკლებით. სადაც პროლეტარიატმა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების გააფთრებული წინააღმდეგობის მიუხედავად, მაინც შეძლო საბჭოების ხელისუფლების გამოცხადება და ნავთობის ქალაქი სოციალისტური რევოლუციის პირველ ციტადელად გადააქცია, საერთოდ, ამიერკავკასიაში კონტრრევოლუცია უკეთ ორგანიზებული აღმოჩნდა. შეძლებულმა კლასებმა შემთანხმებლური პარტიების მხარდაჭერით ოქტომბერ-ნოემბერში მოახერხეს საერთო ამიერკავკასიული კონტრრევოლუციური ხელისუფლების ორგანიზაცია (ამიერკავკასიის კომისარიატი) და დასავლეთ ევროპის იმპერიალისტური სახელმწიფოების მხარდაჭერით ენერგიულად შეუდგნენ ბაქოს საბჭოთა ხელისუფლებისა და ამიერკავკასიის სხვადასხვა რაიონში გაჩაღებული რევოლუციური გამოსვლების ლიკვიდაციას.

ამიერკავკასიის კომისარიატში, რომელიც სოციალისტური რევოლუციის წინააღმდეგ კონტრრევოლუციურ ძალთა გაერთიანებას წარმოადგენდა, ხელმძღვანელი პოზიცია მენშევიკებმა დაიკავეს. ეს პარტია, რომელიც თავის თავს სოციალისტურს უწოდებდა, თავიდანვე მტრულად შეხვდა პეტროგრადში ბოლშევიკების მიერ ძალაუფლების აღებას და მოითხოვდა რევოლუციის „მშვიდობიან და დაუყოვნებლივ ლიკვიდაციას".

სოციალისტური რევოლუციისადმი სიძულვილმა მენშევიკები ადვილად დააკავშირა ამიერკავკასიის ყველა იმ ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ პარტიებთან, რომლებიც ოქტომბრის რევოლუციაში თავიანთი იდეალების დასამარებას ხედავდნენ. ამიერკავკასიის „სოციალისტური" ესერულ-მენშევიკური ინტელიგენცია „ავტომატურად მოიქცა შეძლებულ კლასებთან კავშირში", რომელმაც თავის მხრივ იმპერიალისტურ ქვეყნებს ამიერკავკასიაში გაჩაღებული მუშურ-გლეხური რევოლუციის ჩასახშობად მოუწოდა. სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება მთელი სამი წლით შეფერხდა.

როგორც ცნობილია, 1917 წ. ნოემბრის მიწურულში, როცა თბილისის მენშევიკურმა საბჭომ ხელთ იგდო თბილისის არსენალი, რომელსაც ბოლშევიკურად განწყობილი გარნიზონი იცავდა, რსდმპ (ბ) სამხარეო კომიტეტში დასვა საკითხი ამიერკავკასიის კონტრრევოლუციის წინააღმდეგ შეიარაღებული გამოსვლის შესახებ. სწორედ ამ მომენტში თურქეთის ფრონტიდან დაიძრა რუსეთის არმია, რომლის ჯარისკაცთა უმრავლესობა ბოლშევიკურად იყო განწყობილი. სამხარეო კომიტეტის ზოგიერთი წევრი იმედს სწორედ ამ არმიაზე ამყარებდა. ბოლშევიკური პარტიის სამხარეო კომიტეტმა საკითხის ყო-

ველმხრივი შესწავლის შემდეგ მიზანშეწონილად ცნო იმ მომენტში შეიარაღებული აჯანყებისაგან თავი შეეკავებინა და საბჭოთა ხელისუფლებისათვის მშვიდობიანი ბრძოლის ტაქტიკით შეემზადებინა კონტრრევოლუციასთან გადამწყვეტი შეჯახების უფრო ხელსაყრელი ვითარება.

1917 წ. ნოემბერ-დეკემბერში თბილისში შეიარაღებული აჯანყებისა და ამასთან დაკავშირებით ბოლშევიკების სამხარეო ცენტრის ტაქტიკაზე მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. ავტორთა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ სამხარეო კომიტეტმა შეცდომა დაუშვა და არ გამოიყენა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის შეიარაღებული აჯანყების ხელსაყრელი ვითარება. ზოგის აზრით, ამიერკავკასიის ბოლშევიკების ტაქტიკა სწორი იყო. იგი რეალური ვითარებიდან გამომდინარეობდა, რადგან იმ მომენტში შეიარაღებული გამოსვლა და ხელისუფლების მოპოვება კავკასიის არმიის დახმარებით საეჭვო იყო და დროებითი წარმატების ვითარებაშიც, საბოლოოდ განწირული ჩანდა. ძალთა თანაფარდობა იმ დროს კონტრრევოლუციას აძლევდა უპირატესობას. ამიერკავკასიაში ყოველი მხრიდან იმპერიალისტური ინტერვენციისა და თვთრგვარდიული კონტრრევოლუციის რკალში იყო მოქცეული.

ჩვენ ვიზიარებთ მეორე მოსაზრებას და მისი დასაბუთება შეძლებისდაგვარად ვცადეთ კიდეც[1].

ჩვენ ვთვლით, რომ ამიერკავკასიის ბოლშევიკური სამხარეო კომიტეტის ტაქტიკა 1917 წ. ნოემბერ-დეკემბერში მოვლენების ღრმა ანალიზს ეფუძნებოდა, ამავე დროს დიდად უწევდა ანგარიშს ამიერკავკასიის წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის განწყობილებას. ბოლშევიკებს, როცა ისინი ერიდებოდნენ კონტრრევოლუციის გამოწვევას და გარკვეული დროით სდებდნენ შეიარაღებულ აჯანყებას, მხედველობაში ჰქონდათ შემდეგი გარემოებანი:

1. კონტრრევოლუციას გვარდიისა და ეროვნული ნაწილების სახით ჰყავდა მზა შეიარაღებული ძალა. ბოლშევიკები კი თავიანთი შეიარაღებული ძალების ფორმირებას ის-ის იყო იწყებდნენ.

2. კავკასიის არმია, მასში ბოლშევიკური გავლენის გაძლიერების მიუხედავად, მყარ და საიმედო ძალას მაინც არ წარმოადგენდა. ჯერ

---

[1] აკ. სურგულაძე, ბრძოლა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ამიერკავკასიაში (1917—1918 წწ.), თბ., 1957; А. Н. Сургуладзе. Закавказье в борьбе за победу социалистической революции. Тб., 1971. с. 60—75; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 6, გვ. 515—542.

ერთი, ეს არმია თურქეთის ფრონტზე იყო დაკავებული, რადგან თურქეთთან დროებითი ზავი დადებული არ ყოფილა. მეორეც, სხვადასხვა პარტიის დაჯგუფებას აყოლილი ჯარისკაცები შინაომის, ძმათამკვლელი სისხლისღვრის გაჩაღების საშიშროებას ქმნიდნენ.

3. ამიერკავკასიის მუშებისა და გლეხების დიდი ნაწილი შემთანხმებლობისადმი გულდანდობის ვითარებაში იმყოფებოდა და პოლიტიკურად გათვითცნობიერებული კიდევ არ ყოფილა. მოვლენებში გაეოკვეველი იყო დემოკრატიული ინტელიგენცია, რომელიც მერყეევი ნერვიულბურჟუაზიული მასის სულისკვეთებას ასახავდა და ტკბებოდა თებერვლის რევოლუციის მოჩვენებითი თავისუფლებით. ეს ნათლად ჩანს დამფუძნებელი კრების დეპუტატთა არჩევნების შედეგებში. ოქტომბრის რევოლუციის დიადი საქმეები მასების უდიდეს უმრავლესობას ჯერ კიდევ გააზრებული არ ჰქონია. ამ ვითარებაში საბჭოების საშხარეო და ადგილობრივი ორგანოების გარეკვა და ისევ საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადება გარედან თავზე მოხვეულ აქტად გამოიყურებოდა.

4. ამიერკავკასიის რევოლუციური ძალები იზოლირებული იყვნენ. საბჭოთა რესპუბლიკასა და ამიერკავკასიას სამხრეთის კონტრრევოლუციის ზონა სთიშავდა. ამავე დროს, ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური ძალების დასახმარებლად მზად იყვნენ, ერთი მხრივ, გერმანია-თურქეთის, მეორე მხრივ, ანტანტის შეიარაღებული ძალები (ამ ვითარებამ განაპირობა ბაქოს კომუნის ტრაგედია).

5. კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან, ვ. ი. ლენინისაგან ამიერკავკასიელ კომუნისტებს არ ჰქონიათ დირექტივა დაუყოვნებლივი, შეიარაღებული აჯანყებისა. ვ. ი. ლენინი ამიერკავკასიელ კომუნისტებს მუდამ მოაგონებდა თავი დაეღწიათ შაბლონისაგან და ემოქმედათ კონკრეტული ვითარების შესაბამისად.

6. დრო რევოლუციის სასარგებლოდ მოქმედებდა. საბჭოთა ხელისუფლება ტრიუმფალურად მიიწევდა წინ. კონტრრევოლუციის კერები თანდათან ქრებოდნენ. თვით ამიერკავკასიაში რევოლუციური განწყობილება იზრდებოდა, წითელი რაზმების ფორმირებაც მიმდინარეობდა. შეიარაღებული აჯანყების უფრო ხელსაყრელი მომენტის მოლოდინში ბოლშევიკები გულხელდაკრეფილნი როდი ისხდნენ. ახორციელებდნენ რა ხელისუფლების მოპოვების მშვიდობიან ტაქტიკას, ისინი ენერგიულად მოღვაწეობდნენ კონტრრევოლუციური კომისარიატის, შემთანხმებლური საბჭოების პოლიტიკის გამომზეურებისათვის. მასების თანდათანობითი გამოფხიზლებით ბოლშევიკები

ზრდიდნენ სოციალისტური რევოლუციის პოლიტიკური არმიის რიგებს.

სპეციალისტებისათვის ცნობილია, რომ 1917 წ. მიწურულის პოლიტიკურ მოვლენებზე ეს შეხედულება ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში აღიარებულია[1] და ახლა უკვე აღარავინ იმეორებს სამხარეო კომიტეტის უმართებულო კრიტიკას.

დღეისთვის ისიც კარგადაა გარკვეული, რომ რსდმპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი ოქტომბრის შემდეგ ძალაუფლების ხელში აღების საკითხში არც ერთი კურსის — არც მშვიდობიანის, არც შეიარაღებულის აბსოლუტიზაციას არ ახდენდა და მოქმედებდა ვითარების შესაბამისად, შექმნილი სიტუაციის მიხედვით[2].

ფაქტების ცალმხრივ დალაგებაზეა აგებული სომეხი მეცნიერის ც. პ. აღაიანის კონცეფცია, რომ, თითქოს, ს. შაუმიანი თავიდანვე წინააღმდეგი იყო ძალაუფლების მშვიდობიანი დაპყრობის ტაქტიკისა და შეიარაღებულ აჯანყებას მოითხოვდა.

ცნობილია, რომ სწორედ ს. შაუმიანი იყო წამყვანი ძალა ბაქოს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოში, რომელმაც ოქტომბრის რევოლუციისთანავე აღიარა საბჭოთა ხელისუფლება და მშვიდობიანი გზით სძლევდა კონტრრევოლუციის ყველა საბოტაჟს. ბაქოს ბოლშევიკურ კომიტეტს და მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს 1917 წ. ნოემბერ-დეკემბერში ერთხელაც არ დაუყენებია საკითხი კონტრრევოლუციის იარაღით დათრგუნვის შესახებ. ამ საბჭოს წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლა 1918 წ. თებერვალში კონტრრევოლუციურმა ძალებმა წამოიწყეს და სწორედ ამ პერიოდიდან იწყება გარდატეხა ამიერკავკასიის ბოლშევიკური ცენტრის ტაქტიკაშიც. იმ პერიოდში კი, როცა თბილისში მენშევიკებმა არსენალი დაიპყრეს და სამხარეო კომიტეტში დაისვა საკითხი აჯანყების შესახებ, ბაქოს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ გამოაქვეყნა განცხადება, რომ ბოლშევიკები წინააღმდეგი არიან ყოველგვარი შეია-

---

1 იხ. Н. Махарадзе, Победа социалистической революции в Грузии. Тб., 1965, ვ. ესაიაშვილი, ვ. ი. ლენინი და საქართველოს ბოლშევიკები; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VI, 1972; ბორის გუბელიძე, ქართველი მენშევიკების კრახი, 1978.

2 ბ. გუბელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 115; ს. კვაჭაძე, თბილისის ბოლშევიკები 1917 წელს. გვ. 339.

რაღებული გამოსვლისა და რომ ეს ხმები კონტრრევოლუციის პროვოკაციაა[1].

ს. შაუმიანი, რომელიც ამ დროს, როგორც ამიერკავკასიის საგანგებო კომისარი, პარტიის ცენტრალური კომიტეტის უშუალო მითითებით მოქმედებდა, მთავარ ამოცანად თვლიდა კავკასიის ფრონტიდან რუსეთის არმიის მშვიდობიან გაყვანას და არა ამ არმიის მისევას ამიერკავკასიის შემთანხმებლური სამხარეო ორგანოებისათვის. ამის ნათელი მოწმობაა მის მიერ დაწერილი მოწოდებანი არმიის მიმართ[2]. ამ პერიოდში ს. შაუმიანი მოითხოვდა საბჭოების საერთო კავკასიური ყრილობის მოწვევას — კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის.

სინამდვილე არ არის, თითქოს ს. შაუმიანს ამ პერიოდისათვის პირადად ვ. ი. ლენინის საგანგებო მითითება ჰქონდა ამიერკავკასიაში შეიარაღებული აჯანყების მოწყობის შესახებ[3]. ეს დებულება ემყარება ვარია კასპაროვას მოგონებას[4], რომლითაც იგი გამოვიდა 1927 წ. რკპ (ბ) პარტისტორიის დამხმარე ჯგუფის სხდომაზე ბაქოში. ცხადია, ეს მოგონება პირველწყაროს არ წარმოადგენს და ვერც მივცემთ უპირატესობას იმ დოკუმენტებთან შედარებით, რომელიც 1917 წ. დეკემბრით თარიღდება. კარგადაა ცნობილი ისიც, რომ სწორედ 1917 წ. 16 დეკემბერს, არსენალის ამბებიდან მე-15 დღეს სახალხო კომისართა საბჭოს სხდომაზე, რომელსაც ვ. ი. ლენინი ესწრებოდა, საგანგებოდ იქნა მოსმენილი ი. სტალინის მოხსენება კავკასიის მდგომარეობის შესახებ. ამ სხდომის დოკუმენტებში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი რომ კავკასიის ბოლშევიკური ცენტრი მცდარ პოზიციაზე იდგა, რომ მან შეცდომა დაუშვა, როცა არ გამოიყენა კავკასიის არმია და ამიერკავკასიაში არ დაანთო სამოქალაქო ომის ხანძარი. ამ სხდომაზე ს. შაუმიანი დანიშნულ იქნა კავკასიის საგანგებო კომისრად და მიეცა მითითება ემოქმედა ვითარების შესაბამისად.

ც. ბ. ალაიანი, წინააღმდეგობაში ვარდება, როცა ერთგან წერს, რომ ოქტომბრის შემდეგ ძალაუფლების ხელში ჩაგდება რიგ ადგი-

---

1 Газ. «Известия Бакинского Совета», № 207, 1917.

2 Борьба за победу Советской власти в Грузии, документы и материалы, с. 191.

3 Ц. П. Агаян, В. И. Ленин и создание Закавказских Советских республик, с. 60;

4 ЦГІА ИМЛ. ф. 70, д. 4. Л., 132—135.

ლებში მშვიდობიანი გზით მიმდინარეობდა, ამიერკავკასიაში კი ამ გზას საერთოდ გამორიცხავს[1].

სწორედ ოქტომბრის შემდეგ რუსეთის იმპერიის ასობით ქალაქში აჯანყებას ადგილი არ ჰქონია და ძალაუფლების მოპოვება მშვიდობიანი გზით მიმდინარეობდა. რუსეთის 69 საგუბერნიო ქალაქში აჯანყების გარეშე, უსისხლოდ დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება[2]. მთელ რუსეთში ოქტომბრის შემდეგ რევოლუციისა და კონტრრევოლუციის ძალთა სამკვდრო-სასიცოცხლო შეჯახება მიმდინარეობდა, მაგრამ ამ შეჯახების ცალკეულ უბნებზე, დროის ცალკე, კონკრეტულ მონაკვეთში, ვითარების შესაბამისი ბრძოლის ხერხები და მეთოდები სხვადასხვაგვარი იყო. შეიარაღებული აჯანყების ტაქტიკის მომხრენი შეიძლება შემედავონ, რომ ძალაუფლების მშვიდობიანი გზით აღების ტაქტიკამ შედეგები ვერ მოიტანა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება სამი წლით შეფერხდაო. მართალია, ამ ტაქტიკას წარმატება არ მოჰყოლია, მაგრამ შეიარაღებული გამოსვლა გაცილებით უარეს შედეგს მოიტანდა. იგი აქ გააჩაღებდა სამოქალაქო ომის ხანძარს, მაშინ, როცა სოციალისტური რევოლუციის ძალები სუსტი იყო, კონტრრევოლუციას კი მზა ძალები ჰყავდა და მხარში იმპერიალისტური ქვეყნები ედგა. მაგალითისათვის საკმარისია ბაქოს კომუნის ბედი. კავკასიელი ბოლშევიკების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იმ კონკრეტულ ვითარებაში ამიერკავკასიას თავიდან ააცილეს უმიზნო და უშედეგო სისხლის ღვრა, რომელიც ბოლშევიკებს სახელს გაუტეხდა და, საერთოდ, ჩამოაცილებდა წვრილბურჟუაზიულ დემოკრატიას.

საქართველოსა და მთელ ამიერკავკასიაში ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების 3 წლით შეფერხების ძირითადი მიზეზი იყო ამიერკავკასიის შეძლებული კლასებისა და მათი ინტერესების ამსახველი პარტიების კავშირი უცხოურ ინტერვენციასთან. ჯერ თურქულ-გერმანულმა, ხოლო შემდეგ ინგლისურ-ამერიკულმა ინტერვენციამ ამიერკავკასია გადააქცია საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ ბრძოლის პლაცდარმად და უზრუნველყო ხელისუფლების სათაეში მოქცეული ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების ბატონობა 3 წლის განმავლობაში. სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის მებრძოლ მშრომელ მასებს გადამწყვეტი დახმარება გაუწია წითელმა არმიამ, რომელმაც დათრგუნა თეთრგვარდიული კონტრრევოლუცი-

1 П. П. Агаян. Наз. труд.

2 И. И. Минц. Победа социалистической революции на местах. Жур. История СССР, 1937, с. 65.

ისა და დასავლური ინტერვენციის ერთობლივი წინააღმდეგობა.

უხერხულობის დაღი აზის ტენდენციას ბოლშევიკების სამხარეო ცენტრის მთელი შემადგენლობიდან საგანგებოდ გამოაცალკევონ ს. შაუმიანი და მხოლოდ მის დამსახურებას მიაწერონ ოქტომბრისშემდგომი მოვლენების სწორი გაგება. ამავე დროს ხელოვნურად გააფერმკრთალონ კომიტეტის დანარჩენი წევრების საქმიანობა.

ერთხელ კიდევ ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ კავკასიის ბოლშევიკების სამხარეო ცენტრის მოქნილმა, ვითარების ყოველმხრივი ანალიზიდან გამომდინარე, შაბლონისაგან თავისუფალმა ლენინურმა პოლიტიკამ უდიდესი როლი შეასრულა ბოლშევიკური პარტიისადმი დემოკრატიული ინტელიგენციის ნდობის განმტკიცებაში და გააძლიერა სოციალისტური რევოლუციის პოლიტიკური არმიის რიგების შევსება წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის რიგებიდან.

• • •

სოციალისტური რევოლუციისათვის ბრძოლაში საქართველოს დემოკრატიული ინტელიგენციის პოზიციას ძირითადად მაინც ეროვნული — სახელმწიფოებრივი კონცეფცია განსაზღვრავდა.

თებერვლიდან ოქტომბრამდე ქართველი მენშევიკები, რომელთაც წვრილბურჟუაზიულ დემოკრატიაში ყველაზე მეტი ნდობა ჰქონდათ მოპოვებული, ეროვნულ საკითხში შემთანხმებლურ-ოპორტუნისტული თვალსაზრისის მიუხედავად შორს იყვნენ სეპარატიზმისაგან და პროპაგანდას უწევდნენ რუსეთისა და საქართველოს რევოლუციური ძალების ერთიანობის აუცილებლობას. მაგრამ ამ პერიოდშიც, უფრო ზუსტად 1917 წ. სექტემბრიდან, როცა ინტერპარტიული საბჭო ჩამოყალიბდა, მენშევიკებმა სოციალისტ-ფედერალისტებთან და ეროვნულ-დემოკრატებთან ერთად დასტური მისცეს ეროვნული საჯარისო ნაწილების ფორმირებას. აქედან დაიწყო მათი დაქანება ნაციონალისტურ-სეპარატისტული პოზიციისაკენ.

1918 წ. აპრილში ამიერკავკასიის ბურჟუაზიულმა ფედერაციულმა მთავრობამ თავისი უგუნური პოლიტიკით თურქეთთან ურთიერთობა იმდენად გაართულა, რომ ქვეყანა ინტერვენციის რეალური საფრთხის წინაშე დააყენა. ამასთან დაკავშირებით ამიერკავკასიის სეიმში დაისვა საკითხი რუსეთიდან გამოყოფისა და დამოუკიდებელი ამიერკავკასიის გამოცხადების შესახებ, რასაც დაჟინებით მოითხოვდა თურქეთის მაშინდელი მთავრობა, რომელმაც ძალიან კარგად იცოდა, რომ

დამოუკიდებელ ამიერკავკასიას მისი ძალებისათვის გამკლავება არ შეეძლო, ხოლო ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის იურიდიული აღიარება ათავისუფლებდა მას ბრესტის ზავის შეზღუდვისაგან და ახალი დაპყრობებისათვისაც ხელ-ფეხს უხსნიდა.

სეიმში, სადაც წამყვან ძალას მენშევიკები წარმოადგენდნენ, საკითხი მაშინ ასე იდგა: ან რუსეთთან ერთად, რაც ბრესტის ხელშეკრულების აღიარებას და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკისადმი მხარდაჭერას გულისხმობდა, ან რუსეთთან კავშირის გაწყვეტა და ხელის აღება იმ ორიენტაციაზე, რომელიც მთელი საუკუნის განმავლობაში ამიერკავკასიის ხალხების ისტორიულ ბედიღბალს განსაზღვრავდა.

გასაკვირი არ უნდა იყოს სეიმის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური წვრილბურჟუაზიული პარტიების (მუსავატების, დაშნაკების, სოციალისტ-ფედერალისტების, ეროვნულ-დემოკრატების) პოზიცია. ისინი თავიდანვე ამიერკავკასიის დამოუკიდებლობაზე ოცნებობდნენ და მათი „ავტონომიზმი" ახალ ვითარებაში სხვა არა იყო რა, თუ არა რუსეთისაგან სავსებით მოწყვეტილი ბურჟუაზიული ამიერკავკასია.

არ შეიძლება გაკვირვება არ გამოიწვიოს „სოციალისტური" პარტიის — (მენშევიკების) პოზიციამ და ამ პოზიციის დასაბუთებამ სეიმის სხდომებზე. 1918 წ. 15 თებერვალს, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას რომ ეხებოდა, ნ. ჟორდანია ამბობდა: „ჩვენ ყოველთვის რუსეთისკენ მივისწრაფვით, მაგრამ სამწუხაროდ, ეს რუსეთია, რომელიც ჩვენ უფრო და უფრო გვშორდება. ჩვენ აღარ ვიცით, როგორ დავეწიოთ მას, როგორ გავუწოდოთ ხელი. ჩვენ ახლა აღარ შეგვიძლია განვსაზღვროთ რუსეთის ცენტრთან დამოკიდებულების ფორმები"[1].

9 აპრილის სხდომაზე, სადაც პრაქტიკულად დაისვა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადების საკითხი, სოციალ-დემოკრატი ონიაშვილი ახალი დასაბუთებით გამოვიდა: „...ამიერკავკასიის ხალხების წინაშე ახლა შექმნილია ასეთი ტრაგიკული მდგომარეობა: ან ვაღიაროთ ამიერკავკასია ამჟამად რუსეთის განუყოფელ ნაწილად და ამგვარად გავიზიაროთ სამოქალაქო ომის ყველა საშინელება, გარდუვალად გავხდეთ აქაც თურქეთის შემოსევის არენა, ან ვაღიაროთ დამოუკიდებლობა და საკუთარი ძალებით დავიცვათ ჩვენი ფიზიკური არსებობა. ერთადერთი გამოსავალია პოლიტიკური სუვერენობის აღი-

---

[1] Закавказский сейм, Стенографический отчет заседания 15 февр. 1918.

არება და შექმნა ამიერკავკასიის დამოუკიდებელი ფედერაციული რესპუბლიკისა"[1].

იმავე სხდომაზე სოციალ-დემოკრატი გიორგაძე გამოყოფის აუცილებლობას შემდეგნაირად ასაბუთებდა: „ამიერკავკასია გარკვეული დროიდან (ე. ი. რუსეთში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების დღიდან — ა. ს.) თავისი თვითმყოფადი დამოუკიდებელი ცხოვრებით ცხოვრობს საშინაო და საგარეო სფეროშიც. ეს ფაქტია და არავითარ დასაბუთებას არ მოითხოვს. თუ ეს სწორია, აქედან შემდეგი დასკვნაც უნდა გაკეთდეს: ამიერკავკასიას, როგორც ტერიტორიულ, ეკონომიკურ და სტრატეგიულ ერთეულს, არ შეუძლია იცხოვროს იზოლირებულად, არ შეუძლია იარსებოს სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობის გარეშე"[2].

ასეთი პოზიციის შემდეგ პათეტიკური, თვალთმაქცური იყო იმავე სხდომაზე მენშევიკ არსენიძის განცხადება იმის შესახებ, რომ დამოუკიდებლობის აღიარების მიუხედავად საქართველოს დემოკრატია სულიერად მუდამ იქნება რუსეთის დემოკრატიასთანო[3].

მენშევიკებმა კარგად იცოდნენ, რომ სეიმის ეს გადაწყვეტილება უპირისპირდებოდა ამიერკავკასიისა და საქართველოს მშრომელი ხალხების ინტერესებს, მთელი დემოკრატიის ინტერესებს. რუსეთთან თანაცხოვრების მთელი საუკუნის განმავლობაში ქართველი ხალხი, მისი ინტელიგენცია რუს ხალხთან ერთად და მისი ხელმძღვანელობით ებრძოდა ცარიზმს, ებრძოდა მემამულეთა და კაპიტალისტთა ბატონობას და როდესაც რუსეთის პროლეტარიატმა ეს ბრძოლა გამარჯვებით დააგვირგვინა, ამიერკავკასიის სოციალისტურმა პარტიებმა ზურგი შეაქციეს რუსეთს მხოლოდ იმის გამო, რომ იქ ხელისუფლების სათავეში ბოლშევიკები აღმოჩნდნენ. მენშევიკებმა დროზე იგრძნეს, რომ სოციალისტური რევოლუციის ტალღა ჩრდილოეთიდან ტრიუმფალურად მიიწევდა. დამოუკიდებლობა ამ ტალღის შეჩერების ბარიერი იყო.

მენშევიკები იმასაც გრძნობდნენ, რომ დამოუკიდებლობის კატეგორიული მოთხოვნით მათ უღალატეს ადრინდელი პროგრამით აღიარებულ პრინციპებს და ბურჟუაზიული სეპარატიზმისაკენ შებრუნდნენ. ამას დასაბუთება სჭირდებოდა: უბადრუკი იყო ამ ანტიხალხური

---

1 Закавказский сейм, Стенографический отчет заседания 9 апреля, 1918.
2 იქვე.
3 იქვე.

საბიჯის დასაბუთება ონიაშვილისა და ჟორდანიას მიერ. ჟორდანია ასეთი მოტივით ამართლებდა მენშევიკების მეტამორფოზას: „რადგან ჩვენ მიტოვებული ვართ ბედის ანაბარა, რადგან რუსეთმა, რომელიც 100 წლის განმავლობაში აქ გვიცავდა ჩვენ და ასე თუ ისე წესრიგს ამყარებდა, ამაზე უეცრად უარი თქვა, ამით მან უარი თქვა საკუთარ ორიენტაციაზე, და ამით ჩვენ მიგვითითა, რომ თვით ჩვენვე დავდგეთ ფეხებზე და თვითვე დავიცვათ ჩვენი თავი... როცა არის არჩევანი რუსეთი თუ თურქეთი, ჩვენ რუსებს ვარჩევთ, მაგრამ როცა არის არჩევანი თურქეთი თუ დამოუკიდებელი ამიერკავკასია, ჩვენ ვარჩევთ დამოუკიდებელ ამიერკავკასიას"[1]. მენშევიკი ონიაშვილი კი ჟორდანიაზე გაცილებით გულახდილი იყო, როცა ბოლშევიზმის საფრთხეს თურქეთის საფრთხესთან ათანაბრებდა და სეიმის 9 აპრილის სხდომაზე აცხადებდა: რუსეთის ორიენტაცია არსებითად რეაქციული ორიენტაციაა[2]. ამრიგად, მენშევიკები ცდილობდნენ ხალხისათვის თვალში ნაცარი შეეყარათ — ისე დაეხატათ მდგომარეობა, რომ თითქოს საბჭოთა რუსეთმა თვითონ აიღო ხელი საქართველოსა და ამიერკავკასიაზე და ბედის ანაბარა მიტოვებულ ამ პატარა ქვეყანას სხვა გზა არ გააჩნდა, გარდა დამოუკიდებლობის აღიარებისა.

რა თქმა უნდა, სხვა გზა იყო და იგი შეესაბამებოდა ამიერკავკასიის მშრომელი მასების ინტერესებს, მთელი დემოკრატიის ინტერესებს. ეს იყო საბჭოთა ხელისუფლების აღიარების, რუსეთის საბჭოთა მთავრობასთან ერთად შინაგანი კონტრრევოლუციისა და იმპერიალისტური ინტერვენციის წინააღმდეგ ბრძოლის გზა. ამიერკავკასიაში აზვირთებული რევოლუციური მოძრაობის მთავარი ლოზუნგიც ეს იყო. მენშევიკებმა ეს კარგად იცოდნენ, მაგრამ ხელისუფლების დაკარგვის შიშით მასების ინტერესების ფეხქვეშ გათელვა და კონტრრევოლუციურ ძალებთან დაკავშირება ამჯობინეს. დამოუკიდებლობის საკითხი მენშევიკებმა თბილისის საბჭოს სხდომაზეც გაიტანეს, მაგრამ ამ დროისთვის თბილისის საბჭოს შემადგენლობა მთლიანად შემთანხმებლური იყო და მათ არ გასჭირვებიათ მიეღოთ ამ ორგანოს დასტურიც.

სეიმისა და ფედერაციული რესპუბლიკის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებას, როგორც ცნობილია, საავალალო შედეგები მოჰყვა.

---

[1] Закавказский Сейм. Стеногр. отчет заседания 9 апр., 1918 г.

[2] იქვე.

ბრესტის სახავო ვალდებულებებისაგან ხელფეხგახსნილი თურქეთი ამიერკავკასიას შემოესია და მის სრულ დაპყრობას შეეცადა. თურქეთთან სეპარატული მოლაპარაკება ჯერ კიდევ ტრაპეზუნდში, შემდეგ ბათუმში თურქეთის კარნახით მიმდინარეობდა. ბათუმის ხელშეკრულება გაცილებით კაბალური აღმოჩნდა, ვიდრე ბრესტ ლიტოვსკისა. თურქეთის ხელში გადავიდა ბათუმისა და ყარსის ოლქები, ახალქალაქისა და ახალციხის მაზრები, სურმალოს მაზრა, ალექსანდროპოლისა და ეჩმიაძინის მაზრების სამი მეოთხედი. ტერიტორია, რომელიც ბათუმის ხელშეკრულებით საქართველომ დაკარგა, დაახლოებით 10000 კვ. კილომეტრს უდრიდა 350 ათასი სული მოსახლეობით[1]. თურქეთმა ამასთან მიიღო ამიერკავკასიის რკინიგზით თავისი ჯარების გადაყვანის უფლება. ჯარების გადაყვანა თურქეთს აზერბაიჯანში მუსავატური რეჟიმის დამყარებისათვის სჭირდებოდა. ფაქტიურად ეს ამიერკავკასიაში თურქეთის ინტერვენციის ახალ ეტაპს მოასწავებდა.

თურქეთის შემოსევა, რომელიც 1918 წ. თებერვალ-მაისში საქართველოს სრული დაპყრობით ემუქრებოდა, უმძიმესი ხანა იყო ქართველი ხალხისათვის, რომლის მსგავსი მას XVIII საუკუნის შემდეგ აღარ განუცდია. თურქებმა კელავ მიიტაცეს XIX ს. 70-იან წლებში დიდი სისხლით დახსნილი სამხრეთ საქართველოს მიწა-წყალი. ინტერვენტები პირდაპირ თბილისისკენ მიისწრაფოდნენ. ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის ჯარებს ძალა აღარ შესწევდათ შეეჩერებინათ რიცხობრივად ჭარბი მტერი. მუშათა კლასსა და გლეხობასთან ერთად ფეხზე დადგა ქართველი დემოკრატიული ინტელიგენცია. სტუდენტები, მოსწავლეები, მასწავლებლები მოხალისე რაზმებს ქმნიდნენ და ფრონტზე მიდიოდნენ სამშობლოს დასაცავად. მაგალითად, 1918 წ. 3 აპრილს, ახლადდაარსებული თბილისის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს საგანგებო სხდომამ ასეთი დადგენილება გამოიტანა: „უნივერსიტეტი არ დაიკეტოს და ლექციების კითხვა გაგრძელდეს. იმ სტუდენტთა და მსმენელთათვის, რომელნიც ომში წავლენ, გამოტოვებული ლექციები განმეორებულ იქნეს.

ეთხოვოს ვისაც ჯერ არს — დაყენებულ იქნეს საიმედო დარაჯები და ყოველგვარი ზომები იქნეს მიღებული, რომ საომარ ასპარეზად არ გახდეს უნივერსიტეტისა და მუზეუმების ახლომახლო მიდამოები. სა-

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VI, გვ. 570.

შიშროების მოახლოების დროს პროფესორები უნივერსიტეტის შენობაში უნდა დარჩნენ და ხელი შეუწყონ მის დაცვას"[1].

უნივერსიტეტის პროფესორთა ეს რაინდული საქციელი, ცხადია, გამონაკლისი არ ყოფილა. მთავრობის უგუნური პოლიტიკით გაბოროტებული ხალხი თვითონ აღსდგა საკუთარი ქვეყნის დასაცავად. თურქეთთან ბრძოლის პარალელურად საქართველოს მშრომელი მასები ებრძოდნენ ამიერკავკასიის კონტრრევოლუციას, რომელიც გზას უხშობდა სოციალისტურ რევოლუციას და წყალს ასხამდა თურქი დამპყრობლების წისქვილზე.

• • •

მენშევიკები განსაკუთრებულ დამსახურებად თვლიდნენ და „საქართველოს დემოკრატიის დიდ ისტორიულ მიღწევად" აცხადებდნენ 1918 წ. 26 მაისის აქტს. ამ დღეს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ უდღეური სეიმის ნანგრევებზე საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა გამოაცხადა. 1918 წლის 26 მაისის აქტი ქართველ საზოგადოებრიობას და ყველა სხვა ქვეყანას შემდეგი შინაარსით ეუწყა:

„მრავალსაუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო.

მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს, ყოველმხრით მტრისაგან შეიწროებული საქართველო, თავისი ნებით, შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო გარეშე მტრებისაგან დაეცვა.

რუსეთის დიდი რევოლუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შექმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი დაიშალა და რუსის ჯარმაც დატოვა ამიერკავკასია.

დარჩნენ რა თავის ძალ-ღონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერკავკასიამ თვით იდვეს თავს საკუთარი საქმეების გაძღოლა და პატრონობა და შესაფერისი ორგანოებიც შექმნეს. მაგრამ გარეშე ძალთა ზეგავლენით ამიერკავკასიის ერთა შემაერთებელი კავშირი დაირღვა და მით ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობა დაიშალა.

---

1 ს. ჯორბენაძე, თბილისის უნივერსიტეტის დაარსება და განვითარება, საიუბილეო კრებული, თბილისის უნივერსიტეტი. 1968, გვ. 35.

ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შექმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადარჩინოს და დამოუკიდებელი განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს.

ამის თანახმად საქართველოს ეროვნული საბჭო 1917 წ. 22 ნოემბერს არჩეული საქართველოს ეროვნული ყრილობის მიერ დღეს საყოველთაოდ აცხადებს:

1. ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

2. დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმაა დემოკრატიული რესპუბლიკა"[1].

ამავე დეკლარაციაში აღნიშნული იყო, რომ დამფუძნებელი კრების შეკრებამდე საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს გაუძღვებოდა ეროვნული საბჭო, რომელიც შეივსებოდა ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობით (პარლამენტი) და დროებითი მთავრობა, სადაც მეთაური პარტიის (სოციალ-დემოკრატიის) გარდა, წარმოდგენილი იქნებოდნენ სხვა პარტიებიც[2].

როგორც ვხედავთ, 26 მაისის აქტი ლოგიკური დასასრული იყო იმ საბედისწერო ნაბიჯისა, რომელიც მენშევიკებმა 1918 წ. 9 აპრილს გადადგეს, როცა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. იმ დროს მენშევიკებს შეეძლოთ ეთქვათ, რომ ისინი ამიერკავკასიის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პარტიებთან კოალიციაში მართავდნენ ქვეყანას და არ ჰქონდათ დამოუკიდებელი არჩევანის საშუალება, მაგრამ 26 მაისს მენშევიკები თვით გახდნენ თავიანთი თავის ბატონ-პატრონი. ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა მენშევიკები, მეორე ინტერნაციონალის პარტიებიდან, სახელმწიფოს საქმესთან დადგნენ და საკუთარი პროგრამის მიხედვით დაიწყეს საქართველოს საშინაო და საგარეო ბედ-იღბლის გამგებლობა.

პირველ რიგში, გავარკვიოთ რას წარმოადგენდა 26 მაისის აქტი და როგორ უყურებდა მას საქართველოს დემოკრატია, რომლის სახელით გამოდიოდნენ ეროვნულ პარლამენტში თუ დამფუძნებელ კრებაში

---

[1] საქ. სსრ ცსია, ფ. 1833, აღ. 1, საქ. № 466, ფურც. 3—4; გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", № 114, 26 მაისი, 1919.

[2] იქვე.

სოციალ-დემოკრატი ორატორები, რათა რუსეთიდან საქართველოს იძულებითი მოგლეჯის უგუნური პოლიტიკა გაემართლებინათ.

თუ თვალს გადავავლებთ და შევაფასებთ ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მთელ ისტორიას, რუსეთთან შეერთებიდან ვიდრე დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე, ნათლად დავინახავთ, რომ ეს მოძრაობა მიმართული იყო ცარისტული რეჟიმის წინააღმდეგ, იმ რეჟიმის წინააღმდეგ, რომელიც რუსეთის თვითმპყრობელობამ საქართველოში XIX ს. დასაწყისიდან დაამყარა. ებრძოდნენ რა ცარიზმის სამხედრო-ფეოდალურ ბატონობას, საქართველოს პროგრესული ძალები არასოდეს არ მოითხოვდნენ საქართველოს რუსეთიდან გათიშვას. მათ ყოველთვის სწამდათ, რომ ერთმორწმუნე ჩრდილოელმა მეზობელმა უდიდესი დახმარება გაუწია საქართველოს ირან-თურქეთის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში და გამოიყვანა აღმოსავლურ-მუსლიმანური გარემოცვიდან, რომელიც მის ტრადიციებს, კულტურას და ეროვნულ ვინაობასაც გაქრობის საშიშროებას უქადდა.

ცარიზმის კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველოს პროგრესული ძალების მთავარი იმედი და სასოება მუდამ იყო თვით რუსი ხალხი, მისი დემოკრატიული ძალები, რომლებიც დეკაბრისტებით დაწყებული და „ნაროდნაია ვოლიას" გმირებით დამთავრებული, თავგანწირვით უტევდნენ თვითმპყრობელობას და დემოკრატიული მმართველობის დამყარებას მოითხოვდნენ. XX საუკუნის დასაწყისიდან, როგორც ცნობილია, ამ ბრძოლას სათავეში ჩაუდგა რუსეთის გმირული მუშათა კლასი, რომელმაც გლეხობასთან კავშირში ბოლშევიკური პარტიის მეთაურობით შეძლო კიდეც ცარიზმის უღლის დამსხვრევა რუსეთში.

საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ყველა ეტაპს წითელ ზოლად გასდევს რუსეთის რევოლუციურ ძალებთან მჭიდრო კავშირი და ერთიანობა. ეს კავშირი და ერთიანობა მუდამ ფართოვდებოდა და ღრმავდებოდა ბრძოლის გააქტიურებასთან დაკავშირებით. პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ის მაღალი პრინციპები, რომელიც თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში რევოლუციურმა სოციალ-დემოკრატიამ თავის იდეურ დროშაზე წააწერა, ეფუძნებოდა რუს ხალხთან ერთად ცარიზმის წინააღმდეგ არარუსი ხალხების ერთობლივი ბრძოლის ტრადიციებს და დადებით გამოცდილებას.

ამრიგად, სეპარატიზმი, რუსეთიდან გამოთიშვა არასოდეს არ ყო-

ფილა ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბინაარსი. მისი იდეალი, იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქაში ეს მოძრაობა გულისხმობდა ექსპლოატატორული რეჟიმის ლიკვიდაციას, სოციალისტური წყობილების დამყარებას. ამ დიდი პროგრამისათვის ბრძოლაში წამყვანი ძალა რუსეთის პროლეტარიატი იყო. მხოლოდ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას შეეძლო დაემსხვრია სოციალური და ეროვნული ჩაგვრის უღელი და ქართველი ხალხისათვის ჭეშმარიტი, სოციალური დამოუკიდებლობა მოეპოვებინა.

ქართველი ხალხი, რა თქმა უნდა, მუდამ ეტრფოდა ეროვნულ თავისუფლებას, ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენას. მაგრამ ამის გა ხორციელება ფიქცია იყო ბურჟუაზიის ბატონობის ვითარებაში. მხოლოდ სოციალისტურ რევოლუციას ეკისრებოდა ეროვნულად ჩაგრული ხალხების განთავისუფლების მისია. ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკამ თავისი არსებობის პირველი დღიდანვე დეკლარაციულად აღიარა კიდეც ყოფილი რუსეთის იმპერიის ხალხთა სუვერენობა და თანასწორუფლებიანობა.

ამრიგად, 1918 წ. 26 მაისი — ეროვნული დამოუკიდებლობის დღე — თავისთავად, ისტორიული აქტი და საზეიმო დღე უნდა ყოფილიყო ქართველი ხალხისათვის. ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლას აქ უნდა ეპოვა დასასრული. ქართველმა დემოკრატიულმა ძალებმა მართლაც ამ თვალსაზრისით შეხედეს 26 მაისის აქტს და დაარაზმნენ კიდეც საქართველოს ეროვნულ-კულტურული აღორძინებისათვის, რასაც ცარიზმი უხშობდა გზას.

სინამდვილეში დამოუკიდებლობის მთელი ეს ზარზეიმი ფიქცია აღმოჩნდა და რეაქციის წისქვილზე ასხამდა წყალს. მენშევიკების ასეთი სწრაფი დაქანება ინტერნაციონალიზმიდან სეპარატიზმამდე ნაკარნახევი იყო არა ქართველი ხალხის ინტერესებით, არამედ ძალაუფლების შენარჩუნების მისწრაფებით. ნამდვილი ეროვნული თავისუფლების მოპოვება მხოლოდ საბჭოთა რუსეთთან ერთობლივი ბრძოლით, შინაური და საგარეო რეაქციული ძალების დამარცხებით შეიძლებოდა. მენშევიკებმა ეს გზა გადაკეტეს და დამოუკიდებლობის საფარქვეშ ქვეყანა გერმანელ დამპყრობლებს დაუწინდეს. ნიშანდობლივია ისიც, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის ჟამს გერმანელი იმპერიალისტები უკვე განაგებდნენ საქართველოს ბედ-იღბალს. სინამდვილეში უკვე განხორციელებული იყო გერმანელი ჯარების მიერ საქართველოს ოკუპაცია. სწორედ ამის თაობაზე შენიშნავდა ვ. ი. ლენინი:

ისაქართველოა ეს დამოუკიდებლობა ყოველად აშკარა მოტყუებად იქცა, — სინამდვილეში ეს არის საქართველოს ოკუპაცია და სრული დაპყრობა გერმანელი იმპერიალისტების მიერ, გერმანული ხიშტების კავშირი მენშევიკურ მთავრობასთან ბოლშევიკი მეშებისა და გლეხების წინააღმდეგ"[1].

დემოკრატიული ინტელიგენცია საქართველოს დამოუკიდებლობის აბრამ პირველ ხანებში ძირითადად მაინც წაიტყუა. სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტს ათეული წლებით მოწყურებული და უცხოეთის მჩაგვრელთა ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში მუდამ წინა ხაზზე მდგომ ინტელიგენციას სიამაყის გრძნობა დაეუფლა. იგი გულწრფელად შეიპყრო იმის ილუზიამ, რომ ამიერიდან დემოკრატიული საქართველო ხალხის სასიცოცხლო სურვილებს დააკმაყოფილებდა. ამიტომ იგი სრთგულად ჩაება პრაქტიკულ საქმიანობაში, ენთუზიაზმით მონაწილეობდა პირველ რიგში სკოლის ეროვნულების საქმეში, უმაღლესი სკოლის მშენებლობაში, ერობებში, შემოქმედებით ორგანიზაციებში. რა თქმა უნდა, დემოკრატიული ინტელიგენციის რიგებიდან უფრო ფხიზელი ადამიანები ძალზე ადრე დარწმუნდნენ. რომ მენშევიკური და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების ხმაური თვალთმაქცობა იყო და სინამდვილეში რევოლუციის ყველა მონაპოვარს ბურჟუაზია ეპატრონებოდა. ამ ადამიანებისაგან იზრდებოდა სოციალისტური რევოლუციის სარეზერვო ძალები.

• • •

მენშევიკები წვრილბურჟუაზიულ და ბურჟუაზიულ ნაციონალისტურ პარტიებთან კოალიციაში თითქმის სამი წლის განმავლობაში მართავდნენ საქართველოს, რომელსაც ისინი „დემოკრატიის სამოთხეს" უწოდებდნენ. საბჭოთა ისტორიოგრაფიაში კარგადაა გარკვეული, თუ რას წარმოადგენდა ეს „სამოთხე", რა მძიმე რეჟიმი შეუქმნეს მათ ქართველ ხალხს და როგორ მიიყვანეს ქვეყანა სრულ გაპარტახებამდე. შევეცდებით დემოკრატიული ინტელიგენციის თვალით ზოგადად შევაფასოთ საქართველოს მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკა, დავასაბუთოთ ის გულისაცრუება, რომელიც გამოიწვია ამ პოლიტიკის შედეგებმა ინტელიგენციაში.

რევოლუციამდელი საქართველოს ჩამორჩენილი ეკონომიკის ნგრე-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 28, გვ. 7—8.

ვა ჯერ კიდევ იმპერიალისტური ომის პირველი წლიდანვე დაიწყო. ომის მკაცრ გამოცდას ვერ გაუძლო მეფის რუსეთის სახალხო მეურნეობის დაბალმა დონემ. მიმდინარეობდა მწარმოებლური ძალების დაშლა და გაჩანაგება. მდგომარეობა არც ცარიზმის დამხობის შემდეგ გამოსწორებულა. ოზაკომი, მენშევიკურ-ესერული საბჭოები, ხოლო შემდეგ ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური კომისარიატი უუნარონი აღმოჩნდნენ გაეტარებინათ რაიმე ქმედითი ღონისძიებანი სამეურნეო ნგრევის თავიდან ასაცილებლად. კომისარიატი და ფედერაციული მთავრობა გამოდიოდნენ რა ამიერკავკასიის შეძლებული კლასების დამცველად, ქვეყნის ინტერესებს უმორჩილებდნენ, მემამულეებისა და ბურჟუაზიის ინტერესებს, დიდძალ სახსრებს ანდომებდნენ სამხედრო ძალების აღჭურვა-შენახვას, რომ ისინი საკუთარი მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ მიესიათ. მემამულური ექსპლოატაციით სულშეხუთულ გლეხობას თოხის ნაცვლად ხელში იარაღი ეჭირა და საკუთარ მთავრობას ეომებოდა. ჯარის ნაწილები, გვარდია ზამთარ-ზაფხულ ამიერკავკასიის სოფლებში დათარეშობდნენ და აპარტახებდნენ ხალხის ქონებას. ამას ერთვოდა თურქ დამპყრობთა შემოსევანი და გამანადგურებელი თარეში სამხრეთ საქართველოში.

გამუდმებული ბრძოლა მიმდინარეობდა მუშათა კლასსა და კაპიტალისტებს შორის. ზედიზედ ქრებოდა ისედაც სუსტი სამრეწველო კერები. მოშლილი იყო ტრანსპორტი, საფინანსო სისტემა, სიძვირე ყოველდღიურად მატულობდა, სპეკულაცია მხრებს შლიდა. ერთი სიტყვით, ქვეყანა კატასტროფისკენ მიექანებოდა.

ამგვარად, მენშევიკებმა მართლაც, მძიმე მემკვიდრეობა მიიღეს, მაგრამ სამი წელი, სრულიად საკმარისი იყო იმისათვის, რომ შეეჩერებინათ სამეურნეო ნგრევის პროცესი და საფუძვლები მაინც მოემზადებინათ მისი აღმავლობისათვის, მით უმეტეს, რომ მენშევიკებს ამ პერიოდში რუსეთის თეთრგვარდიული კონტრრევოლუციის თავდასხმა არ განუცდიათ. ხელისუფლების სათავეში ჩადგომისთანავე მენშევიკები ხალხს აღუთქვამდნენ ომით გამოწვეული ნგრევის ლიკვიდაციას და სახალხო მეურნეობის აღდგენას „ევროპის დემოკრატიის დახმარებით“.

მენშევიკების ბატონობის პერიოდში საქართველოს სამრეწველო ცხოვრება ინტენსიურ კვდომას განიცდიდა. თუ 1917 წ. მანგანუმის მოპოვება 12,5 მილიონ ფუთს აღემატებოდა, 1918 წ. იგი 1,5 მლნ ფუთამდე დაეცა. 1919—20 წლებში მანგანუმს თითქოს გაეხსნა საგარეო ბაზარი და მოპოვებასაც ერთგვარი აღმავლობა დაეტყო, მაგ-

რამ ადრინდელი დონე მაინც ვერ იქნა მიღწეული, მან 3,4 მლნ ფუთს ვერ გადააჭარბა. მკვეთრად შემცირდა მუშათა რაოდენობაც. 1913 წ. ჭიათურის მანგანუმის მრეწველობაში 3 500-მდე კაცი იყო დასაქმებული. 1919 წ. ეს რაოდენობა 256-მდე დავიდა[1]. 1918 წ. ოქტომბერში ჩამოყალიბდა „ჭიათურის მარგანეცის მრეწველთა საარტელო საზოგადოება", რომელმაც მთლიანად იგდო ხელთ მანგანუმის მოპოვების მონოპოლია. „ჭიათურის მარგანეცის საექსპორტო საზოგადოების კომიტეტი („ჩემო") დაკავშირებული იყო მენშევიკურ მთავრობასთან და მას უწევდა მსხვილ საფინანსო დახმარებას. „ჩემოსთან" მენშევიკური მთავრობის დამოკიდებულება ასახავდა სახელმწიფო აპარატის შესისხლხორცებას მსხვილ კაპიტალისტურ მონოპოლიასთან.

საგრძნობლად დაეცა ქვანახშირის მრეწველობა. 1919 წელს ქვანახშირის ტყიბულის საბადოებიდან მოპოვებულ იქნა სულ რაღაც 36 ათასი ტონა ქვანახშირი, ნაცვლად 70 ათასი ტონისა 1913 წელს. მუშათა რაოდენობა აქაც შემცირდა, მაღაროების დიდი ნაწილი ჩაინგრა.

ნგრევა-გაჩანაგებას განიცდიდა არა მარტო მომპოვებელი, არამედ დამმუშავებელი მრეწველობაც. მწყობრიდან ზედიზედ გამოდიოდნენ საწარმონი, რომელთაც არ გააჩნდათ არც ნედლეული, არც საწვავი მასალა, არც საწარმოო იარაღები. 1919 წ. ვაჭრობა-მრეწველობის დეპარტამენტი მთავრობის სახელზე მოხსენებაში აღწერდა მრეწველობის დაქვეითების სავალალო სურათს. 1920 წ. საქართველოს 392 საწარმოდან მუშაობდა 234. ნაწილობრივ 102. გაჩერებული იყო 56. 1920 წ. ნგრევისა და დაცემის პროცესი უფრო გაღრმავდა. ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს ამ წლის ანგარიშში მითითებულია, რომ ლითონის, ხე-ტყის, ტყავის, ზეთისა და საპნის, თამბაქოს, ქიმიური, ელექტრო და სამთამადნო მრეწველობანი კატასტროფულ მდგომარეობაში არიან. მცირდებოდა არა მარტო საწარმოთა რიცხვი, მოქმედ საწარმოებში ეცემოდა შრომის ნაყოფიერება. რკინიგზის მთავარ სახელოსნოში 1920 წლისათვის შრომის ნაყოფიერება 1914 წ. შედარებით ორნახევარჯერ იყო დაცემული.

მრეწველობის დაცემა-განადგურების ამ ფაქტებს მენშევიკი ორატორები დამფუძნებელი კრების სხდომებზე არ მალავდნენ, მაგრამ, ამასთან თავს იმართლებდნენ იმით, რომ ჯერ ერთი, მძიმე მემკვიდრეობა დახვდათ და მეორეც, ანარქია მძვინვარებს მთელ მსოფლიოში, პირველ რიგში, რუსეთშიო. საბჭოთა რუსეთს ამ წლებში მართლაც

---

[1] სტატისტიკური კრებული 1909—1921 წწ., 1923, გვ. 49.

მძიმე მდგომარეობა ჰქონდა, მაგრამ იქ უკვე იდგმებოდა ნგრევის თავიდან აცილების პირველი ნაბიჯები. მრეწველობის ნაციონალიზაციით საბჭოთა მთავრობა ნელ-ნელა თავს აღწევდა კატასტროფის საშიშროებას. მუშათა მასობრივი გმირობა და ენთუზიაზმი ზრდიდა შრომის ნაყოფიერებას. საფუძველი ეყრებოდა ქვეყნის სოციალისტური ეკონომიკის მშენებლობის დიად საქმეს. მენშევიკებმა კი ნგრევის თავიდან აცილებლად ვერაფერი მოახერხეს. მათ ნებაზე მიუშვეს კაპიტალისტი მრეწველები, ხელში ჩაუგდეს ქვეყანა უცხოელ დამპყრობლებს, დაანგრევეს ამიერკავკასიის მთლიანი ეკონომიკური სხეული, ვერ უზრუნველყვეს მუშათა კლასის დაინტერესება შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის ბრძოლაში.

ისეთ წვრილბურჟუაზიულ, გლეხურ ქვეყანაში, როგორიც საქართველო იყო, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა აგრარულ საკითხს. საქართველოს მშრომელი გლეხობა რევოლუციისაგან, პირველ რიგში, ამ საკითხის გადაჭრას მოითხოვდა. აგრარული კანონმდებლობანი, რომელიც საქართველოში კომისარიატისა და სეიმის პერიოდში გამოიცა, სრულებითაც არ უპასუხებდა მცირემიწიან და უმიწაწყლო გლეხთა ინტერესებს. იგი ფეოდალიზმის ზოგ. რევოლუციის მიერ ისედაც წარეცხილი ფეოდალური ვალდებულების გაუქმებას აკანონებდა.

ხელისუფლების სათავეში მოქცეულ მენშევიკებს აგრარული საკითხი მუდამ აწუხებდათ. იშვიათი იყო პარლამენტის ან დამფუძნებელი კრების სხდომა, რომ აგრარული პოლიტიკის უვარგისობასა და ამით გამოწვეულ გლეხთა პერმანენტულ უკმაყოფილებაზე ლაპარაკი არ ყოფილიყო, მაგრამ არსებითი ხასიათის ღონისძიება მაინც ვერ ხორციელდებოდა. მთავრობა 1917 წ. 7 დეკემბრის მიწის კანონის ფარგლებს ვერ სცილდებოდა და მის შეკეთებას ახდენდა მხოლოდ. 1919 წ. 28 იანვარს პარლამენტმა დაამტკიცა ახალი აგრარული კანონი, რომელიც ითვალისწინებდა მემამულეთათვის მიწების ჩამორთმევას და გლეხობისათვის მიყიდვას. ეს კანონი შეძლებულ გლეხთა ინტერესებს შეესაბამებოდა და აძლიერებდა სოფლად კულაკურ ფენას. ღარიბი გლეხობა კი ისევ პირში ჩალაგამოვლებული დარჩა. გლეხებიდან აძრობილი ტყავით მენშევიკური მთავრობა აპირებდა დაცარიელებული ხაზინის შევსებას.

აგრარული საკითხის მოუგვარებლობის გამო საქართველოს სოფელი მენშევიკთა ბატონობის მთელ მანძილზე დაუცხრომლად ბობოქრობდა. გლეხთა რევოლუციური გამოსვლები მძვინვარებდა ყველ-

გან — აფხაზეთსა და სამეგრელოში, რაჭა-ლეჩხუმსა და იმერეთში, დუშეთისა და მანგლისის მაზრებში, ოსეთსა და ქართლის რაიონებში. ყველა ეს მოძრაობა მიმდინარეობდა საბჭოთა ხელისუფლების ლოზუნგით. მშრომელ გლეხობას თვალწინ ჰქონდა სოციალისტური რევოლუციის პრაქტიკული შედეგები: საბჭოთა მთავრობამ რევოლუციის პირველ დღესვე მიწის დეკრეტით დააკმაყოფილა რუსეთის გლეხობა — მოახდინა მემამულეთა მიწების კონფისკაცია და გლეხობისათვის უსასყიდლოდ გადაცემა. ბოლშევიკური აგიტაციის მეშვეობით საქართველოს გლეხებმა კარგად იცოდნენ სოციალისტური რევოლუციის სიკეთე და მისი განხორციელებისათვის იბრძოდნენ.

მენშევიკებმა ვერ დაიცვეს ვერც წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის ინტერესები. წარმოება-დაწესებულებათა მომსახურე პერსონალი, სოფლის ინტელიგენცია მძიმე ეკონომიკურ გაჭირვებას განიცდიდა. სიძვირის ყოველდღიური ზრდის ვითარებაში ხელფასი არარაობად იქცა. ისედაც მცირე ხელფასს დაწესებულებები 3—4 თვის განმავლობაშიც ვერ არიგებდნენ. რაიონებიდან, ქალაქებიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელზე ყოველდღიურად მოდიოდა ათეულობით საჩივრები მოსამსახურეთა უკიდურეს ეკონომიკურ გაჭირვებაზე, მასობრივ შიმშილობაზე.

თბილისის 1919 წ. თვითმმართველობის მუშა-მოსამსახურეთა ორთვიან გაფიცვაში მონაწილეობდნენ დაწესებულებათა მოსამსახურენი, ექიმები, მასწავლებლები — ქალაქის შუალედური ფენები. დამფუძნებელ კრებაში ორატორები დიდ საყვედურს გამოთქვამდნენ დემოკრატიის მისამართით, რომელიც თითქოს ვერ იჩენდა შექმნილი ვითარების შეგნებას და დემოკრატიულ მთავრობას საბოტაჟს უწევდა, მაგრამ ლაპარაკი საქმეს ვერ შველოდა.

გაცრუებული აღმოჩნდა „დასავლეთის დემოკრატიაზე" დამყარებული ყოველგვარი იმედი. თურქმა და გერმანელმა დამპყრობლებმა 1918 წ. საქართველოს ეკონომიკას დიდი ზიანი მიაყენეს. თურქმა დამპყრობლებმა გააპარტახეს სამხრეთ საქართველოს ტერიტორია ყველგან, სადაც კი ფეხის შედგმა მოახერხეს. რაც შეეხება კაიზერულ გერმანიას, მისი მესვეურების ვაიპოლიტიკის გამო იგი თვით იდგა უფსკრულის წინაშე და ამიერკავკასია ესახებოდა იმ შენაძენად, რომელსაც მისი სულთმობრძავი ეკონომიკისათვის თითქოს ნაწილობრივ ძალა უნდა შეემატებინა. გერმანელ ოკუპანტებს საქართველოს ეკონომიკური დაკაბალება არ დასცალდათ, თუმცა მაინც მოასწრეს გაეზიდათ მრავალი ათასი ტონა მარგანეცი, სპილენძი, მატყული და სხვ. მალე მათ

ნაცვლად მოვიდნენ ინგლისელი ინტერვენტები, რომელთაც ამიერკავკასიის ძარცვისათვის შორს გამიზნული გეგმები ჰქონდათ. ამიერკავკასიის დამშეულ მოსახლეობას ისინი ჰკვებავდნენ ცარიელი დაპირებებით. რომელთაც საერთოდ განხორციელება არ ეწერა. ამავე დროს, გამალებით ეზიდებოდნენ ბაქოს ნავთს, ჭიათურის მარგანეცს, თამბაქოს, მატყლს და სხვა დიდძალ ნედლეულს. „კავკასია კვნესის, — წერდა გაზ. „ეიზნ ნაციონალნოსტეი", — ინგლისის იმპერიალიზმის უღელქვეშ. მტაცებლური გერმანულ-თურქული იმპერიალიზმი ყველაფერს იტაცებდა, რის მოტაცებაც შეიძლებოდა და კავკასია გაძვალტყავებამდე მიიყვანა. ინგლისელები კავკასიის ხალხებს ოქროს გორებს აღუოქვამდნენ და აი, გერმანელებმა და თურქებმა დატოვეს კავკასია. ეს „ბარბაროსები" ინგლის-საფრანგეთის დემოკრატებმა შეცვალეს, მაგრამ ამ ცვლილებებით ოდნავაც არ გაუმჯობესებულა კავკასიის მშრომელთა მდგომარეობა. ანტანტის იმპერიალიზმი არანაკლებ მტაცებლური აღმოჩნდა, ვიდრე გერმანული"[1].

ამრიგად, საქართველოს ეკონომიკა 1917—1920 წლებში ყოველმხრივ გაჩანაგებას განიცდიდა. ჩაკვდა მრეწველობა, მოიშალა ტრანსპორტი, ამოიწურა ფინანსები, აყვავდა სპეკულაცია, მასობრივი ხასიათი მიიღო შიმშილობამ. მენშევიკები აღარ უარყოფდნენ, რომ მათ ქვეყანა უფსკრულის პირას მიიყვანეს. სწორედ 1920 წელს ეწვია მენშევიკურ საქართველოს 11 ინტერნაციონალის დელეგაცია. საერთაშორისო მენშევიზმის ბელადები კაუცკი, ვანდერველდე, მაკდონალდი, ჰიუს მანსი, სნოუდენი, რენოდელი და სხვები, რომლებიც ამ დელეგაციაში შედიოდნენ, დიდი ინტერესით ეცნობოდნენ დემოკრატიულ სამოთხეს", „სოციალ-დემოკრატიის პირველ სასინჯ რესპუბლიკას", „პირველ ოაზისს", რომ საერთაშორისო ასპარეზზე გაეტანათ მათი სოციალიზმის პრაქტიკული განხორციელების დადებითი შედეგები. მენშევიკებმა ძალღონე არ დაიშურეს, რომ სტუმრებისათვის თვალი აეხვიათ და შეელამაზებინათ მათი მოღვაწეობა სოციალიზმისა და დემოკრატიის სასიკეთოდ.

„თქვენ ჩვენი იმედი ხართ, — ეუბნებოდა ჰიუს მანსი მენშევიკებს, — რადგან საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, რომლის სათავეში დგანან სოციალისტები, თქვენი დაღუპვა ჩვენი დაღუპვა იქნება, თქვენი გამარჯვება — ჩვენი გამარჯვება, — ნუ დაამსხვრევთ ჩვენს იმედებს".

---

[1] Газ. «Жизнь национальностей», 11 мая, 1919.

საერთაშორისო ოპორტუნიზმის ბელადები მრავალ რჩევას აძლევ-დნენ მენშევიკებს როგორ წარემართათ პოლიტიკა მომავალში, როგორ გაეხსნათ კარები უცხოეთის კაპიტალისათვის, როგორ გაეკაფათ გზა ეროვნული ბურჟუაზიისათვის.

ევროპაში დაბრუნების შემდეგ 11 ინტერნაციონალის ლიდერებმა საქართველოში მენშევიკური საქმიანობის პროპაგანდა დაიწყეს. მენ-შევიკური საქართველოს გადარჩენა მათი ავტორიტეტის გადარჩენა იყო. მათ მეტისმეტად გააზვიადეს მენშევიკური წყობილების დამსა-ხურებანი საქართველოში და დასავლეთს მოუწოდეს ეხსნა ალმოსავ-ლეთის პირველი დემოკრატიული ოაზისი. თუმცა კაუცკიმ მაინც ვერ დაფარა წუხილი იმის გამო, რომ მენშევიკური საქართველო საბჭოთა ხელისუფლებისაკენ მიექანებოდა[1].

* * *

საქართველოს „დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის" მთავრობისადმი დემოკრატიული ინტელიგენციის უკმაყოფილების ზრდის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი ის იყო, რომ მენშევიკებმა ხელი აიღეს საპროგრამო დებულებაზე. სოციალურ და ეროვნულ საკი-თხებში ისინი თანდათან ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების პოზიციებზე ჩამოქვეითდნენ.

რევოლუციამდე მენშევიკები თავისთავს მარქსიზმის ყველაზე ერ-თგულ პარტიად თვლიდნენ. ექსპლოატატორული რეჟიმის დამხობის შემდეგ სოციალიზმის აშენებას მათს პროგრამაში ძირითადი ადგილი ეჭირა. 1918 წლის 26 აპრილიდან, უკვე ხელისუფლების სათავეში მყოფი მენშევიკები სხვაგვარად ალაპარაკდნენ. „თქვენ გგონიათ, რომ თუ მთავრობა სოციალისტურია, მან უსათუოდ სოციალიზმი უნდა გა-ნახორციელოს? ეს ბოლშევიკების შეხედულებაა... ჩვენ კი სხვაგვა-ოად ვფიქრობთ, ჩვენ ვამბობთ, როცა სოციალიზმი სხვა ქვეყნებში განხორციელდება, იგი მაშინ ჩვენშიაც განხორციელდება, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ მანამ სახელმწიფო ბურჟუაზიას დავუთმოთ. მას დავემონოთ. ბურჟუაზიულ წყობილებაშიც გვაქვს ჩვენ საკუთარი საქმე[2], — მიუთითებდა მენშევიზმის ლიდერი ნ. ჟორდანია

მენშევიკებს თებერვლის რევოლუცია მიაჩნდათ დამაგვირგვინებელ

---

1 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VI, გვ. 606—607.

2 Н. Жордания, За два года. Тб., 1919, с. 101—102.

აქტად მშრომელი მასების განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. იგივე ეორდანია სეიმის სხდომაზე ამტკიცებდა: „დღევანდელი რევოლუცია არც თავისი შინაგანი ძალებით, არც პოლიტიკური მიზნებით არ შორდება არსებული ბურჟუაზიული წყობილების ჩარჩოებს და ბურჟუაზიული მეურნეობის საფუძველს არ ეხება. ჩვენ მენშევიკები თავიდან აფიქრობდით და ახლაც ვფიქრობთ, რომ ჩვენს რევოლუციას შედეგად არ მოჰყვება შრომის კაპიტალის გავლენისაგან განთავისუფლება... ჩვენ საქართველოში ვაგრძელებთ ბრძოლას თებერვლის რევოლუციისათვის"[1].

მენშევიკური წარმოდგენა სოციალიზმის მშენებლობაზე ისე დაშორდა ჭეშმარიტ მარქსიზმს, როგორც ცა დედამიწას. მათ, მაგალითად, იდეალად ესახებოდათ „სოციალიზმის" მშენებლობის ისეთი მეთოდი, როგორიც ჰქონდათ ოქტომბრის რევოლუციამდე ფინელებს, ან შვეიცარიის კანტონებს[2].

მენშევიზმის ლიდერთა შეხედულებანი სოციალიზმზე არაფრით არ განსხვავდებოდა ესერების, სოციალისტ-ფედერალისტების შეხედულებებისაგან. მენშევიკებთან შედარებით ესერების პარტია ამ ვითარებაში მემარცხენე ძალათაც გამოიყურებოდა და სრულიადაც არ იყო შემთხვევითი, რომ დამფუძნებელ კრებაში ესერი ორატორები მენშევიკების „სოციალისტურ" შეხედულებებს მემარცხენე პოზიციიდან აკრიტიკებდნენ და მას არსებითად ბურჟუაზიულს უწოდებდნენ. ნაციონალ-დემოკრატები — ეს წმინდა ბურჟუაზიული პარტია — კმაყოფილებით აღნიშნავდნენ, რომ მენშევიკებისა და მათ პროგრამას შორის არსებითი განსხვავება აღარ არსებობსო[3].

ეროვნულ საკითხში მენშევიკების მარჯვნივ გადანაცვლებამ დიდი კმაყოფილება გამოიწვია ბურჟუაზიულ პარტიებში. პარლამენტსა და დამფუძნებელ კრებაში უკვე აღარ იყო აზრთა სხვადასხვაობა ეროვნულ პოლიტიკაზე. მენშევიკებიც, სოციალისტ-ფედერალისტებიც, ეროვნული დემოკრატიაც ერთი პოზიციიდან უდგებოდნენ ეროვნულად ჭრელ რესპუბლიკაში მეტისმეტად გამწვავებულ ეროვნულ ურთიერთობათა გადაწყვეტას.

ცნობილია, რომ აფხაზეთის მშრომელებმა საქართველოში პირველმა წამოიწყეს საბჭოთა ხელისუფლებისათვის შეიარაღებული ბრძოლა. 1918 წ. მარტში აჯანყების დროშა აეფრიალეს გაგრის მშრომელებ-

---

1 გაზ. „ერთობა", № 40, 1918.

2 Н. Жордания, За два года, с. 177.

3 გაზ. „ჩვენი ქვეყანა", 29 იანვარი, 1919, გაზ. „საქართველო", 10 ივლისი, 1919.

მა, მათ გუდაუთის მშრომელებიც შეუერთდნენ. 26 მარტს აჯანყებულები სოხუმში შეიჭრნენ. სოხუმში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა და შეიქმნა სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი ნ. ეშბას, ნ. ლაკობას, მ. ათაბეგოვის, ს. კუხალეიშვილის, ი. აგრბას, ა. ზეითუნიანის, კ. მარკოვის და სხვ. შემადგენლობით. საბჭოთა ხელისუფლება აპრილში დამყარდა სამურზაყანოშიც.

ამიერკავკასიის ფედერაციულმა მთავრობამ მენშევიკების ხელმძღვანელობით აჯანყებულ აფხაზეთს გვარდიული რაზმები და ეროვნული ნაწილები მიუსია. აფხაზეთის მშრომელების წინააღმდეგ ბრძოლას მენშევიკები ინტენსიურად აგრძელებდნენ „დემოკრატიული საქართველოს“ შექმნის შემდეგაც. მაისის ბოლოს სოხუმში მენშევიკებმა გაგზავნეს გენერალი მაზნიაშვილი, რომლის რაზმებმა აჯანყების კერები მთელ აფხაზეთში სისხლში ჩაახრჩეს. მაზნიაშვილი სამხედრო გუბერნატორის უფლებით იყო აღჭურვილი და მშრომელი მასების ანგარიშგაუწეველად მართავდა მთელ მხარეს, გზებს უხსნიდა კონტრრევოლუციურ ძალთა მოქმედებას. 1918 წ. ოქტომბერში „აფხაზეთის საგანგებო კომისრად“ მენშევიკურმა მთავრობამ მიავლინა ბ. ჩხეიძეშვილი. გარეკილ იქნა აფხაზეთის სახალხო საბჭო, მისი ახალი შემადგენლობა შედგებოდა თავად-აზნაურების, უკიდურესი ნაციონალისტებისა და მენშევიკების წარმომადგენლებისაგან. მენშევიკების მიერ დამყარებულმა რეჟიმმა 1918—1919 წლებში აფხაზეთში დიდად გააქტიურა ის მემარჯვენე ძალები, რომლებიც საქართველოსა და ამიერკავკასიის მშრომელთა ერთიანი ფრონტის გათიშვას მოითხოვდნენ. რეაქციული თავადაზნაურობის წარმომადგენლები სახალხო საბჭოში გამოვიდნენ „დამოუკიდებლობის“ მოთხოვნით, რაც იმ პირობებში თეთრგვარდიულ დენიკინისათვის აფხაზეთის ჩაბარების შენიღბულ გზას წარმოადგენდა. სახალხო საბჭოში სოციალ-დემოკრატებს ხმის უმრავლესობა ჰქონდათ და შეეძლოთ კიდეც გაეყოლებინათ სახალხო საბჭო ნაციონალისტების წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ სახალხო საბჭოს სხდომებზეც, დამფუძნებელ კრებაშიც მენშევიკები ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებს ლაპარაკობდნენ აფხაზეთ-საქართველოს ურთიერთობის სასიკეთოდ გადაწყვეტაზე, მდგომარეობის გართულებას ნაციონალისტურ პარტიებს აბრალებდნენ. ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ თავდგირიძის სახით მართლაც ატეხა განგაში აფხაზეთის სეპარატიზმის თაობაზე და ერთი მუჭა ნაციონალისტების განწყობილება ცილისმწამებლურად გაავრცელა მთელ აფხაზ ხალხზე, რომელსაც ამ ნაციონალისტების არაფერი სწამდა და მთელი შესაძლებლობით.

საქართველოს მშრომელების მხარდამხარ საბჭოთა ხელისუფლებისკენ მიისწრაფეოდა. მენშევიკები პრაქტიკულად ნაციონალისტებთან მჭიდრო კავშირში იყვნენ და აძლიერებდნენ დაძაბულობას. დამფუძნებელი კრების, 1919 წ. 2 აგვისტოს სხდომაზე აფხაზეთის სახალხო საბჭოს დეპუტატი გურჯუა ამბობდა: „ჩვენ გვესმის, რომ აფხაზეთის ინტერესები მჭიდროდაა დაკავშირებული საქართველოს რესპუბლიკასთან და ჩვენ ამ რესპუბლიკაში გერებად კი არ ვთვლით თავს, არამედ თანასწორ მოქალაქეებად, მის ღვიძლ შვილებად. რამდენიც არ უნდა დაგვწამონ ცილი ბ-ნმა თავდგირიძეებმა, ჩვენ სწორი პოზიციიდან მაინც არ აგვაშორებენ. გზა კი არის შემდეგი: ერთი დემოკრატიული რესპუბლიკა და ერთი სახელმწიფოებრივი კანონი ყოველ საქართველოს ნაწილისათვის. აფხაზეთი, როგორც ავტონომიური ერთეული, მაგრამ ნაწილი ამ საქართველოისა, მხოლოდ თავის შინაურ საქმეებში იქნება დამოუკიდებელი. ჩვენს მიერ გამომუშავებულ კონსტიტუციას თქვენ უნდა მოუაროთ და მოიწონოთ. თქვენ მიერ მიღებული სახელმწიფოებრივი კანონები ჩვენთვისაც იქნება სავალდებულო“[1].

გურჯუას ეს სიტყვები კარგად ასახავდნენ აფხაზეთის დემოკრატიული ინტელიგენციის განწყობილებას, რაც თვალნათლივ გამომჟღავნდა აფხაზეთის ინტელიგენციის ყრილობაზე.

ნაციონალისტურად განწყობილი პირების ზეგავლენით სახალხო საბჭომ ისეთი კონსტიტუცია შეიმუშავა, რომ იგი, ფაქტიურად, დამოუკიდებლობას გულისხმობდა. ამ პერიოდში, საერთოდ, სოხუმში თავისუფლად დაპარპაშებდნენ დენიკინის აგენტები, რომლებიც აფხაზეთის თავკაცებს საქართველოს შემადგენლობიდან გამოსვლისა და ყუბანის კონტრრევოლუციური რესპუბლიკის შემადგენლობაში შესვლისთვის აქეზებდნენ. ამ მხრივ დიდად აქტიურობდა, აგრეთვე, რეაქციული რუსი სამღვდელოება სოხუმში. ბოლშევიკური ორგანიზაციები დარბეული იყო, მენშევიკები დენიკინისა და ბოლშევიკების საფრთხეს აფხაზეთში ერთ სიბრტყეზე აყენებდნენ და „საქართველოს დემოკრატიას“ მოუწოდებდნენ ებრძოლათ როგორც ერთის, ისე მეორის წინააღმდეგ. აფხაზეთის მენშევიკები თავისი პრაქტიკული საქმიანობით წყალს უფრო მეტად დენიკინელთა წისქვილზე ასხამდნენ.

ამრიგად, მენშევიკური მთავრობა, რომელიც მთელი გააფთრებით

---

1 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების 2 აგვისტოს სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 16.

ებრძოდა საქართველოს მშრომელთა სწრაფვას საბჭოთა ხელისუფლებისაკენ, დემოკრატიული საბურველით რეაქციის საქმეს აკეთებდა. ხელს უწყობდა დაძაბულობის გაძლიერებას, გზას უხსნიდა უკიდურესი ნაციონალიზმით შეპყრობილ თავადაზნაურობას, რითაც დიდ ზიანს აყენებდა საქართველოს და აფხაზეთის მშრომელთა ისტორიულ ძმობას და ლახავდა მათი მშვიდობიანი თანაცხოვრების ტრადიციებს.

მენშევიკური მთავრობის არსებობის მთელ მანძილზე არ დამცხრალა ოსი მშრომელების ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის. მენშევიკური მთავრობა ცეცხლითა და მახვილით უმასპინძლდებოდა აგრარულ მოძრაობას გორის მაზრაში. გვარდიელები განსაკუთრებული აქტიურობით მოქმედებდნენ ოსი გლეხების წინააღმდეგ, რომლებიც ამ ბრძოლაში ავტონომიისკენ მისწრაფებას ამჟღავნებდნენ. მენშევიკებს სიტყვის გაგონებაც არ სურდათ ავტონომიის შესახებ. სამხრეთ ოსეთის ხალხის წარმომადგენელთა ყრილობებზე (1918 წ. 28 მაისს, 1918 წ. 15—17 ივნისი) ოსები აყენებდნენ საკითხს თვითგამორკვევის შესახებ. მაგრამ მენშევიკური მთავრობის წარმომადგენლები სდუმდნენ ამ საკითხის თაობაზე და ოსებს „დემოკრატიულ რესპუბლიკაში“ ანარქიის გაღვივებას აბრალებდნენ. 1920 წ. ივნისში მენშევიკურმა გვარდიამ ცეცხლს მისცა ოსეთის სოფლები და დახვრიტა ოსი კომუნისტები, რომლებიც სათავეში ედგნენ ოსეთის გლეხთა მრავალწლიან ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლებისათვის.

მენშევიკური პარტიისა და მთავრობის ანტიხალხური პოლიტიკის მეოხებით აჭარა 1918—1920 წლებში საქართველოს მოწყვეტილი იყო. ბრესტის საზავო ხელშეკრულებაზე უარის თქმამ და თურქეთის მიმართ დამოუკიდებელმა პოლიტიკამ, როგორც ვნახეთ, აჭარა თურქი ოკუპანტების სათარეშოდ გადააქცია. თურქი ოკუპანტები 1919 წლიდან შეცვალეს ინგლისელმა ინტერვენტებმა, რომლებმაც აჭარაში თავისი საგენერალგუბერნატორო შექმნეს. ბათუმი ინგლისელმა ინტერვენტებმა დენიკინის ერთ-ერთ საზღვაო ბაზად გადააქცივეს. ისინი ამასთან აქეზებდნენ პროთურქულ ელემენტებს აჭარაში. ინტერვენტების მიერ აჭარის დატოვების შემდეგ მენშევიკებმა ვერ შეძლეს განაწამები აჭარელი მოსახლეობის გულისმოგება, ვერ გაატარეს ვერც ერთი რეფორმა, რომელიც მშრომელთა ინტერესებს დააკმაყოფილებდა. მენშევიკების ანტიხალხურმა პოლიტიკამ ერთგვარად წააქეზა კიდეც თურქეთის აგენტების — რეაქციული ბეგებისა და ხოჯების საქმიანობა, რაც აჭარლებს ისევ თურქეთის უღელს უმზადებდა. მენშევიკების ასეთი პოლიტიკა იწვევდა აჭარის დემოკრატიული ინტელიგენციის სა-

მართლიან აღშფოთებას. ეს ინტელიგენცია ირაზმებოდა ბოლშევიკების გარეშემო, რომლებიც საქართველოსა და აჭარის მშრომელი მოსახლეობის ხსნას სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებაში ხედავდნენ.

მენშევიკურმა მთავრობამ დემოკრატიული ინტელიგენციის თავმოყვარეობა შელახა და არსებული რეჟიმისადმი სიძულვილი გააღვივა იმითაც, რომ ნორმალური ურთიერთობა ვერ დაამყარა თავის ისტორიულ მეზობლებთან სომხეთთან და აზერბაიჯანთან. ამ ქვეყნების ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ მთავრობებთან კინკლაობამ, რაშიც მენშევიკებთან ერთად თანაწორი წვლილი დაშნაკებსა და მუსავატელებს ედოთ, საქმე ნიიყვანა ძმათა მკვლელ ომამდე, რასაც თავის მხრივ აქეზებდნენ ინგლისელი ინტერვენტებიც. ქართველი დემოკრატიული ინტელიგენცია არ აჰყოლია იმ აღვირახსნილ შოვინისტურ პროპაგანდას, რომელსაც 1919—1920 წლებში ამიერკავკასიის წვრილბურჟუაზიული და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიები ეწეოდნენ. დემოკრატიული ინტელიგენცია დიდ მზრუნველობას იჩენდა, მაგალითად, სომეხი ლტოლვილების მიმართ, რომელთაც ამ პერიოდში თავშესაფარი და ლუკმა პური აკლდათ. გვარდიელების მიერ 1919 წ. თბილისში შევიწროებულმა სომხების მრავალმა ოჯახმა ფარული თავშესაფარი ქართველ ინტელიგენტთა ოჯახებში პოვა. დემოკრატიულ ინტელიგენციას ღრმად ჰქონდა შეგნებული, რომ ამიერკავკასიის ხალხთა სოლიდარობა, მეგობრობა და მთლიანობა მათი ისტორიული ცხოვრების მთავარი კომპონენტი იყო და მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა მშვიდობიანი ცხოვრება და პროგრესი ამიერკავკასიაში.

* * *

1919 წ. 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნის სრული ერთი წლის თავზე შინაგან საქმეთა მინისტრი ხალხის წინაშე ასეთი ანგარიშით წარსდგა: „საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან (1918 წ. 26 მაისი) წარმომდგარი ანარქია იმ ადგილებში, რომლებიც რესპუბლიკაში შედიოდნენ, სრულიად კლავდნენ ადგილობრივი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმალურ მიმდინარეობას, თხოულობდნენ სახელმწიფოს მხრით დიდი ძალის დახარჯვას. ნორჩი, ჯერ კიდევ გასამტკიცებელი საქართველოს სახელმწიფო იძულებული იყო საზღვარი დაედო ანარქიისათვის და ამ მიზნით უნდა მიემართა არაჩვეულებრივი ზომებისათვის: ჯარებისა და სახალხო გვარდიის ნაწილები დაეგზავნა იმ ადგილებში, რომლებიც მოდებული იყო ანარქიული მღელვარებით. ამნაირად, საჭირო გახ-

და ხმლით ჩაქრობილიყო ამბოხებანი, რომელნიც რესპუბლიკის სხვადასხვა ადგილას წარმოიშვა. სახელდობრ: საჩხერისა და ლეჩხუმის რაიონებში, ბორჩალოსა და დუშეთის მაზრებში და აგრეთვე მთელ ოდიშში, სადაც ხალხი უპასუხისმგებლო ელემენტების მიერ ჩაგონებული ღელვას განაგრძობდა. უკეთესად არ იყო საქმე არც აფხაზეთში, სადაც პირადი ინტერესებით იძულებულ პირთა ერთმა ჯგუფმა, რომლებიც უკმაყოფილო იყო ძირითადი რეფორმების ცხოვრებაში გატარებით, მიმართა უცხო ქვეყნის დახმარებას და იმავე დროს ენერგიულად ცდილობდა მცხოვრებთა შორის აგიტაციის საშუალებით აეფრიალებინა ამბოხების დროშა"[1].

შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ დახატული ეს სურათი, რომელიც ერთგვარად მაინც შელამაზებულია, ნათელ წარმოდგენას გვაძლევს დემოკრატიული მთავრობის მთელი წლის ნამოღვაწარზე: „ანარქიის" ნაცვლად აქ, ცხადია, მშრომელი მასების საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლა უნდა ვიგულისხმოთ. შინაგან საქმეთა მინისტრი იძულებულია აღიაროს, რომ მთელი წლის განმავლობაში მთავრობა, „ხმლით აქრობდა" სახალხო მოძრაობას მთელ საქართველოში, ესე იგი ეწეოდა ნამდვილ საშინაო ომს საკუთარი ხალხის წინააღმდეგ. მინისტრის ეს სიტყვა მენშევიკურ ოფიციოზში — „საქართველოს რესპუბლიკაშია" გამოქვეყნებული. იქვე ამ შემაძრწუნებელი ანგარიშის გვერდით მიმოხილულია დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან განვლილი ერთი წლის შედეგები და აღნიშნულია: „დღეს ერთი წელიწადი უკვე შესრულდა და ჩვენ ვხედავთ, რომ საქართველოს რესპუბლიკა კვლავ მტკიცედ დგას თავისუფლების სადარაჯოზე და კვლავ ფრიალებს თავისუფლების კვარცხლბეკზე თავისუფლების დროშა"[2].

როგორც ვხედავთ, პირველი დიამეტრალურად ეწინააღმდეგება მეორეს. საქმესა და სიტყვას შორის ასეთი დიამეტრალური სხვაობა საერთოდ დამახასიათებელი იყო მენშევიკური მთავრობისათვის.

რევოლუციისა და სოციალიზმის იდეების პრაქტიკულ განხორციელებაზე უარის თქმას პარლამენტისა და დამფუძნებელი კრების სხდომებზე ხშირად ამხელდნენ დემოკრატიული ინტელიგენციის წარმომადგენლები. მაგალითად, ლ. შენგელია, ესერთა ფრაქციის სახელით დამფუძნებელ კრებაზე გაბედულად გამოდიოდა მთავრობის პრაქტიკული საქმიანობის მკაცრი კრიტიკით. „სოციალ-დემოკრატია, — ამბობდა

---

1 საქ. სსრ ცსია ფ. 1833, აღ. 1, საქ. № 466, ფურც. 26.

2 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 26 მაისი, 1919.

იგი — იმით კმაყოფილდება, რომ ძველ დაწესებულებებს სახელებს უცვლის და ჰგონია, რომ ამით შინაარსიც შეუცვალა. ამით აიხსნება, რომ საგანგებო რაზმი — ეს ნამდვილი კონტრრევოლუციონერების ბუდე, მას რევოლუციის დამცველ ორგანიზაციად მიაჩნია. საგანგებო რაზმში სოციალ-დემოკრატიამ თავი მოუყარა ყოფილ ბოქაულებსა და „Сышик"-ებს და გულუბრყვილოდ ფიქრობს რევოლუციას დავიცავ. სპეკულაციას მოვსპობო... რუსეთის ოხრანკასა და რამიშვილის საგანგებო რაზმს შორის არავითარი განსხვავება არც შემადგენლობით, არც მოქმედების მეთოდებით არ არსებობს"[1].

ლ. შენგელიამ მართებული დიაგნოზი დაუსვა მთავრობაში მმართველი პარტიის სახესა და საქმიანობას. „სოციალ-დემოკრატიის რევოლუციური შემოქმედება ამოიწურა, გამოიფიტა. ამას ვხედავთ ჩვენ სოციალ-დემოკრატიის მუშაობაში, როგორც დამფუძნებელ კრებაში, ისე მის გარეშეც — პრაქტიკულ ცხოვრებაში"[2]. შენგელიას ამ ბრალდების გამო (მენშევიკები დაშორდნენ არა მარტო სოციალიზმს, არამედ დემოკრატიას) დამფუძნებელ კრებაში განმარტებით გამოვიდა შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. რამიშვილი, რომელმაც ვერაფრით ვერ გააბათილა წაყენებული ბრალდება. მან ქვეყნის შიგნით გამეფებული დიქტატურული რეჟიმი და მკაცრი რეპრესიები იმით ახსნა, რომ თითქოს საქართველოს ემუქრებოდა ორი რეაქციული ძალა: ბოლშევიკები და დენიკინი[3]. რა თქმა უნდა, დუმილი ამჯობინა იმის თაობაზე, რომ დენიკინელებთან საერთო ენის მონახვას მენშევიკური მთავრობა ახერხებდა, ხოლო ბოლშევიკებს ებრძოდა მთელი გააფთრებით.

დამფუძნებელ კრებაში წარმოდგენილი იყვნენ მენშევიკებზე უფრო მემარჯვენე პარტიები, რომელთაც სოციალიზმის შესახებ სიტყვის გაგონებაც კი არ სურდათ. ამ პარტიათა ორატორების გამოსვლები შეიცავენ მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკის უმკაცრეს კრიტიკას. რა თქმა უნდა, ის რჩევები და წინადადებანი, რომელსაც ამ პარტიათა ორატორები აყენებდნენ, სრულებითაც არ გამოხატავდნენ მშრომელი მასების ინტერესებს და ქვეყანას უფრო მტკიცე და თანამიმ-

---

[1] დამფუძნებელი კრების 42-ე სხდომის (1919 წ. 29 ივლისი) სტენოგრ. ანგ. გვ. 15.

[2] დამფუძნებელი კრების მე-20 სხდომის (1919 წ. 30 მაისი). სტენოგრ. ანგ. გვ. 16—17.

[3] საქართველოს დამფუძნებელი კრების 21-ე სხდომის (1919 წ. 30 მაისის სტენოგრ. ანგ. გვ. 4—8.

დევრული ბურჟუაზიული დიქტატურისკენ ეწეოდნენ, მაგრამ ამ პოზიციიდანაც მთავრობის მიერ აღებული კურსის ანალიზში მრავალი სიმართლე გამოსჭვიოდა, რასაც ობიექტურად ხალხის გათვითცნობიერებისათვის ერთგვარი მნიშვნელობა ჰქონდა.

• • •

საქართველოს ამ პერიოდის დემოკრატიული ინტელიგენცია სოციალური და პროფესიული შემადგენლობის მიხედვით დაახლოებით ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: სამაზრო და საქალაქო ერობებისა და ადმინისტრაციულ დაწესებულებათა მოსამსახურენი, სოფლისა და ქალაქების მასწავლებლობა, რკინიგზისა და ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურენი, მოსწავლენი და სტუდენტობა, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, სამედიცინო დარგის მუშაკები, შემოქმედებითი ინტელიგენცია. ვერ ვიტყვით, რომ ჩამოთვლილი პროფესიების მუშაკთა შორის სოციალურად არსებითი განსხვავება იყო. მათი უდიდესი უმრავლესობა წვრილბურჟუაზიულ ფენას ეკუთვნოდა. მართალია, თავისუფალი პროფესიის, ან შემოქმედებითი ინტელიგენციის შემადგენლობაში ბევრი თავადაზნაურული წრიდან იყო გამოსული, მაგრამ თუ ქართველი თავადაზნაურობის სოციალურ დეგრადაციას გავითვალისწინებთ, რაზედაც ზემოთაც გვქონდა საუბარი, შეიძლება ითქვას რომ ინტელიგენციის ეს ფენა სოციალურ პრივილეგიებს მაინცდამაინც ვერ გრძნობდა და იგივე სოციალ-პოლიტიკური სატკივარით იყო შეპყრობილი, რაც საერთოდ აწუხებდა წვრილბურჟუაზიულ ინტელიგენციას, ქალაქების შუალედურ ფენებს.

საქართველოს დემოკრატიული ინტელიგენციის სოციალური ერთგვაროვნება სრულებითაც არ შეიძლება იმის მოწმობად მოვიტანოთ, რომ იგი თითქოს მთლიან, ერთნაირი სულისკვეთებით გამსჭვალულ, ერთი პოლიტიკური მისწრაფების საზოგადოებრივ ჯგუფს წარმოადგენდა. წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის მერყეევი ბუნება, მისი ორმაგი ხასიათი, საერთოდ, აპირობებდა დემოკრატიული ინტელიგენციის პოლიტიკურ მისწრაფებათა ნაირფერობას, სადაც პროგრესულის გვერდით არაიშვიათად რეაქციული მიმართულებანიც იყო წარმოდგენილი. მაგრამ, ჩვენი აზრით, სოციალურად ამ ერთგვაროვან საზოგადოებრივ ფენაში საზოგადოებრივ და პოლიტიკურ შეხედულებათა ნაირფერობა ჩანდა არა იმდენად სოციალურ-კლასობრივ პრობლემებში, რამდენადაც ეროვნული საკითხის გაგებაში. სოციალური თვალსაზრისით, ამ

ფენის დიდ უმრავლესობას ერთნაირი გულწრფელობით სურდა ექსპლოატატორული რეჟიმის მოსპობა, თავისუფალი დემოკრატიული წყობილების დამყარება. რა თქმა უნდა, ამ საზოგადოების გზები და საშუალებები სხვადასხვა ჯგუფებსა და პარტიებს სხვადასხვაგვარად ჰქონდათ წარმოდგენილი, მაგრამ მათთვის მთავარი მაინც ის იყო, თუ როგორ გადაწყდებოდა ეროვნული საკითხი. დემოკრატიული ინტელიგენციის ასეთ ცხოველმყოფელ ინტერესს ეროვნული საკითხისადმი თავისი ისტორიული საფუძველი, თავისი გამართლება ჰქონდა. მთელი საუკუნის მანძილზე ცარიზმის კოლონიური ჩაგვრით სულშეხუთულ ინტელიგენციას პირველი რიგის ამოცანად ეროვნული თვითგამორკვევა ესახებოდა. მას სწამდა, რომ შინაგანი თვითმმართველობის მოპოვების შემდეგ სოციალურ საკითხს თანდათანობით გადაწყვეტდა. ეროვნულ საკითხებში მეცნიერული სოციალიზმის შეხედულებების გამყალბებელთა ზეგავლენასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. დემოკრატიულ ინტელიგენციაში ჯერ კიდევ არ იყო გამჯდარი რწმენა იმისა, რომ ეროვნული საკითხის საბოლოო გადაწყვეტა ექსპლუატატორული რეჟიმის სრულ დამხობასთან იყო დაკავშირებული და მხოლოდ სოციალისტურ რევოლუციას შეეძლო ამ ისტორიული ამოცანის საბოლოო გადაჭრა.

ამით შეიძლება ავხსნათ, რომ მენშევიკურ პარტიას, რომელმაც 1918 წ. 26 მაისს საქართველო დამოუკიდებელ და დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოაცხადა, საქართველოს დემოკრატიული ინტელიგენცია ნდობით მოეკიდა და „სუვერენული" საქართველოს ეროვნულ-კულტურულ მშენებლობაში გაჰყვა.

აქ საინტერესოა ერთი გარემოებაც: საქართველოს ბოლშევიკები, სოციალისტური რევოლუციის მომზადებისათვის ბრძოლაში რუსეთის ნრავალეროვანი პროლეტარიატის საბრძოლო სოლიდარობის აუცილებლობის ღრმა შეგნებით მთელ ყურადღებას პროლეტარულ ინტერნაციონალიზმზე რომ ამახვილებდნენ, ზოგჯერ მხედველობიდან უშვებდნენ ეროვნული საკითხის ლენინური დებულებებიდან გამომდინარე, ტაქტიკურად მიზანშეწონილი ლოზუნგების პროპაგანდას. იმ დროს, როცა წერილბურჟუაზიულ პარტიებს მთელი ყურადღება საქართველოს სუვერენულობის აღიარებაზე გადაჰქონდათ და დემოკრატიული და დამოუკიდებელი საქართველოს მომავალს ვარდისფრად ხატავდნენ, განა დიდი რეზონანსი არ ექნებოდა დამოუკიდებელი სოციალისტური საქართველოს, სოციალისტური სომხეთის, სოციალისტური აზერბაიჯანის აღიარებას? განა ეს ლოზუნგები უფრო გასაგებს, ხელშესახებს

არ გასდიდა პროლეტარული პარტიის ეროვნულ პოლიტიკას, რომელიც ერთა სრული თვითგამორკვევის პრინციპებს ითვალისწინებდა? როგორც ცნობილია, ამიერკავკასიელმა ბოლშევიკებმა ასეთი ტაქტიკური ლოზუნგი 1919—1920 წლებში წამოაყენეს და მას წარმატებაც ჰქონდა სოციალისტური რევოლუციის დაგვირგვინებისათვის ბრძოლაში.

ამ თვალსაზრისს იზიარებენ სოციალისტური რევოლუციის ისტორიის თვალსაჩინო სპეციალისტები[1].

ეროვნული თვითგამორკვევის გაპედულ პროპაგანდას შეეძლო სოციალისტური რევოლუციის პოლიტიკური არმია უფრო გაემრავალრიცხოვნებინა იმ ადამიანთა ხარჯზე, რომელთაც ბოლშევიკური პარტიის პროგრამისაგან ეროვნული ნიჰილიზმისადმი შიში სთიშავდა. ასეთი ადამიანები საგრძნობლად ბევრი იყო სწორედ დემოკრატიული ინტელიგენციის შემადგენლობაში.

* * *

მატერიალურ და სულიერ ცხოვრებაში დიდი სიძნელეების მიუხედავად, საქართველოს დემოკრატიული ინტელიგენცია აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის ეროვნულ-კულტურულ საქმიანობაში. ამ მხრივ იგი მრავალ კერძო თაოსნობას იჩენდა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ მთავრობისაგან, რომელსაც არავითარი სახსრები არ გააჩნდა და თავისი ქვეყნის მშრომელებთან მუდმივი ომი ჰქონდა გაჩაღებული, ინიციატივას ან აქტიურ მხარდაჭერას ვერ მიაღწევდა.

უდიდესი მუშაობა გასწია მასწავლებლობამ — ქართველი დემოკრატიული ინტელიგენციის ამ ძირითადმა ძალამ — სკოლის გაეროვნულების საქმეში. ეს იყო უაღრესად რთული ღონისძიება, რადგან საამისოდ წინასწარ არავითარი სამზადისი არ ჩატარებულა. არ იყო საკმაო კადრები, არ იყო სახელმძღვანელოები ქართულ ენაზე. შემუშავებული არ ყოფილა ქართული ტერმინოლოგია სხვადასხვა სასწავლო საგნებში და სხვ. მასწავლებელთა ენერგიული მოთხოვნით მთავრობა იძულებული გახდა სახსრები გაეღო დაბალი და საშუალო სკოლების მასწავლებელთა გადასამზადებელი კურსების მოსაწყობად თბილისსა და ქუთაისში. მასწავლებელთა და მეცნიერთა ინიციატივით შეიქმნა სატერმინოლოგიო კომისიები. გამოცდილი მასწავლებლები შეუდგნენ ძირითად დისციპლინებში სახელმძღვანელოების შედგენას ქართულ

[1] გ. ფანია, საქართველოს ბოლშევიკების ბრძოლა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის.

ენაზე. მაგრამ სახალხო სკოლები, რომელთა გამგებლობა მენშევიკურმა მთავრობამ ერობებს ჩააბარა, სათანადო მატერიალური ბაზის უქონლობის ვითარებაში ნორმალურად მაინც ვერ მუშაობდნენ: სასკოლო შენობები უვარგისი იყო, ბევრ მათგანს ესაჭიროებოდა კაპიტალური შეკეთება, სასკოლო ინვენტარი გამოსული იყო წყობილებიდან და მისი განახლება სახსრების უქონლობის გამო ვერ ხერხდებოდა. მთავრობამ რამდენიმე სოფელში, მართალია, გახსნა სკოლა, მაგრამ მისი მუშაობის ნორმალურად წარმართვისათვის არ უზრუნვია. რიგ სოფლებში სკოლებმა, რომელთაც შენობაც კი დაენგრათ, მუშაობა შეწყვიტეს.

სახალხო განათლების საქმეში საგანგაშო მდგომარეობის შესახებ ხშირადაა ლაპარაკი შინაგან საქმეთა სამინისტროსადმი ერობათა თავმჯდომარეების მოხსენებით ბარათებში. დამფუძნებელ კრებაშიც სისტემატურად ისსენებდნენ სახალხო განათლების საქმეში ჩამორჩენას და მრავალ წინადადებას სთავაზობდნენ მთავრობას, მაგრამ ყველა ეს წინადადება და ღონისძიება ქაღალდზე რჩებოდა, რადგან მისი განხორციელებისათვის საჭირო ფინანსური საშუალებანი მთავრობას არ გააჩნდა.

უკიდურესად მძიმე იყო მასწავლებელთა მატერიალური მდგომარეობა. შიმშილობა ყველაზე საგრძნობლად მასწავლებლობას წვდა ყელში, რადგან მისი მცირე ხელფასით აღვირახსნილი სპეკულაციის ვითარებაში თავის რჩენა შეუძლებელი გახდა. შემაძრწუნებელი დეპეშები მოდიოდა განათლების, ფინანსთა, შინაგან საქმეთა სამინისტროთა კანცელარიაში მასწავლებლობის შიმშილობის შესახებ.

„გვშია, გვწყურია, გვცივა, იწამეთ ღმერთი, დაგვაკმაყოფილეთ გასული თვეების ჯამაგირებით მაინც, თუ მომატება შეუძლებელია. მასწავლებელთა აუტანელი გაჭირვება და ცრემლები მაიძულებენ ამ დეპეშის პირდაპირ გამოგზავნას", — ნათქვამია ხობის რაიონის მასწავლებელთა პროფკავშირის გამგეობის დეპეშაში მთავრობის სახელზე[1]. მასწავლებელთა უკიდურესი მატერიალური მდგომარეობის შესახებ ხშირად ქვეყნდებოდა წერილები თვით მენშევიკურ პრესაში, მაგრამ მდგომარეობა უარესდებოდა.

სამეურნეო ნგრევისა და ადმინისტრაციული უთავბოლობის ვითარებაში არსებობა უჭირდა თბილისის უნივერსიტეტს, რომელიც, რო-

---

[1] Борьба за победу Советской власти в Грузии, Документы и материалы, Тб., 1958, с. 353.

გორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართველ მეცნიერთა თაოსნობით, დიდი მამულიშვილისა და მეცნიერის ივანე ჯავახიშვილის მეთაურობით გაიხსნა 1918 წ. იანვარში.

ახლად ფეხადგმული უნივერსიტეტი კერძო შემოწირულების თანხებით დაარსდა. სამეურნეო ნგრევამ და ფულის გაუფასურებამ უნივერსიტეტის ფინანსურ ბაზას ისეთი ზიანი მიაყენა, რომ მისი არსებობა სახელმწიფოს საფინანსო მხარდაჭერის გარეშე შეუძლებელი იყო. ამან განაპირობა კერძო ქართული უნივერსიტეტის სახელმწიფო უნივერსიტეტად გადაქცევა. 1918 წ. 30 მაისს უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ საგანგებოდ განიხილა უნივერსიტეტის მთავრობასთან დამოკიდებულების საკითხი. საბჭომ საჭიროდ ცნო უნივერსიტეტის სახელმწიფო დაწესებულებად გადაქცევა, მაგრამ ამასთან მოითხოვა ძველი ტრადიციისამებრ უნივერსიტეტს შენარჩუნებული ჰქონოდა „სრული ავტონომია“.

სახელმწიფო დაწესებულებად გადაქცევას უნივერსიტეტისათვის დიდი შვება არ მოუტანია. მთავრობას არ გააჩნდა სახსრები, რაც აუცილებელი იყო მისი შემდგომი განვითარებისათვის. მთავრობის ორგანოები, კერძოდ, განათლების სამინისტრო იმას ცდილობდა, რომ შეეკრილიყო უნივერსიტეტის თვითმმართველობის სფეროში და შეეზღუდა მისი ინიციატივა. სახსრების შოვნა, უნივერსიტეტის მატერიალური ბაზის განვითარება კვლავ ენთუზიასტ მეცნიერთა ფანატიკური სიყვარულით და მონდომებით ხორციელდებოდა. უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკა კომპლექტდებოდა ცნობილ ქართველ მოღვაწეთა და მეცნიერთა შეწირულებით.

ქართული უნივერსიტეტის დაარსებამ უდიდესი სიხარული გამოიწვია იმ ქართველ მეცნიერთა შორის, რომლებიც აქამდე რუსეთის სხვადასხვა სასწავლებლებსა და სამეცნიერო დაწესებულებებში იყვნენ გაფანტულნი. მეცნიერთა ახალი ძალების შემატებამ უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს მისცა იმის საშუალება, რომ დაეყენებინა საკითხი 1919 წლიდან გახსნილიყო საექიმო და აგრონომიული ფაკულტეტები. საექიმო ფაკულტეტის გასაძღოლად უნივერსიტეტში უკვე მოვიდნენ ისეთი გამოჩენილი სპეციალისტები, როგორიც იყვნენ პროფესორები ალ. თიკანაძე, მ. მუხაძე, ნ. კახიანი, ალ. ნათიშვილი, ა. ალადაშვილი, ს. ვირსალაძე, ალ. მაჭავარიანი, გ. ღამბარაშვილი, ნ. გოგიტიძე და სხვ.

საბუნებისმეტყველო მათემატიკურ განყოფილებაზე შეიკრიბა პროფესორ-მასწავლებელთა მძლავრი კოლექტივი. აქ ლექციებს კითხულობდნენ ისეთი გამოჩენილი სპეციალისტები, როგორიც იყვნენ პ. მელიქიშვილი, ა. რაზმაძე, ი. ბერიტაშვილი, ა. თვალჭრელიძე, ან. ბენაშვილი, ა. დიდებულიძე, ს. ნავაშინი და სხვები. უნივერსიტეტში მოვიდნენ ახალგაზრდა ძალები, შემდგომში სახელგანთქმული მეცნიერები ნ. მუსხელიშვილი და ა. ხარაძე[1].

1919 წლიდან უნივერსიტეტთან ჩამოყალიბდა საპედაგოგო ინსტიტუტი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა პროფ. დ. უზნაძე და სასანიტარო ინსტიტუტი პროფ. ს. ამირეჯიბის ხელმძღვანელობით. 1920 წ. შეიქმნა ნორმალური ანატომიის ინსტიტუტიც პროფ. ა. ნათიშვილის ხელმძღვანელობით.

ახალი სამეცნიერო ძალები შემოემატნენ უნივერსიტეტს ჰუმანიტარულ დისციპლინებში. დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო მსოფლიოში გამოჩენილი მეცნიერის, პაპიროლოგის პროფ. გ. წერეთლის მოწვევა უნივერსიტეტში. ქართველოლოგიური კვლევა-ძიების საქმე დიდად გააინტენსიურეს გ. ჩუბინაშვილმა, კ. კეკელიძემ, რომელთაგან პირველი სათავეში ჩაუდგა ხელოვნებათმცოდნეობის ქართველოლოგიურ სკოლას, მეორე ძველი ქართული ლიტერატურის კვლევა-ძიების საქმეს. უნივერსიტეტში ქართველ პროფესორებთან ერთად მოღვაწეობდნენ გამოჩენილი რუსი, სომეხი და სხვა ეროვნების მეცნიერები. 1919 წლისათვის უნივეოსიტეტს უკვე ჰყავდა 49 პროფესორი და დოცენტი, რომელთაგან 38 ქართველი და 11 რუსი იყო. რუს მეცნიერთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ დროს პროფ. მანუილოვის, პროფ. მ. პოლიეექტოვის, პროფ. ი. ანფინოვის და სხვათა მოღვაწეობა.

1920 წ. 9 მაისს პირველი სადოქტორო დისერტაცია დაიცვა უნივერსიტეტის ერთ-ერთმა დამაარსებელმა აკაკი შანიძემ („სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში"), რომელმაც სპეციალისტების მაღალი შეფასება დაიმსახურა, უნივერსიტეტის რექტორად 1919 წ. ოქტომბერში არჩეულ იქნა მისი დამაარსებელი იანე ჯავახიშვილი. მისი ენერგიული ხელმძღვანელობით ახლადდაარსებულმა უნივერსიტეტმა წელი მოიმაგრა, ფეხზე მტკიცედ დადგა. 1920 წ. შემოდგომაზე უნივერსიტეტში უკ-

---

1 ს. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, თბილისის უნივერსიტეტის დაარსება და განვითარება, საიუბილეო კრებული, „თბილისის უნივერსიტეტი", 1978, გვ. 38.

ვე 2814 კაცი სწავლობდა — ეს იყო ქართული საბჭოთა ინტელიგენციის პირველი კადრები, რომელთაგან კურსის დასრულების შემდეგ ბევრი უნივერსიტეტშივე დარჩა სამეცნიერო მოღვაწეობისათვის.

უმძიმესი იყო ეს წლები უნივერსიტეტისათვის, აუტანელი იყო პროფესორ-მასწავლებელთა, სტუდენტთა მატერიალური გაჭირვება. სურსათ-სანოვაგის, შეშის შესაძენად უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები ზრუნავდნენ პირადი სახსრებით. მთავრობა მათ არავითარ დახმარებას არ უწევდა.

მატერიალური ხელმოკლეობის, საერთო მოშლილობისა და ანარქიის მიუხედავად, უნივერსიტეტის მუშაობა წარმატებით მიმდინარეობდა. ამ წლებში დაიწერა და გამოქვეყნდა მრავალი შესანიშნავი გამოკვლევა მეცნიერების სხვადასხვა დარგში.

უნივერსიტეტის სტუდენტობასა და პროფესორ-მასწავლებლობაში თანდათან იზრდებოდა უკმაყოფილება არსებული რეჟიმის მიმართ. ვრცელდებოდა ბოლშევიკური იდეები. უნივერსიტეტში შეიქმნა არალეგალური ბოლშევიკური ორგანიზაცია, რომელიც თავის გარშემო თანდათან იკრებდა რევოლუციურ ახალგაზრდობას. შეიქმნა ფარული კომკავშირული უჯრედიც.

მენშევიკური მთავრობა გრძნობდა, რომ უნივერსიტეტის სახით მან მძლავრი ოპოზიციური კერა გაიჩინა, რომ უნივერსიტეტის ავტორიტეტული კოლექტივი — ქართული დემოკრატიული ინტელიგენციის ავანგარდი — თანდათანობით ყალიბდებოდა მენშევიზმის ანტიხალხური რეჟიმის მოპირდაპირე ძალად. შინაგან საქმეთა სამინისტროში შედიოდა დასმენები პროფესორებისა და მასწავლებლების ანტირეჟიმული საქმიანობის შესახებ. ამიტომ იყო რომ უნივერსიტეტს ხშირად აშოწმებდნენ. ზოგჯერ ჩხრეკაც მიმდინარეობდა. 1918 წ. ოქტომბერში საგანგებო რაზმის ნაწილებმა უკვე დაიწყეს ჩხრეკა უნივერსიტეტში. 7 ოქტომბრის თარიღით განათლების მინისტრს რექტორი ასეთი ხასიათის წერილს უგზავნის: „შაბათს, 5 ამ თვეს, ნაშუადღევის 4 საათზე უნივერსიტეტის შენობაში მოსულა, როგორც თვითონ ვანუცხადებია, საგანგებო რაზმის უფროსი ნოდია რაზმელების თანხლებით და შესდგომია შენობის ჩხრეკას. უნივერსიტეტის მსახურთ განცხადებაზე, რომ მათ ნება არ აქვთ უნივერსიტეტის გამგეობის დაუკითხავად, შენობაში ვინმე შემოუშვან, ბ. ნოდიას სიტყვიერი და ერთისათვის მოქმედებითაც შეურაცხყოფა მიუყენებია, იარაღით დამუქრებია და იძულებულ უყვია მსახურნი საპროფესორო ოთახი და კანცელარია გაეღოთ. ბ. ნოდიას არ შეუწყნარებია მსახურთა თხოვნა — უნივერსიტე-

ტის გამგეობის ერთ-ერთი წევრისათვის მაინც ეცნობებია საქმის ვითარება და ისე მოეხდინა ჩხრეკა.

ბ-ნო მინისტრო, თქვენ, რასაკვირველია, კარგად მოგეხსენებათ, რომ უნივერსიტეტის ავტონომიის ერთი უმთავრესი გარანტია მდგომარეობს იმაში, რომ უნივერსიტეტის რექტორის ნებადაურთველად არავის ნება არ აქვს შევიდეს, თუგინდ საგანგებო რაზმსაც.

გაცნობებთ, რა ბ. მინისტრო, ნოდიას მიერ უნივერსიტეტის ავტონომიის ყოვლად უმიზეზოდ შელახვას და ჩხრეკის დროს ელემენტარული კანონების დარღვევას, გთხოვთ პასუხი მოსთხოვოთ ბ. ნოდიას და უნივერსიტეტი უზრუნველჰყოთ შემდეგში ასეთი შემთხვევისაგან.

რექტორი, დამსახურებული პროფესორი (ხელმოწერა)"[1].

ურთულეს პირობებში უხდებოდა მუშაობა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში პირველ სამეცნიერო ინსტიტუტს — კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიურ კვლევით დაწესებულებას, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1917 წელს ჩამოყალიბდა. ინსტიტუტის მუშაობა განსაკუთრებით გაძნელდა „დამოუკიდებელ" საქართველოში. ჯერ ერთი, თურქეთის შემოსევის დროს თითქმის განადგურდა ე. წ. ვანის კოლექცია, რომელიც ინსტიტუტის სამეცნიერო მასალას წარმოადგენდა. საბჭოთა რუსეთიდან იძულებით მოგლეჯილი ეს დაწესებულება დარჩა ფინანსების გარეშე. ე. თაყაიშვილი იძულებული გახდა ყველა თანამშრომლისათვის შეეწყვიტა ხელფასი. ამიერიდან ინსტიტუტის გამგეობა საზოგადოებრივ საწყისებზე უძღვებოდა ინსტიტუტის საქმიანობას.

მიუხედავად ამ სიძნელეებისა, კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტი განაგრძობდა მეცნიერულ საქმიანობას. ქართული კულტურის ძეგლების აღწერის, რეგისტრაციის, კვლევის საქმეში დაუცხრომლად მოღვაწეობდნენ ინსტიტუტის თანამშრომლები თაყაიშვილი, ჩუბინაშვილი, გორდევი, მელიქსედბეგი, მათთან შემოქმედებითად დაკავშირებული რუსი არქიტექტორები მ. კალაშნიკოვი, ნ. სევეროვი და სხვ.[2]. ამ ინსტიტუტის დიდი დამსახურება იყო კავკასიის კულტურის ძეგლების გადარჩენა, არქეოლოგიური ზონების დაცვა. ექვთიმე თაყაიშვილი დამფუძნებელი კრების სხდომებზე ხშირად გამოდიოდა მოთხოვნით ეზრუნა მთავრობას ქართული კულტურის ძეგ-

---

[1] საქ. სსრ ცსია, ფ. 11, საქ. № 2, ფურც. 93.

[2] С. Джорбенадзе, Учреждения АН СССР и Тбилисский университет, с. 52.

ლების გადასარჩენად, გაიღო სახსრები ნგრევის პროცესში მყოფი ძველი ძეგლების ეკლესია-მონასტრების შესაკეთებლად. ექვთიმე და მისი თანამშრომლები ხშირად აწყობდნენ სამეცნიერო ექსპედიციებს. უდიდესი სამეცნიერო მნიშვნელობა ჰქონდა სამეცნიერო ექსპედიციას, რომელიც 1917 წ. ე. თაყაიშვილის ხელმძღვანელობით მოეწყო სამხრეთ საქართველოში. ექსპედიციამ აღწერა და მეცნიერულად გამოიკვლია ქართული კულტურის შესანიშნავი ძეგლები — ხახულის, ოშკის, ბანას, იშხანის ტაძრები და სხვა უმნიშვნელოვანესი ნაგებობანი თორთუმის ხეობაში. ამ მასალების მიხედვით მომზადდა ქართული ხუროთმოძღვრების პირველი გამოფენა, რომელიც 1920 წ. გაიხსნა თბილისში.

აკად. ნ. მარი, რომელიც საქართველოს „დამოუკიდებლობის" გამოცხადების შემდეგ მოსწყდა მისი ინიციატიით დაარსებული კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის სამეცნიერო საქმიანობას, ყველა ღონეს ხმარობდა მისთვის დახმარება გაეწია. მარის ინიციატივით „კაიი" აღიარებულ იქნა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ექსტრაორდინალურ საზღვარგარეთულ ინსტიტუტად. მხოლოდ ეს გზა აძლევდა ნ. მარს საშუალებას მიეწვდინა ინსტიტუტისათვის ფინანსური სახსრები: 1920 წ. ნოემბერში პროფ. მ. პოლიევქტოვის საშუალებით, რომელიც ამ წელს ივ. ჯავახიშვილის მოწვევით სამუდამოდ გადმოვიდა თბილისის უნივერსიტეტში, ნ. მარმა ინსტიტუტს გამოუგზავნა რწმუნების სიგელი რუსეთის მეცნიერებათა აკადემიისაგან და გადასცა საბჭოთა ფული 358 440 მანეთი[1].

თბილისის უნივერსიტეტისა და კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიურ ინსტიტუტთან ერთად ქართველოლოგიის დარგში სამეცნიერო კვლევა-ძიებას აგრძელებდნენ და ქართველოლოგიის წყაროთმცოდნეობითი ბაზის გამდიდრებაში, დაუღალავ საქმიანობას ეწეოდნენ „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება", „საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება", „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოება" და სხვა ნებაყოფლობითი ეროვნულ-კულტურული დაწესებულებანი.

* * *

მეოცეიზმის ბატონობის წლებში საქართველოში მომძლავრებული ანარქიისა და სამეურნეო ნგრევის გამო ყველაზე მძიმე მდგომარეობა

---

[1] ს. ჯორბენაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 58.

მაინც შემოქმედებით ინტელიგენციას შეექმნა. ინტელიგენციის ეს ნაწილი, რომელსაც სხვა შემოსავალი, გარდა მისი მხატვრული პროდუქციისა, არაფერი გააჩნდა, შიმშილობდა ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ქართული თეატრი ისევ კერძო ინიციატივით აგრძელებდა არსებობას და სახელმწიფო დაწესებულებებიდან არავითარ დახმარებას არ იღებდა. ქართული მწერლობაც სახელმწიფოებრივ დახმარებას მოკლებული იყო და ძლივს ირჩენდა თავს ქართული პრესიდან მიღებული მათხოვრული გასამრჯელოთი. ქალალდის უქონლობის და სასტამბო წარმოების სრული მოშლილობის ვითარებაში ჰირდა ლიტერატურული პროდუქციის გამოცემა.

განსაკუთრებით მძიმე და უპერსპექტივო იყო ქართველ სცენისმოყვარეთა მდგომარეობა. ქართულ თეატრს შენობაც კი არ გააჩნდა მუდმივი სასცენო მოღვაწეობისათვის. სახელმწიფო თეატრი არ არსებობდა და მთავრობაც კერძო სათეატრო კოლექტივების საარსებოდ არავითარ ზრუნვას არ იჩენდა. ქართული დრამატული საზოგადოების შესაძლებლობანიც ფრიად შეზღუდული იყო. ასე რომ საქართველოს უნიჭიერესი თეატრალური ძალების შეკრება, ორგანიზებულ შემოქმედებით კოლექტივად ჩამოყალიბება ვერ ხდებოდა. სახელმოხვეჭილი ქართველი რეჟისორები საკუთარი თაოსნობით ადგენდნენ მცირე თეატრალურ კოლექტივებს ხან თბილისში, ხან ქუთაისში და სახელდახელოდ შედგენილი რეპერტუარით დიდი-დიდი ორ სეზონზე ახერხებდნენ არსებობის შენარჩუნებას, უპირატესად საქართველოს სოფლებში ხეტიალის ხარჯზე. მცირე კოლექტივების შექმნის მიზანი იყო ლუკმა პურის შოვნა და არა რაიმე სიახლის დანერგვა თეატრალურ შემოქმედებაში. ამიტომ შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ 1917—1920 წლებში ქართულ თეატრს, მისი შემოქმედებითი ძალების მაღალი ნიჭიერებისა და სიმწიფის მიუხედავად, მხატვრული თვალსაზრისით ნაბიჯი წინ არ გადაუდგამს. „თებერვლის რევოლუციის შემდეგ,— შენიშნავს იმ დროის აქტიური თეატრალური მოღვაწე პ. ფრანგიშვილი,— მენშევიკების ბატონობის დროს, ქართული თეატრის მოღვაწენი უსახლკარონი დაძრწოდნენ სოფლიდან სოფელში. ასეთ პირობებში რაიმე ხელრიანის შექმნაზე ფიქრიც კი ამაო იყო"[1].

1917 წელს პარიზიდან დაბრუნდა გიორგი ჯაბადარი, რომელმაც იქ მიიღო თეატრალური განათლება. მან განიზრახა შეექმნა ქართული თეატრალური სტუდია და თავი მოუყარა ახალგაზრდა შემოქმედებით

---

[1] პავლე ფრანგიშვილი, რაც ვნახე და განვიცადე, 1963, გვ. 198.

ძალებს. სტუდიაში გაერთიანდნენ მ. პიაურელი, მ. გელოვანი, გ. არადელ-იშხნელი, ც. ამირეჯიბი, ა. ქიქოძე, ბ. გამრეკელი. კ. სუმბათაშვილი და სხვ. ამ ჯგუფს შემდეგ შეუერთდნენ ვ. ანჯაფარიძე, შ. ღამბაშიძე, ა. ვასაძე, დ. მჟავია, მ. ლორთქიფანიძე და სხვ. სტუდიამ მოამზადა ორი სპექტაკლი ბროეს „სარწმუნოება" და ჯაკოს „ვითა ფოთლები"[1]. ამ კოლექტივს საკმაო წარმატება ჰქონდა, მაგრამ ერთი წლის შემდეგ დაიშალა. ამირეჯიბის ჯგუფი 1918 წ. შეუერთდა საქართველოს რაიონებში საგასტროლოდ ჩამოყალიბებულ კოლექტივს. ქართული სცენის დიდოსტატები ვ. გუნია, ვ. აბაშიძე, ე. ჩერქეზიშვილი, ალ. იმედაშვილი, ი. ზარდალიშვილი, ნ. გაბუნია, ნ. ჩხეიძე და სხვებიც კი იძულებული იყვნენ შემთხვევით შექმნილ კოლექტივებში მიეღოთ მონაწილეობა. მხოლოდ 1920--21 წ. სეზონში რუსთაველის თეატრში სტაციონარულ სამუშაოზე მოიწვიეს ქართველ მსახიობთა დიდი უმრავლესობა. ეს იყო დიდი მოვლენა. „ქართველ მსახიობს თავისი სახლი და ჭერი ეღირსა"[2].

1919 წ. ქართველმა საზოგადოებრიობამ დიდი ზეიმით აღნიშნა ნინო ჩხეიძის თეატრალური მოღვაწეობის 25 წელი. საბენეფისო საღამო პირველად ჩატარდა ქუთაისში. საღამოს ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა დავით კლდიაშვილი. საუბილეო შეხვედრები ნ. ჩხეიძეს ჩოუწყეს თბილისში და საქართველოს ყველა რაიონში[3]. საარსებო საშუალების გამონახვის მიზნით საბენეფისო საღამოები ეწყობოდა სხვა ბევრი გამოჩენილი მსახიობებისათვისაც.

1917-1920 წლებში შედარებით სტაბილურად მუშაობდნენ სახალხო სახლის ქართული, სომხური და რუსული თეატრალური კოლექტივები, რომელთაც ახალი ძალები ემატებოდათ თბილისის მუშათა და ხელოსანთა რიგებიდან. აქტიურობდა ავჭალის აუდიტორიაც. მუშა სცენისმოყვარეთა თეატრალურ ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ გამოჩენილი მსახიობებიც.

1920 წ. თბილისში დაბრუნდა სახელგანთქმული ქართველი მსახიობი ლადო მესხიშვილი, რომელიც 5 წლის განმავლობაში რუსეთში მოღვაწეობდა, ჯანგატეხილი შემოქმედი იმავე წლის 24 ნოემბერს გარდაიცვალა. მისი დაკრძალვა დიდ სახალხო გლოვად იქცა.

1918 წლის მაისში ოპერის თეატრის დირექტორად დანიშნეს ალექსანდრე წუწუნავა, რომელიც ადრე ბაქოს ქართულ თეატრს რეჟისო-

---

1 ნათელა ურუშაძე, ცაცა ამირეჯიბი, 1958, გვ. 68—69.

2 იქვე, გვ. 76.

3 ნინო ჩხეიძე, მოგონებანი, 1956, გვ. 80—92.

რობდა. ოპერაში, როგორც სახალხო თეატრში, ამ დროს კვლავ მძლავრობდა შოვინისტური სულისკვეთება, თეატრის დირექტორი ვინმე პონიაცკი მეფის ყოფილი ნაცვლის კანცელარიის დიდი მოხელე იყო, ანტერპრენიორს ვინმე ლევიცკის, ფულიანი ტუზების ხელშეწყობით ჩამოყალიბებული ჰყავდა დასი ცალმხრივად, ისე რომ მის გარეშე იყო დარჩენილი მრავალი გამოჩენილი მომღერალი, თვით ვანო სარაჯიშვილიც კი. ოპერის თეატრში ქართულ ოპერას კარი დახშული ჰქონდა. თეატრი საერთოდ მოშლილი იყო და სრული გაჩანაგების წინაშე იდგა. ა. წუწუნავა ენერგიულად შეუდგა მუშაობას, მიმართა მთავრობას დახმარებისათვის, მაგრამ უარით გამოისტუმრეს.[1]

ოპერის თეატრში დისციპლინის აღდგენისათვის და უღირსი ელემენტებისაგან გაწმენდისათვის ა. წუწუნავამ გრანდიოზული მუშაობა გასწია. ამავე დროს მან გზა გაუკაფა ორ ქართულ ოპერას, რაც იმ ვითარებაში ქართულ მუსიკალურ სამყაროში ნამდვილ რევოლუციას წარმოადგენდა.

1919 წ. 5 თებერვალს ოპერის სცენაზე პირველად დაიდგა — დ. არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე“ ალ. წუწუნავას რეჟისორობით. ეს იყო დიდი მოვლენა ერის კულტურულ ცხოვრებაში. ქართული ორიგინალური ოპერის წარმოდგენამ წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. იგი ქართული კულტურის ნამდვილ ზეიმად იქცა.

დ. არაყიშვილის ოპერის გამარჯვებით ფრთებშესხმულმა ა. წუწუნავამ მუშაობა დაიწყო ზ. ფალიაშვილის ოპერის „აბესალომ და ეთერის“ დადგმაზე. 28 თებერვალს მაყურებელმა მეორე ქართული ოპერაც ნახა. სიჩქარის გამო დადგმის თვალსაზრისით ზ. ფალიაშვილის ოპერას ზოგი ხარვეზი ჰქონდა. ალ. წუწუნავამ დიდი მუშაობა გასწია ოპერის სცენიური დახვეწისათვის და მეორე დადგმა მიუძღვნა დიდი ქართველი კომპოზიტორის მუსიკის სარბიელზე მოღვაწეობის 25 წლისთავს. ქართული კულტურის უმნიშვნელოვანეს თარიღთა რიგს ამ ოპერის დადგმით ახალი თარიღი — 1919 წ. 25 თებერვალი შეემატა. ზ. ფალიაშვილს 1919 წ. 12 აპრილს, მისი სამუსიკო მოღვაწეობის 25 წლისთავის აღსანიშნავად კონსერვატორიის სამხატვრო საბჭომ პროფესორის ხარისხი მიანიჭა.

„...ხალხის წიაღიდან გამოსულმა ტიპიურმა ნაციონალურმა კომპოზიტორმა ზაქარია ფალიაშვილმა აამღელვარა ხალხის გული... საჭიროა ვიცნობოთ მხედველობაში მისი დიდი პედაგოგიური მოღვაწეო-

---

[1] დ ა ვ ი თ ქ ა ს რ ა ძ ე, ალექსანდრე წუწუნავა, 1957, გვ. 81.

ბაც სამუსიკო სასწავლებელში, სადაც ან ადვილი არ იყო წინათ მუშაობა, როგორც ახლა"[1], — ვკითხულობთ ოქმში.

„დიდი დღესასწაულია!

დღესასწაული ნამდვილი ხელოვნებისა!

დღესასწაული კულტურული გამარჯვებისა!...

გასაოცარი ლეგენდა, საშშობლო ქვეყნის ჰანგებით მოსეავადებული....

დიდება კომპოზიტორ ზაქარია ფალიაშვილს!..." — ჩაწერა თავისი შთაბეჭდილება კოტე მარჯანიშვილმა, როცა ეს ოპერა ნახა.

„საქართველოს მუსიკის ახალი ერა ამ ოპერით დაიწყო — აბსალომი ფოკუსია, რომელშიაც თავმოყრილია ქართველი ერის მუსიკალური სულის გამოხატულება. ყოველი დროისა და ყოველი კუთხისა"[2] — წერდა მელიტონ ბალანჩივაძე, რომელიც სწორედ ამ პერიოდში ს. წეწუნავას წაქეზებით გამალებით მუშაობდა თავის ოპერა „დარეჯან ცბიერზე".

მემოქმედებითი ძიებით ხასიათდებოდა ამ პერიოდის ქართული სახვითი ხელოვნება. ხელოვნების მუშაკთა შემოქმედებით ორგანიზაციებს წარმოადგენდა ე. წ. „მხატვართა საზოგადოება", რომელიც რევოლუციამდე შეიქმნა დ. შევარდნაძისა და გურამიშვილის თაოსნობით. ქართველი მხატვრების აღიარებული ოსტატების გაბაშვილის, მრევლიშვილის, გურამიშვილის, მოქანდაკე ი. ნიკოლაძის მ. თოიძის მონაწილეობით. 1916—1917 წლებში გამოჩნდნენ ახალი ძალები (ლ. გუდიაშვილი, დ. კაკაბაძე, ციმაკურიძე, სიდამონ ერისთავი, ელ. ახვლედიანი, ქიქოძე და სხვები). მხატვართა 1919 წლის გამოფენაზე საზოგადოებრიობის ყურადღება განსაკუთრებით მიიქციეს ლ. გუდიაშვილის და დ. კაკაბაძის ნამუშევრებმა, რომლებშიც მაღალ შემოქმედებით ოსტატობასთან ერთად ჩანდა დიდი თვითმყობადობა. ეს იყო მიმანიშნებელი ქართულ მხატვრობაში ახალი ეტაპის დასაწყისისა, რამაც შემდეგ მსოფლიო აღიარება პოვა. გამოფენის შთაბეჭდილებამ შეაპირობა სწორედ ლ. გუდიაშვილის და დ. კაკაბაძის მიელინება პარიზში, სადაც მანამდე უცნობი ეს ახალგაზრდები მსოფლიო ასპარეზზე გავიდნენ.

1918 წ. შიმშილსა და უსახლკარობაში დაასრულა სიცოცხლე უნიჭიერესმა ქართველმა მხატვარმა ნიკო ფიროსმანაშვილმა. ბრწყინვალე ნამუშევრებით, რომელთაც ერთ სადილსა და ჭიქა ღვინოზე ჰყიდდა,

---

[1] შალვა კაშმაძე, ზაქარია ფალიაშვილი, 1947. გვ. 39.

[2] იქვე, გვ. 40.

ნიკო ფიროსმანაშვილმა ჯერ კიდევ ადრე, 1912—1914 წლებში მიიქცია ქართველი და უცხოელი მხატვრების ყურადღება. 1919 წლის გამოფენაზე მთელი სიდიადით გამოჩნდა ფიროსმანის თვითმყობადი ტალანტი, რამაც მას შემდეგ მსოფლიოში სახელი გაუთქვა.

1918—1920 წლებში, გასაგებ მიზეზთა გამო ქართულ მხატვრობაში რაიმე განსაკუთრებული მნიშვნელობის ტილო არ შექმნილა. გუდიაშვილის, კაკაბაძისა და ე. ახვლედიანის ნიჭი ჯერ კიდევ გაფურჩქვნის პროცესს განიცდიდა. დასრულებულ ოსტატებსაც თითქოს კრიზისის ხანა ედგათ. მთავარი მაინც ის იყო, რომ მხატვართა ნიჭიერ შემოქმედებით კოლექტივს აკლდა სახელმწიფოებრივი ზრუნვა. ახალგაზრდა ძალებზე თავისებურ ზეგავლენას ახდენდა იმპრესიონიზმი, კუბიზმი, რაც საერთოდ, მოდური იყო იმ დროის მსოფლიო ფერწერაში.

მხატვართა ახალგაზრდა შემოქმედებითი ძალები ერთგვარად აყოლილი იყვნენ ბოჰემურ სტილს ცხოვრებასა და შემოქმედებაში, რომელსაც ტონი „ცისფერყანწელებმა" მისცეს. პოეტებისა და მხატვრების საღამოები, როგორც წესი, სალონებსა და კაფეებში იმართებოდა. ლ. გუდიაშვილი წერს, რომ პოეტებთან ერთად მხატვრებიც მუდმივი მონაწილენი იყვნენ იმ შემოქმედებითი დისპუტებისა, რომელიც „ფანტასტიკურ ყავახანაში", „ქიმერიონში", „არგონავტთა იალქანში", „ძმურ ნუგეშში" ეწყობოდა. აქ იყვნენ მსახიობებიც, რეჟისორებიც ეწყობოდა შეხვედრები მოსკოველ სტუმრებთან. რესტორანი „ქიმერიონი", რომელიც 1918 წ. გაიხსნა „ცისფერყანწელთა" ინიციატივით, მოხატეს ლ გუდიაშვილმა, დ. კაკაბაძემ, რუსმა მხატვარმა სერგეი სუდეიკინმა. ლ. გუდიაშვილი იგონებს: „ეს კაფე მდებარეობდა რუსთაველის თეატრის ახლანდელ ქვემოთა ფოიეში. მისი გახსნის ინიციატივაც „ცისფერყანწელთა" ჯგუფს ეკუთვნოდა. ყველა იმ სატკივარს შორის, რომელიც ოდესმე ცხოვრების გზაზე შემხვედრია, ერთ-ერთი ისიცაა, რომ ხელოვნების ეს შესანიშნავი ძეგლი (ვგულისხმობთ „ქიმერიონის" მოხატულ კედლებს) ყოვლად უაზროდ გაქრა და დაიკარგა.... აქ ეწყობოდა ლიტერატურული შეხვედრები, მწერლები კითხულობდნენ ახალ ნაწარმოებებს. შემდეგ გამოდიოდნენ იმ დროის გამოჩენილი მომღერლები და მოცეკვავეები. საერთოდ, ეს კაფე ძალიან თვალწარმტაცი სანახავი იყო. შადრევნებს ირგვლივ მაგიდებს შორის, თავისუფლად დასეირნობდნენ შვლები და ხანდახან სუფრაზე მოტანილ მწვანილსაც წასწვდებოდნენ ხოლმე....

კაფესთვის რომ მეტი ეშხი და სილამაზე მიგვეცა, გადავწყვიტეთ მისი კედლები ფრესკული პრინციპით მოგვეხატა. ამ ხანებში თბილისში

იმყოფებოდა ცნობილი რუსი მხატვარი სერგეი სუდეიკინი. მან ჯერ რევოლუციამდე დასტოვა პეტერბურგი, შემდეგ მსახურობდა არმიაში, ავად გახდა და საქართველოში ჩამოვიდა, ჩვენთან ერთად ატარებდა მთელ დღეებს. გამოფენაც მოაწყო, ბევრი სურათი აქვს შექმნილი თბილისისა და, საერთოდ, საქართველოს თემებზე. ბოლოს პარიზში წავიდა.

პაოლოს ინიციატივით „ქიმერიონის" მოხატვაში სუდეიკინმაც მიიღო მონაწილეობა. მოხატა კაფეში ჩასასველელი კიბის მარცხენა მხარე. მისი თემა იყო „ქართველი პოეტები და ეპიზოდები ძველი თბილისის ცხოვრებიდან". დახატა თავისი ავტოპორტრეტი.

ყველამ გატაცებით დაიწყო მუშაობა. მოპირდაპირე კედელზე მე დავხატე — „სტეპკოს დუქანი" და „დარაჯი მელა". დარბაზის შიდა კედელი დაფარული იყო დავით კაკაბაძის ნახატებით, რომელთა საერთო თემა გაზაფხული იყო. დანარჩენი კედლები მოხატეს კირილე ზდანევიჩმა და ზიგმუნდ ვალიშევსკიმ.

აქვე იმართებოდა მხატვართა გამოფენები... იმართებოდა სურათების აუქციონიც. შემოსული თანხა მთლიანად კავშირის ფონდში გადადიოდა"[1].

• • •

1917—1920 წლები მძიმე პერიოდი იყო ქართველი მწერლებისათვის. ისინი მოკლებული იყვნენ ყოფა-ცხოვრების ნორმალურ პირობებს.

შემოქმედებითი ინტელიგენციისადმი მთავრობის მხრივ დანაშაულებრივ უყურადღებობას გაბედულად ამხელდა ტიციან ტაბიძე, რომელიც 1918 წ. წერდა: „არასოდეს არ ყოფილან ასეთ მდგომარეობაში ქართველი მწერლები და არტისტები, როგორც დღეს. პირადი თავმოყვარეობა ბევრს უშლის პირდაპირ შიმშილზე რომ იყვიროს. რასაკვირველია, ვინც არ მოასწრო მენშევიკების ფავორში შესვლა. ამ მორალურ სპეკულანტებზე ნაკლები არ არის ნამდვილი სპეკულანტების გაჩენა ამ წრეში, რაც სამარცხვინოდ უკვე ფაქტია...

დღეს აუარებელი ფული იხარჯება შედარებით სუბსიდიების სახით სხვადასხვა საქმეებზე და ხელოვნებაზე კი არაფერი"[2].

ვითარების სირთულის მიუხედავად, ქართული მწერლობის შემოქ-

---

[1] ლ ა დ ო გ უ დ ი ა შ ვ ი ლ ი, მოგონებანი, 1979, გვ. 13—14.
[2] გაზ. „საქართველო", № 202. 1918.

მედებითი საქმიანობა არ მოდუნებულა. მან ამ მძიმე ეპოქაშიც შეძლო შეექმნა არაერთი და ორი ბრწყინვალე ნიმუში ქართული მხატვრული სიტყვისა. ქართული მწერლობა კვლავ რჩებოდა თავისი ხალხის სულიერი ტკივილების, უკეთესი მომავლისადმი რწმენის გამომხატველად საქართველოს მშრომელთა რევოლუციური ბრძოლის შემმართებელ ძალად.

1917 წ. თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია ქართველმა მწერლებმა განიცადეს, როგორც ქართველი ხალხის საუკუნეობრივი ოცნების განხორციელება — მისი განთავისუფლება სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან. ეს მაღალი განცდები დიდი პათოსითაა გადმოცემული გ. ტაბიძის, ს. შანშიაშვილის, პ. იაშვილის, ტ. ტაბიძის, გ. ლეონიძის, კ. მაყაშვილის, რ. გვეტაძისა და სხვ. ლექსებში.

გ. ტაბიძე 1917 წ. თებერვლის დღეებში პეტროგრადში იყო და რუსეთის რევოლუციური განახლებით ვამოწვეული განცდა პირველმა გადმოგვცა 5 მარტს არაჩვეულებრივი მხატვრული სისრულით დაწერილ ლექსში „დროშები ჩქარა“: „გათენდა. ცეცხლის მზე აენთო, აცურდა... დროშები ჩქარა! თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა, ეით დაჭრილ ირმების გუნდს წყარო ანკარა, დროშები ჩქარა!...

დიდი პოეტი პეტროგრადში და მოსკოვში მონაწილე იყო რევოლუციის მღელვარე დღეებისა. იგი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების უშუალო მოწმეც გახდა.

პოეტს რუსეთიდან მშობლიურ ქვეყანაში გადმოჰყვა შთაბეჭდილება განახლების ზარების გუგუნისა, დიდი ქარტეხილებისა. სამშობლოში მან მოიტანა „სიმღერა ქვეყნის გადარჩენისა“.

1918 წ. საქართველოში დაბრუნებული პოეტი აქ შექმნილ ვითარებას ვერ შეეგუა. ქართულმა სინამდვილემ მის ოცნებებს ფრთები შეუკვეცა. პოეტის სულის დაუოკებელი სწრაფვა მაღალი პოეტური პათოსითაა გადმოცემული 1919 წელს გამოქვეყნებულ ლექსთა კრებულში „არტისტული ყვავილები“, სადაც, საერთოდ, მოჭარბებულია სიმბოლიზმის ნაკადი. რევოლუციის განცდა გამოსჭვივის ლექსში „გემი დალანდი“, სადაც ქართულ ლიტერატურაში პირველადაა ნახსენები რევოლუციის დიდი შემოქმედის ვ. ი. ლენინის სახელი.

საერთოდ, უნდა ვთქვათ, რომ ქართული მწერლობის დიდი ნაწილი დაკმაყოფილდა თებერვლის რევოლუციის მონაპოვარით და ვერ გაიაზრა სოციალისტური რევოლუციის მნიშვნელობა წვრილბურჟუაზიული პარტიების ზეგავლენით უნდობლად მოეკიდა მუშათა კლასის

მიერ რევოლუციის გაღრმავებას, წარმოიდგინა, რომ მეორე რევოლუცია, თითქოს ხელყოფდა მისი ხალხის მიერ ტანჯვით მოპოვებულ ეროვნულ თავისუფლებას. რთული და წინააღმდეგობრივი იყო სოციალისტური რევოლუციისა და საქართველოს ბედ-იღბლის მიმართ პოზიცია იმ დემოკრატიული მწერლებისა" (ნ. ჩხიკვაძე, ალ. აბაშელი, ვ. რუხაძე, ს. თავაძე, გ. ქუჩიშვილი, ხ. ვარდოშვილი, იასამანი, პ. ირეთელი და სხვ.), რომლებიც 1917 წ. თებერვალმა აღაფრთოვანა და სოციალურ და ეროვნულ ბრძოლას დასრულებულად თვლიდა, თუმცა მენშევიკურმა რეჟიმმა ვერ გაამართლა მათი იმედები.

მაგრამ ქართველი დემოკრატიული მწერლებიდან ბევრმა მალე ამოიცნო, რომ მენშევიკური მთავრობის სიტყვა შორს იყო საქმისაგან, რომ ქართველი ხალხი თავისუფლების სიტკბოს ვერ ეზიარა, დამოუკიდებლობა და დემოკრატიზმი ილუზია აღმოჩნდა და ქვეყანას დასავლეთის იმპერიალისტები ეპატრონებოდნენ.

ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ ქვეყნის ბედით შეშფოთებულმა მწერლობამ ქართველ დემოკრატიულ ინტელიგენციასა და მშრომელ მასებში გადმოისროლა ლოზუნგი „მოუარეთ საქართველოს!" ამ ლოზუნგის ავტორია ნიკო ლორთქიფანიძე. ერის ცხოვრების დეგრადაციით შეშფოთებული მწერალი ღაღადებდა: „მოუარეთ საქართველოს!" ამას გაიძახოდა მყინვარი, ამას ღაღადებენ ბაგრატის ტაძრის ნანგრევები, დინჯი მტკვარი, წვიმის ყოველი წვეთი, ამას ბრძანებს თვით რუსთაველი". — ეს სიტყვები ნ. ლორთქიფანიძეს ეკუთვნის. ამ პერიოდის მის შემოქმედებაში კარგადაა შეხამებული, ერთი მხრივ, ხალხის მძიმე ცხოვრებით განცდილი ტრაგედია, მეორე მხრივ, საგანგაშო ზარების რეკვა მამულის გადასარჩენად („ტრაგედია უგმიროდ", „ბედნიერება", „ლიტერატურული საღამო", „ეამთა სიავე", „ბებრები", „წინად ასე არ ვკვდებოდით" და სხვ.).

ქართული მწერლობის შემოქმედებას ამ პერიოდში ახასიათებდა, ერთი მხრივ, უიმედობა და მელანქოლიზმი, მეორე მხრივ, მომავლის რწმენა და საბრძოლო სულისკვეთება. ეს იყო ახლის ძიების, პოზიციის დაზუსტების, რევოლუციის რთული პროცესის მტკივნეული გაგაზრების თავისებური ხანა. ამიტომ ბუნებრივია, რომ ქართული მწერლობა წარმოდგენილია სხვადასხვა ლიტერატურული ჯგუფით („ცისფერყანწელები", „აკადემიური ასოციაცია", „მემარცხენეები").

სიმბოლიზმისა და მოდერნისტული განწყობილების ერთგვარი გაცხოველების მიუხედავად, ქართული მწერლობა ძირითადად მაინც რეალიზმის პოზიციაზე დარჩა, იგი სისხლხორცეულად იყო დაკავში-

რებული თავის ხალხთან, მის ბრძოლასთან მენშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ.

...ქართული პოეზიის საგანძური ამ მძიმე ეპოქაში შესანიშნავი ქმნილებებით გაამდიდრეს პოეტებმა პ. იაშვილმა, ტ. ტაბიძემ, ვ. გაფრინდაშვილმა, რ. გვეტაძემ, ს. შანშიაშვილმა, ალ. აბაშელმა, ი. გრიშაშვილმა, გ. ლეონიძემ, კ. ნადირაძემ, კონსტ. ჭიჭინაძემ და სხვებმა. დიდი მხატვრული ნაბიჯი გადადგა წინ ქართულმა ბელეტრისტიკამ ლ. ქიაჩელის, მ. ჯავახიშვილის, ვ. ბარნოვის, შ. არაგვისპირელის, კ. გამსახურდიას, ს. კლდიაშვილის, დ. შენგელაიას ქმნილებებში. ქართული ლიტერატურული აზროვნების მრავალი ძვირფასი ნიმუში შექმნეს პ. ინგოროყვამ, გ. ქიქოძემ, ლ. ასათიანმა და სხვებმა.

მენშევიკური დიქტატურის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოიწვრთო მხატვრული სიტყვის ოსტატთა ახალგაზრდა თაობა, რომელმაც შეადგინა პროლეტარული მწერლობის პირველი ბირთვი საქართველოში (ს. ეული, კ. კალაძე, ი. ვაკელი, პ. ჩხიკვაძე, პ. სამსონიძე, ნ. ზომლეთელი, ი. ლისაშვილი და სხვ.)[1].

საქართველოს შემოქმედებითი ინტელიგენცია არ აჰყოლია იმ ნაციონალისტურ განწყობილებებს, რომელსაც ნერგავდა მენშევიკური მთავრობა, პირიქით, დემოკრატიული ინტელიგენცია სწორედ ამ პერიოდში ავლენდა ინტერნაციონალურ სოლიდარობასა და ძმურ სიყვარულს რუსი, სომეხი, აზერბაიჯანელი ხალხების მიმართ, მას მუდმივი კავშირი ჰქონდა ამ ხალხების შემოქმედებით მუშაკებთან.

განსაკუთრებული სითბოთი და სიყვარულით იგონებენ ამ პერიოდში საქართველოში გატარებულ დღეებს რუსი მწერლები ილია ერენბურგი, კონსტანტინე პაუსტოვსკი და სხვები. ი. ერენბურგის და ოსიპ მანდელშტამის ოჯახის მუდმივი მასპინძლები იყვნენ ტ. ტაბიძე და იაშვილი[2] თბილისის რესტორნები „ფანტასტიკური ყაყახანა", „არგონავტთა იალქანი", „ქიმერიონი", მუდამ სავსე იყო ქართველი მწერლებით, ხელოვნების მუშაკებით, რომლებიც შეძლებისდაგვარად მასპინძლობდნენ სტუმრებს მოსკოვიდან და რუსეთის სხვა ქალაქებიდან[3]. დიდი მოვლენა იყო მოსკოვის სამხატვრო თეატრის კოლექტივის სტუმრობა თბილისში. სტუმართა შორის იყვნენ კაჩალოვი, კნი-

---

[1] დავით თევზაძე, ქართული ლიტერატურა 1917—1920 წლებში. კრ. ქართული საბჭოთა მწერლობის საკითხები, 1967, გვ. 72—86.

[2] И. Эренбург, Люди, годы, жизнь, кн. первая, М., 1961, с. 508—517.

[3] ლადო გუდიაშვილი, მოგონებანი, 1979, გვ. 13.

პერ-ჩეხოვა, თარხანოვი, გერმანოვი, ბერსენიევი და სხვები. ისინი პირველად 1920 წ. ზამთარში გემით ეწვივნენ ფოთს, სადაც ადგილობრივი ინტელიგენცია გულთბილად შეხვდა მათ. ფოთიდან სტუმრები ჩამოვიდნენ თბილისში, სადაც რამდენიმე სპექტაკლში მიიღეს მონაწილეობა. თბილისის შემოქმედებითმა ინტელიგენციამ სასურველ სტუმრებს გულთბილად უმასპინძლა[1].

ამიერკავკასიის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების შოვინისტური პოლიტიკა, როგორც ცნობილია, შუღლსა და მტრობას თესდა ამიერკავკასიის ერებს შორის. საგანგებო აღნიშვნის ღირსია, რომ საქართველოს შემოქმედებითი ინტელიგენცია არ აჰყვა ბურჟუაზიულ ნაციონალისტური პარტიების ამ ანტიხალხურ კურსს და იგი მუდამ ცდილობდა განემტკიცებინა ის ძმობა და მეგობრობა, რომელიც დიად ტრადიციად მიმდინარეობდა ამ ხალხთა შორის.

1919 წ. სომხურმა საზოგადოებამ ტ. ნაზარიანის სალონში მოაწყო ლიტერატურულ-მხატვრული საღამო, რომელიც მიეძღვნა ზაქარია ფალიაშვილის მუსიკალური მოღვაწეობის 25 წლისთავს. აქვე საგანგებოდ მიწვეული იყვნენ პოეტი ო. თუმანიანი, მსახიობი ო. აბელიანი და იტალიელი მუსიკოსი, თბილისის კონსერვატორიის პროფესორი ენროლო ბროჯი. სომეხმა მწერალმა ტერ-გევორქიანმა ასეთი სიტყვით მიმართა ზ. ფალიაშვილს.

„ნება მომეცით თქვენ გიწოდოთ ჩვენი თანამემამულე, რადგან ჩვენც თქვენთან ვცხოვრობთ და ვმოღვაწეობთ იგივე საქართველოს ულამაზესი ცის ქვეშ, რადგან თქვენ ხელოვანნი გიცნობენ და გაფასებენ... ჩვენ, სომხები კი, ყოველ უცხოელზე ახლო ვდგავართ რა თქვენთან, ყველაზე ადრე ვიცნობთ და ვაფასებთ ქართველი ეროვნული გენიის შემოქმედებას.

სომეხი და ქართველი ერი ისე მჭიდროდ არის დაკავშირებული ურთიერთთან, ისეა გადაბმულ-გადახლართული ჩვენი სულიერ-გონიერული ძაფები და ყოველდღიური ინტერესები, რომ არც ერთი მმართველი, არავითარი ბოროტი ზრახვა ჩვენ ვერ გაგვყრის ერთმანეთისაგან.

გმადლობთ, თქვენ, დიდი რუსთაველის შთამომავალო, რომ თქვენი ღვთაებრივი უმშვენიერესი მუსიკალური ქანგებით აჩუქებთ შავი და ბოროტი ყვავეს ჩხავილს.

---

[1] ხიკო გვარაძე, რუსი და უკრაინელი მსახიობები საქართველოში, 1958, გვ. 66—67.

გილოცავთ მუზებისადმი 25 წლის უანგარო სამსახურს. დიდება ოპერა „აბესალომ და ეთერის“ ავტორს!

დიდება ქართველ ხალხს, რომელიც თავისი ლამაზი ლეგენდებით შემოქმედებითი აღფრთოვანების წყაროდ ქცეულა თავისი მგრძნობიარე და ღირსეული შვილისათვის!

დიდება საქართველოს!“[1]

თბილისის სახალხო სახლის სომხური თეატრალური კოლექტივი სისტემატურად დგამდა სპექტაკლებს ქართველთა ცხოვრებიდან. 1918 წ. აქ წარმატებით დადგეს ე. ნინოშვილის „ქრისტინე“, 1919 წელს დიდი მოწონებით მიდიოდა ალ. სუმბათაშვილის „ლალატი“, ავლაბრის მუშათა კლუბში 1919 წ. დაიდგა პ. ირეთელის „დამარცხებულნი“. ახალციხის სომხურმა დრამწრემ 1919 წელს დადგა ვ. გუნიას „და-ძმა“. სომხური გაზეთები თარგმნიდნენ ქართველი მწერლების ნაწარმოებებს. ხშირად იბეჭდებოდა წერილები ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაზე.

ქართველი ინტელიგენცია თავის მხრივ სომეხ თანამოძმეებს უწევდა ძმურ დახმარებას შემოქმედებით საქმიანობაში, ამასთანავე ეწეოდა ძირძველი სომხური კულტურის პროპაგანდას. ქართველმა საზოგადოებრიობამ 1919 წ. დიდი ზეიმით აღნიშნა ო. თუმანიანის იუბილე.

ქართველი დემოკრატული ინტელიგენციის მრავალი წარმომადგენელი დაუღალავ შემოქმედებით საქმიანობას ეწეოდა სამშობლოს გარეთ, ამიერკავკასიის ქალაქებში, რუსეთის ცენტრებში.

1917—1920 წლებში ქართული თეატრი ნაყოფიერად მუშაობდა ქ. ბაქოში. ბევრი საინტერესო დადგმა განახორციელეს აქ შალვა დადიანმა და ალ. წუწუნავამ. შალვა დადიანმა შექმნა და ბაქოს სცენაზე პირველად წარმოადგინა თავისი შესანიშნავი დრამა „გუშინდელნი“. ქართველი მსახიობებიდან აქ მუშაობდნენ ც. ამირეჯიბი, ელ. ანდრონიკაშვილი, შ. ხონელი, ვასო არაბიძე, რომლებიც ადგილობრივი დასის სპექტაკლებში ენთუზიაზმით მონაწილეობდნენ. ვასო არაბიძე, რომელსაც რევოლუციური არალეგალური საქმიანობის დიდი გამოცდილება ჰქონდა, აქტიურად ეხმარებოდა ბაქოელ ბოლშევიკებს ორგანიზაციულ საქმიანობაში. ეს თეატრი ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხების ისტორიულ მეგობრობას განასახიერებდა ნაციონალიზმის აყვავების მძიმე წლებში.

---

[1] სურენ ავჩიანი, ქართულ-სომხური თეატრალური ურთიერთობანი, 1960, გვ. 168—169.

შემოქმედებითი ინტელიგენციის საქმიანობა ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის განმტკიცების მიმართულებით დიდად უწყობდა ხელს ამიერკავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციებს დაერაზმათ ამიერკავკასიის მშრომელი მასები ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური რეჟიმის დამხობისა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

1919 წ. საბჭოთა უკრაინაში სახელგანთქმული ქართველი რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი დანიშნულ იქნა ვ. ი. ლენინის (ადრე სოლოვცოვის სახ.) თეატრის კომისრად. ქ. კიევის რეჟისორად და ადგილობრივი თეატრების ნაციონალიზაციის კომისიის თავმჯდომარედ. კ. მარჯანიშვილმა მთელი თავისი მჩქეფარე ენერგია მოახმარა უკრაინაში საბჭოური თეატრის მშენებლობას. სამოქალაქო ომის უმკაცრეს წლებში კ. მარჯანიშვილმა შეავსო საბჭოთა თეატრის პირველი ფურცლები, შექმნა რევოლუციური პათოსით გამსჭვალული სპექტაკლები, რომელნიც კომუნისტურ პარტიას, მასებს უდიდეს დახმარებას უწევდა კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში, საბჭოთა ხელისუფლების დაცვაში, ეპოქალური მნიშვნელობა ჰქონდა კ. მარჯანიშვილის მიერ დადგმულ ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყაროს". ამ სპექტაკლის ზემოქმედებითი ძალა მაყურებელზე განუზომელი იყო. ვს. ვიშნევსკი იგონებს „ჩვენ მშივრები ვიყავით, მან დაგვაპურა და ჩვენ გვწამდა, რომ მზად ვიყავით გვებრძოლა და რომ ვიბრძოლებდით გამარჯვებამდე". სპექტაკლის შემდეგ რევოლუციის ჯარისკაცები ფრონტზე გამარჯვების ურყევი რწმენით მიდიოდნენ.

ა. სუმბათაშვილ-იუჟინი ერთ-ერთი პირველთაგანია, რომელიც რუსეთის თეატრალური მოღვაწეთაგან მტკიცედ დადგა საბჭოთა ხელისუფლების პოზიციაზე და მისთვის ჩვეული ენერგიით შეუდგა თეატრის შემობრუნებას სოციალისტური რევოლუციისაკენ. ა. იუჟინი იდეურად და ფსიქოლოგიურად მზად იყო მიეღო ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია. იგი საამისოდ მოამზადა მთელმა მისმა ხანგრძლივმა მოღვაწეობამ, ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლამ, იმან, რომ მას იმედები გაუცრუა თებერვლის რევოლუციამ"[1].

მოსკოვის მცირე თეატრი ა. სუმბათაშვილის ხელმძღვანელობით მომზადებული შეხვდა ახალ მაყურებელს. ოქტომბრის შემდეგ რომ მოვიდა თეატრში და ახალი დადგმებით უმტკიცებდა მას სოციალის-

---

[1] დ ა ვ ი თ ჩ ხ ი კ ვ ი შ ვ ი ლ ი, ა. სუმბათაშვილ-იუჟინი საბჭოთა თეატრის სათავეებთან, 1978, გვ. 11.

ტური რევოლუციის კანონზომიერებისა და წარმატების რწმენას. მცირე თეატრი თითქმის ერთადერთი იყო მთელ რუსეთში, რომელმაც არსებითად არ შეწყვიტა თავისი მოღვაწეობა ოქტომბრის რევოლუციის პირველ დღეებში. ეს იყო ა. იუჟინის დამსახურებაც საბჭოთა თეატრალური კულტურის წინაშე". „ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ჩვენთვის აშკარა გახდა, რომ ჩვენ, მსახიობებს, არა გვაქვს უფლება მივატოვოთ ჩვენი პოსტი და უნდა განვაგრძოთ ჩვენი საქმე. ამაში მეტად დიდია დამსახურება იუჟინისა, რომელმაც ზეგავლენა მოახდინა ყველა ჩვენგანზე თავისი ავტორიტეტით" — იგონებს ა. იაბლოჩკინა.

* * *

მენშევიკური დიქტატურის სამი წელი უმძიმესი ხანა იყო ქართველი ხალხის ისტორიულ ცხოვრებაში. არსებობის მესამე წელს მენშევიზმის ლიდერები უკვე თვითონ დარწმუნდნენ, რომ ქვეყანას კატასტროფისკენ მიაქანებდნენ. ეს სასოწარკვეთილება ნათლად ჩანს ქართული მენშევიზმის ლიდერის ნ. ჟორდანიას იმ სიტყვებში, რომელიც მან 1920 წ. 13 ოქტომბერს წარმოთქვა ერთ-ერთ ეკონომიკურ თათბირზე. „ამ რამდენიმე წლის წინათ ჩვენ ვამბობდით, რომ ეკონომიური მხრივ ჩვენ კატასტროფისკენ მივისწრაფვითო. შემდეგ ეს რამდენჯერმე იქნა განმეორებული, ასე რომ სიტყვებს კიდეც შეეჩვივნენ თითქოს და არავითარ ანგარიშს არ უწევდნენ. მაგრამ დღეს ეს სიტყვები გამართლებულია: დღეს თითოეული ჩვენთაგანი გრძნობს, თითოეული მწვავედ განიცდის ამ სინამდვილეს, რომ ჩვენ არა თუ მივდივართ კატასტროფისაკენ, ჩვენ უკვე მივედით იქამდე"[1].

მენშევიზმმა არა მარტო ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური კრახი განიცადა, თავის პროგრამიდან მან სოციალიზმი საჯაროდ ამოძირკვა. ამასთან დაკარგა მომავლის პერსპექტივა. ქაოსმა და უპერსპექტივობამ, რაც მენშევიკური პარტიის ხელმძღვანელ წრეებში მომძლავრდა, დამარღვეველი ზეგავლენა მოახდინა მთელი პარტიის რიცხობრივ შემადგენლობაზე. 1919 წელს მენშევიკური პარტიის წევრთა რაოდენობა 30 პროცენტით შემცირდა. ეს რღვევა იმდენად თვალსაჩინო გახდა

[1] გაზ. „ევროპა", 16 ოქტომბერი 1920.

მომდევნო წელს, რომ მენშევიკური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საგანგებო „საალყო წესები“ გამოაცხადა[1].

მენშევიკების საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე გულაცრუებული ადამიანები ტოვებდნენ პარტიის რიგებს. ეს ადამიანები უპირატესად დემოკრატიული ინტელიგენციის რიგებიდან იყვნენ. მენშევიკური პარტიის უპირატესობას და ბატონობას ბოლო ეღებოდა პროფკავშირებშიც. მენშევიკების, ესერების, ფედერალისტების ბლოკმა 1920 წ. პროფკავშირების ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნებში სასტიკი მარცხი განიცადა. მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობა თანდათან მძლავრად ჯგუფდებოდა ახალგაზრდათა რევოლუციური კავშირის „სპარტაკის“ რიგებში.

მენშევიზმმა მარცხი განიცადა არა მარტო ეკონომიკურ და იდეურ ასპარეზზე, არამედ საერთაშორისო პოლიტიკაში. იგი იზოლირებული აღმოჩნდა მეზობელი ქვეყნებისაგან და დასავლეთის იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ექსპანსიის ობიექტი გახდა. 1920 წლიდან იგი აღსასრულის წინაშე დადგა. „საქართველოს კატასტროფული სამეურნეო და სასურსათო მდგომარეობა ფაქტია, რასაც ახლანდელი საქართველოს მესვეურებიც კი აღნიშნავენ — წერდა „პრავდა“ 1920 წ. 4 დეკემბერს, — ანტანტის ბადეში გახვეული საქართველო, რომელმაც ამის გამო დაკარგა როგორც ბაქოს ნავთი, ისე ყუბანის პური, საქართველო, რომელიც ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალისტური ოპერაციების ძირითად ბაზად გადაიქცა და ამიტომ საბჭოთა რუსეთთან მტრული ურთიერთობა დაამყარა, — ეს საქართველო ამჟამად თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს ითვლის“[2].

სამწლიანი ბატონობის ასეთი ტრაგიკული ფინალის მიუხედავად მენშევიკები სრულებითაც არ აპირებდნენ სცენიდან ჩამოსვლას. ისტორიიდან ცნობილია, რომ ასეთი რამ არც არასოდეს მომხდარა. არც ერთ მმართველ პარტიას საკუთარი შეგნებით, ნებაყოფლობით არ დაუთმია თავისი პრივილეგიები. მენშევიკებსაც მთელი თავისი შესაძლებლობით ჩაეჭიდებინათ ხელი მმართველობის სადავეებისათვის. ისინი ცდილობდნენ გვარდიის ხიშტებით შეემაგრებინათ შერყეული ტახტი და. რაც მთავარია, ამ მიზნით გამოეყენებინათ საერთაშორისო რეაქციის მხარდაჭერა.

საქართველოს მშრომელი მოსახლეობისათვის საბჭოთა ხელისუფლება ისევე სანუკვარი იყო, როგორც მთელი რუსეთისათვის. სოციალის-

[1] ბორის გუბელიძე, ქართული მენშევიზმის კრახი, გვ. 247.
[2] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 4, გვ. 446—447.

ტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ხელსაყრელი ვითარება უკვე მთლიანად მომწიფებული იყო ჯერ კიდევ 1918 წ. დასაწყისისათვის, მაგრამ ამიერკავკასიის კონტრრევოლუციურმა პარტიებმა თავისი და დაქირავებული ხიშტებით გაიხანგრძლივეს არსებობა. იმ დროს, როცა რევოლუციისა და კონტრრევოლუციის ძალები მთელი რუსეთის მასშტაბით ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაეჯახნენ, ამიერკავკასიის ბედი შეიძლებოდა გადაწყვეტილიყო ამ საერთო შეჯახებასთან მჭიდრო ურთიერთობაში: თუ შენარჩუნებული იქნებოდა ოქტომბრის მონაპოვარი, ამიერკავკასიის მშრომელებს სოციალური და ეროვნული თავისუფლების მზე უმკვიდრდებოდა. თუ გაიმარჯვებდა თეთრგვარდიული კონტრრევოლუცია, მაშინ ამიერკავკასიის მშრომელებიც განწირული იყვნენ იმპერიალისტური უღლისათვის, იმიტომ, რომ თეთრგვარდიული კონტრრევოლუცია მის დამქაშ დასავლურ იმპერიალიზმს ცხმარების ნაცვლად რუსეთის განაპირა — ნაციონალურ რაიონებში, მათ შორის ამიერკავკასიაში, ბატონობას აღუთქვამდა. ისტორია წავიდა კანონიერი გზით, რევოლუციის ძალებმა კონტრრევოლუცია დაამარცხეს. ამან შეაპირობა ამიერკავკასიის შინაგანი კონტრრევოლუციის კრახი და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება.

საქართველოს მუშათა კლასი და გლეხობა მთელი სამი წლის განმავლობაში ებრძოდნენ მენშევიკურ მთავრობას. 1918 წელს რაჭა-ლეჩხუმში, სამეგრელოში, აფხაზეთში, ოსეთში, საჩხერეში, დუშეთში აგრარული მოძრაობის ხანძარი ენთო. მენშევიკები, რომლებიც გლეხობას კონტრრევოლუციურ ძალად თვლიდნენ, თავს იმით იმართლებდნენ, რომ თითქოს საქართველოს დემოკრატიას „ვანდეა" აუჯანყდა, რომ შეუგნებელმა გლეხობამ ვერ გაიგო მათი პოლიტიკა და იმიტომ ებრძოდა. 1919 წელს აგრარულ მოძრაობაში ე. წ. „მოწინავე რაიონები" ჩაებნენ. ამ წლის ოქტომბერში საქართველოს ბოლშევიკებმა საგანგებოდ მოამზადეს შეიარაღებული გამოსვლა, მაგრამ 1918 წლის აგრარული ხანძარიც, 1919 წლის ორგანიზებული აჯანყებანიც მენშევიკებმა ჩააბნეს. საიდან იღებდნენ მხარდაჭერას საკუთარ ხალხთან ერთში ჩაბმული მენშევიკები? ისინი მხარდაჭერას პოულობდნენ დასავლეთის იმპერიალისტებისაგან, რუსეთის თეთრგვარდიული კონტრრევოლუციისაგან, რომელიც საბჭოთა რესპუბლიკასა და ამიერკავკასიას შორის ფართო ზოლად იყო გაშლილი. ამიერკავკასია უშუალოდ იყო ჩართული სამოქალაქო ომისა და იმპერიალისტთა სამხედრო ინტერვენციის იმ თვალუწვდენ ფრონტში, რომელიც რუსეთის მთელ ტერიტორიაზე იყო გაჭიმული და ძირითადი ძალა, რომელსაც ამ ფრონ-

ტზე გამარჯვების მისია ეკისრებოდა, რუსეთის მუშათა კლასი და მისი არმია იყო.

1919 წლის მიწურულიდან სამოქალაქო ომის მსვლელობაში დაიწყო დიდი გარდატეხა. ოქტომბრის მეორე ნახევრიდან დენიკინის წინააღმდეგ საბჭოთა არმიის კონტრშეტევა წარმატებით განვითარდა. დენიკინის ბანდებისაგან განთავისუფლებულ იქნა კიევი, კუპიანსკი, როსტოვი, ნოვოჩერკასკი, 1920 წ. იანვარში გაიშალა წითელი არმიის გმირული შეტევა ჩრდილოეთ კავკასიაში. მალე მთელ ჩრდილოეთ კავკასიასა და დაღესტანში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა.

საბჭოთა რუსეთსა და ამიერკავკასიას შორის კონტრრევოლუციური ზღუდის ლიკვიდაცია ამიერკავკასიაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და ძალაუფლების შენარჩუნების მთავარი პირობა იყო. საბჭოთა ხელისუფლებას ამიერიდან შესაძლებლობა ეძლეოდა ვაეწია უშუალო დახმარება ამიერკავკასიის პროლეტარიატისა და გლეხობისათვის, რომლებიც აქამდე, მარტოდმარტო, რეაქციის გარემოცვაში წარუმატებლად იბრძოდნენ.

1920 წ. მაისში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა აზერბაიჯანში, 1920 წლის დასაწყისს — სომხეთში. ამიერკავკასიაში ორ რესპუბლიკაში კონტრრევოლუციის მარცხმა საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების რეალური შესაძლებლობანი გააორკეცა.

როგორი იყო ის კონკრეტული საშინაო სოციალურ-პოლიტიკური და საერთაშორისო ვითარება, რაც საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გარდუვალობას აპირობებდა, რატომ არ შეიძლებოდა ლოდინი მასობრივი შეიარაღებული აჯანყებისათვის, რატომ იყო აუცილებელი ასეთი აჯანყების დაუყოვნებლივი ორგანიზაცია?

1920 წლიდან, როცა საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა ჯერ აზერბაიჯანში, შემდეგ სომხეთში, მენშევიკური საქართველო გადაიქცა არა მარტო რუსეთის კონტრრევოლუციის საშიშ ბუდედ, არამედ იმპერიალისტური ინტერვენციის ერთ-ერთ ყველაზე მოხერხებულ ბაზად სამხრეთში. დამარცხებული, საბჭოთა რუსეთიდან და ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებიდან ლტოლვილი კონტრრევოლუციონერები მენშევიკურ საქართველოს შეხიზნულნი ათასნაირ ბლოკებს ქმნიდნენ, მთავრობებს აკოწიწებდნენ და ეპატიჟებოდნენ იმპერიალისტ ინტერვენტებს. იმპერიალისტური ანტანტა, როგორც ცნობილია, ამ დროის ერთ-ერთ მთავარ იმედს გენერალ ვრანგელზე ამყარებდა. მენშევიკური საქართველო ყველაზე მოხერხებული ბაზა იყო მათთვის რუსეთის სამხრეთში ხელახალი შეჭრისათვის. ამრიგად, ვიდრე

საქართველოში არსებობდა ბენშევიკური ხელისუფლება, არ შეიძლებოდა აღკვეთილად ჩათვლილიყო საფრთხე ხელახალი იმპერიალისტური ინტერვენციისა.

საქართველოს მენშევიკური ხელისუფლება წინ ეღობებოდა რევოლუციის ინტერესებს მთელ ამიერკავკასიაში. სიძნელეებს უქმნიდა აზერბაიჯანისა და სომხეთის ეკონომიკას იმით, რომ ფლობდა საკომუნიკაციო მაგისტრალებს, აიძულებდა ამ რესპუბლიკებს მუდმივ მზადყოფნაში ჰყოლოდათ თავიანთი შეიარაღებული ძალები.

საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ხელსაყრელ ვითარებას 1920 წ. მიწურულიდან ქმნიდა ისიც, რომ იმპერიალისტური ანტანტა ჯერ კიდევ სულმოთქმული არ ყოფილა იმ დარტყმებისაგან, რომელიც საბჭოთა არმიამ დენიკინს, თეთრპოლონელებს და ვრანგელს მიაყენა.

ამ ვითარებათა გამო აღარ შეიძლებოდა იმის ლოდინი, თუ როდის მომზადდებოდა საქართველოში ახალი მასობრივი შეიარაღებული გამოსვლა. როგორც ცნობილია, 1920 წლის მაისიდან, საბჭოთა რუსეთთან საბშვიდობო ხელშეკრულების პირობებში საქართველოს კომუნისტები შეიარაღებული გამოსვლის პროპაგანდასა და ორგანიზაციული მზადებისაგან თავს იკავებდნენ. მენშევიკები კი, ფარატინა ქაღალდად აქციეს რა ეს ხელშეკრულება, ანადგურებდნენ კომუნისტურ ორგანიზაციებს. ასე რომ, საქართველოს მშრომელი მასები კონკრეტულად ამ პერიოდისათვის საბრძოლო მობილიზაციის მდგომარეობაში არ ყოფილან, მენშევიკებმა კი საყოველთაო მობილიზაცია გამოაცხადეს.

1921 წ. იანვარში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაიწყო შეიარაღებული გამოსვლების ორგანიზაცია. აჯანყების კერა გახდა ქვემო ქართლი, კერძოდ, ლორეს რაიონი. შეიქმნა სამხედრო რევოლუციური კომიტეტი ფ. მახარაძის, მ. ორახელაშვილის, შ. ელიავას, ა. გეგეჭკორის, ბ. კვირკველიას, ა. ნაზარეტიანისა და სხვ. შემადგენლობით.

დადგა საქართველოში რევოლუციური და კონტრრევოლუციური ძალების გადამწყვეტი შეჯახების მომენტი. კონტრრევოლუციამ მობილიზაცია გაუკეთა ყველა თავის შინაგან შესაძლებლობას, ამასთან, დახმარებისათვის მოუწოდა ანტანტის იმპერიალისტებს. რეალურ დახმარებას სთავაზობდა მენშევიკურ საქართველოს საფრანგეთის ნთავრობა, რომლის ხომალდები ბათუმის ნავსადგურში საბრძოლო მზადყოფნაში იყვნენ. ძალთა თანაფარდობა კვლავ კონტრრევოლუ-

ციის სასარგებლოდ იყო. ამ მომენტისათვის ერთადერთ სწორ გადაწყვეტილებას წარმოადგენდა საბჭოთა არმიისათვის დახმარების თხოვნა.

1921 წ. თებერვალში საქართველოს მშრომელების სახელით რევკომმა დახმარებისათვის ვ. ი. ლენინს მიმართა. „ჩვენ გვჯერა, რომ დიდი პროლეტარული რევოლუციის ქვეყანა, რომელსაც დიდი მატერიალური შესაძლებლობანიც გააჩნია, არ დაგვტოვებს ჩვენ მარტოდმარტო ამ უთანასწორო ბრძოლაში, და თავის დახმარებას აღმოუჩენს ახლად შობილ საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას"[1]. — ნათქვამი იყო მიმართვაში.

რევკომმა ამასთან, მიმართა მთელ ქართველ ხალხს და მოუწოდა ერთსულოვნად ებრძოლა მშრომელთა ძალაუფლებისათვის, საბჭოთა ხელისუფლებისათვის. ამ გადამწყვეტ ბრძოლას მენშევიკური დიქტატურის წინააღმდეგ საქართველოში საერთო სახალხო ხასიათი და მნიშვნელობა ჰქონდა. იგი უპასუხებდა არა მარტო მუშათა კლასის, არა მარტო მშრომელი გლეხობის ინტერესებს, რომლებიც მთელი სამი წლის მანძილზე პერმანენტულ ბრძოლას ეწეოდნენ, არამედ ინტერესებს მთელი წვრილბურჟუაზიული დემოკრატიისა, დემოკრატიული ინტელიგენციის, რომელმაც ამ სამი წლის მანძილზე მხოლოდ იმედგაცრუება იწვნია და მთელი სულით და გულით რევოლუციის მხარეზე იდგა[2].

როგორც ცნობილია, ვ. ი. ლენინის მითითებით წითელმა არმიამ გადამწყვეტი დახმარება გაუწია საქართველოს მშრომელებს. მე-11 არმიის ნაწილები ვ. ი. ლენინის მითითებით საქართველოსკენ დაიძრნენ და აჯანყებულ მასებთან ერთად მენშევიკთა შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლა გააჩაღეს. ამ ბრძოლაში მენშევიკურმა არმიამ მარცხი განიცადა, იგი დაიშალა, თოვლივით დადნა. საქართველოს დედაქალაქში და შემდეგ ყველა მაზრაში აფრიალდა საბჭოთა ხელისუფლების დროშა. დამარცხებულმა მთავრობამ იმპერიალისტურ დასავლეთს მიაშურა.

საქართველოდან გაქცეული მენშევიკები გაჰყვიროდნენ „ბოლშევიკური რუსეთის „აგრესიის" შესახებ. ამ ყვირილს ბანს აძლევდნენ ანტანტის იმპერიალისტები და მეორე ინტერნაციონალის მესვეურები.

---

[1] Международная политика новейшего времени в договорах, нотах и документах, ч. III, с. 87.

[2] Борьба за победу Советской власти в Грузии. Документы и материалы, с. 661—662.

მენშევიკები ცხარე ცრემლებს ღვრიდნენ „დამოუკიდებელი საქართველოს“ დაღუპვაზე და „წითელი იმპერიალიზმიდან“ მის დახსნას ეხვეწებოდნენ იმპერიალისტურ მთავრობებს ევროპაში.

საკითხი ისმის — ჰქონდა თუ არა ქართველ ხალხს, ისე როგორც ამიერკავკასიის სხვა ხალხებს, უფლება იმისა, რომ თავიანთ განმათავისუფლებელ ბრძოლაში დახმარება ეთხოვათ მოძმე საბჭოთა რუსეთის მუშებისა და გლეხებისათვის, წითელი არმიისათვის, მაშინ როცა ბურჟუაზიულ ნაციონალისტურ მთავრობათა ბატონობა იმპერიალისტურ რეაქციას ეყრდნობოდა და მხოლოდ მისი დახმარებით ფიქრობდა თავისი ბატონობის გახანგრძლივებას? რა თქმა უნდა, ამის უფლება მას ჰქონდა. აღას კარნახობდა რევოლუციისა და თავისუფლების ინტერესები. მართებულად შენიშნავდა ს. ორჯონიკიძე: „რაც შეეხება წითელი არმიის მხრივ საქართველოს მუშებისა და გლეხებისადმი დახმარებას, ჩვენ ეს სრულიად ბუნებრივად მიგვაჩნია. აქ ზედმეტი არ არის გავიხსენოთ, რომ მენშევიკურ მთავრობას არაერთხელ მიუმართავს დახმარებისათვის და მოუწვევია არაერთი უცხოური ჯარი. 3 წლის მანძილზე საქართველოში სხვადასხვა დროს იყვნენ გერმანელებიც. თურქებიც, ინგლისელებიც, ფრანგებიცა და იტალიელებიც. ყველა მათ ნოე ჟორდანიას და რამიშვილის მთავრობა დიდი პატივითა და ზარ-ზეიმით ხვდებოდა. მაშასადამე, ამ შემთხვევაში შეიძლება ლაპარაკი უცხოეთის ჯარების ჩარევაზე. წინად მენშევიკები მხარდაჭერას ეძებდნენ და ღებულობდნენ მას დასავლეთ ევროპის იმპერიალისტთა ჯარებისაგან, იმპერიალისტებისა, რომელთა მსახურნიც ისინი იყვნენ. ახლა კი საქართველოს კომუნისტებმა მხარდაჭერა და დახმარება პოვეს რუსეთის მუშურ-გლეხური არმიის სახით, რომელიც მიზნად ისახავს მხოლოდ იმ ამოცანას, რომ გაანთავისუფლოს საქართველოს მუშები და გლეხები და შექმნას ნამდვილი, მართლაც დამოუკიდებელი მუშურგლეხური საქართველო, და არა მთლიანად ანტანტის ბრჭყალებში მოქცეული საქართველო“[1].

რუსეთის მუშათა კლასის, მისი წითელი არმიის მხარდაჭერამ საბოლოოდ გადაწყვიტა არა მარტო მუშებისა და გლეხების, არამედ მთელი ქართველი ხალხის მომავალი. ამიტომაა რომ მშრომელ მასებთან ერთად ეს დახმარება მადლობის გრძნობით მიიღო მთელმა ქართველმა ხალხმა, მისმა დემოკრატულმა ინტელიგენციამ.

---

[1] გ. კ. ორჯონიკიძე, სტატიები და სიტყვები, გვ. 214—215.

ქართველი დემოკრატიული ინტელიგენცია საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში

1921 წლის 25 თებერვალს, როცა მენშევიკური არმიის წინააღმდეგ კოჯრის ბრძოლაში გამარჯვებული წითელი არმიის ნაწილები თბილისში შემოვიდნენ, მათ ერთ-ერთი პირველი მიეგება ცნობილი ქართველი მწერალი პაოლო იაშვილი. დემოკრატიული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელმა პაოლო იაშვილმა იმთავითვე შეიგრძნო მისი ქვეყნის ჭეშმარიტი აღორძინების სათავე და ახალი ცხოვრების გზას გაბედულად და უყოყმანოდ გაჰყვა. ეს ფაქტი შეიძლება განზოგადოთ და მივიჩნიოთ სიმბოლურადაც: ეს იყო მთელი ქართველი დემოკრატიული ინტელიგენციის გზა.

საკითხის გაუბრალოება იქნებოდა თუ ვიტყოდით, რომ ქართველი დემოკრატიული ინტელიგენცია ამ გზაზე ერთბაშად და უყოყმანოდ შედგა. პირიქით, საბჭოთა ხელისუფლების საწყისი პერიოდი, განსაკუთრებით პირველი ათწლეული, აღსავსეა ქართველი დემოკრატიული ინტელიგენციის ერთი ნაწილის იქვიანობით, მერყეობით. ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების მტრული პროპაგანდისა და საერთაშორისო რეაქციის იარაღის ჟღარუნის ვითარებაში, დემოკრატიულ ინტელიგენციას გაუჭირდა ერთბაშად ჩაწვდომოდა ხალხის ისტორიულ ცხოვრებაში მომხდარი გარდატეხის უდიდეს პროგრესულ მნიშვნელობას და დაენახა მასში ერის მატერიალური და სულიერი განახლების დიადი საწყისები. მას ჯერ კიდევ გულს უღრღნიდა ეჭვები და განცდა იმისა, რომ ახალ ვითარებაში საფრთხე მოელოდა ქვეყნის დამოუკიდებლობას, მის კულტურასა და ტრადიციებს, იმის შიში, რომ ქვეყანას კვლავ „უცხო ძალა" ეპატრონებოდა.

ასეთი იქვნეულობა, ორპოფობა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ, საერთოდ, — დამახასიათებელი იყო რუსეთის დემოკრატიული ინტელიგენციისთვის. მართალია, რუსეთის მოწინავე ინტელიგენციის ბევრი წარმომადგენელი, სხვადასხვა პროფესიის ადამიანები, მათ შორის სამხედრო პირებიც კი, სოციალისტური რევოლუციის პირველივე დღიდანვე მეშათა კლასის მხარდამხარ დადგნენ, აქტიურად და თავგანწირვით ეხმარებოდნენ მას თეთრგვარდიული კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლასა და ახალი ქვეყნის მშენებლობაში. მაგრამ ინტელიგენციის დიდი ნაწილი — კონტრრევო-

ლუციის მხარეზე აღმოჩნდა და ეწეოდა საპოტაჟს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ[1].

კომუნისტური პარტიის, საბჭოთა ხელისუფლების ამოცანას შეადგენდა რევოლუციის მონაპოვართა შენარჩუნებისა და ახალი ქვეყნის მშენებლობისათვის ბრძოლაში გაეყოლებინა მშრომელთა ფართო მასები. მათ შორის წვრილბურჟუაზიული ინტელიგენცია. ინტელიგენციის მონაწილეობის გარეშე საერთოდ შეუძლებელი იყო სოციალიზმის გამარჯვება. „კომუნიზმის აშენება შეუძლებელია, თუ არა გვაქვს ცოდნა, ტექნიკისა და კულტურის მარაგი, ის კი ბურჟუაზიული სპეციალისტების ხელშია — მათი უმრავლესობა არ თანაუგრძნობს საბჭოთა ხელისუფლებას, მაგრამ მათ გარეშე კომუნიზმის აშენება ჩვენ არ შეგვიძლია, საჭიროა მათ ირგვლივ შევქმნათ ამხანაგური ვითარება, კომუნისტური მუშაობის სულისკვეთება და მივაღწიოთ იმას, რომ ისინი მიდიოდნენ მუშურ-გლეხური ხელისუფლების მხარდამხარ", — მიუთითებდა ლენინი 1919 წელს.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ქართველი ინტელიგენცია ძირითადად 3 პოლიტიკურ ჯგუფად იყო გამონაკვეთული: პირველს მიეკუთვნებოდნენ ისინი, რომლებიც კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას მხარში ამოუდგნენ და კეთილსინდისიერად მონაწილეობდნენ ახალი საქართველოს მშენებლობაში, მეორე ჯგუფის ინტელიგენტები პრინციპში თანაუგრძნობდნენ საბჭოთა ხელისუფლებას, თანამშრომლობდნენ კიდეც მასთან, მაგრამ წარსულთან კავშირი გაწყვეტილი არ ჰქონიათ და მაინც ეკვით უცქეროდნენ პარტიისა და მთავრობის ღონისძიებებს საშეურნეო-კულტურულ მშენებლობაში, მესამე ჯგუფი საბჭოთა ხელისუფლებისადმი ჯერ კიდევ სრული უნდობლობითა და მტრული სულისკვეთებით იყო გამსჭვალული. ინტელიგენციის ეს ჯგუფი კლასობრივად თავადაზნაურობასა და ბურჟუაზიას ეფუძვნებოდა და ასახავდა მის მტრულ დამოკიდებულებას სოციალისტური რევოლუციისადმი[2].

პირველ ორ ჯგუფს შეადგენდა წვრილბურჟუაზიული ქართველი დემოკრატიული ინტელიგენციის ის ფართო მასა, რომელიც მენშევიზმის დიქტატურის 3 წლის განმავლობაში იმედგაცრუებული აღმოჩნდა.

---

[1] Л. Б. Москвин, Рабочий класс и его союзники, М., 1977, с. 76.

[2] ი. კაკარაია, ქართველი ინტელიგენციის იდეურ-პოლიტიკური პროფილი საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში. სოციალისტური კულტურისა და ინტელიგენციის ისტორიის ნარკვევები, წიგნი I, 1976, გვ. 110.

ეს ინტელიგენცია მივიდა რევოლუციის აუცილებლობის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური რეჟიმის დამხობის შეგნებამდე, მაგრამ ვერ შეეგუა კლასობრივი მტრების მიმართ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ენერგიულ ღონისძიებებს, ამასთან გაქარწყლებული არ ჰქონდა შიში იმისა, რომ საბჭოთა ხელისუფლება ვერ დაიცავდა ქართველი ხალხის ეროვნულ კულტურულ ტრადიციებს და ვერ უზრუნველყოფდა მის ნამდვილ სუვერენობასა და აღორძინებას.

ვ. ი. ლენინი კარგად ითვალისწინებდა ქართველი ინტელიგენციის ამ ფენების განწყობილებას, ამასთან საქართველოში სოციალიზმის მშენებლობის საქმეში მისი აქტიური მონაწილეობის აუცილებლობას და საქართველოს კომუნისტურ პარტიას ავალებდა გამოეჩინა განსაკუთრებით ფრთხილი, მზრუნველი, საქმიანობის შემთხვევაში დამთმობი დამოკიდებულება მის მიმართ „მეტი სირბილე, სიფრთხილე და დამთმობლობა წვრილი ბურჟუაზიის, ინტელიგენციის და განსაკუთრებით გლეხობის მიმართ... უფრო ნელი, უფრო ფრთხილი, უფრო სისტემატური გადასვლა სოციალიზმზე — აი რაა შესაძლებელი და აუცილებელი კავკასიის რესპუბლიკებისათვის რუსეთის სფს რესპუბლიკისაგან განსხვავებით“, — აფრთხილებდა ვ. ი. ლენინი აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის კომუნისტებს[1].

მშრომელთა პოლიტიკური აქტივობის ზრდა, წვრილბურჟუაზიულ-დემოკრატიული ფართო წრეების ჩაბმა სოციალისტური საქართველოს მშენებლობაში შეაპირობა საქართველოს კომუნისტური პარტიის მიერ ლენინური ეროვნული პოლიტიკის თანამიმდევრულად განხორციელებამ. მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების არჩევნებმა, ახალი კონსტიტუციის მიღებამ, ქართული საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის გაფორმებამ 1921—1922 წლებში, აქტიური სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის განაწყო ქალაქებისა და სოფლების ინტელიგენტთა ძალები. დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება გატარდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წყობილების სწორი ორგანიზაციით. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში შეიქმნა ეროვნულ უმცირესობათა სექციები. ეს ღონისძიებანი საქართველოს მრავალეროვანი ინტელექტუალური ძალების ურთიერთგაგებისა და შეკავშირების წინაპირობებს ქმნიდა. ქართველმა დემოკრატიულმა ინტელიგენციამ მადლიერების გრძნობით აღიქვა ის

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 32, გვ. 398—399.

ქმედითი დახმარება, რომელსაც რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკა უწევდა საქართველოს ომისა და მენშევიზმის ბატონობის შედეგად დანგრეულ სახალხო მეურნეობის აღდგენის საქმეში. ამიერკავკასიის რესპუბლიკების მშრომელთა გამაერთიანებელი მოძრაობა 1921—22 წლებში და სსრ კავშირის შექმნა დიდმნიშვნელოვანი აქცია აღმოჩნდა ბურჟუაზიული პარტიების მიერ გაღვივებული ნაციონალიზმის დაძლევისა და ინტერნაციონალური სოლიდარობის აღდგენისა და განმტკიცების მიმართულებით. ამ ღონისძიებებს რომ ახორციელებდა, კომუნისტური პარტია დაუნდობლად ებრძოდა კლასობრივ მტრებს, თვით პარტიის რიგებში აღმოცენებულ მცდარ მიმართულებებს, თავადაზნაურულ ბურჟუაზიული ინტელიგენციის საბოტაჟს, ამასთან ყველა პირობას უქმნიდა დემოკრატიულ ინტელიგენციას ჩაბმულიყო ეროვნულ-კულტურულ ღონისძიებათა ფართო სისტემაში, რომელიც სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის ხორციელდებოდა.

საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე წლებში ქვეყნის სამეურნეო კულტურული ჩამორჩენილობის ლიკვიდაციისათვის კომუნისტური პარტიის თანამიმდევრულმა ბრძოლამ დემოკრატიული ინტელიგენცია თანდათანობით აიყოლია და ჩაება აქტიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობაში. ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯები გადადგა დემოკრატიული ინტელიგენციის ყველაზე მრავალრიცხოვანმა და რადიკალურმა ნაწილმა — მასწავლებლობამ. საბჭოთა ხელისუფლებამ თავის ერთ-ერთ პირველსავე დეკრეტში სკოლა გამოჰყო ეკლესიისაგან, ეკლესია სახელმწიფოსაგან, რითაც დაახშო სკოლაში ანტისაბჭოური იდეოლოგიის შეღწევის მთავარი გზა. საბჭოთა ხელისუფლებამ, ამასთანავე, გაატარა ენერგიული ღონისძიებანი საქართველოში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის, სასკოლო და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელის გაფართოებისათვის. მარტო 1921—1923 წლებში სკოლების რიცხვი 103 ერთეულით გაიზარდა. აჭარაში დაარსდა 80 სკოლა, ოსეთში — 22, აფხაზეთში — 177, ამავე პერიოდში 33 პროც. გადიდდა მასწავლებელთა კონტინგენტი. 1922 წელს საქართველოში 209 კლუბი და 780 მასობრივი ბიბლიოთეკა მოქმედებდა. ფართე ფრონტით მიმდინარეობდა ლაშქრობა კულტურის ყველა სფეროში, რამაც აიყოლია მასწავლებლობა და ქალაქისა და სოფლის კულტურული ძალები. თანდათანობით დაჰკარგა თავისი ფუნქცია ე. წ. „სრულიად საქართველოს მასწავლებელთა კავშირმა“, რომელიც თავისთავს პოლიტიკის გარეშე მდგომ დაწესებულებად თვლიდა და საბჭოთა ხელისუფლების აქტი-

ურ ჩარევას განათლების საქმეში კულტურის ძალების უხეშ დამორჩილებას უწოდებდა. 1922 წ. თებერვალში განათლების მუშაკთა სრულიად საქართველოს 1 ყრილობაზე მოხდა მასწავლებელთა ცალკეული კავშირების გაერთიანება. ამ კავშირის ახალი გამგეობა საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე დადგა. საბჭოთა ხელისუფლების მიერ დასახულ ღონისძიებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში. მასწავლებელთა აქტიურ მოღვაწეობას დიდად შეუწყო ხელი საქართველოს კომპარტიის მესამე ყრილობის გადაწყვეტილებებმა. კულტურის განვითარება — ნათქვამი იყო ამ გადაწყვეტილებებში, — რაც ახლა ქართული სინამდვილის საყოველთაოდ აღიარებულ მოვლენად იქცა, უნდა წარიმართოს იმ მიმართულებით, რომ იგი ემსახურებოდეს მუშათა კლასისა და გლეხთა უფართოესი მასების უშუალო ინტერესებს და მოთხოვნებს. ამ მიზნით პარტიამ უნდა მიაღწიოს იმას, რომ თავის გავლენას დაუმორჩილოს სკოლა და მასწავლებელთა კადრები, განსაკუთრებით სოფლის მასწავლებლობა"[1].

საქართველოს კომპარტიამ მართლაც მიაღწია წარმატებას ამ მიმართულებით. ამის დამადასტურებელია მასწავლებელთა პირველი ყრილობა, რომელიც 1925 წლის იანვარში გაიმართა თბილისში. ყრილობაზე გამოვლინდა მასწავლებლობის კეთილშობილური მისწრაფება სოციალისტური საქართველოს მშენებლობაში აქტიური მონაწილეობისა, ამ მონაწილეობის პირველი დადებითი შედეგები. მასწავლებლობა წარმოდგა როგორც ერთგული თანაშემწე პარტიისა კომუნისტური იდეების პროპაგანდის საქმეში. ამ დიდ საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს სახალხო განათლების თვალსაჩინო მოღვაწეებმა; მარიამ ორახელაშვილმა, პ. კაპანაძემ, კ. ქაცარავამ, გ. კიზირიამ, ე. ბედიამ, კ. ჭკუასელმა, გ. კიკნაძემ, გ. თავზიშვილმა, დ. ლორთქიფანიძემ, ვ. ძიძიგურმა, თ. ჭუმბურიძემ, მ. ზანდუკელმა, ს. იაშვილმა, დ. პარკაძემ, შ. სიხარულიძემ, მ. ზანდუკელმა, ვ. ხუროძემ, ა. ხარაბაძემ, ნ. ბოცვაძემ, ეკ. ბურჯანაძემ, ვ. ქობულიამ, ტ. ტყემალაძემ და სხვებმა.

შედარებით რთული აღმოჩნდა შემოქმედებითი ინტელიგენციის იდეური ტრანსფორმაციის პროცესი.

მხატვრული ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლებს გაუჭირდათ ერთბაშად გაეწყვიტათ კავშირი ძველ სამყაროსთან და უყოყმანოდ დამდგარიყვნენ კომუნისტური პარტიის დროშის ქვეშ ახალი,

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VII, გვ. 827.

სოციალისტური საქართველოს მშენებლობის საქმეში. ეს პირველ ყოველისა, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების ხანგრძლივი ანტისაბჭოური პროპაგანდით იყო შეპირობებული. ქართველ მწერალთა შემოქმედებით გაერთიანებებში („აკადემიური ასოციაცია", „ცისფერყანწელები". „ფუტურისტები") ყველაზე მემარჯვენე პოზიცია ეკავა „აკადემიურ ასოციაციას", რომელიც თავადაზნაურული და ბურჟუაზიული პარტიების არსენალიდან აღებული პოლიტიკური დებულებებით აფასებდა თანამედროვეობას. ეს ჯგუფი დასტიროდა უდროოდ დაღუპულ „დემოკრატიულ სამოთხეს", ქადაგებდა გულგატეხილობას, პესიმიზმს, აპოლიტიკურობას, ცხოვრებისაგან გაქცევის ფილოსოფიას („ხომალდი", „ილიონი", „ლომისი", „საქართველოს სამრეველო", „კავკასიონი" და სხვ.). ეს ჯგუფი ვერ უარყოფდა სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში საბჭოთა ხელისუფლების მიერ გატარებულ ღონისძიებათა პროგრესულობას, მაგრამ მთელი სიმძიმე ეროვნულ საკითხზე გადაჰქონდა და ვითარებას ისე ხატავდა, თითქოს პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებით სასიკვდილო საფრთხე დაემუქრა ქართველი ხალხის ეროვნულ სუვერენობას, მის კულტურას, ტრადიციებს. ეს იყო უკიდურესი ნაციონალიზმის გამოვლინება, რაც, საერთოდ, ადრე უცხო იყო ქართველი დემოკრატიული ინტელიგენციისათვის.

საბჭოთა წყობილების მიმართ შედარებით ლოიალური პოზიცია დაიკავეს „ცისფერყანწელებმა", რომლებიც, მართალია, კვლავ სიმბოლიზმის ტყვეობაში იმყოფებოდნენ, მაგრამ რწმუნდებოდნენ რა საბჭოურ ღონისძიებათა სიკეთეში, საზოგადოებრივ საქმიანობაში საბჭოთა ხელისუფლებასთან თანადგომის მისწრაფებას ამჟღავნებდნენ. მართალია, „ცისფერყანწელები" თავიანთ დეკლარაციებში საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობას აღიარებდნენ, მაგრამ პარტიას ჯერ კიდევ არ გააჩნდა იმის მტკიცე გარანტია, რომ ამ პოზიციაში საბჭოთა სინამდვილისადმი მათი გულწრფელი ერთგულება დაენახა, რადგან სიმბოლიზმი და ინდივიდუალიზმი, რომლითაც ეს მიმართულება საზრდოობდა, საბჭოთა ხელისუფლებისათვის უცხო და მიუღებელი იყო.

ასევე უცხო და მიუღებელი იყო ლიტერატურული პოზიცია ქართველი ფუტურისტებისა, რომლებიც მტრულად იყვნენ განწყობილი წარსულის მემკვიდრეობისადმი, უარყოფდნენ არა მარტო ქართულ კლასიკურ კულტურას, არამედ მის აწმყოსაც და მთელ იმედებს ამყარებდნენ მომავალზე, რომლის ფილოსოფიური ახსნა წერილბურჟუაზი-

ულ-ეკლექტიკურ დებულებებს ეფუძნებოდა და გამიჯნული იყო საბ-ჭოთა ხელისუფლების კონკრეტული ამოცანებისაგან.

ქართველ მწერალთა ზემოაღნიშნულ დაჯგუფებებს უპირისპირდე-ბოდა პროლეტარული მწერლობა, რომელსაც ძირითადად სწორად ეს-მოდა საბჭოთა ლიტერატურის, როგორც კომუნისტური პარტიის იდე-ოლოგიური იარაღის ამოცანები. ერთგვარად გადაჭარბებული პათე-ტიზმის, დეკლარატულობის და მომემარცხენეო ტენდენციების მიუხე-დავად, პროლეტარული მწერლობა იმ პერიოდში მაინც მიჰყვებოდა ლიტერატურული ცხოვრების საბჭოურ გზას.

კომუნისტური პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი მეტად ფრთხილ დამოკიდებულებას იჩენდნენ შემოქმედებითი ინტელიგენ-ციის მიმართ. მწერლობაში ამ სხვადასხვა დაჯგუფებებს ეთმობოდათ ტრიბუნა თავიანთი მანიფესტების და შეხედულებების დასაცავად. მხატვრულ ჟურნალებში დაუბრკოლებლად იბეჭდებოდა ყველა მიმარ-თულების ლიტერატურული პროდუქცია. პარტია, ამასთან ერთად, რე-აგირების გარეშე არ ტოვებდა მათი პუბლიცისტური თუ მხატვრული პროდუქციის იდეურ მხარეს და მოურიდებლად აკრიტიკებდა მათ კო-მუნისტური მსოფლმხედველობის პოზიციებიდან. განსაკუთრებული მნიშვნელობა ამ მხრივ ჰქონდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1924 წ. თეზისებს, 1925 წ. 18 ივნისის დად-გენილებას „სამხატვრო ლიტერატურის დარგში პარტიის პოლიტიკის შესახებ“.

საბჭოური ცხოვრების სინამდვილემ, სოციალურ-ეკონომიკურ და ეროვნულ საკითხებში პარტიის მიერ გატარებულმა ენერგიულმა ღო-ხისძიებებმა, რომლებმაც საქართველო აღორძინების ფართო გზაზე გაიყვანეს, მეორე მხრივ, იდეოლოგიურ ფრონტზე მეცნიერული სოციალიზმის იდეების თანამიმდევრულმა პროპაგანდამ და ანტისაბ-ჭოური გამოხდომების ულმობელმა კრიტიკამ შემოქმედებითი ინტე-ლიგენციის, კერძოდ, ქართული მწერლობის რიგებში არსებითი გარ-დატეხა შეაპირობა. „აკადემიური ჯგუფი“ თანდათან დაირღვა. მისი რიგებიდან ნიჭიერი და ავტორიტეტული ადამიანები დადგნენ საბჭო-თა პლატფორმაზე. ეს პროცესი უფრო შესაძჩნეეი იყო მწერალთა სხვა დაჯგუფებებში.

საბჭოთა ხელისუფლებისაკენ ქართველ მწერალთა შემობრუნების, სოციალიზმის მშენებლობაში მათი აქტიური მონაწილეობის გულ-წრფელი სურვილის აღიარების დემონსტრაცია იყო საქართველოს მწერალთა პირველი ყრილობა, რომელიც 1926 წ. თებერვალში მოე-

წყო. ცნობილი ქართველი მწერლები, რომლებიც ამ ყრილობაზე სიტყვებით გამოვიდნენ, გამოთქვამდნენ იმის გულწრფელ სურვილსა და ბისწრაფებას, რომ ემუშავათ კომუნისტურ პარტიასთან ერთად ხალხის სულიერი აღორძინების საქმეში, აესახათ თავიანთ ქმნილებებში ის ეპოქალური გარდატეხა, რომელიც საბჭოთა წყობილებამ გამოიწვია ქართველი ხალხის ისტორიულ ბედ-ილბალში.

ამრიგად, კომუნისტური პარტიის მიერ ლენინური ეროვნული პოლიტიკის სწორმა განხორციელებამ ქართული მწერლობა — ქართველი დემოკრატიული ინტელიგენციის ეს უნაზესი ნაწილი — ძირითადად საბჭოურ პლატფორმაზე გადმოიყვანა. ეს დიდმნიშვნელოვანი იდეური გამარჯვება იყო.

მსგავსი პროცესი მიმდინარეობდა ხელოვნების დარგებშიც.

ხელოვნების საკითხების მართვისათვის საქართველოში 1921 წელსვე შეიქმნა საგანგებო ორგანო — განათლების კომისარიატის მთავარი სამხატვრო კომიტეტი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ქართველი დემოკრატიული ინტელიგენციის თვალსაჩინო მოღვაწე, მწერალი, დრამატურგი და მსახიობი შალვა დადიანი. იმავე წელს დაარსდა ხელოვნების მუშაკთა პროფესიული კავშირი, გადადგმულ იქნა ნაბიჯები ხელოვნების მოღვაწეთა მატერიალური უზრუნველყოფისათვის. ქართველმა მსახიობებმა, პირველად ქართული თეატრის ისტორიაში, მიიღეს საკუთარი ჰერი — შეიქმნა რუსთაველის სახ. თეატრი, რომლის მხატვრულ ხელმძღვანელად 1922 წლიდან მოწვეულ იქნა სახელმოხვეჭილი რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი.

რუსთაველის თეატრმა 1922 წელს მაყურებელს უჩვენა ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო", რომელმაც საწყისი მისცა ქართული თეატრის იდეურ-მხატვრულ პოზიციას, მის რევოლუციურ რომანტიკას, სოციალისტურ რეალიზმს, რითაც ახალ ხარისხში აიყვანა ქართული თეატრის დიადი კლასიკური ტრადიციები. კოტე მარჯანიშვილმა ირგვლივ შემოიკრიბა ქართველ მსახიობთა უკვე აღიარებული თანავარსკვლავედი და ასპარეზზე გამოიყვანა ახალგაზრდა თაობა, რომელიც მალე ქართული საბჭოთა თეატრის მშვენებად იქცა (უ. ჩხეიძე, ვ. ანჯაფარიძე, თ. ჭავჭავაძე, ა. ხორავა, ა. ვასაძე, გ. დავითაშვილი, ე. დონაური, ც. წუწუნავა, შ. ღამბაშიძე, ა. გელოვანი, ალ. ჟორჟოლიანი, ს. თაყაიშვილი და სხვ.). კ. მარჯანიშვილის თაოსნობით, ქართულ თეატრს შემოქმედებითად დაუახლოვდნენ ქართველი მწერლები (შ. დადიანი, პ. კაკაბაძე, ს. შანშიაშვილი, პ. იაშვილი, ტ. ტაბიძე და სხვ.),

რამაც ქართულ საბჭოთა თეატრს შესძინა თანადროულობის სულისკვეთებით გაჟღენთილი ორიგინალური რეპერტუარი.

დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო თეატრალური ცხოვრების აღორძინება ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში და საქართველოს რიგ სამაზრო ქალაქებში, თბილისში, რუსული, აზერბაიჯანული და სომხური თეატრების შექმნა. თეატრალური სტუდიის ჩამოყალიბება.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში დიდი წარმატება მოიპოვა ხელოვნების ახალმა დარგმა — კინემატოგრაფიამ, რომელიც იმთავითვე ჩადგა მასების იდეური აღზრდის სამსახურში. ქართული საბჭოთა ფილმი „წითელი ეშმაკუნები" ერთ-ერთი პირველი საუკეთესო კინოსურათი იყო მთელ საბჭოთა ქვეყანაში.

მტკიცე ორგანიზაციულ-იდეური საფუძვლები ამოუშენდა ქართული ხელოვნების სხვა დარგებს — მხატვრობას, მუსიკის განვითარებას. დაარსდა სამხატვრო აკადემია. მხატვართა პირველ გამოფენაზე, რომელიც 1924-25 წლებში მოეწყო, უკვე გამოჩნდა საბჭოთა თემატიკა, რასაც პრესა მიესალმებოდა და ქართული ფერწერის რენესანსს უწოდებდა. 1921 წელს დაარსდა თბილისის მეორე კონსერვატორია. დამოუკიდებელი სამხატვრო ერთეულად ჩამოყალიბდა საბალეტო დასი, დაარსდა საოპერო სტუდია. ა. ფაღავას, კ. მარჯანიშვილის რეჟისორობით საოპერო თეატრში დაიდგა ახალი სპექტაკლები. დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო ზ. ფალიაშვილის ახალი ოპერის „დაისის" დადგმა, რაც 1923 წლის სეზონში განხორციელდა. ქართული ორიგინალური ოპერა გაცდა საქართველოს საზღვრებსაც. 1924 წ. ალ. წუწუნავას რეჟისორობით მოსკოვში წარმოადგინეს ვ. დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტე". „დაისი" შევიდა მოძმე რესპუბლიკების საოპერო რეპერტუარში.

საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლებიდანვე დაიწყო ქართული მეცნიერების სწრაფი განვითარება. მეცნიერებისა და საბჭოთა ინტელიგენციის აღზრდის პირველი კერა — თბილისის უნივერსიტეტი შედგა ზრდისა და აღმავლობის ფართო გზაზე. უნიეესიტეტში შეიქმნა აგრონომიული, პოლიტექნიკური, საექიმო ფაკულტეტები. 1922 წელს ჩამოყალიბდა მუშათა ფაკულტეტი. მომზადდა საფუძვლები უნივერსიტეტიდან პოლიტექნიკური, სამედიცინო, აგრონომიული სასწავლო ინსტიტუტების შექმნისათვის. 1923 წლისათვის — უნიეერსიტეტის 5 წლისთავზე აქ უკვე მუშაობდა 36 პროფესორი, 19 დოცენტი, 71 ასპირანტი. უნივერსიტეტმა ქვეყანას მისცა პირველი საბჭოთა სპეციალისტები —ინჟინრები, ექიმები, პედაგოგები, მათემატიკოსები, ქიმი-

კოსები, ისტორიკოსები, ეკონომისტები, იურისტები. 1923 წელს უნივერსიტეტში 4 ათასზე მეტი სტუდენტი ირიცხებოდა.

სამეცნიერო მუშაობას მიეცა ფართო გასაქანი. სისტემატური ხასიათი მიიღო სამეცნიერო ხარისხების დაცვამ. უნივერსიტეტმა დააარსა თავისი სამეცნიერო ჟურნალი. დაიწერა სახელმძღვანელოები და მონოგრაფიული გამოკვლევანი მეცნიერების სხვადასხვა დარგში. თბილისის უნივერსიტეტმა სამეცნიერო კავშირი გააბა მსოფლიოს უნივერსიტეტებთან. საფუძველი ჩაეყარა სამეცნიერო სკოლებს ქართველოლოგიაში, რომელთაც სათავეში ედგნენ იოანე ჯავახიშვილის თანამებრძოლები და მოწაფენი (კ. კეკელიძე, ა. შანიძე, დ. უზნაძე, გ. ახვლედიანი, გრ. წერეთელი, გ. ჩუბინაშვილი, ფ. გოგიჩაიშვილი, შ. ნუცუბიძე, ს. დანელია და სხვ.), მათემატიკური და საბუნებისმეტყველო მეცნიერების დარგებში მსოფლიოს აღიარება პოვეს ი. ბერიტაშვილის, ა. მელიქიშვილის, ა. რაზმაძის, გ. ნიკოლაძის, ა. თვალჭრელიძის, ალ. ჯანელიძისა და სხვ. ნაშრომებმა.

1921 წ. დაარსდა საქართველოს სახელმწიფო სამეცნიერო საბჭო, შეიქმნა სამეცნიერო საზოგადოებანი ენათმეცნიერებასა და გეოგრაფიაში, ჩამოყალიბდა სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები მეცნიერების რიგ დარგებში. განახლებული ცხოვრების ფერხულში მზარდი აქტიობითა და რწმენით ებმებოდა სტუდენტობა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლებიდანვე იზრდებოდა რიცხობრივად და ქმნიდა ქართული საბჭოთა ინტელიგენციის პირველ კოპორტას. სტუდენტთა შორის წამყვან პოზიციას იკავებდნენ ბოლშევიკური პარტიის წევრები, კომკავშირლები, რომლებიც წვრილბურჟუაზიული ფენებიდან გამოსულ, ჯერ კიდევ იქვნეულ ახალგაზრდობასთან ცხარე იდეურ კამათში ასაბუთებდნენ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების ცხოველმყოფელობას, საქართველოს კომპარტიის მიერ აღებული კურსის მართებულობას. სტუდენტთა შორის სწრაფად მრავლდებოდა კომუნისტური მსოფლმხედველობით აღჭურვილთა რიცხვი. 1922 წელს, სტუდენტობის ინიციატივით პოლიტექნიკურ ინსტიტუტს მიენიჭა ვ. ი. ლენინის სახელი. ბელადისადმი გაგზავნილ დეპეშაში სტუდენტები წერდნენ:

„ძვირფასო ამხანაგო ლენინ! თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტებმა, გაწამებულმა ოთხი წლის განმავლობაში მენშევიზმის მუდმივი თვალთვალისაგან, რომელთაც ამ ინსტიტუტის, როგორც ბოლშევიკური სენით შეპყრობილი დაწესებულების დახურვა ეწადათ, დაადგინეს: ოქტომბრის ხუთი წლისთავზე მიანიჭონ ჩვენს ინს-

ტიტუტს თქვენი სახელი, რომელიც ესოდენ ძვირფასია მშრომელი მასებისა და მოწინავე რევოლუციური ინტელიგენციისათვის. ჩვენ, სტუდენტები მოგესალმებით და ვფიცავთ, რომ მთელ ცოდნას მოვახმართ დანგრეული მეურნეობის აღდგენას"[1].

სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების გარდაქმნის პარალელურად, კულტურის დარგში გატარებულმა ზემოაღნიშნულმა ღონისძიებებმა შემოქმედებით ინტელიგენციას თანდათანობით გაუფანტა იქვები ქართული კულტურის „დაღუპვის" თაობაზე და განუმტკიცა იმის რწმენა, რომ საბჭოთა ხელისუფლება მხსნელად მოევლინა კატასტროფის წინაშე მყოფ საქართველოს და 1921 წლიდან დაიწყო მისი განახლებისა და აღორძინების ერა. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის, როგორც საბჭოთა ქვეყნის განმაახლებლის იდეა მტკიცედ დამკვიდრდა დემოკრატიული ინტელიგენციის შეგნებაში. პროფ. შ. ნუცუბიძე ამის თაობაზე წერდა: „მთლიანად და საკუთრებით ეროვნული შემოქმედება და მეცნიერული მუშაობა, როგორც მისი შემადგენელი ნაწილი, განუკვეთელ კავშირშია ოქტომბრის რევოლუციასთან და ამდენად საკითხი რევოლუციისა და მეცნიერების მიმართებისათვის ჩვენს სინამდვილეში ფაქტიურად არის საკითხი მეცნიერებისა და ოქტომბრის რევოლუციისათვის[2]. ეროვნული სკოლის შექმნის, ე. ი. სკოლის განამდვილების ფაქტს ს. დანელია ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას უკავშირებდა[3].

დემოკრატიული ინტელიგენციის შემობრუნებას საბჭოური სინამდვილისაკენ და მის აქტიურ ჩაბმას ქვეყნის სამეურნეო-კულტურულ მშენებლობაში დიდად შეუწყო ხელი ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების შინაგანი რღვევისა და თვითკვდომის პროცესმა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში მიმდინარეობდა. 1923 წელს მოწვეულმა მენშევიკთა ყრილობამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ საქართველოს მენშევიკური პარტია დაიშალა. თავიანთი ორგანიზაცია დაშლილად გამოაცხადეს ახალგაზრდა მარქსისტებმა, ნაციონალ-დემოკრატებმა. კომუნისტური პარტიის რიგები იესებოდა წერილ-ბურჟუაზიული პარტიებიდან გადმოსული ადამიანებით. 1925 წ. პირველი იანვრისათვის სხვადასხვა პარტიიდან კომუნისტურ პარტიაში

---

[1] Летопись дружбы, ч. II. Тб., 1967, с. 30—31.

[2] შ. ნ ე ც უ ბ ი ძ ე, რევოლუცია და მეცნიერება საქართველოს სინამდვილეში, „მნათობი", 1967, № 10, გვ. 117.

[3] ს. დ ა ნ ე ლ ი ა, რევოლუცია და სკოლა, „მნათობი", 1927, № 10, გვ. 152—153

გადმოსულთა რიცხვი 1023-ს, ანუ პარტიის მთელი შემადგენლობის 6,3 პროცენტს შეადგენდა[1].

რა თქმა უნდა, ეს როდი ნიშნავდა, რომ ანტისაბჭოთა ფრონტი საქართველოში მთლიანად დაიშალა და რომ მის შემადგენლობაში ინტელიგენციის წარმომადგენლები აღარ შედიოდნენ. ეს ფრონტი თავადაზნაურულ-ბურჟუაზიული რეაქციული ძალებისა და საერთაშორისო იმპერიალიზმის წაქეზებით კვლავ ეწეოდა ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, მაგრამ ნათელი იყო ისიც, რომ ეს ბრძოლა განწირული იყო.

ამის თვალსაჩინო მაგალითია 1924 წლის აგვისტოს ავანტიურა საქართველოში. როგორც ცნობილია, ამ წელს მენშევიკებმა და მათმა თანამზრახველებმა საერთაშორისო რეაქციის წაქეზებითა და ხელშეწყობით შეძლეს პროვოკაციულად გამოეწვიათ ანტისაბჭოური აჯანყება საქართველოს რიგ მაზრებში. ამ ავანტიურის ძირითადი ორგანიზატორები და მონაწილენი იყვნენ ყოფილი თავადები და აზნაურები, მეფის ოფიცრები, ვაჭრები, მღვდლები და სისხლის სამართლის დამნაშავენი, რომლებმაც ზოგან გლეხობის ნაწილიც აიყოლიეს. აჯანყება ბუტაფორული გამოდგა. საქართველოს მშრომელმა მასებმა მას არა თუ მხარი არ დაუჭირეს, არამედ გადამწყვეტი ბრძოლა გამოუცხადეს. აჯანყება განწირული იყო თავიდანვე და მან მარცხი განიცადა.

ნიშანდობლივია ამ კონტრრევოლუციური აქტისადმი საქართველოს დემოკრატიული ინტელიგენციის დამოკიდებულება. ქართველი დემოკრატიული ინტელიგენცია თავიდანვე გაემიჯნა ამ ავანტიურას და საქვეყნოდ დაგმო იგი, როგორც ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებისადმი ღალატის გამოხატულება. 1924 წ. 5 სექტემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ, რომელსაც ესწრებოდნენ ივ. ჯავახიშვილი, ალ. ჯავახიშვილი, ი. ბერიტაშვილი, ა. მაჭავარიანი, გ. ნათაძე, გ. გეხტმანი, ლ. ანდრონიკაშვილი, კ. ამირეჯიბი, გ. წერეთელი, ბ. ღოღობერიძე, მ. შალამბერიძე, გ. ასათიანი, ი. ქუთათელაძე, ნ. მუსხელიშვილი, ვ. ჟღენტი, დ. გედევანიშვილი, გ. ჩუბინაშვილი, შ. ნუცუბიძე, დ. იოსელიანი, გ. ჯავახიშვილი, გ. ნიკოლაძე, გ. ახვლედიანი, ზ. ყანჩაველი მიიღო დეკლარაცია, რომელიც გამოქვეყნდა პრესაში.

„მეოთხე წელიწადია, — ნათქვამია დეკლარაციაში, — არსებობს საქართველოში მტკიცე მოქალაქეობრივი მშვიდობიანობა. რევოლუ-

---

[1] საქართველოს კომპარტიის ისტორიის ნარკვევები. გვ. 550—551.

ციის შემდგომი ხანის დაუსრულებელ შეტაკებებს და ომებს მეზობელ ხალხებთან ბოლო მოეღო საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით საქართველოში. ერთი მუჭა ქართველი ხალხი მრავალგვარი ფიზიკური უბედურებით დაუძლურებული გარკვეულად შევიდა ახალ მშვიდობიან ხანაში. არსებული ძალაუფლება შეძლებისდაგვარად ყოველგვარ საშუალებას ხმარობდა დანგრეული ცხოვრების ეკონომიკურად და კულტურულად აღორძინებისათვის და შექმნილ პირობებში ორივე მიმართულებით წინსვლის პერსპექტივები იშლებოდა ქართველი ერის წინაშე.

კულტურული ცხოვრება, საზოგადოდ და მეცნიერული, კერძოდ, ერთ დროს შეფერხებული, ნელ-ნელა დაიძრა წარმატებისა და განვითარების გზაზე, რომლის დადებითი მიღწევანი უკვე გარკვეულად ჩანდა და ყველასათვის თვალსაჩინო იყო.

მრავალი ხნის განმავლობაში დაბეჩავებულ ენასა და მწერლობას ხელსაყრელი პირობები შეექმნა და აყვავების უტყუარი ნიშნები დაეტყო. ამის მკვეთრმეტყველური მოწმეა აუარებელი ახალი სკოლა და ქართული ბეჭდვითი გამოცემანი, რომელთა რიცხვმა საბჭოთა ხელისუფლების დროს ისეთ რაოდენობას მიაღწია, რომელსაც არც ერთი წინანდელი თაობების დროს ადგილი არ ჰქონია. ყველა ამის შემდეგ აშკარა იყო, რომ სამი წლინახევრის შემოქმედებითი მუშაობის შემდეგ საბჭოთა ძალაუფლება ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებთან ორგანულად იყო დაკავშირებული. საბჭოთა ძალაუფლების მიერ შექმნილი მშვიდობიანი პირობები ერთადერთი თავდები და საწინდარი იყო კულტურული და ეკონომიკური აღორძინებისა და მომავალი განვითარებისათვის.

ასეთ პირობებში ავანტიურისტული მახვილის შემოტანა საქართველოში გაუმართლებელ დანაშაულად უნდა ჩაითვალოს ერის წინაშე და მომაკვდინებლად მისი სასიცოცხლო ინტერესებისათვის. უმაღლესი განათლების კერას და ქართული კულტურის ბურჯს — სახელმწიფო უნივერსიტეტს არ შეუძლია უტყუი მოწმე იყოს იმ საშინელებათა, რომლებიც დაატრიალა საქართველოს ტერიტორიაზე საბჭოთა წყობილების მოწინააღმდეგეთა უპასუხისმგებლო ავანტიურამ და თავისი მკაცრი საპროტესტო ხმა არ აღიმაღლოს იმათ წინააღმდეგ, რომელთაც დაკარგული ძალაუფლების დასაბრუნებლად ქართველი ხალხის ფიზიკური არსებობა არ დაინდეს და ერი სახიფათო მდგომარეობაში ჩააყენეს.

უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო საქვეყნოდ გმობს უპასუხის-

მგებლო და ავანტიურისტულ გამოსელას არსებული ძალაუფლების წინააღმდეგ და მას თვლის ქართველი ერის ინტერესების ღალატად...

პროფესორთა საბჭოს იმედი აქვს, რომ მომხდარი ავანტიურა ვერ დაარღვევს იმ მშვიდობიან განწყობილებას, რომელიც არსებობს საბჭოთა ძალაუფლების და ქართული კულტურის მესვეურთა შორის და როგორც მეცნიერების, ისე მთელი ერის მიმართ ურყევი დარჩება ის გზა, რომელზედაც მშვიდობიანი მოქალაქეობრიობის აღდგენით ამ ერიდან გაჩაღდება შემოქმედებითი მუშაობა"[1].

1924 წ. 14 სექტემბერს მასწავლებელთა რესპუბლიკურმა კონფერენციამ მიიღო დადგენილება: „ყოველგვარი კონტრრევოლუციური აჯანყება არსებული მთავრობის წინააღმდეგ მასწავლებლობას მიაჩნია დაუშვებლად და ხალხისთვის დამღუპველად. საესებით კიცხავს ამ ავანტიურისტული მოძრაობის სულისჩამდგმელთ და ხელმძღვანელებს და ყოველ პატიოსან ინტელიგენტს მოუწოდებს ითანამშრომლოს საბჭოთა ხელისუფლებასთან და კომპარტიასთან ქართველი ხალხის უკეთესი მომავლისათვის"[2].

მრისხანე პროტესტს ავანტიურისტების წინააღმდეგ გამოთქვამდნენ ინჟინრები, ექიმები, ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკები. ერთი სიტყვით, ქართველი დემოკრატიული ინტელიგენცია გადამწყვეტ ჟამს ერთსულოვნად დადგა საბჭოთა წყობილების დასაცავად. ინტელიგენციის ეს განწყობილება, კიდევ მეტი სიცხადით გამოჩნდა იმ საგანგებო კრებაზე, რომელიც 1927 წ. 5 აგვისტოს შეიკრიბა თბილისში. ეს იყო პერიოდი, როცა საერთაშორისო ვითარება საბჭოთა ქვეყნისა ერთგვარად გართულებული იყო, რეაქციული ძალები კაპიტალისტური სამყაროდან იარაღს აელარუნებდნენ, ხოლო ანტისაბჭოთა პარტიებიც რეაქციული ძალების წაქეზებით აქტიურობდნენ ქვეყნის შიგნითაც. ამ შეკრებაზე მრავალი ცნობილი ინტელიგენტი გამოვიდა. მათ დაგმეს საერთაშორისო რეაქციის ხრიკები და ინტელიგენციის ძალებს მუშათა კლასთან და გლეხობასთან მჭიდრო კავშირისაკენ, საბჭოთა ხელისუფლებასთან თანადგომისკენ მოუწოდეს. ქართველი დემოკრატიული ინტელიგენციის დიდმა წარმომადგენელმა, ილიას თანამებრძოლმა ნიკო ნიკოლაძემ განაცხადა, „ექვსი წლის საერთო მუშაობამ ბევრი იქვი და უნდობლობა შემუსრა, ბევრი სიკეთე შესძინა ჩვენს ქვეყანას, ბევრი თვალსაჩინო ძეგლი ააგო ერთობის, სიკეთისა. მარტო ერთი ზაჰესი რად ღირს! ეხლა იწყება უფრო დიდი რიონჰესის

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 7 სექტემბერი, 1924.

[2] საქ. ისტ. ნარკვევები, ტ. VI, გვ. 203.

შენება და მრავალი და მრავალი სხვა ქარხნების, გზების, სასწავლებლების მოწყობა, რომელთაც მთელი საუკუნე ნატრობდა ჩვენი ჩამორჩენილი ქვეყანა. ჩვენი ქვეყანაც გამოდის მტკიცე აღმავლობის გზაზე"[1].

ნიკო ნიკოლაძის, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი მედროშის, იმ პერიოდში 85 წლის მოხუცის, დიდი ილიას პლეადიდან უკანასკნელი მოჰიკანის ეს სიტყვები თითქოს ქართველი დემოკრატიული ინტელიგენციის განვლილ სახელოვან გზას აჯამებდა და ანდერძსაც წარმოადგენდა მომავალი მოქმედებისათვის. ნ ნიკოლაძეს ამის შემდეგ დიდხანს აღარ უცოცხლია. 1928 წ. პირველ აპრილს გარდაიცვალა. საბჭოთა მთავრობამ, მთელმა ქართველმა ხალხმა ღირსეულად დაიტირეს დიდი მამულიშვილი.

* * *

რა დასკვნები გამომდინარეობს ამ წიგნიდან, რომელიც ასახავს ქართველი დემოკრატიული ინტელიგენციის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას სამი რევოლუციის ეპოქასა და საბჭოთა ხელისუფლების პირველ ათწლეულში?

1. დემოკრატიული ინტელიგენციის კლასობრივი წარმომავლობა საქართველოში, ისე როგორც ყველა ქვეყანაში, წვრილბურჟუაზიული იყო. ქალაქების შუალედური ფენებიდან, დაბალი სასულიერო წრეებიდან, გლეხობიდან ივსებოდა მისი რიგები. დემოკრატიული ინტელიგენციის შემადგენლობაში იყვნენ თავადაზნაურული ფენის წარმომაელობის ადამიანებიც. მაგრამ რეფორმის შემდგომ საქართველოში ამ წოდების სოციალური დევრადაცია, მის ინტელიგენციასაც ადგილს ქალაქების შუალედური ფენების გარემოში უმკვიდრებდა.

დემოკრატიული ინტელიგენციის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა საქართველოში სათავეს იღებს XIX ს. 30-იანი წლებიდან, ხოლო მწიფობის ასაკში შედის 60-იანი წლებიდან, როცა ასპარეზზე გამოვიდა თერგდალეულთა სახელოვანი თაობა ილია ჭავჭავაძის მეთაურობით. ამ დროიდან მოკიდებული ეს ინტელიგენცია ყოველთვის ქართული სულიერი ცხოვრების შუაგულში იდგა და მესვეურობდა ქართველი ხალხის შეუპოვარ ბრძოლას სოციალური და ეროვნული

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 7 აგვისტო, 1927.

ჩაგვრის წინააღმდეგ. ქართველმა სამოციანელებმა შექმნეს ერის პროგრესისათვის დაუცხრომელი ბრძოლის შესანიშნავი ტრადიციები. ისინი ტონს აძლევდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების მაჯისცემას. რეფორმის შემდგომ საქართველოში, დემოკრატიული ინტელიგენციის გვერდით, მართალია, თავადაზნაურული და ბურჟუაზიული ინტელიგენციაც აქტიურობდა, მაგრამ დიდი საზოგადოებრივი რეზონანსი არცერთ მათგანს არ ჰქონია. თავადაზნაურული ინტელიგენცია წარსულის რომანტიკით იყო გამსჭვალული და წინ სასიკეთოს ვერაფერს ხედავდა, ბურჟუაზიულ ინტელიგენციას კი, იმის გამო, რომ რეფორმისშემდგომი კაპიტალისტური განვითარება ძირითადად უცხო კაპიტალის ბაზაზე მიმდინარეობდა, არ ჰქონდა მტკიცე სოციალური დასაყრდენი საკუთარ ქვეყანაში.

2. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესამე ეტაპზე (1895—1921 წწ.) ქართველი დემოკრატიული ინტელიგენციის აქტიურობა და საზოგადოებრივი გავლენა მნიშვნელოვნად იზრდება. თერგდალეულთა ტრადიციებზე აღზრდილი ეს ინტელიგენცია, რომლის რიგები უპირატესად წვრილბურჟუაზიულ-რადიკალური ფენებიდან შეივსო, აქტიური მონაწილე გახდა იმ შეუპოვარი ბრძოლებისა, რომელიც რუსეთის პროლეტარიატმა გლეხობასთან კავშირში გააჩაღა თვითმპყრობელური რეჟიმისა და მემამულურ-კაპიტალისტური ჩაგვრის წინააღმდეგ. ქართველმა დემოკრატიულმა ინტელიგენციამ სავსებით გაამართლა ვ. ი. ლენინის წარმოდგენა დემოკრატიულ ინტელიგენციაზე, როგორც პროლეტარიატის მოკავშირეზე. რუსეთის პირველ რევოლუციაში იგი პროლეტარიატისა და გლეხობის მხარდამხარ თავგანწირულად იბრძოდა ცარისტული რეჟიმის დასამხობად და ისტორიაში ჩაწერა გმირობის, თავგანწირვის, უჭკნობი მაგალითები. შავი რეაქციის წლებში ქართველი დემოკრატიული ინტელიგენცია თავისი ხალხის გვერდით იდგა და კვლავ დაუღალავად იბრძოდა, რომ გაეღვივებინა ახალი ბრძოლების სულისკვეთება. რევოლუციური აღმავლობისა და იმპერიალისტური ომის პერიოდში ქართველ დემოკრატიულ ინტელიგენციას ძირითადად ეკავა მართებული პოზიცია და კრიზისიდან გამოსავალს ცარისტული რეჟიმის დამხობაში ხედავდა.

3. ქართველი დემოკრატიული ინტელიგენციისათვის მძიმე და კრიზისული აღმოჩნდა 1917—1921 წლები. ეს ინტელიგენცია, ძირითადად, თებერვლის რევოლუციის შემდგომი მოჩვენებითი თავისუფლების ტყვეობაში აღმოჩნდა. იგი მიენდო წვრილბურჟუაზიული პარტიების ბოთაფლულ დაპირებებს ცარიზმის ნანგრევებზე დემოკრატიული და

დამოუკიდებელი საქართველოს შექმნის შესახებ და რევოლუციის გაღრმავებას, რასაც ბოლშევიკური პარტია ესწრაფოდა, იქვნეულად და შიშით უყურებდა.

მაგრამ ქართველ დემოკრატიულ ინტელიგენციას იმედები გაუცრუვდა. ფიქცია აღმოჩნდა საქართველოს დამოუკიდებლობა. რაც მენშევიკებმა 1918 წ. 26 მაისს ზარ-ზეიმით გამოაცხადეს. ასევე ფიქცია აღმოჩნდა მისი დემოკრატიზმიც, რადგან მენშევიკური მთავრობის მთელი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში მიმართული იყო ბურჟუაზიული წყობილების განმტკიცებისაკენ. უწყვეტმა სამეურნე ნგრევამ, იმპერიალისტური ქვეყნების ინტერვენციამ საქართველო კატასტროფის პირამდე მიიყვანა. ამ ვითარებაში დემოკრატიული ინტელიგენციის ნაწილი გაემიჯნა მენშევიკურ მთავრობას და ქვეყნის ნამდვილ ხსნას მენშევიკური რეჟიმის დამხობასა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებაში ხედავდა.

4. სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით, რაც 1921 წლის თებერვალში განხორციელდა, ქართველი ხალხის ისტორიაში დაიწყო ახალი ერა, ერა მისი აღორძინებისა. საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ სოციალისტური საქართველოს მშენებლობაში პროლეტარიატისა და გლეხობის მხარდამხარ დემოკრატიულ ინტელიგენციასაც მოუწოდა. დამარცხებული ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიების და მათი წამქეზებელი საერთაშორისო რეაქციის გაბოროტებული ანტისაბჭოთა აგიტაციის ვითარებაში დემოკრატიული ინტელიგენციის საკმაო ნაწილი ჯერ კიდევ ლოდინის პოზიციაზე იდგა. იგი ვერ ეგუებოდა ეროვნულ-კულტურულ ღონისძიებებში პარტიის აქტიურ ჩარევასა და წარმმართველ როლს. იქვნეულობა ყველაზე მეტად ფეხმოკიდებული იყო შემოქმედებითს ინტელიგენციაში. მაგრამ ასეთი განწყობილება დროებითი, წარმავალი იყო. ბურუსი იფანტებოდა და ცხადად იკვეთებოდა საბჭოთა ხელისუფლების კეთილისმყოფელი ზეგავლენა ქართველი ხალხის ისტორიულ ბედ-იღბალზე.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ ხუთწლეულშივე კომუნისტურმა პარტიამ დასძლია აღდგენითი პერიოდის სიძნელენი. დაიცვა ლენინური ხაზი იმ ოპოზიციურ და ოპორტუნისტულ მიმდინარეობათა წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლებიც თვით პარტიის შიგნით აღმოცენდნენ. რესპუბლიკაში სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში განხორციელდა უმნიშვნელოვანესი ღონისძიებანი, რამაც ომისა და მენშევიზმის დიქტატურის წლებში გაპარტახებულ საქართველოს ჭრილობები მოუშუშა და სწრაფი პროგრესის გზაზე დააყენა. გაქარ-

წყლდა ინტელიგენციის შიში ეროვნული კულტურის დაღუპვის თა-
ობაზე. ლენინური ეროვნული პოლიტიკის განუხრელი გატარებით
ფართო გზა მიეცა ქართული კულტურის განვითარებას, რომელმაც
ეროვნულ ფორმასთან ერთად შეიძინა სოციალისტური შინაარსი. ეს
გარდამქმნელი პროცესები დემოკრატიული ინტელიგენციის იმ ნა-
წილზე, რომელიც პარტიის იდეურ-პოლიტიკური ღონისძიებებისაგან
ჯერ კიდევ განზე იდგა, კეთილისმყოფელ გავლენას ახდენდნენ. დაი-
წყო დემოკრატიული ინტელიგენციის მასობრივი გადმოსვლა საბჭო-
ურ პლატფორმაზე, მისი ჩაბმა პრაქტიკულ საზოგადოებრივ საქმიანო-
ბაში. 1924 წლის ამბებმა ნათლად დაადასტურეს, რომ დემოკრატიუ-
ლი ინტელიგენცია პარტიისა და ხალხის გვერდით იდგა საერთაშორი-
სო რეაქციის მიერ მოგზავნილი ავანტიურისტების წინააღმდეგ ბრძო-
ლაში. ასეთი შემობრუნება შემთხვევითი და მოულოდნელი არ ყო-
ფილა. ქართველი დემოკრატიული ინტელიგენციის გზა ისტორიულად
და ლოგიკურად კომუნისტურ პარტიასთან, საბჭოთა ხელისუფლებას-
თან მიდიოდა.

5. თვალს ვაყლებთ რა ქართველი დემოკრატიული ინტელიგენ-
ციის ოცწლიან გზას სამ რევოლუციაში, ჩვენ შორს ვართ იმის
მტკიცებისაგან, რომ ეს ინტელიგენცია ყველგან და ყველა ვითარება-
ში მტკიცე და მდგრადი ძალა იყო პროლეტარიატთან თანადგომაში.
ვ. ი. ლენინის არაერთგზისი მითითება დემოკრატიული ინტელიგენცი-
ის წვრილბურჟუაზიული ბუნების, მერყეობის, ორჭოფობის შესახებ
მთლიანად და სავსებით შეეხება ქართველ დემოკრატიულ ინტელიგენ-
ციასაც, რომელიც პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ შე-
იპყრო ერთგვარმა გულგატეხილობამ, ხოლო 1917 წლის თებერვლის
რევოლუციის შემდეგ ერთბაშად აღმოჩნდა წვრილბურჟუაზიულ მდი-
ნარებაში. ინტელიგენციის ამ სუსტი და მერყეი ბუნებით სარგებ-
ლობდნენ ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიები. ამ პარ-
ტიებისკენ დემოკრატიული ინტელიგენციის ლტოლვას ძირეულად აპი-
რობებდა ეროვნული საკითხი. გამოდიოდა რა პროლეტარული ინტერნა-
ციონალიზმის მართებული პოზიციიდან, საქართველოს ბოლშევიკური
პარტია ყურადღებას უპირატესად თვითმპყრობელობისა და კაპიტა-
ლიზმის წინააღმდეგ სოციალურ, კლასობრივ ბრძოლაზე ამახვილებ-
და. ეს ქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ ეროვნულ საკითხში პარ-
ტიას, თითქოს, ნიჰილისტური პოზიცია ეკავა. მდგომარეობას ერთგვა-
რად ამუქებდა ზოგიერთი ხელმძღვანელი ბოლშევიკის შეცდომე-
ბიც ეროვნულ საკითხში. მაგრამ ეს ცალკეული ფაქტები და მოვლე-

ნები სრულებითაც არ ცვლიდნენ დემოკრატიული ინტელიგენციის გენერალურ გზას, რომელიც საბოლოოდ მაინც პროლეტარიატთან მიდიოდა.

6. ქართველი დემოკრატიული ინტელიგენცია სოციალური, ეკონომიკური და ეროვნული ჩაგვრისაგან ქვეყნის გათავისუფლებისათვის ბრძოლის პარალელურად ეწეოდა გიგანტურ მუშაობას ერის სულიერი ძალების გამოღვიძებისა და ინტელექტუალური ამაღლებისათვის. განსაკუთრებით. დიდი იყო ამ მხრივ ღვაწლი რევოლუციამდელი ქართველი მასწავლებლებისა. მათ მხრებზე გადადიოდა ქალაქად და სოფლად განათლების სხივის შეტანის მთელი სიმძიმე. გასაოცარ შემართებასა და თავდადებას იჩენდა აგრეთვე შემოქმედებითი ინტელიგენცია. ქართული მწერლობა, მეცნიერება, თეატრი, სახვითი ხელოვნება, მუსიკა ექვემდებარებოდა ხალხის სულიერი გამდიდრების, პატრიოტული გრძნობების გაღვივებას. განმათავისუფლებელ მოძრაობაში დარაზმულობის კეთილშობილური იდეალების დიდი ეროვნულ-კულტურული მოღვაწეობა გასწიეს ეროვნულ-ნებაყოფლობითმა საზოგადოებებმა (წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება. ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოება და სხვ.).

დემოკრატიული ინტელიგენციის დაუცხრომელი ეროვნულ-კულტურული მრავალმხრივი საქმიანობა საკვლევ პერიოდში ქართველი ერის ისტორიის ერთ-ერთი მდიდარი, მიმზიდველი, ნაზი და ამაღელვებელი ნაწილია. ამ ნაწილის წარმოჩენის გარეშე გაღარიბდებოდა და გაფერმკრთალდებოდა ისტორია ჩვენი ერისა და აუხსნელი დარჩებოდა ის მაღალი რევოლუციური დონე, რომლითაც რევოლუციის წლებში მთელი რუსეთის მასშტაბით გამოირჩეოდა ამიერკავკასია და საქართველო.

7. ეროვნული საკითხისადმი გაძლიერებული ინტერესების მიუხედავად, ქართველი დემოკრატიული ინტელიგენციისათვის უცხო და მიუღებელი აღმოჩნდა ის შოვინისტური და ნაციონალისტური ტენდენციები, რასაც წვრილბურჟუაზიული პარტიები აღვივებდნენ განსაკუთრებით თავიანთი ბატონობის ბოლო წლებში. ქართველი დემოკრატიული ინტელიგენცია თავისი ბუნებით ინტერნაციონალური იყო და შესანიშნავად ესმოდა მრავალეროვან ამიერკავკასიაში ცალკეულ ეროვნებათა და ეთნიკურ ჯგუფთა ინტერესების შეხამებისა და საერთო მტრის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის სასიცოცხლო მნიშვნელობა.

ქართველი დემოკრატიული ინტელიგენციის გულისყური, პირველ რიგში, მიპყრობილი იყო რუსეთის დემოკრატიული ინტელიგენციისაკენ, რომლის ძალა, გამოცდილება, რევოლუციური პათოსი მუდამ იწვევდა მხარდაჭერას და აღტაცებას. ქართველი დემოკრატიული ინტელიგენცია მხარდამხარ მიჰყვებოდა რუსეთის დემოკრატიულ ინტელიგენციას მის დიდ ბრძოლაში პროგრესისა და თავისუფლებისათვის. ქართველ შემოქმედებით ინტელიგენციას უწყვეტი კავშირი ჰქონდა რუსეთის დემოკრატიულ ინტელიგენციასთან, რუსეთში იღებდა იგი განათლებას, რუსეთის სტუდენტურ მოძრაობაში იწრთობოდა მისი რევოლუციური სულისკვეთება.

ქართველი დემოკრატიული ინტელიგენცია ასევე მჭიდრო შემოქმედებითს ურთიერთობაში იყო სომხეთის, აზერბაიჯანის დემოკრატიულ ინტელიგენციასთან. სოციალ-ფედერალისტების, დაშნაკცუთუნის, ბუსავატის მესვეურთა ნაციონალისტური კინკლაობა მუდამ აწყდებოდა დემოკრატიული ინტელიგენტის წინააღმდეგობას. დიდმნიშვნელოვანი ეროვნულ-კულტურული ღონისძიებანი ტარდებოდა საერთო ძალებით. მრავალეროვანი თბილისი — ამიერკავკასიის კულტურული ცენტრი — თავისთავად აპირობებდა ამ ერთიანობის გარდუვალობას.

ქართველი დემოკრატიული ინტელიგენცია მუდამ თავგამოდებით იცავდა საქართველოში მოსახლე ეროვნულ უმცირესობათა ინტერესებს, გვერდში ედგა მათ სამართლიან ბრძოლას. შესანიშნავია ის ტრადიციები, რომლებიც ამიერკავკასიის ხალხთა ინტერნაციონალური სოლიდარობის განმტკიცების საქმეში ქართველმა დემოკრატიულმა ინტელიგენციამ შექმნა. ამ ტრადიციებმა კიდევ უფრო განამტკიცეს და შეადუღაბეს ქართველი და ამიერკავკასიაში მოსახლე ხალხების ისტორიული ერთობა, თანაცხოვრება და ურღვევი მეგობრობა.

РЕЗЮМЕ

Грузинская демократическая интеллигенция в трех революциях

В монографии освещена идейная позиция и практическая деятельность грузинской демократической интеллигенции в двух буржуазно-демократических революциях (1905—1907 и 1917 гг.) и в период борьбы за установление Советской власти в Грузии.

В книге на основе ленинских положений о позиции демократической интеллигенции в социалистической революции, об отношении большевистской партии к этой интеллигенции показана роль грузинской демократической интеллигенции, которая несмотря на ее колебания и непоследовательность, находилась в революционном лагере и сыграла значительную роль в идейной подготовке и практическом осуществлении этих революций.

Исследуется также классовое происхождение грузинской демократической интеллигенции и ее социальная позиция. Автор считает, что демократическая интеллигенция в Грузии как и везде, представляла неотъемлемую часть мелкобуржуазного класса, что ее ряды всегда пополнялись средними, промежуточными городскими слоями (ремесленники, торговцы, служащие, низшее духовное сословие) и крестьянством. В рядах демократической интеллигенции было немало представителей грузинского дворянства, которые в условиях своей социальной деградации были связаны со своим классом не классовыми интересами, а лишь происхождением.

Грузинская демократическая интеллигенция отражала настроение мелкобуржуазного класса, а мелкая буржуазия являлась самым многочисленным классом, самой могучей силой в дореволюционной Грузии. В обстановке жестокой колониальной политики царизма, социально и национально угнетенные мелкобуржуазные слои были настроены против царизма и капитализма. Но их программа перестроения общественной жизни, их идеи и представления о социальной справедливости и нацио-

нальной свободе, характеризовались неясностью, нечеткостью. Мелкая буржуазия и ее интеллигенция не являлись последовательной революционной силой и на крупных революционных поворотах всегда колебались, терялись и были не в силах твердо определить позицию — быть на стороне пролетариата или на стороне буржуазии.

Без поддержки мелкой буржуазии и ее интеллигенции революция не могла победить. Именно поэтому В. И. Ленин призывал большевиков бороться за привлечение на свою сторону демократических слоев, за преодоление в их рядах буржуазного влияния, за их сплочение в политическую армию социалистической революции.

В книге рассказывается о том, как большевистские организации Грузии осуществляли эти ленинские наказы, вместе с тем широко представлена позитивная общественная деятельность грузинской демократической интеллигенции на всех этапах трех революций. Всестороннее освещение многогранной, целеустремленной деятельности этой интеллигенции, по мнению автора, обогащает страницы истории Грузии данного периода новыми фактами и явлениями, преодолевает то одностороннее представление о роли демократической интеллигенции в историческом процессе, которое характеризует историко-партийную литературу Грузии.

Основные выводы, к которым приходит автор, следующие:

1. Общественно-политическое движение демократической интеллигенции Грузии берет начало с 30-х годов XIX века, а в возраст зрелости входит в 60—70-ых годах, когда на общественной арене появляется прославленное поколение «тергдалеулеби» во главе с И. Г. Чавчавадзе. Начиная с 60-х годов XIX в. эта интеллигенция всегда была в гуще духовной жизни грузинского народа и возглавляла его самоотверженную упорную борьбу против социального и национального угнетения. Грузинские шестидесятники создали замечательные традиции борьбы за прогресс нации. Наряду с демократической интеллигенцией активизировалась и дворянская и буржуазная интеллигенция Грузии, но их деятельность большим общественным резонансом не пользовалась. Дворянская интеллигенция была насыщена романтическими идеалами прошлого, и на будущее смотрела с опасением, а буржуазная интеллигенция не имела твердой опоры в собственной стране.

2. На третьем этапе национально-освободительного движения (1895—1921 гг.) активность и общественное влияние грузин-

ской демократической интеллигенции значительно возрастает. Воспитанная на традициях «тергдалеулеби», эта интеллигенция, пополненная из рядов мелкобуржуазных слоев, становится активным участником той борьбы против царизма и капитализма, которую возглавил пролетариат в союзе с многомиллионным крестьянством. Грузинская демократическая интеллигенция полностью оправдала ленинское положение о демократической интеллигенции, как союзнице пролетариата. В первой русской революции она боролась за свержение царского режима и в историю этой борьбы вписала многочисленные примеры героизма и самопожертвования. В годы реакции грузинская демократическая интеллигенция находилась в гуще масс, призывая их к новым революционным порывам. В период революционного подъема и первой мировой войны грузинская демократическая интеллигенция занимала правильную позицию и выход из кризисной ситуации видела в свержении царского режима.

3. Грузинскую демократическую интеллигенцию, действовавшую в революции 1905—1907 гг. можно условно разделить на три поколения; 1. шестидесятники («тергдалеулеби»), 2. восьмидесятники и 3. представители т. н. «месаме-даси» (третья группа).

Деятели первого поколения (И. Чавчавадзе, А. Церетели, Якоб Гогебашвили, Важа-Пшавела и др.) на революцию возлагали осуществление той программы, с которой они выступили на общественном поприще в 60—70 годах XIX века. Шестидесятники были восхищены революционным пафосом трудящихся масс, но боялись внутренней схватки антагонистически настроенных социальных слоев и старались направить корабль революции против колониального режима царизма. Главным их стремлением была национальная свобода и объединение всей нации для достижения этой заветной цели. Это поколение не играло активной роли в революции, но велика была его заслуга в идейной подготовке масс.

Более активную силу в революции представляло среднее поколение т. н. восьмидесятники (С. Мгалоблишвили, Э. Габашвили, И. Джавахишвили, Г. Зданевич-Манашвили, И. Гомартели, И. Ростомашвили и др.). Воспитанное на идеях шестидесятников, это поколение активно боролось за демократические свободы. Их программа не выходила из буржуазно-либеральных рамок, но по общему направлению была революционно-демократической и играла положительную роль в борьбе против самодержавного строя.

В рядах демократической интеллигенции самую активную

и возрастающую силу представляло младшее поколение, которое выросло на идеях «месаме-даси». «Месаме-даси» — первая марксистская организация в Грузии, объединившая и воспитавшая замечательную плеяду профессиональных революционеров (И. В. Сталин, А. Цулукидзе, М. Цхакая, Ф. Махарадзе, М. Давиташвили, А. Джапаридзе, М. Орахелашвили, И. и Г. Стуруа и др.), которые возглавили борьбу трудящихся Грузии и Закавказья с начала XX века.

В отношении демократической интеллигенции большевики Грузии занимали правильную позицию. Эта принципиальная и целеустремленная позиция большевиков обеспечивала сплочение основных сил демократической интеллигенции под знаменем революции. Здесь же заметим, что национальный нигилизм и ультралевацкое отношение к видным представителям демократической интеллигенции некоторых руководящих деятелей из рядов социал-демократии, было вредным для революционных интересов, ибо способствовало переходу колеблющихся элементов на буржуазно-националистическую позицию.

4. Тяжелым и кризисным оказались для грузинской демократической интеллигенции 1917—1921 годы. Эта интеллигенция после свержения царизма и Февральской буржуазно-демократической революции, оказалась в плену мнимой свободы и упоения политической самостоятельностью, выжидала, охотно предоставляя мелкобуржуазным стратегам «усыплять рабочих и крестьян мудрыми речами о буржуазном характере русской революции, о неосуществимости социалистического переворота и др.». Она боялась углубления революции, к чему стремилась большевистская партия.

Но надежды грузинской демократической интеллигенции в отношении мелкобуржуазных партий не оправдались Фикцией оказалась независимость Грузии, которую торжественно провозгласили грузинские меньшевики 26 мая 1918 г. Такой же фикцией оказались тот демократизм и социальная справедливость, которыми так хвастали меньшевики. Вся социально-экономическая политика меньшевистского правительства была направлена на упрочение буржуазного строя. Тяжелая хозяйственная разруха, интервенция империалистических государств в Грузии привели страну на грань катастрофы. В этой обстановке часть грузинской демократической интеллигенции отмежевалась от меньшевистского правительства и спасение родной страны видела в свержении этого режима и победе социалистической революции.

5. Победой социалистической революции в Грузии в феврале

1921 г. в истории грузинского народа началась новая эра, эра его возрождения. Коммунистическая партия Грузии наряду с рабочим классом и крестьянством призвала и демократическую интеллигенцию принять активное участие в строительстве социалистической Грузии. В обстановке злобной антисоветской пропаганды буржуазных и мелкобуржуазных партий и подстрекавшей их международной реакции, значительная часть грузинской демократической интеллигенции заняла выжидательную позицию. Она не хотела мириться с направляющей ролью и активным вмешательством партии в национально-культурном строительстве. Недоверие больше всего чувствовалось в рядах творческой интеллигенции. Но такое настроение было временным, преходящим, туман рассеивался и очевидным становилось благотворное влияние Советской власти на исторические судьбы грузинского народа.

В первые же годы Советской власти в Грузии Коммунистическая партия, проводя ленинскую национальную политику, преодолела основные трудности восстановительного периода. Развеялись опасения демократической интеллигенции по поводу гибели грузинской культуры. Последовательное проведение ленинской национальной политики способствовало приобретению грузинской культурой социалистического содержания. Эти преобразования оказали благотворное влияние на ту часть демократической интеллигенции, которая еще стояла в стороне от идейно-политических мероприятий партии. Происходил массовый переход демократической интеллигенции на советскую платформу, ее вовлечение в широкую общественно-практическую деятельность. События 1924 года ярко подтвердили, что демократическая интеллигенция уже стояла бок о бок с партией и народом в борьбе против авантюристов, подосланных международной реакцией. Такой поворот не был ни случайным, ни неожиданным. Путь грузинской демократической интеллигенции исторически и логически вел к Советской власти.

6. Обозревая двадцатилетний путь грузинской демократической интеллигенции в трех революциях, мы далеки от той мысли, что эта интеллигенция всегда и во всех условиях являлась твердой и последовательной опорой пролетариата. Мудрые указания В. И. Ленина о мелкобуржуазной сущности демократической интеллигенции, о ее колебании и неустойчивости целиком и полностью относятся и к грузинской демократической интеллигенции, которую после поражения первой русской революции охватило разочарование, а после Февральской буржуазно-демократической революции 1917 г. она почти полностью оказалась в фарватере мелкобуржуазных течений. Этой слабо-

стью и неустойчивостью пользовались буржуазные и мелкобуржуазные партии. Стремление демократической интеллигенции к этим партиям было обусловлено в основном национальным вопросом. Исходя из позиции пролетарского интернационализма, большевистская партия Грузии всегда заостряла внимание в первую очередь на классовой борьбе трудящихся против самодержавия и капитализма. Это создавало впечатление будто бы в национальном вопросе грузинские большевики занимали нигилистическую позицию. Обостряли обстановку и ошибки некоторых руководящих работников партии в национальном вопросе. Но эти отдельные факты и явления не меняли основной линии демократической интеллигенции, которая в конечном счете шла к пролетариату.

7. Грузинская демократическая интеллигенция кроме активного участия в борьбе за освобождение грузинского народа от социально-экономического и политического гнета, вела гигантскую работу по пробуждению духовных сил трудящихся масс.

В эту благородную деятельность были вовлечены все мелкобуржуазные партии, которые несмотря на свою политическую разновидность, объективно содействовали этому процессу. Особо плодотворной была в этом отношении роль дореволюционных грузинских учителей. Кипучую деятельность вела и творческая интеллигенция. Грузинская художественная литература, театр, изобразительное искусство, музыка призваны были духовно обогатить народ, поднять его патриотизм, интернациональные настроения, сплотить в освободительном движении. Большую национально-просветительную работу вели самодеятельные общества — Общество по распространению грамотности среди грузин, Историческое и этнографическое общество Грузии, Общество культуры Грузии, женские благотворительные общества, народный университет и др. Неутомимая, многогранная национально-культурная деятельность демократической интеллигенции в исследуемый период, является одной из интереснейших страниц истории грузинского народа. Без этой существенной части наша история выглядела бы обедненной и померкшей, необъяснимым остался бы тот высокий революционный уровень, которым выделялась Грузия в масштабе всей России в годы первой революции. В русских учебных заведениях грузинская демократическая интеллигенция получала высшее образование, в русском студенческом движении закалялся ее революционный дух.

8. Грузинская демократическая интеллигенция находилась

в тесной творческой связи с демократической интеллигенцией Армении и Азербайджана. Националистическая перепалка главарей социалист-федералистов, дашнаков и мусаватистов всегда вызывала неодобрение демократической интеллигенции Закавказья. Все значительные национально-культурные мероприятия проводились общими силами. Многонациональная столица Грузии — Тбилиси являлся культурным центром всего Закавказья.

9. Грузинская демократическая интеллигенция всегда упорно защищала интересы населяющих Грузию национальных меньшинств, способствовала развитию их борьбы за свободу и национальное самоопределение.

Богатые традиции совместной борьбы еще более укрепили историческую общность закавказских народов, их нерушимую дружбу, что на современном этапе является одним из неиссякаемых источников могущества нашей великой Родины.

შინაარსი

დემოკრატიული ინტელიგენცია პროლეტარიატის მოკავშირე ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში 3

ქართველი დემოკრატიული ინტელიგენცია პირველი რევოლუციის წინა პერიოდში (1900—1904 წწ.) 37

ქართველი დემოკრატიული ინტელიგენცია პირველი სახალხო რევოლუციის წლებში 106

ქართველი დემოკრატიული ინტელიგენცია (1907—1917 წწ). 194

ქართველი დემოკრატიული ინტელიგენცია სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლის პერიოდში (1917—1921 წწ.) 255

ქართველი დემოკრატიული ინტელიგენცია საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში 347

რეზიუმე (რუსულ ენაზე) 367

რედაქტორი თ. ე. გოგუაძე

გამომცემლობის რედაქტორი ნ. გონაშვილი
მხატვარი დ. გრიგოლია
მხატვრული რედაქტორი ა. ტუხაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ე. ციხელაშვილი
კორექტორები: ლ. გულიაშვილი, ნ. თავაძე
გამომშვები დ. ოამანიძე

ს. ბ. — 2773

გადაეცა წარმოებას 07.03.85 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 18.06.86 წ. უე 01634. საბეჭდი ქაღალდი № 2. 60×84 1/16. გარნიტური ვენა. ბეჭდვის ხერხი მაღალი. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 21,85. პირ. საღ.-გატ. 22,08. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 20, 31. ტირაჟი 2 000. შეკვ. № 666.

ფასი 1 მან. 70 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“,
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის № 1 სტამბა, თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 50.
Типография № 1. Государственного комитета Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, ул. Орджоникидзе, 50.